

# ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი


თამარ ლაპერბაია

ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და ევროპული  
სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი

სადისერტაციო ნაშრომი სამართლის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი – თამარ ზარანდია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის  
ასოცირებული პროფესორი



თბილისი 2016

## სარჩევი

ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი .....	6
შესავალი.....	7
I. მომხმარებელთა მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებების თავისებურება 13	
1.1. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი სამომხმარებლო ხელშეკრულებებში.....	13
1.2. ხელშეკრულების თავისუფლების იდეა.....	17
1.3. მომხმარებელი, როგორც ხელშეკრულების „სუსტი“ მხარე .....	20
1.4. მომხმარებლის სახელშეკრულებო თავისუფლება .....	23
1.5. ხელშეკრულების მბოჭავი ძალა მომხმარებლის მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში.....	28
II. მომხმარებელთა უფლებების საკანონმდებლო რეგლამენტირება ევროპის სახელშეკრულებო სამართალში.....	29
2.1. ევროკავშირის გავლენა მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლის განვითარებაზე .....	29
2.2. ევროკავშირის დირექტივები, როგორც სამომხმარებლო სამართლის განვითარების ძირითადი ორიენტირები .....	34
2.3. მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ევროკავშირის დირექტივების გავლენა ევროპის სახელშეკრულებო სამართალზე .....	35
2.4. მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სახელშეკრულებო სამართალში და სასამართლო პრაქტიკაში.....	38
III. ხელშეკრულების უარყოფის უფლება, როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის სპეციალური ინსტიტუტი .....	44
3.1. ხელშეკრულების უარყოფის უფლება ევროპის ქვეყნების სახელშეკრულებო სამართალში.....	44
3.2. ხელშეკრულების უარყოფის უფლება ევროკავშირის დირექტივებში.....	46
3.3. ხელშეკრულების უარყოფის უფლება „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ 2011/83 დირექტივაში.....	48
3.4. ხელშეკრულების უარყოფის უფლების იმპერატიული ხასიათი .....	53
3.5. ხელშეკრულების უარყოფის უფლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში 54	
3.6. ტერმინის დამკვიდრების მიზნებისათვის.....	58
IV. ხელშეკრულების უარყოფის უფლება სამომხმარებლო ხელშეკრულებებში..	60

4.1.	ხელშეკრულების უარყოფის უფლების დაცვითი ეფექტი	60
4.2.	ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოქმედების ფარგლები	64
4.3.	ხელშეკრულების უარყოფის უფლების სუბიექტური შემადგენლობა	67
4.3.1.	მომხმარებლის ცნების ზოგადი კონცეფცია	68
4.3.2.	იურიდიული პირი, როგორც მომხმარებელი	70
4.3.3.	დასაქმებული, როგორც მომხმარებელი	72
4.3.4.	მომხმარებელი შერეული მიზნის მქონე ხელშეკრულებებში	73
4.3.5.	მეწარმე	75
4.3.6.	მომხმარებელი და მეწარმე საქართველოს კანონმდებლობაში	77
4.4.	ხელშეკრულების უარყოფის უფლების ობიექტური შემადგენლობა	78
4.4.1.	სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება	78
4.4.2.	ხელშეკრულებები მომსახურების გაწევის შესახებ	79
V.	უარყოფის უფლება კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ	
	80	
5.1.	არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებები	80
5.1.1.	ხელშეკრულებები, რომლებიც დადებულად ითვლება მეწარმეთა საგაჭრო პუნქტების ფარგლებს გარეთ	82
5.1.1.1.	ხელშეკრულება, რომლიც დადებულია მომხმარებლისა და მეწარმის თანდასწრებით იმ ადგილებში, რომლებიც არ განეკუთვნება მეწარმის ჩვეულებრივი საქმიანობის ადგილს	84
5.1.1.2.	მომხმარებლისათვის ინდივიდუალურად მიმართვის შედეგად დადებული ხელშეკრულებები	85
5.1.1.3.	ხელშეკრულება, დადებული მეწარმის მიერ ორგანიზაციებული ექსკურსიის დროს	86
5.1.1.4.	არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებების სხვა შემთხვევები	90
5.1.2.	არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებები, რომელთა მიმართაც ხელშეკრულების უარყოფის უფლებას არა აქვს საფალდებულო სასიათო 92	
5.2.	უარყოფის უფლება დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში	94
5.2.1.	მომხმარებელი დისტანციური კომუნიკაციის სამყაროში	94
5.2.2.	პირისპირ კომუნიკაციიდან დისტანციურ კომუნიკაციამდე	96
5.2.3.	დისტანციურად დადებული ხელშეკრულების თავისებურებები	99
5.2.3.1.	გარიგების ნამდვილობა	99

5.2.3.2.	კომუნიკაციის არარსებობა.....	100
5.2.3.3.	ხელშეკრულების დადების მეთოდი.....	101
5.2.3.4.	ციფრული შიგთავსის მქონე საქონელი და ხელშეკრულების უარყოფის უფლება	102
5.2.3.5.	აუქციონი, როგორც დისტანციურად ვაჭრობის ფორმა და ხელშეკრულების უარყოფის უფლება .....	104
5.2.4.	მომხმარებელთა განწყობა დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების მიმართ და ხელშეკრულების უარყოფის უფლების დაცვითი ფუნქცია .....	106
5.2.5.	სამომხმარებლო ხელშეკრულებების განსჯადობა და ხელშეკრულების უარყოფის უფლების ეფექტი.....	115
VI.	ხელშეკრულების უარყოფის უფლების დაცვითი ეფექტისათვის სავალდებულო ელემენტები.....	123
6.1.	უარყოფის უფლების რეალიზების წინაპირობები.....	123
6.2.	მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.....	123
6.2.1.	მომხმარებლებისათვის მისაწოდებელი ინფორმაციისადმი წაყენებული მოთხოვნები .....	130
6.2.2.	მომხმარებლის ინფორმირება ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ 131	
6.2.3.	ინფორმაციის გამეღავნება და გამჭვირვალობა .....	131
6.2.4.	მოთხოვნები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს ინფორმაცია ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ .....	137
6.3.	ხელშეკრულების უარყოფის ვადა .....	140
6.3.1.	მოსაფიქრებელი ვადის ხანგრძლივობა.....	142
6.3.2.	მოსაფიქრებელი ვადის ათვლის ზოგადი წესი.....	142
6.3.3.	მოსაფიქრებელი ვადის ათვლის სპეციალური წესი .....	145
6.3.4.	მოსაფიქრებელი ვადის ხანგრძლივობის გამოთვლა .....	148
6.3.5.	ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორმხრივად შესრულების შესაძლებლობა მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში .....	149
6.3.6.	საქონლის შემთხვევით დაღუპვის რისკის გადასვლა .....	152
6.4.	ხელშეკრულების უარყოფის უფლების განხორციელების შესახებ შეტყობინება, როგორც უფლების რეალიზების წინაპირობა .....	153
6.4.1.	შეტყობინების ფორმა .....	154
6.4.2.	წერილობითი შეტყობინების აღრესატამდე მიუსვლელობის რისკი .....	158

VII.	ხელშეკრულების უარყოფის უფლება ფინანსური მომსახურების ხელშეკრულებებში.....	162
7.1.	ევროპული მიდგომა .....	162
7.2.	ქართული რეალობა .....	165
VIII.	ხელშეკრულების უარყოფის უფლების შედარება მბოჭავი ძალისაგან გათავისუფლების სხვა ინსტიტუტებთან.....	166
8.1.	ხელშეკრულების უარყოფის უფლება მერყევად ბათილი გარიგებების შეცილების საფუძვლებთან მიმართებაში .....	166
8.1.1.	შეცდომით ნების გამოვლენის თავისებურება დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში.....	169
8.1.2.	მოტყუების შედეგად გამოვლენილი ნების თავისებურება მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში.....	171
8.1.3.	მოტყუება მესამე პირის მხრიდან – პარალელი ხელშეკრულების უარყოფის უფლებასთან .....	175
8.1.4.	იძულების ელემენტი ხელშეკრულების უარყოფის უფლებასთან მიმართებაში 177	
8.2.	ხელშეკრულების სტანდარტული პირობები და ხელშეკრულების უარყოფის უფლება.....	179
8.3.	ხელშეკრულების უარყოფის უფლება და ხელშეკრულებიდან გასვლა.....	183
IX.	ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოქმედების შეზღუდვა .....	190
9.1.	ხელშეკრულებების დიფერენციაცია ნების ფორმირებისა და მასში მონაწილე პირების მიხედვით .....	191
9.2.	სანივთო უფლებებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები.....	192
9.3.	ხელშეკრულებები, რომელთა მიმართაც მომხმარებელს არ წარმოეშობა უარყოფის უფლება .....	194
9.3.1.	მერყევი ღირებულების საქონელი ანდა მომსახურება .....	196
9.3.2.	პერსონიფიცირებული საქონელი.....	197
9.3.3.	სპეციალური თვისობრიობის მქონე საქონელი.....	199
9.3.4.	განსაზღვრული ვადით ან კონკრეტულ თარიღზე მითითებით დადებული ხელშეკრულებები .....	200
X.	ხელშეკრულების უარყოფის უფლების სამართლებრივი შედეგები .....	201
10.1.	რესტიტუციის თავისებურებანი ხელშეკრულების უარყოფისას.....	201
10.2.	უარყოფის უფლების პოზიტიური ეფექტი .....	204
10.2.1.	მიღებული შესრულების უკან დაბრუნება.....	204

10.2.2.	მიღებული სარგებლის უკან დაბრუნება.....	205
10.2.3.	საქონლის უკან დაბრუნების ხარჯები.....	206
10.2.4.	პასუხისმგებლობის დაუშვებლობა ხელშეკრულების უარყოფის უფლებით სარგებლობისათვის.....	207
10.3.	უარყოფის უფლების ნეგატიური ეფექტი .....	209
10.3.1.	პასუხისმგებლობა საქონლის დაუშვებელი მოხმარებისათვის .....	209
10.3.2.	მეწარმეთა დაუდევრობის შედეგები.....	212
XI.	დასკვნითი დებულებები.....	216
	გამოყენებული ლიტერატურა.....	225

## **ნაშრომში გამოყენებული შემოკლებანი**

ა.შ.	ასე შემდეგ
დასახ.	ასახელებული
გამომც.	ამომცემლობა
გვ.	გვერდი
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
თბ.	თბილისი
იხ.	იხილეთ
ქურ.	ქურნალი
შსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
შსმ	საქართველოს საკანონმდებლო მაცნე
სპეც.	შპეციალური
შეად.	შეადარეთ
CFR	Common Frame of Reference
DCFR	Draft Common Frame of Reference
Ed.	Edited
ELP	European Law Publishers
Prep.	Prepared
Pub.	Published
Vol.	Volume
из.	Издательство
М.	Москва

## შესაგალი

### სადისერტაციო თემის აქტუალობა

გასული საუკუნის მეორე ნახევრიდან კონტინენტური ევროპის კერძო სამართალში მომხმარებელთა უფლებების დაცვა ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად იქცა. ცივილიზებულმა სამყარომ ერთხმად აღიარა მომხმარებელთა მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებების განსაკუთრებული დაცვის აუცილებლობა. აღნიშნული, უპირველეს ყველისა, ადამიანის პიროვნული უფლებების საყოველთაო აღიარების გამოძახილია. მომხმარებელთა თავისუფალი თვითგამორკვევა, ადამიანის ღირსეული არსებობის განუყოფელ ნაწილად მიიჩნევა, ხოლო მათი უფლებების დაცვის სტანდარტი სამოქალაქო ბრუნვის ნორმალური განვითარებისა და ჯანსაღი კონკურენციის დონის მაჩვენებელია.<sup>1</sup>

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ახალი დემოკრატიის მშენებლობის გზაზე მყოფი საქართველოსათვის, ევროპულ სამართლებრივ სივრცეში ინტეგრირება, ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად იქნა აღიარებული. ამ გზაზე პირველი ნაბიჯი საქართველოს კონსტიტუციის მიღებით გადაიდგა. მასში ახალგაზრდა სახელმწიფოს უმთავრეს ღირებულებებთან ერთად აღიარებულ იქნა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. ადამიანის თავისუფალი განვითარების უფლება უზენაეს ღირებულებად იქნა მიჩნეული<sup>2</sup>. მომხმარებლის უფლებები კანონით დაცულ სფეროდ გამოცხადდა<sup>3</sup>.

მომხმარებელთა უფლებების დაცვა კიდევ უფრო აქტუალური გახდა თანამედროვე პირობებში, როცა ბრუნვაში მონაწილე პირთა ეკონომიკური ინტერესები გასცდა ეროვნულ საზღვრებს და საერთაშორისო ხასიათი შეიძინა. ბოლო ათწლეულების ტექნოლოგიურმა პროგრესმა სამართალი ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა,<sup>4</sup> ხოლო მომხმარებელი, ბაზრის მნიშვნელოვან მოთამაშედ აქცია. აუცილებელი გახდა ქმედითი სამართლებრივი მექანიზმების შემუშავება, როგორც ეროვნულ, ასევე სახელმწიფოთაშორისო დონეზე.

<sup>1</sup> Hondius E., The Notion of consumer: European Union versus Member States, Sidney Law Review, Vol., 28:29, 2006, <[http://sydney.edu.au/Law/slri28\\_1/Hondius.pdf](http://sydney.edu.au/Law/slri28_1/Hondius.pdf)>, [04.12.2013], 90.

<sup>2</sup> ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მე-16 მუხლი, გამომც., „მერიდიანი“, ობ. 2005, 62-82.

<sup>3</sup> საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 31-33, 24/08/1995. საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, „სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.“

<sup>4</sup> Nimmer R. T., The Legal Landscape of E-commerce: Redefining Contract Law in an Information Era, Jounral of Contract Law Conference, „Contract and the Commercialisation of Intellectual Property“, Singapore Academy of Law and Singapore Managment University, 2006, 3-4.

ამ მხრივ განსაკუთრებით თვალსაჩინოა ევროპის კავშირის აქტიურობა. ერთიანი ბაზრის შექმნის იდეამ ასახვა ჰქოვა მთელ რიგ რეგიონალურ საკანონმდებლო აქტებში, რომელთა უმთავრესი ამოცანაა, სამეწარმეო საქმიანობის მხარდაჭერასთან ერთად, მომხმარებელთა უფლებების დაცვისათვის ეფექტური მექანიზმების შემუშავება. მომხმარებელთა უფლებების დაცვის სრულყოფისა და მათვის მყარი გარანტიების უზრუნველყოფის მიზნით, ევროკავშირმა მიღო არაერთი დირექტივა, რომელთა საფუძველზეც დაინერგა მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები, რამაც, თავის მხრივ, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია კონტინენტური ევროპის სახელშეკრულებო სამართალზეც.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ინსტრუმენტად ხელშეკრულების უარყოფის უფლება ითვლება, რომელიც, ერთი მხრივ, იცავს მომხმარებელთა სახელშეკრულებო თავისუფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს ხელშეკრულებისაგან გათავისუფლებას.<sup>5</sup> მისი ამ თავისებურებიდან გამომდინარე, იგი მრავალი დისკუსიის საგანია, როგორც სამართლებრივ დოქტრინაში, ასევე ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაშიც. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს ევროპული დირექტივებით დამკვიდრებული ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების განსხვავებული რეგლამენტაცია, რომელიც უპირველეს ყოვლისა წინააღმდეგობაშია *pacta sunt servanda*-ს პრინციპთან.

სახელშეკრულებო სამართლის უზოგადესი პრინციპის თანახმად, ხელშეკრულება უნდა შესრულდეს, რაც იმას ნიშნავს, რომ დაიდო რა ხელშეკრულება, მხარეები შებოჭილი არიან გამოვლენილი ნებით და ამ ნების უკან გამოთხოვა დაუშვებელია მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ გადაიფიქრა.<sup>6</sup>

ხელშეკრულების მბოჭავი ძალის გადაღახვის სრულიად განსხვავებულ რეგულირებას ითვალისწინებენ მომხმარებელთა უფლებების შესახებ ევროპული დირექტივები, რომელთა მიხედვით კონკრეტული ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობებში ნების უკან გამოთხოვის უფლება უპირობო ხასიათისაა, რაც იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელი უფლებამოსილია ყოველგვარი დასაბუთებისა და ზიანის ანაზღაურების გარეშე ნამდვილი ხელშეკრულება არანამდვილად აქციოს. ამასთან, მომხმარებლის ეს უფლება იმპერატიული ხასიათის მქონე ნორმებითაა უზრუნველყოფილი, ხოლო მისი მოქმედება, ძირითადად, შემოიფარგლება არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციური კომუნიკაციის წესით დადგებული ხელშეკრულებებით. უნდა ითქვას, რომ კანონმდებელი განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდება დასახელებულ გარემოებებში მომხმარებელთა ნების ფორმირების პროცესს და ამიტომაც შესაძლო რისკებისაგან დაცვის სპეციალურ მექანიზმებს ითვალისწინებს.

<sup>5</sup> Bar-Gill O., Ben-Shahar O., Regulatory Techniques in Consumer Protection: A Critique of European Consumer Contract Law, New York University Law and Economics Working Papers, 2012, 17.

<sup>6</sup> Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 212.

ნიშანდობლივია, რომ ევროკავშირის დირექტივები საგალდებულოა შესასრულებლად წევრი სახელმწიფოებისათვის. მათ აკისრიათ დირექტივებით შემოღებული რეგულაციების ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის გალდებულება. ეს იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელთა უფლებები და, მათ შორის, ხელშეკრულების უარყოფის სპეციალური უფლება ერთგვაროვნადაა მოწესრიგებული ევროკავშირში შემავალი უველა სახელმწიფოს შიდა სამართლები. შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულების უარყოფის უფლება ევროპის სახელშეკრულებო სამართლის უნიფიკაციისა და პარმონიზაციის პროცესის ერთ-ერთი არსებითი ელემენტია.

საქართველომ არაერთი ქმედითი ნაბიჯი გადაღგა ევროპის სამართლებრივ სივრცეში ინტეგრირებისათვის.<sup>7</sup> განსაკუთრებული ყურადღების ღირსია 2014 წლის 27 ივნისს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმება,<sup>8</sup> რომლის საფუძველზეც, საქართველოს მიეცა საშუალება მიაღწიოს ევროკავშირის შიდა ბაზართან ეტაპობრივ ეკონომიკურ ინტეგრაციას დრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შექმნის გზით. თავის მხრივ, ასეთი დაშვების წინაპირობაა მდგრადი და ყოვლისმომცველი რეგულაციური დაახლოება ევროპის სამართლებრივ მექანიზმებთან.

ნიშანდობლივია, რომ 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმება 2016 წლის 1 ივლისს სრულად შევიდა ძალაში.<sup>9</sup> ამასთან, ასოცირების შეთანხმება ავალდებულებს საქართველოს სახელმწიფოს აწარმოოს მჭიდრო თანამშრომლობა მომხმარებელთა უფლებების დაცვისათვის და დანეგოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტი. ამ მიზნით, ასოცირების შეთანხმება შეიცავს მომხმარებელთა უფლებების თაობაზე იმ ევროპული დირექტივების ვრცელ ჩამონათლავს, რომლებიც საგალდებულოდ უნდა იქნეს გათვალისწინებული მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი ნორმების რეფორმირების დროს, რომელთა შორისაა ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოწესრიგებელი ევროპული დირექტივებიც.

## სადისერტაციო ნაშრომის მიზანი

<sup>7</sup> საგულისხმოა, რომ ევროპის სამართლებრივ სტანდარტებთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება პრიორიტეტად გამოცხადდა ჯერ კიდევ 1997 წელს, რაც აისახა კიდევაც საქართველოს პარლამენტის 1997 წლის 2 სექტემბრის №828-სს დადგენილებაში, რომლის მიხედვით, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი და სხვა ნორმატიული აქტი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებს.

<sup>8</sup> 2014 წლის 27 ივნისის ასოცირების შეთანხმება, ერთი მხრივ, საქართველოსა და მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის, [www.macne.gov.ge](http://www.macne.gov.ge)

<sup>9</sup> <http://www.mfa.gov.ge/News/EU-Georgia-Association-Agreement-fully-enters-into.aspx> [01.07.2016],  
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი.

დღეისათვის უკროპულ სამართლებრივ სივრცეში ინტეგრაცია ქართული სახელმწიფოს არა მხოლოდ სურვილი, არამედ ვალდებულებაცაა. ევროპის კავშირის სამართალთან ადაპტირება, მის შიდა ბაზარზე ინტეგრირება და ერთიან ევროპულ ბაზარზე საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილების უზრუნველყოფა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანს წარმოადგენს. თავის მხრივ, ყოვლისმომცველი და თავისუფალი ვაჭრობა, წარმოუდგენელია მომხმარებელთა უფლებების ეფექტური დაცვისათვის სათანადო მექანიზმების შემუშავების გარეშე. ხელშეკრულების უარყოფის უფლება იმ უფლებათაგანია, რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ევროპის სახელშეკრულებო სამართალში. დისტანციური კომუნიკაციის წესით დადებულ ხელშეკრულებებში მისი აქტუალობა დღითიდდე იზრდება.

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში ევროკავშირის დირექტივებით დამკავიდრებული ხელშეკრულების უარყოფის უფლების სამართლებრივი ბუნების, მისი რეალიზების წინაპირობებისა და სამართლებრივი შედეგების კვლევა; ამ უფლების ქართულ კერძო სამართალში იმპლემენტაციისა და მასთან დაკავშირებული პრობლემების რაციონალურად გადაჭრის გზების ძიება, შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება. ამასთან, მომხმარებელთა უფლებები და მით უფრო ხელშეკრულების უარყოფის უფლება სათანადოდ არ არის გამოკვლეული ქართულ სამეცნიერო დოქტრინაში. მეტიც, ის მცირე რეგულაცია, რომელსაც ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების მიმართ, არ შეესაბამება ამ უფლების მოწესრიგებელ უკროპულ სტანდარტებს, რაც წარმოშობს ამ საკითხის უფრო სიდრმისეული კვლევის აუცილებლობას.

## კვლევის მეთოდები

სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას ძირითადად გამოყენებულია შედარებით-სამართლებრივი კვლევის მეთოდი სხვა კვლევის მეთოდებთან ურთიერთმიმართებაში. კერძოდ, ისტორიული კვლევის მეთოდის საფუძველზე განხილულია - ევროპის სახელშეკრულებო სამართალში მომხმარებელთა უფლებებისა და მათ შორის ხელშეკრულების უარყოფის უფლების დამკავიდრება და შემდგომი განვითარება; ნორმატიული კვლევის მეთოდი - უარყოფის უფლების ნორმატიული საფუძვლების გაანალიზება და შესწავლა, მისი ადგილი სახელშეკრულებო სამართლის სისტემაში; დოგმატური კვლევის მეთოდი - ხელშეკრულების უარყოფის უფლების პრობლემატური საკითხების განმარტება სამართლებრივი დოქტრინისა და ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკის მაგალითზე; ტელეოლოგიური კვლევის მეთოდი - უარყოფის უფლების რეგლამენტაციის მიზანი და მისი დაცვითი ფუნქცია; ლოგიკური და შედარებით სამართლებრივი მეთოდები - სსკით მოწესრიგებული ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების უარყოფის უფლება შედარებულია ევროპის დირექტივებითა და მათი შემდგომი იმპლემენტაციის საფუძველზე წევრ სახელმწიფოებში არსებულ ანალოგიური უფლების რეგულირებასთან.

ნაშრომში მოცემულია ევროპის სხვადასხვა ქვეყნის დოქტრინასა და სასამართლო პრაქტიკაში მომხმარებლის ამ უფლებასთან დაკავშირებული არაერთგვაროვანი მიღების ანალიზი.

გარდა ამისა, ნაშრომში განხილულია მომხმარებელთა უფლებების უნიფიკაციისა და პარმონიზაციისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ევროპული აქტები, რომელთა შორის აღსანიშნავია „ევროკავშირის კერძო სამართლის კვლევის ჯგუფი“ - Research Group in EC Private Law (Acquis Group), „The Draft Common Frame of Reference - DCFR“ და „Common Frame of Reference CFR“.<sup>10</sup> ნიშნადობლივია, რომ მომხმარებელთა უფლებების მარებულირებელ ნორმებს Acquis Group-მა მთელი ევროკავშირის მასშტაბით ჩატარებული კვლევების შედეგად გადახედა. გამოვლენილი არაერთგვაროვანი რეგულირების შედეგად დაიგეგმა მომხმარებელთა უფლებების დაახლოების გზების ძიება. DCFR-ზე მუშაობის დასრულების შემდეგ ახლებურად გაანალიზდა მომხმარებელთა უფლებებისადმი საერთო მიღები, ხოლო CFR-ის გამოქვეყნებით ფაქტობრივად შეიქმნა ახალი სტრატეგია მომხმარებელთა უფლებების პარმონიზაციისათვის. საგულისხმოა, რომ სწორედ ეს უკანასკნელი აქტი დაედო საფუძვლად ევროკავშირის სხვადასხვა დირექტივებში გაბნეული ხელშეკრულების უარყოფის უფლების საერთო კონცეფციის ჩამოყალიბებას.<sup>11</sup>

## სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომის პირველი თავი ეხება მომხმარებელთა მონაწილეობით დადგებული ხელშეკრულებების თავისებურებებს ბოლო ასწლეულის განმავლობაში. სამეწარმეო საქმიანობის განვითარების ფონზე მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლის აღგილს სახელშეკრულებო სამართალში. განხილულია მომხმარებელთა სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლები; სახელშეკრულებო ურთიერთობებში მომხმარებელის „სუსტ“ მხარედ აღიარების სუბიექტური და ობიექტური საფუძვლები; გაანალიზებულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტი კონტინენტური ევროპის რეგიონალურ აქტებში და წევრი სახელმწიფოების შიდა სამართალში. ასევე მიმოხილულია მომხმარებელთა უფლებები ქართულ კერძო სამართალში.

<sup>10</sup> „The Draft Common Frame of Reference - DCFR“ და „Common Frame of Reference CFR“-ის შესატყვისი ქართული თარგმანის დამკვიდრება ჯერ-ჯერობით დიად დისკუსიისათვის. სიტყვა-სიტყვით იგი გულისხმობს „საერთო მიმართულებათა ჩარჩოს“. თუმცა, ამგვარი სახელწოდებით ამ დოკუმენტების მოხსენიება ვერ ასახავს მათ უმთავრეს დანიშნულებას. ქართველ მკვლევართა მოსაზრებით CFR-ი ქართულად „საქმიანობის საერთო და ძირითად მიმართულებებს“ ნიშნავს. ამასთან, უნდა დავეთანხმოთ მათივე მითითებას, რომ დოკუმენტის ამგვარი სათაური არაადეკვატურად უდერს. შეად. ძლიერი შეიდო ზ., ცერცვაძე გ., რობაჭიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშვალი ლ., სახელშეკრულებოსამართალი, გამომც. „მერიდიანი“, თბ., 2014, 25.

<sup>11</sup> Schulze R., The Academic Draft of the CFR and The EC Contract Law, CFR and Existing EC Contract Law, ed., by Schulze R., Sellier, ELP., Munich, 2008, 3-24.

მეორე თავი ეთმობა მომხმარებელთა უფლებების საკანონმდებლო რეგლამენტაციას ევროპის სახელშეკრულებო სამართალში; გაანალიზებულია მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლის განვითარების ეტაპები; წარმოჩენილია ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანების როლი მომხმარებელთა უფლებების დაცვის გაძლიერებისა და საერთო კონცეპციის შემუშავებისათვის; ევროპავშირის დირექტივები გავლენა ევროპის სახელშეკრულებო სამართლის ჰარმონიზაციის პროცესზე; პარალელია გავლებული მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტთან ქართულ კერძო სამართალში.

მესამე თავში განხილულია ხელშეკრულების უარყოფის უფლების როლი და ადგილი ევროპის სახელშეკრულებო სამართალში; გაანალიზებულია უარყოფის უფლების ისტორიული განვითარების გზა და მისი რეგლამენტაციის საფუძვლები; ყურადღებაა გამახვილებული ევროპავშირის შესაბამის დირექტივებზე, რომელთა საფუძველზეც შემუშავდა ხელშეკრულების უარყოფის უფლების საერთო კონცეფცია ევროპავშირში შემავალი ყველა სახელმწიფოსათვის. მიმოხილულია ხელშეკრულების უარყოფის უფლების მომწერლიგებელი ქართული ნორმა. გაანლიზებულია ქართული ტერმინის შესაბამისობა მის ევროპულ ანალოგთან.

მეორე თავი ეთმობა ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოქმედების ფარგლებს; უფლების სუბიექტური შემადგენლობის ჭრილში მოცემულია „მომხმარებლის“ და „მეწარმის“ ცნებების ანალიზი; უფლების ობიექტური მოქმედების ფარგლებში ყურადღებაა გამახვილებული იმ ხელშეკრულებათა შინაარსზე, რომელთა უარყოფაც დასაშვებადაა მიჩნეული მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპულ დოქტრინაში.

მეხუთე თავში უარყოფის უფლება განხილულია კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობების ჭრილში, კერძოდ, არაოფიციალურ ვითარებასა და დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში; გაანალიზებულია დასახელებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებში მომხმარებლის ნების ფორმირების თავისებურებები და ხელშეკრულების უარყოფის უფლების დაცვითი ფუნქცია; ასევე, განხილულია არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებების ცალკეული შემთხვევები და მომხმარებლის მიერ ნების გამოვლენისას მათთან დაკავშირებული საფრთხეები; ანალოგიურად გაანალიზებულია დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში რისკის სფეროები; მომხმარებელთა განწყობა ამგვარი ტიპის ხელშეკრულებების მიმართ და უარყოფის უფლების ეფექტი.

მეექვსე თავში განხილულია ხელშეკრულების უარყოფის უფლების რეალიზების წინაპირობები: მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, ინფორმაციის შინაარსი და მიწოდების ფორმატი; უარყოფის უფლებით სარგებლობის წესი და პირობები, შეტყობინების გაგზავნის ვალდებულება, მოსაფიქრებელი ვადის დანიშნულება და მისი

ხანგრძლივობა, ამ ვადის განმავლობაში ვალდებულებათა თრმხრივად შესრულების დასაშვებობა, საქონლის შემთხვევით დაღუპვის რისკის გადასვლის საკითხი.

მეშვიდე თავში განხილულია ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოქმედება ფინანსური მომსახურების ხელშეკრულებებზე. ამ მიმართულებით დამკვიდრებული ევროპული სტანდარტი და ქართული რეალობა.

მერვე თავში ხელშეკრულების უარყოფის უფლება შედარებულია ხელშეკრულების მბოჭავი ძალისაგან გამათავისუფლებელ სხვა ინსტიტუტებთან; განხილულია შეცდომით, მოტყუებით და იძულებით ნების გამოვლენა ხელშეკრულების უარყოფის უფლებასთან მიმართებაში; უარყოფის უფლება შედარებულია სტანდარტული პირობებით დადებული ხელშეკრულებების ბათილად ცნობისა და ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლებთან.

მეცხრე თავში მოცემულია დათქმები ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოქმედების შესხდუდვის შესახებ. ამ თვალსაზრისით, ადგილი დაეთმო უძრავ ნივთებთან დაკავშირებთ დადებულ გარიგებებს და ისეთ ხელშეკრულებებს, რომელთა მიმართაც მომხმარებლებს არ წარმოეშობათ ნების უკან გამოთხოვის უფლება.

მეათე თავში გაანალიზებულია ხელშეკრულების უარყოფის უფლების სამართლებრივი შედეგები და რესტიტუციის თავისებურებანი; განხილულია შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნების მომწერიგებელი რეგულაციები, საქონლის დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯები, მომხმარებელთა პასუხისმგებლობის საკითხი საქონლის დაუშვებელი მოხმარებისათვის.

მეთერთმეტე თავი დაეთმო დასკვნით დებულებებს. ნაშრომში წარმოჩენილი საკითხების ურთიერთშეჯერების საფუძველზე, გაანალიზებულია ხელშეკრულების უარყოფის უფლების რეგლამენტაციის საკანონმდებლო ხარვეზები ქართულ სახელშეკრულებო სამართალში; კვლევის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების გათვალისწინებით, მოცემულია შესაბამისი რეკომენდაციები და პრობლემების გადაჭრის რაციონალური გზები.

## I. მომხმარებელთა მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებების თავისებურება

### 1.1. ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი სამომხმარებლო ხელშეკრულებებში

უხსოვარი დროიდან, მას შემდეგ, რაც ადამიანები თავიანთ მოთხოვნილებებს საქონლის ურთიერთგაცვლის გზით იკმაყოფილებენ,

გაჩნდა ამ პროცესის რეგულირების აუცილებლობაც. დროთა განმავლობაში მან ვაჭრობის სახე მიიღო და ყიდვა-გაყიდვის გარკვეულ წესებს დაემორჩილა.<sup>12</sup> მიუხედავად ამისა, საზოგადოების განვითარების უკელა ეტაპზე ბაზრის რეგულირება შესაბამისი დროის მართლწესრიგის მუდმივი საზრუნვია, სადაც ანგარიშგასაწევია გამყიდველის თანდაყოლილი მიდრეკილება, მოიპოვოს უპირატესობა მყიდველთან მიმართებაში.<sup>13</sup> ამით აიხსნება ისიც, რომ უმეტესი სამართლებრივი სისტემები ხშირად მიმართავენ მხარეთა თანასწორობის ხელოვნურ კონსტრუქციებს მაშინ, როცა თავისუფალი ბაზრისათვის უთანასწორობა ბუნებრივი მდგომარეობაა.<sup>14</sup>

ცხადია, რომ მხარეთა ინტერესებს შორის თანაზომიერი ბალანსის შენარჩუნება ყოველთვის თავისთავად არ ხდება. საზოგადოების კეთილდღეობა და განსხვავებული ინტერესების მქონე პირთა მშვიდი თანაარსებობა მიიღწევა მხოლოდ იმ პირობებში, როცა არსებობს სამართლებრივი სტრუქტურა, რომელიც აწესრიგებს ქონების შეძენის და განაწილების საფუძვლებს და უზრუნველყოფს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას. ამ თვალსაზრისით სამოქალაქო სამართალი კერძო ინტერესებსა და ინიციატივას ხელსაყრელ ნიადაგს უქმნის, რაც უპირველეს ყოვლისა მხარეთა ანტაგონისტური ინტერესების შეთანხმების შესაძლებლობაში ვლინდება.<sup>15</sup> ხელშეკრულება, როგორც მხარეთა შეთანხმების რეზოლუცია, ის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია, რომელშიც თავს იხენს პირთა თვითგამორკვევის უნარი და მასშტაბები.<sup>16</sup> ამასთან, დღეს სახელშეკრულებო სამართლის ძირითად პრინციპს თავისუფალი საბაზრო სისტემა წარმოადგენს, სადაც თანაბრად უნდა იქნეს უზრუნველყოფილი თავისუფალი მეწარმეობისა და პიროვნების, როგორც უფლებების მატარებელი სუბიექტის ინტერესთა სინთეზი.<sup>17</sup>

პიროვნების თავისუფალი განვითარება, ადამიანის ნიჭისა და უნარის რეალიზების საშუალებაა. იგი განამტკიცებს ქცევის საყოველთაო თავისუფლებას, საიდანაც გამომდინარეობს ეკონომიკური და სახელშეკრულებო თავისუფლებაც. მეორე მხრივ, ქცევის საყოველთაო

<sup>12</sup> Zimmermann R., The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, Juta & Co, Ltd, Capetown, Wetton, Johannesburg, 1992, 25-32.

<sup>13</sup> Howells G., Ramsay I., Wilhelmsson Th., Consumer Law in its International Dimension, Handbook of Research on International Consumer Law, Published by Edward Elgar Publishing Limited, Cheltenham, UK, 2011, 7.

<sup>14</sup> Sir Markesinis B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract, HART publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 3.

<sup>15</sup> ჯანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც., „სამართალი“, თბ. 2011, 93.

<sup>16</sup> ჩახანიძე თ., სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, ჟურ., „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, (26), 2010, 22-33.

<sup>17</sup> Markesinis B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 3. ზოდე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბ., 2005, 283.

თავისუფლების ფარგლები უკავშირდება სხვა პირთა ინტერესებს. მოქმედების თავისუფლება, იცავს არა უსაზღვრო თავისუფლებას, არამედ, მხოლოდ ინდივიდუალური თვითგამორკვევისა და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას, რომელიც შეიძლება შეიზღუდოს, თუ ამას მოითხოვს სხვათა უფლებების მიმართ პატივისცემა.<sup>18</sup>

თავის მხრივ, თავისუფალი ეკონომიკის ნორმალური განვითარებაც მოითხოვს კონტროლს სახელმწიფოს მხრიდან. საკანონმდებლო დანაწესებმა უნდა შექმნან ისეთი პირობები, სადაც სოციალურად სუსტი ფენები დაცული იქნებიან ეკონომიკური ძალაუფლების მქონე პირებისაგან და მათ ეკონომიკურ დაქვემდებარებაში არ მოექცევიან.<sup>19</sup> სახელმწიფო უნდა უწყობდეს ხელს საზოგადოებაში დოკუმენტის სამართლიან გადანაწილებას და მხარეთა თანასწორობას, რაც ხშირად მათივე უფლებების შეზღუდვით მიიღწევა.<sup>20</sup>

ამავდროულად, სახელმწიფო როდი უნდა ჩაერიოს ყველა იმ ურთიერთობაში, სადაც მოლაპარაკებათა პროცესში მხარეთა პოზიციები მეტ-ნაკლებად არათანაბარია. ჩარევა უნდა იყოს სოციალურად სამართლიანი და დაბალანსებული სამართლებრივი უსაფრთხოებით, თითოეული მხარის პირადი უფლების აღიარებით. მაგრამ თუ ხელშეკრულება იდება ერთ-ერთი მხარის გამოუცდელობის ან ნდობის ბოროტად გამოყენების საფუძველზე, ისეთ ვითარებაში, როცა ის მოკლებულია შესაძლებლობას თავისუფლად გამოხატოს თავისი ნება და მიაღწიოს სასურველ შედეგს, მაშინ სახელმწიფო ვალდებულია, სამართლიანი მოწესრიგების გზით, არ დაუშვას ერთ-ერთი მხარის საყოველთაოდ აღიარებული პიროვნული უფლებების დარღვევა.<sup>21</sup>

პიროვნული უფლებების დაცულ სფეროდ გამოცხადებას მოჰყვა მომხმარებელთა უფლებების, როგორც ადამიანის ღირსეული არსებობის განუყოფელ ნაწილად აღიარებაც.<sup>22</sup> მათი ინტერესების დაცვის აუცილებლობა კი განაპირობა იმან, რომ ბაზარზე მოთამაშეთა შორის,

<sup>18</sup> ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მე-16 მუხლი, გამომც., „მერიდიანი“, ობ. 2005, 62-82.

<sup>19</sup> იზორია ლ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 30-ე მუხლი, გამომც., „მერიდიანი“, ობ. 2005, 267.

<sup>20</sup> Posner E.A., Contract Law In The Welfare State: A Defense of The Unconscionability Doctrine, Usury Laws, And Related Limitations On The Freedom To Contract, <http://www.ericposner.com/Contract%20Law%20in%20the%20Welfare%20State.pdf>, [ 07.04.2013].

<sup>21</sup> European Contract Law, Materials for a Common Frame of Reference: Terminology, Guiding Principles, Model Rules, produced by Association Henri Capitant des Amis de la Culture Juridique Française and Société de Législation Comparée, Edit. by Bénédicte Fauvarque-Cosson and Denis Mazeaud Prep. by Jean-Baptiste Racine, Laura Sautonie-Laguionie, Aline Tenenbaum and Guillaume Wicker, Sellier, ELP, Munich, 2008, 156-158..

<sup>22</sup> Hondius E., The Notion of consumer: European Union versus Member States, Sidney Law Review, Vol., 28:29, 2006, <[http://sydney.edu.au/Law/slrlslr28\\_1/Hondius.pdf](http://sydney.edu.au/Law/slrlslr28_1/Hondius.pdf)>, [04.12.2013], 90.

მომხმარებელი შედარებით სუსტ მხარედ ითვლება, რომელიც მუდმივ დახმარებას საჭიროებს.<sup>23</sup>

მომხმარებელთა უფლებები კრებითი ცნებაა და აერთიანებს ეკონომიკურ ურთიერთობებში მონაწილე ინდივიდის უფლებას მიიღოს ხარისხიანი, უსაფრთხო საქონელი ანდა მომსახურება და მასთან დაკავშირებული სრული ინფორმაცია, მეწარმეთა მხრიდან ამ ვალდებულებათა უგულებელყოფის შემთხვევაში მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.<sup>24</sup> ამასთან, ძირითადი თავისებურება, რომელიც ახასიათებს სახელშეკრულებო სამართლის განვითარებას ბოლო ოთხი ათწლეულის განმავლობაში, გახლავთ ისეთი კანონმდებლობის მიღება, რომელიც მიზნად ისახავს იმ მომხმარებელების ინტერესების დაცვას, რომლებსაც სურ დაამყარონ ან უკვე იმყოფებიან იმგვარ სახელშეკრულებო ბოჭვის ფარგლებში, როცა მათ მიერ გამოვლენილ ნებასა და შინაგან სურვილს შორის შეუსაბამობის ალბათობა არსებობს.<sup>25</sup>

სამომხმარებლო სამართლის სპეციალურმა დანაწესებმა ფაქტობრივად დამოუკიდებელი სამართლებრივი რეჟიმი დაამკვიდრა იმ ურთიერთობებისათვის, სადაც ერთი მხარე მომხმარებელი, ხოლო მეორე - მეწარმეა.<sup>26</sup> ამასთან, მომხმარებელი განსაკუთრებული დაცვის ქვეშ იმყოფება მხოლოდ იმ ხელშეკრულებებში, სადაც იგი არათანაბარ პირობებშია ჩაყენებული მეორე მხარესთან მიმართებაში. მოლაპარაკების პროცესში ძალთა არათანაბრობა სახეზე მაშინ, როცა მომხმარებელი მყიდველის ან მომსახურების მიმღების როლში გვევლინება. მომხმარებელთა დაცვაზე ორიენტირებული ნორმები მიმართულია სპეციალურ სუბიექტზე და კონკენტრაციას ახდენს მის ვიწრო ინტერესზე, როგორიცაა არჩევანის არსებობა, დროული და სრული ინფორმირება, კონკურენტული ფასების გარანტირებულობა.<sup>27</sup>

სპეციალური კანონმდებლობა, რომელიც მიღებულია მომხმარებლების უფლებების დაცვის გაძლიერების თვალსაზრისით, მოიცავს რამდენიმე

<sup>23</sup> Haupt S., An Economic Analysis of Consumer Protection In Contract Law, German Law Journal, Vol., 04 No., 11, 1138; ერქანია თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა, „ურ., „მართლმსაჯულება და კანონი“, №3 (30), 2011, 45.

<sup>24</sup> Hondius E., The Notion of consumer: European Union versus Member States, Sidney Law Review, Vol., 28:29, 2006, <[http://sydney.edu.au/Law/slrl28\\_1/Hondius.pdf](http://sydney.edu.au/Law/slrl28_1/Hondius.pdf)>, [04.12.2013], 90

<sup>25</sup> Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 160.

<sup>26</sup> Von Bar CH., A Common Frame of Reference for European Private Law - Academic Efforts and Political Realities, Electronic Journal of Comparative Law, Vol., 12, 1 (May 2008), <<http://www.ejcl.org>>, [22.02.2013], 6; Gheorghe A.N., Spasici C., Consumer's Right To Withdraw, Challenges of Knowledge Society, Private Law, 267; Terryn E., The Right of withdrawal, The Acquis Principles and The DCFR, CFR and Existing EC Contract Law, Sellier, ELP, Munich, 2008, 148.

<sup>27</sup> ძლიერიშვილი ხ., ცერცვაძე გ., რობაზიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშვილი, სახელშეკრულებო სამართლი, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2014 წ., 30; Von Bar CH., A Common Frame of Reference for European Private Law - Academic Efforts and Political Realities, Electronic Journal of Comparative Law, Vol., 12.1 (May 2008), <<http://www.ejcl.org>>, [22.02.2013], 6.

ახალ რეგულირებას, რომელთა შორის ერთ-ერთი, მომხმარებლებისათვის ხელშეკრულების უარყოფის უფლების მინიჭებაა. მისი რეგლამენტირების ობიექტური საფუძველი მხარეთა ანტაგონისტური ინტერესების დაბალანსებაა, კერძოდ კი, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის ფარგლებში, მომხმარებლისათვის რაციონალური გადაწყვეტილების მიღების უზრუნველყოფა. მხარეთა თავისუფალი ნების დაცვის თვალსაზრისით, ხელშეკრულების უარყოფის უფლება, ხელშეკრულებით წარმოშობილი სამართლებრივი შედეგების ვარგისიანობის გადაწყვეტის შუალედური ფორმაა. კერძოდ, გარიგების შეცილების კლასიკური ფორმებისათვის ხელშეკრულების ნამდვილობაში ეჭვის შესატანად გადამწყვეტია ნების არსებითი ნაკლის ან სხვა პროცედურული ხარვეზის არსებობა. ხელშეკრულების უარყოფის უფლება გვერდს უვლის ნების ნაკლის შესახებ არსებულ ყველა დათქმას. მისი რეალიზება ხდება არა კონკრეტულ მატერიალურ საფუძველზე მითითებით, არამედ მომხმარებლის სუბიექტური გადაწყვეტილებით, მიანიჭოს თუ არა ხელშეკრულებას ნამდვილობის ეფაქტი, რაც ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის მოდიფიცირებულ ალტერნატივად მიიჩნევა. შეიძლება ითქვას, რომ მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში მოქმედების თავისუფლება მომხმარებელთა სუბიექტური ინტერესების დაცვას ემსახურება.<sup>28</sup>

## 12. ხელშეკრულების თავისუფლების იდეა

ფეოდალური წეს-წყობილებიდან საზოგადოების განვითარების კაპიტალისტურ მოდელზე გადასვლას შედეგად მოჰყვა წარმოებისა და მომსახურების ზრდა, საბაზრო ეკონომიკის მასშტაბების არნახული განვითარება, ინდივიდუალური თავისუფლებისა და თვითგამორკვევის მნიშვნელობის წარმოჩენა.<sup>29</sup> პირადი დამოკიდებულების საბოლოო აღმოფხვრასთან ერთად, აღიარებულ იქნა პიროვნული და იურიდიული თანასწორობა. სუბიექტური შეზღუდვებისა და ფორმალიზმის დაძლევის შედეგად, ხელშეკრულების თავისუფლება, კერძო საკუთრებასთან ერთად, ძირითად მამოძრავებელ ძალად იქცა მთელი სამართლებრივი წესრიგისათვის.<sup>30</sup>

თუმცა, სრული თანასწორობისა და თავისუფლების დამკვიდრების მცდელობას მაღე შესაბამისი უარყოფითი შედეგებიც მოჰყვა. სახელმწიფოს ჩაურევლობამ გამოიწვია აშკარა უთანასწორობა მდიდრებსა და დარიბებს, კაპიტალისტებსა და მუშახელს შორის. იურიდიული თავისუფლებისა და თანასწორობის მიუხედავად, ეს უკანასკნელი უშუალოდ გახდნენ დამოკიდებულნი ბაზარზე ძალაუფლების მქონე პირებზე, აღმოჩნდნენ

<sup>28</sup> Twigg-Flesner Ch. and Schulze R., Protection Rational Choice: Information and the Right of Withdrawal, Handbook of Research on International Consumer Law, Published by Edward Elgar Publishing Limited, Cheltenham, UK, 2011, 145.

<sup>29</sup> Antonioli L., Consumer Law as an Instance of the Law of Diversity, Vermont Law Review, Vol., 30:855, 2006, <<http://Lawreview.vermontLaw.edu/files/2012/02/antonioli.pdf>>, [3.12.2013], 856.

<sup>30</sup> Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное Право, Общие положения. М., 1997. 86

საბაზრო ურთიერთობათა ზღვარდაუდებელმა თავისუფლებამ საბოლოოდ ეკონომიკური ექსპლუატაცია გამოიწვია. ხელშეკრულების დადების თავისუფლება, რომელიც ითვლებოდა სამოქალაქო ბრუნვის აუცილებელ პირობად, საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით თანდათან შეიზღუდა.<sup>32</sup> დღის წესრიგში დადგა სამოქალაქო ბრუნვაში მონაწილე სუსტი მხარის, მომხმარებლის ინტერესების დაცვის აუცილებლობა. სახელშეკრულებო სამართალი მოქმედი ფაქტობრივად ახალი პრინციპის – სახელშეკრულებო თანასწორობის გავლენის ქვეშ, რომელიც მოიცავდა არა მხოლოდ საპროცესო სამართლიანობას, არამედ ხელშეკრულების შინაარსის, მისი პირობების სამართლიანობასაც.<sup>33</sup> აუცილებელი გახდა ქმედითი დონისძიებების გატარება კერძო ურთიერთობებში პირდაპირი ჩარევის თვალსაზრისით, ვინაიდან, ბაზრის განვითარებამ, საქონლისა და მომსახურების მოთხოვნის ზრდამ, ეკონომიკურ ურთიერთობებში თვითორეგულირების მექანიზმის მარცხი ცხადყო. უმთავრეს პრობლემას უსამართლო პირობებით დადებული ხელშეკრულებები წარმოადგენდა, რომელიც მორგებული იყო მხოლოდ ერთი მხარის, საქონლისა და მომსახურების შემთავაზებელი პირების ინტერესებზე.<sup>34</sup>

ჯერ კიდევ საუკუნის წინ რუდოლფ იერინგი აღნიშნავდა, რომ შეუძლებელია ფიქრი იმაზე მეტ მიუტვებელ შეცდომაზე, ვიდრე იმის წარმოდგენაა, რომ ნებისმიერ ხელშეკრულებას შეიძლება ჰქონდეს სამართლებრივი დაცვის პრეტენზია, მანამ სანამ მისი შინაარსი უკანონო ან ამორალურია.<sup>35</sup> ხელშეკრულების ნამდვილი თავისუფლება გულისხმობს, რომ მხარე, რომელიც დებს ხელშეკრულებას, ინფორმირებულია კველა მისი პირობის შესახებ და შესაძლებლობა აქვს თავისი ცოდნიდან გამომდინარე მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების დადების თაობაზე. ინფორმაციის, გამოცდილების ან არჩევანის ნაკლებობამ შეიძლება შექმნას ვითარება, რომელშიც მხარე მოკლებულია ნამდვილი თავისუფლების ფარგლებში მოქმედების შესაძლებლობას. უფრო მეტიც, მხარეს უნდა ჰქონდეს რეალური არჩევანი ხელშეკრულების დადებასა და არდადებას შორის.<sup>36</sup>

<sup>31</sup> Покровский Н.А., Основные проблемы гражданского права, из. Статус, М., 1998, 44.

<sup>32</sup> Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное Право, Общие положения. М., 1997. 87

<sup>33</sup> Beale H., Narkamp A., Kotz H., Taloon D., Cases, Materials and Text on Contract Law, Hart Pub., Oxford And Portland, Oregon, 2002, 494.

<sup>34</sup> ოზორია ლ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 30-ე მუხლი, გამომც., „მერიდიანი“, თბ. 2005, 267.

<sup>35</sup> Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 205.

<sup>36</sup> Bussani M., Werro F., European Private Law: A Handbook, Vol., I, Sieburgh C., Western Law of Contract, Stampfli Publishers Ltd. Berne, 2009, 174.

არჩევანის თავისუფლება ასევე გულისხმობს პირის ექსკლუზიურ უფლებას, თავისუფლად აირჩიოს მომავალი პარტნიორი.<sup>37</sup> შესაბამისად, როცა ხელშეკრულება წარმოადგენს ბრუნვაში მონაწილე პირების ეკონომიკური თანასწორობის, ურთიერთშერჩევისა და თავისუფლი შეთანხმების შედეგს, არც სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის დარღვევის საშიშროება არსებობს.<sup>38</sup> ამასთან, არჩევანის თავისუფლება საჭიროა მაშინ, როცა ერთი მხარის გადაწყვეტილება დამოკიდებულია მეორეზე, ან როცა ასეთი გადაწყვეტილება სარგებლის მომტანია ხელშეკრულების მხოლოდ ერთი - ძირითადად პირობების შემთავაზებელი მხარისათვის. შესაბამისად, არათანაბარი საბაზო ძალაუფლების პირობებში ხელშეკრულების თავისუფლება უჭირვეშ დგება.<sup>39</sup>

საგულისხმოა, რომ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი ვლინდება არა მხოლოდ მხარეთა გადაწყვეტილებაში ხელშეკრულების დადგება-არადადგების შესახებ, არამედ იმაშიც, თუ როგორი ფორმით, რა შინაარსით და ვადიოთ სურთ მისი დადგება.<sup>40</sup> ამდენად, მხარეებს ენიჭებათ უფლება, თვითონ განსაზღვრონ დასადები ხელშეკრულების შინაარსი და ურთიერთშეთანხმებით მოაგვარონ ყველა არსებითი საკითხი. შესაბამისად, „ხელშეკრულების დადგების თავისუფლება გულისხმობს ასევე ხელშეკრულების შინაარსის თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობასაც“.<sup>41</sup>

ამასთან, კერძო ავტომომის პრინციპით რეგლამენტირებული ინდივიდუალური თავისუფლება, რომელიც ხელშეკრულების თავისუფლების ძირითად საფუძველს წარმოადგენს, პირობითია.<sup>42</sup> ერთი პირის ეგოისტური ნება, დამოუკიდებლად, კერ უზრუნველყოფს თანასწორობას მის სურვილსა და არსებითი სამართლიანობის ცნებას შორის. შესაბამისი ბალანსი შეიძლება მიღწეულ იქნას მხოლოდ მეორე მხარისაგან თავისუფალი თანხმობის მიღების შემთხვევაში. ანუ მაშინ, როცა ხელშეკრულების შინაარსში აისახება მეორე მხარის სათანადო ინტერესებიც. თუ მხარეები მოახერხებენ თავიანთ ანგაგონისტურ პოზიციებზე შეთანხმებას, მათ ინტერესებს შორის მიღწეული ბალანსი მისაღებად ჩაითვლება

<sup>37</sup> ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სახაზელო ცენტრი, თბ., 2005, 284.

<sup>38</sup> Kessler F., Contract of Adhesion – Some Thoughts About Freedom Of Contract, Faculty Scholarship Series. Paper 2731. <[http://digitalcommons.Law.yale.edu/fss\\_papers/2731](http://digitalcommons.Law.yale.edu/fss_papers/2731)> 630, [28.02.2013].

<sup>39</sup> Bussani M., Werro F., European Private Law: A Handbook, Vol., I, Sieburgh C., Western Law of Contract, Stampfli Publishers Ltd. Berne, 2009, 174.

<sup>40</sup> შენგელია ი., სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა, უჟრ., „მართლმსაჯულება და სამართალი“ №4 (29), 2009, 44-50.

<sup>41</sup> განტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც., „სამართალი“, თბ. 2011, 93.

<sup>42</sup> Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное Право, Общие положения. М., 1997. 86.

მართლწესრიგისათვის. თუ მხარეები დამარცხდებიან თავიანთ მცდელობაში, ხელშეკრულებას ვერ ექნება პრეტენზია სამართლიანობაზე.<sup>43</sup>

საგულისხმოა, რომ უთანასწორო მოლაპარაკებების შედეგად დადგებული გარიგებების მიმართ მომეტებული ინტერესი, საჯარო წესრიგის უზრუნველყოფით იყო გამოწვეული. შემდეგ მოხდა ამ ურთიერთობების კლასიფიკაცია მასში მონაწილე სუბიექტების მიხედვით. ხელშეკრულებები, რომლებიც კერძო პირთა ვიწრო, სამომხმარებლო ინტერესების დაკმაყოფილებას ეხებოდა, სამომხმარებლო ხელშეკრულებებად დაკვალიფიცირდა, ხოლო საჯარო წესრიგის წინააღმდეგ მიმართული მოქმედება მომხმარებელთა ინტერესების საწინააღმდეგო ქმედებად იქნა აღიარებული. შესაბამისად, მომხმარებელთა მონაწილეობით დადგებულ ხელშეკრულებებში, „საჯარო წესრიგი“ ჩანაცვლდა „მომხმარებლის“ ცნებით, რომლის უფლებების დაცვაც მთელი კერძო სამართლის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად იქცა.<sup>44</sup>

ამავდროულად, სპეციალური რეგულირების ლეგიტიმურობა უნდა იქნას განხილული შესაბამისი დასაბუთების ჭრილში. ეს წესები თავიდანვე არ უნდა გაცხადდეს, როგორც შეუსაბამო ჩარევა მხარეთა თავისუფლებაში. პირიქით, ჩარევა უნდა განიმარტოს, როგორც კერძო ავტონომიის გამყარებისათვის შესაბამისი მართლწესრიგის ლეგიტიმური მცდელობა. არც ერთი ხელშეკრულება არ უნდა ჩაითვალოს სამართლიანად, თუ იგი არ იქნება ორივე მხარის თვითგამორკვევის შედეგი.<sup>45</sup> ამ გაგებით, კერძო ხასიათის ურთიერთობებში ჩარევა გამოწვეულია, ერთი მხრივ, კვაზიოპტიმალურ ხელშეკრულებებში საბაზრო ურთიერთობების წარუმატებლობით და, მეორე მხრივ, საბაზრო ძალაუფლების მქონე მეწარმეთა აგრესიული თავდასხმებისაგან და თავს მოხვეული ხელშეკრულებებისაგან სუსტი მხარის ინტერესების დაცვის აუცილებლობით.<sup>46</sup>

### 13. მომხმარებელი, როგორც ხელშეკრულების „სუსტი“ მხარე

სახელშეკრულებო სამართალი ემსახურება სიმდიდრის დაგროვებას.<sup>47</sup> შესაბამისად, სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს თავისუფალი საბაზრო სისტემა წარმოადგენს.<sup>48</sup> თუმცა, კაპიტალიზმისა და

<sup>43</sup> Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 206.

<sup>44</sup> Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 167.

<sup>45</sup> Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 206.

<sup>46</sup> Antoniolli L., Consumer Law as an Instance of the Law of Diversity, Vermont Law Review, Vol., 30:855, 2006, <<http://Lawreview.vermontLaw.edu/files/2012/02/antoniolli.pdf>> [3.12.2013], 856.

<sup>47</sup> Покровский Н.А. Основные проблемы гражданского права, из. Статус, Москва, 1998, 44.

<sup>48</sup> Beale H., Nartkamp A., Kotz H., Taloon D., Cases, Materials and Text on Contract Law, Hart Pub., Oxford and Portland, Oregon, 2002, 550.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის აჩრდილი იმაშიც ვლინდება, თუ რამდენად შორს მიმავალია თავისუფალი ბაზრის იდეა და რა ზღვრამდე დაიცავს სამართალი სუსტი მხარის ინტერესებს. საგულისხმოა, რომ გერმანული სამართალი არ მალავს სუსტი მხარის (უმეტეს შემთხვევაში, მაგრამ არა ყოველთვის მომხმარებლის) მიმართ პრივილეგირებულ დამოკიდებულებას.<sup>49</sup> თუმცა, სუსტი მხარის ინტერესების დაცვის აბსოლუტურობა ყოველთვის კონკრეტულ გარემოებებზეა დამოკიდებული.

როგორც წესი, ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მხარეთა უფლება მოვალეობები უნდა განიმარტოს თითოეული მათგანის კერძო ავტონომიის ფარგლებში. თუმცა, ისეთ შემთხვევებში, როცა ერთ-ერთი მხარე ფლობს აშკარა უპირატესობას მეორესთან მიმართებაში, სუსტი მხარის ინტერესები პრიორიტეტული ხდება და განსაკუთრებული დაცვის ქვეშ ექცევა.<sup>50</sup> მაგრამ აქაც მნიშვნელოვანია მხარეების ინტერესთა შორის სამართლიანი ბალანსის შენარჩუნება. ერთის მხრივ, ხელშეკრულების ორივე მხარე – სუსტიც და ძლიერიც დაცვის ერთნაირ სტანდარტში ექცევა, თუმცა, განსხვავებულია მათი სტატუსი ამ ურთიერთობებში. კერძოდ, უთანასწორო ურთიერთობებში ხელშეკრულების ერთი მხარე სრული მოცულობით სარგებლობს სახელშეკრულებო თავისუფლების დანაწესებით და სახელშეკრულებო პირობებს მისთვის სასურველ შინაარს აძლევს. მეორე მხარე კი, რომელსაც ერთი შეხედვით კანონით მინიჭებული ისეთივე უფლებები გააჩნია, ვერ ახორციელებს თავის სახელშეკრულებო თავისუფლებას სრული მოცულობით და, შესაბამისად, იზღუდება მისი კერძო ავტონომიის ფარგლებიც. სწორედ მაშინ, როცა ხელშეკრულების პირობები ერთ-ერთ მხარეს მძიმე ტვირთად აწვება იგი სპეციალური დაცვის ქვეშ ექცევა.<sup>51</sup>

ხელშეკრულებაში სუსტი მხარის დაცვის ტრადიციას ხანგრძლივი ისტორია აქვს. ჯერ კიდევ რომის სამართალი ითვალისწინებდა სესხისათვის მაქსიმალური პროცენტის დადგენას მოვალის ინტერესების შეუსაბამო ხელყოფისაგან დასაცავად. შუა საუკუნეების კომერციულ ცხოვრებაში დომინირებდა მევახშეობის აკრძალვის წესები. დიდი კოდიფიკაციების ეპოქაში გერმანიის სამოქალაქო კოდექსის შემქმნელებმა განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილეს ასევე ეკონომიკურად სუსტი მხარის დაცვაზე. უშუალოდ კოდექსში საკითხისადმი ამგვარმა დამოკიდებულებამ ასახვა ჰქონდა სხვადასხვა ნორმებში, რომელთა შორის

<sup>49</sup> Beale H., Nartkamp A., Kotz H., Taloon D., Cases, Materials and Text on Contract Law, Hart Pub., Oxford and Portland, Oregon, 2002, 553.

<sup>50</sup> Cherednychenko O.O., The Constitutionalization of contract law: Something New Under the Sun?, Electronic Journal of Comparative Law, Vol. 8.1 (March 2004), <<http://www.ejcl.org/81/art81-3.PDF>>, [14.04.2013].

<sup>51</sup> Cherednychenko O.O., The Constitutionalization of Contract Law: Something New Under the Sun?, Electronic Journal of Comparative Law, Vol. 8.1 (March 2004), <<http://www.ejcl.org/81/art81-3.PDF>>, [14.04.2013].

განსაკუთრებით აღსანიშნავია ქ.წ. „ზოგადი დათქმები“ (გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 138-ე, 226-ე, 242-ე და 826-ე მუხლები).<sup>52</sup>

საკანონმდებლო რეგლამენტირების პარალელურად ხელშეკრულების „სუსტი“ მხარის ინტერესების დაცვის უპირატესობა სასამართლო პრაქტიკამაც განავითარა. ამ თვალსაზრისით აქტიურობა გერმანიის სასამართლო პრაქტიკაში შეიმჩნევა სასამართლო სისტემის ყველა რგოლში. მაგალითად, გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკიდან აღსანიშნავია პრეცედენტული გადაწყვეტილება - *Burge Case*,<sup>53</sup> სადაც სასამართლომ პირის ოვითგამორკვევის უფლების დარღვევას „მრუდე თანასწორობა“ უწოდა. გერმანიის საკონსტიტუციო სასამართლომ ფაქტობრივად დაამკვიდრა მკაცრი საკანონმდებლო კონტროლის აუცილებლობა ხელშეკრულების პირობებზე და მათ სამართლიანობაზე. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ სამოქალაქო საქმის განმხილველი სასამართლო ვალდებულია დაიცვას მხარის კონსტიტუციური უფლება კერძო ავტონომიაზე და, ამასთან, იხელმძღვანელოს სოციალური სახელმწიფოს პრინციპითაც. სახელშეკრულებო პირობების შინაარსის კონტროლი სასამართლოს ვალდებულებასაც წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როცა სახელშეკრულებო დათქმები მძიმე ტვირთად აწვება ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს.<sup>54</sup>

შეიძლება ითქვას, რომ უთანასწორო ურთიერთობებში მხარეები საჭიროებენ დაცვას, უპირველეს ყოვლისა, ერთმანეთისაგან. ამ

<sup>52</sup> Zimmermann R., *The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives*, Oxford University Press, 2005, 166.

<sup>53</sup> საქმე ეხებოდა თავდებობის ხელშეკრულებას, რომლითაც ერთმა ოჯახის წევრმა იქისრა თავდებობა მეორეს მიმართ ისე, რომ არ გააჩნდა არანაირი შემოსავალი ვალის გასასტუმრებლად. ხელშეკრულების მეორე მხარეს ბანკი წარმოადგენდა, რომლის წარმომადგენელსაც არ განუმარტავს მხარისათვის არც თავდებობის შინაარი და არც მისი შესაძლო შედეგები. როცა მოვალემ ვერ შეძლო აღებული სესხის დაფარვა, ბანკმა მოინდომა უზრუნველყოფის შეთანხმების აღსრულება და წარმატებით აღწევდა კიდეც შედეგს ფედერალურ სასამართლოში საქმის განხილვამდე. თავმდების ინიციატივით, საქმე განსახილველად გადაეცა ფედერალურ საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელმაც იმსჯელა ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილების კონსტიტუციურობის შესახებ. სასამართლომ თავდებობის ხელშეკრულება ბათილად ცნო და განმარტა, რომ ბანკმა უკანონოდ გამოიყენა მისი საბაზრო ძალაუფლება, რაც მხარეთა შორის „სტრუქტურულ საბაზრო უთანასწორობაში“ გამოიხატა. სასამართლომ მიიჩნია, რომ სადაც შეთანხმება და მისი გადაწყვეტის პირობები ფუნდამენტურ წინააღმდეგობაშია კონსტიტუციურად დაცულ ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპთან. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ხელშეკრულების პირობების უთანასწორობასა და მათ უსამართლობაზე მხოლოდ ერთ-ერთი მხარის მიმართ. სასამართლომ ასევე გამოიყენა ტერმინი ხელშეკრულების „მრუდე თანასწორობა“. ამ გადაწყვეტილებით განისაზღვრა მხარეთა კონსტიტუციური უფლებების დარღვევა პირის ოვითგამორკვევის უფლების თვალსაზრისით. შეად. Cherednychenko O.O., *The Constitutionalization of Contract Law: Something New Under the Sun?*, Electronic Journal of Comparative Law, Vol. 8.1 (March 2004), <<http://www.ejcl.org/81/art81-3.PDF>>, [14.04.2013].

<sup>54</sup> Cherednychenko O.O., *The Constitutionalization of contract Law: Something New Under the Sun?*, Electronic Journal of Comparative Law, Vol. 8.1 (March 2004), <<http://www.ejcl.org/81/art81-3.PDF>>, [14.04.2013], 7.

თვალსაზრისით გასაზიარებელია პროფესორ ბ. ზოიძის განმარტება იმასთან დაკავშირებით, რომ „მოწესრიგებული სამოქალაქო ბრუნვის დამკიდრება მხოლოდ გარკვეული შეზღუდვების გზითაა შესაძლებელი. ის შეზღუდვები, რაც თან ახლავს სახელშეკრულებო თავისუფლებას, სრულიად ნორმალურია და ფასეულობათა სოლიდარობითაა გამოწვეული, რაც იმას გულისხმობს, რომ თავისუფლება არსებობს მხოლოდ კანონით დადგენილი წესრიგის ფარგლებში“<sup>55</sup>

ამდენად, მომხმარებლის ხელშეკრულების „სუსტ“ მხარედ აღიარება ეფუძნება მის მიერ ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ნების თავისებურებას. იგულისხმება, რომ სხვადასხვა გარეშე ფაქტორის ზეგავლენით მომხმარებელი შეზღუდულია ხელშეკრულების კონტრაქტის არჩევანში ისევე, როგორც ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრაში, რაც, მკვლევართა აზრით, უპირველეს ყოვლისა, ზღუდავს მომხმარებლის სახელშეკრულებო თავისუფლებას და მას განსაკუთრებული დაცვის ობიექტად აქცევს.<sup>56</sup>

#### 1.4. მომხმარებლის სახელშეკრულებო თავისუფლება

მომხმარებელთა უფლებების დავის სამართალი თავის ბუნებით *lex specialis* სამართალს მიეკუთვნება,<sup>57</sup> რომელიც ნაწარმოებია და გამომდინარეობს სახელშეკრულებო სამართლისაგან.<sup>58</sup> თავის მხრივ, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მასშტაბებმა ისეთივე გავლენა მოახდინა სახელშეკრულებო სამართალზე, როგორც XVIII-XIX საუკუნეებში ტექნოლოგიურმა და ორგანიზაციულმა ინოვაციებმა.<sup>59</sup> ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, რომელიც ისედაც მუდმივი გადაფასების ფონზე ვითარდებოდა, ახალი გამოწვევების წინაშე დადგა.<sup>60</sup> ხელშეკრულების დადების ინოვაციურმა საშუალებებმა, დისტანციური და ელექტრონული კომერციის განვითარებამ, ელექტრონული მედიისა და ინტერნეტის არახელმა პროგრესმა აუცილებელი გახდა ეკონომიკური და

<sup>55</sup> ზოიძე ბ., ევროპული ქერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სახწავლო ცენტრი, თბ., 2005, 286.

<sup>56</sup> ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 319-ე მუხლის კომენტარი, გამომც., „სამართალი“, თბ. 2001. 57; Kessler F., Contract of Adhesion – Some Thoughts About Freedom Of Contract, Faculty Scholarship Series. Paper 2731.<[http://digitalcommons.Law.yale.edu/fss\\_papers/2731](http://digitalcommons.Law.yale.edu/fss_papers/2731) 630> [28.02.2014]; Dani M., Assembling the Fractured European Consumer, A New Concept of European Federalism, LEQS Paper, No., 29/2011, <<http://www.lse.ac.uk/europeanInstitute/LEQS/LEQSPaper29.pdf>>, [22.07 2013], 15.

<sup>57</sup> Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 177.

<sup>58</sup> Reich N., Protection of Consumers' Economic Interests by EC Contract – Some Follow-up Remarks, Sydney Law Review, Vol., 28: 37, 2006,<[http://sydney.edu.au/Law/slrl28\\_1/Reich.pdf](http://sydney.edu.au/Law/slrl28_1/Reich.pdf)>, 54.

<sup>59</sup> Katz A.W., Is Electronic Contracting Different? Contract Law in the Information Age, <<http://www.columbia.edu/~ak472/papers/Electronic%20Contracting.pdf>>, [12.03.2014].

<sup>60</sup> Zumbansen P., The Law of Contracts, Reimann M., Zekoll J., Introduction to German Law, Kluwer Law International, 2005, 180.

სამართლებრივი ინსტიტუტების ადაპტირება ახალ ტექნოლოგიებთან და ვაჭრობის წესებთან.

ტექნოლოგიურმა პროგრესმა გავლენა მოახდინა სახელშეკრულებო სამართალზეც. ხელშეკრულების დადების ახალმა საშუალებებმა დღის წესრიგში დააყენა მომხმარებელთა უფლებების დაცვის აუცილებლობა. მართალია, თანამედროვე გაგებით „მომხმარებელი“ საკუთარ თავში დარწმუნებულ და ინფორმირებულ სუბიექტად განიხილება, მაგრამ არც თუ ისე იშვიათად უშუალოდ ხელშეკრულების დადების პროცესი მას არათანაბარ პირობებში აყენებს გამოცდილ ან/და პროფესიონალ მეწარმესთან შედარებით.<sup>61</sup>

ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი, მისი კლასიკური გაგებით, გულისხმობს მომხმარებლისა და მეწარმის თანაბარ უფლებას, საკუთარი პასუხისმგებლობითა და ნების თავისუფალი გამოვლენის გზით, დადონ ნებისმიერი კანონით აუკრძალავი შინაარსის ხელშეკრულება.<sup>62</sup> მეორე მხრივ, იგი ლოგიკურადად დაკავშირებული ნების თავისუფლების იდეასთან და თვითპასუხისმგებლობასთან. იგულისხმება, რომ ბრუნვის მონაწილე ყოველი პირი მოქმედებს გონივრულად, დამოუკიდებლად იდებს გადაწყვეტილებებს და მზადაა, პასუხი აგოს შედეგებზე.<sup>63</sup>

ინფორმაციისა და გამოცდილების ნაკლებობა, მეწარმის საბაზრო ძალაუფლება თუ ვაჭრობის აგრესიული ტექნიკა გავლენას ახდენს მომხმარებლის ნების ფორმირებაზე და, საბოლოოდ განაპირობებს გაუცნობიერებელ თანხმობას ხელშეკრულების პირობებზე.<sup>64</sup> მომხმარებლის ეწ. „ჩაკეტილ“ არჩევანთან გვაქვს საქმე, მაგალითად, იმ შემთხვევებში, როცა იგი აშკარად ცდება მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში და არასწორი წარმოდგენა აქვს ალტერნატიული მეწარმის თუ მომწოდებლის არსებობის შესახებ, რაც გამოწვეულია მეწარმის დამარწმუნებელი და

<sup>61</sup> Twigg-Flesner Ch., Metcalfe D., The Proposed Consumer Rights Directive – Less Haste, More Thought? European Review of Contract Law, 2009, 3; Katz A.W., Is Electronic Contracting Different? Contract Law in the Information Age, 2-8; Zumbansen P., The Law of Contracts, Reimann M., Zekoll J., Introduction to German Law, Kluwer Law International, 2005, 180; Haupt S., An Economic Analysis of Consumer Protection In Contract Law, German Law Journal, Vol., 04 No., 11, 1148.

<sup>62</sup> ცვაიგერტი კ. კოტცი პ. შედარებითი სამართალმცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი I, გამომც. „ჯისიაი“, თბ. 2000, 16.

<sup>63</sup> ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც., „სამართალი“, თბ., 2011, 90-94;

<sup>64</sup> Twigg-Flesner CH., Information Disclosure about the Quality of Goods – Duty or Encouragement? in Howells G., Schulze R., (eds.) Information Rights and Obligations: a Challenge for Party Autonomy and Transactional Fairness, Aldershot: Ashgate, 2004, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1345009](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1345009)>, [13.06.2014], 9; Gheorghe A.N., Spasici C., Consumer's Right To Withdraw, Challenges of Knowledge Society, Private Law, 267

თავსმოხვეული ინფორმაციით შეთავაზებული საქონლის ანდა  
მომსახურების უნიკალურობის თაობაზე.<sup>65</sup>

ამიტომაც ბაზრის ნორმალური ფუნქციონირებისათვის შესაბამისი პირობების შექმნის თეორიამ დღის წესრიგში დააყენა სამოქალაქო ბრუნვის მოწესრიგების აუცილებლობა მასში მონაწილე გარკვეული პირების თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე. კერძო სამართლი იცნობს არაერთ შემთხვევას, როცა, ხელშეკრულების მხარეთა სამართლიანი ბალანსის შენარჩუნების მიზნით, დასაშვები და გამართლებულია მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლებაში ჩარევა. ამგვარი დამოკიდებულება ნაკარნახვია სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობისა და სამართლიანობის უზრუნველყოფის იდებით. ხელშეკრულებას, როგორც ორი ან მეტი პირის თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგს, არ შეუძლია შეასრულოს თავისი ფუნქცია იქ, სადაც მიღებული შესრულება და სარგებელი არ შეესაბამება ერთ-ერთი მხარის ინტერესებს. ამიტომაც, თუ სამართლებრივი საზოგადოება იდებს ხელშეკრულებას, როგორც მხარეთა თვითგამორკვევის შედეგს, მანვე უნდა უზრუნველყოს შესაბამისი კონტროლიც იმაზე, თუ რამდენად არის ხელშეკრულება მართლაც მასში მონაწილე პირების თვითგამორკვევის პროდუქტი.<sup>66</sup>

ამ თვალსაზრისით, თანამედროვე სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთი საზრუნავია საბაზრო ურთიერთობებში იმ მხარის დაცვა, რომელიც, თავისი გამოცდილებითა და ბრუნვაში მონაწილეობის ხარისხით, შედარებით დაუცველია. ასეთი დამოკიდებულებაც გამომდინარეობს კერძო სამართალში დამკვიდრებული თანასწორობის იდეიდან, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, გულისხმობს მხარეების ინფორმირებული და თანმხვედრი ნების გამოვლენას. ამასთან, ფორმალური, აბსტრაქტული თანასწორობა და კერძო ავტონომია, თანამედროვე გაგებით, ეფუძნება საზოგადოების ლიბერალურ მოდელს, სადაც მთავარ როლს ეკონომიკური ინტერესებით შეპყრობილი ადამიანი, მომხმარებელი ასრულებს. იგი თავის ინტერესებს, როგორც წესი, იკმაყოფილებს სოციალური გარემოებებისაგან, პროფესიული თუ პიროვნული განვითარებისაგან დამოუკიდებლად. ამიტომაც საბაზრო პარადიგმები ემყარება იმ პრეზუმეციას, რომ ყველა ინდივიდს, რომელიც მონაწილეობს კომერციულ გარიგებებში, შესწევს უნარი და მზად არის სისტემატურად მიიღოს ეკონომიკური სარგებელი და განკარგოს თავისი ფინანსური შესაძლებლობები.<sup>67</sup>

<sup>65</sup> Haupt S., An Economic Analysis of Consumer Protection In Contract Law, German Law Journal, Vol., 04 No.,11, 1148., <[http://www.germanLawjournal.com/pdfs/Vol.,04No11/PDF\\_Vol.,\\_04\\_No\\_11\\_1137-1164\\_Private\\_Haupt.pdf](http://www.germanLawjournal.com/pdfs/Vol.,04No11/PDF_Vol.,_04_No_11_1137-1164_Private_Haupt.pdf)>, [ 12.04.2014].

<sup>66</sup> ჭანმურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც.. „სამართალი”, თბ. 2011, 87; Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 206.

<sup>67</sup> Howells G., Ramsay I., and Wilhelmsson Th., Consumer Law in its International Dimension, Handbook of Research on International Consumer Law, Published by Edward Elgar Publishing Limited, Cheltenham,UK,11; Dauner-Lieb B., A Special Private Law for B2C? Silver Bullet or Blind Alley?, New Features in Contract Law, Schulze R., European Law Publishers, Sellier, Munchen, 2007, 109.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, კერძო სამართალში მომხმარებელთა უფლებები ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის, ამ შემთხვევაში მეწარმის, სახელშეკრულებო თავისუფლება შეზღუდულია, თუ მეორე მხარე ფიზიკური პირია და დებს ხელშეკრულებას პირადი მიზნების დასაკმაყოფილებლად. თავის მხრივ, ურთიერთობის ამგვარი რეგულირება უცხოა კერძო სამართალში მანამდე არსებული შეხედულებისათვის, რომლის თანახმადაც, ძირითადი პრინციპები საერთოა ყველა მხარისათვის მიუხედავად მათი სტატუსისა, ძირითადი მოთხოვნილებებისა თუ ეკონომიკური მდგომარეობისა. ამ თვალსაზრისით, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალმა მნიშვნელოვანი გავლენა იქნია კერძო ავტონომიისა და აბსტრაქტული თანასწორობის პრინციპებზე. მომხმარებელთა ინტერესების გათვალისწინებითა და მეწარმეთა სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვით გაიზარდა იმპერატიული ნორმების რაოდენობა, შეიზღუდა მეწარმეთათვის ხელშეკრულების პირობების თავისუფლად განსაზღვრის შესაძლებლობა.<sup>68</sup>

რა თქმა უნდა, სახელშეკრულებო სამართალი არის და ყოველთვის იქნება დაფუძნებული ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპზე, მაგრამ უპვე დიდი ხანია აღიარებულია, რომ სახელშეკრულებო თავისუფლება არ არის თვითმიზანი, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება მომხმარებლისა და მეწარმის მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებს. ასეთ გარიგებებში კერძო სამართლის ეს უზოგადესი პრინციპი ითვლება, უმეტესწილად, მომხმარებლის თვითგამორკვევის რეალიზების საშუალებად.

სახელშეკრულებო სამართალში მომხმარებლის განსაკუთრებული დაცვის ქვეშ მყოფ სუბიექტად აღიარებას მოჰყვა მისი, როგორც ბაზრის დაუცველი პირის ინტერესების სავალდებულო გათვალისწინება, მომხმარებლის მონაწილეობით დადებულ ყველა გარიგებაში და ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპის მიმართ ორმაგი სტანდარტის დამკვიდრება. ასეთ ურთიერთობებში ხელშეკრულების თავისუფლება განიხილება, ერთი მხრივ, საბაზრო ურთიერთობების მამოძრავებელ და ხელშემწყობ ფაქტორად, რაც ნებისმიერი კანონით აუკრძალავი ხელშეკრულების დადების შესაძლებლობაში ვლინდება და, გარკვეულწილად, მხარეთა უთანასწორობასაც განამტკიცებს,<sup>69</sup> მეორე მხრივ კი, ზღვარდაუდებელი თავისუფლება ეკონომიკური ექსპლუატაციის რისკის მატარებელია, რაც გამოიხატება ეკონომიკურად ძლიერი და ინფორმირებული მხარის უპირატესობაში, ისარგებლოს მეორე მხარის გამოუცდელობით, თუ მასზე დამოკიდებულებით. ხელშეკრულების მხარეების არათანაბარი მდგომარეობა ხშირ შემთხვევაში ხელსაყრელია

<sup>68</sup> ძლიერი შეიძლი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2014 წ., 29; Bar-Gill O., Ben-Shahar O., Regulatory Techniques in Consumer Protection: A Critique of European Consumer Contract Law, New York University Law and Economics Working Papers, 2012, 5-7.

<sup>69</sup> ჯანმრთელი სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც., „სამართალი“, თბ., 2011, 90-94; Whittaker S. The Optional Instrument of European Contract Law and Freedom of Contract, 14, <[http://ec.europa.eu/justice/news/consulting\\_public/0052/contributions/333\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/news/consulting_public/0052/contributions/333_en.pdf)>, [03.05.2014].

მეწარმისათვის, რომელსაც შეუძლია შესთავაზოს, უფრო ზუსტად კი, წაუყენოს კონტრაქტებს ისეთი პირობები, რომლებზეც თანხმობა გამოწვეულია არჩევანის არარსებობით, მომხიბვლელი წინადადებით, მოულოდნელობითა და სხვა მარკეტინგული ხრიკებით.<sup>70</sup> სწორედ აღნიშნულმა წარმოშვა მომხმარებლის, როგორც ბრუნვაში მონაწილე სუსტი მხარის, ინტერესების დაცვის აუცილებლობა, რისი მიღწევაც შეუძლებელი იქნებოდა მეწარმეთა სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის გარეშე.

ამდენად, მომხმარებლის მონაწილეობით დადებულ გარიგებებში სამართლებრივი დაცვის ხარისხი დამოკიდებულია ამ ურთიერთობაში მონაწილე პირების სტატუსზე. თუ ერთ-ერთი მხარე მომხმარებელია, მაშინ მისი სახელშეკრულებო თავისუფლების დაცვა ხდება მეორე მხარის, მეწარმის სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის ხარჯზე. თანამედროვე სოციალური და პოლიტიკური შეხედულებებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი ერთ შემთხვევაში განიხილება უფრო ფართოდ, როგორც სახელშეკრულებო ურთიერთობის წარმოშობის საფუძველი ბრუნვაში მონაწილე ყოველი პირისათვის. მეორე შემთხვევაში, მისი მოქმედება დაიყვანება კონკრეტულ ურთიერთობებში შედარებით დაუცველი მხარის, მომხმარებლის ინტერესების გათვალისწინებამდე.<sup>71</sup>

ამასთან, ერთი მხარის, მოცემულ შემთხვევაში, მეწარმის, მოქმედების თავისუფლება იზღუდება იმ მოცემობით, რაც აუცილებელია სხვა პირთა, მომხმარებელთა, ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად. მოქმედების ფარგლების ასეთი დაკონკრეტების მიზანია არასამართლიანი შედეგებისაგან ცალკეული ინდივიდისა და, ზოგადად, სამართლებრივი წესრიგის დაცვა.<sup>72</sup> თუმცა, მომხმარებლები დაცვას ექვემდებარებიან მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციაში, კონკრეტულ საფრთხეებთან მიმართებაში, რომლებსაც სამართალი არსებითად მიიჩნევს. სავარაუდოდ ამიტომაც ემხრობა სამართალი ტიპოლოგიურ დამოკიდებულებას. იგი ცდილობს უზრუნველყოს იმ მხარის ინტერესი, რომელიც დაუცველია მეორე მხარესთან მიმართებაში კონკრეტული ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარებისას.<sup>73</sup>

<sup>70</sup> Покровский Н.А. Основные проблемы гражданского права, из. Статус, Москва, 1998, 263.

<sup>71</sup> ქვეყრიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშვილი, სახელშეკრულებო სამართალი, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2014, გვ. 29; Whittaker S. The Optional Instrument of European Contract Law and Freedom of Contract, 14, <[http://ec.europa.eu/justice/news/consulting\\_public/0052/contributions/333\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/news/consulting_public/0052/contributions/333_en.pdf)>, [03.05.2014].

<sup>72</sup> ქერქელიძე ლ., ქერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 261.

<sup>73</sup> Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 161.

## 15. ხელშეკრულების მბოჭავი ძალა მომხმარებლის მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში

კერძო სამართლის უზოგადესი პრინციპის თანახმად, დადებული ხელშეკრულება უნდა შესრულდეს.<sup>74</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების დადებით მხარეები ნებაყოფლობით და ორმხრივად კისრულობენ ამა თუ იმ გალდებულების შესრულებას, რაც სახელშეკრულებო თვითბოჭვის სახელითაა ცნობილი.<sup>75</sup> ამდენად, თუ პირი გადაწყვეტს ხელშეკრულების დადებას და მისი ეს განზრახვა მოლაპარაკების საგნად იქცევა, იქმნება მეორე მხარის კანონით დაცულ მოლოდინი, რაც ხელშეკრულების მბოჭავი ძალის საფუძველია. დაიდება რა ხელშეკრულება მხარეები არ არიან უფლებამოსილი ცალმხრივად უარი თქვან მასზე უკვე გაცხადებული ნების უკან გამოთხოვის გზით. შეიძლება ითქვას, რომ სახელშეკრულებო თვითბოჭვა სახელშეკრულებო თავისუფლების საფასურია.<sup>76</sup> იმ შემთხვევაში, თუ ხელშემკვრელ მხარეებს ექნებოდათ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის უპირობო უფლება, სახელშეკრულებო პირობის შესრულების მთელი იდეა აზრს დაკარგავდა და მის საფუძველზე დამყარებული სახელშეკრულებო სამართალიც დაიმსხვრედა.<sup>77</sup>

მიღგომა ხელშეკრულების მბოჭავი ძალის მიმართ მნიშვნელოვნად შეიცვალა ხელშეკრულებებში, სადაც ერთი მხარე მეწარმე, ხოლო მეორე მხარე მომხმარებელია. მართალია, *ructa sunt servanda-*ს პრინციპი სახელშეკრულებო სამართლის ქვაკუთხედად მიიჩნევა, მაგრამ იგი ყოველთვის ვერ ასრულებს თავის ფუნქციას. „ხელშეკრულების დადების თავისუფლება, როგორც კერძო ავტონომიის მნიშვნელოვანი გამოხატულება, არის პირის შესაძლებლობა დადოს ან არ დადოს ესა თუ ის ხელშეკრულება, შეარჩიოს მისთვის სასურველი კონტრაქტი და ხელშეკრულების მეორე მხარესთან შეთანხმებით თავისუფლად განსაზღვროს ამ ხელშეკრულების შინაარსი“.<sup>78</sup> არათანაბარი საბაზრო ძალაუფლების პირობებში ხელშეკრულების თავისუფლება ეჭვება დგება, ხოლო სახელშეკრულებო ბოჭვა სუსტდება. ურთიერთობის სუსტ მხარეს

<sup>74</sup> Markesinis B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 5.

<sup>75</sup> ძლიერი შვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშვილი ლ., სახელშეკრულებოსამართალი, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2014, 58-59.

<sup>76</sup> ჯანმრთელი და სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც., „სამართალი“, თბ., 2011, 90-94;

<sup>77</sup> Zimmermann R., The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, Juta & Co, Ltd PO, Kenwyn, 2002; ჯანმრთელი და სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც., „სამართალი“, თბ., 2011, 90-94; Sir Markesinis B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 263.

<sup>78</sup> ჯანმრთელი და სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც., „სამართალი“, თბ. 2011. 93;

ადარ მოეთხოვება ისეთი პირობის დაცვის გალდებულება, რომელიც არ გამომდინარეობს მისი თავისუფალი ნებიდან.<sup>79</sup>

## II. მომსმარებელთა უფლებების საკანონმდებლო რეგლამენტირება ევროპის სახელშეკრულებო სამართალში

### 2.1. ევროკავშირის გავლენა მომსმარებელთა უფლებების დაცვის სამართლის განვითარებაზე

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან ერთიანი ევროპული ბაზრის იდეა ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანების ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად იქცა. ძლიერი მონოპოლისტური ბაზარი ევროპის კონტინენტზე სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. მისი დაძლევის ერთ-ერთ გზად კი საერთო ევროპული ბაზრისა და მისი კონტროლის ქმედითი მექანიზმების შემოღებას მიიჩნევდნენ. ყოველივე ეს საფუძვლად დაედო 1957 წელს ევროპის ეკონომიკური გაერთიანების დაარსებას. ოუმცა, ერთიანი ბაზრის გამართული ფუნქციონირება შეუძლებელი იქნებოდა მომსმარებლის უფლებების დაცვის გარეშე, რომლებიც ამ ბაზრის განუყოფელ ნაწილად მოიაზრებოდნენ.<sup>80</sup> მეტიც, მომსმარებელი ეკონომიკური ურთიერთობების დამოუკიდებელ ბენეფიციარად იქნა აღიარებული, ხოლო მისი არჩევანის თავისუფლების მხარდაჭერა, ევროპის სახელმწიფოთა უმთავრესი საზრუნავი გახდა.<sup>81</sup>

თანამედროვე გაგებით, მომსმარებლის უფლებების დაცვა 1960-იან წლებიდან გახდა აქტუალური იმ პერიოდისათვის დამახასიათებელი ადამიანის უფლებათა აღიარებისა და დაცვის საერთო ტენდენციის ფონზე. 1970-იან წლებში მომსმარებელთა ნაციონალური ასოციაციები შეიქმნა, შემუშავდა მთელი რიგი სამართლებრივი ინსტრუმენტები მომსმარებელთა ინტერესების დასაცავად. 1973 წელს ევროპის გაერთიანებამ დაამტკიცა ქარტია მომსმარებელთა შესახებ, ხოლო 1975 წელს, თავის რეზოლუციაში მომსმარებელთა უფლებებისა და ინტერესების შესახებ, პირველად აღიარა მომსმარებელთა უფლებების რელევანტურობა საერთო ბაზრის მიზნებისათვის. იმავე წელს დამტკიცდა მომსმარებელთა დაცვის წინასწარი პროგრამა,<sup>82</sup> რომელიც ხუთ ძირითად უფლებას ითვალისწინებდა:

<sup>79</sup>Zimmermann R., The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, 585; Bussani M., Werro F., European Private Law: A Handbook, Sieburgh C., Western Law of Contract, Stampfli Publishers Ltd. Berne, 2009, 174; Markesinis B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 263.

<sup>80</sup>Chirita A.d., The Impact of Directive 2011/83/EU on Consumer Rights; <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1998993](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1998993)> [12.13.2013].

<sup>81</sup>Dani M., Assembling the Fractured European Consumer, A New Concept of European Federalism, LEQS Paper, No., 29/2011, <<http://www.lse.ac.uk/europeanInstitute/LEQS/LEQSPaper29.pdf>>, [22.07.2013], 13.

<sup>82</sup>ევროპოს საბჭოს 1975 წლის 14 აპრილის რეზოლუცია მომსმარებელთა უფლებების დაცვის წინასწარი პროგრამის შესახებ, ევროპის კავშირის ოფიციალური ჟურნალი, 1975

ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დაცვის უფლება; ეკონომიკური ინტერესების დაცვის უფლება; ზიანის ანაზღაურების უფლება; ინფორმაციის მიღებისა და განათლების უფლება; წარმომადგენლობის უფლება (მოსმენის უფლება).<sup>83</sup> თუმცა, ამ პერიოდისათვის ევროპის გაერთიანებას არ გააჩნდა სპეციალური კომპეტენცია მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში.<sup>84</sup>

მნიშვნელოვანი ძვრები 1980-იან წლებში ერთიანი ევროპული აქტის მიღებით განხორციელდა. აქტმა შეცვალა ყველა მნიშვნელოვანი დებულება შიდა ბაზართან დაკავშირებით, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად ითვალისწინებდა მომხმარებელთა დაცვის მაღალი სტანდარტით უზრუნველყოფის ვალდებულებას. ამან გავლენა იქონია სამომხმარებლო სამართალზეც, თუმცა, მხოლოდ ირიბად. 1991 წლამდე მომხმარებელთა უფლებების დამცავი რეგულაციები, უპირატესად, ევროპის გაერთიანების ხელშეკრულებებში იყო მოცემული, ყოველგვარი რეალური შედეგისა თუ მნიშვნელობის გარეშე.<sup>85</sup>

მე-20 საუკუნის ბოლოსათვის მომხმარებლის ცნებამ სამართლებრივი მნიშვნელობა შეიძინა, ხოლო მომხმარებელთა უფლებების დაცვა ევროპის გაერთიანების ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად იქცა. გასული საუკუნის მიწურულს მომხმარებელმა, როგორც დამოუკიდებელმა კატეგორიამ, საბოლოოდ დაიმკვიდრა ადგილი, როგორც ევროპის ქვეყნების სამართალში, ასევე სახელმწიფოთაშორისო აქტებშიც.

ძირითადი ცვლილებები ამ სფეროში 1990-იანი წლებიდან დაიწყო, როცა ბაზრის რეგულირებიდან აქცენტი თანდათან გადატანილ იქნა ევროპის გაერთიანების ფარგლებში უფრო მჭიდრო ეკონომიკურ და სოციალურ თანამშრომლობაზე. მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა 1992 წელს, როცა ხელი მოეწერა მაასტრინგის ხელშეკრულებას ევროპის კავშირის დაარსების შესახებ. შედეგად, ევროპის ეკონომიკური გაერთიანება გარდაიქმნა ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანებად. ხელშეკრულებით ასევე განისაზღვრა ევროპის საბჭოს კომპეტენცია მომხმარებელთა უფლებებთან

<sup>83</sup> *Jeglo*, 92/1, <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:C:1975:092:0002:0016:EN:PDF>>, [24.03.2014].

<sup>84</sup> *Nebbia P., Askham T.*, EU Consumer Law, Richmond, 2004, 21.

<sup>84</sup> *Antonioli L.*, Consumer Law as an Instance of the Law of Diversity, *Vermont Law Review*, Vol., 30:855, 2006, <<http://Lawreview.vermontLaw.edu/files/2012/02/antoniolli.pdf>> [3.05.2014], 857; *Reich N.*, Protection of Consumers' Economic Interests by EC Contract – Some Follow-up Remarks, *Sydney Law Review*, Vol., 28: 37, 2006,<[http://sydney.edu.au/Law/slrlsr28\\_1/Reich.pdf](http://sydney.edu.au/Law/slrlsr28_1/Reich.pdf)>, 40.

<sup>85</sup> *Hondius E.*, The Notion of consumer: European Union versus Member States, *Sydney Law Review*, (Vol., 28:29, 2006), 90, <[http://sydney.edu.au/Law/slrlsr28\\_1/Hondius.pdf](http://sydney.edu.au/Law/slrlsr28_1/Hondius.pdf)> [04.04.2014]; *Antonioli L.*, Consumer Law as an Instance of the Law of Diversity, *Vermont Law Review*, Vol., 30:855, 2006, 863.<<http://Lawreview.vermontLaw.edu/files/2012/02/antoniolli.pdf>>, [3.05.2014].

მიმართებაში და ადიარებულ იქნა მომხმარებელთა უფლებების მაღალ დონეზე დაცვის უზრუნველყოფის ვალდებულება.<sup>86</sup>

შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ მასტრიხტის ხელშეკრულების ხელმოწერით მოიპოვა მომხმარებელთა უფლებების სათანადო ადიარება. ევროკომისიის ინიციატივით ერთმანეთის მიერთებით მიღებული იქნა მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი სხვადასხვა დირექტივა, რომლებსაც უნდა უზრუნველყოთ ერთგვაროვანი მიღგომების დამკვიდრება. ახალმა სტრატეგიამ გამოიწვია მომხმარებელთა უფლებების შესახებ ნორმების დაშლა არა მხოლოდ დარგობრივ ჯგუფებში (მაგ. რეკლამირების, ნასყიდობის წესები) არამედ, ერთი დარგის შიგნითაც. ამის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია სამომხმარებლო - სახელშეკრულებო სამართალი, სადაც პარალელურად რამდენიმე დირექტივა მოქმედებდა. თუმცა, თავდაპირველად ევროპის კავშირი, ისევე როგორც მისი წინამორბედი, ტრადიციულად მთელ თავის ძალისხმევას მიმართავდა მიწოდებისკენ ვიდრე მოთხოვნისაკენ. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ევროპის გაერთიანების დაარსების ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი სწორედ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობა, ევროპის სახელმწიფოების ურთიერთსაწინააღმდეგო, ერთმანეთისაგან განსხვავებული ეროვნული რეგულაციების დაძლევა, საქონლის, მომსახურებისა და ინფორმაციის თავისუფალი მიმოქცევისათვის ერთიანი სივრცის შექმნა იყო.<sup>87</sup>

მოგვიანებით, 1997 წელს, ხელი მოეწერა ამსტერდამის ხელშეკრულებას, რომლითაც ცვლილებები შეიტანეს მასტრიხტის ხელშეკრულებაში. ამსტერდამის ხელშეკრულებით კიდევ უფრო გაფართოვდა ევროკავშირის კომპეტენცია მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში. განისაზღვრა მომხმარებელთა უფლებების სავალდებულო გათვალისწინება ევროპის კავშირის ყველა აქტში და მათი პორიზონტალური ინტეგრაციის უზრუნველყოფა.<sup>88</sup> სწრაფად მზარდ რეგიონალურ ბაზარზე მომხმარებელთა უფლებები, უფრო ზუსტად კი მომხმარებელთა თვითდაჯერების მხარდაჭერა, მიჩნეულ იქნა პრიორიტეტად ევროპის ეკონომიკური ინტეგრაციისა და ბაზრის გამართული ფუნქციონირებისათვის.<sup>89</sup> მომხმარებელთა უფლებების დაცვის

<sup>86</sup> ერქანია ო., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეფორცები სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა, ჟურ., „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, (30), 2011. 46; Antonioli L., Consumer Law as an Instance of the Law of Diversity, Vermont Law Review, Vol., 30:855, 2006, 864.<<http://Lawreview.vermontLaw.edu/files/2012/02/antonioli.pdf>> [3.05.2014].

<sup>87</sup> WRBKA S., The Proposal for an Optional Common European Sales Law: A step in the right direction for Consumer Protection?, EUIJ-Kyushu Review Issue 1-2011, 90.<<http://euijreview.kyudai.info/downloads/EUIJKR-1-3-2011.pdf>> [10.12.2015]; Loos M., Scope and Appellation of the Optional Instrument, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2011-09, University van Amsterdam, The Netherlands, <<http://dare.uva.nl/document/2/135836>> [20.01.2015], 3-8.

<sup>88</sup> Nebbia P., Askham T., EU Consumer Law, Richmond, 2004, 10.

<sup>89</sup> WRBKA S., The Proposal for an Optional Common European Sales Law: A step in the right direction for Consumer Protection?, EUIJ-Kyushu Review Issue 1-2011, 90; Nebbia P., Askham T., EU Consumer Law, Richmond, 2004, 35. ერქანია ო., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეფორცები

გალდებულება აისახა აგრეთვე მირითადი უფლებების შესახებ ევროკავშირის ქარტიაშიც. გარდა ამისა, ევროკომისია სისტემატურად აქვეყნებს სამომხმარებლო პოლიტიკის სტრატეგიას, რომელიც კავშირის სამომხმარებლო პოლიტიკასთან დაკავშირებით რამდენიმეწლიან გეგმას მოიცავს.<sup>90</sup>

ამდენად, ევროპაში სამომხმარებლო სამართლის განვითარებას, მისი მნიშვნელობის ტრანსაციონალურ დონეზე ზრდას, ხელი შეუწყო ევროპის კავშირის შექმნაში. ამ ორგანიზაციის უპირველესი მიზანია შიდა ბაზრის კონტროლი, წვერი სახელმწიფოების ინტეგრაცია და ამ მიზნით სტაბილურობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა. საერთო სამოქმედო ბაზრის დაარსება კი შესაძლებელი იქნებოდა მხოლოდ საქონლისა და მომსახურების თავისუფალი ბრუნვის უზრუნველყოფით, მომხმარებლისათვის ამ საქონლისა და მომსახურების შეძენისათვის პირობების შექმნით, როგორც ეროვნულ საზღვრებში, ისე მათ გარეთ.<sup>91</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ სამართალი საკმაოდ მოუქნელი აღმოჩნდა მომხმარებლის ავტონომიურ კატეგორიად აღიარებაში. მაგრამ ეკონომიკური და საზოგადოებრივი მოთხოვნების წევები იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ საბოლოოდ გამოიწვია მნიშვნელოვანი ცვლილებები. დღეს, მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალი, როგორც კატეგორია, აღიარებულია და მისი მნიშვნელობა დღითიდელ იზრდება. სამართლის ამ დარგის ძირითადი ნიშან-თვისებაა ინტერდისციპლინური მიდგომა.<sup>92</sup> ის არა მხოლოდ სამართლებრივ, სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ასპექტებს აერთიანებს, არამედ თავს უყრის დანაწევებს, რომლებიც დამახასიათებელია სხვადასხვა სამართლის ისეთი დარგებისათვის, როგორიცაა კონსტიტუციური, ადმინისტრაციული, კერძო და სისხლის სამართალი.<sup>93</sup>

გარდა ამისა, დღეისათვის სერიოზული დისკუსიის საგანია სამომხმარებლო სამართლისა და სახელშექრულებო სამართლის

---

სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა, ქურ., „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(30), 2011, 46.

<sup>90</sup> ერქანია ო., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ალექსანდრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა. ქურ., „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(30), 2011, 46.

<sup>91</sup> McKendrick E., Harmonization of European Contract Law: The State We Are, The Harmonization of European Contract Law, Implications for European Private Law, Business and Legal Practice, ed., by Vongenauer S., Weatherill S., Hurt Pub., Oxford, Portland, Oregon, 2006, 7; Antonioli L., Consumer Law as an Instance of the Law of Diversity, Vermont Law Review, Vol., 30:855, 2006, 864.<<http://Lawreview.vermontLaw.edu/files/2012/02/antonioli.pdf>>, [ 3.05.2014];

<sup>92</sup> Von Bar CH., A Common Frame of Reference for European Private Law - Academic Efforts and Political Realities, Electronic Journal of Comparative Law, Vol., 12.1 (May 2008), <<http://www.ejcl.org>>, [22.02.2013], 6.

<sup>93</sup> Antonioli L., Consumer Law as an Instance of the Law of Diversity, Vermont Law Review, Vol., 30:855, 2006, 864, <<http://Lawreview.vermontLaw.edu/files/2012/02/antonioli.pdf>>, [ 3.05.2014];

თანაარსებობის საკითხი.<sup>94</sup> ევროპის გლობალიზაციის დაჩქარებულმა პროცესებმა დღის წესრიგში დააყენა ერთიანი სამართლებრივი ნორმების შემუშავების აუცილებლობა, რომლებმაც უნდა უზრუნველყონ საერთო მიღმომა მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართ ევროკავშირში შემავალი ყველა სახელმწიფოსათვის. სახელშეკრულებო სამართლის უნიფიკაციისათვის რამდენიმე ქმედითი ნაბიჯი გადაიდგა. ჯერ კიდევ 1994 წელს ევროპარლამენტმა დაამტკიცა რეზოლუცია კერძო სამართლის ერთიანი კოდექსის მისაღებად.<sup>95</sup> სპეციალური კომისიის მიერ შემუშავდა „ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები“, შეიქმნა „ევროპული სამოქალაქო კოდექსის მუშა ჯგუფი“ (Study Group on European Civil Code) და „ევროპავშირის კერძო სამართლის კვლევის ჯგუფი“ (Research Group in EC Private Law (Acquis Goup)), აგრეთვე ჩატარდა მთელი რიგი აკადემიური კვლევები, რომლებიც „The Draft Common Frame of Reference“-ის სახელითაა ცნობილი. მის საფუძველზე შემდგომში მიღეს პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი „Common Frame of Reference“, რომელმაც მოიცვა ევროპის მთელი სახელშეკრულებო სამართალი და, მათ შორის, მომხმარებელთა უფლებებიც.<sup>96</sup>

<sup>94</sup> Smits J., The Future of European Contract Law: on Diversity and the Temptation of Elegance, Towards a European Ius Commune in Legal Education and Research, Michael Faure, Jan Smits and Hildegard Schneider, eds., Antwerpen (Intersentia), pp. 239-256, 2002, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=803144](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=803144)>, [11.02.2014].

<sup>95</sup> იქვე, 240.

<sup>96</sup> ევროკომისიამ შეარჩია ტერმინი „საერთო მიმართულებათა ჩარჩო“ (CFR), რომელიც პირველად ნახენები იყო 2003 წლის მოქმედების გაგმაში. მკლევართა აზრით, სწორედ ეს სახელწოდება ასახავდა პროექტის დანიშნულებას. მისი მიზანი მდგომარეობდა ევროპავშირის სახელმწიფოთა კანონმდებლობის შესწავლაში, იურისტებისათვის საერთო სამოქალაქო მიღვომების ჩამოყალიბებაში, რომელიც ერთგვაროვნად მოაგვარებდა სამართალწარმოებასთან, არბიტრაჟთან და ხელშეკრულების დადგებასთან დაკავშირებულ პრობლემებს. ამიტომაც თავდაპირველად შეიქმნა „ევროპის კერძო სამართლის განმარტებებისა და მოდელური კანონების პრინციპები“, რომელსაც შემდომ (DCFR), „საერთო მიმართულებათა ჩარჩოს პროექტი“ ეწოდა. ამასთან, პროექტს მხოლოდ აკარემიური კვლევის ხასიათი ჰქონდა. მოგვიანებით მიღებულ იქნა პოლიტიკური მნიშვნელობის აქტი „საერთო მიმართულებათა ჩარჩო“ (CFR). მან მოიცვა ჩატარებული აკადემიური კვლევის შედეგები და განსაზღვრა ერთიანი მიმართულებები ევროპის სახელშეკრულებო სამართლის შემდგომი განვითარებისათვის. ორივე დასახელებული დოკუმენტი ითვალისწინებს მომხმარებელთა უფლებების დაცვისათვის ეფექტური მექანიზმების შემუშავებას და მათ ინტეგრირებას სახელშეკრულებო სამართლის რეჟიმებში. ცალკე ყურადღება ეთმობა არაოფიციალურ ვითარებასა და დისტანციური კომუნიკაციის წესით დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებლებისათვის ხელშეკრულების უარყოფის უფლების მინიჭებას. შეად, Schulte-Nölke H., Contract Law or Law of Obligations? – The Draft Common Frame of Reference (DCFR) as a Multifunction tool, Common Frame of reference and Existing EC Contract Law, ed., Schulze R., Sellier, ELP, Munich, 2008, 49-50; Howells G., Schulze R., Overview of the Proposed Consumer Rights Directive, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 6; Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (D); Edited by Ch. Von Bar, E.Clive and Hans Schulte-Nölke and others, <[http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-Law\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-Law_en.pdf)> [14.04.2014] 10-35; Von Bar CH., A Common Frame of Reference for European Private Law - Academic Efforts and Political Realities, Electronic Journal of Comparative Law, Vol., 12.1 (May 2008),

ყველა დასახელებულ ნაშრომში სათანადო კურადღებაა გამახვილებული მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლებრივ რეგულირებაზე და მათი უნიფიცირების აუცილებლობაზე. მითითებული აქტებიდან ზოგიერთი სარეკომენდაციო ხასიათისაა, ზოგი კი განსაზღვრავს ძირითად მიმართულებებს ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შემდგომი განვითარებისათვის.<sup>97</sup> სამომხმარებლო სამართლის უნიფიკაცია ძირითადად უკავშირდებოდა მომხმარებელთა ცალკეული უფლებების დაცვის შესახებ ევროკავშირის მიერ მიღებული დირექტივების ჰარმონიზაციას. ნიშანდობლივია, რომ მომხმარებელთა უფლებების დამცავი ნორმების ეფექტური ჰარმონიზაციის პროცესში განსაკუთრებული კურადღება ეთმობა მომხმარებლის ისეთი უფლების ერთგვაროვან მოწესრიგებას, როგორიცაა ხელშეკრულების უარყოფის უფლება.<sup>98</sup>

## 2.2. ევროკავშირის დირექტივები, როგორც სამომხმარებლო სამართლის განვითარების ძირითადი ორიენტირები

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების სახელშეკრულებო სამართლის და მათ შორის მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი ნორმების დაახლოებისა და ჰარმონიზაციისათვის მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტრუმენტია ევროკავშირის მიერ მიღებული დირექტივები,<sup>99</sup> რომელებიც მიიღება ევროპელი კანონმდებლის მიერ და შემდგომ ექვემდებარება სავალდებულო ინკლუზიური წევრი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაში. დირექტივებში გადმოცემულია ევროპის გაერთიანების ძირითადი პრინციპები, ურთიერთობის განვითარების პერსპექტივები, პრობლემების მოგვარების სამართლებრივი გზები. მათი იმპლემენტაცია წევრი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაში უზრუნველყოფს ერთიანი მიღების ფორმირებას და მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთო კონცეფციის ჩამოყალიბებას. სწორედ ეს პროცესი გულისხმობს კერძო სამართლის ჰარმონიზაციას და მიზნად ისახავს ევროპის კონტინენტზე ერთიანი სამოქმედო სტრატეგიის შემუშავებას, როგორც ზოგად სახელშეკრულებო

<sup>97</sup> <http://www.ejcl.org>, [22.02.2013], 3; ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშვილი ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2014, 23-30; ზაალიშვილი გ., სამომხმარებლო კერძო სამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების სისტემური თვისტებურებანი ქართულ კანონმდებლობაში, „სამართლის კურნალი“, №1-2, თბ., 2010, 58 და სხვ.

<sup>98</sup> Bartl M., The Draft Frame of Reference: What Future for European Contract Law? European University Institute, [http://www.Law.muni.cz/sborniky/cofola 2008/files/pdf/evropa/Bartl\\_Marija.pdf](http://www.Law.muni.cz/sborniky/cofola 2008/files/pdf/evropa/Bartl_Marija.pdf), [26.12.2014].

<sup>99</sup> Schulte-Nolke H., Scope and Role of the Horizontal Directive and its Relation to the CRF, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, ELP, Munich, 2009, 35-40. Evelyne T., The Right of Withdrawal, The Acquis Principles and The Draft Common Frame of Reference, Common Frame of Reference and Existing EC Contract Law, Sellier, European Law Publisher, Munich, 2008, 145-176; Bar-Gill O., Ben-Shahar O., Regulatory Techniques in Consumer Protection: A Critique of European Consumer Contract Law, New York University Law and Economics Working Papers, 2012, 24-28.

<sup>99</sup> Reich N., Protection of Consumers' Economic Interests by EC Contract – Some Follow-up Remarks, Sydney Law Review, Vol., 28: 37, 2006, [http://sydney.edu.au/Law/slrl28\\_1/Reich.pdf](http://sydney.edu.au/Law/slrl28_1/Reich.pdf), 43-44.

ამასთან, კონკრეტული საკითხის რეგულირებისათვის ევროპის კავშირის მიერ დირექტივის მიღებამდე, წევრი სახელმწიფოები ინარჩუნებენ შესაძლებლობას, თავად მიიღონ სამართლებრივად სავალდებულო აქტები შესაბამის სფეროებში. როგორც კი უფლებამოსილი ორგანო იყენებს თავის კომპეტენციას, წევრ სახელმწიფოებს წარმოექმნებათ ახალ მოთხოვნებთან ადაპტაციის ვალდებულება, ეროვნული რეჟიმების უნიფიკაციის გზით. ეს ნიშნავს იმას, რომ ევროკავშირის მიერ ინიცირებული პარმონიზაციის პირობებში, წევრი სახელმწიფოები კარგავენ თავისუფლებას შეინარჩუნონ ან დაამკვიდრონ განსხვავებული რეგულაციები პარმონიზებულ სფეროებში.<sup>101</sup>

### 2.3. მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ევროკავშირის დირექტივების გავლენა ევროპის სახელშეკრულებო სამართალზე

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიზნებისათვის საკანონმდებლო დონისძიებების სრული პარმონიზაცია ნიშნავს, რომ წევრი სახელმწიფოები გალდებული არიან მოახდინონ შესაბამისი ცვლილებები შიდა კანონმდებლობაში, რაც შესაბამისობაში იქნება მომხმარებელთა დაცვის ევროპულ სტანდარტებთან, მიუხედავად იმისა, რომ წევრი სახელმწიფოების ეროვნული კანონმდებლობა შედარებით მაღალი თუ დაბალი ხარისხით იცავს მომხმარებელთა უფლებებს.<sup>102</sup> შედეგად, სრული პარმონიზაცია შესაძლებლობას მისცემს მომხმარებლებსა და მეწარმეებს ისარგებლონ თანაბარი დაცვის ღონისძიებებით, საერთო უფლება-მოვალეობებით და ვაჭრობის საერთო წესებით ევროკავშირის მთელ ტერიტორიაზე.

<sup>100</sup> Howells G., Schulze R., Overview of the Proposed Consumer Rights Directive, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 6-8; Micklitz H-W., The Target Full Harmonization Approach” Looking Behind Curtain, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, ELP, Munich, 2009, 48-51.

<sup>101</sup> Loos B.M., Full Harmonization as a regulatory concept and its consequences for the national legal orders. The example of the Consumer rights directive, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2010/03, University van Amsterdam, The Netherlands, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1639436](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1639436)> [20.01.2015], 4; Micklitz H-W., The Target Full Harmonization Approach” Looking Behind Curtain, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, ELP, Munich, 2009, 48-51 და სხვა.

<sup>102</sup> Micklitz H-W., The Target Full Harmonization Approach” Looking Behind Curtain, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, ELP, Munich, 2009, 48-51; Loos B.M., Full Harmonization as a Regulatory Concept and its Consequences for the National Legal Orders. The example of the Consumer Rights Directive, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2010/03, University van Amsterdam, The Netherlands, [http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1639436](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1639436), [20.01.2015], 6.

სრულ ჰარმონიზაციას მივყავართ მომხმარებელთა უფლებების დაცვის საერთო კონცეფციამდე მთელი ევროკავშირის მასშტაბით,<sup>103</sup> რაც ქმნის ერთიან სამოქმედო წესებს მომხმარებლებისა და მეწარმეებისათვის. ეს, თავის მხრივ, აადვილებს მომხმარებლებისა და მეწარმეებისათვის ტრანს-სასაზღვრო საგაჭრო ურთიერთობებში ჩამდას.<sup>104</sup> შიდა პაზრის ფუნქციონირების პერსპექტივიდან, მომხმარებელთა უფლებების შესახებ ნორმების სრული ჰარმონიზაცია წარმოადგენს მთავარ გასაღებს ევროპის სამომხმარებლო სამართლის განვითარებისათვის და მისი სიცხადისათვის.

ამ თვალსაზრისით, მომხმარებელთა უფლებების შესახებ დირექტივებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია წევრი სახელმწიფოების სახელშეკრულებო სამართალზე. თუმცა, დირექტივების იმპლემენტაციაში წარმოშვა კითხვები იმასთან დაკავშირებით, უნდა გავრცელდეს თუ არა დირექტივების დანაწესები ხელშეკრულებებზე, რომლებიც არ განეკუთვნება სამომხმარებლო სამართალს. ამ გადმოსახედიდან თრი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია იჩენს თავს. მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი ნორმები უნდა შეიზღუდოს მხოლოდ მომხმარებელთა მონაწილეობით დადებული გარიგებებით და შესაბამისი ცვლილებები შევიდეს უკვე არსებულ სახელშეკრულებო სამართალში თუ უნდა შემუშავდეს დამოუკიდებელი სამართლებრივი აქტები, რომლებიც მხოლოდ სამომხმარებლო სამართლისათვის იქნება განკუთვნილი.<sup>105</sup> უკანასკნელ შემთხვევაში, სხვა ხელშეკრულებები თავისუფალი იქნება ევროპული დირექტივების გავლენისაგან, ხოლო დირექტივების მოქმედება გავრცელდება მხოლოდ იმ ხელშეკრულებებზე, რომლებიც თავისი ბუნებით ექცევიან სამომხმარებლო სამართლის მარეგულირებელი ნორმების დაცვის ქვეშ.<sup>106</sup>

მეორე მხრივ, კანონმდებელს შეუძლია მოახდინოს მთელი სახელშეკრულებო სამართლის რეფორმა, ე.ი. გაავრცელოს ახალი რეგულაციები იმ ხელშეკრულებების მიმართაც, რომელიც არ ექცევიან დირექტივის მოქმედების არეალში. ამგვარი არჩევანის უპირატესობა ის არის, რომ შენარჩუნებული იქნება სახელშეკრულებო და სამომხმარებლო სამართლის ერთიანობა და, შესაბამისად, სუსტი მხარის დაცვა

<sup>103</sup> Twigg-Flesner C., „Good-Bye Harmonization by Directives, Hello Cross-Border only Regulations?“ – A Way Forward for EU Consumer Contract Law, European Law Review of Contract Law, 2011, 7(2), 4.

<sup>104</sup> Twigg-Flesner CH., „Time To Do the Job Properly“ – The Case for a New Approach to EU Consumer Legislation, Journal of Consumer Policy, 2010, 33 (4), <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1562728](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1562728)>, [22.09.2014], 6.

<sup>105</sup> Twigg-Flesner CH., „Time To Do the Job Properly“ – The Case for a New Approach to EU Consumer Legislation, Journal of Consumer Policy, 2010, 33 (4), <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1562728](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1562728)>, [22.09.2014], 8-14.

<sup>106</sup> Micklitz H.-W., The Target Full Harmonization Approach Looking Behind Curtain, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, ELP, Munich, 2009, 48-51; Loos B.M., Full Harmonization as a Regulatory Concept and its Consequences for the National Legal Orders. The Example of the Consumer Rights Directive, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2010/03, University van Amsterdam, The Netherlands, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1639436](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1639436)>, [20.01.2015], 15.

მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი დირექტივების შიდა კანონმდებლობაში, კერძოდ კი, სახელშეკრულებო სამართალში ინკორპორაციის ერთ-ერთ მაგალითად შეიძლება განვიხილოთ გერმანული მოდელი. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური ნორმების იმპლემენტაციას დიდი გავლენა არ მოუხდებია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ძირითად სულისკვეთებაზე, ეს პროცესი მაინც მიიჩნევა სახელშეკრულებო სამართლის ერთ-ერთ ყველაზე მასშტაბურ რეფორმად.<sup>108</sup>

კოდექსის რეფორმატორების გადაწყვეტილება, მომხმარებელთა უფლებების შესახებ ნორმების გერმანიის სამოქალაქო კოდექსში იმპლემენტაციის თაობაზე, განპირობებული იყო სახელშეკრულებო პირობების სამართლიანობის ერთიანობის იდეით. გერმანელი კანონმდებელი ზოგად სახელშეკრულებო სამართალსა და სამომხმარებლო სამართალს იდენტური მოწესრიგების ჭრილში მოიაზრებს. უპირველეს ყოვლისა, ეს ეხება მხარეთა თვითგამორკვევის პრინციპს, რომელიც განხილულია ხელშეკრულებათა სამართლიანობის საერთო კონცეფციის ფარგლებში, იმის მიუხედავად თუ ვინ არიან ხელშეკრულების მხარეები – მომხმარებლები თუ ბრუნვაში მონაწილე სხვა პირები. მთავარია, რომ აცილებული იქნას ისეთი ხელშეკრულების იურიდიული შედეგები, რომლებიც არ წარმოადგენენ ორივე მხარის თვითგამორკვევის შედეგს.<sup>109</sup>

ამასთან, მომხმარებელთა უფლებების შესახებ დირექტივებმა შეცვალა არა მთლიანად ზოგადი სახელშეკრულებო სამართალი, არამედ მოახდინა ყურადღების კონცენტრირება მხოლოდ რამდენიმე მიმართულებით. ამ თვალსაზრისით, მნიშვნელოვან სიახლედ მიიჩნევა მეწარმეებისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დაკისრება, მომხმარებლებისათვის ხელშეკრულების უარყოფის უფლების მინიჭება და ცალმხრივი იმპერატიული ნორმების სიჭარბე.<sup>110</sup> ასევე, მაგალითად, გერმანულის მსგავსად, არც პოლანდიურ სამართალს არა აქვს ცალკე გამოყოფილი სამომხმარებლო სამართალი. მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ

<sup>107</sup> Loos B.M., Full Harmonization as a Regulatory Concept and its Consequences for the National Legal Orders. The Example of the Consumer Rights Directive, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2010/03, University van Amsterdam, The Netherlands, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1639436](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1639436)>, [20.01.2015], 16.

<sup>108</sup> Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 159;

<sup>109</sup> Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 159;

<sup>110</sup> Zimmermann R. Contract Law Reform: The German Experience, The Harmonization of European Contract Law, Implementations for European Private Laws, Business and Legal Practice, edited by Vongenauer S., and Weatherill S., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 85.

ევროპული დირექტივები ჩვეულებრივ პირდაპირაა იმპლემენტირებული პოლანდიის სამოქალაქო კოდექსში.<sup>111</sup>

გერმანული მოდელისაგან განსხვავებით, მაგალითად, საფრანგეთსა და იტალიაში მომხმარებელთა უფლებები რეგულირდება ცალკე აქტებით, სამომხმარებლო კოდექსებით. ამ ქვეყნებში მომხმარებელთა უფლებების ცალკე აქტით მოწესრიგებით, ფაქტობრივად წერტილი დაესვა დაყოფას სამომხმარებლო-სახელშეკრულებო და ზოგად სახელშეკრულებო სამართალს შორის, რითაც უარი ითქვა დირექტივების სპონტანურ იმპლემენტაციაზე ზოგად სახელშეკრულებო სამართალში.<sup>112</sup>

მომხმარებელთა უფლებების შესახებ დირექტივების იმპლემენტაციის ორივე განხილულ მოდელს აქვს თავისი დადგებითი და უარყოფითი მხარეები. უნდა აღინიშნოს, რომ სამომხმარებლო სამართალი არ არის ბოლომდე ჩამოყალიბებული, იგი მუდმივი გადაფასების ფონზე ვითარდება, რაც ხშირ ცვლილებებთანაა დაკავშირებული. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ მიმართულებით ევროპის კავშირის აქტიურობის ფონზე. პერმანენტულ ცვლილებებს უკვე არსებულ სახელშეკრულებო სამართალში კი შესაძლებელია მოჰყვეს მისი გადატვირთვა და „დაბინძურება“ გარეშე ნორმებით.<sup>113</sup>

#### 2.4. მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სახელშეკრულებო სამართალში და სასამართლო პრაქტიკაში

მომხმარებლის ცნებამ ქართულ კერძო სამართალში აღიარება მოიპოვა მხოლოდ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემდეგ. მანამდე მომხმარებელთა უფლებები არ იყო და ვერც იქნებოდა სათანადოდ განვითარებული. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ ადამიანის უფლებები, ინდივიდუალური თავისუფლება და მით უფრო მომხმარებელთა უფლებები, დასავლეთ ევროპის სამართლის გაგებით, საქართველოში არ არსებოდა. აღნიშნული გამოწვეული იყო იმით, რომ „საქართველოში სამოქალაქო საზოგადოებამ ჩამოყალიბება სხვა სახელმწიფოს შემადგენლობაში დაიწყო და სახელმწიფოებრივი, საკანონმდებლო ნების დამოუკიდებლად განსაზღვრის შესაძლებლობა მას არ გააჩნდა“.<sup>114</sup>

<sup>111</sup> Loos B.M., Consumers sales in The Netherlands after Implementation of the Consumer Rights Directive and With a View to the Future Common European Sales Law, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2014-53, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2014-12, University van Amsterdam, The Netherlands, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2506048](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2506048)>, [20.01.2015] 1.

<sup>112</sup> იქვე, 16.

<sup>113</sup> Zimmermann R. Contract Law Reform: The German Experience, The Harmonization of European Contract Law, Implementations for European Private Laws, Business and Legal Practice, edited by Vongenauer S., Weatherill S., Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 85.

<sup>114</sup> ჭაბრურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომც., „სამართალი“, თბ. 1997, 1.

ამასთან, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტით არც საბჭოთა კავშირის სამართლი გამოირჩეოდა. მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი ნორმები ძირითადად გათვალისწინებული იყო სამოქალაქო კანონმდებლობაში ნასყიდობისა და ნარდობის ხელშეკრულებების მომწესრიგებელ ნორმებში, რომლებიც ეხებოდა ყველას და, არა კონკრეტულად მომხმარებლებს. საბჭოთა სამოქალაქო სამართლის ბოლო კოდიფიკაცია სამოციანი წლების დასაწყისში განხორციელდა. მას შემდეგ მიღებულ იქნა სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები. მათ საფუძველზე ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ და, მათ შორის, საქართველომაც მიიღო სამოქალაქო სამართლის კოდექსები.<sup>115</sup> სსრკ-ს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა მყიდველის უფლებებს არაჯეროვანი ხარისხის ნივთის მიყიდვისას (246-ე მუხლი) და შემკვეთის უფლებების დაცვას მენარდის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში (364).<sup>116</sup> იგივე შინაარსის დანაწევები აისახა საქართველოს 1964 წლის სამოქალაქო სამართლის კოდექსშიც (243-ე და 355-ე მუხლები).<sup>117</sup>

საბჭოთა კავშირის დაშლის წინა პერიოდში, 1991 წლის 22 მაისს, სსრკ-ს უმაღლესი საბჭოს მიერ მიღებული იქნა კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, რაც საბჭოთა წყობილების არსებობის პერიოდისათვის პირველი მცდელობა იყო მომხმარებელთა უფლებების ნორმატიული რეგლამენტაციისა. ამის შემდეგ, 1991 წლის 31 მაისს, ასევე მიღებულ იქნა სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლები სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკებისათვის. თუმცა, არც ერთსა და არც მეორეს არ დასცალდა პრაქტიკაში დანერგვა.<sup>118</sup>

საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ახალი დემოკრატიის მშენებლობის გზაზე მყოფი საქართველოსათვის, ევროპულ სამართლებრივ სივრცეში ინტეგრირება ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტად იქნა აღიარებული. ამ გზაზე პირველი ნაბიჯი საქართველოს კონსტიტუციის მიღებით გადაიდგა. მასში, ახალგაზრდა სახელმწიფოს უმთავრეს ღირებულებებთან ერთად, აღიარებულ იქნა ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. ადამიანის თავისუფალი განვითარების უფლება უზენაეს ღირებულებად იქნა მიჩნეული.<sup>119</sup> მომხმარებლის უფლებები კანონით დაცულ

<sup>115</sup> ჭაბურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომც., „სამართალი“, თბ. 1997, 32.

<sup>116</sup> Гражданский Кодекс РСФСР от 11 июня 1964 г., <[http://www.consultant.ru/document/cons\\_doc\\_LAW\\_34159/](http://www.consultant.ru/document/cons_doc_LAW_34159/)> [23.03.2014].

<sup>117</sup> საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი, გამომც., „საბჭოთა სამართალი“, 1985წ.

<sup>118</sup> Кротов. М. В. Закон о защите прав потребителей, Правоведение. -1991. - № 6. - С. 30-39, <<http://uristy.ucoz.ru/publ/14-1-0-720>> [23.03.2014]; ჭაბურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომც., „სამართალი“, თბ. 1997, 32.

<sup>119</sup> ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მე-16 მუხლი, გამომც., „მერიდიანი“, თბ. 2005, 62-82.

სფეროდ გამოცხადდა.<sup>120</sup> კერძოდ, საქართველოს კონსტიტუციის 30-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, სახელმწიფო ვალდებულია ხელი შეწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია მონოპოლიური საქმიანობა, გარდა კანონით დაშვებული შემთხვევებისა. მომხმარებელთა უფლებები დაცულია კანონით.

გარდა ამისა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელი ნორმების საკანონმდებლო რეგლამენტაცია 1996 წელს, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით განხორციელდა.<sup>121</sup> მოგვიანებით, 1997 წლის 15 მაისს, მიღებული იქნა საქართველოს კანონი „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“.<sup>122</sup>

საგულისხმოა, რომ „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი მიღებულ იქნა უფრო ადრე, ვიდრე საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, რაც თვალნათლივ წარმოაჩენს მომხმარებელთა უფლებებისადმი ქართველი კანონმდებლის განსაკუთრებულ დამოკიდებულებას. უნდა აღინიშნოს, რომ კანონი გარკვეულწილად ითვალისწინებდა ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ დათქმებს, მაგრამ არა იმ მოცულობით, როგორც ეს დღესაა დამკვიდრებული ევროპის სახელშეკრულებო სამართალში. გარდა ამისა, კანონი არ იყო გამართული ტერმინოლოგიური თვალსაზრისითაც. უარყოფის უფლება მოიხსენიებოდა „ხელშეკრულების დარღვევის უფლებად“, კერძოდ, კანონის 26-ე მუხლი შემდეგი სახელწოდებით იყო მოცემული: მომხმარებლის მიერ სამუშაოს, მომსახურების შესრულებაზე დადებული ხელშეკრულების დარღვევის უფლება.<sup>123</sup> ამასთან, კანონმდებელი ითვალისწინებდა ხელშეკრულების დადების შესაძლებლობას საწარმოს ადგილსამყოფელის გარეთაც. აგრეთვე, მოცემული იყო ცალკე რეგულაციები ნაკლიანი საქონლის ანდა მომსახურების მიღების თაობაზეც.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი მიღებულ იქნა ერთი წლის შემდეგ. მან თითქმის სრულად მოიცვა კერძო სამართლის ძირითადი ასპექტები და, მათ შორის, გარკვეულწილად მომხმარებელთა უფლებებიც. ამასთან, მომხმარებელთა უფლებების დაცვითი ნორმები მიმობნებულ იქნა კოდექსის ცალკეულ თავებში. ნაწილი განთავსდა სახელშეკრულებო სამართლის ზოგად ნაწილში, მაგალითად, ქუჩაში დადგებული ხელშეკრულებები, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, სამომხმარებლო კრედიტი; ნაწილი გათვალისწინებულ იქნა ნასყიდობისა და ნარდობის მომწერიგებელ ნორმებში.<sup>124</sup> შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო

<sup>120</sup> საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 31-33, 24/08/1995.

<sup>121</sup> საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის უწყებანი, №007, 30.04.96,

<sup>122</sup> საქართველოს კანონი „სამომხმარებლო კოოპერაციის შესახებ“, პარლამენტის უწყებანი, 25-26, 14/06/1997.

<sup>123</sup> საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის უწყებანი, №007, 30.04.96, 26-ე მუხლი.

<sup>124</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.

კოდექსი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის დუბლირება მოახდინა, მაგრამ არა სრული მოცულობით.

ამის მიზეზი კი საგარაუდოდ ის არის, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი უმეტესწილად გერმანული სამოქალაქო კოდექსის შემოქმედებითი რეცეფციის შედეგია.<sup>3</sup> თუმცა, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღების დროისთვის გერმანიის სამოქალაქო კოდექსში მომხმარებელთა უფლებები ჯერ კიდევ არ იყო სათანადოდ მოწესრიგებული. მხოლოდ 2002 წლის რეფორმის შედეგად აისახა გერმანიის სამოქალაქო კოდექსში მომხმარებელთა უფლებები და მათი საეციალური დაცვის საშუალებები,<sup>125</sup> რომელთა შორის ერთ-ერთი ხელშეკრულების უარყოფის უფლებაა. მეტიც, სწორედ ამ დროიდან დამკიდრდა გერმანიის სამოქალაქო კოდექსში „მომხმარებლის“ ცნება, როგორც კერძო ხასიათის ურთიერთობებში მონაწილე სუბიექტის აღმნიშვნელი ტერმინი.<sup>126</sup>

საგულისხმოა, რომ 2012 წელს მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, რომლითაც გაუქმდა 1996 წლის კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“.<sup>127</sup> ამავდროულად, ევროკავშირის კანონმდებლობასა და სტანდარტებთან დაახლოვების მიზნით, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს დაევალა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის შემუშავება, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა ამ დარგში ევროკავშირის ქვეყნების პრაქტიკასთან. დღეისათვის, კანონპროექტზე მუშაობის პროცესი დასრულებული არ არის.

თუმცა, ეს ისე არ უნდა იქნეს გაგებული, თითქოს დღეს მომხმარებელი დაუცველი რჩება. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში მოცემულია მრავალი მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელ ნორმა. ამ მხრივ, სასამართლო პრაქტიკაც უხვად შეიცავს გადაწყვეტილებებს, რომელებიც მომხმარებელთა უფლებების დაცვასა და გაძლიერებას ემსახურება. ამასთან, მაგალითად, ნაკლის მქონე ნივთის შეძენა/გადაცემასთან დაკავშირებული მეწარმის პასუხისმგებლობის საკითხი ძირითადად განიხილება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმებისა და „პროდუქტის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.<sup>128</sup> მეტიც, საქართველოს საერთო სასამართლოების პრაქტიკის ანალიზი ცხადყოფს

<sup>125</sup> ძლიერი შეიღვით ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., ხვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებოსამართალი, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2014, 28.

<sup>126</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ქართული თარმანი, (2010 წლის 1 მარტის მდგრადირებით), გამომც. შპს „სიესტა“, თბ. 2010; კროფტოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბ., 2014, 249-252.

<sup>127</sup> საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“, სხივ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 25/05/2012.

<sup>128</sup> მაგ. იხ., სუს, საქმე №ას-708-674-2015, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx> და სხვა.

მომხმარებელთა უფლებების მიმართ სათანადო დამოკიდებულებას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლო უზრუნველყოფს მომხმარებელთა უფლებების დაცვას უხარისხო პროცესში, მომხმარებელთა სათანადო ინფორმირების, შეცდომაში შემყვანი რეკლამის, სტანდარტული პირობებით დადგებულ ხელშეკრულებებში, დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე და სხვა ისეთ დავებში სადაც ხელშეკრულების მხარე მომხმარებელია.<sup>129</sup>

## 2.5. მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ევროკავშირის დირექტივების გავლენა ქართულ სახელშეკრულებო სამართალზე და ხელშეკრულების უარყოფის უფლება

საქართველოსა და ევროკავშირის შორის 2014 წლის 27 ივნისს ხელმოწერილი ასოცირების შეთანხმება,<sup>130</sup> 2016 წლის 1 ივლისს სრულად შევიდა ძალში. „ასოცირების შეთანხმება მიზნად ისახავს ევროკავშირისა და საქართველოს შორის პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნის გზით. საბაჟო ტარიფებისა და ქვიტების გაუქმებისა და ევროკავშირის სტანდარტებთან სავაჭრო კანონებისა და რეგულაციების დაახლოების გზით, შეთანხმება საქართველოს სთავაზობს ჩარჩოს გაჭრობისა და ეკონომიკური ზრდისთვის. ეს ხელს შეუწყობს ევროკავშირის ერთიან ბაზარზე საქართველოს თანმიმდევრულ ინტეგრაციას.“

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ხელმოწერით საქართველომ აიღო ვალდებულებები ისეთ სფეროებში, როგორიცაა დემოკრატია და კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები და ფუნდამენტური თავისუფლებები, კარგი მმართველობა, საბაზრო ეკონომიკა და მდგრადი განვითარება. ამასთან, შეთანხმება საქართველოს აკისრებს ამბიციური რეფორმების განხორცილებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა უსაფრთხოების პოლიტიკა, ვაჭრობა, ეკონომიკის გაჯანსაღება და ზრდა და, ასევე, მმართველობა. ასოცირების შეთანხმება ასევე ითვალისწინებს ევროკავშირისა და საქართველოს შორის თანამშრომლობის გაძლიერებას ბევრ ისეთ სფეროში, როგორიცაა, მაგალითად, გარემოს დაცვა, სოციალური განვითარება და დაცვა, ტრანსპორტი, მომხმარებელთა დაცვა, განათლება, ახალგაზრდობა და კულტურა, მრეწველობა და ენერგეტიკა. ამჟამად შემუშავების ეტაპზეა „ასოცირების დღის წესრიგი“ 2017-2020 წლებისთვის, რომელიც განსაზღვრავს რეფორმების მოკლე და საშუალოვადიან პრიორიტეტულ მიმართულებებს“.<sup>131</sup>

<sup>129</sup> იბ. სუს გადაწყვეტილებები საქმეებზე №ს-87-420-05; №ს-296-624-07; №ს472-445-2011; №ს-291-273-2014; №ს-708-674-2015; №ს-1196-1125-2015 და სხვანი.

<http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

<sup>130</sup> [https://eeas.europa.eu/georgia/pdf/eu-ge\\_aa-dcfta\\_en.pdf](https://eeas.europa.eu/georgia/pdf/eu-ge_aa-dcfta_en.pdf) [30.8.2014], Official Journal of the European Union, L 261/4.

<sup>131</sup> <http://www.mfa.gov.ge/News/EU-Georgia-Association-Agreement-fully-enters-into.aspx> [01.07.2016], საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი.

საგულისხმოა, რომ ასოცირების შეთანხმება ავალდებულებს საქართველოს სახელმწიფოს აწარმოოს მჭიდრო თანამშრომლობა მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროში და უზრუნველყოს ევროპული სტანდარტების დანერგვა ამ მიმართულებით. მეტიც, ასოცირების შეთანხმება შეიცავს მომხმარებელთა უფლებების შესახებ იმ ევროპული დირექტივების ვრცელ ჩამონათლავს, რომელთა იმპლიმენტირება ეროვნულ კანონმდებლობაში სავალდებულოა მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი ნორმების რეფორმირების დროს. ნიშანდობლივია, რომ ასოცირების შეთანხმება უთითებს იმ ევროპულ დირექტივებზეც, რომლებიც უშუალოდ ხელშეკრულების უარყოფის უფლებას უკავშირდება და წინამდებარე კვლევის ძირითადი საფუძველია. ესენია: ევროპის საბჭოს 1985 წლის 20 დეკემბრის დირექტივა 85/577 მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ მეწარმეთა ადგილსამყოფელისაგან მოშორებით დადგებული ხელშეკრულების დროს,<sup>132</sup> და ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 1997 წლის 20 მაისის 97/7 დირექტივა მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ დისტანციურად დადგებული ხელშეკრულებების დროს<sup>133</sup>. მნიშვნელოვანია, ისიც, რომ დასახელებული დირექტივებით დამკვიდრებული მიღები, საქართველოს კანონმდებლობაში უნდა აისახოს, ასოცირების შეთანხმებით ძალაში შესვლიდან ხუთი წლის განმავლობაში. ამასთან, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, 2011/83 25 ოქტომბერს, ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს მიერ მიღებული იქნა ახალი დირექტივა 2011/83 „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“, რომელმაც შეცვალა და შეავსო დასახელებული დირექტივები და ისინი ერთიანი რეგულირების სივრცეში მოაქცია,<sup>134</sup> რასაც დაწვრილებით შევეხებით წინამდებარე ნაშრომის შემდგომ თავებში.

ამდენად, ხელშეკრულების უარყოფის თაობაზე ევროპული დირექტივებით დამკვიდრებული სტანდარტი, რამდენიმე წლის განმავლობაში სავალდებულო დათქმებად იქცევა ქართულ სამართალ შიც. ამიტომაც, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ამ ინსტიტუტის კვლევა ევროპის სახელშეკრულებო სამართლის მაგალითზე მნიშვნელოვანია როგორც მისი საკანონმდებლო რეგლამენტაციისათვის, ასევე პრაქტიკაში დანრეგულირებისაც.

<sup>132</sup> Council Directive 85/577/EEC of 20 December 1985 to protect the consumer in respect of contracts negotiated away from business premises; ასოცირების შეთანხმება, [https://eeas.europa.eu/georgia/pdf/eu-ge\\_aa-dcfta\\_en.pdf](https://eeas.europa.eu/georgia/pdf/eu-ge_aa-dcfta_en.pdf) [30.8.2014], Official Journal of the European Union, L 261/4.

<sup>133</sup> Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council of 20 May 1997 on the protection of consumers in respect of distance contracts, ასოცირების შეთანხმება, [https://eeas.europa.eu/georgia/pdf/eu-ge\\_aa-dcfta\\_en.pdf](https://eeas.europa.eu/georgia/pdf/eu-ge_aa-dcfta_en.pdf) [30.8.2014], Official Journal of the European Union, L 261/4.

<sup>134</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011, Official Journal of European Union, L304/64, 22.11.2011.

### III. ხელშეკრულების უარყოფის უფლება, როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის სპეციალური ინსტიტუტი

#### 3.1. ხელშეკრულების უარყოფის უფლება ეგროპის ქმედების სახელშეკრულებო სამართალში

ევროპის სახელშეკრულებო სამართალში მომხმარებელთა უფლებების დაცვის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტად ხელშეკრულების უარყოფის უფლება ითვლება.<sup>135</sup> იგი შედარებით ახალია ერთიანი ეკროპული სამართლისათვის და თავისი შინაარსით მნიშვნელოვნად განსხვავდება ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა ფორმებისაგან. ევროპელი კანონმდებლის გაგებით, ხელშეკრულების უარყოფის უფლება, ერთი მხრივ, უზრუნველყოფს მომხმარებლის სახელშეკრულებო თავისუფლების დაცვას, ხოლო, მეორე მხრივ, განიხილება ხელშეკრულებისაგან გათავისუფლების მარტივ საშუალებად. „ამ უფლების მთელი არსი იმაში მდგომარეობს, რომ მომხმარებელს მიეცეს მატერიალური წინაპირობებისაგან თავისუფალი, ცალმხრივად განხორციელებადი და ასევე ხელშეკრულებისაგან ცალმხრივად განმათავისუფლებელი უფლება, რომელიც, ზოგადი უფლებების პარალელურად, მათგან დამოუკიდებლად იარსებებს და რომლის რეალიზების შესაძლებლობა ექნება ყველას, ვინც ხელშეკრულებას დადებს“.<sup>136</sup>

შესაბამისად, მომხმარებლის ეს უფლება სახელშეკრულებო ბოჭვისაგან გათავისუფლების სხვა ტრადიციული ინსტიტუტების იდენტური არ არის. ამასთან, მისი რეალიზება შესაძლებელია არა ყველა სახის, არამედ მხოლოდ კონკრეტული ხელშეკრულებების მიმართ, მიზანი, კი ნაჩერევად მიღებული გადაწყვეტილებებისაგან მომხმარებელთა დაცვაში მდგომარეობს.

თავის მხრივ, ხელშეკრულების უარყოფის უფლება არ არის ევროკავშირის სახელშეკრულებო სამართლის გამონაგონი. იგი ცალკეული სახელმწიფოების სამართალში გაცილებით ადრე არსებობდა. ამ თვალსაზრისით, სპეციალური საკანონმდებლო რეგულირების ყველაზე თვალსაზრისით მაგალითია განვადებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებები. მყიდველის სუსტი ფსიქოლოგიის გათვალისწინებით, მისთვის ხელშეკრულებაზე ცალმხრივად უარის თქმის უფლების მიცემა თავიდანვე გაუმართლებელი გადაწყვეტილებების აცილებას ემსახურებოდა.<sup>137</sup>

<sup>135</sup> Schulze R., The Right of Withdrawal, Perspectives for European Consumer Law, Towards a Directive on Consumer Rights and Beyond, Sellier, european law publishers, 2010, 13-22.

<sup>136</sup> რომელი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეკრულების ფონდი, თბ., 2014, 250.

<sup>137</sup> Terryn E., The Right of Withdrawal, The Acquis Principles and The DCFR, CFR and Existing EC Contract Law, Sellier, ELP, Munich, 2008, 146.

პროდუქციის მრავალფეროვნებამ და გაუმჯობესებულმა სადისტრიბუციო შესაძლებლობებმა გამოიწვია ახალი ბაზრის გახსნა და მნიშვნელოვნად გაზარდა პოტენციური მყიდვების რაოდენობა. განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებებმა ნაკლები შემოსავლის მქონე ადამიანებს შესაძლებლობა მისცა მათთვის სასურველი საქონელი გადახდის განაწილვადებით შეეძინათ. მაგრამ ამასთან დაკავშირებული იყო არაერთი სპეციფიკური რისკი და უარყოფითი შედეგიც. თუ მყიდველი ვერ შესრულებდა გადახდის ერთ ვალდებულებას მაინც, გამყიდველი უფლებამოსილი იყო, უკან წაედო საქონელი და დაეტოვებინა მთელი გადახდილი თანხაც. ეს იყო ერთ-ერთი ძირითადი კატალიზატორი, რომელიც წინ უძლოდა საერთო გადაწყვეტილებას იმის შესახებ, რომ სამეწარმეო თავისუფლება უნდა შეზღუდულიყო იქ, სადაც ერთი მხარე, მისი დაქვემდებარებული ეკონომიკური მდგრმარეობის გამო, იძულებული იყო მიედო მეორე მხარის პირობები. შედეგად, განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებებისათვის, მაგალითად, გერმანიაში აიკრძალა საჯარიმო მუხლები. გარდა ამისა, მიღებულ იქნა იმპერატიული ნომრები, რომლებიც იცავდნენ მყიდველებს გადასახადის გადაუხდელობის გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევებში. რა თქმა უნდა, ახალი რეგულაციები არ იყო მიმართული მხოლოდ მომხმარებლისადმი. დაცვის ქვეშ ექცეოდა ყველა, ერთი გამონაკლისის გარდა, საქონლის მიმღები არ უნდა ყოფილიყო სამეწარმეო რეესტრში კომერსანტად რეგისტრირებული.<sup>138</sup>

მაგალითად, 1931 წლიდან ავსტრიის კანონმდებლობა მყიდველს უფლებას აძლევდა სამი დღის განმავლობაში უკან გამოეთხოვა თავისი ოფერტი ან უარი ეთქვა საცხოვრებელ კართან დადებულ კრედიტის ხელშეკრულებაზე. 1962 წელს შვეიცარიის კანონმდებლობითაც იქნა დაშვებული მსგავსი რეგულაცია. კერძოდ, განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაში შედიოდა მყიდველისათვის, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულების გადაცემიდან ხუთი დღის შემდეგ. ამასთან, შეიმჩნეოდა მნიშვნელოვანი სხვაობაც ამ ორ რეგულაციას შორის. ავსტრიის მოდელი, უარყოფას დასაშვებად მიიჩნევდა ხელშეკრულების დადების მომენტიდან, ხოლო შვეიცარიის კანონმდებლობა – ხელშეკრულებას დადებულად მიიჩნევდა გარკვეული ვადის გასვლის შემდეგ.<sup>139</sup>

ხელშეკრულების ცალმხრივად უარყოფის საგამონაკლისო უფლებამ გერმანიის სახელშეკრულებო სამართალშიც დაიმკვიდრა თავი. კერძოდ, აქაც ამ შესაძლებლობას იძლეოდა განვადებით ხელშეკრულებების მარეგულირებელი აქტი, რომლითაც მომხმარებელს ენიჭებოდა ხელშეკრულებაზე უარის თქმა უფლების შესახებ შეტყობინებიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამას მოჰყვა დისტანციური სწავლების სპეციალური

<sup>138</sup> Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 166; Markesinis B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 266.

<sup>139</sup> Terryn E., The Right of Withdrawal, The Acquis Principles and The DCFR, CFR and Existing EC Contract Law, Sellier, ELP, Munich, 2008, 146.

მოწესრიგება, სადაც მომხმარებელს ასევე მიენიჭა ხელშეკრულების უარყოფის უფლება ორი კვირის განმავლობაში იმ მომენტიდან, როცა მას პირველად გადაეცემოდა სასწავლო მასალები. შემდგომ, ხელშეკრულების უარყოფის უფლებამ თავი იჩინა ტურისტული მოგზაურობისა და ხელშეკრულების სტანდარტული პირობებისაგან მხარეთა დაცვის დანაწესებში. გარდა ამისა, 1960-იანი წლებიდან, მომხმარებელს მიენიჭა ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება საცხოვრებელ კართან დადებული ხელშეკრულების მიმართაც.<sup>140</sup>

საგულისხმოა, რომ ბელგიაში, საფრანგეთში, პოლანდიასა და გაერთიანებულ სამეფოში, ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება მიმართული იყო საცხოვრებელ სახლთან დადებულ გარიგებებში მომხმარებელთა დაცვისაკენ. ამასთან, საფრანგეთში უარყოფის უფლება პოპულარული ხდება 1970-იანი წლებიდან. პოლანდიაში 1973 წელს მიღებული იქნა საცხოვრებელ კართან დადებული ხელშეკრულებების შესახებ ცალკე აქტი. გაერთიანებულ სამეფოში მომხმარებელთა დაცვის კომიტეტმა 1962 წელს პირველად მიუთითა ხელშეკრულების შედეგების გადახედვის საგალდებულობაზე საცხოვრებელ კართან დადებული ხელშეკრულებებისათვის. თავის მხრივ, ბელგიის კანონმდებლობაშიც დაიშვა ხელშეკრულების უარყოფის შესაძლებლობა საცხოვრებელ კართან განვადებით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებებისათვის.<sup>141</sup>

შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულების უარყოფის უფლების დამკვიდრება, უკავშირდება იმ საერთო სულისკვეთებას, რაც ზოგადად ახასიათებდა მომხმარებელთა უფლებების დაცვის სფეროს მე-20 საუკუნის ბოლოსათვის. ამასთან, მისი არსებობა ძირითადად უკავშირდებოდა განვადებით და საცხოვრებელ კართან დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებებს. ვაჭრობის ეს ფორმა შედარებით ახალი იყო იმ პერიოდისათვის და სპეციალურ რეგულირებას მოითხოვდა. ევროპის სახელმწიფოთა გაერთიანებამ გადაწყვიტა ხელშეკრულების უარყოფის უფლების საერთო კონცეფციის ჩამოყალიბება. საბოლოოდ, მომხმარებლის ამ უფლებამ, როგორც დაცვის უფექტურმა ინსტრუმენტმა, ევროპის სახელშეკრულებო სამართალში ძირითადად ევროკავშირის დირექტივების საფუძველზე დაიმკვიდრა თავი.

### **3.2. ხელშეკრულების უარყოფის უფლება ევროკავშირის დირექტივებში**

ევროპის სამომხმარებლო სამართალში, ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ნების უკან გამოთხოვის შესაძლებლობა პირველად 1985

<sup>140</sup> Zimmerman R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 172.

<sup>141</sup> Terryn E., The Right of Withdrawal, The Acquis Principles and The DCFR, CFR and Existing EC Contract Law, Sellier, ELP, Munich, 2008, 147.

წელს, არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებების შესახებ  
მიღებული დირექტივით იქნა რეგლამენტირებული.<sup>142</sup><sup>143</sup>

მას მოჰყვა რამდენიმე სხვა დირექტივაც, სადაც, გარკვეული  
გარემოებების გათვალისწინებით, მომხმარებელს ასევე მიენიჭა  
ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება. ესენია: სიცოცხლის დაზღვევის  
შესახებ დირექტივა,<sup>144</sup> ვადიანი თანასაკუთრების შესახებ დირექტივა,<sup>145</sup>  
დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების შესახებ დირექტივა,<sup>146</sup>  
დისტანციური ფინანსური მომსახურების შესახებ დირექტივა<sup>147</sup> და  
სამომხმარებლო კრედიტის შესახებ დირექტივა.<sup>148</sup> შედეგად,  
ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ნების უკან გამოთხოვის  
უფლება, ევროპის სამომხმარებლო სამართალის განუყოფელ ნაწილად  
იქცა. ამასთან, ევროპავშირის მიერ შემუშავებულ დირექტივებში  
ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების აღმინშვნელი სხვადასხვა  
ტერმინი გამოიყენებოდა.<sup>149</sup> შინაარსობრივად, ყველა მათგანი დაახლოებით  
ერთი და იმავეს გულისხმობდა – მომხმარებლის უფლებას უარი ეთქვა  
ხელშეკრულებაზე, უკან გამოვლენილი ნების უკან გამოთხოვის გზით.

საგულისხმოა, რომ დირექტივის არსებობის პირობებშიც, წევრი  
სახელმწიფოების კანონმდებლობა ითვალისწინებდა ხელშეკრულების  
უარყოფის უფლებას, მისგან განსხვავებული საფუძვლებით. მაგალითად,  
დანიის სამართალი უფლებას აძლევდა მყიდველს, უარი ეთქვა  
საცხოვრებელი სახლის ნახყიდობის ხელშეკრულებაზე. საფრანგეთის  
სამოქალაქო სამართალი ორ განსხვავებულ მიღებობას ითვალისწინებდა.  
ერთი მხრივ, იგი აღიარებდა ე.წ. *delai de reflexion*, რომელიც უკრძალავდა  
მომხმარებელს ოფერტის მიღებას დროის განსაზღვრული პერიოდის

<sup>142</sup> Schulze R., The Right of Withdrawal, Perspectives for European Consumer Law, Towards a Directive on Consumer Rights and Beyond, Sellier, euripean law publishers, 2010, 13-22.

<sup>143</sup> ევროპის საბჭოს 1985 წლის 20 დეკემბრის დირექტივა 85/577 მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულების დროს.

<sup>144</sup> ევროპის საბჭოს 1990 წლის 8 ნოემბრის 90/619 დირექტივა სიცოცხლის დაზღვევასთან დაკავშირებული სამართლის, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული მოწესრიგების კოორდინაციის შესახებ და ასევე 79/267 დირექტივა სიცოცხლის დაზღვევის შესახებ დირექტივაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

<sup>145</sup> ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 1994 წლის 26 ოქტომბრის 94/47 დირექტივა შემძებოა ინტერესების დაცვის შესახებ, უძრავ ნივთებზე ვადიანი თანასაკუთრების უფლების შექმნის დროს.

<sup>146</sup> ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 1997 წლის 20 მაისის 97/7 დირექტივა მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ დისტანციურად დადებული ხელშეკრულების დროს.

<sup>147</sup> ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2002 წლის 23 სექტემბრის 2002/65 დირექტივა დისტანციური მარკეტინგისა და ფინანსური მომსახურების შესახებ.

<sup>148</sup> ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2008 წლის 23 აპრილის 2008/48 დირექტივა სამომხმარებლო კრედიტის შესახებ.

<sup>149</sup> The Right of Renunciation; The Right of Cancellation; The Right of Revocation; The Right of Rescind; The Right of Withdrawal. შეად., Principles of the Existing EC Contract Law (Acquis principles), Contract I, Pre-Contractual Obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, Prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007, 156.

განმავლობაში, ხოლო, მეორე მხრივ, *stricto sensu* ე.წ. *droit de repentir* შემთხვევებში. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი ცალკე ითვალისწინებდა ცალმხრივად უარყოფის უფლებას დისტანციური სწავლების შესახებ ხელშეკრულებებში. მომსახურების შემძენს შეგძლო სასწავლო მასალების სრულად მიღების შემდეგ, დადგენილ გადაში, უარი ეთქმა ხელშეკრულებაზე.<sup>150</sup>

გარდა ამისა, უარყოფის უფლებით სარგებლობა უკავშირდებოდა შესაბამის ვითარებაში ხელშეკრულების დადებას. უფლების არსებობა დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რომელი დირექტივა ვრცელდებოდა ამ კონკრეტულ სახელშეკრულებო ურთიერთობაზე. ხელშეკრულების უარყოფის შესაძლებლობა, მისი განხორციელების ვადა და, მით უფრო, ამ ვადის დაწყება ერთმანეთისაგან იზოლირებულად განიმარტებოდა სხვადასხვა დირექტივით. მეტიც, წევრი სახელმწიფო ორგანიზაციის ნაციონალურ სამართალში დირექტივების გადატანა იწვევდა უარყოფის უფლების სხვადასხვაგარ ინტერპრეტაციას. ყოველი სახელმწიფო ცდილობდა უარყოფის უფლების მისადაგებას ხელშეკრულების შეწყვეტის სხვა ფორმებთან, რასაც შედეგად ე.წ. პიბრიდული მოდელის დამკვიდრება მოყვებოდა.<sup>151</sup>

### **3.3. ხელშეკრულების უარყოფის უფლება „მომსახურებელთა უფლებების შესახებ“ 2011/83 დირექტივაში**

21-ე საუკუნის გამოწვევებმა დღის წესრიგში დააყენა მთელი რიგი საკითხებისა და, მათ შორის, მომსახურებელთა უფლებების მარებულირებელი ნორმების გადახედვის აუცილებლობა.<sup>152</sup> საბაზრო ურთიერთობების მოთხოვნებმა და ტექნოლოგიურმა მიღწევებმა ახალი მიდგომები დაამკვიდრა მომსახურებლის „სუსტ“ მხარედ აღიარებისათვის.<sup>153</sup> წარმოიშვა სამომსახურებლო სამართლის მოდერნიზაციის საჭიროება. მნიშვნელოვან პრობლემას ერთი და იმავე ურთიერთობის სხვადასხვა დირექტივით მოწესრიგების მცდელობა წარმოადგენდა, რაც აფერხებდა ევროპის შიდა ბაზრის სწრაფი განვითარების პროცესს. ეს განსაკუთრებით

<sup>150</sup> Smith J.M. Rethinking the Usefulness of Mandatory Rights of Withdrawal in Consumer Contract Law: The Right to Change Your Mind?, Maastricht European Private Law Institute, working paper No., 2001/01.

<[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1719104](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1719104)>, [23.03.2013].

<sup>151</sup> European Contract Law, Materials for a Common Frame of Reference: Terminology, Guiding Principles, Model Rules, Sellier, ELP, Munich, 2008, 345; Smith J.M. Rethinking the Usefulness of Mandatory Rights of Withdrawal in Consumer Contracts Law: The Right to Change Your Mind?, Maastricht European Private Law Institute, working paper No.2001/01,<[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1719104](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1719104)>, [23.03.2013].

<sup>152</sup> Twigg-Flesner C., "Good-Bye Harmonization by Directives, Hello Cross-Border only Regulations?" – A Way Forward for EU Consumer Contract Law, European Law Review of Contract Law, 2011, 7(2),4.

<sup>153</sup> Dani M., Assembling the Fractured European Consumer, A New Concept of European Federalism, LEQS Paper, No., 29/2011, <<http://www.lse.ac.uk/europeanInstitute/LEQS/LEQSPaper29.pdf>>, [22.07 2013], 11.

თვალსაჩინო იყო ხელშეკრულების უარყოფის უფლებასთან მიმართებაში,<sup>154</sup> ვინაიდან მისი მარეგულირებელი ნორმები ერთმანეთისაგან განსხვავებული შინაარსით იქნა იმპლემენტირებული წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაში. მოუწესრიგებელი რჩებოდა ნების უკან გამოთხოვის ვადები, რაც დაბრკოლებას ქმნიდა დისტანციურად დადებული ხელშეკრულებებისათვის და სამომხმარებლო სამართლის პარმონიზაციის შემაფერხებელ გარემოებად მიიჩნეოდა.<sup>155</sup>

ერთი უფლების მრავალგვარი ინტერპრეტაცია გამოწვეული იყო დირექტივებით დაშვებული მინიმალური პარმონიზაციით.<sup>156</sup> იგი საშუალებას აძლევდა წევრ სახელმწიფოებს დირექტივების იმპლემენტაციის პროცესში მოეხდინათ ნორმის უფრო მკაცრი ანდა განსხვავებული რეგლამენტაცია.<sup>157</sup> რეგულირების მრავალფეროვნება მნიშვნელოვნად აბრკოლებდა მომხმარებელთა და მეწარმეთა აქტიურობას ტრანსსასაზღვრო სავაჭრო ურთიერთობებში. სამართლებრივი მექანიზმების მოქმედება უმეტესწილად დამოკიდებული იყო შესაბამისი სახელმწიფოს იურისდიქციისადმი დაქვემდებარებით (მომხმარებლისათვის - მოქალაქეობა, მეწარმისათვის – იურიდიული რეგისტრაციის ადგილი).<sup>158</sup>

დაცვის საშუალებათა დივერსიფიკაცია, უპირველეს ყოვლისა, მიუღებელი ადმონიდა ერთიანი ბაზრის იდეისათვის.<sup>159</sup> ტრანსსასაზღვრო სავაჭრო ურთიერთობები კვლავაც აუთვისებელ სფეროდ რჩებოდა, რის გამოც მომხმარებელები და მეწარმეები არ იყენებდნენ შიდა ბაზრის ყველა შესაძლებლობას.<sup>160</sup> დღის წესრიგში დადგა სამი ძირითადი პრობლემის მოგვარების აუცილებლობა: 1) ევროპის შიდა ბაზრის განვითარების პოტენციალზე წევრი სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობის უარყოფითი გავლენის აღმოფხვრა. უნდა შემუშავებულიყო ერთიანი სტრატეგია განსხვავებული და ხშირ შემთხვევაში ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომების ერთგვაროვანი მოწერიგებისათვის; 2) უნდა დახერგილიყო მყარი

<sup>154</sup> Schulze R., The Right of Withdrawal, Perspectives for European Consumer Law, Towards a Directive on Consumer Rights and Beyond, Sellier, European Law Publishers, 2010, 13-22.

<sup>155</sup> Hesselink M. W., European Contract Law: a Matter of Consumer Protection< Citizenship, or Justice?, Centre for the Study of European Contract Law Univesiteit van Amsterdam, working Paper Series No., 2006/04, 16-20; Loos M., Right of Withdrawal, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 237-239.

<sup>156</sup> Twigg-Flesner C., "Good-Bye Harmonization by Directives, Hello Cross-Border only Regulations?" – A Way Forward for EU Consumer Contract Law, European Law Review of Contract Law, 2011, 7(2), 6.

<sup>157</sup> Bussani M., Werro F., European Private Law: A Handbook, Volume I, Berne, 2009, 253.

<sup>158</sup> Macsim A.-R., The New Consumer Rights Directive, a Comparative Law, and Economics Analysis of the Maximum Harmonization Effects on Consumers and Businesses, The Case of the Cooling-off Period from Online Contracts, <<http://pure.au.dk/portal/files/44659752/Thesis.pdf>>, [27.11.2013].

<sup>159</sup> Howells G., The Rise of European Consumer Law – Whither National Consumer Law? Sydney Legal Review, 37, 2006, 28, <[http://sydney.edu.au/Law/slrl28\\_1/Howells.pdf](http://sydney.edu.au/Law/slrl28_1/Howells.pdf)>, [27.04.2014], 69.

<sup>160</sup> Howells G., Schulze R., Overview of the Proposed Consumer Rights Directive, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 6; Macsim A.-R., The New Consumer Rights Directive, A Comparative Law and economics Analysis of the maximum Harmonization Effects on consumers and Businesses, The case of the Cooling-off Period from Online Contracts, <<http://pure.au.dk/portal/file/44659752/Thesis.pdf>>, [27.11.2013].

სამართლებრივი გარანტიები მომხმარებელთა ნდობის ასამაღლებლად და 3) შექმნილიყო მოქნილი მექანიზმები შიდა ბაზარზე ვაჭრობის განვითარების ხელშეწყობისათვის.<sup>161</sup>

მომხმარებელთა უფლებების შესახებ სხვადასხვა სახის დირექტივების რეფორმა, მოტივირებული იყო ერთიანი პორიზონტალური ეფექტის მქონე აქტის შექმნით, რომელიც აღმოფხვრიდა ყველა მანამადე არსებულ წინააღმდეგობას და უზრუნველყოფდა მომხმარებელთა თამაზ მონაწილეობას ტრანს-სასაზღვრო სავაჭრო ტრანზაქციებში. ამასთან, მას უნდა ჰქონოდა სრული პარმონიზაციის ეფექტი, ყოველგვარი გამონაკლისებისა და განსხვავებული რეგულირების მექანიზმების დაშვების გარეშე.<sup>162</sup>

ნიშანდობლივია, რომ ახალ დირექტივაზე მუშაობა თავიდანვე მიმდინარეობდა DCFR-ზე მუშაობის პარალელურად,<sup>163</sup> რომელსაც ერთგვარი შემაჯამებელი ხასიათი ჰქონდა ევროპის სახელშეკრულებო სამართლის ძირეული საკითხების მოდერნიზაციისათვის. თავის მხრივ, მომხმარებელთა უფლებების დახვეწის საჭიროებამ გავლენა მოახდინა ევროპის სახელშეკრულებო სამართალზეც.<sup>164</sup> აღნიშნული შემდგომ აისახა კიდევაც ევროპავშირის მიერ მიღებულ ოფიციალურ დოკუმენტში, რომელმაც განსაზღვრა ევროპის სახელშეკრულებო სამართლის ძირითადი მიმართულებები (CFR).<sup>165</sup> მითითებულ დოკუმენტშიც ყურადღება გამახვილდა სამომხმარებლო სამართლის საკითხების რეფორმირების აუცილებლობაზე. ძირითადი სამიზნე წინასახელშეკრულებო ვალდებულებები და ხელშეკრულების უარყოფის უფლება იყო, რომელსაც უნდა უზრუნველყო მომხმარებელთა თავდაჯერებული მონაწილეობა ტრანს-სასაზღვრო სავაჭრო ტრანზაქციებში.

დასახული მიზნის მისაღწევად დაიგეგმა მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი ოთხი დირექტივის გადახედვა და გაერთიანება: ევროპის საბჭოს 93/13 დირექტივის „სამომხმარებლო ხელშეკრულებებში არასამართლიანი პირობების შესახებ“; ევროპის პარალამეტრისა და

<sup>161</sup> McKendriek E., Harmonization of European Contract Law: The State We Are, The Harmonization of European Contract Law, Implications for European Private Law, Business and Legal Practice, ed., by Vongenauer S., Weatherill S., Hurt Pub., Oxford, Portland, Oregon, 2006, 5-31; Micklitz H-W., The Target Full Harmonization Approach” Looking Behind Curtain, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, ELP, Munich, 2009, 48-51;

<sup>162</sup> Twigg-Flesner Ch., Metcalfe D., The proposed Consumer Rights Directive – Less Haste, More Thought? European Review of Contract Law, 2009. Available at SSRN<<http://ssrn.com/abstract=1345783>> [20.01.2015], 10.

<sup>163</sup> Schulze R., The Right of Withdrawal, Perspectives for European Consumer Law, Towards a Directive on Consumer Rights and Beyond, Sellier, European Law Publishers, 2010, 13-22.

<sup>164</sup> Schulze R., The Academic Draft of the CFR and The EC Contract Law, CFR and Existing EC Contract Law, ed., by Schulze R., Sellier, ELP., Munich, 2008, 7-8.

<sup>165</sup> Von Bar CH., A Common Frame of Reference for European Private Law - Academic Efforts and Political Realities, Electronic Journal of Comparative Law, Vol., 12.1 (May 2008), <<http://www.ejcl.org>>, [22.02.2013], 2.

ევროპის საბჭოს დირექტივის 1999/44 „სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ“; ევროპის საბჭოს დირექტივის 85/577 „მომხმარებელთა დაცვის შესახებ არაოფიციალურ ვითარებაში დადგებული ხელშეკრულებების დროს“ და ევროპის პარლამენტისა და ევროპის კავშირის დირექტივის 97/7 „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ დისტანციურად დადგებული ხელშეკრულებების დროს“. საგულისხმოა, რომ 85/577 და 97/7 დირექტივების ქაკუთხედს მომხმარებლისათვის ხელშეკრულების უარყოფის უფლების მინიჭება წარმოადგენდა. ამდენად, ახალი დირექტივის მიღება ყველაზე მეტად მომხმარებლის ამ უფლებაზე მოახდენდა გავლენას.

უპირველესი ამოცანა არსებული რეგულაციების გამარტივება და ხელშეკრულების დადებისას მომხმარებელთა ძირითადი უფლებების განსაზღვრა იყო. თუმცა, ერთგვაროვანი დამოკიდებულების არარსებობის გამო, წამოყენებული იქნა წინააღმდეგობრივი პოზიციები დირექტივის მოქმედების ფარგლებთან დაკავშირებით.<sup>166</sup> საბოლოოდ, კანონმდებელმა გადაწყვიტა სრული პარმონიზაცია დაეშვა მხოლოდ კონკრეტული მიმართულებებით, კერძოდ, არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციურად დადგებული ხელშეკრულებების მიმართ და ისეთ კონკრეტულ საკითხებში, როგორიცაა: ამ ტიპის ხელშეკრულებებში მიწოდებული საქონლისა და გაწეული მომსახურების შესაბამისობა ხელშეკრულების პირობებთან, ხელშეკრულების უარყოფის უფლება და ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. როგორც ჩანს, სრული პარმონიზაცია ფაქტობრივად შეუძლებელი აღმოჩნდა სხვა მიმართულებებით ეროვნული სახელშეკრულებო და პრეცედენტული სამართლის ნორმების გვერდის ავლით. სამომხმარებლო სამართლის სრული პარმონიზაცია სამართლებრივ ბუნდოვანებას გამოიწვევდა როგორც შიდა ბაზრის მარეგულირებელ ნორმებში, ასევე ტრანსსასაზღვრო ურთიერთობებშიც.<sup>167</sup>

საბოლოოდ, 2011/83 25 ოქტომბერს ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს მიერ მიღებული იქნა ახალი დირექტივა 2011/83 „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“, რომელმაც შეცვალა და შეავსო ევროპის საბჭოს 93/13 დირექტივა „სამომხმარებლო ხელშეკრულებებში არასამართლიანი პირობების შესახებ“; ევროპის პარალამენტისა და ევროპის საბჭოს დირექტივა 1999/44 „სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის შესახებ“; ევროპის საბჭოს დირექტივა 85/577 „მომხმარებელთა დაცვის შესახებ არაოფიციალურ ვითარებაში დადგებული

<sup>166</sup> Macsim A.-R., The New Consumer Rights Directive, A Comparative Law and Economics Analysis of the Maximum Harmonization Effects on Consumers and Businesses, The Case of the Cooling-off Period from Online Contracts, 12; Von Bar CH., A Common Frame of Reference for European Private Law - Academic Efforts and Political Realities, Electronic Journal of Comparative Law, Vol., 12.1 (May 2008), <<http://www.ejcl.org>>, [22.02.2013], 6.

<sup>167</sup> Howells G., Schulze R., Overview of the Proposed Consumer Rights Directive, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 7; McKendrik E., Harmonization of European Contract Law: The State We Are, The Harmonization of European Contract Law, Implications for European Private Law, Business and Legal Practice, ed., by Vongenauer S., Weatherill S., Hurt Pub., Oxford, Portland, Oregon, 2006, 5-31.

ხელშეკრულებების დროს“ და ეგროპის პარლამენტისა და ევროკავშირის დირექტივა 97/7 „მომსამრებელთა უფლებების დაცვის შესახებ დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების დროს“.<sup>168</sup>

გარდა ამისა, ახალი დირექტივის ღირსებად მინიმალურ პარმონიზაციაზე უარის თქმას მიიჩნევენ,<sup>169</sup> რაც იმას ნიშნავს, რომ დირექტივით დარეგულირებული ურთიერთობები იდენტური შინაარსით უნდა აისახოს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ყველა კანონმდებლობაში. უფრო მეტიც, წევრ-სახელმწიფოებს დაევალათ დირექტივით გათვალისწინებული დანაწესების იმპლემენტაცია 2013 წლის 13 დეკემბრამდე,<sup>170</sup> რაც წარმატებით განხორციელდა კიდევ. ახალმა დირექტივამ რევოლუციური გავლენა მოახდინა მომხმარებელთა მთელ რიგ უფლებებზე და, მათ შორის, ხელშეკრულების უარყოფის უფლებაზე. საგულისხმოა, რომ ამ დირექტივის ქვეშ გაერთიანებული აქტების უმრავლესობა ითვალისწინებდა უარყოფის უფლებას. ახალი დირექტივით ეს საკითხი კიდევ უფრო დეტალურად იქნა მოწესრიგებული. მე-3 თავი მთლიანად ეთმობა მომხმარებლის ინფორმირების ვალდებულებას და ხელშეკრულების უარყოფის უფლებას დისტანციურ და არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებების დროს. ცალკე ყურადღება გამახვილდა ამ უფლებით სარგებლობის ვადაზე, მისი რეალიზაციის წესზე. ერთი მხრივ, მომხმარებლისა და, მეორე მხრივ, მეწარმის ვალდებულებებზე უარყოფის უფლების რეალიზებისას, ხელშეკრულების უარყოფის შედეგებზე, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებაზე.<sup>171</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულებით შეთანხმებული პირობებით საქონლის მიწოდების ვალდებულება ყოველთვის იყო გათვალისწინებული, როგორც ეროვნულ, ისე სახელმწიფოთაშორისო დონეზე მოქმედ სახელშეკრულებო სამართალ შიც. ეს ზოგადი დათქმა სავსებით ეხმიანებოდა ბაზრის სტაბილურობის მოთხოვნებს, სანამ პირველ პლანზე არ წამოიწია მომხმარებელთა უფლებების განსაკუთრებული დაცვის იდეამ. დღეს მომხმარებლის მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში, შესაბამისობაში იგულისხმება უფრო სუბიექტური სტანდარტი, ვიდრე ობიექტური კრიტერიუმი. კერძოდ, შესაბამისობის ახალი კრიტერიუმი ფასდება მომხმარებლის კმაყოფილების საზომით. ამიტომაც, სავარაუდოდ მომექებული რისკის შემცველ ხელშეკრულებებში, ისეთებში როგორიცაა არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციურად დადებული

<sup>168</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011, Official Journal of European Union, L304/64, 22.11.2011.

<sup>169</sup> Wilinska-Zelek A., Consumer rights – new tendencies, Considerations about directive 2011/83/EU, <http://polishreviewofsocialscience.mage.pl/wp-content/uploads/2012/05/wilinska-zelek-consumer-rights-new-tendencies-considerations-about-directive-2011-83-UE.pdf> 15.12.2013.

<sup>170</sup> Directive 2011/83/EU of The European Parliament and of The Council of 25 October 2011.

<sup>171</sup> Consultation on the implementation of Consumer Rights Directive 2011/83/EU, 2.12.2013. [https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/32690/12-999-consultation-implementation-of-consumer-rights-directive.pdf](https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/32690/12-999-consultation-implementation-of-consumer-rights-directive.pdf), Howells G., Schulze R., Overview of the Proposed Consumer Rights Directive, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 12.

ხელშეკრულებები, მომხმარებლის უფლება ცალმხრივად უარი თქვას ხელშეკრულებაზე, ევროპის სამომხმარებლო სამართლის ერთ-ერთ ქვაკუთხედად განიხილება.<sup>172</sup> ე.წ. იმანენტური ხელშეკრულების უარყოფის უფლება მოქმედებს მაშინაც, როცა მიწოდებული საქონელი ან გაწეული მომსახურება შესაბამისობაშია ხელშეკრულების პირობებთან.<sup>173</sup>

### 3.4. ხელშეკრულების უარყოფის უფლების იმპერატიული ხასიათი

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლისათვის დამახასიათებელია იმპერატიული ნორმების სიჭარბე.<sup>174</sup> ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ნების უკან გამოთხვის უფლება ერთ-ერთ მათგანს მიეკუთვნება და კანონმდებლობით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევებში ხელშეკრულების სავალდებულო დათქმადაა აღიარებული. მისი დაცვითი ფუნქციის გათვალისწინებით, დაუშვებელია ამ უფლების მხარეთა შეთანხმებით გაუქმება, ევროპული დირექტივებით დადგენილი სტანდარტებისაგან შეზღუდული რეგულირება ან მასში ცვლილებების შეტანა უფლებამოსილი პირის ინტერესების საზიანოდ.<sup>175</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ ისეთი სპეციალური დათქმები, როგორიცაა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, ხელშეკრულების უარყოფის ვადა, ამ უფლების შესახებ ინფორმირების ვალდებულება და ამ ვალდებულების განუხორციელებლობის შედეგები, ერთნაირად უნდა იქნეს დამკაიდრებული დირექტივებით ჰარმონიზირებულ სფეროებში. გარდა ამისა, იმპერატიული ნორმების სიჭარბე მომხმარებლის მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელ და სათანადო ჩარევად მიიჩნევა. განსაკუთრებით მაშინ, როცა ასეთი ჩარევა უზრუნველყოფს ორივე მხარის თავისუფალი თვითგამორკვევის შესაძლებლობას.<sup>176</sup>

თუმცა, ხელშეკრულების უარყოფის უფლების იმპერატიული ხასიათის მიუხედავად, იგი მხარეთა შეთანხმების საფუძველზეც შეიძლება წარმოიშვას. მართალია, უარყოფის უფლების მოწესრიგებელი ნორმები ძირითადად მომხმარებელთა უფლებების დამცავ ევროკავშირის დირექტივებშია თავმოყრილი და სავალდებულოა შესასრულებლად, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მათი გამოყენება მომხმარებლისგან დამოუკიდებლად არ შეიძლება. ევროკავშირის სამართალი არ ზღუდავს

<sup>172</sup> Schulze R., The Right of Withdrawal, Oerspectives for European Consumer Law, Towards a Directive on Consumer Rights and Beyond, Sellier, european law publishers, 2010, 13-22.

<sup>173</sup> Schurr, F. The Relevance of European Consumer Protection Law for the Development of European Contract Law. Victoria University of Wellington Law Review 38/1, 2007, 131 – 144, <<http://www.upf.pf/IMG/pdf/09-Schurr.pdf>> [12.10.2014].

<sup>174</sup> ძლიერი შვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2014, 29.

<sup>175</sup> Gheorghe A.N., Spasici C., Consumer's Right To Withdraw, Challenges of Knowledge Society, Private Law, 267

<sup>176</sup> Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 219.

უარყოფის უფლების მოქმედებას მხოლოდ მომხმარებლის მონაწილეობით დადგებული ხელშეკრულებებით.<sup>177</sup> ხელშეკრულების უარყოფის უფლება შესაძლოა გათვალისწინებული იქნას ნებისმიერი სხვა ურთიერთობისთვისაც, რაც უპირატესად მასში მონაწილე პირების გადასაწყვეტია. ამ შემთხვევაში დასაშვები იქნება უფლების განსხვავებული რეგლამენტაცია. მაგალითად, უარყოფის ვადა შეიძლება იყოს მეტი ან ნაკლები, უფლების განხორციელების წესი იყოს უფრო მკაცრი ან მარტივი, ან შეტყობინება უფლების არსებობის შესახებ არ მოითხოვდეს სპეციალურ ფორმას.

### **3.5. ხელშეკრულების უარყოფის უფლება საქართველოს სამოქალაქო კოდექსში**

მომხმარებლის უფლება, ცალმხრივად უარყოს ხელშეკრულება, მოცემულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 336-ე მუხლში, რომელიც ქუჩაში დადგებულ ხელშეკრულებებს ეხება.<sup>178</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსში თავმოყრილი მომხმარებელთა უფლებების მომწესრიგებელი ნორმები, ძირითადად ანალოგიური ურთიერთობების მომწესრიგებელი გერმანული ნორმების რეცეფციის შედეგია.<sup>179</sup> საგულისხმოა, რომ მიუხედავად ქართველი კანონმდებლის მიერ მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ცალკე კანონის მიღებისა, ურთიერთობის ეს ტიპი სწორედ სამოქალაქო კოდექსში განთავსდა. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქუჩაში დადგებული ხელშეკრულება კოდექსში არსებობს არა როგორც ცალკე სახელშეკრულებო ურთიერთობა, არამედ იგი მოქცეულია ვალდებულებითი სამართლის ზოგად ნაწილში, ხელშეკრულების დადების თავში. უნდა ვივარაუდოთ, რომ კანონმდებელს ამით ხელშეკრულების სპეციფიკურობის ხაზგასმა სურდა, მისი არაორდინალურ ვითარებაში დადების ფაქტის წარმოჩნის გზით.

მართლაც, სწორედ ხელშეკრულების დადების უჩვეულო გარემოს გათვალისწინებით ექცევა ამ ტიპის ურთიერთობას განსაკუთრებული ყურადღება, ხოლო მის მონაწილეს, მომხმარებელს, ენიჭება სპეციალური დაცვის უფლება. ამავდროულად, იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ ხელშეკრულების უარყოფის უფლება, როგორც მომხმარებელთა დაცვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებში, ევროკავშირის დირექტივების შედეგად დაინერგა, რომელთა უმრავლესობასაც პორიზონტალური ეფექტი გააჩნდა. ამ უფლებასთან დაკავშირებული სადაცო საკითხები კი, ძირითადად ეროვნული

<sup>177</sup> Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR); Edited by Ch. Von Bar, E.Clive and Hans Schulte-Nölkeand others, ხელმისაწვდომია [http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-Law\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-Law_en.pdf) 14.04.2014. 376.

<sup>178</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებაზი, 31, 24/07/1997.

<sup>179</sup> დიოდიძ თ., ხელშეკრულებაზე უარის თქმა ქუჩაში დადგებული გარიგების დროს გერმანული და ქართული სამართლის მიხედვით, სტუდენტური სამართლებრივი ჟურ., თბ. 2014, 67.

სახელმწიფოებისა და უვროპის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებების შედეგად განიმარტა.<sup>180</sup> სამწუხაროდ, საქართველოს ამ პროცესებში მონაწილეობა არ მიუღია.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიღების დროისათვის, მომხმარებელთა მონაწილეობით დადგებული ხელშეკრულებების მიმართ ინტერესი შედარებით ახალი ხილი იყო კონტინენტური უვროპისათვის, რომელიც, ფაქტობრივად, პირველ ნაბიჯებს დგამდა მომხმარებელთა უფლებების დასაცავად ცალკე სამართლებრივი რეჟიმების ჩამოყალიბების გზაზე. შესაბამისად, არ არის გასაკვირი, რომ ხელშეკრულების უარყოფის უფლება სათანადოდ არ არის მოწერილებული ქართულ სამართალში. თუმცა, ქუჩაში დადგებული ხელშეკრულებები ვაჭრობის საკმაოდ გავრცელებული ფორმაა საქართველოშიც.

მოულოდნელობის ეფექტი, რომელიც დამახასიათებელია ქუჩაში დადგებული ხელშეკრულებებისათვის, და რომლის შედეგებისაგან მომხმარებელი ასე საგულდაგულოდაა დაცული უვროპის სამომხმარებლო სამართალში, ნაკლები სიმძაფრითაა წარმოდგენილი საქართველოში. ხელშეკრულებათა უმრავლესობა, რომელიც შეიძლება მივაკუთვნოთ ქუჩაში დადგებულ ხელშეკრულებებს, უმეტესწილად დაკავშირებულია წვრილმან საყოფაცხოვრებო საქონელთან ან კვების პროდუქტებთან. მათი დირექტულება და დანიშნულება ხშირად თუ იძლევა შეცილების მნიშვნელოვან საფუძვლებს. მეორე მხრივ, ვაჭრობის ამ სფეროს რეგულირების გარეშე დატოვების გამო, არაოფიციალურ ვითარებაში, საქონლისა და მომსახურების შემთავაზებელი პირები არ აკმაყოფილებენ ინფორმაციის მიწოდებისა და მისი გამჭვირვალობის უვროცელ სტანდარტს. დღეისათვის რთულად წარმოსადგენია, რომ მოულოდნელად თავსდამდგარი მოვაჭრე ჯერ შეატყობინებს მომხმარებელს მისი ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ, თან წერილობით, მერე განუმარტავს მისი რეალიზების წესსა და პირობებს და შემდეგ დადებს მასთან ხელშეკრულებას.

ამასთან, უვროპის სამომხმარებლო სამართალში არაოფიციალურ ვითარებაში დადგებული ხელშეკრულებების განმარტებების ბოლოდროინდელი ტენდენციების გათვალისწინებით, ნათელი ხდება, რომ დღეს ამ ტიპის ხელშეკრულებები მხოლოდ მომხმარებლის საცხოვრებელ სახლთან ან მის სამუშაო ადგილზე მოულოდნელად დადგებულ ხელშეკრულებებს არ მოიცავს. შესაბამისად, ქართულ სამომხმარებლო ხელშეკრულებებში უარყოფის უფლების ფაქტობრივად არარსებობა, უფრო სწორედ, სათანადო ყურადღების მიღმა არსებობა, მომხმარებელთა უფლებების დაცვის დაბალი დონის მაჩვენებელია ჩვენს სახელმწიფოში. საგულისხმოა, რომ დღეისათვის ქართულ სასამართლო პრაქტიკაშიც

<sup>180</sup> European Contract Law, Materials for a Common Frame of Reference: Terminology, Guiding Principles, Model Rules, Sellier, ELP, Munich, 2008, 346.

იშვიათია გადაწყვეტილება, რომელიც ეხება ქუჩაში დადგებულ სელშეკრულებასთან დაკავშირებულ დავას.<sup>181</sup>

უნდა ვივარაუდოთ, რომ ქუჩაში დადგებული სელშეკრულებების მიმართ ყურადღების ნაკლებობა გამოწვეულია ასევე სსკ-ის 336-ე მუხლის შედარებით ვიწრო მოქმედების ფარგლებით. კერძოდ, მითითებული მუხლის თანახმად, მომხმარებელსა და საკუთარი სარეწის ფარგლებში მოვაჭრე პირს შორის ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში დადგებული სელშეკრულება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ მომხმარებელი ერთი კვირის ვადაში სელშეკრულებას წერილობით არ უარყოფს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა სელშეკრულება სრულდება მისი დადგებისათანავე.<sup>182</sup>

მითითებული ნორმა რამდენიმე თვალსაზრისით იმსახურებს ყურადღებას: პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ ნორმის დისპოზიციაში ასახული მეწარმის საქმიანობის ფარგლები უნდა მივიჩნიოთ ევროპული აქტებში განვითარებული მსჯელობის ანალოგად. კერძოდ, უორმულირება „საკუთარი სარეწის ფარგლებში მოვაჭრე პირი“ მოიცავს მეწარმის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს გარეთ საქმიანობასაც. „რეწვა“, რომლისგანაც გამომდინარეობს მნიშვნელობა, ნაწარმოებია, განიმარტება, როგორც „ნადირობა რამეზე, მოპოვება რისამე“, წვრილი სელოსნური წარმოება, როგორც საარსებო საშუალებათა დამატებითი მოპოვების წყარო. ამ თვალსაზრისით, სსკ-ის 336-ე მუხლში გამოყენებული განმარტება, როგორც უჩვეულო, არაორდინალურ ვითარებაში განხორცილებული მეწარმეობის ამსახველი საქმიანობა, შეესაბამება ევროპის დირექტივების მიზანს, რასაც აქვე გამოყენებული ტერმინები – „ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში“ ადასტურებს.<sup>183</sup>

თუმცა მითითებული ნორმიდან არ იკვეთება მომხმარებელთა უფლებების დაცვითი ფუნქცია. ჯერ ერთი, დავუშვათ, რომ მომხმარებელს წარმოექმნა სელშეკრულების უარყოფის უფლება დადგენილ ვადაში, სსკ-ის 336-ე მუხლი არ ითვალისწინებს ამ უფლების განხორციელების მექანიზმს, სულ მცირე, ვის უნდა მიმართოს მომხმარებელმა ან სად უნდა გაიგზავნოს წერილობითი შეტყობინება. მეტიც, არ არის გამოკვეთილი მოვაჭრის ვალდებულება ინფორმაციის მიწოდების თაობაზე. გარდა ამისა, ნორმის დისპოზიცია საერთოდ გამორიცხავს სელშეკრულების უარყოფის

<sup>181</sup> საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 336-ე მუხლთან მიმართებაში მიღმიღებული გადაწყვეტილებები არ იძებნება საჯაროდ სელმისაწვდომ საძიები სისტემებში. იხ. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>; ან/და <http://www.library.court.ge/index.php?cat=44> ამასთან, მისაღები იქნება ნებისმიერი შენიშვნა ამ მიმართულებით სასამართლო პრაქტიკის მოძიების თვალსაზრისით.

<sup>182</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.

<sup>183</sup> ზაალიშვილი ვ., სამომხმარებლო კერძოსამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების სისტემური თავისებურებანი ქართულ კანონმდებლობაში, „სამართლის უურნალი“ №1-2, თბ., 2010 70; ბზეკალავა ვ., მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, საუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, დ. გეგენავას საერთო რედაქციით, თბ., 2013, 73.

შესაძლებლობას თუ ხელშეკრულება დადგებისთანავე სრულდება. უნდა აღინიშნოს, რომ ქუჩაში დადგებული ხელშეკრულებების უმრავლესობა სწორედ დადგებისთანავე სრულდება ხოლმე, რაც ამ ურთიერთობის ქართული ვერსიის მიხედვით, მომხმარებელს, ფაქტობრივად, დაუცველს ტოვებს, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ სსკ-ი არ ავალდებულებს ამ მეთოდით მოვაჭრე პირებს, მიაწოდონ მომხმარებლებს შესაბამისი ინფორმაცია. ნორმის ასეთი ფორმულირება არ იძლევა, ხელშეკრულების ქუჩაში დადგების შემთხვევაში მომხმარებელთა უფლებების დაცვის მყარ გარანტიებს.<sup>184</sup>

რეგულირების ნაკლებობა განსაკუთრებით თვალსაჩინოა დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში. ამ ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობები ჯერ ისევ საერთო საფუძვლებით წესრიგდება და, მით უფრო, მათ მიმართ ხელშეკრულების უარყოფის უფლება, როგორც სავალდებულო დათქმა, გათვალისწინებული არ არის. ამასაც, რა თქმა უნდა თავისი ახსნა აქვს. კოდექსის მიღების დროისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხად ითვლებოდა კერძო სამართლის მომწესრიგებელი ნორმების თავმოყრა ერთიან აქტში, რომელიც შესძლებელს გახდიდა პირთა შორის კერძო ხასიათის ურთიერთობების მოწესრიგებას. დისტანციური ვაჭრობის შესახებ პირველი ევროპული დირექტივა მიღებულია 1997 წელს. მისი გავლენით მოდიფიცირდა კიდევაც ევროპის ქვეყნების სამოქალაქო კანონმდებლობაც. მაგალითად, დისტანციურად დადებული ხელშეკრულების შესახებ წესები გერმანიის სამოქალაქო კოდექსში 2000 წლიდან იჩენს თავს.<sup>185</sup> საქართველო იმ ეტაპისათვის, ფაქტობრივად, თავისი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბებს გზაზე პირველ ნაბიჯებს დგამდა და, მით უფრო, დისტანციური კომერციის ჩანასახიც კი არ არსებობდა, ან როგორ იარსებებდა ელექტონიკური გარეშე დარჩენილ სახელმწიფოში.

სახელშეკრულებო ურთიერთობის განვითარების ის თანმიმდევრული ეტაპი, რომელმაც პირისპირ კომუნიკაცია ნელ-ხელა მიიყვანა დისტანციურ კომუნიკაციამდე, საქართველოს არ გაუვლია. ინტერნეტი უეცრად და ყოვლისმომცველად შემოიჭრა ჩვენს ბაზარზე და თითქმის მისი ყველა სფერო მოიცვა. თუმცა, შესაბამისი სამართლებრივი მექანიზმები, რომლებიც დაიცავს მომხმარებლებს მეწარმეთა თვითხებობისაგან, სპეციალური წესების სახით დღემდე არ არსებობს. მართალია, დღეს საქართველოში დისტანციური კომუნიკაციის წესით ვაჭრობა საკმაოდ განვითარებულია, თუმცა იგი, ძირითადად მიმართულია შიდა ბაზარზე. ამასთან საგულისხმოა, რომ არც ერთი ქართული კომპანია, რომელიც მომხმარებლებს მომსახურებასა და საქონელს დისტანციური კომუნიკაციის წესით სთავაზობს, არ უთითებს ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესაძლებლობაზე.

<sup>184</sup> ჭგჭელაშვილი ზ., სახელშეკრულებო სამართლი, თბ., 2008, 103.

<sup>185</sup> ფაჩუაშვილი ნ., დისტანციური ხელშეკრულებები და მათზე უარის თქმის უფლება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სტუდენტური სამართლებრივი ჟურ., 2014, 144.

ამის პარალელურად, საქართველოს ხელმოწერილი აქვს ევროპასთან ასოცირების შეთანხმება, რომელიც ქმნის მოქმედების არეალის გაფართოების რეალურ საფუძველს და შიდა ბიზნესის ტრანსსასაზღვრო დონეზე გაფართოებისა და ევროპის ბაზარზე ინტეგრირების შესაძლებლობას. მაგრამ ამისათვის უნდა შემუშავდეს ევროპის სტანდარტებთან დაახლოებული სამართლებრივი მექანიზმები და მოხდეს მათი ეტაპობრივი ინტეგრაცია ქართულ სამართალში. საგულისხმოა, რომ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების მე-6 ნაწილი ელექტრონულ კომუნიკაციას ეხება, რომლის 127-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად, მხარეები თანხმდებიან, რომ ელექტრონული კომუნიკაციის განვითარება უნდა იყოს თავსებადი მონაცემთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტებთან ელექტრონული კომუნიკაციის მომხმარებელთან ნდობის უზრუნველყოფის მიზნით, ხოლო 128-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ავალდებულებს საქართველოს სახელმწიფოს, აწარმოოს დიალოგი ელექტრონული კომუნიკაციის წარმოშობილი რეგულირების საკითხებზე, მომხმარებელთა უფლებების დასაცავად ელექტრონული კომუნიკაციის ფარგლებში.<sup>186</sup>

შესაბამისად, ცივილიზებული სამყაროს თანამედროვე ტენდენციების შესწავლასა და მათი დანერგვის მცდელობას სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. ერთ-ერთ ასეთ ახალ უფლებად სახელშეკრულებო სამართალში მომხმარებლისათვის მინიჭებული ხელშეკრულების უარყოფის უფლება ითვლება, რომლის არსისა და დანიშნულების გასარკვევად საჭიროა ამ უფლების სრულყოფილი და ყოველმხრივი განხილვა.

### 3.6. ტერმინის დამკვიდრების მიზნებისათვის

ევროპული დირექტივებში,<sup>187</sup> ისევე როგორც ევროპის ქვეყნების სამართლებრივ დოქტრინაში ხელშეკრულების უარყოფის უფლებას სხვადასხვა ტერმინით მოიხსენიებენ. ზოგან იგი აღნიშნულია ხელშეკრულების გაუქმების, ზოგან - შეწყვეტის, ხან - ნების უკან

<sup>186</sup> ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთი მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორე მხრივ, საქართველოს შორის (ქართული თარგმანი), ხელმისაწვდომია [mfa.gov.ge](http://mfa.gov.ge).

<sup>187</sup> ევროპის საბჭოს 1985 წლის 20 დეკემბრის დირექტივა 85/577 მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ არაოფიციალურ ვითარებაში დადგებული ხელშეკრულების დროს; ევროპის საბჭოს 1990 წლის 8 ნოემბრის 90/619 დირექტივა სიცოცხლის დაზღვევასთან დაკავშირებული სამართლის, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული მოწესრიგების კოორდინაციის შესახებ და ასევე 79/267 დირექტივა სიცოცხლის დაზღვევის შესახებ დირექტივაში ცვლილებების შეტანის შესახებ; ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 1994 წლის 26 ოქტომბრის 94/47 დირექტივა შემძენთა ინტერესების დაცვის შესახებ, უძრავ ნივთებზე ვადიანი თანასაკუთრების უფლების შექნის დროს; ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 1997 წლის 20 მაისის 97/7 დირექტივა მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ დისტანციურად დადგებული ხელშეკრულებების დროს; ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2002 წლის 23 სექტემბრის 2002/65 დირექტივა დისტანციური მარკეტინგისა და ფინანსური მომსახურების შესახებ; ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 2008 წლის 23 აპრილის 2008/48 დირექტივა სამომხმარებლო კრედიტის შესახებ.

გამოთხოვის და ხანაც - ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების სახელით.<sup>188</sup> ქართულ სამართალში მომხმარებლის ეს უფლება პირველად გვხვდება დღეისათვის გაუქმებულ კანონში „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“. მასზე მსჯელობისას კანონმდებელი იყენებდა შემდეგ ფორმულირებას „... მომხმარებელს შეუძლია დაარღვიოს ხელშეკრულება ...“.<sup>189</sup> ცხადია, რომ „ხელშეკრულების დარღვევა“ არააღეკვატურად ქდერს, ბუნდოვანია და ვერ ასახავს მომხმარებლის ამ უფლების არსს. ამიტომაც ამ სახით მისი მომავალში დამკვიდრება შეუძლებლად უნდა მივიჩნიოთ.

საგულისხმოა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 336-ე მუხლში,<sup>190</sup> რომელიც ქუჩაში დადებულ ხელშეკრულებებს ეხება ისევე, როგორც მის კომენტარში საუბარია ხელშეკრულების „უარყოფის უფლებაზე“.<sup>191</sup> სახელშეკრულებო სამართლის შესახებ შედარებით ახალ ლიტერატურაშიც მომხმარებლის ამ უფლებაზე მსჯელობისას გამოყენებულია ასევე ტერმინი „ხელშეკრულების უარყოფის უფლება“.<sup>192</sup> ამასთან, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ქართულ თარგმანში მომხმარებლის მიერ აქცევტის გამოთხოვის აღმნიშვნელ ტერმინად მითითებულია „ხელშეკრულებაზე უარის თქმა“.<sup>193</sup> ზუსტად ასევეა მოხსენიებული მომხმარებლის ეს უფლება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარის ქართულ თარგმანშიც.<sup>194</sup>

თავის მხრივ, „უარყოფაში“ სწორედ უარის თქმა იგულისხმება - უარყოფა მოქმედებისა, რისამე არსებულის არმიჩნევა, მიუღებლობა, უპუგდება, რამეზე უარის თქმა. უარყოფს, ანუ უარს ამბობს, არ თანხმდება,

<sup>188</sup>The Right of Renunciation; The Right of Cancellation; The Right of Revocation; The Right of Rescind; The Right of Withdrawal. შეად., Principles of the Existing EC Contract Law (Acquis principles), Contract I, Pre-Contractual Obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007, 156. European Contract Law, Materials for a Common Frame of Reference: Terminology, Guiding Principles, Model Rules, Sellier, European Law Publishers, Munich, 2008, 342. ამასთან, წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაში მომხმარებლის ეს უფლება შემდგვინებებით მოიხსენიება: ინგლისურად - „right of withdrawal“, ფრანგულად - „droit de retraction“, გერმანულად - „widerrufsrecht“, იტალიურად - „diritto di recesso“.

<sup>189</sup> საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის უწყებანი, №007, 30.04.96., შეად., მე-19, 23-ე, 24-ე და შემდგომი მუხლები.

<sup>190</sup> სსკის 336-ე მუხლის, თანახმად, მომხმარებელსა და საკუთარი სარეწის ფარგლებში მოვაჭრე პირს შორის ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში დადებული ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ მომხმარებელი ერთი კვირის ვადაში ხელშეკრულებას წერილობით არ უარყოფს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულების შესრულება ხდება მისი დადებისთანავე. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.

<sup>191</sup> ჭაბურუია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, მუხლი 336-ე, გამომც., „სამართალი“, თბ. 2001. 149-153.

<sup>192</sup> ძლიერი შეიძლი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სეანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2014 წ., გვ. 27-30.

<sup>193</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსი (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით), გამომც., შპს „სიქსტა“, თბ. 2010, 59-63.

<sup>194</sup> როპოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი, თბ., 2014, 249.

უკუაგდებს, სინამდვილედ არ მიიჩნევს, არ აღიარებს.<sup>195</sup> შეიძლება ითქვას, რომ ეს ფორმულირება ზუსტად ასახავს უფლების შინაარსს. მომხმარებელი თავისი ცალმხრივი ნების გამოვლენით უარს ამბობს, ფაქტობრივად არ არსებულად აქცევს უკვე დადებულ და ხშირ შემთხვევაში ორმხრივად შესრულებულ ხელშეკრულებას. იგი უკუაგებს შესრულებული ხელშეკრულების შედეგებსაც. შესაბამისად, ტერმინი „უარყოფა“ მომხმარებლის ამ უფლების აღეკვატურად უნდა ჩაითვალოს.

დღეისათვის საქართველოში არ არსებობს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ერთიანი საკანონმდებლო აქტი,<sup>196</sup> რომელიც მოაწესრიგებდა მომხმარებლის უფლებებთან დაკავშირებულ მთელ რიგ პრობლემატურ საკითხებს. უპირველეს კოვლისა კი, განსაზღვრავდა მის სტატუსს და ამ სუბიექტის მონაწილეობით დადებული ხელშეკრულების თავისებურებას. მითუმეტეს რთულია საუბარი იმაზე, თუ რა სახით იჩენს თავს მომხმარებლის ეს უფლება ახალ საკანონმდებლო აქტში. თუმცა, მისი ძირითადი მახასიათებლებისა და უკვე არსებული ფორმულირების გათვალისწინებით, მიზანშეწონილია მან არსებობა „ხელშეკრულების უარყოფის უფლების“ სახელწოდებით გააგრძელოს.

#### IV. ხელშეკრულების უარყოფის უფლება სამომხმარებლო ხელშეკრულებებში

##### 4.1. ხელშეკრულების უარყოფის უფლების დაცვითი უფლები

ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ნების უკან გამოთხოვის უფლება არ არის უცხო კონტინენტური ევროპის კერძო სამართლისათვის. თუმცა, მან სრულიად განსხვავებული შინაარსით დაიმკვიდრა თავი მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში. მომხმარებელთა უფლებებისადმი მომეტებული ინტერესის გაჩენამდე, ნების უკან გამოთხოვის საკითხი ძირითადად ოფერტის მბოჭავი ძალის

<sup>195</sup> განმარტებითი ლექსიკონი, ენის მოდელირების ასოციაცია, <http://www.ena.ge/explanatory-online>.

<sup>196</sup> მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელი ნორმების საკანონმდებლო რეგლამენტაციის პირველი მცდელობა 1996 წელს განხორციელდა, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიღებით. მოგვიანებით, 1997 წლის 15 მაისს, მიღებული იქნა საქართველოს კანონი „სამომხმარებლო კოოპერატივის შესახებ“. 2012 წელს მიიღეს საქართველოს კანონი „პროფუნდის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“, რომლითაც გაუქმდა 1996 წლის კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“. ამავდროულად, ევროკავშირის კანონმდებლობასა და სტანდარტებთან დაახლოვების მიზნით, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტს დაევალა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტის შემუშავება, რომელიც შესაბამისობაში იქნებოდა ამ დარგში ევროკავშირის ქვემნების პრაქტიკასთან. დღეისათვის, კანონპროექტზე მუშაობის პროცესი არ არის დასრულებული.

კონტაქსტი განიხილებოდა, როგორც საგამონაკლისო რეგულაცია.<sup>197</sup> მაგალითად, იგი რეგლამენტირებულია გერმანიის სამოქალაქო კოდექსის 130-ე მუხლით და ითვლება ადრესატამდე ჯერ არმისული ნების უპან გამოთხოვის შესაძლებლობად, რა დროსაც ოფერენტს უფლება ეძლევა თავიდან აიცილოს გამოვლენილი ნების ნამდვილობა ოფერტის მბოჭავი ძალის უარყოფით.<sup>198</sup> ფრანგული დოქტრინის მიხედვითაც, ოფერტის გამოთხოვა დასაშვებია მის ადრესატთან მისვლამ. იგივე დანაწესს ითვალისწინებს ოფერტის გამოხმობასთან დაკავშირებით საერთო სამართალში არსებული რეგულაციებიც.<sup>199</sup> კონტინენტური ევროპის ტრადიციების მსგავსად, ოფერტის გამოთხოვას ითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 51-ე მუხლიც,<sup>200</sup> რომელიც ამ უფლებას ასევე ოფერტის მბოჭავი ძალის ჭრილში განიხილავს.<sup>201</sup>

მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში დამკვიდრებული უარყოფის უფლება, თავისი შინაარსით სრულიად განსხვავდება ოფერტის მბოჭავი ძალისაგან.<sup>202</sup> ეს არის არა ოფერტის, არამედ აქცეპტის – ხელშეკრულების დადებაზე გაცხადებული თანხმობის უარყოფის უფლება, რომელიც კონტინენტური ევროპის სახელშეკრულებო სამართალში ევროპის კავშირის სამართლის გავლენით დამკვიდრდა. როგორც უკვე არაერთხელ აღინიშნა, აქცეპტის უკან გამოთხოვის უფლების მომწერიგებელი ნორმები ძირითადად მომხმარებელთა უფლებების დამცავ ევროკავშირის დირექტივებშია თავმოყრილი, რასაც ეყრდნობა წევრი სახელმწიფოების სამართალში შემდგომ იმპლემენტირებული ამ უფლების საერთო კონცეფცია. სწორედ ამის გამოძახილია, რომ ხელშეკრულებიდან აქცეპტის უკან გამოთხოვის უფლება წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაში ძირითადად მომხმარებელს უკავშირდება და მისი ინტერესების სადარაჯოზე დგას. ეს იმას ნიშნავს, რომ მომხმარებელს შეუძლია გამოიხმოს სხვა შემთხვევაში გამოუხმობადი აქცეპტი, თუ მას გააჩნია მისი თანხმობით დადებული ხელშეკრულების უფლება.

<sup>197</sup> Jansen N. and Zimmerman R., Contract Formation and Mistake in European Contract Law: A Genetic Comparison of Transnational Model Rules, Oxford Journal of Legal Studies Advance Access published September 20, 2011, 15-16, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1788882](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1788882)>, [10.04.2014].

<sup>198</sup> Rott P., Harmonizing Different Rights of Withdrawal: Can German Law Serve as an Example for EC Consumer Law?, Developments, German Law Journal, [Vol., 07 No. 12, 2006, 1110].

<sup>199</sup> ბალიშვილი ქ., ნების გამოვლენის (ოფერტის) გამოთხოვა უნიფიცირებულ კერძო სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა – სპეციალური გამოშვება, 2007წ. 76-80.

<sup>200</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.

<sup>201</sup> ზოდე ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი პირველი, მუხლი 51-ე, გამომც, „სამართალი“, თბ. 2002. 170-172; კურუსელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009წ. 248 და შემდგომი.

<sup>202</sup> Rott P., Harmonizing Different Rights of Withdrawal: Can German Law Serve as an Example for EC Consumer Law?, Developments, German Law Journal, [Vol., 07 No. 12, 2006, 1110. <<http://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/germlajo2006&div=110&id=&page=>>, [9.04.2014].

ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ნების უარყოფის უფლება არათანაბარი მოლაპარაკებების შედეგების თავიდან აცილების საშუალებად ევლინება მომხმარებელს<sup>203</sup> და განიხილება გამოუხმობადი აქცეპტის საგამონაკლისო რეგულირებად.<sup>204</sup> ამასთან, მომხმარებლებისათვის ხელშეკრულების უარყოფის უფლების მინიჭება სერიოზული შეჭრაა მხარეთა სახელშეკრულებო თავისუფლებაშიც. მისი წყალობით შესაძლებელია ვალდებულების შესრულების ზოგადი პრინციპის გადალახვა არსებით საფუძვლებზე მითითების გარეშე. *pacta sunt servanda*-ს პრინციპის დარღვევის სხვა გამოხატულებებთან შედარებით, როგორიცაა: ხელშეკრულებიდან გასვლა, შეცდომის ან მოტყუების შემთხვევაში ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ხელშეკრულების უარყოფის ეს ფორმა უფრო ეფექტურად იცავს მომხმარებელს, ვიდრე უფლების დაცვის ზოგადი წესები.

მაგალითად, თუ მეწარმე იყენებს სიტუაციას, სადაც მომხმარებელი მოკლებულია დაფიქრებისა და შეფასების შესაძლებლობას, ეს შეიძლება ჩაითვალოს *contra bonos mores* საწინააღმდევოდ დადებულ და, შესაბამისად, ბათილ გარიგებად.<sup>205</sup> ამავდროულად, იმედგაცრუებული მომხმარებელი ვალდებული იქნებოდა დაემტკიცებინა ნების ნაკლის არსებობა და მისი გავლენა დადებული ხელშეკრულების შედეგზე. ამ თვალსაზრისით, ხელშეკრულების უარყოფის უფლების უპირატესობა იმაშიც ვლინდება, რომ მომხმარებელს არ მოეთხოვება ხელშეკრულების უარყოფის კონკრეტული საფუძველის დასაბუთების ვალდებულება. იგი უფლებამოსილია ისარგებლოს ხელშეკრულების უარყოფის უფლებით უბრალოდ იმიტომ, რომ გადაიფიქრა ანდა ნანობს დადებული გარიგების შესახებ. ამასთან, ხელშეკრულების უარყოფის უფლება გვერდს უვლის სასამართლო ჩარევის აუცილებლობას ხელშეკრულების შინაარსში. გარდა ამისა, მომხმარებლისათვის შესაძლოა არც კი იყოს ცნობილი უფლების დაცვის პროცედურების შესახებ, მაგრამ იგი სავალდებულო წესით უნდა იყოს ინფორმირებული ხელშეკრულების უარყოფის უფლების თაობაზე.<sup>206</sup>

სწორედ ამიტომ მომხმარებლის ეს უფლება დოქტრინაში განმარტებულია, როგორც ხელშეკრულებიდან წარმოქმნილი სამართლებრივი ურთიერთობის ცალმხრივად გაუქმების საშუალება, რომლის რეალიზება დასაშვებია ყოველგვარი დასაბუთების, მოტივაციისა და პასუხისმგებლობის გარეშე. მისი მიზანია დაიცვას მომხმარებელი იმ შემთხვევებში, როცა მას, ხელშეკრულების დადებაზე ნების გამოვლენისას, არ ჰქონდა არსებითად თავისუფალი და სწორი გადაწყვეტილების მიღების

<sup>203</sup> Markesinis B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 263.

<sup>204</sup> Gheorghe A.N., Spasici C., Consumer's Right To Withdraw, Challenges of Knowledge Society, Private Law, 267

<sup>205</sup> Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 214.

<sup>206</sup> Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 214.

შესაძლებლობა.<sup>207</sup> უფლების უპირატესობა იმაშიც მდგომარეობს, რომ ხელშეკრულების დადების შემდეგ მომხმარებელს ეძლევა დამატებითი დრო ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ნების, მის შინაგან ნებასთან შესაბამისობის გადასაწყვეტად.<sup>208</sup>

თავის მხრივ, ხელშეკრულების ცალმხრივად უარის თქმის შესაძლებლობა იმას გულისხმობს, რომ იქ, სადაც ამ უფლების რეალიზება დასაშვებია, ხელშეკრულების მბოჭავი ძალისაგან გათავისუფლება ხდება არა კლასიკური შეწყვეტის ან გარიგების ბათილად ცნობის ფორმით, არამედ ცალმხრივად, ხელშეკრულების დადებაზე გაცხადებული თანხმობის უკან გამოთხოვის გზით.<sup>209</sup> ამ გაგებით, მომხმარებელს აკისრია ხელშეკრულების არსებობის, მისი ნამდვილობის საკითხის გადაწყვეტის პასუხისმგებლობა, მეორე მხარის თანხმობის თუ მასთან შეთანხმების გარეშე.<sup>210</sup>

მეტიც, აქცეპტის უკან გამოთხოვა, ხელშეკრულებებს რომელთა მიმართაც დასაშვებია ამ უფლების რეალიზება, მერყევად ბათილ გარიგებებს უთანაბრებს, რომელთა სამართლებრივი ვარგისიანობა დამოკიდებულია უფლებამოსილი პირის შეცილებაზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულების დადებულად მიჩნევისათვის გადამწყვეტია არა ოფერტის აქცეპტირება, როგორც ეს ჩვეულებრივად ხდება, არამედ მომხმარებლის მიერ უარყოფის უფლების გამოუყენებლობა.<sup>211</sup> უპირველეს ყოვლისა, ეს იმას ნიშნავს, რომ ისეთი ხელშეკრულება, სადაც მისი ცალმხრივი უარყოფის უფლება დასაშვებია, იმყოფება გადაუწყვეტელ ფაზაში მისი საბოლოო შედეგის თვალსაზრისით. მხოლოდ მომხმარებლის მიერ უარყოფის უფლების რეალიზებისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ ხდება ცხადი, ხელშეკრულების ყველა პირობა ზედმიწევნით შესრულებულად, თუ გაუქმებულად ჩაითვლება.<sup>212</sup>

გარდა ამისა, უარყოფის უფლება ითვალისწინებს რა ხელშეკრულების დადებაზე გაცხადებული თანხმობის გამოხმობას, მხარეებს აყენებს ხელშეკრულების დადების საწყის სტადიაზე და უზრუნველყოფს უცაბედი გადაწყვეტილების გარდაქმნას შედეგზე

<sup>207</sup> Rott P., Harmonizing Different Rights of Withdrawal: Can German Law Serve as an Example for EC Consumer Law?, *Developments, German Law Journal*, [Vol., 07 No. 12, 2006, 1110].

<sup>208</sup> Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR); Edited by Ch. Von Bar, E. Clive and Hans Schulte-Nölke and others, 375.

<sup>209</sup> Gheorghi A.N., Spasici C., Consumer's Right To Withdraw, *Challenges of Knowledge Society, Private Law*, 267

<sup>210</sup> იქნა.

<sup>211</sup> ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, მუხლი 336-ე, გამომც., „სამართალი“, თბ. 2001წ.150.

<sup>212</sup> Zimmermann R., *The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives*, Oxford University Press, 2005, 214.

ორიენტირებულ ნების გამოვლენად.<sup>213</sup> შესაბამისად, აქცეპტის უკან გამოხოვის უფლების რეალიზება იწვევს ხელშეკრულების რეტროაქტიულ უარყოფას, რესტიტუციის შედეგებით.<sup>214</sup> მისი ეფექტი ორივე მხარისათვის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების შეწყვეტაში მდგომარეობს. იგი ათავისუფლებს ორივე მხარეს ხელშეკრულებით ნავისრი ვალდებულებების შესრულებისგანაც. ვალდებულების შესრულების შესახებ წამოყენებული ნებისმიერი მოთხოვნა ძალას კარგავს, როგორც კი უფლებამოსილი პირი ისარგებლებს უარყოფის უფლებით.<sup>215</sup> საბოლოოდ კი, ხელშეკრულება გაუქმდებულად, არარსებულად ითვლება მისი დადების მომენტიდან, ხოლო მხარეებს ამ ხელშეკრულების საფუძველზე მიღებულის ორმხრივად უკან დაბრუნების ვალდებულება წარმოექმნებათ.<sup>216</sup>

საბოლოო ჯამში ხელშეკრულების უარყოფის უფლების ეფექტი ვრცელდება ძირითადად მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებზე, რომელთა მიმართაც ზოგადად დადგენილი წესი აქცეპტის გამოუთხოვადობის შესახებ აღარ მოქმედებს. ამ რეგულირების უკან კი დგას ერთადერთი მიზანი, არ დაიშვას მომხმარებლის უფლებების გაუმართლებელი შეზღუდვა.

## 4.2. ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოქმედების ფარგლები

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლისათვის დამახასიათებელია დაცვის საშუალებათა კატეგორიზება, მათი მიმართვა ერთ ან რამდენიმე კონკრეტულ ურთიერთობაზე.<sup>217</sup> აქედან გამომდინარე, მომხმარებელთა უფლებების დასაცავად დამკვიდრებული ხელშეკრულების უარყოფის შესაძლებლობაც არ არის უპირობო. ნათელია, რომ აქცეპტის უკან გამოთხოვის უფლება წარმოადგენს გამონაკლისს სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი მიდგომიდან. თუმცა, ეს საგამონაკლისო რეგულირება სავალდებულო წესით მოქმედებს არა უველა შესაძლო ხელშეკრულების მიმართ, არამედ მხოლოდ ისეთ შემთხვევებში, რომელიც პირდაპირაა გათვალისწინებული. მისი მოქმედება შემოიფარგლება კონკრეტული ხელშეკრულებებით, სადაც მომხმარებლის ნების ფორმირება გარკვეულ თავისებურებებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მომხმარებლისათვის მინიჭებული ნების უკან გამოთხოვის უფლების

<sup>213</sup> Haupt S., An Economic Analysis of Consumer Protection In Contract Law, German Law Journal, Vol., 04 No., 11, 1148, <[http://www.germanLawjournal.com/pdfs/Vol.,04No11/PDF\\_Vol.,\\_04\\_No\\_11\\_1137-1164\\_Private\\_Haupt.pdf](http://www.germanLawjournal.com/pdfs/Vol.,04No11/PDF_Vol.,_04_No_11_1137-1164_Private_Haupt.pdf)>, [12.04.2014].

<sup>214</sup> Loos M., Right of Withdrawal, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 241.

<sup>215</sup> Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR), ed., by Von Bar Ch., Clive E., Schulte-Nolke H., and others, Sellier, ELP, Munich, 2009, [www.Law-net.eu](http://www.Law-net.eu), 401.

<sup>216</sup> Loos M., Right of Withdrawal, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 241.

<sup>217</sup> ქლიერი შვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სეგანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართლი, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2014, 29.

სამართლებრივი ბუნების განხილვისათვის მნიშვნელოვანია ამ უფლების მოქმედების ფარგლების დადგენა.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლმა ხელშეკრულების დადგების ახალი წესები დაამკვიდრა იმ ურთიერთობებში, სადაც ერთი მხარე მომხმარებელი, ხოლო მეორე მხარე - მეწარმეა. ეს განსაკუთრებით აისახა ისეთი მომსახურების გაწევისა და ნასყიდობის ხელშეკრულებებზე, რომლებიც იდება არაოფიციალურ ვითარებაში ანდა დისტანციური კომუნიკაციის საშუალებების გამოყენებით.<sup>218</sup> ამ სეგმენტისათვის ფაქტობრივად ცალკე სამართლებრივი ოჯიმები შეიქმნა, სადაც ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ხელშეკრულების უარყოფის უფლებას უკავია.<sup>219</sup> მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეს ინსტრუმენტი სწორედ არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციურად დადგებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა სუბიექტური ინტერესებისა და მათი მოთხოვნების მაქსიმალურად დაკმაყოფილების ხელშესაწყობად დაინერგა.

ევროპის სახელშეკრულებო სამართლში მომხმარებელთა უფლებების დაცვაში მოიაზრება არა მხოლოდ დარღვეული უფლების აღდგენა, მხარეთა პოზიციების გათანაბრება ან ხელშეკრულების ბუნდოვანი და უჩვეულო პირობების გამო მისი ბათილად ცნობა. აქ უპირველეს ყოვლისა, მნიშვნელოვანია მომხმარებელთა წახალისება, მათი ნდობის ამაღლება და ხელსაყრელი ნიადაგის შექმნა შიდა და ტრანსსასაზღვრო სავაჭრო ურთიერთობების განვითარებისათვის.<sup>220</sup> ევროპელი კანონმდებლის მიზანია რაციონალურად მოაზროვნე და ეკონომიკურად ქმედითი მომხმარებელი,<sup>221</sup> რომელსაც შესწევს უნარი გაუმჯობესების თანამედროვე ბრუნვის გამოწვევებს. ევროპელი კანონმდებლის მთელი ძალის სტატუსი მიმართულია მომხმარებელთა კეთილდღეობის უზრუნველყოფისაკენ. ამ თვალსაზრისით, ევროკავშირის სამართალი ცდილობს დანერგოს მყარი გარანტიები დისტანციურ სახელშეკრულებო ურთიერთობებში მომხმარებელთა ჩასაბმელად ისევე, როგორც დაიცვას მომხმარებლები მათვის უჩვეულო გარემოში დადგებული ხელშეკრულებებიდან. ამასთან, „ეკონომიკურად ქმედით მომხმარებელში“ იგულისხმება არა წინდახედული

<sup>218</sup> Rezek M., Contracts concluded away from business premises and contracts concluded through distance communication in the light of the Proposal for a Directive on Consumer rights, Perspectives for European Consumer Law, Towards a Directive on Consumer Rights and Beyond, Sellier, European Law Publishers, 2010, 109-117.

<sup>219</sup> Gheorghe A.N., Spasici C., Consumer's Right To Withdraw, Challenges of Knowledge Society, Private Law, 267

<sup>220</sup> Twigg-Flesner C., A Cross-Border-Only Regulation for Consumer Transactions in the EU, A Fresh Approach to EU Consumer Law, SpringerBriefs in Business, 2012, <<http://www.springer.com/cn/book/9781461420460>>, [10.11.2013], 5.

<sup>221</sup> Dani M., Assembling the Fractured European Consumer, A New Concept of European Federalism, LEQS Paper, No., 29/2011, <<http://www.lse.ac.uk/europeanInstitute/LEQSPaper29.pdf>>, [22.07.2013], 20.

და ფრთხილი მომხმარებელი, რომელმაც უნდა იცოდეს თავისი უფლებების შესახებ, არამედ ხშირად არააღეკვატურად მოქმედიც.<sup>222</sup>

არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში, მომხმარებელთა მხარდაჭერის თვალსაზრისით, ხელშეკრულების უარყოფის უფლება ერთ-ერთი იმ არჩევანთაგანია, რომელიც ევროპელმა კანონმდებელმა მისცა მომხმარებელს.<sup>223</sup> ამ უფლების წყალობით მომხმარებელს აქვს დამატებითი ვადა, დაფიქრდეს დადებული ხელშეკრულების შედეგებზე. მას შეუძლია მოსაფიქრებელი ვადა უკეთესი გადაწყვეტილების მისაღებად გამოიყენოს. არსებითი მიზეზის გარეშე უარი თქვას დადებულ ხელშეკრულებაზე და სხვაგარად, ახალი ხელშეკრულების დადებით დაიქმაუთვილოს თავისი მოთხოვნები. მიუხედავად იმისა, რომ მომხმარებელთა ასეთი არალოგიკური და არათანმიმდევრული გადაწყვეტილებები ბაზრის სტაბილურობაზეც ახდენს გავლენას, იგი გამართლებულად ითვლება, თუ ამით უზრუნველყოფილია მომხმარებელთა კეთილდღეობა.<sup>224</sup> ამიტომაც, ე.წ. „აპორტუნისტური“ მოქმედება, რომელიც ხელშეკრულების უარყოფის უფლებას უკავშირდება, უმეტეს შემთხვევაში მისაღებია, მაშინაც, თუ იგი არავითარ ლოგიკას არ ექვემდებარება. ხელშეკრულების ყველა პირობის შესახებ ინფორმაციის სრულად და ამომწურავად მიწოდების შემთხვევაშიც, კი მომხმარებელი ინარჩუნებს უფლებას უარი თქვას ხელშეკრულებაზე იმ საფუძვლით, რომ მან „გადაიფიქრა“.<sup>225</sup>

ხელშეკრულების მბოჭავი ძალისაგან გათავისუფლების ამგარი შესაძლებლობა, უფრო ზუსტად კი, ხელშეკრულების უარყოფის უფლების წინაპირობები, მოქმედების ფარგლები და დაცვითი ფუნქცია, ფაქტობრივად, ევროკავშირის უნიფიცირებული სახელშეკრულებო სამართლით იქნა საბოლოოდ გამტკიცებული. თავდაპირველად, იგი მოცემული იყო არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ ევროპის საბჭოს 1985 წლის 20 დეკემბრის 85/577 დირექტივაში.<sup>226</sup> უარყოფის უფლების მიმართ ინტერესი კიდევ უფრო

<sup>222</sup> Micklitz H-W., The Target Full Harmonization Approach” Looking Behind Curtain, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, ELP, Munich, 2009, 77-78.

<sup>223</sup> Rezek M., Contracts concluded way from business premises and contracts concluded through distance communication in the light of the Proposal for a Directive on Consumer rights, Perspectives for European Consumer Law, Towards a Directive on Consumer Rights and Beyond, Sellier, European Law Publishers, 2010, 109-117.

<sup>224</sup> Howells G., Schulze R., Overview of the Proposed Consumer Rights Directive, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 78.

<sup>225</sup> Luzak J.A., To Withdraw or Not to Withdraw? Evaluations of the mandatory right of withdrawal in consumer distance selling contracts taking into account its behavioral effects on consumer, Amsterdam Law School Legal Research Paper No. 2013-21, Centre for the study of European Contract Law working Paper No. 2013-04, 27,<[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2243645](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2243645)> [20.01.2015].

<sup>226</sup> ხელშეკრულების დასახელების რამდენიმე ტერმინოლოგიური ვერსია არსებობს: საწარმოთა მიერ პროდუქციისა და მომსახურების გაყიდვა მუდმივი ადგილმდებარეობის გარეთ ხელშეკრულების დადებით (contracts entered into outside the permanent location of sale or provision of services of the undertaking (company)), კარის ზღურბლზე დადებული გარიგებები (doorstep transaction), კარდაკარ ვაჭრობა (door to door sales), მეწარმის საფაჭრო პუნქტის გარეთ

გაიზარდა ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 1997 წლის 20 მაისის 97/7 დირექტივის მიღებით, რომელიც ეხებოდა მომხმარებელთა უფლებების დაცვას დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში. ამ ორი დირექტივის მიღების შორის პერიოდშიც და, შემდეგაც, კიდევ რამდენიმე დირექტივა იქნა მიღებული, რომელიც ასევე ითვალისწინებდა მომხმარებლის უფლებას გამოვლენილი ნების უკან გამოთხოვის შესახებ. თუმცა, წინამდებარე ნაშრომი შემოიფარგლება მხოლოდ არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების პირობებში მომხმარებლისათვის ამ უფლების თავისებურებებზე მსჯელობით.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია 2011/83 25 იქტომბერს ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს მიერ მიღებული დირექტივა 2011/83 მომხმარებელთა უფლებების შესახებ, რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქნია არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების უარყოფის უფლების საერთო კონცეფციის ჩამოყალიბებაზე. ამასთან, შემოღებულ იქნა მომხმარებლისა და მეწარმის სტატუსის განმსაზღვრელი საერთო ცნებები.<sup>227</sup> ახალმა დირექტივამ მოახდინა ხელშეკრულების უარყოფის უფლებისადმი ერთიანი მიდგომის დამკვიდრება ევროპის კავშირში შემავალი ყველა ქვეყნისათვის.<sup>228</sup>

#### **4.3. ხელშეკრულების უარყოფის უფლების სუბიექტური შემადგენლობა**

ხელშეკრულების უარყოფის უფლება, როგორც სპეციალური ფუნქციის მქონე ინსტრუმენტი, იცავს არა ყველას, არამედ მხოლოდ იმათ, ვინც სახელშეკრულებო ურთიერთობებში მომხმარებლის სტატუსით მონაწილეობს. თავის მხრივ, ასეთი დაცვაც შეზღუდული ხასიათისაა. იგი ვრცელდება არა განუსაზღვრელი წრის პირთა მიმართ, არამედ მხოლოდ მეწარმეთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებზე. შესაბამისად, წინამდებარე კვლევის მიზნებისათვის მნიშვნელოვანია იმის დადგენაც, თუ რა ნიშნით ხდება მომხმარებლის დიფერენციაცია სხვა სუბიექტებისაგან და ვინ იგულისხმება მეწარმეში.

დადებული ხელშეკრულებები(contracts negotiated away from business premises). იხ., ქარდავა ქ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა ქართული დადებული ხელშეკრულებების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა - სპეც. გამოშვება 2007; *ძლიერი შეიღვინების ზე კერტვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშვილი ლ., სახელშეკრულებო სამართლი, გამოშვ. „მერიდიანი“, თბ., 2014, 191 და შემდგომი.*

<sup>227</sup> Tomas G. Harmonization of European Contract Law: Slowly but Surely? [http://lexetscientia.univnt.ro/download/478\\_2013\\_LESIJ\\_XX\\_1\\_art.006.pdf](http://lexetscientia.univnt.ro/download/478_2013_LESIJ_XX_1_art.006.pdf)

<sup>228</sup> Post R. A., Nualaichta F., Consultations on the Implementation of Directive 2001/83/EU On Consumer Rights, <http://www.djei.ie/publications/commerce/2013/CRD.pdf> 10.02.2014.

#### 4.3.1. მომხმარებლის ცნების ზოგადი კონცეფცია

„მომხმარებელი, ყოველ ჩვენთაგანს გულისხმობს“. ამ სიტყვებით დაიწყო თავისი მოხსენება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა კენედიმ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში 1962 წელს.<sup>229</sup> მითითებული პოსტულატი ცხადყოფს, რომ მომხმარებლები არ მიეკუთვნებიან გამორჩეულ საზოგადოებრივ ფენას ანდა კლასს. ნებისმიერი პირი, რომელიც მოქმედებს თავისი პირადი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების მიზნით, მომხმარებელია.<sup>230</sup> აქ არ არსებობს გამონაკლისი. გამოუცდელი დიასახლისი და უქონელი მუშა ისეთივე მომხმარებელია, როგორც შეძლებული საქმოსანი ან სამართლის სახელგანთქმული პროფესორი, როდესაც საქმე ეხება პირადი მოხმარებისათვის, მაგალითად, მანქანის, პურის, ხალიჩის ან ნებისმიერი სხვა ნივთის შეძენას.<sup>231</sup>

მიუხედავად ამისა, „მომხმარებლის“ ცნება ყოველთვის იყო მსჯელობის საგანი როგორც ევროპული სამართლის დონეზე, ასევე წევრი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაშიც.<sup>232</sup> ხშირად „მომხმარებელი“ განიმარტებოდა გაცილებით ფართოდ, ზოგჯერ კი პირიქით, კონკრეტული ურთიერთობის მიზნებისათვის. რამდენიმე სახელმწიფო იურიდიდა ერთ ყოვლისმომცველ დეფინიციას ყველა სამომხმარებლო ხელშეკრულებისათვის (მაგალითად, ავსტრია, გერმანია, პოლონეთი). ზოგიერთი, კონტექსტიდან გამომდინარე, სხვადასხვაგვარ განმარტებას მიმართავდა. არც თუ ისე იშვიათად მომხმარებლის ცნების შინაარსი დამოკიდებული იყო უშუალოდ აქტის შინაარსზე.<sup>233</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „მომხმარებელი“ თავდაპირველად ეკონომიკურ-სოციოლოგიურ კატეგორიად მიიჩნეოდა.<sup>234</sup> მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ შეიძინა მან სამართლებრივი დატვირთვა. მომხმარებლის იურიდიულ კატეგორიად აღიარებას წინ უსწრებდა იმ პერიოდის დირექტულებათა გადაფასება – წარმოებაზე ორიენტირებული საზოგადოებიდან მომხმარებელზე ორიენტირებულ საზოგადოებად

<sup>229</sup>Hondius E., The Notion of consumer: European Union versus Member States, Sidney Law Review, (Vol.,., 28:29, 2006), . 90, <[http://sydney.edu.au/Law/slrs28\\_1/Hondius.pdf](http://sydney.edu.au/Law/slrs28_1/Hondius.pdf)> [04.04.2014].

<sup>230</sup> მომხმარებელი - პირი, რომელიც მოხმარების, გამოყენების მიზნით იძენს რაიმე ნაწარმს; მყიდველი, ვინც ხმარობს, იყენებს რასმე; ვისაც შეუძლია მოხმაროს რამე. შეად., განმარტებითი ლექსიკონი, ენის მოდელირების ასოციაცია, <http://www.ena.ge/explanatory-online>.

<sup>231</sup>Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 161.

<sup>232</sup>Nebbia P., Askham t., EU Consumer Law, Richmond, 2004, 36-38.

<sup>233</sup>Rafal M., The Notion of “Consumer” in EU Law, Library Briefing, Library of the European Parliament. [http://www.europarl.europa.eu/RegData/bibliotheca/briefing/2013/130477/LDM\\_BRI\(2013\)130477\\_REV1\\_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/bibliotheca/briefing/2013/130477/LDM_BRI(2013)130477_REV1_EN.pdf)

<sup>234</sup>Daunel-Lieb B., (Cologne), A Special Private Law for B2C? Silver Bullet or Blind Alley? New Features in Contract Law, R. Schulze sd. pub. Munchen, Sellier, European Law Publishers, 2007,107-117.

ჩამოყალიბება.<sup>235</sup> მომხმარებლის დეფინიციას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება კერძო სამართალ ში. მომხმარებლის მონაწილეობით დადგებული ხელშეკრულებები დამოუკიდებელ სფეროდ ითვლება და რეგულირების თავისებურებებით ხასიათდება. ურთიერთობის მონაწილეობა სტატუსი საბოლოოდ განსაზღვრავს სამომხმარებლო სამართლის მოქმედების ფარგლებს. თუმცა, წევრი სახელმწიფოების სამართალ ში მომხმარებლის ცნების განსხვავებული ინტერპრეტაცია იჩენდა თავს.<sup>236</sup> მაგალითად, ფრანგულ დოქტრინაში მომხმარებლის ცნების საკანონმდებლო დეფინიცია საერთოდ არ არსებობდა. ეს თემა მთლიანად მინდობილი იყო სასამართლოსათვის, რომელიც ყოველი კონკრეტული საქმიდან გამომდინარე განსაზღვრავდა, პირის მომხმარებლად მიჩნევის საკითხს.<sup>237</sup>

საგულისხმოა, რომ ევროპის კავშირის სხვადასხვა აქტი „მომხმარებლს“ საკუთარი მიზნებისთვის განმარტავდა.<sup>238</sup> ერთგვაროვანი რეგულირების უზრუნველყოფისათვის აუცილებელი გახდა „მომხმარებლის“ ერთიანი და თანმიმდევრული ცნების ჩამოყალიბება, რომელიც დააწესებდა მინიმალურ სტანდარტს და შეზღუდავდა შემდგომი განმარტების შესაძლებლობას.<sup>239</sup> ამ თვალსაზრისით, 2011/83 დირექტივამ „მომხმარებლთა უფლებების შესახებ“ რევოლუციური გავლენა იქნია როგორც თვით მომხმარებლის ცნების დაზუსტებისათვის, ასევე ამ ცნების წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაში ერთგვაროვანი შინაარსით დამკვიდრებისათვის. უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ახალი დირექტივის თანახმად, მომხმარებელი არის ფიზიკური პირი, რომელიც მოქმედებს თავისი სავაჭრო, სამეწარმეო ან პროფესიული საქმიანობის მიღმა.<sup>240</sup> საგულისხმოა, რომ დირექტივის მიღებისა და მისი სავალდებულო იმპლემენტაციის შედეგად, მომხმარებლის ცნების განმსაზღვრელი ნორმა საფრანგეთის სამომხმარებლო კოდექსშიც გაჩნდა.<sup>241</sup> ამიტომაც „მომხმარებლის“ ერთიანი ცნების დამკვიდრება მნიშვნელოვან ნაბიჯად მიიჩნევა, რაც შესაძლებელს ხდის იმ სუბიექტების იდენტიფიცირებას, რომლებიც განსაკუთრებული დაცვის რეუმში ექცევიან.

ამდენად, მომხმარებელი, უპირველეს ყოვლისა, ფიზიკური პირია. ამასთან, გადამწყვეტია მოქმედების ინტერესი – სავაჭრო, სამეწარმეო ან

<sup>235</sup>The Concept of the European Consumer under the Spotlight – Development, Criticism, and Opportunities, <<http://www.jus.uio.no/forskning/nettverk/europaretsnettverket/arrangementer/europaretsforum/presentasjon-er-forum/schuller-060510.pdf>>[12.04.2014].

<sup>236</sup>H. Schulte-Nolke, CH. Twigg-Fllesner, M Ebers, EC Consumer Law Compendium, The Consumer Aquis and its Transposition in the Member States, Sellier, European Law Publishers, Munich, 2008, 454.

<sup>237</sup>Schulte-Nolke H., Twigg-Fllesner CH., Ebers M., EC Consumer Law Compendium, The Consumer Aquis and its Transposition in the Member States, Sellier, European Law Publishers, Munich, 2008, 457.

<sup>238</sup>Nebbia P., Askham t., EU Consumer Law, Richmond, 2004, 37.

<sup>239</sup>შეად., Rafal M., The Notion of “Consumer” in EU Law, Library Briefing, Library of the European Parliament, <[http://www.europarl.europa.eu/RegData/bibliotheca/briefing/2013/130477/LDM\\_BRI\(2013\)130477\\_REV1\\_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/bibliotheca/briefing/2013/130477/LDM_BRI(2013)130477_REV1_EN.pdf)>, [27.03.2014].

<sup>240</sup>Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011.

<sup>241</sup>French Consumer Law, <http://www.out-Law.com/en/topics/commercial/consumer-protection/french-consumer-Law1/> 22.04.2014

პროფესიული საქმიანობის მიღმა.<sup>242</sup> შესაბამისად, დღეისათვის დამკვიდრებულ დეფინიციაში ორი ძირითადი ფაქტორი იკვეთება. პირველი, სუბიექტურ კრიტერიუმს გულისხმობს და განსაზღვრავს, რომ მომხმარებლად მიიჩნევა მხოლოდ ფიზიკური პირი, ხოლო მეორე ნიშანი ფუნქციურ კრიტერიუმს ეფუძნება და მოქმედების მიზანში გამოიხატება.<sup>243</sup> ამასთან, პირადი ინტერესებით მოქმედების მიზანი განსაზღვრება არა მომხმარებლის შინაგანი ნებით, არამედ ობიექტური გარემოებების გათვალისწინებით.<sup>244</sup> ერთი შეხედვით, ამომწურავი განმარტების მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა მომხმარებლის ქვეშ გულისხმობს გაცილებით მეტს, ვიდრე ეს ზოგადი ფორმულირებად.<sup>245</sup>

### 4.3.2. იურიდიული პირი, როგორც მომხმარებელი

ევროკავშირის დირექტივებში, მომხმარებლის ცნება არ მოიცავს იურიდიულ პირებს, მაშინაც კი, როცა ისინი მოქმედებენ არასამეწარმეო მიზნით (მაგ. არაკომერციული იურიდიული პირი).<sup>246</sup> გარდა ამისა, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ „პატრიკ დი პინტოს“ საქმეში მოუთითა, რომ დაუშვებელია მომხმარებლის ცნების ფართო განმარტება და იგი უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ ფიზიკური პირებით. სასამართლომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მომხმარებელთა განსაკუთრებული დავის აუცილებლობა არსებობს მხოლოდ მაშინ, თუ ოფერენტი - მეწარმე, ხოლო აქცეპტანტი - მომხმარებელია.<sup>247</sup> წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობა მიჰყვება ამ

<sup>242</sup> Howells G., (Lancaster), Consumer Concepts for a European Code?, New Features in Contract Law, R. Schulze sd. pub. Mucchen, Sellier, European Law Publishers, 2007, 119-135.

<sup>243</sup> რამიშვილი ა., მომხმარებელთა უფლებების დაცვის კერძო სამართლებრივი მექანიზმები სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში, სამართლის უკრნალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, №2, 2011, 117.

<sup>244</sup> კროფტოლერი ა., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბ., 2014, 2.

<sup>245</sup> შეად., Rafal M., The Notion of „Consumer“ in EU Law, Library Briefing, Library of the European Parliament, <[http://www.europarl.europa.eu/RegData/biblioteca/briefing/2013/130477/LDM\\_BRI\(2013\)130477\\_REV1\\_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/biblioteca/briefing/2013/130477/LDM_BRI(2013)130477_REV1_EN.pdf)> [27.03.2014].

<sup>246</sup> Hondius E., The Notion of Consumer: European Union versus Member States, Sidney Law Review, (Vol., 28:29, 2006), 95, <[http://sydney.edu.au/Law/slrls28\\_1/Hondius.pdf](http://sydney.edu.au/Law/slrls28_1/Hondius.pdf)> [04.04.2014].

<sup>247</sup> საქმე ეხებოდა საფრანგეთში განვითარებულ მოვლენებს, როცა პირის დაყოლიება ხელშეკრულების დადებაზე მის საცხოვრებელ სახლთან მოხდა, მაგრამ თავად ეს პირის მეწარმე იყო და ხელშეკრულებაც მისი ბიზნესის რეკლამირების გზით გაყიდვას ეხებოდა. სასამართლომ განმარტა, რომ, მიუხედავად ხელშეკრულების დადების ვითარებისა, მეწარმეებზე არ ვრცელდება არც ხელშეკრულების უარყოფის უფლების დაცვითი უფლები და არც სხვა მომხმარებელთა უფლებების დამცავი ნორმები. მეწარმე, რომელიც ხელშეკრულების დადებაზე მის საცხოვრებელ სახლთან დაიყოლიეს, არ უნდა იქნას გაიგივებული მომხმარებელთან. Case C-361/89, Patrice Di Pinto, [1991] ECR.

დანაწესების და მომხმარებლის ქვეშ მხოლოდ ფიზიკურ პირებს მოიაზრებს (გერმანია<sup>248</sup>, ესტონეთი, ლიტვა, ლატვია, იტალია, და სხვა).<sup>249</sup>

ამ გადაწყვეტილების საპირისპიროდ, რამდენიმე წევრი სახელმწიფო მომხმარებლის ცნებას იურიდიულ პირებზეც ავრცელებდა, თუ იგი საქონელს ანდა მომსახურებას არასამეწარმეო მიზნით იძენდა (მაგ. ავსტრია, ჩეხეთის რესპუბლიკა) ან თუ მოქმედებდა საბოლოო მიმღებისათვის (საბერძნეთი, ესპანეთი). საფრანგეთში გამოიყენებოდა ე.წ. „არაპროფესიული“ მომხმარებლის ცნება მისი დიდი და ძლიერი კომპანიებისაგან დასაცავად.<sup>250</sup> ფაქტობრივად, საფრანგეთის სასამართლო პრაქტიკა, მომხმარებლად მიიჩნევდა ისეთ ფიზიკურ და იურიდიულ პირებსაც, რომლებიც მოქმედებდნენ არა თავიანთი პროფესიული ანდა სამეწარმეო საქმიანობისათვის.<sup>251</sup>

<sup>248</sup> „პატრიკ დი პინტოს“ საქმეზე გაკეთებული განმარტება აისახა ხელშეკრულების უარყოფის უფლებასთან დაკავშირებულ გერმანიის სასამართლო პრაქტიკაშიც. კერძოდ, ეროვნულმა სასამართლომ განმარტა, რომ პირი, რომელიც მოქმედებს თავისი სამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში, ვერ გამოიყენებს ხელშეკრულების უარყოფის უფლებას, ხელშეკრულების საცხოვრებელ სახლთან დადებაზე მითითებით. ამ თვალსაზრისით საინტერესოა გერმანიის ფედერალური სასამართლოს 1994 წლის გადაწყვეტილება, რომელიც ეხებოდა მსგავს შემთხვევას. კერძოდ, ოჯახურმა წყვილმა, რომელიც ეწეოდა მცირე მეწარმეობას, ამუშავებდა საცხობს, თავისივე მაღაზიაში დადო იჯარის ხელშეკრულება. მათ დროებით სარგებლობაში მიიღეს ყავის მოსახარში აპარატი და მაგიდა, მაღაზიაში შემოსული კლიენტებისათვის ყავის უფასოდ შეთავაზების მიზნით. მეორე დღესვე მათ უარყვეს შეთანხმება და მიუთითეს ხელშეკრულების გაუქმების უფლებაზე იმ საფუძვლით, რომ ხელშეკრულება დაიდო მათ სამუშაო აღილზე. პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოებმა მიუთითეს, რომ არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებების სამართლი გამოიყენებადი იყო და, შესაბამისად, ხელშეკრულების უარყოფის უფლებით სარგებლობა ნამდვილად ჩათვალეს. გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება და განმარტა, რომ სამეწარმეო მიზნებისათვის მოქმედი ოუნდაც ინდივიდუალური მეწარმე არ ჩაითვლება მომხმარებლად და ვერ ისარგებლებს ხელშეკრულების უარყოფის უფლებით. შეად., Schulze R., Schulte-Nolke H., Jones J., A Casebook on European Consumer Law, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002, 129-130. გარდა ამისა, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარში იგივე მიდგომაა ასახული. კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მე-13 მუხლი მომხმარებლის ცნების ლეგალურ დეფინიციას იძლევა. მის კომენტარში პირდაპირად აღნიშნული, რომ „მომხმარებლები შეიძლება იყვნენ მხოლოდ ფიზიკური პირები. გამონაკლისის სახით მომხმარებლები შეიძლება იყოს ასევე სამოქალაქო სამართლის ამსახურება, რომელიც შედგება ფიზიკური პირებისაგან. მომხმარებლები არ შეიძლება იყვნენს იურიდიული პირები, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ისინი არ შექმნილან ეკონომიკური მიზნის მისაღწევად“. შეად., „ეროვნულებრივი ი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბ., 2014, 2.

<sup>249</sup> Schulze-Nolke H., Twigg-Fllesner CH., Ebers M., EC Consumer Law Compendium, The Consumer Aquis and its Transposition in the Member States, Sellier, European Law Publishers, Munich, 2008, 457.

<sup>250</sup> შეად., Rafal M., The Notion of “Consumer” in EU Law, Library Briefing, Library of the European Parliament. <[http://www.europarl.europa.eu/RegData/bibliotheca/briefing/2013/130477/LDM\\_BRI\(2013\)130477\\_REV1\\_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/bibliotheca/briefing/2013/130477/LDM_BRI(2013)130477_REV1_EN.pdf)>, [27.03.2014].

<sup>251</sup> Schulze-Nolke H., Twigg-Fllesner CH., Ebers M., EC Consumer Law Compendium, The Consumer Aquis and its Transposition in the Member States, Sellier, European Law Publishers, Munich, 2008, 458. ამ თვალსაზრისით პრეცენდენტულ გადაწყვეტილებად მიიჩნევა საფრანგეთის საკასაციო

ევროკავშირის სამართლის მიხედვით, ინდივიდუალური მეწარმეობისა და საოჯახო ბიზნესის შემთხვევაშიც კი, მცირე ზომის საწარმო არ განიხილება მომხმარებლად. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი წევრი სახელმწიფოს სამართლი მათზეც ავრცელებდა მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელ წესებს. მაგალითად, პოლანდიაში პატარა საწარმოები (49 მდე დასაქმებულით) შესაძლოა დაეყრდნობოდნენ გარკვეულ წესებს ხელშეკრულებაში უსამართლო პირობებთან დაკავშირებით, მომხმარებელთან საერთო საფუძვლით. საფრანგეთში სასამართლო ინდივიდუალურ მეწარმეს ისევე იცავდა, როგორც მომხმარებელს, როცა ხელშეკრულება პირდაპირ არ უკავშირდებოდა მის სამეწარმეო საქმიანობას. გაერთიანებულ სამეფოში კომპანიები ასევე მიუთითებდნენ მომხმარებელთა დაცვის ნორმებზე ნასყიდობის ხელშეკრულებაში უსამართლო პირობების არსებობის შემთხვევაში, ან იმ საქმიანობაში, რომელიც მათთვის ჩვეულებრივი არ იყო.<sup>252</sup>

მომხმარებლის მხოლოდ ფიზიკური პირის ცნებით შეზღუდვის გამო, მცირე ზომის ორგანიზაციები ფაქტობრივად დაცვის გარეშე რჩებიან მსხვილ კომპანიებთან მიმართებაში. თუმცა, დღემდე სადაცოა, რამდენად შესაძლებელია გაერთიანებები, რომლებსაც არ გააჩნიათ სათანადო გამოცდილება და საბაზრო ძალაუფლება განიხილებოდნენ მომხმარებლების დაცვის ნორმებზე ნასყიდობის ხელშეკრულებაში უსამართლო პირობების არსებობის შემთხვევაში, ან იმ საქმიანობაში, რომელიც მათთვის ჩვეულებრივი არ იყო.<sup>253</sup>

#### 4.3.3. დასაქმებული, როგორც მომხმარებელი

გერმანული სამართლის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ იგი დასაქმებულს (მაგრამ არა თვითდასაქმებულს), რომელიც თავისი

სასამართლოს 1987 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილება. საქმის მასალების მიხედვით, უძრავი ქონების სააგენტომ შეიძინა სიგნალიზაციის სისტემა თავისი ოფისისათვის, რომელიც კარგად არ მუშაობდა. საქმიანობის ზოგადი წესების თანახმად, მყიდველს არ შეეძლო არც ხელშეკრულების მოშლის და არც ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა. საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საფრანგეთის სამომხმარებლო კოდექსის ნორმების გამოყენება მათნც შესაძლებელი იყო. ვინაიდან, ხელშეკრულების საგანს არ ჰქონდა პირდაპირი კავშირი სამეწარმეო საქმიანობასთან, ხოლო სააგენტოს არ გააჩნდა ტექნიკური გამოცდილება სიგნალიზაციის სისტემებთან დაკავშირებით. ამ გარემოებებზე მითითებით, სასამართლომ განმარტა, რომ ასეთ შემთხვევაში მყიდველი უნდა განიხილებოდეს, როგორც მომხმარებელი. მოგვიანებით მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ ასევე განმარტა, რომ სამომხმარებლო კოდექსის გარცელების ძირითადი კრიტერიუმია არა პროფესიის ფარგლებში მოქმედი პირის ტექნიკური კომპეტენცია, არამედ განხორციელებული ქმედების კავშირი სამეწარმეო საქმიანობასთან (საფრანგეთის საკასაციო სასამართლოს 1995 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება).

<sup>252</sup>Rafal M., The Notion of “Consumer” in EU Law, Library Briefing, Library of the European Parliament. <[http://www.europarl.europa.eu/RegData/bibliotheque/briefing/2013/130477/LDM\\_BRI\(2013\)130477\\_REV\\_1\\_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/bibliotheque/briefing/2013/130477/LDM_BRI(2013)130477_REV_1_EN.pdf)>, [27.03.2014]

<sup>253</sup>Schulte-Nolke H., Twigg-Fllesner CH., Ebers M., EC Consumer Law Compendium, The Consumer Aquis and its Transposition in the Member States, Sellier, European Law Publishers, Munich, 2008, 461.

პროფესიის ფარგლებში მოქმედებს მომხმარებლად განიხილავს. ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ყველა სამომხმარებლო სამართლის ნორმა ავტომატურად ვრცელდება დასაქმებულზე. მითითებული საკითხი სასამართლო პრაქტიკით განიმარტა. კერძოდ, შრომით ხელშეკრულებებში სტანდარტული პირობების მიმართ ვრცელდებოდა ევროპის საბჭოს 93/13/ დირექტივა სამომხმარებლო ხელშეკრულებაში უსამართლო პირობების შესახებ. თუმცა, შრომითი ხელშეკრულების არაოფიციალურ პირობებში, მაგალითად, საცხოვრებელი სახლის კართან ან ქუჩაში დადების შემთხვევაში, მასზე არ გავრცელდება ნების უკან გამოთხოვის მომწესრიგებელი ნორმები. გერმანიის ფედერალური შრომითი დავების განმხილველი სასამართლოს განმარტებით, ასეთი ხელშეკრულება არ ჯდება საცხოვრებელ კართან დადებული ხელშეკრულების შინაარსში, ვინაიდან არ არის კომერციული მიზნით დადებული.<sup>254</sup>

#### **4.3.4. მომხმარებელი შერეული მიზნის მქონე ხელშეკრულებებში**

დღემდე სადაც მომხმარებლის განმარტება ისეთ ხელშეკრულებებში, სადაც პირი ერთდროულად მოქმედებს პირადი და პროფესიული მიზნით.<sup>255</sup> ეს ძირითადად ეხება ინდივიდუალურ მეწარმეებს, რომლებიც იძენენ სხვადასხვა მომხმარებისათვის განკუთვნილ საქონელს. არსებობს ოთხი ძირითადი მიდგომა ამგვარი ხელშეკრულებების მიმართ: 1) ითვლებიან სამომხმარებლო ხელშეკრულებებად; 2) მხოლოდ იმ შემთხვევაში ჩაითვლებიან სამომხმარებლო ხელშეკრულებად, თუ პირადი ინტერესი გამოკვეთილია; 3) მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიჩნევიან სამომხმარებლო ხელშეკრულებებად, თუ პროფესიული ინტერესი სადაც; 4) ყოველთვის მიიჩნევიან სამომხმარებლო ხელშეკრულებებად.<sup>256</sup>

საგულისხმოა, რომ გერმანული დოქტრინა მიიჩნევს, რომ საეჭვოობისას საკითხი უნდა გადაწყდეს მომხმარებლის სტატუსის სასარგებლოდ.<sup>257</sup> იგივე პოზიციას ითვალისწინებს „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივაც. კერძოდ, თუ ვაჭრობის მიზანი იმდენად ბუნდოვანია, რომ ვერ იქნება მიჩნეული დომინირებულად შესაბამის კონტექსტში, შერეული მიზნის მქონე ხელშეკრულებები უნდა ჩაითვალოს სამომხმარებლო ხელშეკრულებად.<sup>258</sup>

საწყის ეტაპზე ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ განმარტა, რომ პირის პროფესიულ საქმიანობასთან მინიმალური კავშირიც კი

<sup>254</sup> იქვე, 462.

<sup>255</sup> *Nebbia P., Askham t., EU Consumer Law, Richmond, 2004, 36-38.*

<sup>256</sup> *Rafal M., The Notion of Consumer in EU Law, Library Briefing, Library of the European Parliament.*

*<http://www.europarl.europa.eu/RegData/bibliotheca/briefing/2013/130477/LDM\_BRI(2013)130477\_REV\_1\_EN.pdf>* [27.03.2014].

<sup>257</sup> კროფტოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბ., 2014, 2.

<sup>258</sup> იქვე

გამორიცხავს დადებულ გარიგებაზე არაოფიციალურ ვითარებაში დადგებული ხელშეკრულების შესახებ დირექტივის მოქმედებას.<sup>259</sup> მოგვიანებით იგივე სასამართლომ საქმეში „ჯოპან გრუბერი ბეი ვა აგის წინააღმდეგ“ მიუთითა, რომ თუ ხელშეკრულების სამეწარმეო მიზანი უმნიშვნელოა მიწოდების საერთო კონტექსტთან მიმართებაში, პირს შეუძლია ისარგებლოს მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი ნორმებით. სასამართლოს ამავე გადაწყვეტილების მიხედვით, პირი ვერ დაეყრდნობა იმას, რომ იგი მომხმარებელია, თუ დაუდევრობით (უყურადღებობით) შექმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ მოქმედებდა თავისი სამეწარმეო ინტერესების ფარგლებში (მაგ. კომპანიის ტიტულოვანი ფურცლის, საფოსტო ბარათზე კომპანიის ბეჭდური სათაურის ან მისამართის გამოყენება).<sup>260</sup>

ამ გადაწყვეტილებით სასამართლომ კიდევ უფრო შეზღუდა მომხმარებლის ცნება. გარდა ამისა, სასამართლომ განმარტა სამომხმარებლო ხელშეკრულების არსიც და მიუთითა, რომ სამომხმარებლო ხელშეკრულება ფიზიკური პირის მიერ დადებული გარიგებაა, რომელიც მოქმედებს, ერთი მხრივ, თავისი საქმიანობის ფარგლებს გარეთ და, მეორე მხრივ, ნაწილობრივ თავისი საგაჭრო ან სამეწარმეო ინტერესის ფარგლებში. საგულისმოა, რომ ეს განმარტება ეწინააღმდეგება ევროპის საბჭოს სხვადასხვა დირექტივებში მოცემულ მომხმარებლის ცნებას.<sup>261</sup>

წევრი სახელმწიფოების უმრავლესობას არ გააჩნია კონკრეტული წესები დაკავშირებულ ხელშეკრულებებთან მიმართებაში. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი ქვეყანა მათ სამომხმარებლო ხელშეკრულებად მიიჩნევს იმ შემთხვევაში, თუ პიროვნული ინტერესი დომინირებს (გერმანია, სკანდინავიური ქვეყნები), ან თუ კავშირი სამეწარმეო საქმიანობასთან მხოლოდ ირიბია (პოლონეთი). ავსტრიისა და ბელგიის კანონმდებლობა სრულად გამორიცხავს შერეული ხელშეკრულების სამომხმარებლო კონტრაქტად კვალიფიკაციას.<sup>262</sup>

შეიძლება ითქვას, რომ გარიგების სამომხმარებლო ხელშეკრულებად მიჩნევისათვის გადამწყვეტია, რომ მისი ერთ-ერთი მხარე მომხმარებელი იყოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, შეუძლებელი იქნება მომხმარებელთა უფლებების დამცავი ნორმების და, მათ შორის, ხელშეკრულების უარყოფის უფლებების რეალიზება. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ შერეული ტიპის სამომხმარებლო ხელშეკრულებებში, მომხმარებლის ცნების განმარტების საკითხი ძირითადად წარმოიშობა ინდივიდუალური მეწარმის საქმიანობასთან მიმართებაში. თავისი არსით ინდივიდუალური მეწარმეობა

<sup>259</sup>Case C-45/96, Bayerische Hypotheken - und Wechselbank AG, [1998] ECR.

<sup>260</sup>Case C-464/01, Johann Gruber v Bay Wa AG,[2005] ECR.

<sup>261</sup>Hondius E., The Notion of Consumer: European Union versus Member States, Sidney Law Review, (Vol., 28:29, 2006), 95,<[http://sydney.edu.au/Law/slrlslr28\\_1/Hondius.pdf](http://sydney.edu.au/Law/slrlslr28_1/Hondius.pdf)>[04.04.2014].

<sup>262</sup>Rafal M., The Notion of „Consumer“ in EU Law, Library Briefing, Library of the European Parliament.

<[http://www.europarl.europa.eu/RegData/bibliothecque/briefing/2013/130477/LDM\\_BRI\(2013\)130477\\_REV1\\_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/bibliothecque/briefing/2013/130477/LDM_BRI(2013)130477_REV1_EN.pdf)> [27.03.2014].

ისეთი ფიზიკური პირის საქმიანობაა, რომელიც მოქმედებს თავისი სახელით სწორედ სავაჭრო-სამეწარმეო ან პროფესიული მიზნებისათვის. თუმცა, იმის გათვალისწინებით, რომ ასეთი პირი თავისი სახელით გამოდის საქმიან ურთიერთობებში, შესაძლებელია გარკვეულ სახელშეკრულებო ურთიერთობებში ბუნდოვანი იყოს მისი მოქმედების მიზანი. სწორედ ამიტომაც, ზოგიერთი ქვეყანა და ამ შემთხვევაში მაგალითის სახით ნაშრომში დასახელებულია გერმანია და სკანდინავიური ქვეყნები, იმ პოზიციას ემსრობიან, რომ თუ გამოკვეთილია პიროვნული ინტერესი, ხელშეკრულების ასეთი მხარე შესაძლებელია მივიჩნიოთ მომხმარებლად.

საგულისხმოა, რომ საქართველოში ინდივიდუალური მეწარმის სტატუსს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“. ამასთან, კანონის მე-6 მუხლის მეორე ნაწილი ადგენს, რომ ინდივიდუალური მეწარმე საქმიან ურთიერთობებში გამოდის საკუთარი სახელით. დამატებები დაიშვება ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დაცვით. მეხუთე მუხლი კი მიუთითებს, რომ საფირმო სახელწოდებას არ უნდა ერთოდეს რაიმე ისეთი დამატება, რომელმაც შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს მესამე პირი ან/და გამოიწვიოს შეცდომა ან/და გაუგებრობა მეწარმე სუბიექტის ფორმისა თუ საქმიანობის მოცულობის ან/და პარტნიორთა ურთიერთობის გამო.

აღნიშნული დათქმა ფაქტობრივად ავალდებულებს ინდივიდუალურ მეწარმეებს საქმიანი ურთიერთობები აწარმოონ სამეწარმეო ფორმაზე მითითებით, რათა თავიდან იქნეს აცილებული მესამე პირთა შეცდომაში შეეყანა. შესაბამისად, თუ ხელშეკრულების მხარე ფიზიკური პირია, იგი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა ჩაითვალოს მომხმარებლად, თუ ხელშეკრულებას დებს თავისი სახელით, სამეწარმეო საქმიანობის ფორმაზე მითითების გარეშე. ასეთ ვითარებაში დადგებული ხელშეკრულება კი, სამომხმარებლო ხელშეკრულებად უნდა ჩაითვალოს.

### 4.3.5. მეწარმე

სამომხმარებლო ხელშეკრულების მნიშვნელოვანი ელემენტი ის არის, რომ ხელშეკრულების მეორე მხარე აუცილებლად უნდა იყოს საკუთარი სავაჭრო, პროფესიული ანდა სამეწარმეო მიზნებისათვის მოქმედი პირი – მეწარმე. სხვა სახის ურთიერთობებზე მომხმარებელთა უფლებების დამცავი, სავალდებულო ხასიათის მქონე დანაწესები არ ვრცელდება.<sup>263</sup> შესაბამისად, ხელშეკრულებებში, სადაც მომხმარებელი უფლებამოსილია ისარგებლოს ხელშეკრულების უარყოფის უფლებით, მეორე მხარე ყოველთვის მეწარმეა. ევროკავშირისა და ევროსაბჭოს 2011/83 დირექტივა „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ მეწარმედ მიიჩნევს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედებს პირადად ან ნებიმსმიერი მესამე პირის მეშვეობით, ვინც მოქმედებს მისი სახელით, მიზნებისთვის, რომელიც

<sup>263</sup>Hondius E., The Notion of Consumer: European Union versus Member States, Sidney Law Review, (Vol., 28:29, 2006), 95, <[http://sydney.edu.au/Law/slrl28\\_1/Hondius.pdf](http://sydney.edu.au/Law/slrl28_1/Hondius.pdf)> [04.04.20134].

დაკავშირებულია საგაჭრო, სამეწარმეო საქმიანობასთან, ხელობასთან ან პროფესიასთან.<sup>264</sup>

ამასთან, მხოლოდ გარიგების დადების ფაქტი არ არის მეწარმის ცნების საგალდებულო რეკვიზიტი.<sup>265</sup> ხელშეკრულებებში, სადაც მომხმარებელი თავად წარმოადგენს გამყიდველს ანდა მომსახურების შემთავაზებელს, ისევე როგორც შემთხვევებში, როცა ხელშეკრულების ორივე მხარე მომხმარებელია უარყოფის უფლება, ხელშეკრულების საგალდებულო პირობად არ მიიჩნევა. მისი გათვალისწინება უშუალოდ მხარეთა ნებაზე იქნება დამოკიდებული.<sup>266</sup> შესაბამისად, არაოფიციალურ ვითარებაში ანდა დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში ნების უკან გამოთხვევის უფლება ექსკლუზიურად მომხმარებელს ეკუთვნის. ხელშეკრულების მეორე მხარეს, რომელიც, ჩვეულებრივ, მეწარმეა, კანონმდებლობით არა აქვს მინიჭებული მსგავსი უპირატესობა.<sup>267</sup>

ამასთან, დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში, სადაც გამორიცხება პირისპირ კომუნიკაციის შესაძლებლობა, კონტრაგენტის იდენტიფიცირება გაცილებით რთულია. მომხმარებელთა უფლებების დაცვითი ნორმები კი ავექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულების ერთი მხარე მეწარმე, ხოლო მეორე მხარე - მომხმარებელია.

პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში ეს პროცედურა ფაქტობრივად არ არსებობს. ამის საპირისპიროდ, დისტანციური კომუნიკაციის პირობებში, მომხმარებელი ყოველთვის ვერ იქნება დარწმუნებული იმაში, რომ მართლაც მეწარმესთან დებს ხელშეკრულებას. არ არის გამორიცხული, რომ მეორე მხარე ისეთივე მომხმარებელი აღმოჩნდეს, როგორიც თვითონაა. ასეთ შემთხვევაში კი, ევროპული აქტებით გათვალისწინებული დაცვითი ღონისძიებები და, მათ შორის, ხელშეკრულების უარყოფის უფლება უსარგებლო აღმოჩნდება, ხოლო კეთილსინდისიერი მომხმარებელი დაცვის გარეშე დარჩება. მეტიც, დისტანციური მეოდებით მოვაჭრე შეიძლება ისე მოიქცეს, რომ მომხმარებელს აფიქრებინოს, რომ თვითონაც მომხმარებელია და ამით თავი აარიდოს სპეციალური ნორმების გავრცელებას თავის საქმიანობაზე. მომხმარებელს ასევე შეიძლება გულწრფელად მიაჩნდეს, რომ ყველა პირი, ვინც საქონელსა და მომსახურებას ელექტრონულად სთავაზობს, პროფესიონალი მოვაჭრეა.<sup>268</sup>

<sup>264</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011.

<sup>265</sup> კროფტოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დაგალებით, თბ., 2014, 3.

<sup>266</sup> Gheorghe A.N., Spasici C., Consumer's Right To Withdraw, Challenges of Knowledge Society, Private Law, 268

<sup>267</sup> Macsim A.-R., The New Consumer Rights Directive, A Comparative Law and Economics Analysis of the Maximum Harmonization Effects on Consumers and Businesses, The Case of the Cooling-off Period from Online Contracts, 13.

<sup>268</sup> Luzak J., Online Consumer Contracts, University of Amsterdam - Centre for the Study of European Contract Law (CSECL); University of Amsterdam - Faculty of Law, Amsterdam Law School Legal Studies

დებატები იმის შესახებ, თუ როგორ დაეცვათ მომხმარებლები ელექტრონულად ვაჭრობის დროს, დამთავრდა მეწარმეთა ვალდებულებების გამკაცრებით. კერძოდ, დისტანციურად დადებულ სელშეკრულებებში პირდაპირ უნდა მიეთითოს მეწარმის/მოვაჭრის მაიდნენტიფიცირებელი მონაცემები. გარდა ამისა, მეწარმეები შეიძლება იყენებდნენ ელექტრონულ პლატფორმებს დისტანციურად ვაჭრობისათვის. ყველგვარი ბუნდოვანების თავიდან აცილების მიზნით, ასეთი ელექტრონული პლატფორმებიც, მიეკუთვნება დისტანციური ვაჭრობისათვის ორგანიზებულ სისტემას. შესაბამისად, ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით დადებული სელშეკრულება ჩაითვლება დისტანციურად დადებულ გარიგებად და მომხმარებელი უფლებამოსილი იქნება ისარგებლოს სელშეკრულების უარყოფის უფლებითაც, მეტიც, მეწარმე ვერ მიუთითებს იმაზე, რომ მომხმარებლის შეცდომაში შეუვანა კომპიუტერული პროგრამის ანდა ელექტრონული პლატფორმის მფლობელი პირის მოქმედების შედეგია.<sup>269</sup>

#### **4.3.6. მომხმარებელი და მეწარმე საქართველოს კანონმდებლობაში**

საქართველოს კანონმდებლობაში მომხმარებლის ცნების ერთიანი კონცეფცია ჯერ დამკვიდრებული არ არის. იგივე შეიძლება ითქვას მეწარმის „ლეგალურ დეფინიციაზეც. 2012 წლამდე მოქმედი კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“, მომხმარებელს განმარტავდა, როგორც პირადი საჭიროებისათვის საქონლის/სამუშაოს, მომსახურების/გამოყენებელ, შემძებ, შემკვეთ, ან ასეთი განზრახვის მქონე მოქალაქეს. მეწარმის განმარტებას კი დანაწევრებული სახით იძლეოდა: დამამზადებლის, გამყიდველის, შემსრულებლის ცნებებს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად განიხილავდა.<sup>270</sup>

მომხმარებელთა უფლებების შესახებ ერთიანი საკანონმდებლო აქტის არარსებობის პირობებში, კონკრეტული სფეროს რეგულირებისათვის მიღებული აქტები, ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე „მომხმარებლის“ დამოუკიდებელ ცნებებს ითვალისწინებს.<sup>271</sup> „მეწარმის“ ცნებაც სამომხმარებლო სელშეკრულებების მიზნებისათვის ჯერჯერობით

Research Paper No. 2014-47, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2014-08, ERA Forum, Vol., 15, No. 3, 2014, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2487222##](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2487222##)>, [21.01.2015], 2.

<sup>269</sup> DG Justice Guidance Document, European Commission, DG Justice, June 2014, 31; *Luzak J.*, Online Consumer Contracts, 15.

<sup>270</sup> საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის უწყებაზე, №007, 30.04.96.

<sup>271</sup> მაგალითად, საქართველოს კომუნიკაციის ეროვნული კომისიის 2006 წლის 17 მარტის №3 დადგენილების მიხედვით, მომხმარებელში იგულისხმება – ბოლო მომხმარებელი, რომელიც საქუთარი მოხმარებისათვის იყენებს ან განზრახული აქეს გამოიყენოს საერთო სარგებლობის ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელებითა და საშუალებებით განხორციელებული მომსახურება და მიზნად არ ისახავს მის შემდგომ მიყიდვას სხვა მომხმარებელზე და ა.შ.

რეგლამენტირებული არ არის. შესაბამისად, წინამდებარე ნაშრომზე მუშაობის მომენტისათვის, შეზღუდული ვართ ქართულ კანონმდებლობაზე დაყრდნობით დასახელებული სუბიექტების დეფინიციის თავისებურებებზე მსჯელობაში.

#### 4.4. ხელშეკრულების უარყოფის უფლების ობიექტური შემადგენლობა

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლისათვის დამახასიათებელია დაცვის საშუალებათა გამოყენება სპეციალური შემადგენლობის მქონე ურთიერთობების მიმართ. სხვა სიტყვებით რომ ვთქათ, მომხმარებლები დაცვას ექვემდებარებიან მხოლოდ კონკრეტულ სიტყაციაში, კონკრეტულ საფრთხეებთან მიმართებაში, რომლებსაც სამართალი არსებითად მიიჩნევს.<sup>272</sup> მომხმარებელთა ეფექტური დაცვისათვის დამკვიდრებული ხელშეკრულების უარყოფის უფლებაც არ არის გამონაკლისი. მისი მოქმედების არეალი, სუბიექტური შემადგენლობის გარდა, შემოიფარგლება გარკეული ობიექტური კრიტერიუმებითაც, რომელსაც შეიძლება მივაკუთვნოთ ხელშეკრულებათა ტიპოლოგიური დაყოფა, რაც უკავშირდება უარყოფის უფლების გავრცელებას მხოლოდ ნასყიდობისა და მომსახურების შესახებ ხელშეკრულებების მიმართ.

##### 4.4.1. სამომხმარებლო საქონლის ნასყიდობის ხელშეკრულება

სამომხმარებლო ხელშეკრულებებში, რომლებიც პირადი მოხმარებისათვის საქონლის ნასყიდობას ითვალისწინებს, ხელშეკრულების საგანი, ყოველთვის მოძრავი ნივთია.<sup>273</sup> თუმცა, რა იგულისხმება სამომხმარებლო საქონელში, 2011/83 დირექტივის მიღებამდე პირდაპირ რეგლამენტირებული არ იყო. საგულისხმოა, რომ ევროკავშირის დირექტივამ არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებების შესახებ დაამკვიდრა რა ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების ახალი სტანდარტი, იქვე გაამახვილა ყურადღება ხელშეკრულების საგანზეც, მაგრამ იგი შემოიფარგლა მხოლოდ კონკრეტული ტიპის ხელშეკრულებების ჩამონათვალით, რომელთა მიმართაც ზღუდვადა დირექტივის მოქმედებას და, შესაბამისად, არც უარყოფის უფლების შესაძლებლობას უშვებდა.<sup>274</sup> ევროკავშირისა და ევროპარლამენტის 1997 წლის დირექტივა დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების დროს მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, ასევე ითვალისწინებდა დათქმას იმ ხელშეკრულებებზე, რომელთა მიმართაც არ უშვებდა დირექტივის

<sup>272</sup> Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 161.

<sup>273</sup> კროჭკოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, სიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბ., 2014, 353.

<sup>274</sup> Council Directive 85/577/EEC of 20 December 1985 to Protect the Consumer in Respect of Contracts Negotiated Away from Business Premises, <<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=CELEX:31985L0577:en:HTML>>, [07.05.2014].

დანაწესების მოქმედებას, მათ შორის, ხელშეკრულების უარყოფის უფლებასაც, მაგრამ არც ეს აქტი არ იძლეოდა სამომხმარებლო საქონლის განმარტებას.<sup>275</sup>

მხოლოდ, „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ ახალ, 2011/83 დირექტივაში იქნა პირდაპირ გათვალისწინებული „საქონელი“, როგორც არაოფიციალურ ვითარებაში ანდა დისტანციურად დადებულ გარიგებებში, ხელშეკრულების შესაძლო საგნის აღმნიშვნელი ტერმინი. დირექტივით შემოთავაზებული განმარტების მიხედვით, არაოფიციალურ ვითარებაში ანდა დისტანციურად დადებული ხელშეკრულებებისათვის „საქონელი“ ნიშნავს ნებისმიერ სხეულებრივ, მოძრავ ნივთს, გარდა ნივთებისა, რომლებიც იყიდება აღსრულების მიზნებისათვის ან კანონით უფლებამოსილი პირის მიერ. წყალი, გაზი და დენი ასევე მიიჩნევა საქონლად, როცა გაყიდვის მიზნით მოთავსებულია შესაბამის ჭურჭელში განსაზღვრული ოდენობით.<sup>276</sup>

ამდენად, იმ ხელშეკრულებების მიმართ, რომლებიც არ ექცევა დირექტივით რეგლამენტირებული „საქონლის“ ცნების ქვეშ, ვერ იქნება გამოყენებული ხელშეკრულების უარყოფის უფლება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა უძრავ ნივთებთან მიმართებაში. დირექტივა პირდაპირ გამორიცხავს მის მოქმედებას მიწის ნაკვეთზე შენობა-ნაგებობების აღმართვის, უძრავი ნივთების ანდა მათზე არსებული სანივთო უფლებების გადაცემის, გასხვისების ან გაუქმების შესახებ ხელშეკრულებებზე, ასევე საცხოვრებელი სახლის დროებით სარგებლობაში გადაცემის შესახებ დადებულ გარიგებებზე.<sup>277</sup>

#### 4.4.2. ხელშეკრულებები მომსახურების გაწევის შესახებ

არაოფიციალურ ვითარებაში ანდა დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების საგანთან მიმართებაში ასევე მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რას ნიშნავს „მომსახურება“, ვინაიდან ისეთ გარიგებებში, სადაც ხელშეკრულების საგანი მომსახურებაა, უარყოფის უფლების მოქმედების პირობები განსხვავებულია. მომხმარებელთა უფლებების შესახებ 2011/83 დირექტივა მომსახურების ხელშეკრულებად მიიჩნევს „ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებულ გარიგებას, რომლის საფუძველზეც, მეწარმე უზრუნველყოფს მიწოდებას ან იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს მომსახურება, მომხმარებელი კი იხდის ან ვალდებულებას იღებს გადაიხადოს შესაბამისი დირექტივის“.<sup>278</sup>

<sup>275</sup> Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council of 20 May 1997 on the Protection of Consumers in Respect of Distance Contracts, <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/en/ALL/?uri=CELEX:31997L0007>>, [07.05.2014].

<sup>276</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011.

<sup>277</sup> იქვე

<sup>278</sup> იქვე

ასეთი ხელშეკრულების ცალმხრივად უარყოფის უფლება დამოკიდებულია მხარეთა მიერ ვალდებულების შესრულებაზე. კერძოდ, მომსახურების დაუყოვნებლივ და სრულად გაწევის შემთხვევაში, მომხმარებელი არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს ხელშეკრულების უარყოფა და ამ მომსახურებაში გადახდილი თანხის უკან დაბრუნება. ამასთან, მეწარმის მიერ მომსახურების გაწევას წინ უნდა უსწრებდეს მომხმარებლის ინფორმირებული თანხმობა მომსახურების გაწევის დაწყებაზე და მეწარმის მხრიდან სავალდებულო გაფრთხილება იმის შესახებ, რომ მომსახურების გაწევის დაწყებისთანავე მომხმარებელი კარგავს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას.<sup>279</sup>

საგულისხმოა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით რეგლამენტირებული უარყოფის უფლება, ეხება სწორედ ქუჩაში დადებულ ისეთ ხელშეკრულებებს, რომელთა შესრულებაც დადებისთანავე ხდება. თუმცა, სსკ-ი არ აკონკრეტებს ამ ხელშეკრულებათა ტიპოლოგიურ მხარეს. იგი ვრცელდება ქუჩაში დადებულ ყველა ხელშეკრულებაზე. ქართულისაგან განსხვავებით, ევროპის სახელშეკრულებო სამართალი, უარყოფის უფლებაზე საუბრისას, ხელშეკრულების ტიპზე აკეთებს აქცენტს, ხოლო შესრულებისთანავე უარყოფის უფლების გაქარწყლებას, მომსახურების შესახებ დადებულ ხელშეკრულებებს უკავშირებს. ამასთან, განსაკუთრებულ უურადღებას ამახვილებს იმაზე, რომ მომხმარებელს წინასწარ უნდა ეცნობოს უფლების შემდგომში გამოუყენდობის შესახებ.

## V. უარყოფის უფლება კონკრეტული სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ

ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოქმედება იზღუდება არა მხოლოდ ხელშეკრულების შინაარსისა და მასში მონაწილე პირების მიხედვით, არამედ, მომხმარებლის ნების ფორმირების თავისებურებათა გათვალისწინებითაც. ნების ფორმირების თავისებურება კი, გულისხმობებს, ხელშეკრულების დადებას არაოფიციალურ ვითარებაში ან დისტანციური კომუნიკაციის მეთოდების გამოყენებით.

### 5.1. არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებები

ხელშეკრულების უარყოფის უფლება, როგორც მომხმარებელთა უფლებების დამცავი ინსტრუმენტი, პირველად ევროპის საბჭოს 1985 წლის 20 დეკემბრის 85/577 დირექტივით იქნა რეგლამენტირებული. იგი ეხება არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებების პირობებში მომხმარებელთა ინტერესების დაცვას. უმეტესწილად აქ იგულისხმება

<sup>279</sup> Post A. R., Nualaichta F., Consultations on the Implementation of Directive 2001/83/EU On Consumer Rights, <http://www.djei.ie/publications/commerce/2013/CRD.pdf> 10.02.2014.

ისეთი შემთხვევები, როცა მეწარმეები (მოგაჭრე, მომსახურების შემთავაზებელი და ა.შ.) იყენებენ მოლაპარაკების წარმოების თავდასხმით ტექნიკას და სრულიად მოულოდნელ ვითარებაში ცდილობენ პირის დაყოლიებას ხელშეკრულების დადებაზე.<sup>280</sup>

დირექტივის მიღების აუცილებლობა გამოწვეული იყო ამ ტიპის სამეწარმეო ურთიერთობების განსაკუთრებული პოპულარობით. მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან, საქონლისა ან/და მომსახურების შეთავაზების მიზნით მომხმარებელთან სახლში, სამუშაო ადგილზე ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში სახელშეკრულებო მოლაპარაკებების წარმოება კომერციის ერთ-ერთ უკეთესობურ ფორმად ითვლებოდა. ამიტომაც ევროპელი კანონმდებლის მიზანს იმ დროისათვის წარმოადგენდა მომხმარებლის დაცვა ისეთ გარემოებებში, სადაც ხელშეკრულების დადება გამოწვეული იყო უჩვეულო და მოულოდნელი ფაქტორებით.<sup>281</sup> უმეტესწილად აქაც იგულისხმებოდა ისეთი შემთხვევები, როცა მეწარმეები იყენებდნენ მოლაპარაკების წარმოების თავდასხმით ტექნიკას და ერთი შეხედვით, სრულიად უწყინარ, მაგრამ, ამავდროულად, პირისათვის წინასწარ გაუთვალისწინებელ ვითარებაში ცდილობდნენ მის დაყოლიებას ხელშეკრულების დადებაზე.<sup>282</sup>

1980-იანი წლებიდან დღემდე არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ ხელშეკრულებებს თავისი აქტუალობა არ დაუკარგავთ. პირიქით, დღეუანდელ პირობებში, თითქმის უკელავერი შეიძლება შესთავაზო მომხმარებელს მეწარმეთა სავაჭრო პუნქტებს გარეთ. ჩვეული გახდა მოვაჭრეთა უცაბედი გამოჩენა კონფერენციებზე, სემინარებზე, კოლეგებთან არაფორმალურ დისკუსიებზე ანდა სხვა საჯარო ადგილებში. „კარდაკარ“ ვაჭრობა სულ უფრო პოპულარული ხდება და, შესაბამისად, ასეთ ურთიერთობებში მომხმარებლის ინტერესების დაცვაც პრიორიტეტად რჩება. თავის მხრივ, დაცვის აუცილებლობა გამოწვეულია მომხმარებლის ნების ფორმირების თავისებურებით, კერძოდ კი, ოფერტის მიღებით უჩვეულო გარემოში.<sup>283</sup>

არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებების მიმართ მომეტებული უურადღება განკირობებულია მხარეთა შორის სამართლიანი ბალანსის შენარჩუნების მიზნით. როგორც წესი, წინასწარი განწყობის

<sup>280</sup>Markesinis B., Unberath H., Johnston A., *The German Law of Contract*, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 263.

<sup>281</sup>Working Document of the Commission, Responses to the Consultation on the Council Directive 85/577/EEC of 20 December 1985 to Protect the Consumer in Respect of Contracts Negotiated Away from Business Premises Summary of Responses, <[http://ec.europa.eu/consumers/rights/docs/doorstepselling\\_responses.pdf](http://ec.europa.eu/consumers/rights/docs/doorstepselling_responses.pdf)>, [27.04.2014].

<sup>282</sup>Sir Markesinis B., Unberath H., Johnston A., *The German Law of Contract*, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 263.

<sup>283</sup>Working Document of the Commission, Responses to the Consultation on the Council Directive 85/577/EEC of 20 December 1985 to Protect the Consumer in Respect of Contracts Negotiated Away from Business Premises Summary of Responses, <[http://ec.europa.eu/consumers/rights/docs/doorstepselling\\_responses.pdf](http://ec.europa.eu/consumers/rights/docs/doorstepselling_responses.pdf)>, [27.04.2014].

გარეშე ხელშეკრულების დადებისას მომხმარებელი არათანაბარ მდგომარეობაშია გამყიდველთან, რომელიც არ ან ვერ უზრუნველყოფს მას სათანადო ინფორმაციით. ასეთ ვითარებაში გამყიდველს თავისუფლად შეუძლია მოახდინოს შემძენის (მომხმარებლის) ნების ფორმირებაზე ზემოქმედება, თავს მოახვიოს არასასურველი ხელშეკრულება და დაარწმუნოს ისეთი გადაწყვეტილების მიღებაში, რომელსაც იგი სხვა დროს ან ადგილას არ მიიღებდა.<sup>284</sup> ჩარევა ამ ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობებში გამოწვეულია მომხმარებლის მიერ ნების გამოვლენის შემთხვევითი ხასიათით, რა დროსაც იგი არ არის წინასწარ მომზადებული, არა აქვს წარმოდგენა დასადები ხელშეკრულების შინაარსზე და მისგან გამომდინარე ვალდებულებებზე, არ არის ინფორმირებული ანალოგიური საქონლის თუ მომსახურების ბაზარზე არსებული ფასების შესახებ.<sup>285</sup>

მოულოდნელობის ეფექტის შედეგების გადალახვისათვის და, შესაბამისად, არასასურველი ხელშეკრულების მბოჭავი ძალისაგან გათავისუფლების მიზნით, ევროპელი კანონმდებელი ამ კონკრეტული ტიპის ხელშეკრულებებისათვის სავალდებულო წესით ითვალისწინებს მომხმარებლებისათვის ხელშეკრულების უარყოფის უფლების მინიჭებას. ამ საგამონაკლისო უფლების ეფექტი ვლინდება მომხმარებლის შესაძლებლობაში მარტივად, ყოველგვარ სამართლებრივ საფუძვლებზე მითითების გარეშე, აარიდოს თავი თავსმოხვეული ხელშეკრულების შედეგებს. ასეთ შემთხვევებში ხელშეკრულების უარყოფის უფლების ერთადერთი წინაპირობაა არაოფიციალურ ვითარებაში ხელშეკრულების დადების ფაქტი.

### **5.1.1. ხელშეკრულებები, რომლებიც დადებულად ითვლება მეწარმეთა სავაჭრო პუნქტების ფარგლებს გარეთ**

არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ ხელშეკრულებებში უარყოფის უფლების დაცვითი ფუნქცია მიმართულია მომხმარებლის ნების ფორმირების ისეთი ნაკლის გამოსასწორებლად, როგორიცაა გაუთვიცნობიერებლად დადებული ხელშეკრულება. მომხმარებელთა ქცევის შესახებ კვლევებმა ცხადყო, რომ, თავისუფალ გარემოში მიღებული გადაწყვეტილებისაგან განსხვავებით, შეზღუდული დროის წნების ქვეშ გადაწყვეტილების მიღებისას, ადამიანები ან საერთოდ არ ამოწმებენ შეთავაზებული საქონლის მახასიათებლებს, ან აკეთებენ ამას გაცილებით ნაკლები ხარისხით. გადაწყვეტილების სწრაფად მიღების რეჟიმში მომხმარებელთა ყურადღების მიღმა რჩება მნიშვნელოვანი დეტალები,

<sup>284</sup>. Loos M., Right of Withdrawal, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 250.

<sup>285</sup> ჭარბურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, მუხლი 336-ე, გამომც., „სამართალი“, თბ. 2001.

რომლებიც აუცილებლად მიიქცევდნენ მათ ყურადღებას ხელშეკრულების სხვა დროს ან ადგილას დადების შემთხვევაში.<sup>286</sup>

ამ თვალსაზრისით გადამწყვეტია, თუ როგორ და რა ფაქტორების ზემოქმედების ქვეშ დაიდო ხელშეკრულება. უჩვეულო გარემოებაში დადებულ ხელშეკრულებებზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა დადგინდეს, თუ რომელი ხელშეკრულება ჩაითვლება არაოფიციალურ ვითარებაში დადებულად.

უნდა აღინიშნოს, რომ ქუჩაში დადებული ყველა ხელშეკრულება არ შეიძლება მივიჩნიოთ უჩვეულო გარემოში ან მოულოდნელად დადებულ გარიგებად. ყოველთვის არ არის შესაძლებელი ბაზრობაზე ან მიწისქვეშა გადასასვლელში დადებული ხელშეკრულების მიმართ გავრცელდეს არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულების დანაწესები და, შესაბამისად, რეალიზებულ იქნას უარყოფის უფლებაც.<sup>287</sup> მართალია, ბაზრობაზე ან ქუჩაში გამართულ სახელდახელოდ მოწყობილ სავაჭრო ობიექტზე საქონლის ყიდვა, ფორმალურად კი არის არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულება, მაგრამ ასეთი ადგილები თავისი დანიშნულებით გამიზნულია სავაჭროდ და იქ მისული მომხმარებელი წინასწარ არის განწყობილი რაიმე ნივთის შესაძენად.<sup>288</sup> ამიტომაც, ქუჩაში მოწყობილ სავაჭრო დახლოთან საქონლის შექმნა არ ითვლება არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ ხელშეკრულებად და არც მომხმარებლისთვის წარმოშობს დადებული ხელშეკრულების უარყოფის უფლებას.<sup>289</sup>

საკანონმდებლო დანაწესების სიცხადისათვის, ისევე როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვისათვის, ერთგვაროვანი მიდგომის უზრუნველსაყოფად, ევროპული დირექტივებით პირდაპირ განისაზღვრა შემთხვევები, რომელთა არსებობის პირობებში ხელშეკრულებები მიიჩნევა არაოფიციალურ ვითარებაში დადებულად. კერძოდ, ასეთებია: 1) ნებისმერი ხელშეკრულება, რომელიც დადებულია მომხმარებლისა და მეწარმის თანდასწრებით ადგილებში, რომლებიც არ განეკუთვნება მეწარმის ჩვეულებრივი საქმიანობის ადგილს ან იურიდიულ ადგილსამყოფელს, თუმცა შინაარსობრივად მეწარმე ან მისი წარმომადგენელი სწორედ თავისი პროფესიული მიზნებისთვის მოქმედებს; 2) მომხმარებლისათვის გაპეტებული ოფერტი პირველ პუნქტში აღწერილ გარემოში; 3) გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც, როცა ხელშეკრულება დადებულია მეწარმის

<sup>286</sup>Luzak J. A., To Withdraw or Not to Withdraw? Evaluations of the Mandatory Right of Withdrawal in Consumer Distance Selling Contracts Taking into Account its Behavioral Effects on Consumer, Amsterdam Law School Legal Research Paper No. 2013-21, Centre for the Study of European Contract Law Working Paper No. 2013-04, 10, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2243645](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2243645)>, [20.01.2015].

<sup>287</sup>Loos M., Right of Withdrawal, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 245-246.

<sup>288</sup>ქართულია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, მუხლი 336-ე, გამომც., „სამართალი“, თბ. 2001.

<sup>289</sup>იქნა

ჩვეულებრივი საქმიანობის ადგილზე ან დისტანციური კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით, მაგრამ მას წინ უძღვდა მომხმარებლისადმი პერსონალური მიმართვა და მისი დაყოლიება ხელშეკრულების დადებაზე ადგილებში, რომელიც არ მიეკუთვნება მეწარმის ჩვეულებრივი საქმიანობის ადგილს და 4) ხელშეკრულება, დადებული მეწარმის მიერ ორგანიზებული ექსპურსიის დროს, რომლის მიზანი ან შედეგია მომხმარებლის დაყოლიება ხელშეკრულების დადებაზე.<sup>290</sup>

### **5.1.1.1. ხელშეკრულება, რომელიც დადებულია მომხმარებლისა და მეწარმის თანდასწრებით იმ ადგილებში, რომელებიც არ განეკუთვნება მეწარმის ჩვეულებრივი საქმიანობის ადგილს**

ხელშეკრულების არაოფიციალურ ვითარებაში დადებულად მიჩნევისათვის გადამწყვეტია ის გარემო, რომელშიც ხელშეკრულება იდება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მეწარმის საქმიანობა იდენტიფიცირებადი არ იყოს, როგორც საჯარო ვაჭრობის ადგილი. ამ თვალსაზრისით ევროპელი კანონმდებელი რამდენიმე გარემოებას უსვამს ხაზს. „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ 2011/83 დირექტივასთან დაკავშირებით ევროკომისის მიერ გამოქვეყნებულ გაიდლაინში განმარტებულია, რომ სამეწარმეო საქმიანობის ადგილად უნდა ჩაითვალოს მეწარმის მუდმივი ან ჩვეულებრივი საქმიანობის ადგილი. ამდენად, ქუჩაში მოწყობილი სავაჭრო დახლები ჩაითვლება ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობად, თუ ვაჭრობის ეს ფორმა მუდმივი ან რეგულარული ხასიათისაა. გარდა ამისა, თუ მეწარმე იყენებს საჯარო სივრცეს, პარკს, სკვერს, სანაპირო ზოლს მხოლოდ ტურისტული სეზონის განმავლობაში, ესეც უნდა ჩაითვალოს ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობად, თუ ასეთი ადგილების სავაჭროდ გამოყენება რეგულარულად ხდება, მაგალითად, ყოველი სეზონის დროს.<sup>291</sup>

ამის საპირისპიროდ, როცა მეწარმე თავისი საქმიანობისათვის დროებით იყენებს საჯარო სივრცეს, ამ დროს დადებული ხელშეკრულებები უნდა ჩაითვალოს არაოფიციალურ ვითარებაში დადებულად. კერძოდ, იმ შემთხვევაში, როცა მეწარმე სთავაზობს საქონელს ან მომსახურებას მომხმარებლებს ერთჯერადად ან ხანმოკლე დროის განმავლობაში კონკრეტული მიზნისათვის მოწყობილ სავაჭრო ადგილზე – სავაჭრო ცენტრში ან დია საჯარო სივრცეში საგანგებოდ მოწყობილ დახლთან,

<sup>290</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011, <<http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32011L0083>>, [26.04.2014]; Working Document of the Commission, Responses to the Consultation on the Council Directive 85/577/EEC of 20 December 1985 to Protect the Consumer in Respect of Contracts Negotiated Away from Business Premises Summary of Responses, <[http://ec.europa.eu/consumers/rights/docs/doorstepselling\\_responses.pdf](http://ec.europa.eu/consumers/rights/docs/doorstepselling_responses.pdf)>, [27.04.2014]; ქარდაგა კ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებითსამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა – სპეც. გამოშევება 2007, 128.

<sup>291</sup> DG Justice Guidance Document, European Commission, DG Justice, June 2014, <[http://ec.europa.eu/justice/consumer-marketing/files/crd\\_guidance\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/consumer-marketing/files/crd_guidance_en.pdf)>, 14.

ასეთი დროებითი სავაჭრო ობიექტები არ ითვლება მეწარმეთა მუდმივ ანდა ჩვეულებრივ სამეწარმეო საქმიანობის ადგილად<sup>292</sup> ამ დროს დადებული ხელშეკრულებები უნდა განვიხილოთ, როგორც არაოფიციალურ ვითარებაში დადებული გარიგებები. შესაბამისად, ხელშეკრულების დადებამდე მომხმარებელს უნდა განემარტოს მისი უარყოფის შესაძლებლობისა და წესის შესახებ წერილობითი ფორმით.<sup>293</sup> მაგალითად, „სამსუნგის“ ფირმის ოფიციალური დისტრიბუტორი თავისი ჩვეულებრივი ან მუდმივი სამეწარმეო საქმიანობის ადგილისაგან მოშორებით, სხვა სავაჭრო ობიექტზე (სავაჭრო მოლში) საგანგებოდ მოაწყობს სავაჭრო სივრცეს თავისი პროდუქციის რეკლამირებისა და შეთავაზებისათვის. ამ ძეგლის ფარგლებში, დროებით მოწყობილ სავაჭრო ობიექტზე შეძენილი საქონლის მიმართ უნდა გავრცელდეს არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებების მარეგულირებელი წესები. შესაბამისად, ასეთ პირობებში დადებული ხელშეკრულებების მიმართ, მომხმარებელი უფლებამოსილი იქნება ისარგებლოს ხელშეკრულების უარყოფის უფლებით.

ამასთან, მომხმარებლის ინფორმირების ვალდებულება ხელშეკრულების უფლების შესახებ, მეწარმეს აწევს. თუ იგი არ შეასრულებს ამ ვალდებულებას, ხელშეკრულების არაოფიციალურ ვითარებაში დადებულად მტკიცების ტვირთიც მას დაეკისრება. მეწარმემ უნდა ამტკიცოს, რომ ვაჭრობის კონკრეტული ფორმა მუდმივი ანდა რეგულარული ხასიათისაა. მეტიც, თუ მეწარმის საქმიანობის იდენტიფიცირება საჯარო ვაჭრობად პირდაპირ არ გამომდინარეობს ვაჭრობის ფორმიდან, იგი უნდა განიმარტოს, როგორც არაოფიციალურ ვითარებაში განხორციელებული საქმიანობა.<sup>294</sup>

### **5.1.1.2. მომხმარებლისათვის ინდივიდუალურად მიმართვის შედეგად დადებული ხელშეკრულებები**

ცალკე ყურადღება ეთმობა შემთხვევებს, როცა ხელშეკრულება იდება მეწარმის ჩვეულებრივი საქმიანობის ადგილზე ან დისტანციური კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით, მაგრამ მას წინ უძლოდა მომხმარებლისადმი პერსონალური და ინდივიდუალური მიმართვა და მისი დაყოლიერა ხელშეკრულების დადებაზე ადგილებში, რომელიც არ მიეკუთვნება მეწარმის ჩვეულებრივი საქმიანობის ადგილს.

ასეთ ვითარებაში მომხმარებელთა დაცვა მათოვის ხელშეკრულების უარყოფის უფლების მინიჭებით, განპირობებულია ნაჩეარევად მიღებული გადაწყვეტილების უარყოფითი შედეგების გადასალახავად. კერძოდ,

<sup>292</sup> Twigg-Flesner Ch., Metcalfe D., The Proposed Consumer Rights Directive – Less Haste, More Thought? European Review of Contract Law, 2009, 8, SSRN, <<http://ssrn.com/abstract=1345783>>, [20.01.2015].

<sup>293</sup> DG Justice Guidance Document, European Commission, DG Justice, June 2014, <[http://ec.europa.eu/justice/consumer-marketing/files/crd\\_guidance\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/consumer-marketing/files/crd_guidance_en.pdf)>, 14.

<sup>294</sup> DG Justice Guidance Document, European Commission, DG Justice, June 2014, <[http://ec.europa.eu/justice/consumer-marketing/files/crd\\_guidance\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/consumer-marketing/files/crd_guidance_en.pdf)>, 15.

წარმოვიდგინოთ შემთხვევა, როცა ქუჩაში მიმავალ მომხმარებელს გააჩერებს რომელიმე კომპანიის წარმომადგენელი და შესთავაზებს მას გარკვეული მომსახურების პაკეტს. დაარწმუნებს მის უნიკალურობაში, თავს მოახვევს სხვადასხვა პირობებს, არ მოეშვება, სანამ არ მიიყვანს უახლოეს ოფისამდე და არ მოაწერინებს ხელს ხელშეკრულებაზე. ამ სიტუაციაში განსაკუთრებით ვლინდება ხელშეკრულების უარყოფის უფლების დაცვითი ფუნქცია. სახლში წასულ მომხმარებელს ეძლევა დამატებითი დრო „აზრზე მოსახლელეად“, დადებული ხელშეკრულების გადასახედად და საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების უარყოფის უფლების მიზნებისათვის აუცილებელია სახეზე იყოს „პერსონალური და ინდივიდუალური“ მიმართვის ფაქტი. ასე, მაგალითად, თუ კომპანიის წარმომადგენელი ქუჩაში მიმავალ მომხმარებელს გააჩერებს და შესთავაზებს მომსახურების პაკეტის ბუკლეტს, რომლის გაცნობის შედეგადაც მომხმარებელი მოგვიანებით დადებს ხელშეკრულებას, ეს არ ჩაითვლება არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ ხელშეკრულებად. შესაბამისად, მომხმარებელი არ იქნება დაცული ხელშეკრულების უარყოფის იმპერატიული ძალის მქონე უფლებით.<sup>295</sup>

### **5.1.1.3. ხელშეკრულება, დადებული მეწარმის მიერ ორგანიზებული ექსკურსიის დროს**

არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ ხელშეკრულებებს ასევე მიეკუთვნება ისეთი გარიგებები, რომლებიც დადგებულია მეწარმის მიერ ორგანიზებული ექსკურსიების დროს. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს ხელშეკრულება მეწარმის ჩვეულებრივი საქმიანობის ადგილზე დაიდება, თუ მის გარეთ გადამწყვეტია, რომ ხელშეკრულების დადების სურვილი მომხმარებელს ჩამოუყალიბდეს მისი ნების ფორმირებაზე მეწარმის გავლენით. მეტიც, არც იმას აქვს მნიშვნელობა, ექსკურსია მიზნად ისახავდა მომხმარებლის დაყოლიებას ხელშეკრულების დადებაზე თუ მხოლოდ საქონლისა და მომსახურების შეთავაზებას.<sup>296</sup>

არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებების მოცემული განმარტება ეხმიანება ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკასაც. კერძოდ, სასამართლოს პრაქტიკიდან შეიძლება გამოვყოთ, „Travel Vac SL v Manuel Jose Antelm Sanchis“-ის საქმე, რომელმაც გავლენა იქონია არა მხოლოდ ექსკურსიის პირობებში დადებული ხელშეკრულების, არამედ ზოგადად არაოფიციალურ გარემოში დადებული

<sup>295</sup> Consultation on the Implementation of Consumer Rights Directive 2011/83/EU, May, 2013, 18; DG Justice Guidance Document, European Commission, DG Justice, June 2014, 15.

<sup>296</sup> DG Justice Guidance Document, European Commission, DG Justice, June 2014, 16.

ხელშეკრულებებისა და ხელშეკრულების უარყოფის უფლების  
განმარტებაზე<sup>297</sup>

### საქმის ფაქტობრივი გარემოებები:

კომპანია „Travel Vac“-მა გაუგზავნა მისტერ ანტელმ სანჩესს რამდენიმე წერილი, რომლითაც პპირდებოდა მას საჩუქრის გადაცემას ყოველგვარი შემხვედრი ვალდებულებების გარეშე. მისტერ სანჩესი ვალენიაში ცხოვრობდა (ესპანეთი). საჩუქრის მისაღებად იგი უნდა ჩასულიყო ქალაქ დენიაში, რომელიც მდებარეობდა 100 კილომეტრის მოშორებით მისი საცხოვრებელი ადგილიდან. ამ წერილებს მოჰყვებოდა სატელეფონო ზარებიც, რომელთა მეშვეობით მისტერ სანჩეს მოუწოდებდნენ სასწრაფოდ მიედო საჩუქარი.

1996 წლის 14 სექტემბერს მისტერ სანჩესმა ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა საჩუქრის მისაღებად წასვლა. მას თხოვეს მისულიყო პრეზენტაციისათვის განკუთვნილ ადგილას. მისტერ სანჩესი რამდენიმე საათის განმავლობაში დააყოვნეს ქ. დენიაში გამართულ დონისძიებაზე, რა დროსაც სისტემატიურად სთავაზობდნენ ალკოჰოლურ სასმელებს. საბოლოოდ იგი დათანხმდა მიედო კომპანიის შეთავაზება და შეეძინა ავეჯით გაწყობილი აპარტამენტის 1/51 განუყოფელი წილი „პარქუე დენია დეველოპმენტში“.

ხელშეკრულების პირობების თანახმად, მისტერ სანჩესი უფლებამოსილი იქნებოდა ესარგებლა აპარტამენტებით 19 კვირის განმავლობაში შეთანხმებული გრაფიკის მიხედვით. კომპანიამ ასევე იკისრა ვალდებულება უზრუნველყო მისტერ სანჩესი დამატებითი სერვისებით, როგორიცაა: შენობის მოვლა, ვადიანი თანასაკუთრების გრაფიკის ადმინისტრირება და მართვა, უძრავი ქონების საერთო სერვისების გამოყენება და საერთაშორისო საკურორტო ამხანაგობის წევრობა. კომპანიის განმარტებით, საერთაშორისო კლუბის წევრობა ითვალისწინებდა გარკვეულ შეთავაზებებს. კერძოდ, შემძენს შესაძლებლობა ემლეოდა გადაეცვალა მისი დასვენების დღეები კლუბის წესების მიხედვით სხვა დღეებზე.

მისტერ სანჩესის მიერ გადასახდელი თანხა შეადგენდა დაახლოებით 6 550 ევროს, საიდანაც დაახლოებით 1700 ევრო განუყოფელი წილის ფასი იყო, ხოლო დანარჩენი - დამატებული დირექტულების გადასახადი, აპარტამენტში განთავსებულ ავეჯზე საერთო საკუთრების გადასახადი, ზემოაღნიშნული სერვისები და საერთაშორისო საკურორტო ამხანაგობის საწერო. გარდა ამისა, ხელშეკრულების თანახმად, მისტერ ანტელმ სანჩესს შეეძლო ესარგებლა ხელშეკრულების უარყოფის უფლებით ხელშეკრულების ხელმოწერიდან 7 დღის განმავლობაში, რის შესახებაც კომპანიისათვის უნდა ეცნობებინა ავთენტური დოკუმენტით. იმ

<sup>297</sup> Case C-423/97, Travel Vac SL v Manuel Jose Antelm Sanchis[1999] ECR.

შემთხვევაში, თუ მისტერ სანჩესი გამოიყენებდა უარყოფის უფლებას, მას დაეკისრებოდა ზიანის ანაზღაურება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 25%-ის ოდენობით.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ მისტერ ანტელმ სანჩესი მივიდოდა ბანქში ხელშეკრულების დადების დამადასტურებელი დოკუმენტის ხელმოსაწერად, ძირითადი ხელშეკრულების დადებიდან სამი დღის ვადაში, მაგრამ არაუგვიანეს 1996 წლის 17 თებერვლამდე.

შეთანხმების მიუხედავად, დათქმულ დროს მისტერ ანტელმ სანჩესი ბანქში არ გამოცხადდა. ამის ნაცვლად იგი მივიდა კომპანია „Travel Vac“-ის სათაო ოფისში, ქ. ვალენსიაში (ესპანეთი) და ზეპირად განაცხადა, რომ ხელშეკრულება მთლიანად იურიდიული ძალის არმქონე იყო და მოითხოვა მის მიერ ხელმოწერილი საბუთების უკან დაბრუნება. 1996 წლის 22 ნოემბერს კომპანია „Travel Vac“-მა შეიტანა საჩივარი ადგილობრივი სასამართლოს პირველ ინსტანციაში და მოითხოვა მისტერ ანტელმ სანჩესის მიმართ სააღსრულებო ფურცლის გამოწერა.

ეროვნულმა სასამართლომ შეკითხვით მიმართა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს. კერძოდ, სასამართლოს წინაშე დაისვა შემდეგი საკითხის განმარტების აუცილებლობა: 1) ვრცელდებოდა თუ არა ზემოაღნიშნულ საქმეზე არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებების მარეგულირებელი ნორმები და მეორე, შეეძლო თუ არა მისტერ სანჩესს წამოეყენებინა შემხვედრი მოთხოვნა ხელშეკრულების გაუქმების შესახებ.

**სასამართლოს გადაწყვეტილება (შენიშვნა: გადაწყვეტილების მიღების დროისათვის მოქმედებდა 85/577 დირექტივა).**

დასმულ შეკითხვებზე პასუხის გაცემამდე სასამართლომ ცალკე გაამახვილა ყურადღება დირექტივის მოქმედების ფარგლებზე და განმარტა, რომ 1985 წლის 20 დეკემბრის 85/577 დირექტივა „არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ არ ვრცელდება იმ ხელშეკრულებებზე, რომლებიც ეხება უძრავი ქონების მშენებლობას, ყიდვა-გაყიდვას, ქირავნობას ან სხვა ხელშეკრულებებს, რომლებიც უძრავ ქონებას უკავშირდება. აქვე მიეთითა, რომ ზემოაღნიშნული სიტუაცია არ ეხებოდა მხოლოდ უძრავ ქონებაზე უფლებას, არამედ იგი მოიცავდა სხვა სახის ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ მომსახურებასაც, რომელთა დირებულება გაცილებით მაღალია, ვიდრე უძრავი ქონების სარგებლობის უფლება. სასამართლომ ჩათვალა, რომ 85/577 დირექტივა უნდა გავრცელდეს იმ ხელშეკრულებებზეც, რომლებიც უკავშირდება უძრავ ქონებაზე უფლების მოპოვებას, თუ მასთან დაკავშირებული მომსახურების გაწევის პირობების დირებულება უფრო მაღალია, ვიდრე უშუალოდ უძრავი ქონებით

სარგებლობის უფლება. შესაბამისად, მომხმარებელიც უნდა იქნას უზრუნველყოფილი ხელშეკრულების უარყოფის იმპერატიული უფლებით.<sup>298</sup>

გარდა ამისა, პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაისვა კონკრეტული შინაარსის შემდეგი შეკითხვები: 1) შესაძლებელია თუ არა ხელშეკრულება ჩაითვალოს არაფიციალურ ვითარებაში დადებულად, თუ იგი დადებულია მოვაჭრის მიერ ორგანიზებული ექსკურსიის დროს, ტურისტულ კომპლექსში, სადაც განთავსებულია ვადიანი თანასაკუთრებისათვის განკუთვნილი აპარტამენტები, ქალაქში, რომელშიც მომხმარებელი მიიპატიუეს და სადაც მოვაჭრეს არა აქვს რეგისტრირებული ოფისი.<sup>299</sup>

სასამართლომ განმარტა, რომ, ჯერ ერთი, ხელშეკრულება დადებულია სხვა ქალაქში და არა იმაში, სადაც ცხოვრობდა მისტერ სანქესი. ქალაქი, რომელშიც მოხდა პირობებზე შეთანხმება, გარკვეული დისტანციითაა დაშორებული მისი ადგილსამყოფელიდან. შესაბამისად, დათქმულ ადგილას მისასვლელად საჭირო იყო ორგანიზებულ მოგზაურობაში მონაწილეობის მიღება, რაც დირექტივის მიზნებისათვის განიხილება ექსკურსიად. მეორე, როცა ასეთი ექსკურსიის ორგანიზების ინიციატივა მეწარმისაგან მომდინარეობს, რაც გამოიხატება წერილის ან/და სატელეფონო ზარის მეშვეობით მომხმარებლის მოწვევაში კონკრეტულ ადგილზე, შესაბამისი თარიღის, დროისა და ადგილის მითითებით, ეს დირექტივის მიზნებისათვის განიხილება, როგორც მეწარმის მიერ ორგანიზებული ექსკურსია. რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, ხელშეკრულების დადების ადგილი უნდა ჩაითვალოს თუ არა არაოფიციალურ გარემოებაში დადებულ გარიგებად, აქ მნიშვნელოვანია იმ ადგილის განსაზღვრა, სადაც მოვაჭრე თავის მიმდინარე სამეწარმეო საქმიანობას ახორციელებს და რომელიც ზუსტადაა იდენტიფიცირებული, როგორც საჯარო ვაჭრობის ადგილი.

ზემოაღნიშვნულის გათვალისწინებით, ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ შემდეგნაირად დაასაბუთა თავისი პასუხი დასმულ შეკითხვაზე: ხელშეკრულება, მოვაჭრის მიერ ორგანიზებული ექსკურსიის პირობებში, მეწარმის ჩვეულებრივი საქმიანობის ადგილისაგან მოშორებით დადებულად უნდა ჩაითვალოს, თუ 1) ხელშეკრულება დადებულია ისეთ

<sup>298</sup> მსგავსი განმარტება გაკეთდა „Georg Heininger and Helga Heininger v Bayerische Hypo – und Vereinsbank AG“ საქმეზეც. მოცემულ საქმეში დავა გამომდინარეობდა ნასყიდობის ხელშეკრულებისათვის გაცემული უზრუნველყოფილი კრედიტის (იპოთეკის) ხელშეკრულებიდან. სასამართლომ მიუთითა, რო, მართალია, ხელშეკრულება შინაარსობრივად უძრავ ქონებას უაგშირდება, მაგრამ უზრუნველყოფილი კრედიტის ხელშეკრულება, შედეგისაგან განცალკევებით, ნასყიდობის ხელშეკრულების დამატებით გარიგებად უნდა იქნას მიჩნეული. შესაბამისად, რადგან კრედიტის ხელშეკრულება დაიდო მომხმარებლის საცხოვრებელ სახლთან, იგი უნდა ჩაითვალოს არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ ხელშეკრულებად და მომხმარებელს უნდა მიეცეს მისი გაუქმების შესაძლებლობა. Case C-481/99, Georg Heininger and Helga Heininger v Bayerische Hypo – und Vereinsbank AG.

<sup>299</sup> Case C-423/97, Travel Vac SL v Manuel Jose Antelm Sanchis[1999] ECR.

ადგილას, სადაც მომხმარებელი სპეციალურად იქნა მიწვეული მეწარმის მიერ; 2) ეს ადგილი მდებარეობს მომხმარებლის საცხოვრებელი ადგილისაგან მოშორებით და განსხვავდება იმ ადგილისაგან, სადაც მეწარმე ჩვეულებრივ ეწევა თავის სამეწარმეო საქმიანობას; 3) იგი აშკარად არ არის იდენტიფიცირებადი, როგორც საჯარო ვაჭრობის ადგილი; 4) მოწვევა მიზნად ისახავს მომხმარებლისათვის საქონლისა და მომსახურების შეთავაზებას.

ეროვნული სასამართლოს შემდეგი შეკითხვა ეხებოდა ხელშეკრულების უარყოფის უფლების გამოყენების წინაპირობებს. კერძოდ, ხელშეკრულების უარყოფის უფლების განხორციელებისათვის, საკმარისია თუ არა მხოლოდ ის ფაქტი, რომ ხელშეკრულება დაიდო არაოფიციალურ ვითარებაში, თუ დამატებით საჭიროა იმის დადასტურება, რომ მომხმარებლის ნების გამოვლენა მოხდა მეწარმის გავლენის ან ზემოქმედების შედეგად.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ მიუთითა, რომ როდესაც ხელშეკრულება იდება მეწარმის ჩვეულებრივი სამეწარმეო საქმიანობისაგან მოშორებით, მომხმარებელი მოუმზადებელია სახელშეკრულებო მოლაპარაკებებისათვის. მას არ შეუძლია შეადაროს შეთავაზებული საქონლის ხარისხი და ფასი სხვა შეთავაზებებს. ამიტომ მომხმარებელს უნდა მიეცეს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლება, რაც მას შესაძლებლობას მისცემს გაიაზროს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. შესაბამისად, სასამართლომ დაასკვნა, რომ ხელშეკრულების უარყოფის უფლების რეალიზებისათვის მეწარმის მხრიდან განსაკუთრებული ზემოქმედება ან მანიპულაცია არ მოითხოვება და არც ამ ფაქტების დამტკიცების ტვირთი აწევს მომხმარებელს. მთავარია, რომ ხელშეკრულება დადებული იყოს მეწარმის ჩვეულებრივი საქმიანობის ადგილისაგან მოშორებით, არაოფიციალურ ვითარებაში.<sup>300</sup>

ამდენად, თუ მომხმარებლის ნების გამოვლენა ხელშეკრულების დადებაზე განპირობებულია მეწარმის მიერ ორგანიზებული ექსკურსიის შედეგად, იგი უფლებამოსილია თავი დააღწიოს არასასურველ ხელშეკრულების მბოჭავი ძალის ეფექტს, გამოვლენილი ნების უკან გამოთხოვის გზით. ერთადერთი, რაც მომხმარებელს ამ შემთხვევაში მოეთხოვება, არის უფლების განხორციელება დადგენილ ვადაში და შესაბამისი წესით.

#### **5.1.14. არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებების სხვა შემთხვევები**

„მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ 2011/83 დირექტივა არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ ხელშეკრულებად ასევე განიხილავს ისეთ შემთხვევებს, როცა ხელშეკრულების დადება ხდება უშუალოდ

<sup>300</sup>Case C-423/97, Travel Vac SL v Manuel Jose Antelm Sanchis[1999] ECR.

მომხმარებლის საცხოვრებელ სახლთან ან სამუშაო ადგილზე. ამასთან, ამ დროს მნიშვნელობა არა აქვს მეწარმის ვიზიტი მომხმარებლის მიერაა ინიცირებული თუ არა. მაგალითად, მაშინაც, როცა მომხმარებელი გამოიძახებს (დაურეკავს) მეწარმის წარმომადგენელს თავის სახლში ან სამსახურში და მაშინაც, თუ მოვაჭრე თვითონ მიაკითხავს მომხმარებელს დასახელებულ ადგილებში საქონელის ანდა მომსახურების შეთავაზების მიზნით, ასეთ გარემოში დადებული ხელშეკრულება ჩაითვლება არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ გარიგებად. შედეგად კი, მომხმარებელს ექნება მისი უარყოფის უფლება დადგენილი წესების დაცვით.<sup>301</sup>

მეტიც, თუ მეწარმის ვიზიტი ინიცირებულია მომხმარებლის გამოძახებით კონკრეტული ნივთის შეძენის თუ მომსახურების მიღების მიზნით, მაგრამ მომხმარებლისათვის მოულოდნელად ხელშეკრულების საგანი ხდება სულ სხვა საქონელი ანდა მომსახურება, რომლის შესახებ მომხმარებელი წინასწარ არ იყო ინფორმირებული და მისთვის უცნობია მსგავსი საქონლის შესახებ ინფორმაცია ანდა ბაზარზე არსებული ფასები, ეს შემთხვევაც განიხილება, როგორც არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულება.<sup>302</sup>

ამასთან, ხელშეკრულება არაოფიციალურ ვითარებაში დადებულად არ ჩაითვლება, თუ მეწარმის პირველადი ვიზიტი მომხმარებელთან მიზნად ისახავდა მხოლოდ გასაყიდი საქონლის თუ შეთავაზებული მომსახურების აღწერას ან ხარისხისა და შინაარსის შეფასებას და არ მოითხოვს მომხმარებლის რაიმე სახის მოქმედებას ან გადაწყვეტილების მიღებას. მოგვიანებით, მეწარმის ამგვარი მოქმედების შედეგად მეწარმის ჩვეულებრივ ადგილსამყოფელზე გაფორმებული ან დისტანციურად დადებული ხელშეკრულება არ მიიჩნევა არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ გარიგებად.<sup>303</sup>

ამდენად, ხელშეკრულება არაოფიციალურ ვითარებაში დადებულად ჩაითვლება როცა, ხელშეკრულების დადებაზე მომხმარებლის ნების გამოვლენა განპირობებულია მისთვის სრულიად მოულოდნელი გარემოებით, როგორიცაა, მაგალითად, ხელშეკრულების დადებაზე ოფერტის მიღება საცხოვრებელი სახლის კართან, სატრანსპორტო საშუალებაში, დია საჯარო ადგილას ან დასასვენებლად ყოფნის დროს - სასტუმროში, პანსიონატში, დროებით დაქირავებულ სახლში ან, მაგალითად, ზღვის სანაპიროზე გარუჯვისას. ასეთ დროს იმდენად დიდია მოულოდნელობის ეფექტი, რომ ხშირ შემთხვევებში ნების გამოვლენა არ ასახავს ადამიანის ობიექტურ განწყობას დასადები გარიგების მიმართ. ხელშეკრულება იდება მხოლოდ მეწარმის დამარტინებელი და

<sup>301</sup> DG Justice Guidance Document, European Commission, DG Justice, June 2014, 13.

<sup>302</sup> იქვე.

<sup>303</sup> Roinn A., Post, F. Nualaichta, Consultations on the Implementation of Directive 2001/83/EU On Consumer Rights, <<http://www.djei.ie/publications/commerce/2013/CRD.pdf>>, [10.02.2014].

თავსმოხვეული ქცევის შედეგად.<sup>304</sup> ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ მომხმარებლის თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე ისეთი მარტივი მიზეზითაც იყოს გამოწვეული, როგორიცაა მომაბეზრებელი მეწარმის თავიდან მოცილება. ამ დროს, როგორც წესი, მომხმარებელს არა აქვს დაფიქრების დრო მიღებული გადაწყვეტილების ადეკვატურობაზე. იგი მოკლებულია ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას და ვერ განსაზღვრავს, რამდენად შეესაბამება გამყიდველის მიერ შეთავაზებული საქონელი ან მომსახურება მის ნამდვილ სურვილს.<sup>305</sup>

შეიძლება ითქვას, რომ ყველა განხილულ შემთხვევას ახასიათებს ერთი თავისებურება – მოულოდნელობის ეფექტი, რაც მეწარმეთა მარკეტინგული პოლიტიკის ძირითადი სტრატეგიაა და ამ ურთიერთობებში მომხმარებელთა არათანაბარი მდგომარეობის განმსაზღვრელია. ასეთ პირობებში მომხმარებელი იხილება უცნაურ ვითარებაში შემოთავაზებული გარიგებით, განიცდის თვითქმაყოფილებას, როცა მისადმი გამოვლენილია ინდივიდუალური ყურადღება მისთვის განსაკუთრებულად კომფორტულ გარემოში, სახლში ვიზიტისას. ამ დროს ყურადღების მიღმა რჩება გარიგების ნებატიური მხარე - ხელშეკრულების ფასი, რომელიც, ჩვეულებრივ, ორჯერ ადემატება ანალოგიური საქონელის საბაზრო ფასებს, ისევე როგორც შეძენილი ნივთის ხარისხი.<sup>306</sup>

უმეტესწილად დასახელებული რისკების გათვალისწინებით ანიჭებს კანონმდებელი მომხმარებელს ხელშეკრულების მბოჭავი ძალისაგან მარტივად გათავისუფლების შესაძლებლობას, რაც ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების უფლებაში ვლინდება. ასეთ შემთხვევებში ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ნების უკან გამოთხოვის უფლება მომხმარებელს აძლევს შანსს, ყოველგვარი პასუხისმგებლობის გარეშე, მარტივად დაადწიოს თავი ხელშეკრულების მბოჭავ ძალას.

#### **5.12. არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებები, რომელთა მიმართაც ხელშეკრულების უარყოფის უფლებას არა აქვს საგალდებულო სასიათი**

არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ ხელშეკრულებებში, მომხმარებლის მიერ აქცეპტის უკან გამოთხოვის თაობაზე საერთო კონცეფციის დამკვიდრების პარალელურად, ევროპელი კანონმდებელი არ ზღუდავს ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს განსხვავებული რეგულაციები შემოიღონ იმ შემთხვევებში თუ საქონლის ან მომსახურების

<sup>304</sup> ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, მუხლი 336-ე, გამომც., „სამართალი“, თბ. 2001.

<sup>305</sup> Rott P., Harmonizing Different Rights of Withdrawal: Can German Law Serve as an Example for EC Consumer Law?, Developments, German Law Journal, [Vol., 07 No. 12, 2006, 1110].

<sup>306</sup> ქარდაგა კ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა ქუთაშვილი დადებული ხელშეკრულებების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა – სპეც. გამოშვება 2007, 124.

დირექტულება არ აღემატება 50 ევროს. კერძოდ, „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ 2011/83 დირექტივის თანახმად, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ თვითონ გადაწყვიტონ გაავრცელონ თუ არა ამ დირექტივის დანაწესები არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ ისეთ ხელშეკრულებებზე, რომელთა ფასიც არ აღემატება 50 ევროს. მათ უფრო დაბალი ხდვრის დადგენაც შეუძლიათ თავიანთ ეროვნულ კანონმდებლობაში.<sup>307</sup>

შედარებით დაბალი დირექტულების მქონე ხელშეკრულებების მიმართ ასეთი დამოკიდებულება ნაკარნახევია წვრილმანი პროდუქციით მოვაჭრე პირებისადმი ლიბერალური დამოკიდებულებით, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მომხმარებელი სათანადოდ არ უნდა იყოს დაცული. ასეთ შემთხვევებში იგულისხმება, რომ დაბალი დირექტულების მქონე ხელშეკრულებები არ ითვლება ჭარბი საფრთხის შემცველად, ხოლო მისი სუბიექტები სპეციალური დაცვის ობიექტებად არ განიხილებიან.<sup>308</sup> ასეთ ხელშეკრულებებად შეიძლება მივიჩნიოთ უამრავი ყოველდღიური ყოფითი გარიგებები, რომლებიც მიზნად ისახავს ერთჯერადი მომსახურების გაწევას და თავისი შინაარსითა და ბუნებით ვერ იქნება მიჩნეული მომხმარებელზე ზეწოლის შედეგად. ასეთ ხელშეკრულებათა რიცხვს განეკუთვნება, მაგალითად, სახლის დალაგების, გაზონის შეკრეპის, ღობის შედებვის და სხვა მსგავსი არაფორმალური ხასიათის კონტრაქტები.<sup>309</sup> საგულისხმოა, რომ დირექტივა პირდაპირ არ მიუთითებს ექნება თუ არა ასეთ შემთხვევებში მომხმარებელს ამ ხელშეკრულებების უარყოფის უფლება. სავარაუდოდ, ეს საკითხი შესაბამისი ქვეყნის შიდა სამართლებრივი ნორმებით უნდა დარეგულირდეს. გარდა ამისა, მომხმარებლებს, როგორც წესი, გარკვეული მოლოდინი აქვთ იმისა, რომ სურვილის შემთხვევაში შეძლებენ ხელშეკრულების უარყოფის უფლებით სარგებლობას. შესაბამისად, მათ წინასწარ უნდა იცოდნენ ამ უფლების არარსებობის შესახებ. ამიტომაც ასეთი გამონაკლისი სახის რეგულაციები განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვეს მეწარმეთა მხრიდანაც. კერძოდ, მომხმარებელი წინასწარ უნდა იყოს ინფორმირებული ხელშეკრულების უარყოფის უფლების გამოყენების შეუძლებლობის შესახებ.<sup>310</sup>

<sup>307</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011.

<sup>308</sup> ქარდავა კ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტების შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა – სპეც. გამოშვება 2007, გვ., 140.

<sup>309</sup> Róinn A., Post, Nualaichta F., Consultations on the Implementation of Directive 2001/83/EU On Consumer Rights, <http://www.djei.ie/publications/commerce/2013/CRD.pdf> 10.02.2014.

<sup>310</sup> Consultation on the implementation of Consumer Rights Directive 2011/83/EU, 18-19.

## 5.2. უარყოფის უფლება დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში

### 5.2.1. მომხმარებელი დისტანციური კომუნიკაციის სამყაროში

ხელშეკრულების დადების ინვაციურმა საშუალებებმა, დისტანციური და ელექტრონული კომერციის განვითარებამ, ელექტრონული მედიისა და ინტერნეტის არხასულმა პროგრესმა აუცილებელი გახადა ეკონომიკური და სამართლებრივი ინსტიტუტების ადაპტირება ასალ ტექნოლოგიებთან და ვაჭრობის წესებთან.<sup>311</sup> ტექნოლოგიურმა პროგრესმა გავლენა მოახდინა მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებზეც. მომხმარებელსა და ონლაინ მომსახურების გამწევ პირს შორის ურთიერთობა მაღაზიის კონსულტანტსა და მის კლიენტს შორის ურთიერთობის იდენტური არ არის. შეიძლება ითქვას, რომ ვირტუალურმა კომუნიკაციამ შეცვალა არა მხოლოდ სახელშეკრულებო ურთიერთობათა ფორმატი, არამედ მომხმარებელთა ნდობისა და მოლოდინის დონეც.<sup>312</sup>

ამ თვალსაზრისით ყურადღება გამახვილდა ჯერ დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებზე, შემდგომ კი, ელექტრონულ ვაჭრობაზე. საქონლისა და მომსახურების მიწოდების შესახებ დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების ხელშეწყობა, უპირველეს ყოვლისა, მიზნად ისახავს ტრანს-სასაზღვრო სავაჭრო ურთიერთობებისა და საერთო ევროპული ბაზრის განვითარებას.<sup>313</sup> დასახული მიზნის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა მომხმარებელთა აქტიური ჩართულობის გარეშე ისევე, როგორც ამ ტიპის სავაჭრო ურთიერთობებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის გარეშე. ამიტომაც ევროპელი კანონმდებელი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს მომხმარებელთა უფლებების მიმართ დისტანციურად დადებულ ტრანზაქციებში.

ფართო გაგებით, დისტანციური კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმით დადებული ხელშეკრულებები კერძო სამართლის განუყოფელი ნაწილია.<sup>314</sup> ვაჭრობის დასახელებულო ფორმა შესაძლებლობას აძლევს მეწარმეებს განახორციელონ კანონით აუკრძალავი ნებისმიერი მოქმედება. ვიწრო გაგებით, არსებობს ელექტრონული კომერციის ორი ძირითადი

<sup>311</sup> Katz A.W., Is Electronic Contracting Different? Contract Law in the Information Age, <<http://www.columbia.edu/~ak472/papers/Electronic%20Contracting.pdf>>, [12.03.2014]; Kaufmann Winn J., Haubold J., Electronic Promises: Contract Law Reform and E-Contracts in Comparative Perspective, European Law Review, 27, 2002, 568-569, <[http://www.Law.washington.edu/Directory/docs/Winn/Electronic\\_Promises\\_Revised.pdf](http://www.Law.washington.edu/Directory/docs/Winn/Electronic_Promises_Revised.pdf)>, [11.05.2014].

<sup>312</sup> Nimmer R. T., The Legal Landscape of E-commerce: Redefining Contract Law in an Information Era, Journal of Contract Law Conference, „Contract and the Commercialization of Intellectual Property“, Singapore Academy of Law and Singapore Management University, 2006, 5.

<sup>313</sup> Macsim A.-R., The New Consumer Rights Directive, A Comparative Law and economics Analysis of the Maximum Harmonization Effects on Consumers and Businesses, The Case of the Cooling-off Period from Online contracts, <<http://pure.au.dk/portal/files/44659752/Thesis.pdf>>, [27.11.2013].

<sup>314</sup> Simpson & Simpson., E-Commerce law, Doing Business Online, Palladian Lae Publishing, Berbridge, 2001, 6-7.

მიმართულება: ხელშეკრულებები, რომლებიც იდება მეწარმე სუბიექტებს შორის და ხელშეკრულებები, რომლებიც იდება მეწარმეებსა და მომხმარებლებს შორის. ხელშეკრულების დიფერენციაცია სუბიექტების მიხედვით იწვევს მათ განსხვავებულ რეგულირებას. მეწარმე სუბიექტებს შორის დადგებული ელექტრონული ხელშეკრულებები წესრიგდება საერთაშორისო და შიდა სახელშეკრულებო რეგიმებით. მომხმარებელთა მონაწილეობით დადგებული ხელშეკრულებები შედარებით ვიწრო რეგულაციებს ექვემდებარება. ისინი მოცემულია შიდასახელმწიფოებრივ და რეგიონალურ აქტებში (მაგალითად, ევროკავშირის დერექტივები), როგორც მომხმარებელთა უფლებების დაცვის მომწესრიგებელი სამართლებრივი მექანიზმები. ორივე შემთხვევაში მიდგომა ხელშეკრულების ნამდვილობისა და მისი შესრულების მიმართ ერთგვაროვანია და გამომდინარეობს კერძო სამართლის ზოგადი საფუძვლებიდან. განსხვავებულია მხოლოდ მხარეთა უფლება-მოვალეობანი. მომხმარებელთა მონაწილეობით დადგებულ ხელშეკრულებებში, მეწარმეთა კეთილსინდისიერად და გულისხმიერად მოქმედების ვალდებულება დამატებითი იმპერატიული ნორმებითაა უზრუნველყოფილი.<sup>315</sup>

მიუხედავად იმისა, რომ ელექტრონული კომერცია იძლევა ნოვატორულ შესაძლებლობებს ქმედითი ხელშეკრულებების დასადებად, ის იწვევს ხელშეკრულების ნამდვილობასთან დაკავშირებულ ახალ ხარვეზებს. ის, თუ როგორ უნდა იქნეს აცილებული დისტანციური კომუნიკაციის მეთოდებით დადგებული ხელშეკრულებების შესაძლო უარყოფითი შედეგები ერთ-ერთი ქვაკუთხედია სამართლებრივ დოქტრინაში.<sup>316</sup> ამიტომაც უფლების დაცვის საერთო საფუძვლებთან ერთად, არათანაბარ სახელშეკრულებო ურთიერთობებში (მომხმარებელთა მონაწილეობით დადგებული დისტანციური ხელშეკრულებები კი სწორედ ასეთებად განიხილება) მომხმარებელი დამატებით დაცულია ხელშეკრულების უარყოფის უფლებით, როგორც ადგევატური და უფექტური საშუალებით მის მიმართ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების უგულებელყოფისას. თუმცა, ხელშეკრულების უარყოფის უფლების დამკვიდრების უკან ელექტრონულ ვაჭრობაში მომხმარებელთა ჩაბმისა და წახალისების მიზანიც აშკარად იჩენს თავს.<sup>317</sup>

<sup>315</sup> Daunel-Lieb B., A Special Private Law for B2C? Silver Bullet or Blind Alley? New Features in Contract Law, R. Schulze sd. pub. Mucchen, Sellier, European Law Publishers, 2007, 107-117; Schmidt W-A., Priess M., Germany, Spindler G., Borner F., E-Commerce Law in Europe and the USA, Springer, Verlag Berlin Heidelberg, 2002. Schmidt W-A., Priess M., Germany, 181; Wang F.F., Law of Electronic Commercial Transactions, Contemporary Issues in EU, US and China, Routledge Research in IT and E-Commerce Law, Taylor & Francis Group, New York 2010, 14.

<sup>316</sup> Wang F.F., Law of Electronic Commercial Transactions, Contemporary Issues in EU, US and China, Routledge Research in IT and E-Commerce Law, Taylor & Francis Group, New York 2010, 13.

<sup>317</sup> Twigg-Flesner C., A Cross-Border-Only Regulations for Consumer Transactions in the EU, A Fresh Approach to EU Consumer Law, Springer Briefs in Business, 2012 <<http://www.springer.com/cn/book/9781461420460>>, [10.11.2013], 5; Micklitz H-W., The Target Full Harmonization Approach” Looking Behind Curtain, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law,

## 5.2.2. პირისპირ კომუნიკაციიდან დისტანციურ კომუნიკაციამდე

დღეისათვის დისტანციურად დადგებული ხელშეკრულებების ყველაზე გავრცელებულ ფორმად ელექტრონული კომერცია ითვლება, რომლის პირველი ჩანასახი ამერიკის შეერთებულ შტატებში 1958 წელს გაჩნდა.<sup>318</sup> კერძოდ, აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს დასჭირდა კომპიუტერული სისტემა, რომელიც ცენტრალური კომპიუტერისაგან, ე.წ. „სერვერისაგან“ დამოუკიდებელი იქნებოდა. ამ მიზეზით მეცნიერებმა განავითარეს დეცენტრალიზებული ელექტრონული ქსელი, რომელიც პირველად პენტაგონის სამეცნიერო განყოფილების დავალებით 1961 წელს გამოიყენეს მოწინავე სამეცნიერო კვლევების სააგენტოს (APRA) მიერ და აპრანეტის (APRAnet) სახელწოდებით დაიმკვიდრა თავი. მოგვიანებით, აპრანეტი შეცვალა ინტერნეტმა, რომელიც კომპიუტერული ქსელებისა და მრიცხველების გლობალური, ურთიერთდაკავშირებული სისტემაა და გამოყენებადია ყველასათვის, შესაბამისი ტექნიკური მოთხოვნების შესრულების შემთხვევაში. მისი თავდაპირველი მიზანი მეცნიერული, და არა კომერციული გამოყენება იყო. 1995 წელს აშშ-ს მთავრობამ შეცვალა თავისი დამოკიდებულება და მოახდინა ინტერნეტის პრივატიზება. ამ დროიდან ინტერნეტი კომერციული საქმიანობის ნაწილი ხდება.<sup>319</sup>

პირველი ელექტრონული ვაჭრობის ჩანასახები 1994-1997 წლებში ჩნდება. ამ დროისათვის უმრავმა მეწარმე სუბიექტმა შექმნა ვებ-გვერდები ინტერნეტში, თუმცა, ელექტრონული ვაჭრობის შესაძლებლობა მათ ჯერ არ გააჩნდათ (მაგ. amazon.com, e-bey). 1997-2000 წლებში შესაძლებელი გახდა პირველი ელექტრონული ტრანზაქციის განხორციელება და შესაბამისად, ახალი ათასწლეულიდან ელექტრონული კომერცია ვაჭრობის ჩვეულებრივ საშუალებად იქცა.<sup>320</sup>

ტექნოლოგიურმა პროგრესმა გავლენა მოახდინა როგორც მომხმარებელთა ცნობიერებაზე, ასევე მეწარმეებზეც, რომლებიც კონტრაჰენტებთან პირისპირ კომუნიკაციიდან თანდათან გადავიდნენ დისტანციური კომუნიკაციის წესებზე.<sup>321</sup> ამასთან, დისტანციურ

Sellier, ELP, Munich, 2009, 48-51; Ben-Shahar O., Posner E., A., The Right to Withdraw in Contract Law, Journal of legal studies, Vol.,, 40 January 2011. 116, <<http://www.jstor.org/stable/10.1086/658403>>.

<sup>318</sup> Anagnostopoulou D.,E-commerce in International and European Union Law: The Policy of the European Union on Digital Agenda and Strategy 2020, <<http://afrodit.uom.gr/jmc/wp-content/uploads/2013/06/Research-Essay-No-11.pdf>>, [08.05.2014].

<sup>319</sup> ერქანია ო., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეფორცები სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა. ურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №3(30), 2011, 59.

<sup>320</sup> Anagnostopoulou D.,E-commerce in International and European UnionLaw: The Policy of the European Union on Digital Agenda and Strategy 2020, <<http://afrodit.uom.gr/jmc/wp-content/uploads/2013/06/Research-Essay-No-11.pdf>>, [ 08.05.2014].

<sup>321</sup> Working Document of the Commission, Responses to the Consultation on the Council Directive 85/577/EEC of 20 December 1985 to Protect the Consumer in Respect of Contracts Negotiated Away from Business Premises Summary of Responses, <[http://ec.europa.eu/consumers/rights/docs/doorstepselling\\_responses.pdf](http://ec.europa.eu/consumers/rights/docs/doorstepselling_responses.pdf)>, [ 27.04.2014].

კომუნიკაციაში იგულისხმება ურთიერთობის ნებისმიერი ფორმა, რომელიც არ უკავშირდება მსარეთა პირდაპირ ურთიერთობას. იგი მოიცავს ხელშეკრულებებს, რომელიც იდება ტელეფონის, ფოსტის, ელექტრონული ფოსტის, კატალოგების, ანდა ინტერნეტის გამოყენებით. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება პრესაში გავრცელებული რეკლამის, რადიოსა და ტელევიზიის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებებიც, თუ მათში საგანგებოდაა მითითებული საქონლისა და მომსახურების შემთავაზებელი პირის ტელეფონის ნომერი ანდა ელექტრონული მისამართი.<sup>322</sup>

თავის მხრივ, დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებად ჩაითვლება ისეთი გარიგებები, რომლებიც იდება ერთი და იმავე ან სხვადასხვა იურისდიქციას დაქვემდებარებულ მომხმარებელსა და მეწარმეს შორის კავშირგაბმულობის ნებისმიერი საშუალების გამოყენებით ანდა ერთი და იმავე ან სხვადასხვა იურისდიქციას დაქვემდებარებულ მომხმარებელსა და მეწარმეს შორის ელექტრონული კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმის (ინტერნეტის) გამოყენებით.<sup>323</sup>

შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე სამყაროში ურთიერთობის დასახელებული ფორმები დროსა და სივრცეში საქონლისა და მომსახურების შეთავაზების გამარტივებულ საშუალებად ითვლება. ისინი ქმნიან სამართლებრივი ურთიერთობის დამყარების უნიკალურ შესაძლებლობას ხელშეკრულების ორივე მხარისათვის. ეს განსაკუთრებით კომფორტულია მომხმარებლებისათვის, რომლებსაც შეუძლიათ სახლიდან გაუსვლელად დაიკავიოთ თავიანთი ინტერესები. სწორედ ამ ფაქტორის გათვალისწინებით, დისტანციური და ელექტრონული ვაჭრობა ბოლო ათწლეულის მანძილზე სახელშეკრულებო სამართლის განუყოფელ ნაწილად იქცა, ხოლო ამ ურთიერთობის ერთ-ერთი მხარის - მომხმარებლის - ინტერესების დაცვა, თანამედროვე ცივილიზებული სამართლის პრიორიტეტად იქნა აღიარებული.<sup>324</sup>

საგულისხმოა, რომ არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებების რეგულირება და, მათ შორის, მომხმარებლებისათვის ხელშეკრულების უარყოფის სპეციალური უფლების მინიჭება, შეიძლება განვიხილოთ ერთგარ წინაპირობად დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში ამავე სტანდარტის დამკვიდრებისათვის. ნიშანდობლივია, რომ არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებების მიმართ განსაკუთრებული ინტერესის გაჩენის დროისათვის (მე-20 საუკუნის 60-80-იანი წლები), დისტანციური ხელშეკრულები მათი დღევანდელი

<sup>322</sup> Stone R., The Modern Law of Contract, fifth edition, Cavendish Publishing limited, Portland, Oregon, USA, 2002, 64.

<sup>323</sup> Twigg-Flesner C., A Cross-Border-Only Regulations for Consumer Transactions in the EU, A Fresh Approach to EU Consumer Law, Springer Briefs in Business, 2012, 5.

<sup>324</sup> Loos M., Helberger N., Guibaut L., Pessers L., Digital Content Contracts for Consumers, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2012-66, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2012-05, University van Amsterdam, The Netherlands, 2-5; Twigg-Flesner C., A Cross-Border-Only Regulations for Consumer Transactions in the EU, 7.

ინტერპრეტაციით არც არსებობდნენ. თუმცა, აშკარად იკვეთებოდა მეწარმეების სურვილი და მომხმარებლების მზადყოფნა დაემყარებინათ სახელშეკრულებო ურთიერთობები, მეწარმეთა მუდმივი ან ჩვეულებრივი ადგილსამყოფელის ფარგლებს გარეთ, მაგალითად, საკუთარ სახლთან, სამსახურში ან სხვა საჯარო სივრცეში.<sup>325</sup> ეს ფაქტობრივად იყო კიდევაც დისტანციური ურთიერთობების პირველადი ჩანასახი, მაგრამ ჯერ კიდევ პირისპირი კომუნიკაციის ელემენტებით.

ტექნოლოგიების განვითარებამ შესაძლებელი გახდა ხელშეკრულებების დადება ყოველგვარი პირისპირი კომუნიკაციის გარეშე. შესაბამისად, დღის წესრიგში დადგა დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების მარეგულირებელი ნორმების მიღების აუცილებლობა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ დისტანციური მეთოდებით ხელშეკრულებების დადება, თავისი თავდაპირველი გაგებით გაცილებით შეზღუდულ ინტერპრეტაციას იძლეოდა, ვიდრე ეს დღეს არის შესაძლებელი.

დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი პირველი ევროპული დირექტივა მიღებული იქნა 1997 წელს. კერძოდ, ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 1997 წლის 20 მაისის მიღებული იქნა 97/7 დირექტივა დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ,<sup>326</sup> რომელმაც დისტანციური ვაჭრობისათვის დაამკვიდრა რამდენიმე მნიშვნელოვანი დაცვითი საშუალება, მათ შორის, განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა მომხმარებლისათვის ხელშეკრულების უარყოფის უფლების მინიჭებაზე.<sup>327</sup>

უნდა ითქვას, რომ დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების შესახებ დირექტივა თავისი თავდაპირველი დანიშნულებით არ იყო ორიენტირებული ელექტრონულ კომერციაზე. 1997 წელს ონლაინ კონტრაქტები ჯერ კიდევ არ იყო სათანადო განვითარებული. იმ დროისათვის დისტანციურ ხელშეკრულებებში ძირითადად ტელემარკეტინგისა და კატალოგის მეშვეობით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებები მოიაზრებდნენ. დისტანციური ვაჭრობა დღევანდელი გაგებით საერთოდ არ არსებობდა. თანამედროვე გამოწვევის გათვალისწინებით აუცილებელი გახდა ახალი რეგულაციების შემუშავება. შედეგად, ევროპაგმორის ფარგლებში მომხმარებელთა დაცვის უნიფიცირებისა და გამარტივების მიზნით, 2011/83 ევროპულმა

<sup>325</sup> Principles of the Existing EC contract Law (Acquis principles), Contract I, Pre-contractual obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007, 195.

<sup>326</sup> ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 1997 წლის 20 მაისის 97/7 დირექტივა მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების დროს.

<sup>327</sup> Fine S., The Consumer's Right of Withdrawal and Distance Selling in Europe: A Consumer Stronghold in European Distance Selling and E-Commerce, in Festschrift Franz Zehetner 31, Markus Haslinger, Arthur Kanonier and Sylvia Zehetner eds. 2009,32.

ინსტიტუტებმა მიიღეს ახალი დირექტივა მომხმარებელთა უფლებების შესახებ, რომელმაც დაამკვიდრა ერთიანი კონცეფცია დისტანციურად დადგებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა დაცვის უზრუნველსაყოფად.<sup>328</sup>

### 5.2.3. დისტანციურად დადგებული ხელშეკრულების თავისებურებები

დისტანციურად დადგებულ ხელშეკრულებებში, მომხმარებელთა ინტერესების დაცვის ერთ-ერთ გარანტად მათთვის ხელშეკრულების უარყოფის უფლების მინიჭებაა აღიარებული.<sup>329</sup> თავის მხრივ, უფლების ეფექტურად განხორციელებისათვის გადამწყვეტია იმის განსაზღვრა, თუ რა ტიპის ხელშეკრულებები ჩაითვლება დისტანციურად დადგებულად. „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ 2011/83 დირექტივა დისტანციურად დადგებულ ხელშეკრულებებს მიაკუთვნებს „ნებისმიერი გარიგებას, რომელიც დადგებულია მომხმარებელსა და მეწარმეს შორის დისტანციური გაჭრობისათვის ანდა მომსახურების გაწევისათვის სპეციალურად ორგანიზებული სისტემის მეშვეობით, მომხმარებლისა და მეწარმის ერთდროული მონაწილეობის გარეშე, დისტანციური კომუნიკაციის ერთი ან რამდენიმე განსაკუთრებული წესის გამოყენებით.“<sup>330</sup> დისტანციური ხელშეკრულებების მოცემული დეფინიცია თავის თავში მოიცავს რამდენიმე მნიშვნელოვან ელემენტს.

#### 5.2.3.1. გარიგების ნამდვილობა

პირველ რიგში, ამ გზით დადგებული ყველა შეთანხმება უნდა აკმაყოფილებდეს გარიგების ნამდვილობისათვის წაყენებულ პირობებს, რომელიც ევროპავმირის დირექტივებისაგან დამოუკიდებლად რეგულირდება წევრი სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობით.<sup>331</sup>

<sup>328</sup> *Luzak J.*, Online Consumer Contracts, University of Amsterdam - Centre for the Study of European Contract Law (CSECL); University of Amsterdam - Faculty of Law, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2014-47, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2014-08, ERA Forum, Vol., 15, no. 3, 2014, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2487222##](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2487222##)>, [21.01.2015], 2.

<sup>329</sup> *Loos M.*, Right of Withdrawal, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 244-250.

<sup>330</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32011L0083> 26.04.2014

<sup>331</sup> *Fina S.*, The Consumer's Right of Withdrawal and Distance Selling in Europe: A Consumer Stronghold in European Distance Selling and E-Commerce, in *Festschrift Franz Zehetner, Markus Haslinger, Arthur Kanonier and Sylvia Zehetner eds.* 2009, 31; *Spindler G., Borner F.*, E-Commerce Law in Europe and the USA, Springer, Verlag Berlin Heidelberg, 2002, *Schmidt W-A., Priess M.*, Germany, 164-176, *Renard I. A., Barberis M. A.*, France, 97-101.

### 5.2.3.2. კომუნიკაციის არარსებობა

ხელშეკრულების დისტანციურად დადებულად მიჩნევისათვის და, შესაბამისად, ხელშეკრულების უარყოფის უფლების დაცვითი ფუნქციის გამართლებისათვის, მნიშვნელოვანია ამ ტიპის ხელშეკრულებების განსაკუთრებულობის წარმოჩენა. „განსაკუთრებულობაში“, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმება მხარეთა პირისპირი კომუნიკაციის გარეშე, რომელიც მოიცავს როგორც მოლაპარაკებების პროცესს, ასევე უშუალოდ ხელშეკრულების დადების ფაქტსაც. დისტანციური ვაჭრობა ხასიათდება იმ თავისებურებით, რომ გამყიდველი ამყარებს სახელშეკრულებო ურთიერთობებს მყიდველთან ისე, რომ ამ ურთიერთობის მონაწილე პირები არათუ პირისპირ არ ხვდებიან ერთმანეთს, არამედ ხშირ შემთხვევაში თანხმობა ოფერტზე შემოიფარგლება მხოლოდ შესაბამის დილაკზე დაჭრით, რაც საკმარისია ხელშეკრულების დადებულად მიჩნევისათვის და თვითბოჭვისათვის.<sup>332</sup>

ნიშანდობლივია, რომ თუ ხელშეკრულების დადების რომელიმე სტადიაზე, მომხმარებელს შეუძლია შეხვდეს მეწარმეს ან წინასწარ, ფიზიკურად დაათვალიეროს მისთვის სასურველი საქონელი და შემდგომ შეათანხმოს პირობები, ასეთი ხელშეკრულება არ ჩაითვლება დისტანციურად დადებულად და ვერც მომხმარებელი ვერ ისარგებლებს ხელშეკრულების უარყოფის უფლებით.<sup>333</sup> ეს ის შემთხვევებია, როცა, მაგალითად, წინადაღება ხელშეკრულების დადებაზე მიღებულია დისტანციური კომუნიკაციის წესით. შემდგომ მომხმარებელი მიღის მეწარმის სავაჭრო პუნქტში, რწმუნდება საქონლის სასარგებლო თვისებებში და მოგვიანებით ასევე დისტანციური კომუნიკაციის გზით გამოთქვამს თანხმობას ხელშეკრულების დადებაზე. ასეთ, ანდა მსგავს ვითარებაში, როცა მომხმარებლისათვის საქონლის შეძენამდე ხელმისაწვდომია ნივთის ფიზიკურად დათვალიერების შესაძლებლობა, ხელშეკრულება არ ჩაითვლება დისტანციური კომუნიკაციის წესით დადებულად, ხოლო მომხმარებელი ვედარ გამოიყენებს მისი ცალმხრივად შეწყვეტის უფლებას. საგულისხმოა, რომ იმ შემთხვევებშიც, როცა ხელშეკრულება იღება ელექტრონული მიმოწერის შედეგად, რასაც წინ უძღვდა პირისპირ მოლაპარაკების პროცესი, ხელშეკრულება არ ჩაითვლება დისტანციურად დადებულად.<sup>334</sup>

<sup>332</sup> *Fina S.*, The Consumer's Right of Withdrawal and Distance Selling in Europe: A Consumer Stronghold in European Distance Selling and E-Commerce, in *Festschrift Franz Zehetner*, Markus Haslinger, Arthur Kanonier and Sylvia Zehetner eds. 2009, 31.

<sup>333</sup> იქვე.

<sup>334</sup> *Riefa Ch.*, The reform of electronic consumer contracts in Europe: towards an effective legal framework?, [http://www.lex-electronica.org/docs/articles\\_244.pdf](http://www.lex-electronica.org/docs/articles_244.pdf) 08.05.2014.

### 5.2.3.3. ხელშეკრულების დადების მეთოდი

იმისათვის, რომ მომხმარებელმა ისარგებლოს უარყოფის უფლებით, ხელშეკრულება უნდა დაიდოს დისტანციური კომუნიკაციის წესების გამოყენებით. დისტანციურ კომუნიკაციაში იგულისხმება ხელშეკრულების დადებაზე წინადადების შეთავაზება, ისევე, როგორც ამ შეთავაზების მიღება და არსებით პირობებზე შეთანხმება ტელეფონის, ფაქსის, ინტერნეტის, ელექტრონული ფოსტის ან სხვა დისტანციური კომუნიკაციის მეთოდის გამოყენებით.<sup>335</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მობილური ტელეფონების ფუნქციის გაფართოებამ წარმოშვა მათი გამოყენებით ხელშეკრულების დადების შესაძლებლობის საკითხი. ამ თემასთან დაკავშირებით არსებობდა აზრთა სხვადასხვაობაც. თუმცა, მობილური ტელეფონების ბოლოდროინდელმა ტექნოლოგიურმა მიღწევებმა ცხადყო, რომ თანამდეროვე პირობებში მობილური ტელეფონი თავისუფლად შეიძლება იყოს გამოყენებული, როგორც ხელშეკრულების დადების ინსტრუმენტი. უფრო მეტიც, არ არის აუცილებელი ტელეფონს წვდომა ქონდეს ინტერნეტთან და ელექტრონული კომუნიკაციის წყაროდ იქცეს. დღევანდელ რეალობაში მოკლე ტექსტური შეტყობინებაც SMS-ი, საკმარისია კონტრაქტის ნების გამოვლენისათვის და, მაშასადამე, ხელშეკრულების მბოჭავი ძალის წარმოშობისათვის. <sup>336</sup>

რაც შეეხება ელექტრონული წესით ხელშეკრულების დადებას, საგულისხმოა, რომ საერთაშორისო სავაჭრო პალატა ელექტრონულად დადებულ ხელშეკრულებას განმარტავს, როგორც მხარეების კომპიუტერების მეშვეობით ქსელურად ან ელექტრონული გზავნილების საშუალებით ხელშეკრულების დადების ავტომატურ პროცესს.<sup>337</sup> ამასთან, არსებობს ელექტრონული ხელშეკრულების დადების სამი ფორმა. ყველაზე გავრცელებულს წარმოადგენს ხელშეკრულების დადება ელექტრონული ფოსტის მეშვეობით. ელექტრონული ფოსტა შესაძლებელია გამოყენებული იქნას როგორც ოფერტის, ასევე აქცეპტის გასაგზავნად. ელექტრონულად დადებული ხელშეკრულებების მეორე სახეა მსოფლიო ქსელის მეშვეობით დადებული ხელშეკრულებები. ასეთ შემთხვევაში მეწარმე თავის ვებგვერდზე მიუთითებს საქონლის კატალოგს და ინფორმაციას მისი მასასითებლებისა და ღირებულების შესახებ. მომხმარებელი ვებგვერდის დათვალიერების შედეგად ირჩევს მისთვის სასურველ საქონელს და ხელშეკრულების პირობებზე დათანხმებით ყიდულობს მას. ელექტრონული კომერციის მესამე ფორმაა ისეთი ხელშეკრულებები, რომელთა პირობებიც მეწარმეთა ვებგვერდზე მოცემულია დამაკავშირებელი ბმულის მეშვეობით,

<sup>335</sup> Fina S., The Consumer's Right of Withdrawal and Distance Selling in Europe: A Consumer Stronghold in European Distance Selling and E-Commerce, in Festschrift Franz Zehetner, Markus Haslinger, Arthur Kanonier and Sylvia Zehetner eds. 2009, 31.

<sup>336</sup> Henderson K., Poulter A., The Distance Selling Directive, <[http://www.cis.strath.ac.uk/cis/research/publications/papers/strath\\_cis\\_publication\\_238.pdf](http://www.cis.strath.ac.uk/cis/research/publications/papers/strath_cis_publication_238.pdf)>, [09.05.2014], 238.

<sup>337</sup> International Chamber of Commerce (ICC), General Usage for International Digitally Ensured Commerce (GUIDEC), Version II, [www.iccwbo.org](http://www.iccwbo.org).

ე.წ. გადამამისამართებელი ხელშეკრულებები. მათი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მომხმარებელს უწევს რამდენიმე კომპლექსური ანდა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი ხელშეკრულების პირობებზე დათანხმება სასურველი საქონლის ყიდვის მიზნით.<sup>338</sup>

გარდა ამისა, დირექტივა ყურადღებას ამახვილებს ერთი ან რამდენიმე დისტანციური კომუნიკაციის წესით დამყარებულ ურთიერთობაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების დისტანციურად მიჩნევისათვის მნიშვნელობა არა აქვს ხელშეკრულება მხოლოდ ელექტრონული ფოსტის გამოყენებითაა დადებული, თუ მაგალითად, ოფერტი გაკეთდა ელექტრონული ფოსტით, ხოლო აქცეპტი - მოკლე ტექსტური შეტყობინებით.<sup>339</sup>

#### 5.2.3.4. ციფრული შიგთავსის მქონე საქონელი და ხელშეკრულების უარყოფის უფლება

ელექტრონული ვაჭრობის მასშტაბებმა და ტექნოლოგიურმა პროგრესმა გავლენა იქონია მომსახურებისა და საქონლის მოთხოვნისა და მოწოდების ფორმაზეც. ნივთების მოძრავად და უძრავად ტრადიციული კლასიფიკაციის გვერდზე, ჩნდება ისეთი „საქონელი“, რომელიც თავისი შინაარსით არც ერთ მათგანს არ მიეკუთვნება. საუბარია ციფრული შიგთავსის მქონე მატერიალურ სიკეთებზე, რომლებიც ყოველდღიურად სხვადასხვა ხელშეკრულების საგნად გვევლინება. ქ იგულისხმება ისეთი სახის ე.წ. ონლაინ გარიგებები, რომელთა არა მხოლოდ დადება, არამედ შესრულებაც ელექტრონული ფორმით ხდება. მაგალითად, ელექტრონული პროგრამის შეკვეთა ინტერნეტით, როდესაც მისი მიწოდება ხდება ვებ-გვერდიდან ელექტრონული პროგრამის ჩამოტვირთვით ან ინფორმაციის მიწოდება ელექტრონული ფორმატით და ა.შ.<sup>340</sup>

„მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ 2011/83 დირექტივა ყურადღებას ამახვილებს ციფრული შიგთავსის მქონე საქონელზე და განმარტავს მას, როგორც „მონაცემებს, რომელთა წარმოება და მიწოდება

<sup>338</sup> Wang F.F., Law of Electronic Commercial Transactions, Contemporary Issues in EU, US and China, Rutledge Research in IT and E-Commerce Law, Taylor & Francis Group, New York 2010, 34; Nimmer R. T., The Legal Landscape of E-commerce: Redefining Contract Law in an Information Era, Journal of Contract Law Conference, “Contract and the Commercialization of Intellectual Property”, Singapore Academy of Law and Singapore Management University, 2006, 15.

<sup>339</sup> Henderson K., Poulter A., The Distance Selling Directive, <[http://www.cis.strath.ac.uk/cis/research/publications/papers/strath\\_cis\\_publication\\_238.pdf](http://www.cis.strath.ac.uk/cis/research/publications/papers/strath_cis_publication_238.pdf)>, [09.05.2014], 238.

<sup>340</sup> Loos M., Helberger N., Guibaut L., Pessers L., Digital Content Contracts for Consumers, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2012-66, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2012-05, University van Amsterdam, The Netherlands, 3; Loos M., The Regulation of Digital Content B2C Contracts in CESL, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2013-60, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2013-10, University van Amsterdam, The Netherlands, 1-2; ერქვანია თ. მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა, უურნალი „მართლმსაჯულება და კონტა“ №3(30), 2011, 49.

ხორციელდება ისეთ ციფრულ ფორმატში, როგორიცაა კომპიუტერული პროგრამა, განაცხადის ფორმები, თამაშები, მუსიკა, ვიდეო ან ტექსტი, იმის მიუხედავად, ისინი ხელმისაწვდომია ჩამოტვირთვის თუ პირდაპირი გამოყენების გზით მატერიალური (სხვადასხვა) მატარებლიდან ან სხვა წყაროდან. იმ შემთხვევაში კი, როცა ციფრული შინაარსის მქონე შიგთავსის მიწოდება ხდება სხვეულებრივი მატარებლიდან, როგორიცაა ვთქვათ, CD/DVD დისკები ანდა, USB მატარებლები, იგი ჩვეულებრივ, მოძრავ ნივთად განიხილება.<sup>341</sup>

ამ საკითხის განხილვა მით უფრო მნიშვნელოვანია უარყოფის უფლებასთან მიმართებაში, ვინაიდან ხელშეკრულებებში, სადაც შეთანხმების საგანი ციფრული შინაარსის მქონე შიგთავსია, მომხმარებლის უფლება ხელშეკრულების უარყოფაზე იზღუდება. კერძოდ, ასეთ ხელშეკრულებებში მომხმარებელი უფლებამოსილია ისარგებლოს ნების უკან გამოთხოვის შესაძლებლობით, ვიდრე ციფრული შინაარსის მქონე შიგთავსის გადმოტვირთვის პროცესი დაიწყება. როგორც კი ამ სახის პროდუქტის მიწოდება დაიწყება ანდა დასრულდება, მომხმარებელი (შემძენი) კარგავს ხელშეკრულების უარყოფის უფლებას. ამ შემთხვევაში, ციფრული შინაარსის მქონე საქონლის მიწოდებას წინ უნდა უსწრებდეს მომხმარებლის ინფორმირებული თანხმობა ჩამოტვირთვის დაწყებაზე და მეწარმის მხრიდან სავალდებულო გაფრთხილება იმის შესახებ, რომ შეძენილი საქონლის ჩამოტვირთვის დაწყებისთანავე, მომხმარებელი კარგავს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას.<sup>342</sup>

საგულისხმოა, რომ ამგვარი დათქმა იცავს მეწარმეებს არაკეთილსინდისიერი მომხმარებლებისაგან. კერძოდ, არ არის გამორიცხული, რომ მომხმარებელმა ბოროტად ისარგებლოს ხელშეკრულების უარყოფის უფლებით. გადმოტვირთოს მისთვის სასურველი კომპიუტერული პროგრამა ან ინფორმაცია, გაუცნოს მას, გააკეთოს ასლი და შემდეგ მოინდომოს მისი უკან გადაგზავნა, მასში გადახდილი თანხის დაბრუნების მოთხოვნით.<sup>343</sup> სწორედ ამის გათვალისწინებით ზღუდავს კანონმდებელი ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოქმედებას ციფრული შიგთავსის მქონე საქონელისათვის. ცხადია, ამგვარი მიდგომა გამართლებულად უნდა ჩაითვალოს, ვინაიდან ციფრული შიგთავსის მქონე საქონელი უმეტეს შემთხვევაში საავტორო უფლებით არის დაცული (მაგ., ელექტრონული წიგნები). თუ მომხმარებლებს განუსაზღვრელი უფლება ექნებათ ასეთი საქონელის შედარებით ნაკლები დანახარჯით გამოყენებისათვის, ეს, უპირველეს ყოვლისა, გამოიწვევს სხვათა (საავტორო

<sup>341</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011,< http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32011L0083>.

<sup>342</sup> *Roinn Post A.*, Nualaichta F., Consultations on the Implementation of Directive 2001/83/EU On Consumer Rights,< http://www.djei.ie/publications/commerce/2013/CRD.pdf>, [10.02.2014].

<sup>343</sup> *Riefa Ch.*, The Reform of Electronic Consumer Contracts in Europe: Towards an Effective Legal Framework?, 39, <http://www.lex-electronica.org/docs/articles\_244.pdf>, [08.05.2014].

უფლებების მქონე პირთა) უფლებების დარღვევას, რაც მიუღებელია კერძო სამართლის ფუნდამენტური პრინციპებისათვის.<sup>344</sup>

### 5.2.3.5. აუქციონი, როგორც დისტანციურად გაჭრობის ფორმა და ხელშეკრულების უარყოფის უფლება

აუქციონი გაჭრობის ფორმაა, რომლის ტრადიციაც ჩაისახა ბაბილონში, ჯერ კიდევ 500-იან წლებში ჩვ. წელს აღრიცხვამდე, როცა ქალები იყიდებოდნენ ყველაზე გულუხვი შეთავაზების შედეგად. იქიდან მოყოლებული აუქციონი არ კარგავს თავის აქტუალობას, მაგრამ, ბაბილონის ტრადიციებისაგან განსხვავებით, თანამედროვე გაგებით აუქციონი ნიშნავს საქონლისა და მომსახურების შეთავაზებას კონკურსის მეშვეობით, სადაც ყველაზე მაღალ შეთავაზებას სახელშეკრულებო ბოჭვის ძალა აქვს. საუკუნეების განმავლობაში ვაჭრობის ეს სახე სხვადასხვა ფორმით ჩამოყალიბდა. ზოგი ორგანიზებულია საჯარო დაწესებულებების მიერ, ზოგი სასამართლოების მიერ, ზოგი პროფესიონალი სპეციალისტების და ზოგიც პირდაპირ მოვაჭრეების მიერ.<sup>345</sup>

წლების წინ აუქციონები ძირითადად ტარდებოდა სამისოდ მოწყობილ შენობებში. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ გავლენა ვაჭრობის ამ ფორმაზეც მოახდინა. დღეს აუქციონის ჩატარება და მასში მონაწილეობის მიღება შესაძლებელია ინტერნეტის საშუალებითაც, რასაც შედეგად მოჰყვა ფართო მასების ხელმისაწვდომობა ვაჭრობის ამ სახეობაზე. შესაბამისად, ვირტუალური ფორმით ჩატარებული აუქციონი დისტანციური ხელშეკრულების ერთ-ერთ გამოვლინებად ითვლება.<sup>346</sup>

აუქციონზე გამარტივებულმა წვდომამ მთელი რიგი უხერხეულობა წარმოშვა მომხმარებლებისათვის. ერთ შემთხვევაში ეს არის პირისპირი კომუნიკაციის არარსებობა და, შესაბამისად, პირობების დაზუსტების შეუძლებლობა. სხვა შემთხვევაში, შეძენილი საქონლის შეუსაბამობა ოფერტში აღწერილ მახსაითებლებთან, მიწოდებასთან დაკავშირებული პრობლემები, დაზიანებული ან გატეხილი საქონლის მიწოდება ან საერთოდ სხვა საქონლის გადაცემა. ამიტომაც ინტერნეტ-აუქციონები მომხმარებელთა უფლებების დაცვის მარეგულირებელი კანონმდებლობის ფარგლებში მოექცნენ. თუმცა, ამ საკითხის მიმართ არ არსებობდა ერთგვაროვანი

<sup>344</sup> Loos M., Helberger N., Guibaut L., Pessers L., Digital Content Contracts for Consumers, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2012-66, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2012-05, University van Amsterdam, The Netherlands, 12-14.

<sup>345</sup> Riefa Ch., A Dangerous Erosion of Consumer Rights: The Absence of a Right to Withdraw from Online Auctions, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Howells G., and Schultze R, eds., Seller European Law Publishers, pp. 177-188, 2009, SSRN, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1374063](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1374063)>, [15.01.2015], 1.

<sup>346</sup> Riefa Ch., A Dangerous Erosion of Consumer Rights: The Absence of a Right to Withdraw from Online Auctions, Modernizing and Harmonizing consumer Contract Law, Geraint Howells and Reiner Schultze, eds., Seller European Law Publishers, pp. 177-188, 2009, SSRN, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1374063](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1374063)>, [15.01.2015], 1.

გაურკვევლობას იწვევდა 97/7 დირექტივა დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ, რომელიც ზღუდავდა დირექტივის გავრცელებას აუქციონზე, მაგრამ ამავდროულად არ ითვალისწინებდა აუქციონის განმარტებას.<sup>348</sup> ეს კი იმას ნიშნავდა, რომ დირექტივით რეგლამენტირებული ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოქმედების ეფექტი ხშირ შემთხვევაში სადაცო იყო. დაშვებული მინიმალური პარმონიზაციის ფარგლებში, აუქციონის განმარტება მინდობილი იყო ევროკავშირის ყოველი წევრი სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობაზე, რაც მისი ერთმანეთისაგან განსხვავებული ინტერპრეტაციის საშუალებას იძლეოდა.

ეს განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო ხელშეკრულების უარყოფის უფლებასთან მიმართებაში. მაგალითად, საფრანგეთსა და ლუქსემბურგში მომხმარებლები, რომლებიც მონაწილეობდნენ ინტერნეტ-აუქციონებში, დაცული იყვნენ დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების შესახებ წესებით და, შესაბამისად, შეეძლოთ ესარგებლათ ხელშეკრულების უარყოფის უფლებით. დასახელებულ ქვეყნებში მხოლოდ საჯარო აუქციონზე არ ვრცელდებოდა დისტანციურად დადებული ხელშეკრულების დაცვითი ნორმები. ბელგიასა და საბერძნეთში „იბე“ აუქციონები ასევე ექცევდნენ დისტანციური ვაჭრობის რეჟიმში, ვინაიდან ამ სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობა საერთოდ არ ითვალისწინებდა აუქციონების მიმართ დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების შესახებ დირექტივის შეზღუდვებს. მაგალითად, გერმანიაში მომხმარებლები სარგებლობდნენ ადგვატური დაცვით ინტერნეტ-აუქციონში მონაწილეობისას, რაც განპირობებული იყო გერმანიის ფედერალური სასამართლოს გადაწყვეტილებით, რომელმაც დაუშვა ხელშეკრულების უარყოფის უფლების გამოყენების შესაძლებლობა ინტერნეტ-აუქციონის შედეგად დადებული ხელშეკრულების მიმართ.<sup>349</sup>

ინტერნეტით გამართულ აუქციონებში ხელშეკრულების უარყოფის უფლების მიმართ ერთგვაროვანი მიღებობის დამკვიდრების მიზნით, 2011/83 დირექტივაში „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ პირდაპირ მიეთითა, რომ ამ დირექტივის მოქმედება და, შესაბამისად, ხელშეკრულების უარყოფის უფლება არ ვრცელდება მხოლოდ საჯარო აუქციონებზე.

<sup>347</sup> Twigg-Flesner Ch., Metcalfe D., The Proposed Consumer Rights Directive – Less Haste, More Thought? European Review of Contract Law, 2009, SSRN, <<http://ssrn.com/abstract=1345783>>, [20.01.2015], 9.

<sup>348</sup> ევროპის პარლამენტისა და ევროპის საბჭოს 1997 წლის 20 მაისის 97/7 დირექტივა მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ დისტანციურად დადებული ხელშეკრულების დროს,

<sup>349</sup> Riefa Ch., A Dangerous Erosion of Consumer Rights: The Absence of a Right to Withdraw from Online Auctions, Modernizing and Harmonizing consumer Contract Law, Geraint Howells and Reiner Schultze, eds., Sellier European Law Publishers, pp. 177-188, 2009, SSRN, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1374063](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1374063)> [15.01.2015], 3.

ამასთან, განიმარტა საჯარო აუქციონის შინაარსიც. კერძოდ, ასეთად მიიჩნევა ისეთი აუქციონი, რომელსაც მეწარმე და მომხმარებელი პირადად ესწრება ან აქვთ პირადად დასწრების შესაძლებლობა. ინტერნეტ-პლატფორმების გამოყენება აუქციონებისათვის, რომლებიც მომხმარებლების და მეწარმეების განკარგულებაშია, არ უნდა ჩაითვალოს საჯარო აუქციონად ამ დირექტივის მიზნებისათვის.<sup>350</sup>

შესაბამისად, თუ აუქციონი ტარდება ინტერნეტის გამოყენებით ისე, რომ მხარეებს არა აქვთ მასზე დასწრების შესაძლებლობა, ეს ჩაითვლება დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებად და მომხმარებელი უფლებამოსილი იქნება სურვილის შემთხვევაში ისარგებლოს ხელშეკრულების უარყოფის უფლებით. ამასთან, უფლების არსებობის შესახებ მომხმარებელს უნდა ეცნობოს აუქციონის დასრულების, შედეგების გამოცხადებისა და გამარჯვებულის გამოვლენის შემდეგ. ამგვარი რეგულირება ანგარიშს უწევს ინტერნეტ-აუქციონის თავისებურებას. კერძოდ, აუქციონის მიმდინარეობისას კონკრეტულ მხარესთან ხელშეკრულების დადებამდე ფაქტობრივად შეუძლებელია ხელშეკრულების პოტენციური და, ამასთანავე, უცნობი პირისათვის მისი უფლებების ინდივიდუალური განმარტება. მომხმარებელს მხოლოდ სახელშეკრულებო ბოჭვის პირობებში ეძლევა ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების დამატებითი შანსი. გარდა ამისა, რადგანაც მომხმარებელი ხელშეკრულების დადებისთანავე უნდა იქნას გაფრთხილებული ხელშეკრულების უარყოფის უფლების წესისა და პირობების შესახებ, მეწარმე ვალდებულია დაუყოვნებლივ, პირველი შესაძლებლობისთანავე წერილობით განუმარტოს მას ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლების თაობაზე. ამ ვალდებულების დარღვევა იწვევს ხელშეკრულების გადახედვის ვადის გახანგრძლივებას.<sup>351</sup>

#### **5.2.4. მომხმარებელთა განწყობა დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების მიმართ და ხელშეკრულების უარყოფის უფლების დაცვითი ფუნქცია**

დისტანციური კომუნიკაციის მეთოდებით დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებლებისათვის ხელშეკრულების უარყოფის საგამონაკლისო უფლების მინიჭება ძირითადად განპირობებულია ელექტრონული კომერციის მიმართ მათი თავდაჯერებულობის მხარდაჭერის მიზნით, ელექტრონულად მოვაჭრე მეწარმეთა მიმართ ნდობის ამაღლებისა და ელექტრონულ კომერციაში მომხმარებელთა მაქსიმალურად ჩაბმის სურვილით. უპირველეს ყოვლისა, ანგარიშგასაწევია მომხმარებელთა მერყევი ბუნება და გადაწყვეტილების მიღებისას დამახასიათებელი

<sup>350</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32011L0083> 26.04.2014.

<sup>351</sup> კროფტოლერი ი. გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დაგალებით, თბ., 2014, 251-252.

ყოფილი.<sup>352</sup> მეწარმეებთან შედარებით არათანაბარ სამართლებრივ პოზიციებთან ერთად, სწორედ მომხმარებელთა ეს პირვენული თვისებები განიხილება ელექტრონულ კომურციაში მათი აქტიური მონაწილეობის დამაბრკოლებელ გარემოებად.<sup>353</sup> მომხმარებელთა უმეტესობა მიიჩნევს, რომ დისტანციური კომუნიკაციის რეჟიმში მათი პოზიციები შედარებით არახელსაყრელია, ვიდრე შეიძლებოდა ყოფილიყო პირისპირ კომუნიკაციისას, მაგალითად, სავაჭრო დაწესებულებაში.<sup>354</sup>

გარდა ამისა, მომხმარებლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი ყოველთვის მარტივი, არ არის ის რამდენიმე ეტაპისაგან შედგება: 1) პრობლემის იდენტიფიცირება - სჭირდება კონკრეტული საქონელი; 2) ინფორმაციის შეგროვება. ეს ეტაპი ძირითადად მოიცავს ოჯახის წევრებთან ანდა მეგობრებთან კონსულტაციას, მათი გამოცდილების ან რჩევის გათვალისწინებას; 3) ალტერნატივების მოძიება, ფერი, დიზაინი, ზომა და ა.შ., დადებითი და უარყოფითი მხარეების შეფასება; 4) საქონლის მოძიება და ბოლოს - ყიდვა.<sup>355</sup> ამ ერთი შეხედვით თანმიმდევრული სქემის მიუხედავად, გადაწყვეტილების მიღების პროცესი არ არის ხოლმე ასეთი ლოგიკური.<sup>356</sup> მარტივად რომ ვთქვათ, გადაწყვეტილებები უმეტესწილად არ მიიღება ამ თანმიმდევრული სქემის მიხედვით. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ცხოვრების უმეტეს ნაწილს დაიკავებდა ისე, რომ აღარც დარჩებოდა დრო შეძენილი ნივთების მოხმარებისათვის (თუმცა, არიან ისეთებიც, რომელთათვისაც მოძიებისა და ყიდვის პროცესი მთელი მათი ცხოვრების არსია ე.წ. „შოპოგოლიკები“). გადაწყვეტილებათა უმრავლესობა არ არის რაციონალური, რადგან არ ექვემდებარება ლოგიკურ ახსნას. ამა თუ იმ ნივთის შეძენის შესახებ გადაწყვეტილება არც თუ ისე იშვიათად მიიღება ყოველგვარი წინასწარი დაგეგმვის გარეშე. ყიდვის მომენტალური გადაწყვეტილება ზოგჯერ გამოწვეულია მეტის ქონის ან, ვთქვათ, ხელსაყრელ ფასად ან პირობებში დამატებით კიდევ რაღაცის შეძენის უეცარი მოთხოვნილებით ან თუნდაც წუთიერი სისუსტით, თავის განებივრების სურვილით, რაც შემდგომში სინაულის გრძნობას იწვევს.<sup>357</sup>

მიუხედავად ამ სისუსტეებისა, მომხმარებლები შედარებით დარწმუნებული არიან მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში ტრადიციული მეთოდებით ვაჭრობის დროს, წინასწარ შერჩეულ და შეჩვეულ სავაჭრო დაწესებულებებში. ნდობის სარისხიც და

<sup>352</sup> Dani M., Assembling the Fractured European Consumer, A New Concept of European Federalism, LEQS Paper, No., 29/2011, <<http://www.lse.ac.uk/europeanInstitute/LEQS/LEQSPaper29.pdf>>, [22.07 2013], 9.

<sup>353</sup> Micklitz H. W., The Targeted Full Harmonization Approach: Looking Behind the Curtain, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 77-78.

<sup>354</sup> Consumer Attitudes Towards Cross-border Trade and Consumer Protection, European Commission, Flash Eurobarometre 299 – The Gallup Organization, 2011, 25-41; Consumer Behavior in a Digital Environment, Directorate –General for Internal Policies, European Parliament, EN, 2011., 77-89.

<sup>355</sup> Solomon M., Bamossy G., Askegaard S., Hogg M. K., Consumer Behavior, A European Perspective, third edition, Pearson Education Limits, Harlow, England, 2006, 257-294.

<sup>356</sup> Luth H., Behavioural Economics in Consumer Policy, intersentia, Antwerp, Oxford, Portland, 2010, 64.

<sup>357</sup> Solomon M., Bamossy G., Askegaard S., Hogg M. K., Consumer Behavior, A European Perspective, third edition, Pearson Education Limits, Harlow, England, 2006, 257-294.

დამაჯერებლობაც გაცილებით მეტია ნაცნობ გარემოში საქონლის შეძენისას, რასაც ასევე ხელს უწყობს გამყიდველთან დალაპარაკების და სასურველი შეკითხვების დასმის შესაძლებლობა.<sup>358</sup> პირისპირ დადგებული ნასყიდობის ხელშეკრულებების სამყაროში მომხმარებელს უმეტესწილად ესაჭიროება დრო გარკვეული ტიპის პროდუქციის მიმართ ნდობის ჩამოსაყალიბებლად, თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი კარგად ერკვევა მის ხარისხში, ან რომ საქონელი მართლაც ხარისხიანია. მაგრამ მომხმარებელს აქვს სასურველი საქონლის მრავალჯერადი და ყოველმხრივი დათვალიერების შანსი, მაგალითად, ტანსაცმელის შემთხვევაში, მისი მოზომების, სხვა აქსესუარებთან შესაფერისობის განსაზღვრის, მეგობრისათვის რჩევის კითხვის, ან თუნდაც განწყობის ჩამოყალიბებისათვის სათანადო პირობები.

მომხმარებელთა ქცევის კვლევებმა ცხადყო, რომ მომხმარებლებს თავიანთი ოპტიმისტური განწყობიდან გამომდინარე, ახასიათებთ რისკების არასათანადო შეფასება. გარდა ამისა, ისინი ნაადრევად ამბობენ უარს დასადებ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით ინფორმაციის მოპოვებაზე იმ განწყობით, რომ ინტუიციურად დარწმუნებულნი არიან საკმარის ინფორმირებულობაში.<sup>359</sup> მომხმარებლები, როგორც წესი, თავს იკავებენ საქონლის შესახებ დამატებითი ინფორმაციის შეგროვებისაგან იმის შიშით, რომ ჭარბი ინფორმაცია გავლენას მოახდენს მათ ცნობიერებაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. ისინი კონცენტრირდებიან საქონლის მხოლოდ ერთ ან რამდენიმე ინდიკატორზე. საბოლოოდ იდება ისეთი ხელშეკრულება, რომელიც არ აქმაყოფილებს მომხმარებლის მოლოდინს და რომლის დადგებაზეც მას არ დაწყდებოდა გული, შეძენილი საქონლის შესახებ სრული და ამომწურავი ინფორმაცია რომ ჰქონოდა.<sup>360</sup>

დისტანციური ვაჭრობის პირობებში ერთი ნახვით, ფაქტობრივად, შეუძლებელია ყველა მითითებული კომპონენტის აღქმა. განსხვავება პირისპირ და დისტანციურ ვაჭრობას შორის იმაშიცაა, რომ მომხმარებელს მადაზიაში უკეთესად შეუძლია დაათვალიეროს ნივთი ან თუნდაც მოიზომოს იგი, რისი საშუალებაც დისტანციურად შეძენისას არ გააჩნია. ამ გზით ნაყიდი ნივთები, არც თუ ისე იშვიათად, არ აკმაყოფილებენ მის მოთხოვნებს. მაგალითად, ნაყიდი კომპიუტერი არ მუშაობს ისე სწრაფად, როგორც უნდა ემუშავა, შეძენილი ტანსაცმელი სულ სხვა ზომის ან ხარისხისაა, ვიდრე იყო აღწერილი, დეკორატიული ნივთი არ უხდება ბინის ინტერიერს, წვრილმან საყოფაცხოვრებო ტექნიკას (უთო, ბლენდერი და ა.შ.) გაცილებით ხანმოკლე გარანტია მოპყვება, ვიდრე ეს ვებგვერდზე

<sup>358</sup> Markesinis B., Unberath H., Johnston A., *The German Law of Contract*, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 264-276.; Solomon M., Bamossy G., Askegaard S., Hogg M. K., *Consumer Behavior, A European Perspective*, third edition, Pearson Education Limited, Harlow, England, 2006, 257-294.

<sup>359</sup> Luth H., *Behavioural Economics in Consumer Policy*, intersentia, Antwerp, Oxford, Portland, 2010, 70.

<sup>360</sup> Luzak J.A., *To Withdraw or Not to Withdraw? Evaluations of the Mandatory Right of Withdrawal in Consumer Distance Selling Contracts Taking into account its Behavioral Effects on Consumer*, Amsterdam Law School Legal Research Paper No. 2013-21, Centre for the study of European Contract Law working Paper No. 2013-04, 13,<[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2243645](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2243645)> [20.01.2015].

იყო მითითებული და ა.შ. რა თქმა უნდა, შეიძლება მოიფიქრონ სხვადასხვა ონლაინ მექანიზმები მომხმარებლისა და გამყიდველის კომუნიკაციის ხელშეწყობისათვის საიმისოდ, რომ შეიქმნას მოვაჭრისა და მომხმარებლის მაღაზიაში კომუნიკაციის იმიტაცია, მაგრამ მოსალოდნელია, რომ გარკვეული ტიპის ინფორმაცია მაინც დარჩება ყურადღების მიღმა, დისტანციური ურთიერთობის სპეციფიკიდან გამომდინარე. ცხადია, რომ საქონლის უშუალოდ შეხების შესაძლებლობა მომხმარებელს არ ექნება და, შესაბამისად, ვერც ამოწურავს მისთვის საინტერესო შეკითხვებს.<sup>361</sup>

დისტანციურად დადებული ხელშეკრულების პირობებში  
მომხმარებელს შეუძლია მხოლოდ შეიქმნას წარმოდგენა შესაძენ საქონელზე. ამასთან, საკამათოა, რამდენად საკმარისია ჩამოყალიბებული გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ზედაპირული დათვალიერების შედეგად. თუმცა, მომხმარებელი ანალოგიურ ვითარებაში შეიძლება აღმოჩნდეს პირდაპირი ნასყიდობის შემთხვევაშიც. მაგალითად, თუ ყიდულობს შეფუთულ ნივთს. მაგრამ ამ შემთხვევაში, მომხმარებელს როგორც წესი, ეძლევა ნიმუშის ნახვის, მისი ხელში დაჭრის შანსი, რაც მაინც უპირატესობად დისტანციურად მიღებულ გადაწყვეტილებასთან შედარებით. ფეხსაცმელების ყიდვა შესაძლებელია გამოვიყენოთ ალტერნატიულ მაგალითად. მომხმარებელი მოწოდებულია შეიძინოს ფეხსაცმელი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა მას შეუძლია იგი მოიზომოს. ასეთი შესაძლებლობის არარსებობა მნიშვნელოვანი დაბრკოლებაა გადაწყვეტილების მიღებისას. ამიტომაც, ელექტრონული ვაჭრობის აქტუალობის მიუხედავად, მომხმარებელს უმრავლეს შემთხვევაში ურჩევნია შეიძინოს საქონელი ანდა მომსახურება ადგილობრივ ბაზარზე, პირისპირ დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.<sup>362</sup>

ამ მარტივი მაგალითების განხილვის შედეგად, დისტანციურ ვაჭრობაში მომხმარებელთა წახალისების მიზნიდან გამომდინარე, ხელშეკრულების უარყოფის უფლების დანიშნულება და შინაარსი ცხადი ხდება. ამ უფლების წყალობით, მომხმარებელი დგება იმავე მდგომარეობაში, როგორც მაღაზიაში ფეხსაცმელის ყიდვისას. კერძოდ, მას ეძლევა შესაძლებლობა, დაათვალიეროს და, რაც მთავარია, მოიზომოს ფეხსაცმელი. მომხმარებლისათვის ხელშეკრულების უარყოფის უფლების მინიჭებით ევროპელმა კანონმდებელმა უზრუნველყო მომხმარებელი დამატებითი შანსით, მიიღოს შეძენილი ნივთი და შეამოწმოს იგი,

<sup>361</sup> *Luzak J.*, Online Consumer Contracts, University of Amsterdam - Centre for the Study of European Contract Law (CSECL); University of Amsterdam - Faculty of Law, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2014-47, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2014-08, ERA Forum, Vol., 15, No3, 2014,  
<[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2487222##](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2487222##)> [21.01.2015], 4.

<sup>362</sup> *Loos M.*, Right of Withdrawal, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 246-250; *Luzak J.A.*To Withdraw or not To Withdraw? Evaluations of the Mandatory Right of Withdrawal in Consumer Distance Selling Contracts taking into account its Behavioral Effects on Consumer, Amsterdam Law School Legal Research Paper No. 2013-21, Centre for the study of European Contract Law working Paper No. 2013-04, 8,  
<[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2243645](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2243645)> [20.01.2015].

განსაზღვროს მისი ნამდვილი ღირებულება და გადაწყვიტოს, სურს თუ არა დადებული ხელშეკრულება საბოლოოდ ნამდვილად, დადებულად აქციოს. ასევე, მომხმარებელს შეუძლია გარკვეული ვადის განმავლობაში გადამოწმოს, ნივთში გადახდილი თანხა შეესაბამება თუ რა მის ნამდვილ ხარისხს, ანდა აქვს თუ არა მას ფასი მომხმარებლისათვის.<sup>363</sup>

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შესაძლებლობა აძლევს მომხმარებელს დამატებით სტიმულს ჩაებას დისტანციურ ვაჭრობაში და მინიმუმადე დაიყვანოს მასთან ასოცირებული რისკები და თავიდან აიცილოს დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული შემდგომი სინანულის გრძნობა. გარდა ამისა, როცა მომხმარებელმა წინასწარ იცის, რომ ხელშეკრულების დადების შემდეგ შეძლებს ნაყიდი საქონელის უკან დაბრუნებას, იგი უფრო თავისუფალია გადაწყვეტილების მიღებაში. ხელშეკრულების უარყოფის უფლების არსებობის პირობებში მაღალი ფასიც აღარ წარმოადგენს დაბრკოლებას. მაგრამ მომხმარებელთა მერყევი ბუნების გამო არჩევანის გაკეთება და სწორი გადაწყვეტილების მიღება, მით უფრო კომუნიკაციის არარსებობისას, ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული. რაციონალური გადაწყვეტილების მისაღებად მომხმარებელმა ჯერ უნდა მოიპოვოს ინფორმაცია შემოთავაზებულ საქონელზე, შეაფასოს ყველა რისკი და გაეცნოს, როგორც ხელშეკრულების დადების, ასევე მისი უარყოფის პირობებს. სწორედ ამით არის გამოწვეული განსაკუთრებული ყურადღება მომხმარებლისათვის მისაწოდებელი ინფორმაციის მიმართ. ამავდროულად, მომხმარებელთა ქცევის შესახებ კვლევები მიუთითებენ, რომ ინფორმაციის არასათანადოობა ანდა უკმარისობა ყოველთვის როდია დაბრკოლებაა დისტანციურად ვაჭრობაში ჩასაბმელად იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ მომხმარებელთა ნაწილი უმრავლეს შემთხვევაში არ ეცნობა საქონლის შესახებ მოცემულ ცნობებს და, მითუმეტეს, ხელშეკრულების პირობებს.<sup>364</sup>

მიუხედავად ამისა, დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებლებისათვის სავალდებულოდ მისაწოდებელი ინფორმაციის ჩამონათვალი საკმაოდ ვრცელი და დეტალურია.<sup>365</sup> ამასთან, გამოკითხვის

<sup>363</sup> Terryn E., The Right of Withdrawal, The Acquis Principles and The DCFR, CFR and Existing EC Contract Law, Sellier, ELP, Munich, 2008, 174-175; Ben-Shahar O., posner E. A., The Right to Withdraw in Contract Law, Journal of Legal Studies, Vol., 40 January 2011, 118-119,  
<http://www.jstor.org/stable/10.1086/658403> [25.04.2013]; Luzak J.A. To Withdraw or not To Withdraw? Evaluations of the Mandatory Right of Withdrawal in Consumer Distance Selling Contracts taking into account its Behavioral Effects on Consumer, Amsterdam Law School Legal Research Paper No. 2013-21, Centre for the study of European Contract Law working Paper No. 2013-04,

6,[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2243645](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2243645) [20.01.2015]. Rott P., Harmonizing Different Rights of Withdrawal: Can German Law Serve as an Example for EC Consumer Law?, Developments, German Law Journal, [Vol., 07 No. 12, 2006, 1111.

<sup>364</sup> Consumer Behavior in a Digital Environment, Directorate –General for Internal Policies, European Parliament, EN, 2011, 77; Gheorghe A.N., Spasici C., Consumer's Right To Withdraw, Law Journal, Challenges of Knowledge Society. Private Law, 367;

<sup>365</sup> Twigg-Flesner CH., Pre-Contractual Duties – from the Acquis to the Common Frame of Reference, Draft of Chapter Published in Schulze R., ed., CFR and Existing EC Contract Law, Sellier ELP, Munich, 2008, 12-17, [http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1349692](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1349692), [29.04.2013]

შედეგები მოწმობენ, რომ მომხმარებლები უურადღებას აქცევენ მხოლოდ მარტივად, გასაგები ენით დაწერილ და მოკლედ მიწოდებულ ცნობებს. ამის გათვალისწინებით შეიძლება დავასკვნათ, რომ გადაჭარბებული რაოდენობით ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას შეიძლება მოჰყვეს ამ ინფორმაციის იგნორირება მომხმარებელთა მხრიდან და, შესაბამისად, მათი ცნობიერებისა და ინფორმირებულობის დონის დაქვეითება. მართალია, ხელშეკრულების უარყოფის უფლება ერთ-ერთი იმ არჩევანთაგანია, რომელიც ეპროპელმა კანონმდებელმა მისცა მომხმარებელს, მაგრამ, მეორე მხრივ, არ არის გამორიცხული, რომ დამატებითი არჩევანი, ნებატიურად აისახოს გადაწყვეტილების მიღების პროცესზე. მაგალითად, მომხმარებელმა შეიძლება თავი გადატვირთულად იგრძნოს ამდენი არჩევანისაგან და მიიღოს ყველაზე ადვილი გადაწყვეტილება, რომელიც საბოლოოდ არ იქნება სარგებლის მომგანი.<sup>366</sup>

გარდა ამისა, მიჯაჭვულობის უფექტიდან გამომდინარე, მომხმარებლები, საქონლის მიღების შემდეგ, მას გადაჭარბებულად აფასებენ. როგორც ზოგიერთი კვლევა აჩვენებს, საქონლის ფლობა გავლენას ახდენს მის შეფასებაზეც. წარმოვიდგინოთ, რომ მომხმარებელი ყიდულობს საქონელს იმ წარმოდგენით, რომ შეამოწმებს მას, ან უარეს შემთხვევაში, მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში, უკან დააბრუნებს აუცილებელი საფოსტო ხარჯების გადებით. როცა საქონელი აღმოჩნდება მომხმარებლის მფლობელობაში და, იგი მას თავისად განიხილავს, ნივთისთვის გაწეული ხარჯი აღიქმება, როგორც შესაძლებლობისთვის გაწეული დანახარჯები და ასოცირდება უფრო უფლების უპირატესობად ვიდრე დანაკლისად. ამიტომაც, არც თუ ისე იშვიათად, მომხმარებელს ეფექტური სახელშეკრულებო გადაწყვეტილების მიღებაში შეიძლება ხელი შეუშალოს ნივთზე მიჯაჭვულობის თანდაყოლილმა რეფლექსმა, თუნდაც უსარგებლო შენაძენის მომავალში საჭიროების ვარაუდმა. კვლევები ცხადყოფენ, რომ მომხმარებლები იხილებიან ძვირადღირებული ანდა ლამაზი ნივთების მათ კუთვნილებაში არსებობით. მომხმარებლებს ისეთივე მიდრეკილება აქვთ მათვის კუთვნილი საქონლის გადაფასებისაკენ, როგორც რადაცის დაკარგვის შიშისაკენ. საინტერესო ის არის, რომ ეს ეფექტი მოქმედებას იწყებს დაუყოვნებლივ და მუდმივი ხასიათისაა. კვლევებმა ცხადყო, რომ ადამიანები ეჯაჭვებიან ნივთებს შეძენის მომენტიდანვე და ეს მიჯაჭვულობა დროთა განმავლობაში მხოლოდ მატულობს.<sup>367</sup>

შესაბამისად, თავისთავად ხელშეკრულების უარყოფის არსებობა ყოველთვის არ ნიშნავს, რომ მას ეფექტურად იყენებენ. მომხმარებელთა გადაწყვეტილებაუნარიანობის შესახებ კვლევები მიუთითებენ, რომ მერყევი

<sup>366</sup> Nordhausen Scholes A., Information Requirements, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law publishers, Munich, 2009, 213-237; Solomon M., Bamossy G., Askegaard S., Hogg M. K., Consumer Behavior, A European Perspective, third edition, Pearson Education Limits, Harlow, England, 2006, 257-294;

<sup>367</sup> Solomon M., Bamossy G., Askegaard S., Hogg M. K., Consumer Behavior, A European Perspective, third edition, Pearson Education Limits, Harlow, England, 2006, 257-294;

ბუნების მქონე ადამიანები გაცილებით მეტად ნაწობენ საქონლის დაბრუნებას, ვიდრე უსარგებლო ნივთის დატოვებას. ამიტომ ხელშეკრულების უარყოფის უფლება ხშირად არ გამოიყენება. თავის მხრივ, მომხმარებელთა ეს, ე.წ. „აპორტუნისტური“ ქცევა, მეტარმეტში გარკვეულ დაძაბულობას იწვევს. თუმცა, მომხმარებლებსაც აქვთ ხერვიულობის საბაბი – მეტისა და უკეთესის არჩევანის შეუზღუდვავი შესაძლებლობა მათ დამოკიდებულს ხდის მეტისა და უკეთესის მოძიებაზე, რაც მთელ მათ თავისუფალ დროს იკავებს.<sup>368</sup>

ევროპელმა კანონმდებელმა დისტანციურ ხელშეკრულებებთან დაკავშირებული ყველა აღწერილი უხერხულობა მომხმარებლისათვის ხელშეკრულების უარყოფის უფლების მინიჭებით დაძლია, რომლის წყალობით მომხმარებელს აქვს დამატებითი ვადა აზრის შესაცვლელად. ასეთი არჩევანის პირობებში იგი უფლებამოსილია მოსაფიქრებელი ვადა გამოიყენოს უკეთესი გადაწყვეტილების მისაღებად და მინიმუმამდე დაიყვანოს იმედგაცრუების რისკი. თუმცა, ხშირად, მომხმარებელთა უპაყოფილება გამოწვეულია არასათანადოდ მიწოდებული ინფორმაციითაც. თავის მხრივ, ინფორმაციის ასიმეტრიულობა დისტანციური ხელშეკრულებების სისტემურ ნაკლად მიიჩნევა.<sup>369</sup> ამავდროულად, თავისუფალი ბაზრისათვის ბუნებრივია უთანასწორობა. ზედმიწევნით კეთილსინდისიერად მოქმედების პრინციპი შესაძლოა არსებითად შეუთავსებელიც კი იყოს მეტარმეთა პოზიციებთან წინასახლშეკრულებო ეტაპზე. ამ შემთხვევაშიც კანონმდებელი დადგა არჩევანის წინაშე, რადაც ფორმით ჩარეცლიყო და გაეთანაბრებინა მხარეთა პოზიციები თუ ბაზრისათვის მიენდო ამ საკითხის დარეგულირება.<sup>370</sup> მნიშვნელოვანია ისიც, რომ მეტარმეთა მარკეტინგული პრაქტიკა უმეტესწილად მიმართულია მომხმარებლის „ანკესზე წამოსაგებად“,<sup>371</sup> მაშინ, როცა ევროპელი კანონმდებლის მიზანია სამიზნის (მომხმარებლის) ინტერესი და მისი ეფექტური დაცვა.<sup>372</sup>

ამიტომაც, ევროკავშირის სამართალმა არჩევანი მომხმარებლის სასარგებლოდ გააკეთა და, დისტანციურად დადგებული

<sup>368</sup> *Luzak J.A. To Withdraw or not To Withdraw? Evaluations of the Mandatory Right of Withdrawal in Consumer Distance Selling Contracts taking into account its Behavioral Effects on Consumer*, Amsterdam Law School Legal Research Paper No. 2013-21, Centre for the Study of European Contract Law working Paper No. 2013-04, 20; *Solomon M., Bamossy G., Askegaard S., Hogg M. K., Consumer Behavior, A European Perspective*, third edition, Pearson Education Limits, Harlow, England, 2006, 257-294;

<sup>369</sup> *Fina S., The Consumer's Right of Withdrawal and Distance Selling in Europe: A Consumer Stronghold in European Distance Selling and E-Commerce*, in *Festschrift Franz Zehetner* 31, Markus Haslinger, Arthur Kanonier and Sylvia Zehetner eds. 2009, 32-35.

<sup>370</sup> *Markesinis B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract*, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 3.

<sup>371</sup> ზაალიშვილი ვ., სამომხმარებლო კერძოსამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების სისტემური თავისებურებანი ქართულ კანონმდებლობაში, სამართლის ჟურნალი № 1-2, თბილისი 2010, 57.

<sup>372</sup> *Solomon M., Bamossy G., Askegaard S., Hogg M. K., Consumer Behavior, A European Perspective*, third edition, Pearson Education Limits, Harlow, England, 2006, 262.

ხელშეკრულებებიდან ნების უკან გამოთხოვის უფლების მინიჭებით, იგი ჩააყენა იმ ვითარებაში, რომელიც იარსებებდა პირისპირ დადებული ხელშეკრულების დროს. კერძოდ, დისტანციურად დადებული ხელშეკრულების უარყოფის უფლება შესაძლებელს ხდის მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში საქონლის ფლობას, დათვალიერებას და, გარკვეულწილად, მოხმარებასაც. ევროპელი კანონმდებლის ერთ-ერთი მიზანიც ეს იყო – უზრუნველეყო მოხმარებელი საქონელის შეფასების დამატებითი შანსით. იმ შემთხვევაში, თუ ნაყიდი საქონელი არ გაამართდებს მომხმარებლის მოლოდინს, იგი უფლებამოსილია, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე უარი თქვას ხელშეკრულებაზე და ნივთი უკან დააბრუნოს. მეტიც, მომხმარებელი მაშინაც არის უფლებამოსილი უარყოს ხელშეკრულება, როცა გადაწყვეტილება მიღებულია საქონლის ან მომსახურების შესახებ სრული და აუცილებელი ინფორმაციის მიღების შედეგად. დაცვის ასეთი გადაჭარბებული მექანიზმის უკან დგას მომხმარებლის მერყევი განწყობა დისტანციური ხელშეკრულებების მიმართ და ევროპელი კანონმდებლის სურვილი, წაახალისოს იგი დისტანციურად ხელშეკრულებების დადებისაკენ.<sup>373</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ დისტანციურად დადებული ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების უფლებასთან დაკავშირებით განსხვავებული აზრიც არსებობს. კერძოდ, ზოგიერთი ავტორი გაუგებრად მიიჩნევს, თუ რატომ უნდა იყოს შესაძლებელი დისტანციურად გამოვლენილი ნების უკან გამოთხოვა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ შემძენს არ პქონდა შესაძლებლობა, შეემოწმებინა ნივთი ხელშეკრულების დადებამდე. მათი აზრით, თუ ნივთი არ შეესაბამება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხარისხს (აღწერას), მომხმარებლის უფლების დაცვა შეცდომით დადებული გარიგების ანდა ზიანის ანაზღაურების მარეგულირებელი ნორმებითაც არის შესაძლებელი. ამ მოსაზრების მქონე ავტორები მიიჩნევენ, რომ ევროკავშირის დირექტივებით დამკვიდრებული ხელშეკრულების უარყოფის უფლების იმპერატიული ძალის მქონე დათქმად აღიარებას, შედეგად მოპყვა დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების მოწონების პირობით დადებულ გარიგებად ტრანსფორმირება.

სავარაუდოდ, მომხმარებელი, რომელიც ხელშეკრულების დასადებად იყენებს დისტანციური კომუნიკაციის ახალ ტექნოლოგიებს, უნდა აცნობიერებდეს თანმდევ რისკებსაც. ერთი შეხედვით, როულად წარმოსადგენია, რომ ამ დროს, რაღაც ფრომით შეიძლება დაირღვეს მისი

<sup>373</sup> Luzak J., Online Consumer Contracts, University of Amsterdam - Centre for the Study of European Contract Law (CSECL); University of Amsterdam - Faculty of Law, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2014-47, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2014-08, ERA Forum, Vol., 15, no. 3, 2014, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2487222##](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2487222##)>, [21.01.2015], 8.

<sup>374</sup> Jansen N. and Zimmermann R., Contract Formation and Mistake in European Contract Law: A Genetic Comparison of Transnational Model Rules, Oxford Journal of Legal Studies Advance Access published September 20, 2011, 32-34; Markesinis B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 367.

თვითგამორკვევის უფლება. მეორე მხრივ, ხელშეკრულების უარყოფის უფლება შეიძლება მივიჩნიოთ სამართლებრივ სტიმულად, რომელიც ებრძვის დისტანციური ხელშეკრულებებისათვის დამახასიათებელ თანდაქოლილ ცდუნებას, შეძენილი საქონელის ობიექტზე საჭიროების გააზრების შესაძლებლობას.<sup>375</sup> ამიტომაც მისი დანიშნულებაა, მომხმარებელი ჩააყენოს იმ ვითარებაში, რომელიც იარსებებდა მაგალითად, მაღაზიაში ნივთის შეძენისას. ამგვარი დამოკიდებულება ეხმიანება იმ მიღვომასაც, რომ მოსაფიქრებელი ვადის ათვლა არ უნდა დაიწყოს მომხმარებლისათვის საქონლის გადაცემამდე. იმავდროულად, ხელშეკრულების უარყოფის უფლება, გარკვეულწილად, კარგავს თავის ფუნქციას, როცა საქმე ეხება მომსახურების შესახებ დისტანციურად დადგებულ ხელშეკრულებას. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების უარყოფის უფლება წყვეტს არსებობას იმ მომენტიდან, როცა მეწარმე მომხმარებლის წინასწარი თანხმობით მოსაფიქრებელი ვადის გასვლამდე იწყებს მომსახურების გაწევას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროპელმა კანონმდებელმა უარყოფის უფლების მინიჭებით, გადაწყვიტა რა, წაეხალისებინა მომხმარებლები დისტანციურ ვაჭრობაში ჩაბმისაკენ, ასეთივე დაცვის სტანდარტი არ გაითვალისწინა მომხმარებლებისათვის, რომლებიც ხელშეკრულებას დებენ პირდაპირ მაღაზიაში მიუხედავად იმისა, რომ ორივე შემთხვევაში მომხმარებელი ხელშეკრულების ის მხარეა, რომელიც შესაძლოა მოექცეს მეწარმის არაკეთილსინდისიერი ზემოქმედების ქვეშ. ნიშანდობლივია, რომ პირისპირ ნასყიდობის შემთხვევაშიც არ არის გამორიცხული მომხმარებლის იმედგაცრუება შეძენილ საქონელთან დაკავშირებით. მოვაჭრესთან კომუნიკაცია ყოველთვის არ განაპირობებს მომხმარებლის გადაწყვეტილების სისწორეს ან დამაჯერებლობას, მით უფრო საქონლის ხარისხთან დაკავშირებით. მომხმარებელს მხოლოდ კონკრეტული საქონლის შეძენის და მისი მოხმარების შემდეგ უყალიბდება ხოლმე ნდობა და კეთილგანწყობა მეწარმისა და მისი პროდუქციის მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ უხარისხო ან არასათანადო ხარისხის ნივთის ყიდვის რისკი ყოველთვის არსებობს, იმისგან დამოუკიდებლად თუ რა ვითარებაში დაიდო ხელშეკრულება.<sup>376</sup>

შესაბამისად, ხელშეკრულების შედეგების გადახედვის უფლება ყოველთვის ვერ დაიცავს მომხმარებელს იმედგაცრუებისაგან, მაგრამ იგი დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებას შექცევით ეფექტს აძლევს. ხელშეკრულების უარყოფის უფლებას შეუძლია დაიცვას მომხმარებელი დადგებული ხელშეკრულებაზე სინაზულის გრძნობის განცდისაგან და წაახალისოს იგი მომავალში ხელშეკრულებების დისტანციურად

<sup>375</sup> Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 217.

<sup>376</sup> Luzak J.A., To Withdraw or not To Withdraw? Evaluations of the Mandatory Right of Withdrawal in Consumer Distance Selling Contracts taking into account its Behavioral Effects on Consumer, Amsterdam Law School Legal Research Paper No. 2013-21, Centre for the Study of European Contract Law working Paper No. 2013-04, 7, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2243645](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2243645)>, [20.01.2015].

დადებისაკენ. სწორედ ამიტომაც ითვლება მომხმარებლებისათვის მინიჭებული ეს საგამონაკლისო რეგულაცია მათი უფლებების დაცვის ეფექტურ საშუალებად, რომელიც ერთი მხრივ ემსახურება მომხმარებლის დამაჯერებლობისა და ნდობის ამაღლებას, ხოლო, მეორე მხრივ, ხელს უწყობს დისტანციურად დადებულ სახელშეკრულებო ურთიერთობების მხარდაჭერასა და მათ შემდგომ განვითარებას.

### **5.2.5. სამომხმარებლო ხელშეკრულებების განსჯადობა და ხელშეკრულების უარყოფის უფლების ეფექტი**

ხელშეკრულების უარყოფის უფლება იცავს მომხმარებლებს არა მხოლოდ მათი წინდაუხედავი და მერყევი გადაწყვეტილებებისაგან, არამედ შესაძლებელს ხდის ისეთი სამართლებრივი საკითხის მარტივ მოგვარებას, როგორიცაა სამომხმარებლო ხელშეკრულებების განსჯადობის საკითხი. ეს განსაკუთრებით ოვალსაჩინოა დისტანციურად დადებული ხელშეკრულების შემთხვევაში. ოუმცა, გარკვეულწილად შეიძლება შეეხოს არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ ხელშეკრულებებსაც. ცხადია, რომ ინტერნეტის გამოყენებით კომერციული საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობამ წარმოშვა მისი რეგულირების აუცილებლობაც, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა ასეთ ურთიერთობებში მონაწილე პირები სხვადასხვა ქვეყნების სამართლებრივ რეჟიმებს განეცუთვნებიან.<sup>377</sup>

როგორც უკვე აღინიშნა, დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებად ჩაითვლება ისეთი გარიგებები, რომლებიც იდება ერთსა და იმავე ან სხვადასხვა იურისდიქციას დაქვემდებარებულ მომხმარებელსა და მეწარმეს შორის. დისტანციური კომუნიკაციის წესით დადებული ხელშეკრულებების უმეტესობა შიდასახელმწიფოებრივ საზღვრებში არ არის მოქცეული. შესაბამისად, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, დღის წესრიგში დგება ამ ფორმით დადებული გარიგებებისადმი გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრის საკითხი.

ეგროპელი კანონმდებლის მიერ მხარდაჭერილი მომხმარებელთა საყველთაო კეთილდღეობის უზრუნველყოფის იდეა ამ საკითხშიც იჩენს თავს.<sup>378</sup> კერძოდ, განსჯადობის ზოგადი წესის თანახმად, სხვადასხვა იურისდიქციას მიეუთვნებულ პირებს შორის დაგის შემთხვევაში, განსჯადობის საკითხი წყდება მოპასუხის ადგილსამყოფლის ანდა

<sup>377</sup> Kallweit D., Towards a European Contract Law: For a Prosperous Future of International Trade, <[http://www.upf.pf/IMG/pdf/03\\_Kallweit.pdf](http://www.upf.pf/IMG/pdf/03_Kallweit.pdf)>, [27.03.2014], 2; ზარანდია თ., სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების დრო და ადგილი, გამომც., „ჯისიაი“, თბ., 2005, 9-23; Gillies L. E., Electronic Commerce and International Private Law, A Study of Electronic Consumer Contracts, Ashgate e\_Book, Aldershot, England; Burlington, VT: Ashgate, 2008, 1-7.

<sup>378</sup> Dani M., Assembling the Fractured European Consumer, A New Concept of European Federalism, LEQS Paper, No., 29/2011, <<http://www.lse.ac.uk/europeanInstitute/LEQSPaper29.pdf>>, [22.07 2013], 19.

იურიდიული მისამართის მიხედვით ანდა ხელშეკრულების დადების ადგილისა და მისი შესრულების ადგილის მიხედვით. ეს ზოგადი დებულება რეგლამენტირებულია არა ერთ საერთაშორისო თუ შიდასახელმწიფოებრივ აქტში.<sup>379</sup> თუმცა, მომხმარებლის მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში, ხელშეკრულების დადებისა და შესრულების ადგილი დემატერიალიზებულია ზოგადი განსჯადობის წესებისაგან. რაც იმას ნიშნავს, რომ თუ დისტანციური კომუნიკაციის წესით დადებული ხელშეკრულების მხარე მომხმარებელია, ასეთი ხელშეკრულებების მიმართ სპეციალური განსჯადობის წესი მოქმედებს.<sup>380</sup>

მომხმარებელთა უფლებების დაცვის კონტექსტში, დისტანციური კომუნიკაციის წესით დადებული ხელშეკრულებები მოწესრიგებულია მოდელური კანონებით, ჩარჩო შეთანხმებებითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით, რომლებიც შეიცავენ სპეციალურ წესებს სხვადასხვა იურისდიქციას მიკუთვნებულ მომხმარებელსა და მეწარმეს შორის ინტერნეტის გამოყენებით დამყარებული სახელშეკრულებო ურთიერთობებზე. თავის მხრივ, ყველა ასეთი სპეციალური აქტი მომხმარებლებს სახელშეკრულებო ურთიერთობის სუსტ მხარედ მიიჩნევს და ითვალისწინებს ქმედით მექანიზმებს ელექტრონულ კომერციაში მათი თვითდაჯერებულობის უზრუნველსაყოფად.<sup>381</sup>

ელექტრონული კომერციის ფარგლებში მომხმარებელთა არათანაბარი მდგომარეობა მეწარმე სუბიექტებთან შედარებით ვლინდება მათ მიმართ უნდობლობის ასაკებელიც. ხშირად, მომხმარებლისათვის უცნობია მონაცემები მეწარმის ადგილმდებარეობის, მისი საქმიანი რეპუტაციის, მის მიერ წარმოებული საქონლის ხარისხის შესახებ. ამ შემთხვევაში მომხმარებელს ისდა დარჩენია, ენდოს ვებგვერდზე მოცემულ ინფორმაციას. გარდა ამისა, საფრთხის შემცველია მეწარმეთა მოთხოვნა მომხმარებლის მაიდანისათვის მონაცემების წინასწარ გახსნისა და ანგარიშსწორების შესახებ (სახელი, გვარი, ანგარიშის ნომერი, პირადი ნომერი, ტელეფონის ნომერი, უმეტეს შემთხვევაში ის მონაცემებია რომელთა მითითებაც მომხმარებელს მოეთხოვება დისტანციურად ხელშეკრულების დადებისას).<sup>382</sup>

დასახელებულ საფრთხეთა კომპლექსურობა, რომელთა წინაშეც შესაძლოა აღმოჩნდეს მომხმარებელი დისტანციური კომუნიკაციის წესით დადებულ ხელშეკრულებებში ისევე, როგორც ელექტრონული კომერციისათვის დამახასიათებელი დემატერიალიზებული ბუნება, აუცილებელს ხდის ქმედითი წესების შემოღებას მომხმარებელთა

<sup>379</sup> Wang F.F., Law of Electronic Commercial Transactions, Contemporary issues in EU, US and China, Rutledge Research in IT and E-Commerce Law, Taylor & Francis Group, New York 2010, 64-65.

<sup>380</sup> Gillies L. E., Electronic Commerce and International Private Law, A Study of Electronic Consumer Contracts, Ashgate e\_Book, Aldershot, England; Burlington, VT: Ashgate, 2008, 1-7.

<sup>381</sup> Gillies L. E., Electronic Commerce and International Private Law, A Study of Electronic Consumer Contracts, Ashgate e\_Book, Aldershot, England; Burlington, VT: Ashgate, 2008, 1-7.

<sup>382</sup> იქვე

დასაცავად ტრანს-სასაზღვრო სავაჭრო ურთიერთობებში.<sup>383</sup> ამასთან, უცხო ქვეყნის მეწარმესთან დისტანციურად დადგებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა წარმოშობს ორ ძირითად თეორიულ და პრაქტიკულ პრობლემას: 1) მომხმარებელი, რომელიც უცხო ქვეყნის მეწარმისაგან, დისტანციურად დადგებული ხელშეკრულების საფუძველზე იძენს საქონელს ანდა მომსახურებას, დავის შემთხვევაში, რომელი ქვეყნის იურისდიქციას უნდა დაექვემდებაროს - თავისას თუ მეწარმისას და მეორე, დავა რომელი ქვეყნის სამართლის გამოყენებით უნდა გადაწყდეს.<sup>384</sup>

ევროკავშირის ფარგლებში სხვადასხვა იურისდიქციას მიკუთვნებულ პირებს შორის დადგებული ხელშეკრულების განსჯადობის საკითხი მოწესრიგებულია 593/2008 სახელშეკრულებო ვალდებულებათა მიმართ გამოსაყენებელი სამართლის შესახებ აქტით, რომელიც „რომი ერთი“ რეგულირების სახელითაა ცნობილი.<sup>385</sup> ამასთან, გამოსაყენებელი სამართლის არჩევა შეიძლება მიგაკუთვნოთ მხარეთა ავტონომიის სფეროსაც, რაც გამოიხატება მხარეთა შესაძლებლობაში, თავად განსაზღვრონ მათი მონაწილეობით დადგებული ხელშეკრულების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის საკითხი.<sup>386</sup> თუმცა, ასეთი არჩევანის უფლება, ხშირად იწვევს ერთ-ერთის, ძირითადად მომხმარებლის, უფლებების გაუმართებელ შეზღუდვას, განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ დისტანციურად დადგებული ხელშეკრულებები უმეტესწილად მოცემულია სტანდარტული პირობების ანდა სტანდარტული ფორმის ხელშეკრულებების სახით. მომხმარებელთა მონაწილეობა კი მათ ფორმირებაში მხოლოდ პირობებზე ფორმალური „დათანხმებით“ გამოიხატება. გარდა ამისა, კონკრეტული ქვეყნის სამართალზე მითითება ნიშნავს იმას, რომ მომხმარებელთა ინტერესების ეფექტურად დამცავი შიდასახელმწიფოებრივი რეგულირების გამოყენება ავტომატურად გამოირიცხება.<sup>387</sup>

მომხმარებელთა უფლებების დაცვის მიმართ ევროპის კავშირის ტრადიციულად მკაცრი მიდგომის გათვალისწინებით, მეწარმეები ყოველთვის არ არიან თავისუფალნი მათ მიერ შეთავაზებული სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ გამოსაყენებელი სამართლის განსაზღვრაში. „რომი ერთი“ რეგულირება პირდაპირ მიუთითებს, რომ მომხმარებელთა მონაწილეობით დადგებული ხელშეკრულებები, მათში გამოსაყენებელ სამართალზე დათქმის მიუხედავად, განსახილველად ექვემდებარებიან იმ ქვეყნის სამართლებრივ დანაწესებს, სადაც

<sup>383</sup> Kallweit D., Towards a European Contract Law: For a Prosperous Future of International Trade, <[http://www.upf.pf/IMG/pdf/03\\_Kallweit.pdf](http://www.upf.pf/IMG/pdf/03_Kallweit.pdf)>, [27.03.2014], 7.

<sup>384</sup> Gillies L. E., Electronic Commerce and International Private Law, A Study of Electronic Consumer Contracts, Ashgate e\_Book, Aldershot, England; Burlington, VT: Ashgate, 2008, 1-7

<sup>385</sup> Regulation (EC) No 593/2008 of the European Parliament and of the Council of 17 June 2008 on the Law applicable to contractual obligations (Rome I), OJ L 177, 4.7.2008, p. 6–16 (Special edition in Croatian: Chapter 19 Vol., 006 P. 109 – 119).

<sup>386</sup> ზარანდია ო., სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების დრო და ადგილი, გამომც., „ჯისიაი“, თბ., 2005, 10-11.

<sup>387</sup> Twigg-Flesner C., A Cross-Border-Only Regulations for Consumer Transactions in the EU, A Fresh Approach to EU Consumer Law, Springer Briefs in Business, 2012, 4.

მომხმარებელს აქვს ჩვეულებრივი ადგილსამყოფელი.<sup>388</sup> შესაბამისად, სამომხმარებლო ხელშეკრულებების მიმართ მოქმედებს სპეცილური რეგულირება, რომელიც უმეტეს შემთხვევაში, იმპერატიული ხასიათისაა და მისი შეცვლა ან ჩანაცვლება მხარეთა შეთანხმებით დაუშვებელია. ამ თვალსაზრისით, გადამწყვეტია არა მხოლოდ მომხმარებლის ჩვეულებრივი ადგილსამყოფლის განსაზღვრა, არამედ იმის დადგენაც, თუ რა იგულისხმება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაში მომხმარებლის ადგილსამყოფელ ქვეყანაში.

ამ საკითხის განმარტებას მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოქმედების ფარგლების ლეგიტიმაციისთვისაც. ჯერ ერთი იმიტომ, რომ მომხმარებლისათვის მინიჭებული ეს საგამონაკლისო უფლებაც ერთ-ერთია, რომელიც იმპერატიული ხასიათის ნორმებით რეგულირდება. მეორე მნიშვნელოვანი გარემოება ის არის, რომ ხელშეკრულებები, სადაც მათი ცალმხრივად უარყოფის შესაძლებლობა იმპერატიულადაა მოცემული, საერთოდ გვერდს უვლიან განსჯადობის საკითხს. მომხმარებელი უფლებამოსილია, გამოიყენოს ხელშეკრულების უფლება უპირობოდ, თუ ხელშეკრულება დადგებულია მეწარმის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს გარეთ ანდა დისტანციური კომუნიკაციის ნებისმიერი ფორმის გამოყენებით. ამასთან, ხაზგასასმელია, რომ ხელშეკრულების უარყოფის უფლება მოქმედებს მხოლოდ სამეწარმეო საქმიანობის განმახორციელებელი სუბიექტების მიმართ. საკითხი შედარებით მარტივად გადასაწყვეტია, თუ მომხმარებელიც და მეწარმეც ერთსა და იმავე იურისდიქციას მიეცუთვნებიან, ან, როცა მეწარმის იდენტიფიცირება არ წარმოადგენს პრობლემას. იმ შემთხვევაში კი, როცა მეწარმე სხვა ქვეყნის იურიდიული პირია, მომხმარებლის ჩვეულებრივი ადგილსამყოფლის ფარგლებში სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება შესაბამის ყურადღებას იმსახურებს.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებელთა მონაწილეობით დადებული ხელშეკრულებები, მხოლოდ მაშინ ექცევიან საგამონაკლისო განსჯადობის ფარგლებში, თუ სამეწარმეო საქმიანობა ხორციელდება მომხმარებელთა ჩვეულებრივი ადგილსამყოფლის მიხედვით. ამ თვალსაზრისით, რომი I-ის რეგულირება აქცენტს აკეთებს ორ გარემოებაზე, რომელთა მიხედვითაც შეიძლება დადგინდეს მეწარმეთა მოქმედების არეალი. პირველი, როცა მეწარმე მიჰყვება თავის საქმიანობას მომხმარებლის იურისდიქციის სახელმწიფოში და მეორე, როცა იგი პირდაპირ ეწევა თავის საქმიანობას სხვა ქვეყანაში. მიყოლაში, ამ შემთხვევაში, იგულისხმება სამეწარმეო საქმიანობის განხორციელება შუამავლების მეშვეობით, რომელიც მოიცავს აგრეთვე არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ ხელშეკრულებებსაც. მაგალითად, თუ მომხმარებლის დაყოლიება ხელშეკრულების დადებაზე ხდება სხვა სახელმწიფოში

<sup>388</sup> Regulation (EC) No 593/2008 of the European Parliament and of the Council of 17 June 2008 on the Law applicable to contractual obligations (Rome I), OJ L 177, 4.7.2008, p. 6–16 (Special edition in Croatian: Chapter 19 Vol., 006 P. 109 – 119).

რეგისტრირებული კომპანიის წარმომადგენლის მეშვეობით მომხმარებლის ჩვეულებრივი ადგილსამყოფლის მიხედვით, საცხოვრებელ სახლთან ან სამუშაო ადგილთან. სამეწარმეო საქმიანობის მიყოლა, ასევე მოიცავს ფილიალების მეშვეობით მოქმედებასაც.<sup>389</sup>

გაცილებით რთულია მეორე შემთხვევის განმარტება, რომელიც გულისხმობს სამეწარმეო საქმიანობის პირდაპირ განხორციელებას. მართალია, „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივა იძლევა მეწარმის განმარტებას, და მასში გულისხმობს ნებისმიერ იურიდიულ პირაც, რომელიც მოქმედებს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელების მიზნით, მაგრამ არ უთითებს, თუ რა იგულისხმება ასეთ საქმიანობაში. მაშინ როდესაც, რომი I რეგულირება სამომხმარებლო ხელშეკრულებებს სპეციალურ განსჯადობას მიაკუთვნებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა გამოკვეთილია მომხმარებლის ჩვეულებრივ ადგილსამყოფელ ტერიტორიაზე სამეწარმეო საქმიანობის პირდაპირი განხორციელების მიზანი.<sup>390</sup>

ამასთან, სამეწარმეო საქმიანობის პირდაპირ განხორციელებაზე მიუთითებს ბრიუსელის რეგულირებაც, რომელიც განსაზღვრავს განსჯადი სასამართლოს საკითხს იმ შემთხვევისათვის, თუ დავაში ერთი ან მეტი ქვეყანა მონაწილეობს. ნიშანდობლივია, რომ ეს აქტიც გამორიცხავს მისი გავრცელების შესაძლებლობას მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებზე, თუ მომხმარებელთან დადებულ ხელშეკრულებაში გამოკვეთილია სამეწარმეო საქმიანობის პირდაპირი განხორციელების მიზანი, მომხმარებლის ადგილსამყოფელ ქვეყანაში.<sup>391</sup> საგულისხმოა, რომ რომი I რეგულირების განმარტება შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ სამეწარმეო საქმიანობის პირდაპირი განხორციელების მიზანი უნდა განიმარტოს ბრიუსელის რეგულირებასთან ერთობლიობაში.<sup>392</sup>

სამეწარმეო საქმიანობის პირდაპირი განხორციელება ძირითადად განმარტებას მოითხოვს ელექტრონულ კომერციასთან დაკავშირებით, ოფერტების მეწარმეთა ვებგვერდების მეშვეობით გაპეთებისას. ამ შემთხვევაში მომხმარებელთა ინტერნეტთან წვდომა არ არის საკმარისი გარემოება იმისათვის, რომ ხელშეკრულება სხვადასხვა ქვეყანას მიკუთვნებულ პირებს შორის დადებულად ჩაითვალოს, თუმცა საკმარისია იმისათვის, რომ ხელშეკრულება დისტანციური კომუნიკაციის წესით

<sup>389</sup> Twigg-Flesner C., A Cross-Border-Only Regulations for Consumer Transactions in the EU, A Fresh Approach to EU Consumer Law, Springer Briefs in Business, 2012, 3.

<sup>390</sup> Regulation (EC) No 593/2008 of the European Parliament and of the Council of 17 June 2008 on the Law Applicable to Contractual Obligations (Rome I), OJ L 177, 4.7.2008, p. 6–16 (Special edition in Croatian: Chapter 19 Vol., 006 P. 109 – 119).

<sup>391</sup> COUNCIL REGULATION (EC) No 44/2001 of 22 December 2000 on Jurisdiction and the Recognition and Enforcement of Judgments in Civil and Commercial Matters, Official Journal of the European Communities, L 12/1, 16.1.2001.

<sup>392</sup> Regulation (EC) No 593/2008 of the European Parliament and of the Council of 17 June 2008 on the Law Applicable to Contractual Obligations (Rome I), OJ L 177, 4.7.2008, p. 6–16 (Special edition in Croatian: Chapter 19 Vol., 006 P. 109 – 119).

დადგებულად მიიჩნეოდეს.<sup>393</sup> ამასთან, მნიშვნელოვანია მეწარმეთა ვებგვერდებზე განთავსებული ინფორმაციის შინაარსი. კერძოდ, რამდენად შესაძლებელია მასზე დაყრდნობით იმის იდენტიფიცირება, რომ სამეწარმეო საქმიანობა პირდაპირ განკუთვნილია მომხმარებელთა ჩვეულებრივი ადგილსამყოფლისათვის. მეწარმის ვებგვერდზე მოცემული ინფორმაცია ცალსახად უნდა მიუთითებდეს, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარება შესაძლებელია ერთი ან რამდენიმე სხვა ქვეყნის მომხმარებლებთან.<sup>394</sup>

საკითხის სიმწვავეს ისიც ცხადყოფს, რომ იგი ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტების საგანიც კი გახდა. საქმეში „Pammer v Schluter“ სასამართლომ რამდენიმე გარემოებაზე გაამახვილა ყურადღება. უპირველეს ყოვლისა, სასამართლო შეეხო იმას, რომ ინტერნეტის ბუნებიდან გამომდინარე, მეწარმეთა ვებგვერდები შეიძლება ხელმისაწვდომი იყოს როგორც ევროპის კავშირის ფარგლებში, ისე მის გარეთაც. მაგრამ მხოლოდ ვებგვერდების ხელმისაწვდომობა იმ ქვეყნის ფარგებს გარეთ, სადაც მეწარმეს აქვს ჩვეულებრივი საქმიანობის ადგილი, ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ მისი სამეწარმეო საქმიანობა მიმართულია ტრანსსასაზღვრო სახელშეკრულებო ურთიერთობების დასამყარებლად. აუცილებელია, რომ მეწარმემ გამოხატოს თავისი ნება იმდაგვარად, რომ მისგან გამომდინარეობდეს ერთი ან რამდენიმე წევრი სახელმწიფოს მომხმარებელთან კომერციული ურთიერთობების დამყარების სურვილი. შესაბამისად, ცალსახად უნდა დგინდებოდეს სხვა წევრი სახელმწიფოების მომხმარებელთან ხელშეკრულების დადების ნება. ამ მოთხოვნასთან შესაბამისობის დასადგენად სასამართლო რამდენიმე კრიტერიუმის არსებობაზე მიუთითებს. პირველ რიგში, მეწარმეთა ვებგვერდებზე მხოლოდ მათი ელექტრონული მისამართის, გეოგრაფიული ადგილმდებარეობის ანდა ტელეფონის ნომრების მითითება, საერთაშორისო ინდექსების ან შესაბამისი კოდების გარეშე, არ ჩაითვლება სათანადო ინფორმაციად იმის საილუსტრაციოდ, რომ მეწარმე მზადაა დაამყაროს ტრანს-სასაზღვრო სახელშეკრულებო ურთიერთობა სხვა ქვეყნის მომხმარებლებთან, ვინაიდან ეს მონაცემები არ ითვლება საკმარისად მეწარმესთან საჭიროების შემთხვევაში დასაკავშირებლად. ტრანსსასაზღვრო ვაჭრობის მიზანი უნდა გამომდინარეობდეს შედარებით სკეციფიკური ელექტრონული, მაგალითად, ვებგვერდის ელექტრონული მისამართის გაფართოებიდან „com“ ან „eu“, მითითებული საერთაშორისო კრიტებიდან, ვებგვერდზე მოცემული ინფორმაციის სხვადასხვა ენაზე გაცნობის ანდა ანგარიშსწორების შესაძლებლობიდან და ა.შ.<sup>395</sup>

<sup>393</sup> Spindler G., Börner F., E-Commerce Law in Europe and the USA, Schmidt W-A., Priess M., Germany, Springer, Verlag Berlin Heidelberg, 2002, 158-163.

<sup>394</sup> Twigg-Flesner C., A Cross-Border-Only Regulations for Consumer Transactions in the EU, A Fresh Approach to EU Consumer Law, Springer Briefs in Business, 2012, 6.

<sup>395</sup> Joined Cases C-585/08 and C-144/09, Peter Pammer v Reederei Karl Schlüter GmbH & Co. KG and Hotel Alpenhof GesmbH v Oliver Heller, <http://curia.europa.eu/juris/liste.jsf?language=en&num=C-585/08>;

სასამართლოს გადაწყვეტილებაში დასახელებული გარემოებების გარდა, სხვა ქვეყნის მომხმარებლებთან სახელ შეკრულებო ურთიერთობის დამყარების სურვილი შეიძლება დასტურდებოდეს, მომხმარებლებზე პირდაპირი და უშუალოდ მიმართული რეკლამის, ანდა ინდივიდუალური შეთავაზების შემთხვევაში; მეწარმის ვებგვერდზე მოცემული ქვეყნების კატალოგიდან, სადაც მომხმარებელს შეუძლია აირჩიოს თავის ქვეყანა. ამასთან, თუ ჩამონათვალში კონკრეტული სახელმწიფო არ არის მითითებული, ეს იმის მაჩვენებელია, რომ სახელ შეკრულებო ურთიერთობის დამყარება ამ კონკრეტული ქვეყნის მომხმარებლებთან მეწარმის განზრახვას არ წარმოადგენს.<sup>396</sup>

ყველა შემთხვევაში, იმისათვის, რომ მომხმარებელთა მონაწილეობით დადგებული ხელ შეკრულება მოექცეს სპეციალური განსჯადობის ფარგლებში, სამეწარმეო საქმიანობა უნდა პასუხობდეს დასახელებულ კრიტერიუმებს. თავის მხრივ, ამან შეიძლება გამოიწვიოს ურთიერთგამომრიცხავი განმარტებები და, ყოველ ცალკეულ, შემთხვევაში გამოსაყენებელი სამართლის დადგენის აუცილებლობა, რაც მნიშვნელოვნად არყევს მომხმარებელთა დამაჯერებლობას და, მით უფრო, სურვილს, მონაწილეობა მიიღონ ტანს-სასაზღვრო სავაჭრო ურთიერთობებში.

სწორედ ამ კონტექსტში ვლინდება მომხმარებლებისათვის მინიჭებული ხელ შეკრულების ცალმხრივად უარყოფის უფლების უპირატესობა, რომელიც იცავს მომხმარებლებს კონკრეტული საფრთხეებისაგან და, მათ შორის, ყოველ ჯერზე სამომხმარებლო ხელ შეკრულებების განსჯადობის საკითხის გარკვევისგანაც. ხელ შეკრულებებში, სადაც აქცეპტის უკან გამოთხოვა იმპერატიული ნორმებითაა უზრუნველყოფილი მიუხედავად იმისა, გამოკვეთილია თუ არა სამეწარმეო საქმიანობის გავრცელების ფარგლები, მომხმარებელი დაცულია მათი უპირობო უარყოფის უფლებით. გარდა ამისა, თუ მეწარმე სუბიექტის ტრანს-სასაზღვრო სავაჭრო საქმიანობა შეესაბამება ზემოაღნიშნულ კრიტერიუმებს, მომხმარებელი განსჯადობის სპეციალურ წესთან ერთად, უფლებამოსილია, ხელ შეკრულების უარყოფის უფლებასაც დაეყრდნოს, რომელიც ერთნაირად მოქმედებს ევროკავშირში შემავალი ყველა სახელმწიფოს მეწარმეთა და მომხმარებელთა მიმართ.

ამასთან, ხელ შეკრულების უარყოფის უფლების უპირატესობა, სპეციალურ განსჯადობის წესებთან მიმართებაში, იმაშიც ვლინდება, რომ „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივა იძლევა რა არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციურად დადებული ხელ შეკრულებების განმარტებას, აქცენტს არ აკეთებს არც მეწარმეთა იურიდიულ რეგისტრაციაზე და არც მომხმარებელთა ჩვეულებრივ

Twigg-Flesner C., A Cross-Border-Only Regulations for Consumer Transactions in the EU, A Fresh Approach to EU Consumer Law, Springer Briefs in Business, 2012, 6.

<sup>396</sup> Gillies L. E., Electronic Commerce and International Private Law, A Study of Electronic Consumer Contracts, Ashgate e\_Book, Aldershot, England; Burlington, VT: Ashgate, 2008, 37.

ადგილსამყოფელზე. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ხელშეკრულების უარყოფის უფლების არსებობისათვის არა აქვს მნიშვნელობა იმას, ხელშეკრულების მსარეები ერთი და იმავე თუ სხვადასხვა იურისდიქციას ექვემდებარებიან. უფლების სავალდებულო წესით არსებობას განსაზღვრავს მხოლოდ ნების ჩამოყალიბების ფორმატი.

არაოფიციალურ ვითარებასა და დისტანციური კომუნიკაციის მეთოდებით დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელი დაცულია ნების უკან გამოთხოვის უფლებით, განსჯადობის საერთო თუ სპეციალური წესის გვერდის ავლით. ამასთან, უფლების სავალდებულობის ხასიათიდან გამომდინარე, მისი დაცვითი ეფექტი მოქმედებს ყველა მომხმარებელზე, მიუხედავად იმისა, იგი ევროკავშირის წევრი სახელმწიფოს მოქალაქეა თუ არა. მაგალითად, თუ საქართველოში ჩვეულებრივი ადგილსამყოფლის მქონე მომხმარებელი შეიძენს საქონელს ევროპის ქვეყნის მეწარმისაგან მასთან დისტანციური კომუნიკაციის წესით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, იგი ყოველთვის დაცული იქნება ხელშეკრულების უარყოფის უფლებით, როგორც იმპერატიულად მოქმედი წესით, რასაც ვერ ვიტყვით პირიქით განვითარებულ მოვლენებზე.

კერძოდ, თუ ევროპელი მომხმარებელი, დისტანციური კომუნიკაციის წესით დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, ქართული კომპანიისაგან საქონელს შეიძენს, ჩვენს კანონმდებლობაში ხელშეკრულების უარყოფის სპეციალური წესის არარსებობის გამო, მას, უკმაყოფილების შემთხვევაში (პირობითად თუ საქონელი ნაკლიანი აღმოჩნდება) უფლების დაცვა მისი შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმებით მოუწევს (რომი I რეგულირება). შემდეგ კი დადგება ამ გადაწყვეტილების ცნობა-აღსრულების საკითხი საქართველოში. ყველა ეს ეტაპი დაკავშირებულია დროსა და ხარჯებთან, რამაც, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეაფერხოს ევროპელი მომხმარებელების აქტივობა ქართულ ბაზარზე. მაგრამ, თუ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული იქნება ხელშეკრულების უარყოფის უფლება იმავე წესით, როგორც იგი მოქმედებს ევროპის სახელმწიფოებში, ეს საშუალებას მისცემს ევროპელ მომხმარებელს, შეუფერხებლად ჩაებას ტრანს-სასაზღვრო სახელშეკრულებო ურთიერთობებში საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებთან. თავის მხრივ კი, ქართულ კერძო სამართალში ამ უფლების სრულფასოვანი დამკვიდრება ხელს შეუწყობს ქართული ბიზნესის გაფართოებას ქვეყნის ფარგლებს გარეთაც, რაც სრულ შესაბამისობაში იქნება საქართველოსა და ევროკავშირს შორის ხელმოწერილ ასოცირების შეთანხმებასთანაც.

## VI. ხელშეკრულების უარყოფის უფლების დაცვითი უფლებისათვის სავალდებულო ელემენტები

### 6.1. უარყოფის უფლების რეალიზების წინაპირობები

ევროპულ სამომხმარებლო სამართალში დამკვიდრებული ხელშეკრულების მბოჭავი ძალისაგან განმათავისუფლებელი სპეციალური უფლება, ხელშეკრულებაში მისი სავალდებულო დათქმის სახით არსებობის პირობებშიც, არ მოქმედებს ავტომატურად. ხელშეკრულების შედეგების თვითდან ასაცილებლად, მომხმარებელმა უნდა შეასრულოს რამდენიმე პროცედურული მოთხოვნა: მოახდინოს უფლების რეალიზება დროის განსაზღვრულ მონაკვეთში და შეატყობინოს ხელშეკრულების მეორე მსარეს უფლების აქტივაციის შესახებ.

ამასთან, მომხმარებელთა უფლებების დაცვა, მათთვის ხელშეკრულების უარყოფის უფლების მინიჭების თვალსაზრისით, მხოლოდ მაშინ აღწევს მიზანს, თუ მომხმარებელი სათანადოდაა ინფორმირებული ამ უფლების არსებობისა და მისი რეალიზების წესის შესახებ. გარდა ამისა, იქ სადაც ხელშეკრულების უარყოფის უფლებამ უნდა შეასრულოს თავისი დაცვითი ფუნქცია, ერთ-ერთი საკვანძო საკითხია მსარეთა შორის ინფორმაციული დისბალანსი.

სამართლებრივ დოქტრინაში ისევე, როგორც სასამართლო პრაქტიკაში, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მომხმარებელებისათვის მისაწოდებელი ინფორმაციის შინაარსსა და ფორმას. ნიშანდობლივია, რომ ინფორმირების ვალდებულება და ხელშეკრულების უარყოფის უფლება, ძირითადად, ერთიან ჭრილში განიხილება. მომხმარებელი უნდა იყოს ინფორმირებული არა მხოლოდ უარყოფის უფლების წესისა და რეალიზების შესახებ, არამედ ხელშეკრულების ყველა პირობის თაობაზეც. მეტიც - მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში ინფორმაციის სრულყოფილად მიწოდების ვალდებულება ასევე იმპერატიული ნორმებითაა უზრუნველყოფილი.<sup>397</sup>

### 6.2. მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება

რომის სამართლის ზოგადი პრინციპი - *emptor curiosus esse debet* – ხელშეკრულების ყოველი მხარე უნდა იყოს საკმარისად დაინტერესებული იმით, რომ მოიპოვოს შესაბამისი ინფორმაცია ხელშეკრულების დადებისათვის, დამკვიდრებულია თითქმის ყველა სახელმწიფოს მართლწესრიგში. თუმცა, ევროპის სამართლის ბოლოდროინდელმა განვითარებამ ცხადყო, რომ მან ფაქტობრივად დაკარგა თავისი პირვანდელი

<sup>397</sup> Twigg-Flesner CH., Pre-contractual duties – from the Acquis to the Common Frame of Reference, Draft of Chapter Published in Schulze R., ed., CFR and Existing EC Contract Law, Sellier ELP, Munich, 2008, 14-18, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1349692](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1349692)>, [29.04.2013].

მნიშვნელობა.<sup>398</sup> კერძოდ, მომხმარებელთა მონაწილეობით დადგებულ ხელშეკრულებებში ინფორმაციის მოპოვების განსხვავებული წესი მოქმედებს. უპირველეს ყოვლისა, ეს ვლინდება ევროპის დირექტივებით რეგლამენტირებული მხარეთა უფლება-მოვალეობების გადანაწილებაში ინფორმაციის მოპოვებასა თუ მიწოდებაში. ხელშეკრულებებში, სადაც ერთ-ერთი მხარე მომხმარებელია, ინფორმაციის მიწოდება მეწარმის უპირობო ვალდებულებაა.<sup>399</sup>

მომხმარებლის ჩართულობა ამ პროცესში კი მხოლოდ მისი სუბიექტური დაინტერესებით შემოიფარგლება. მას შეუძლია გაეცნოს ან არ გაეცნოს ინფორმაციას ხელშეკრულების არსებით თუ სხვა პირობებზე. წინდახედულობის სტანდარტი – იცის ან უნდა სცოდნოდა – შემოიფარგლება მეწარმის პასუხისმგებლობით მისაწოდებელი ინფორმაციის სისრულეზე, თუმცა გავლენას არ ახდენს მომხმარებელზე, რომელმაც უგულებელყო ინფორმაციის მოპოვების შესაძლებლობა. ასეთ შემთხვევებში აქცენტი გადატანილია ინფორმაციის მიღების უფლებაზე და არა მხარის ვალდებულებაზე, მოიპოვოს ეს ინფორმაცია.<sup>400</sup>

საკითხისადმი ამგვარი დამოკიდებულება პირდაპირ გამოიკვეთა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაშიც. საქმეზე „Content Services Ltd v. Bundesarbeitskammer“, სასამართლომ განმარტა, რომ „მეწარმე პირი ვალდებულია, მიაწოდოს ინფორმაცია მომხმარებლებს იმის მოლოდინის გარეშე, რომ ისინი თვითონ მოიძიებენ ამ ინფორმაციას. მომხმარებელი პასიური უნდა რჩებოდეს ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით.“<sup>401</sup>

პირდაპირი პასუხი, თუ რამ განაპირობა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების ასეთი მოდიფიცირება, არ არსებობს. მიზეზი მრავალი შეიძლება იყოს. პირველ რიგში, ეს არის მომხმარებლის განსაკუთრებული როლის წარმოჩენა ევროკავშირის სახელშეკრულებო სამართალში და, ამ თვალსაზრისით, უამრავი მარეგულირებელი აქტის მიღება. მეორე გახლავთ ტექნიკური პროგრესი, რომელმაც ასევე დიდი გავლენა იქნია ხელშეკრულებასა და მისი მხარეების უფლება-მოვალეობებზე, განსაკუთრებით კი ელექტრონული ვაჭრობის ჭრილში.<sup>402</sup> ელექტრონული კომერციის ფარგლებში მომხმარებლისათვის გაცილებით უფრო რთულია შესაძენი საქონლის მახასიათებლების გაგება ან იმ პირის დადგენა,

<sup>398</sup> Nordhausen Scholes A., Information Requirements, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 213.

<sup>399</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32011L0083> 26.04.2014.

<sup>400</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, ობ., 2010, 70.

<sup>401</sup> Case C-49/11, Content Services Ltd v. Bundesarbeitskammer.

<sup>402</sup> Twigg-Flesner CH., Information Disclosure about the Quality of Goods – Duty or Encouragement? in Howells G., Schulze R., (eds.) Information Rights and Obligations: a Challenge for Party Autonomy and Transactional Fairness, Aldershot: Ashgate, 2004, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1345009](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1345009)>, [13.06.2014], 11.

რომელთანაც იდება ხელშეკრულება. თანაბარმნიშვნელოვანია მომხმარებლის ფსიქოლოგიური განწყობა, პიროვნული აღქმადობის დონე, ვითარება, რომელშიც იდება ხელშეკრულება ან ყველა დასახელებული ფაქტორი ერთად.<sup>403</sup>

ამის გამოძახილია, რომ მომხმარებლებისათვის მისაწოდებელი ინფორმაციის მიმართ წაყენებული მოთხოვნები ბოლო ათწლეულების განმავლობაში გაცილებით გაიზარდა და დეტალიზებული გახდა. ამას ხელი შეუწყო ევროპავშირის ინიციატივით განხორციელებულმა ბოლოდროინდელმა რეფორმებმაც. ახალი დირექტივის ერთ-ერთი ქვაკუთხედია ინფორმირებული მომხმარებლის საერთო კონცეფციის შემუშავება და მისი ერთგვაროვანი დანერგვა ყველა წევრი სახელმწიფოსათვის.<sup>404</sup> ეს იმას ნიშნავს, რომ მეწარმეებს, მთელი ევროპავშირის მასშტაბით, ერთნაირი მოთხოვნები წაეყენებათ მისაწოდებელ ინფორმაციაზე. საკითხის ამგვარი მოწესრიგება გამართლებულად უნდა ჩაითვალოს როგორც მეწარმეთა ვალდებულებების სიცხადისათვის, ასევე მომხმარებელთა ინფორმირების საერთო მოთხოვნების დამკვიდრებისათვის.

თავის მხრივ, ერთგვაროვანი რეგულირების მიღწევის მიზნით, მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას იმპერატიული ნორმები უზრუნველყოფს. ამგვარი მოდელი წარმოშობს მომხმარებლის ინტერესის დაცვის ლეგიტიმურ მოლოდინს და ხელს უწყობს ბაზარზე მის გააქტიურებას. ამასთან, ინფორმაციის მიწოდებასთან დაკავშირებული ნორმები დამატებით კომფორტს უქმნიან მომხმარებლებს და ზოგიერთ შემთხვევებში წინდაუხედავი მოქმედების შესაძლებლობასაც აძლევენ. იგარაუდება, რომ ინფორმაციის ნაკლებობა მომხმარებელს არათანაბარ პირობებში აყენებს მეწარმესთან ურთიერთობისას და საქონლის თუ მომსახურების მიმღები პირის სახელშეკრულებო თავისუფლებასაც არყევს.<sup>405</sup> სწორედ მონაწილეთა სპეციფიკურობის გათვალისწინებით არის გამოწვეული ის, რომ სახელშეკრულებო სამართალში დამკვიდრებული ინფორმაციის მიწოდების ზოგადი ვალდებულებისაგან განსხვავებით, მომხმარებლის მონაწილეობით დადგებულ ხელშეკრულებებში მისაწოდებელი ინფორმაციის ვალდებულება და მისი შინაარსი ცალკე არის მოწესრიგებული.<sup>406</sup>

თუმცა, ეს არ არის ერთადერთი შემთხვევა, სადაც თავს იჩენს ინფორმაციული ნაკლი. შეცდომით დადებული გარიგების მარეგულირებელი ნორმები ისევე, როგორც ინფორმაციის განზრას გაუმჯდავნებლობა

<sup>403</sup> Nordhausen Scholes A., Information Requirements, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 213.

<sup>404</sup> WRBKA S., The Proposal for an Optional Common European Sales Law: A Step in the Right Direction for Consumer Protection?, EUIJ-Kyushu Review Issue 1-2011,

90.<http://euijreview.kyudai.info/downloads/EUIJKR-1-3-2011.pdf> [10.12.2015].

<sup>405</sup> Bussani M., Werro F., European Private Law: A Handbook, C. Sieburgh, Western Law of Contract, Stampfli Publishers Ltd. Berne, 2009, 174.

<sup>406</sup> Dauner-Lieb B., A Special Private Law for B2C? Silver Bullet or Blind Alley?, New Features in Contract Law, Schulze R., European Law Publishers, Sellier, Munchen, 2007, 114.

(მოტყუება) შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინფორმაციული დისბალანსის დაძლევის მცდელობა უფრო ზოგად დონეზე. გარდა ამისა, ბოლო ათწლეულების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაფართოვდა ინფორმაციის დიფერენციაციისა „culpa in contrahendo“-ს<sup>407</sup> ქვეშ, რაც გამოვეული იყო წინასახელშეკრულებო ეტაპზე აეთილსინდისიერების პრინციპის შენარჩუნებისა თუ გათვალისწინების სავალდებულოობით. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ცვლილება, რომელიც გამოიწვია ამ განვითარებამ, არის მომხმარებელზე ორიენტირებული ინფორმირების გალდებულების ინტელექტუალური კოორდინაცია.<sup>408</sup>

საგულისხმოა, რომ ხელშეკრულების საგნის თუ პირობების შესახებ არასრული ინფორმაციის მიწოდების ალბათობა ეწინააღმდეგება საბაზრო პოლიტიკის უზოგადეს პრინციპებსაც. ინფორმაციული უპირატესობა მიმწოდებელს, თავისი ინტერესებიდან გამოდინარე, ხელშეკრულების პირობების განსაზღვრის შესაძლებლობას აძლევს და, შესაბამისად, ასეთ ურთიერთობებში მომხმარებელს „სუსტ“ მხარედ აქცევს.<sup>409</sup> აქედან გამოდინარე, მომხმარებელთა დაცვა, მითუმებელს ინფორმაციის მიწოდების კონტექსტში, გულისხმობს მათი ხელშეკრულების სრულუფლებიან მხარეებად უოფნის უფლების უზრუნველყოფასაც.<sup>410</sup> აქ მეწარმეთა სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის აუცილებლობა გამოდინარეობს მომხმარებელთა სტრუქტურული არასრულყოფილებიდან, რაც სწორედ ინფორმაციულ უთანასწორობაში ვლინდება.<sup>411</sup> თავის მხრივ, ინფორმაციის შესაბამისობა გავლენას ახდენს არა მხოლოდ მომხმარებლებზე, არამედ ამ საკითხის სამართლებრივ მოწესრიგებაზეც.

ამიტომაც რიგ შემთხვევებში აუცილებელი ხდება სახელმწიფოს მხრიდან პირდაპირი ჩარევა. აქ კერძო სამართლებრივი ნორმების შეზღუდვის ერთ-ერთი საფუძველია მომხმარებელთა ქცევის წესების სამართლებრივი კოორდინირება, მეწარმესთან ურთიერთობისას საბაზრო თანასწორობის შენარჩუნება, წარმოების განვითარების ხელშეწყობა და ინოვაციური კომერციის მხარდაჭერა. ამასთან, სახელმწიფოს ჩარევის სიმძაფრე ხშირ შემთხვევებში სცდება მხოლოდ შეცდომაში შემყვანი

<sup>407</sup> ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მხარეთა მოლაპრაკების წინასახელშეკრულებო ეტაპზე. „culpa in contrahendo“-ს დოქტრინის ჩამოყალიბება უკავშირდება იერინგის სახელს, რომელიც წინასახელშეკრულებო ეტაპზე კონტრაქტისათვის მცდარი ინფორმაციის მიწოდებას განიხილავდა ზიანის გარიგების ბათილად ცნობისა და ზიანის ანაზღაურების წინაპირობად. შეად., Kessel F., Fibre E., Culpa in Contrahendo, Bargaining in Good Faith and Freedom of Contract: A Comparative Study, HeinOnline, Harvard Law Review, Vol., 77, N., 3, 1964, 401-403.

<sup>408</sup> Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 212.

<sup>409</sup> Twigg-Flesner Ch. and Schulze R., Protection Rational Choice: Information and the Right of Withdrawal, Handbook of Research on International Consumer Law, Published by Edward Elgar Publishing Limited, Cheltenham, UK, 2011, 132.

<sup>410</sup> Dauner-Lieb B., A Special Private Law for B2C? Silver Bullet or Blind Alley?, New Features in Contract Law, Schulze R., European Law Publishers, Sellier, Munchen, 2007, 112.

<sup>411</sup> Tschernert E. M., Can Behavioral Research Advance mandatory Law, Information Duties, Standard Terms and Withdrawal Rights?, Austrian Law Journal, 1/2014, 148.

რეკლამის რეგულირებას. მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, სახელმწიფო აწესებს ისეთ რეგულაციებს, როგორიცაა ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, კონტრაქტირების იძულება, ხელშეკრულების უარყოფის უფლება, ხელშეკრულების შინაარსის კონტროლი.<sup>412</sup> კეთილსინდისიერად მოქმედების პრინციპი, სამომხმარებლო ხელშეკრულებებში დეტალიზირებულია. კანონმდებელი ზედმიწევნით განსაზღვრავს მომხმარებლისათვის ხელშეკრულების დადების წინა ეტაპზე მისაწოდებელი ინფორმაციის შინაარსს, რომელთა შორის ერთ-ერთი ხელშეკრულების უარყოფის თაობაზე გონივრული ინფორმირებაა.<sup>413</sup>

ამასთან, ინფორმირების ვალდებულების დაწესება სამართლებრივი ჩარევის ყველაზე რბილ ფორმად მიიჩნევა. იგი არ ერევა *pacta sunt servanda* პრინციპში, მაგრამ ცდილობს, უზრუნველყოს ხელშეკრულების დადებაზე ორივე მხარისათვის მყარი საფუძველი. ინფორმირების ვალდებულება, ფაქტობრივად, აძლიერებს *pacta sunt servanda* პრინციპს. ეს ვალდებულება, როგორც წესი, უკავშირდება ისეთ ხელშეკრულებებს, სადაც აშკარაა ინფორმაციული დეფიციტი, განსაკუთრებით, თუ ერთი მხარე მომხმარებელი, ხოლო მეორე მეწარმეა. მეწარმეთა უპირატესობა მედავნდება ურთიერთობის სხვადასხვა ასპექტში. ერთ შემთხვევაში ეს არის კომპლექსური სახელშეკრულებო პირობები, სხვა შემთხვევაში - საეციალური ტექნოლოგიების გამოყენება და მათთან დაკავშირებული რისკები, მაგალითად, საქონლის დათვალიერების შეუძლებლობა და ა.შ. ჩამოთვლილი გარემოებები და ბევრი სხვა რამ ასეთ ხელშეკრულებებს ინფორმაციულად დახურული ტიპის ხელშეკრულებებად აქცევს და დაბლა სწევს მათი გამჭვირვალობის დონეს.<sup>414</sup>

ინფორმაცია, მომხმარებელს აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს თავისუფალი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება. ამავდროულად, უამრავი ადამიანი მდგრადია ზემოქმედების ნებისმიერი ფორმის მიმართ. ისინი უბრალოდ არ კითხულობენ მოცულობით სტანდარტულ საქმიან დოკუმენტებს. ამიტომაც, სავალდებულო ინფორმაციის მოცულობა ვერ ჩაითვლება სამაგალითო გამჭვირვალობის მაჩვენებლად. გადაჭარბებული ინფორმაციის მიწოდებას იგივე ეფექტის გამოწვევა შეუძლია, როგორიც ინფორმაციის მიუწოდებლობას.<sup>415</sup>

<sup>412</sup> Howells G., Ramsay I., and Wilhelmsson Th., Consumer Law in its International dimension, Handbook of Research on International Consumer Law, Published by Edward Elgar Publishing Limited, Cheltenham, UK, 2011, 2.

<sup>413</sup> Twigg-Flesner Ch., Metcalfe D., The proposed Consumer Rights Directive – Less Haste, More Thought? European Review of Contract Law, 2009, SSRN<:http://ssrn.com/abstract=1345783>[20.01.2015] 9.

<sup>414</sup> Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 212.

<sup>415</sup> Zimmermann R., The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005, 212; Howells G., Schulze R., Overview of the Proposed Consumer Rights Directive, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 12-15.

მეწარმის მიერ მიწოდებული ადექვატური ინფორმაციის საფუძველზე, მომხმარებელს უნდა შეეძლოს გააზრებულად და წინდასედულად მიიღოს გადაწყვეტილება.<sup>416</sup> ამიტომაც, თანამედროვე სამომხმარებლო სამართალში ე.წ. ინფორმირებული მომხმარებლის მოდელი დომინირებს.<sup>417</sup> მომხმარებელთა კეთილდღეობის იდეამ, ბაზარზე არსებულ შეთავაზებებთან კომბინაციაში, დაამკვიდრა რეგულირების ახალი მექანიზმი, რომელიც იცავს მომხმარებლის არჩევანის თავისუფლებას და უზრუნველყოფს მომხმარებელთა სრულ ინფორმირებას მისაწოდებელი საქონლისა და გასაწევი მომსახურების შესახებ. ასეთ პირობებში მომხმარებელი, ერთი მხრივ, დაცულია კონკურენციის არსებობით, ხოლო მეორე მხრივ, ადექვატური ინფორმაცია და ბაზრის გამჭვირვალობა მნიშვნელოვანი წინაპირობაა სახელშეკრულებო თავისუფლებისა და საბაზრო მექანიზმის ეფექტური ფუნქციონირებისათვის.<sup>418</sup>

მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს მნიშვნელოვანი საფრთხე იმისა, რომ არჩევანის გაკეთებისას მომხმარებელი მოექცევა მისი ნების ფორმირებაზე არაკეთილსინდისიერი ზეგავლენის ქვეშ. უპირველეს ყოვლისა, ეს აიხსნება სამომხმარებლო ბაზრისათვის დამახასიათებელი ინფორმაციის არასაკმარისობით. გასათვალისწინებელია, რომ თანამედროვე მომხმარებლებს თავიანთი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება მნიშვნელოვანი კონკურენციის პირობებში უწევთ - დღითიდღე იზრდება საქონლისა და მწარმოებლის რაოდენობა, მეტიც - ბაზარზე ჩნდება ახალი პროდუქცია, რომელიც წარმოდგენილია სულ უფრო გართულებული ფორმით და აძლევებს მომხმარებლებისათვის სწორი არჩევანის გაკეთებას. თავის მხრივ, მიმწოდებლები უამრავ განსხვავებულ მეთოდებს იყენებენ საქონლის რეალიზებისათვის. ამის თვალსაჩინო მაგალითია ელექტრონული კომერცია, რომელმაც უახლოეს წარსულში ახალი პირობები შექმნა და სავაჭრო ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დააყენა.

ინფორმაციაზე მომხმარებელთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მიზანშეწონილია რამდენიმე საფუძვლით. უპირველეს ყოვლისა, ადექვატურად ინფორმირებული მომხმარებელი უკეთ არის შეიარაღებული რაციონალური გადაწყვეტილების მისაღებად. სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდების პირობებში მინიმუმამდეა დაყვანილი მისი შინაგანი ნების შეუსაბამობა მიღებულ გადაწყვეტილებასთან.<sup>419</sup>

<sup>416</sup> Nordhausen Scholes A., Information Requirements, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 214; Tscherner E. M., Can Behavioral Research Advance mandatory Law, Information Duties, Standard Terms and Withdrawal Rights?, Austrian Law Journal, 1/2014, 149.

<sup>417</sup> Micklitz H.-W., The Target Full Harmonization Approach” Looking Behind Curtain, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, ELP, Munich, 2009, 77.

<sup>418</sup> Dauner-Lieb B., A Special Private Law for B2C? Silver Bullet or Blind Alley?, New Features in Contract Law, Schulze R., European Law Publishers, Sellier, Munchen, 2007, 111.

<sup>419</sup> Twigg-Flesner Ch. and Schulze R., Protection Rational Choice: Information and the Right of Withdrawal, Handbook of Research on International Consumer Law, Published by Edward Elgar Publishing Limited, Cheltenham, UK, 2011, 134

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა მხოლოდ ზოგად სამართლებრივ საფუძვლებს იძლევა მომხმარებელთა უფლებების დაცვად, ხოლო ისეთი სპეციფიკური ურთიერთობები, როგორიცაა არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციურად დადგებული ხელშეკრულებები, ჯერჯერობით სრულფასოვანი რეგულირების გარეშეა დატოვებული. ამ კუთხით, საქართველოში არსებული პრაქტიკა არ შეესაბამება ეკროკავშირის დირექტივებით გათვალისწინებულ მომხმარებელთა უფლებების დაცვის სტანდარტებს.

„მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის გაუქმების შემდეგ მისი ფუნქცია ახალმა კანონმა შეითავსა, თუმცა მხოლოდ ნაწილობრივ,<sup>420</sup> კერძოდ, პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი ადგენს მხოლოდ ზოგად მოთხოვნებს პროდუქტის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასთან დაკავშირებით,<sup>421</sup> კერძოდ, კოდექსი მწარმოებელს/დისტრიბუტორს ავალდებულებს მომხმარებელს მიაწოდოს აუცილებელი, უტყუარი და სრული ინფორმაცია პროდუქტის შესახებ, რაც მას სწორი არჩევნის შესაძლებლობას მისცემს. აღნიშნული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს პროდუქტის დასახელებასა და სახეს, პროდუქტის დამამზადებლის საფირმო სახელწოდებას, იმ ქვეყნის დასახელებას, რომელშიც დამზადებულია პროდუქტი და სხვა. აღნიშნული მოთხოვნები ვრცელდება პროდუქტის შეფუთვაზე და არა ვებ-გვერდზე განთავსებული პროდუქტის შემთხვევაში ვებ-გვერდზე მისათითებელ ინფორმაციაზე, შესაბამისად, იგი ვერ უზრუნველყოფს მომხმარებლის ფუნდამენტური უფლების – ინფორმაციის მიღების უფლების განხორციელების სტანდარტს ელექტრონული ვაჭრობის სამყაროში.

პარალელურად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსიც შეიცავს დათქმებს ინფორმაციის მიწოდების შესახებ, მაგრამ ასეთი დებულებები არ არის კონკრეტულად მომხმარებელზე მიმართული. ამის საიდუსტრიაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ შეცილების უფლება შეცდომით დადგებული გარიგების შემთხვევაში.<sup>422</sup> თუ ნების გამოვლენის საფუძველი არსებითი შეცდომაა – მაგალითად, პროდუქტის შესახებ ინფორმაცია არ არის სრულყოფილი და მომხმარებელი არსებითი შეცდომის საფუძველზე ყიდულობს ისეთ პროდუქტს, რომელსაც იგი არ შეიძლება რომ ჰქონდა სრულყოფილი და სწორი ინფორმაცია მის თაობაზე. ასეთ შემთხვევაში მას შეუძლია გარიგება საცილო გახადოს შეცილების საფუძვლის შეტყობის მომენტიდან ერთი თვის ვადაში. ამასთან, უმეტეს შემთხვევაში, გამყიდველს

<sup>420</sup> ბზეალავა კ., მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, დ. გეგენავას საერთო რედაქციით, თბ., 2013, 66.

<sup>421</sup> საქართველოს კანონი „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“, სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 25/05/2012.

<sup>422</sup> Jansen N. and Zimmermann R., Contract Formation and Mistake in European Contract Law: A Genetic Comparison of Transnational Model Rules, Oxford Journal of Legal Studies Advance Access published September 20, 2011, 32-34;

არ აქვს გალდებულება, უკმაყოფილო შემძენისაგან გაყიდული საქონელი უკან დაიბრუნოს ან სხვა ნივთით შეცვალოს, თუ ეს პირდაპირ არ არის გათვალისწინებული კანონმდებლობით.<sup>423</sup> ცხადია, რომ მომხმარებელი დაუცველია შეცილების ერთოვიანი ვადის გამოც მაშინ, როდესაც ხელშეკრულებიდან უარყოფის უფლების შესახებ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევისათვის ევროკავშირის დირექტივები მომხმარებელს ხელშეკრულების უარყოფის უფლებას 1 წლის განმავლობაში ანიჭებენ.<sup>424</sup>

გარკვეულწილად, მომხმარებლის დაცვის საფუძვლად შეგვიძლია მივიჩნიოთ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი გამყიდველისა და მენარდის ვალდებულება უნაკლო ნივთის გადაცემის თაობაზე. თუმცა, ამ გზით უფლების დაცვა დაკავშირებულია ხანგრძლივ პროცედურებთან მაშინ, როცა მომხმარებელთა უფლებებზე მორგებული ევროპული რეჟიმები ხარვეზიანი ურთიერთობების სწრაფი მოგვარების გზებს იძლევა. შეიძლება ითქვას, რომ მომხმარებელთა ინფორმირებულობის ქართული სტანდარტი გარკვეულ კორექტირებას საჭიროებს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა უარყოფის უფლებასთან დაკავშირებით. ამიტომაც ეს საკითხი სათანადო ყურადღებას იმსახურებს.

#### **6.2.1. მომხმარებლებისათვის მისაწოდებელი ინფორმაციისადმი წაყენებული მოთხოვნები**

რაციონალურ არჩევანზე მსჯელობისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, რა სახის ინფორმაციაზეა საუბარი. პირველ რიგში, ეს არის ინფორმაცია იმ საქონლისა და მომხმარებების შესახებ, რომელიც დაშვებულია ბაზარზე, თავისუფალი მიმოქცევის ობიექტია და შეესაბამება უსაფრთხოების სტანდარტებს. მეორე - მომხმარებელმა უნდა იცოდეს, ვისთან აქვს საქმე. ამ თვალსაზრისით, ინფორმაციას მწარმოებლის ვინაობის, რეპუტაციისა და სანდოობის შესახებ, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. მესამე - მომხმარებელი ზედმიწევნით უნდა იყოს ინფორმირებული ხელშეკრულების პირობების შესახებ და, ბოლოს, გარკვეული ტიპის ხელშეკრულებები ექვემდებარება სპეციალურ სამართლებრივ რეგულირებას, სადაც მომხმარებელს ეძლევა დამატებითი უფლებები მიმწოდებლის წინააღმდეგ. აქ, ძირითადად, იგულისხმება დისტანციურად და არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებები და მათი უარყოფის უფლება.<sup>425</sup>

<sup>423</sup> Ben-Shahar O., Posner E. A., The Right to Withdraw in Contract Law, Journal of Legal Studies, Vol., 40 January 2011, <<http://www.jstor.org/stable/10.1086/658403>>, [23.05.2013], 115.

<sup>424</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011.

<sup>425</sup> Twigg-Flesner Ch. and Schulze R., Protection Rational Choice: Information and the Right of Withdrawal, Handbook of Research on International Consumer Law, Published by Edward Elgar Publishing Limited, Cheltenham, UK, 2011, 131.

აღნიშნული კლასიფიკაციის საფუძველზე, თანამედროვე ბაზარზე არსებულ ინფორმაციულ დისტალანსთან გასამკლავებლად, სამომხმარებლო სამართლის მარეგულირებელი ნორმებით დამკვიდრდა ორი ძირითადი რეგულირება: პირველი ეხება წინა სახელშეკრულებო ეტაპზე მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. მეორე კი გულისხმობის მომხმარებელთა უზრუნველყოფას დამატებითი გარანტიებით. სელშეკრულების უარყოფის უფლება აერთიანებს ორივე მათგანს. ერთი მხრივ, იგი თავად წარმოადგენს დამატებით გარანტიას, ხოლო, მეორე მხრივ, არის წინასახელშეკრულო ეტაპზე მისაწოდებელი ინფორმაციის განუყოფელი ნაწილი.

### **6.2.2. მომხმარებლის ინფორმირება სელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ**

მომხმარებლისათვის „გადაფიქრების“ უფლების მინიჭების უკან ორი ძირითადი მოტივი დგას. ორივე მათგანი ეფუძნება იმ აზრს, რომ მომხმარებელი სუსტი, გამოუცდელი, დაუცველი პირია და მას სჭირდება მყარი გარანტიები გაწაფულ მეწარმესთან ურთიერთობის დამყარებისას. პირველი დაცვითი ფუნქცია მიმართულია მეწარმეთა ფსიქოლოგიური ზეწოლისაგან, ხოლო მეორე არასათანადო ინფორმაციის მიწოდებით გამოწვეული უარყოფითი შედეგებისაგან, მომხმარებელთა დასაცავად.<sup>426</sup> გარდა ამისა სელშეკრულების უარყოფის უფლება იცავს მომხმარებლებს მათივე ირაციონალური გადაწყვეტილებებისაგან და უიდელო არჩევანისაგან.<sup>427</sup>

### **6.2.3. ინფორმაციის გამედავნება და გამჭვირვალობა**

ინტერნეტ-სივრცის გლობალიზაციის ფონზე, ინფორმაციის მოცულობა ზოგჯერ დამრთვუნველია მომხმარებლებისათვის. სელშეკრულების დადგებაზე გადაწყვეტილების მიღებას ხშირად აფერხებს არა მხოლოდ ემოციური განწყობა ან საქონლის ხარისხის შემოწმების შეუძლებლობა, არამედ ინფორმაციისადმი უკიდეგანო წვდომაც და მისი მრავალფეროვნებაც.<sup>428</sup> საქონლისა და მწარმოებლის შესახებ საჭირო ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის მაგივრად, მომხმარებელი, როგორც წესი, გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ რამდენიმე, ყველაზე მარტივად გასაგებ მონაცემებზე დაყრდნობით. იმ ინფორმაციის მოცულობა და შინაარსი, რომელიც მომხმარებელთა ინტერესის სფეროში ექცევა, დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, როგორიცაა მათი შემცნებითი აღქმის დონე, ჩართულობის ხარისხი, სელშეკრულების დირებულება და რისკების

<sup>426</sup> იქვე, 9.

<sup>427</sup> იქვე.

<sup>428</sup> Nimmer R. T., The Legal Landscape of E-commerce: Redefining Contract Law in an Information Era, Journal of Contract Law Conference, “Contract and the Commercialization of Intellectual Property”, Singapore Academy of Law and Singapore Management University, 2006, 6.

ანალიზის უნარი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მომხმარებლის მიერ შეგროვებული და გადამუშავებული ინფორმაციის ხარისხი გაცილებით დაბალია, ვიდრე მეწარმის მიერ შეგროვებული და გადამუშავებული ინფორმაციისა, რაც იწვევს კიდევაც მათ შორის ინფორმაციულ დისტანციას.<sup>429</sup>

დასახელებული ფაქტორებიდან გამომდინარე, ერთმანეთისაგან განასხვავებენ ინფორმაციის გამედავნების ზოგად ვალდებულებასა და გამჭვირვალე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას.<sup>430</sup> ამ უკანასკნელთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია გამჭვირვალობა ხელშეკრულების მეორე მხარესთან, ვინაიდან, გამედავნების ვალდებულება ემყარება იმ ვარაუდს, რომ მიმწოდებელი ფლობს ინფორმაციას, რომელიც მას აყენებს უპირატეს მდგომარეობაში მომხმარებელთან შედარებით. საგულისხმოა, რომ მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი უახლესი დირექტივა<sup>431</sup> ერთიან კონტექსტში განიხილავს ინფორმირებულობასა და გამჭვირვალობას და ამკვიდრებს ახალ ცნებას „გამჭვირვალე ინფორმაცია“. დირექტივა არა მხოლოდ ავალდებულებს მეწარმეს, მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია, არამედ იქვე აკონკრეტებს, რომ ეს ინფორმაცია უნდა იყოს არაორაზროვანი და გასაგები ენით გადმოცემული.<sup>432</sup>

ამ გაგებით, ინფორმაცია და მისი გამჭვირვალობა განსხვავებული ცნებებია. პირველი ეხება მისაწოდებელი ინფორმაციის რაოდენობას, ხოლო მეორე - მიწოდებული ინფორმაციის ხარისხს. მაგალითისათვის, მეწარმეს, გამედავნების ვალდებულების შესაბამისად შეუძლია მიაწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია მწარმოებლის, საქონლის ძირითადი მახასიათებლების, გადასახადებისა და ა.შ. შესახებ. ამასთან, მეწარმეს შეუძლია ეს ინფორმაცია ისე მიაწოდოს მომხმარებელს, რომ მისი შინაარსი გაუგებარი ან არასრულად მოცემული იყოს. ამდენად, გამედავნების ვალდებულება გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას, ხოლო გამჭვირვალობა გულისხმობს ინფორმაციის მიწოდებას იმდაგვარად, რომ იგი მარტივად გასაგები იყოს საშუალო მომხმარებლისათვის.<sup>433</sup>

<sup>429</sup> *Luzak J.A., To Withdraw or not To Withdraw? Evaluations of the Mandatory Right of Withdrawal in Consumer Distance Selling Contracts Taking into Account its Behavioral Effects on Consumer, Amsterdam Law School Legal Research Paper No. 2013-21, Centre for the Study of European Contract Law Working Paper No. 2013-04, 13,<http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\_id=2243645> [20.01.2015].*

<sup>430</sup> *Bar-Gill O., Ben-Shahar O., Regulatory Techniques in Consumer Protection: A Critique of European Consumer Contract Law, New York University Law and Economics Working Papers, 2012, 12-13.*

<sup>431</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Official Journal of the European Union, L 304/64, 22.11.2011,<http://eur-lex.europa.eu/LexUriServ/LexUriServ.do?uri=OJ:L:2011:304:0064:0088:en:PDF>, [10.10.2014].

<sup>432</sup> *Campagna M.F. Transparent Consumer Information In Directive 2011/83/EU, The Columbia Journal of European Law, Vol., 19, 2012, 38, <http://www.cjel.net/online/transparent-consumer-information-in-directive-2011/83/eu/>[22.09.2014].*

<sup>433</sup> ვ.33.

იმისათვის, რომ ინფორმაცია ჩაითვალოს გამჭვირვალედ, იგი უნდა იყოს გადმოცემული არაორაზროვნად, მარტივი და გასაგები შინაარსით; 2) წინადადებები, რომლებიც გადმოსცემენ ინფორმაციას, უნდა შედგებოდეს წინასწარ კარგად მოფიქრებული ტექსტისაგან; 3) რაც შეიძლება, ნაკლებად უნდა იყოს გამოყენებული სპეციალური ტერმინოლოგია. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ ინფორმაცია იმგვარად უნდა გადმოიცეს, რომ იგი გასაგები იყოს საშუალო დონის მომხმარებლისათვის. ინფორმაციის მიღების შემდეგ მას უნდა შეეძლოს ინფორმირებული არჩევანის გაკეთება. მეტიც, იმის გადაწყვეტა, ისარგებლოს თუ არა ხელშეკრულების უფლებით.<sup>434</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირდაპირი რეგულირების გარეთ დარჩა უშუალოდ მისაწოდებელი ინფორმაციის ენობრივი საკითხი. კერძოდ, რომელ ენაზე უნდა მიეწოდოს მომხმარებელს ინფორმაცია. ეს საკითხი ნაკლებად პრობლემატურია, თუ საქმე ეხება ერთი სახელმწიფოს ფარგლებში დადებულ სამომხმარებლო ხელშეკრულებას, მაგრამ როცა საქმე ეხება ტრანსსასაზღვრო სახელშეკრულებო ურთიერთობებს, არ არის გამორიცხული, რომ სადავო გახდეს.<sup>435</sup> მაგალითად, პოლანდიულმა კანონმდებელმა 2011/83 დირექტივის ეროვნულ სამართალში იმპლემენტაციისას, გადაწყვიტა, არ შემოეღო დამატებითი ენობრივი მოთხოვნები წინასახელშეკრულებო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასთან დაკავშირებით. ეს გულისხმობს, რომ, როცა ხელშეკრულება დაიდება პოლანდიულ მომხმარებელსა და იტალიულ მეწარმეს შორის, მომხმარებელს ინფორმაციას მიაწოდებენ იტალიურად. რა თქმა უნდა, ეს შეიძლება განვიხილოთ ინფორმაციული დისტალანსის ერთ-ერთ გამოვლინებად, თუმცა პოლანდიული კანონმდებლის გაგებით, ამგვარი ვითარება სრულად შეესაბამება ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპს. მეწარმე თვითონაა უფლებამოსილი განსაზღვროს, თუ რა ენაზე შესთავაზებს თავის საქონელს მომხმარებლებს და, შესაბამისად, მომხმარებელს შეუძლია ხელშეკრულების ენის არჩევის მიხედვით გადაწყვიტოს, დადებს თუ არა ხელშეკრულებას. მეორე მხრივ, როცა ინფორმაცია უზრუნველყოფილია სხვა ენაზე, ვიდრე მომხმარებლის მშობლიური ენაა, ეს უფრო გამჭვირვალობის პრინციპის დარღვევაა და შეიძლება ჩაითვალოს არაკეთილსინდისიერ კომერციულ პრაქტიკად, თუ საშუალო დონის მომხმარებელს შესაძლოა მიეღო სხვა გადაწყვეტილება

<sup>434</sup> Loos M., The Case for Uniformed and Efficient Right of Withdrawal from Consumer Contracts in European Contract Law, Published in Zeitschrift Fur Europaisches Privatrecht, 2007, 17; Consultation on the implementation of Consumer Rights Directive 2011/83/EU, 2.12.2013. Twigg-Flesner CH., Pre-Contractual Duties – from the Acquis to the Common Frame of Reference, ed., Schulze R., CFR and Existing EC Contract Law, Sellier ELP, Munich, 2008, 116-117.

<sup>435</sup> Nordhausen Scholes A., Information Requirements, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law publishers, Munich, 2009, 221, Loos M., The Case for Uniformed and Efficient Right of Withdrawal from Consumer Contracts in European Contract Law, Published in Zeitschrift Fur Europaisches Privatrecht, 2007, 17-18.

ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით, ინფორმაცია მისთვის სასურველ ენაზე, რომ მიეღო.<sup>436</sup>

თუმცა, ენობრივი საკითხის რეგულირების მიღმა დატოვებას თავისი გამართლება აქვს. მეწარმეს არ მოეთხოვება ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადამოწმოს მომხმარებლის შემეცნების დონე და, მით უფრო, მისი ენების ცოდნის საკითხი. ენობრივი აღქმის პრობლემა შეიძლება წარმოშვას არა მხოლოდ ტრანსსასაზღვრო ურთიერთობებში, არამედ სახელმწიფოს შიგნითაც. მაგალითად, მომხმარებელი შეიძლება იყოს ემიგრანტი, რომელიც სრულყოფილად არ ფლობს შესაბამისი სახელმწიფოს ოფიციალურ ენას და ამიტომ არ შეუძლია ხელშეკრულების შინაარსის სრულყოფილად გაგება. ეს საკითხი უფრო მომხმარებლის რისკის სფეროა, ვიდრე მეწარმის პასუხისმგებლობისა.<sup>437</sup>

ამის საპირისპიროდ, თუ აღმოჩნდა, რომ ინფორმაცია არ არის სრულად მიწოდებული და მომხმარებელი მიიღებდა სხვა გადაწყვეტილებას, ეს რომ სცოდნოდა, ასეთი შემთხვევა უნდა განიხილებოდეს შეცდომაში შემყვან კომერციულ პრაქტიკად. საგულისხმოა, რომ პოლანდიელი კანონმდებლის განმარტებით, თუ ინფორმაცია, რომელიც არ მიეწოდა მომხმარებელს მისთვის გასაგებ ენაზე, ეხებოდა ხელშეკრულების უარყოფის უფლებას, მას შეუძლია გააკეთოს არჩევანი შეცდომაში შეყვანის მოტივით ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე, თუ დაამტკიცებს, რომ მიიღებდა განსხვავებულ გადაწყვეტილებას ხელშეკრულების დადებასთან დაკავშირებით, მისთვის სრულად რომ მიეწოდებინათ ინფორმაცია და მეორე, შეუძლია ისარგებლოს ხელშეკრულების უარყოფის უფლებით გაფართოებულ ვადაში. კანონმდებელმა ასევე მიუთითა, რომ იქ, სადაც მეწარმე არღვევს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, რომელიც არ იყო სპეციალურად სანქცირებული მომხმარებელთა უფლებების შესახებ დირექტივით, მომხმარებელს შეუძლია გამოიყენოს ზიანის ანაზღაურების ზოგადი წესი.<sup>438</sup>

<sup>436</sup>Loos B.M., Consumers Sales in The Netherlands After Implementation of the Consumer Rights Directive and with a View to the Future Common European Sales Law, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2014-53, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2014-12, University van Amsterdam, The Netherlands,<[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2506048](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2506048)> [20.01.2015] 3; Nordhausen Scholes A., Information Requirements, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law publishers, Munich, 2009, 231.

<sup>437</sup> Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR); Edited by Ch. Von Bar, E. Clive and Hans Schulte-Nölke and others, <[http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-Law\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-Law_en.pdf)>, [14.04.2014], 375, Loos M., The Case for Uniformed and Efficient Right of Withdrawal from Consumer Contracts in European Contract Law, Published in Zeitschrift Fur Europaisches Privatrecht, 2007, 17-18.

<sup>438</sup>Loos B.M., Consumers Sales in The Netherlands after Implementation of the Consumer Rights Directive and with a View to the Future Common European Sales Law, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2014-53, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2014-12, University van Amsterdam, The Netherlands, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2506048](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2506048)> [20.01.2015], 7.

თავის მხრივ, მომხმარებლისათვის მისაწოდებელი ინფორმაციის მოცულობა შეიძლება შემოწმდეს ობიექტურად მაშინ, როცა მისი გამჭვირვალობის ობიექტურობის შემოწმება ყოველთვის შესაძლებელი არ არის. ამიტომაც, როცა კსაუბრობთ საშუალო დონის მომხმარებელზე, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ის საბაზო გარემო, რომელშიც იდება ხელშეკრულება. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, სიცხადე და ადქმადობა არის ინფორმაციის საზომი სტანდარტი და მისი შესაბამისობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მეთოდის გამოყენებით იდება ხელშეკრულება.<sup>439</sup>

ამ მხრივ, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დისტანციურად დადგებულ ხელშეკრულებებში ინფორმაციის მიწოდებისადმი წაყენებულ მოთხოვნებს. დისტანციურად ვაჭრობისას, წინასახელშეკრულებო და სახელშეკრულებო ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიეწოდოს წერილობით ან გრძელვადიანი მატარებლის მეშვეობით.<sup>440</sup> აქ ინტერესს იწვევს ორი საკითხი: 1) როგორია ინფორმაციის მიწოდების ფორმა დისტანციურად დადგებულ ხელშეკრულებებში და 2) რა უნდა ვიგულისხმოთ „მყარ მატარებელში“.

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ „ქონთენტ სერვისის“ საქმეზე<sup>441</sup> განმარტა კანონმდებლის ეს მოთხოვნა, როგორც ონლაინ მოვაჭრე პირის ვალდებულება, მიაწოდოს ინფორმაცია მომხმარებლებს იმის მოლოდინის გარეშე, რომ ისინი თვითონ მოიძიებენ ამ ინფორმაციას ვებგვერდზე. ამიტომაც დადგენილ მოთხოვნებთან შესახებ მეწარმის მიერ თავის ვებგვერდზე მხოლოდ გადამამისამართებელი ბმულების განთავსება, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ინფორმაციის ნახვა გარკვეულ აქტივობას მოითხოვს მომხმარებლისაგან მაშინ, როცა მომხმარებელი პასიური უნდა რჩებოდეს ინფორმაციის მოპოვების თვალსაზრისით. ინფორმაციის მიწოდების ახალი სტანდარტი ავალდებულებს მეწარმეებს არა მხოლოდ

<sup>439</sup> Campagna M.F., Transparent Consumer Information In Directive 2011/83/EU, The Columbia Journal of European Law, Vol., 19, 2012, 38, <<http://www.cjel.net/online/transparent-consumer-information-in-directive-201183eu/>>[22.09.2014].39.

<sup>440</sup> Directive 2011/83/EU.

<sup>441</sup> დისტანციურად ვაჭრობის შესახებ დირექტივა განმარტავს, რომ მომხმარებელს ხელშეკრულების დადებამდე ან უშუალოდ ხელშეკრულების დადების დროს უნდა „მიეწოდოს“ ან „გადავგზავნოს“ აუცილებელი და სრული ინფორმაცია ხელშეკრულების პირობების შესახებ. ამ ჩანაწერზე დაყრდნობით, ავსტრიის მომხმარებელთა დაცვის ორგანიზაციამ სადაცოდ გახადა ის გარემოება, რომ მომსახურების ან/და საქონლის მიმწოდებლის ვებგვერდზე ხელშეკრულების პირობების ატვირთვა ან/და ამ პირობების შესახებ ინფორმაციის მიწოდება მხოლოდ გადამამისამართებელი ბმულით გადასვლის ან დაკლიკების შემდეგ, არ არის დირექტივის შესაბამისი დაცვა და შეიტანა სარჩელი შპს „ქონთენტ სერვისის“ წინააღმდეგ ავსტრიის სასამართლოში. ავსტრიის სასამართლომ მიმართა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებისათვის: მომხმარებლისათვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მხოლოდ მეწარმის ვებგვერდის გადამამისამართებელი ბმულის მეშვეობით შეესაბამება თუ არა დირექტივით გათვალისწინებულ ინფორმირების სტანდარტს. Case C-49/11, Content Services Ltd v. Bundesarbeitskammer.

ინფორმაციის გამუდავნებას, არამედ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასაც. შესაბამისად, დაცვის ქვეშ ექცევა პასიურად მოქმედი მომხმარებელიც.<sup>442</sup>

„ქონთენტ სერვისის“ საქმეზე მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლო დაეყრდნო დისტანციურად ვაჭრობის შესახებ დირექტივის მე-11 განმარტებას, რომლის თანახმად, „დისტანციური კომუნიკაციების წესების გამოყენებამ არ უნდა გამოიწვიოს მომხმარებლისათვის მისაწოდებელი ინფორმაციის შემცირება“. სასამართლომ განმარტა, რომ ვებგვერდზე სავალდებულო ინფორმაციის გახსნა, მხოლოდ მომხმარებლის მიერ გადამამისამართებელ ბმულებზე გადასვლის შედეგ, ეწინააღმდეგება დისტანციურად ვაჭრობის შესახებ დირექტივის მიზნებს. გარდა ამისა, სასამართლომ მიუთითა, რომ თავისი არსით ვებგვერდი არ არის „მყარი მატარებელი“. ვებგვერდის გამოყენებით მომხმარებლისათვის ინფორმაციის მიწოდება არ უზრუნველყოფს იმას, რომ მომხმარებელი იმავე წესითა და მოცულობით მიიღებს ინფორმაციას, როგორსაც, მაგალითად, ფურცელზე ამობეჭდილი ხელშეკრულების ფიზიკურად გადაცემის შემთხვევაში მიიღებდა. ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტებით, ინფორმაციის მატარებელი მყარია, თუ იგი შესაძლებლობას აძლევს მომხმარებელს, პერსონალურად შეინახოს მისთვის განკუთვნილი ინფორმაცია და დაცული იყოს მასში ცვლილებების შეტანისაგან. ასევე გარანტირებული უნდა იყოს ხელშეკრულების პირობების უცვლელი ასლების მიღების შესაძლებლობაც.<sup>443</sup>

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკიდან გამომდინარე, დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში ხელმისაწვდომობის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, გრძელვადიან მატარებელზე ინფორმაციის მიწოდება უნდა ქმნიდეს ისეთივე შესაძლებლობას ამ ინფორმაციისადმი ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, როგორიც წერილობითი დოკუმენტის მიწოდების შემთხვევაში იქნებოდა. ანუ იგი უნდა მოექცეს მიმღების, ამ შემთხვევაში მომხმარებლის, კონტროლის სფეროში. მომხმარებელს უნდა შეეძლოს გრძელვადიან მატარებელზე მიწოდებული ინფორმაციის შენახვა იმდაგვარად, რომ, სურვილის შემთხვევაში, ნებისმიერ დროს პქონდეს მისი გაცნობის შესაძლებლობა. ონლაინ მოვაჭრის ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია, მისი გამჭვირვალობისა და ხელმისაწვდომობის მიუხედავად, რჩება მეწარმის კონტროლის ქვეშ და შეიძლება ნებისმიერ დროს შეიცვალოს. ამიტომაც, თანამედროვე რეგულაციები ონლაინ მოვაჭრეებს ავალდებულებს მიაწოდონ მომხმარებლებს ინფორმაცია დისტანციური კომუნიკაციისათვის დადგენილი წესებით. ამ თვალსაზრისით, ყველაზე ოპტიმალური საშუალება,

<sup>442</sup>Luzak J., Online Consumer Contracts, University of Amsterdam - Centre for the Study of European Contract Law (CSECL); University of Amsterdam - Faculty of Law, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2014-47, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2014-08, ERA Forum, Vol., 15, No. 3, 2014, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2487222##](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2487222##)>, [21.01.2015], 5.

<sup>443</sup> იქნა.

სავარაუდოდ, ისევ ელექტრონული ფოსტის გამოყენებით წარმოებული მიმოწერა იქნება და, შესაბამისად, წინასახლშეკრულებო და სახელშეკრულებო ინფორმაციაც სასურველია, რომ მომხმარებელს მისივე ელექტრონული ფოსტის მეშვეობით მიეწოდოს.<sup>444</sup>

#### 6.2.4. მოთხოვნები, რომლებსაც უნდა პასუხობდეს ინფორმაცია ხელშეკრულების უფლების შესახებ

ხელშეკრულების უარყოფის უფლების დაცვითი ფუნქციის უზრუნველსაყოფად, ამ უფლების თაობაზე მომხმარებლის ინფორმირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. ამასთან, ხელშეკრულებებში, რომლებშიც აქცეპტის უკან გამოთხოვის უფლება იმპერატიულად მოქმედებს, მომხმარებლისათვის მისაწოდებელი ინფორმაცია ორი სახისაა.<sup>445</sup> პირველს მიეკუთვნება ინფორმაცია დასადები ხელშეკრულების საგნის ძირითადი მახასიათებლების შესახებ, რომელიც იდენტურია საქონლისა და მომსახურების შესახებ ინფორმირების ზოგადი ვალდებულებისა. კერძოდ, ვიდრე მომხმარებელი გამოავლენს ნებას ხელშეკრულების დადებაზე, მეწარმემ უნდა უზრუნველყოს გასაგები და ყოვლისმომცველი ინფორმაციის მიწოდება საქონლის ანდა მომსახურების ძირითად მახასიათებლებზე; საქონლის ან მომსახურების მიწოდების ვადებზე; საჩივრის წარდგენის პროცედურებზე; კონკრეტულ შემთხვევაში ხარისხის შესაბამისობის სერტიფიკატზე; გარანტიასა და შემდგომი მომსახურების შესაძლებლობაზე (შეძენილი ნივთის შეცვლა/შეკეთება); კონკრეტულ შემთხვევებში ხელშეკრულების მოქმედების ვადასა და მისი გაგრძელების მექანიზმზე; საქონლის საბოლოო ღირებულებაზე გადასახადების ჩათვლით, შესაძლებლობის შემთხვევაში - გადახდის ხერხებზე, უვადო ხელშეკრულების შემთხვევაში - მისი მოქმედების შეწყვეტის საფუძვლებზე.<sup>446</sup>

მეორე მოთხოვნა, არის ის, რომ მომხმარებლებს თვალსაჩინოდ უნდა მიეწოდოს ინფორმაცია ხელშეკრულების უარყოფის უფლების, მისი რეალიზების პირობებისა და ვადის შესახებ; მეწარმის მაიდენტიფიცირებელი მონაცემების, საქონლის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯების შესახებ; ინფორმაცია ფულადი დეპოზიტებისა

<sup>444</sup> Nordhausen Scholes A., Information Requirements, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law publishers, Munich, 2009, 225-230; Luzak J., Online Consumer Contracts, University of Amsterdam - Centre for the Study of European Contract Law (CSECL); University of Amsterdam - Faculty of Law, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2014-47, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2014-08, ERA Forum, Vol., 15, No. 3, 2014, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2487222##](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2487222##)> [21.01.2015], 6.

<sup>445</sup> Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR), ed., by Von Bar Ch., Clive E., Schulte-Nolke H., and others, Sellier, ELP, Munich, 2009, 293, www. Law-net.eu.

<sup>446</sup> Directive 2011/83/EU; Loos M., The Case for Uniformed and Efficient Right of Withdrawal from Consumer Contracts in European Contract Law, Published in Zeitschrift Fur Europaisches Privatrecht, 2007, 14-18.

და სხვა ფინანსური გარანტიების შესახებ, რაც გადახდილი ან უზრუნველყოფილი უნდა იყოს მეწარმის მოთხოვნის შემთხვევაში. ინფორმაცია იმ პირის შესახებ, რომლის მიმართაც უნდა გაცხადდეს უფლების ორალიზება. აგრეთვე იმ გარემოებებისა თუ ხელშეკრულების საგნის შესახებ, რომლის პირობებშიც არ მოქმედებს ხელშეკრულების უარყოფის უფლება. მაგალითად, ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება მაღლუჭქებად ან სწრაფმოხმარებად ნივთებს ისევე, როგორც მომსახურების შესახებ ხელშეკრულებები, როცა მომსახურება გაიწვა ხელშეკრულების დადებისთანავე.<sup>447</sup>

გარდა ამისა, იმისათვის, რომ უფლებამოსილმა პირმა ისარგებლოს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებით, მას უნდა ეცნობოს იმ პირის მისამართი, რომელთანაც უნდა გაიგზავნოს შეტყობინება ხელშეკრულების უარყოფის შესახებ. „მისამართში“ იგულისხმება საფოსტო მისამართი, რომელზეც გაიგზავნება შეტყობინება ან უმუალოდ შეძენილი ნივთი. ამასთან, თუ, მაგალითად, მეწარმემ მიუთითა კომპანიის სარეგისტრაციო ნომერი, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მაგრამ გამორჩა ტერიტორიული განლაგების ისეთი დეტალები, როგორიცაა ოლქი, ქუჩა ან ქუჩის ნომერი, ინფორმირების ვალდებულება დაცულად არ ჩაითვლება. ან, ვთქვათ, ერთ მხარეს აქვს ხელშეკრულების უარყოფის უფლება, მაგრამ მეორე მხარეს გამორჩება მეწარმის მაიდენტიფიცირებელი ერთ-ერთი, თუნდაც უმნიშვნელო დეტალი, ამ შემთხვევაშიც დარღვეული იქნება გონივრული ინფორმირების სტანდარტი.<sup>448</sup>

ნიშანდობლივია, რომ ინფორმაცია ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ არ გულისხმობს იმას, რომ უფლებამოსილ პირს უნდა მიეთითოს უფლების ორალიზების ვადის დაწყებისა და დამთავრების კონკრეტული თარიღი. საკმარისი და ადექვატურია, თუ უფლებამოსილ პირს მიეწოდება ინფორმაცია მოსაფიქრებელი ვადის ხანგრძლივობის შესახებ და იმის შესახებ, თუ საიდან დაიწყება ვადის ათვლა. თუმცა, თუ მითითებული ვადა მცდარი აღმოჩნდა ან საერთოდ არაა ნახსენები, ჩიათვლება, რომ დარღვეულია ინფორმირების ფორმატი. მაგალითად, გამყიდველი ატყობინებს მყიდველს ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ, მაგრამ არ აწვდის ინფორმაციას იმის შესახებ, რომ უარყოფის უფლების ორალიზება შეუძლებელი იქნება საქონლის მიღებიდან 14 დღის გასვლის შემდეგ. მომხმარებელს მიეწოდა ინფორმაცია მხოლოდ იმის შესახებ, რომ მას შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე საქონლის გადაცემის შემდეგ.

<sup>447</sup> Directive 2011/83/EU of the European Parliament and of the Council of 25 October on consumer rights; *Terryn E.*, The Right of withdrawal, The Acquis Principles and The DCFR, CFR and Existing EC Contract Law, Sellier, ELP, Munich, 2008, 154; *Loos M.*, The Case for Uniformed and Efficient Right of Withdrawal from Consumer Contracts in European Contract Law, Published in Zeitschrift Fur Europaisches Privatrecht, 2007, 14-18.

<sup>448</sup> Principles of the Existing EC Contract Law (Acquis Principles), Contract I, Pre-contractual Obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007, 178.

ესეც, რა თქმა უნდა, არ ჩაითვლება მომხმარებლის გონივრულ ინფორმირებად.<sup>449</sup>

გარდა ამისა, კონკრეტული ხელშეკრულებების მიმართ მოქმედებს ინფორმირების დამოუკიდებელი სტანდარტი, მისი ფორმის თვალსაზრისით. ასე მაგალითად, არაოფიციალურ ვითარებაში დადგებული ხელშეკრულების შემთხვევაში, მეწარმემ უნდა უზრუნველყოს შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება წერილობითი ფორმით ან სხვა, მომხმარებლისათვის მისაღები ფორმით, მისივე თანხმობით. ინფორმაცია უნდა იქნეს მიწოდებული გასაგები და მარტივი ენით. შესაბამისად, ზეპირი ფორმით ამ უფლებაზე მომხმარებლის ინფორმირება არაოფიციალურ ვითარებაში დადგებული ხელშეკრულების შემთხვევაში არ არის საკმარისი. დისტანციურ ხელშეკრულებებში მოვაჭრე ვალდებულია, მიაწოდოს მომხმარებელს ზემოაღნიშნული ინფორმაცია გასაგები შინაარსით, დისტანციური წესით დამყარებული კომუნიკაციისათვის შესაფერის ფორმაგად. ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც წარმოდგენილი იქნება მყარ მატარებელზე, უნდა იყოს წაკითხვადი და გასაგები მომხმარებლისათვის.<sup>450</sup>

ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციას ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ არ ქონდეს სტანდარტული პირობის სახე. ტექსტი იმდაგვარად უნდა იყოს მოცემული, რომ მომხმარებელს შეეძლოს მისი წაკითხვა და აღქმა. მაგალითად, თუ მხარეს აქვს ხელშეკრულების უარყოფის უფლება, მაგრამ ინფორმაცია, რომელიც სავალდებულოდ მიიჩნევა მოცემულია უამრავი სტანდარტული პირობის სახით, ეს არ ჩაითვლება გონივრულ ინფორმირებად. შესაბამისად, ხელშეკრულების უარყოფისათვის მაქსიმალური ვადა იმოქმედებს. იმ შემთხვევებში, როცა მხარეს ეცნობება ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ, მაგრამ არ განემარტა, რომ იგი უნდა განხორციელდეს მხოლოდ განსაზღვრული ვადის განმავლობაში, ესეც არ ჩაითვლება გონივრულ ინფორმირებად და აქაც ხელშეკრულების უარყოფის მაქსიმალური ვადა იმოქმედებს.<sup>451</sup>

გარდა ამისა, ხელშეკრულების უარყოფის უფლება ავალდებულებს მეწარმეებს, მიიღონ დამატებითი ზომები ამ უფლების დეკლარირებისათვის. უპირველეს ყოვლისა, ინფორმაცია არ უნდა იყოს მოცემული ხელშეკრულების ტექსტში იმდაგვარად, რომ ეს მოითხოვდეს მომხმარებლისაგან ზედმეტ ძალისხმევას მის მოსაძიებლად. იგი არ უნდა იყოს მოცემული შეფარულად ან სხვა უფლებებთან ერთობლიობაში. უფლების არსებობის სიცხადისათვის მიზანშეწონილია, რომ მას

<sup>449</sup> იქნა.

<sup>450</sup> Nordhausen Scholes A., Information Requirements, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 234; DG Justice Guidance Document, European Commission, DG Justice, June 2014. <[http://ec.europa.eu/justice/consumer-marketing/files/crd\\_guidance\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/consumer-marketing/files/crd_guidance_en.pdf)> [20.03.2015], 20-24; Campagna M.F., Transparent Consumer Information In Directive 2011/83/EU, The Columbia Journal of European Law, Vol., 19, 2012, 37.

<sup>451</sup> Campagna M. F., Transparent Consumer Information In Directive 2011/83/EU, The Columbia Journal of European Law, Vol., 19, 2012, 37-38.

ხელშეკრულებაში ეთმობოდეს თვალსაჩინო ადგილი, მაგალითად, მუქად გამოყოფილი ასოების ან ჩარჩოში მოთავსებული ტექსტის სახით.<sup>452</sup>

ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ ზემოგანხილული მოთხოვნების დაცვით მიწოდებული ინფორმაცია, წამოადგენს ამ უფლების რეალიზების არსებით წინაპირობას. თავის მხრივ, სრული და ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მომხმარებელთა სათანადო ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად, არამედ იგი გავლენას ახდენს ამ უფლების რეალიზების ვადაზეც. უარყოფის უფლების შესახებ მომხმარებელთა სათანადო ინფორმირება თავისთავად არ იწვევს ხელშეკრულების რეტროაქტიულ ეფექტს. ამისათვის აუცილებელია, რომ მომხმარებელმა ისარგებლოს მინიჭებული უფლებამოსილებით. ამასთან, უფლების აქტივაცია დასაშვებია მხოლოდ შეზღუდული დროის განმავლობაში. ამიტომაც, ხელშეკრულების უარყოფის უფლებაზე მსჯელობისას, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ხელშეკრულების გადახედვის ვადას, მის ხანგრძლივობასა და ათვლის წესს.

შეიძლება ითქვას, რომ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებასთან ერთობლიობაში, ხელშეკრულების უარყოფის უფლება ითვლება მნიშვნელოვან ინსტრუმენტად მომხმარებელთა რაციონალური არჩევანის დაცვის მიზნებისათვის. ეს უფლება რეგულარულად გამოიყენება ხელშეკრულების ფორმირების სპეციალური შემთხვევებისათვის, რომელშიც მომხმარებელი სუსტ პოზიციაშია მეწარმესთან შედარებით, ხელშეკრულების დადებაზე გადაწყვეტილების მიღებისა და ხელშეკრულების შინაარსის გაცნობისა და აღქმის თვალსაზრისით. ინტერესთა დისბალანსის ეს შემთხვევა მნიშვნელოვანი საფრთხის შემცველად და არასასურველი ბოჭვის ერთ-ერთ სახედ ითვლება. ამ არახელსაყრელი შედეგების კომპენსირების მიზნებისათვის მომხმარებელს ეძლევა დამატებითი ვადა მიღებული ოფერტის გამოუხმობადი ძალისაგან გასათავისუფლებლად. დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მომხმარებელი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე უარყოფის უფლების რეალიზების გზით.<sup>453</sup>

### 6.3. ხელშეკრულების უარყოფის ვადა

ჩვეულებრივ პირობებში, როგორც კი აქცეპტი ხდება ეფექტური, ხელშეკრულება დადებულად ითვლება და ორივე მხარე შებოჭილია მისი

<sup>452</sup> Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR), ed., by Von Bar Ch., Clive E., Schulte-Nolke H., and others, Sellier, ELP, Munich, 2009, 395, www. Law-net.eu. Loos M., The Case for Uniformed and Efficient Right of Withdrawal from Consumer Contracts in European Contract Law, Published in Zeitschrift Fur Europaisches Privatrecht, 2007, 17.

<sup>453</sup> Twigg-Flesner Ch. and Schulze R., Protection Rational Choice: Information and the Right of Withdrawal, Handbook of Research on International Consumer Law, Published by Edward Elgar Publishing Limited, Cheltenham, UK, 2011, 145.

დებულებებით.<sup>454</sup> ეს ზოგადი წესი მოდიფიცირებულია სამომხმარებლო ხელშეკრულებები. მომხმარებლისათვის ხელშეკრულების უარყოფის უფლების მინიჭებით, ეპროპელმა კანონმდებელმა უზრუნველყო იგი დამატებითი შესაძლებლობით, მიიღოს შეძენილი საქონელი, დარწმუნდეს მის ვარგისიანობაში და გადაწყვიტოს სახელშეკრულებო ბოჭვის არსებობა-არარსებობის საკითხი. ამასთან, „ვარგისიანობაში“ იგულისხმება არა მხოლოდ ობიექტურად კარგი საქონელი, არამედ სუბიექტური ფაქტორიც – შეძენილი საქონლისადმი სუბიექტური საჭიროების განცდა.<sup>455</sup> ქ, სადაც ხელშეკრულების უარყოფა უფლება სავალდებულო პირობაა, დასაშვებია მომხმარებლის მიერ აზრის შეცვლაც. ასეთ ურთიერთობებში ნამდვილი ხელშეკრულება, რომელიც დადებულია ოფერტისა და აქცეპტის თანხვედრის საფუძველზე, კარგავს ძალას უშუალოდ მომხმარებლის გადაწყვეტილების საფუძველზე.<sup>456</sup>

უარყოფის უფლების მომხიბვლელობა მოსაფიქრებელი ვადის<sup>457</sup> არსებობაშია. მისი მიზანი იმ უხერხეულობის გადაღახვაა, რომელიც თან ახლავს არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებს. ამასთან, უფლებით სარგებლობა არ მოითხოვს მეორე მხარის მიერ ვალდებულების დარღვევას, რაც აუცილებელი წინაპირობა იქნებოდა ხელშეკრულებიდან გასვლის შემთხვევაში. სწორედ ამიტომაცაა, რომ უფლებამოსილი პირი თავისუფალია თავისი გადაწყვეტილების დასაბუთებისაგან, რაც ამ უფლების ძირითად ღირსებად განიხილება.<sup>458</sup> თუმცა, ეს არ არის მომხმარებლის განუსაზღვრელი შესაძლებლობა.

<sup>454</sup> ძლიერი შვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., ხვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებოსამართო, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2014, 59.

<sup>455</sup> Tscherner E. M., Can Behavioral Research Advance mandatory Law, Information Duties, Standard Terms and Withdrawal Rights?, Austrian Law Journal, 1/2014, 154; Macsim A.-R., The New Consumer Rights Directive, A Comparative Law and economics Analysis of the Maximum Harmonization Effects on Consumers and Businesses, The Case of the Cooling-off Period from Online Contracts, <<http://pure.au.dk/portal/files/44659752/Thesis.pdf>>, [02.05.2014], 35-36.

<sup>456</sup> Stone R., The Modern Law of Contract, fifth edition, Cavendish Publishing limited, Portland, Oregon, USA, 2002, 63.

<sup>457</sup> ევროპულ სამართლებრივ დოქტრინაში ისევე, როგორც ევროკავშირის დირექტივებში, ხელშეკრულების უარყოფისათვის განსაზღვრულ ვადას „Cooling-off Period“-ის სახელით მოიხსენიებენ. სიტყვასიტყვითი განმარტებით, იგი გაცივებას, გაგრილებას, განელებას ნიშნავს. ამ თვალსაზრისით, ეს ტერმინი ზუსტად ასახავს უარყოფის უფლების დანიშნულებას – მისცეს მომხმარებელს დამატებითი ვადა დადებული ხელშეკრულების შედეგების გადასახედად და რაციონალური გადაწყვეტილების მისაღებად. თუმცა, გარკვეულ სირთულეებთანაა დაკავშირებული მისი ქართულად თარგმნა. პირდაპირი თარგმანის შემთხვევაში გამოყენებული უნდა იქნეს ტერმინი „გაგრილების ვადა“, რაც ვერ ასახავს მისი ინგლისურენოვანი ანალიგის შინაარსსა და დანიშნულებას. იმის გათვალისწინებით, რომ „გაგრილებაში“ გულისხმობების დამატებითი დაფიქრების, გადაფიქრების შესაძლებლობას, წინამდებარე ნაშრონში „Cooling-off Period“-ის შესატყვის ტერმინად გამოყენებული იქნება „მოსაფიქრებელი ვადა“. ამასთან, მისაღები იქნება ნებისმიერი შენიშვნა ტერმინის შემდგომი დახვეწისა და დამკვიდრების მიზნებისათვის.

<sup>458</sup> Principles of the Existing EC Contract Law (Acquis Principles), Contract I, Pre-contractual Obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007, 164.

მომხმარებლებზე მორგებული თავისუფალი თვითგამორკვევა შეზღუდულია აზრის შეცვლისათვის განსაზღვრული ვადით.

### 6.3.1. მოსაფიქრებელი ვადის ხანგრძლივობა

ხელშეკრულების უარყოფის უფლების ეფექტურობაზე გავლენას ახდენს მოსაფიქრებელი ვადის ხანგრძლივობა და მისი ათვლის წესი. მხოლოდ დროის განსაზღვრულ მონაკვეთშია მომხმარებელი უფლებამოსილი ნამდვილი ხელშეკრულება არარსებულად აქციოს. ამ თვალსაზრისით, ხელშეკრულების უარყოფის შესახებ ინფორმაციის მიწოდება აუცილებელია არა მხოლოდ მომხმარებლისათვის დამატებითი კომფორტის შესაქმნელად, არამედ ამ ურთიერთობის საბოლოო ბეჭის გადასაწყვეტადაც. სათანადო ინფორმირების მოთხოვნის დაცვა თანაბრად მნიშვნელოვანია ორივე სუბიექტისათვის. მხედველობაშია მისაღები, რომ ხელშეკრულების უარყოფის უფლება გავლენას ახდენს მხარეთა უფლება-მოვალეობებზეც. კერძოდ, მეწარმეს ეკისრება გადახდილი თანხის დაბრუნების ვალდებულება, ხოლო მომხმარებელს შეძენილი საქონლის უკან გადაცემის ვალდებულება.<sup>459</sup>

მეორე მხრივ, ხელშეკრულების ცალმხრივად უარყოფის უფლება მძიმე ტვირთად არ უნა აწვებოდეს მეწარმესაც. მიუხედავად იმისა, რომ აქცეპტის უკან გამოთხოვის უფლების არსებობა აიძულებს მეწარმეებს მეტი გულისხმიერება გამოიჩინონ სახელშეკრულებო ვალდებულებების მიმართ და მაქსიმალურად დააკმაყოფილონ მომხმარებელთა მოთხოვნები, მათ ზუსტად უნდა იცოდნენ, დროის რა მონაკვეთში მოეთხოვებათ ითმინონ ხელშეკრულების შესაძლო გაუქმების რისკი.<sup>460</sup>

### 6.3.2. მოსაფიქრებელი ვადის ათვლის ზოგადი წესი

მოსაფიქრებელი ვადის ძირითადი დანიშნულებაა, განსაზღვროს დროის ის პერიოდი, როცა მომხმარებელი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. ვადის დასრულება ავტომატურად აუქმებს უფლების რეალიზების შესაძლებლობას. „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივის მიხედვით, ხელშეკრულების უარყოფის ვადა 14 დღეა.<sup>461</sup> ამასთან, მოსაფიქრებელი ვადის ათვლისათვის რამდენიმე გარემოებაა მხედველობაში მისაღები: პირველი ხელშეკრულების დადება. მოსაფიქრებელი ვადა არ დაიწყება, სანამ ხელშეკრულების ყველა პირობა შეთანხმებულად არ ჩაითვლება. თუ დავუშვებთ, რომ ხელშეკრულების უარყოფის ვადა დაიწყებს მოქმედებას პირობების შეთავაზების მოქმედიდან,

<sup>459</sup> Directive 2011/83/EU.

<sup>460</sup> Gheorghe A.N., Spasici C., Consumer's Right To Withdraw, Challenges of Knowledge Society, Private Law, 267; Loos M., The Case for Unifomed and Efficient Right of Withdrawal from Consumer Contracts in European Contract Law, Published in Zeitschrift Fur Europaisches Privatrecht, 2007, 11.

<sup>461</sup> Directive 2011/83/EU.

მეორე მხარე იძულებული იქნება ისარგებლოს უარყოფის უფლებით თავისივე წინდახედულობის ფარგლებში იმის შიშით, რომ შემდგომში ვერ შეძლებს ოფერტის მბოჭავი ძალისაგან გათავისუფლებას. იმ შემთხვევაში, როცა ხელშეკრულების დადებამდე, მეწარმე განუმარტავს მომხმარებელს ხელშეკრულების უარყოფის უფლების არსებობასა და მისი რეალიზების წესს, მოსაფიქრებელი ვადა დაიწყება არა უფლების შესახებ შეტყობინების მომენტიდან, არამედ ხელშეკრულების დადების მომენტიდან.<sup>462</sup> შესაბამისად, მომხმარებლის მიერ ნების საბოლოო გამოვლენამდე, მისთვის გაკეთებული განმარტება ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ უმოქმედოა, ვინაიდან მინიჭებული უფლებების სიცხადისათვის განმარტება დაკავშირებული უნდა იყოს მომხმარებლის კონკრეტული ნების გამოვლენასთან.<sup>463</sup>

გარდა ამისა, კონკრეტულ შემთხვევებში, უარყოფის უფლების რეალიზების ვადა დამოკიდებულია საქონლის მიწოდებაზე, თუ ეს ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, ასეთ ხელშეკრულებებში 14 დღიანი ვადის ათვლა დაიწყება საქონლის მიწოდებიდან, ვინაიდან მხოლოდ ამ მომენტიდან ჩაითვლება ხელშეკრულება შესრულებულად. ამასთან, იქ სადაც საქონლის მიწოდება განმსაზღვრელი ფაქტორია, ვადის ათვლა დაიწყება მომხმარებლისათვის ან მის მიერ დასახელებული პირისათვის საქონლის გადაცემის მეორე დღიდან. ხელშეკრულების უარყოფის უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნეს უშუალოდ ხელშეკრულების დადების შემდეგ, მაგრამ ჯერ კიდევ საქონლის მიწოდებამდეც. უფლებამოსილმა პირმა არ უნდა დაკარგოს უფლების რეალიზების საშუალება მაშინაც, თუ ხელშეკრულების შესრულება გადაუწყვეტელ ფაზაშია.<sup>464</sup>

მნიშვნელოვანია სათანადო ინფორმაციის მიწოდებაც ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ. ამასთან, ინფორმაცია მოსაფიქრებელი ვადის ათვლის შესახებ არასრულად მიწოდებულად ჩაითვლება თუ შეტყობინებაში კონკრეტულად არ არის მითითებული რომელი მოვლენის დადგომით იწყება მოსაფიქრებელი ვადის დენა: მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერით, მეწარმის მიერ ხელშეკრულების ხელმოწერით, ხელშეკრულების მომხმარებლისათვის გადაცემით თუ საქონლის მიწოდებით.<sup>465</sup> გარდა ამისა, მეწარმემ უნდა

<sup>462</sup> Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR), ed., by Von Bar Ch., Clive E., Schulte-Nolke H., and others, Sellier, ELP, Munich, 2009, www. Law-net.eu., 383-384.

<sup>463</sup> როპროლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი, თბ., 2014, 252.

<sup>464</sup> Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR), ed., by Von Bar Ch., Clive E., Schulte-Nolke H., and others, Sellier, ELP, Munich, 2009, www. Law-net.eu., 383-384.

<sup>465</sup> Principles of the Existing EC Contract Law (Acquis Principles), Contract I, Pre-contractual Obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007, 179.

დაუდასტუროს მომხმარებელს ხელშეკრულების დადება შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებით.<sup>466</sup>

არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ ხელშეკრულებებში 14 დღიანი ვადა აითვლება მომხმარებლის მიერ შეკვეთის ხელმოწერიდან ან ხელშეკრულების ასლის მყარი მატარებლით გადაცემიდან.<sup>467</sup> დისტანციურად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე საქონლის შეძენისას, უარყოფის უფლების ვადა აითვლება საქონლის მიწოდებიდან, ხოლო მომსახურების გაწევის ხელშეკრულების შემთხვევაში ხელშეკრულების - დადებიდან.<sup>468</sup> თუ დისტანციურად დადებული ხელშეკრულების მხარეს ეცნობა ხელშეკრულების უარყოფის 14 დღიანი ვადის შესახებ და განემარტა, რომ უფლების რეალიზება დასაშვებია ხელშეკრულების დადების შემდეგ, ეს არ ჩაითვლება გონივრულ ინფორმირებად, ვინაიდან მხარეს არ მიეწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ უფლების რეალიზების ვადა დაიწყება საქონლის მიწოდების შემდეგ (სპეციალური შემადგენლობა დისტანციურად დადებული ხელშეკრულებისათვის).<sup>469</sup>

თუ მომხმარებელი შეიძენს ერთზე მეტ საქონელს, მან ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად უნდა ისარგებლოს ხელშეკრულების უარყოფის უფლებით ყველა ნივთან მიმართებაში. ხოლო ისეთი საქონლის შეძენისას, რომელიც რამდენიმე ნივთს მოიცავს და შეძენილია ერთი შეკვეთის ფარგლებში, ხელშეკრულების უარყოფის უფლება შეიძლება რეალიზებული იყოს ბოლო შემადგენელი კომპონენტის მიღებიდან, რის თაობაზეც მომხმარებელი საგანგებოდ უნდა იყოს ინფორმირებული. მაგალითად, მომხმარებელმა შეიძინა ფოტოაპარატი და მისი დამატებითი ტექნიკური აღჭურვილობა, ანდა სპორტული ტანისამოსი, რომელიც ორი ელემენტისაგან შედგება და ერთდროულად გამოიყენება (შარვალი და ქურთუკი). ასეთ შემთხვევაში ხელშეკრულების უფლება უნდა

<sup>466</sup> DG Justice Guidance Document, European Commission, DG Justice, June 2014. [http://ec.europa.eu/justice/consumer-marketing/files/crd\\_guidance\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/consumer-marketing/files/crd_guidance_en.pdf), 37-44.

<sup>467</sup> Howells G., Schulze R., Overview of the Proposed Consumer Rights Directive, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 16; Twigg-Flesner Ch., Metcalfe D., The proposed Consumer Rights Directive – Less Haste, More Thought? European Review of Contract Law, 2009, 10.

<sup>468</sup> Twigg-Flesner Ch., Metcalfe D., The proposed Consumer Rights Directive – Less Haste, More Thought? European Review of Contract Law, 2009, 12; Howells G., Schulze R., Overview of the Proposed Consumer Rights Directive, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 16.

<sup>469</sup> Nordhausen Scholes A., Information Requirements, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law publishers, Munich, 2009, 234; Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR), ed., by Von Bar Ch., Clive E., Schulte-Nolke H., and others, Sellier, ELP, Munich, 2009, www. Law-net.eu., 383-384.

გავრცელდეს ორივე შემადგენელ ნაწილზე, ხოლო მოსაფიქრებელი ვადის ათვლა – დაიწყოს უკანასკნელის მიწოდების შემდეგ.<sup>470</sup>

ამდენად, მოსაფიქრებელი ვადის ათვლა დამოკიდებულია ხელშეკრულების დადებისა და საქონლის გადაცემის მომენტზე ისევე, როგორც მომხმარებლისათვის უარყოფის უფლების თაობაზე ინფორმაციის მიწოდებაზე. ეს არ გამორიცხავს ვადის ათვლის განსხვავებულ წესს, თუ ამით მიღწეული იქნება მომხმარებელთა დაცვის უფრო უფექტური შედეგი. განხილული მიღგომა გამომდინარეობს ზოგადი პრინციპებიდან: მეწარმემ დადგენილი წესით უნდა გააფრთხილოს მომხმარებელი ხელშეკრულების უარყოფის უფლების წინაპირობებისა და სამართლებრივი შედეგების თაობაზე, ასევე შეატყობინოს მისი განხორცილების ვადა. სათანადო ინფორმირების ვალდებულების დარღვევა იწვევს უფლების განხორცილების ვადის გახანგრძლივებას.

### 6.3.3. მოსაფიქრებელი ვადის ათვლის სპეციალური წესი

ხელშეკრულების უარყოფის უფლების თაობაზე ინფორმირების ვალდებულების დარღვევა იწვევს უარყოფით შედეგებს მეწარმეებისათვის. უპირველეს ყოვლისა, ეს არის გაზრდილი ვადები ხელშეკრულების გადახედვისათვის, რაც იმას ნიშნავს, რომ ინფორმირების ვალდებულების უგულებელყოფისას, მეწარმეებს გაცილებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოუწევთ ხელშეკრულების შესაძლო გაუქმების რისკის თმენა.

ევროპის სახელშეკრულებო სამართალში უარყოფის უფლების შესახებ მომხმარებლის არასათანადო ინფორმირებას განსაკუთრებული ყვრადღება ეთმობა. უარყოფის უფლების მსგავსად, გონივრული ინფორმირების შესახებ წესების შეუსრულებლობის შემთხვევაშიც, მომხმარებელთა უფლებები იმპერატიული ნორმებითაა დაცული. იქ, სადაც მეწარმე არ ასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას, ხელშეკრულების გადახედვისათვის განსხვავებული ვადები მოქმედებს.<sup>471</sup> ეს ორ ძირითად ასპექტში ვლინდება. ჯერ ერთი, ხელშეკრულების გადახედვისათვის განსაზღვრული 14 დღიანი ვადის ათვლა არ დაიწყება სანამ მომხმარებელი არ იქნება ადექვატურად ინფორმირებული მისი ამ უფლების შესახებ და მეორე, მოსაფიქრებელი ვადის ხანგრძლიობა ერთ წლამდე გაიზრდება.<sup>472</sup>

<sup>470</sup> Twigg-Flesner Ch., Metcalfe D., The proposed Consumer Rights Directive – Less Haste, More Thought? European Review of Contract Law, 2009, 11; DG Justice Guidance Document, European Commission, DG Justice, June 2014. [http://ec.europa.eu/justice/consumer-marketing/files/crd\\_guidance\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/consumer-marketing/files/crd_guidance_en.pdf), 37-44.

<sup>471</sup> Consultation on the implementation of Consumer Rights Directive 2011/83/EU, <[https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/32690/12-999-consultation-implementation-of-consumer-rights-directive.pdf](https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/32690/12-999-consultation-implementation-of-consumer-rights-directive.pdf)> [2.12.2013], 22.

<sup>472</sup> Directive 2011/83/EU.

ამგვარ მიღებომას ორმაგი ეფექტი აქვს. პირველი გულისხმობს მომხმარებლისათვის გაცილებით მეტი დროის მიცემას ხელშეკრულების შედეგების გასაზრებლად და მეორე, იგი გარკვეული სანქციის მატარებელია დაუდევარი მეწარმის მიმართ, რომელიც ერთი წლის გამავლობაში უნდა ელოდოს ხელშეკრულების უარყოფის ალბათობას თანმდევი სამართლებრივი შედეგებით.<sup>473</sup> გარდა ამისა, თუ ხელშეკრულების საგანი მომსახურებაა, მომხმარებელს არ დაეკისრება ზიანის ანაზღაურება მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში დაწყებული ან მიღებული შესრულებისათვის, თუ იგი არ იყო გაფრთხილებული ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ ან მომსახურების გაწევა დაიწყო მისი წინასწარი თანხმობის გარეშე უარყოფის უფლების შემდგომი გამოყენების შეუძლებლობასთან დაკავშირებით.<sup>474</sup>

ამდენად, ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ დროულ და ადექვატურ ინფორმირებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება აქცეპტის უპან გამოთხოვის ეფექტურობისათვის. ამასთან, მოსაფიქრებელი ვადის მაქსიმალური ლიმიტის დაწესებით, ერთდროულად მოხდა მომხმარებლის ამ უფლების გაფართოებაც და დროში შეზღუდვაც. სხვაგვარად უფლებამოსილ პირს ექნებოდა განუსაზღვრელი შესაძლებლობა ხელშეკრულების უარყოფისა, რაც, უპირველეს ყოვლისა, შეუთავსებელია ბრუნვის სტაბილურობისათვის.<sup>475</sup>

მაგალითისათვის, წარმოვიდგინოთ, რომ მხარეს აქვს ხელშეკრულების უარყოფის უფლება. მეწარმემ დროულად მიაწოდა მას საქონელი, მაგრამ ხელშეკრულების უარყოფის შესახებ შეტყობინებაში გამორჩა მეწარმის ვინაობისა და მისამართის მითითება. მომხმარებელი უფლებამოსილია, უარი თქვას ხელშეკრულებაზე საქონლის მიწოდებიდან 14 დღის გასვლის შემდეგ, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლის განმავლობაში. აქვე უნდა დავუბრუნდეთ ხელშეკრულების დადების ფაქტის მნიშვნელობას. თუ მხარეთა შორის შეთანხმება საბოლოოდ მიღწეული არ არის ანუ ოფერტი არ იქნა აქცეპტირებული მომხმარებლის მიერ, მოსაფიქრებელი ვადის ათვლა საერთოდ არ დაიწყება. გარდა ამისა, თუ მომხმარებელს არ მიეწოდა საკმარისი ინფორმაცია ხელშეკრულების საგანის ანდა პირობების

<sup>473</sup> Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR), ed., by Von Bar Ch., Clive E., Schulte-Nolke H., and others, Sellier, ELP, Munich, 2009, 293, www.Law-net.eu., 384-385; Loos M., Right of Withdrawal, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 258.

<sup>474</sup> Twigg-Flesner Ch., Metcalfe D., The proposed Consumer Rights Directive – Less Haste, More Thought? European Review of Contract Law, 2009, SSRN<:http://ssrn.com/abstract=1345783>[20.01.2015],10.

<sup>475</sup> Principles of the Existing EC Contract Law (Acquis Principles), Contract I, Pre-contractual Obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007, 171; Loos M., Right of Withdrawal, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 258; European Contract Law, Materials for a Common Frame of Reference: Terminology, Guiding Principles, Model Rules, Sellier, ELP, Munich, 2008, 411-414.

შესახებ, ან თუ საქონელი დაგვიანებით მიეწოდა, ამ შემთხვევაში იმოქმედებს ხელშეკრულების უარყოფის ერთწლიანი ვადა.<sup>476</sup>

ხელშეკრულების უარყოფის უფლების დაგვიანებით რეალიზებასთან დაკავშირებით, ნიშანდობლივია ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაც და მისი შემდგომი განვითარება ევროკავშირის სამართლში. „ჰეინინგერების“<sup>477</sup> საქმე ერთ-ერთ პრეცედენტულ გადაწყვეტილებად ითვლება მომხმარებელთა უფლებების სამართლისათვის, განსაკუთრებით, კი ხელშეკრულების უარყოფის უფლებასთან მიმართებაში. საქმე ეხებოდა უზრუნველყოფილი კრედიტის ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო არაოფიციალურ ვითარებაში, კერძოდ, მომხმარებელთა სახლის კართან. წლების შემდეგ მისტერ და მისის ჰეინინგერებმა უარი განაცხადეს ხელშეკრულებაზე იმ საფუძვლით, რომ ხელშეკრულების დადებისას ბანკის სახელით მოქმედმა აგენტმა არ უზრუნველყო მათი ინფორმირება ხელშეკრულების უარყოფის უფლებაზე. საგულისხმოა, რომ მოპასუხის შესაგებელი, სხვა ფაქტებთან ერთად, ემყარებოდა იმ გარემოებას, რომ სარჩელის აღმდეგის მომენტისათვის გასული იყო ხელშეკრულებაზე უარის თქმისათვის კანონით დადგენილი ვადა.

2001 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებაში ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ მიუთითა, რომ „საცხოვრებელი სახლის კართან დადებული ხელშეკრულებების შესახებ“ ევროკავშირის 85-577 დირექტივა ასევე ვრცელდება არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ უზრუნველყოფილ საკრედიტო ხელშეკრულებებზეც. უფრო მეტიც - სასამართლომ განმარტა, რომ დირექტივა ზღუდავს წევრი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობას, ხელშეკრულების უარყოფისათვის ვადის დაწესებისას, იმ შემთხვევებში, როცა ხელშეკრულების დადებისას მომხმარებელი სათანადოდ არ იყო ინფორმირებული ხელშეკრულების უარყოფის უფლების თაობაზე.<sup>478</sup>

მართალია, საკითხის ამგვარი გადაწყვეტა სრულად შეესაბამებოდა ხელშეკრულების უარყოფის უფლების მარეგულირებელ ევროკავშირის იმდროინდელ დირექტივებს, მაგრამ აქცეპტის უკან გამოთხოვის უვადო შესაძლებლობამ არაერთი სადაცო საკითხი წარმოშვა უფლების დაგვიანებით რეალიზების სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებით. საქონლის ხანგრძლივი დროის განმავლობაში სარგებლობას და წლების შემდეგ მასზე უარის თქმის უფლებას, პირველ რიგში, უარყოფითი შედეგები მოჰყვება უშუალოდ მომხმარებლისათვის. არ არის გამორიცხული, რომ მას დაეკისროს საქონლის გამოყენების, მისი დირებულების შემცირების ან დაზიანების კომპენსაციის გადახდის ვალდებულება. შესაბამისად, მეწარმის მიერ ინფორმირების ვალდებულების დარღვევისას,

<sup>476</sup> Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR), ed., by Von Bar Ch., Clive E., Schulte-Nolke H., and others, Sellier, ELP, Munich, 2009, www. Law-net.eu., 385.

<sup>477</sup> Case C-481/99, Georg Heininger and Helga Heininger v Bayerisvhe Hypo – und Vereinsbank AG.

<sup>478</sup> Case C-481/99, Georg Heininger and Helga Heininger v Bayerisvhe Hypo – und Vereinsbank AG.

მომხმარებლისათვის ხელშეკრულების უარყოფის უვადო უფლების მინიჭება, ზოგჯერ უარესი შედეგების მომტანიც შეიძლება იყოს.<sup>479</sup>

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს ამ გადაწყვეტილებამ და მისმა გავლენამ ევროკავშირის სახელმწოფოთა ეროვნულ სამართლზე აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. ბევრისთვის მიუღებელი აღმოჩნდა, მეწარმეთა მხრიდან ინფორმირების ვალდებულების დარღვევების შემთხვევაში, მომხმარებლებისათვის ხელშეკრულების უარყოფის უვადო უფლების მინიჭება, მაშინ, როცა, მაგალითად მოტყუებით დადებული გარიგებების შეცილების ვადა ერთი წელია.<sup>480</sup> უნდა ვივარაჟდოთ, რომ ხელშეკრულების უარყოფის უფლების რეალიზების მაქსიმალურ ვადად ერთი წლის განსაზღვრა სწორედ ამგვარი პოზიციებითაა ნაკარნახევი, რაც გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. უფლების დარღვევის ხარისხის მიუხედავად, უფლებამოსილი პირის ინტერესის დაცვა არ უნდა გულისხმობდეს განუსაზღვრელ შესაძლებლობებს. დაცვა ეფექტურია მაშინ, თუ იგი მოსალოდნელი და ადექვატურია უფლების დარღვევასთან მიმართებაში.

### 6.3.4. მოსაფიქრებელი ვადის ხანგრძლივობის გამოთვლა

ხელშეკრულების გადახედვისათვის განსაზღვრული ვადის ათვლასთან ერთად, ყურადღება უნდა გამახვილდეს ვადის გამოთვლის წესზე. ამ საკითხის მიმართ აზრთა სხვადასხვაობისა და ურთიერთგამომრიცხავი ინტერპრეტაციის თავიდან აცილების მიზნით, „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ 2011/83 დირექტივამ პირდაპირი მიუთითა, რომ 14 დღეში იგულისხმება 14 კალენდარული დღე, უქმე დღეებისა და დღესასწაულების ჩათვლით. იმ შემთხვევაში კი, თუ ვადის უკანასკნელი დღე დაემთხვევა დასვენების ან უქმე დღეს, ვადის ბოლო დღედ ჩაითვლება მომდევნო სამუშაო დღე.<sup>481</sup> იგივე წესი იმოქმედებს ერთწლიანი ვადის გამოთვლის დროსაც.

დირექტივის საფუძველზე ვადის გამოთვლის წესის განსაზღვრას ის დადებითი შედეგი მოჰყვება, რომ ნებისმიერი მომხმარებელი, რომელიც უფლებამოსილია, ისარგებლოს ხელშეკრულების უარყოფის უფლებით, ერთგვაროვანი რეგულირების ქვეშ მოექცა. ხელშეკრულების უარყოფის უფლებასთან დაკავშირებული ვადის გამოთვლის განსხვავებული რეგულაციები ტვირთად აწვებოდა ტრანსსასაზღვრო ვაჭრობაში მონაწილე მეწარმეებს ისევე, როგორც უხერხულობას წარმოადგენდა მომხმარებლებისათვისაც, რომლებსაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში

<sup>479</sup> Prof. Dr. Peter R., Harmonizing Different Rights of Withdrawal: Can German Law Serve as an Example for EC Consumer Law?, Developments, German Law Journal, [Vol., 07 No. 12, HeinOnline –7 German LJ. 1110 2006, 1110.

<sup>480</sup> Markesinis B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 269.

<sup>481</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011.

უნდა სცოდნოდათ შესაბამისი სახელმწიფოს მოთხოვნები უფლების ეფექტურად განხორციელებისათვის. დღეისათვის ეს რისკი, ფაქტობრივად, აღარ არსებობს.<sup>482</sup>

### 6.3.5. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ორმხრივად შესრულების შესაძლებლობა მოსაფიქრებელი გადის განმავლობაში

იმ ხელშეკრულებებში, რომლებიც ითვალისწინებს მომხმარებლის უფლებას აქცევტის უკან გამოთხოვის თაობაზე, მსჯელობის საგანია მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებების ორმხრივად შესრულების შესაძლებლობა. საგულისხმოა, რომ, როცა, არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებების სამართალში უარყოფის უფლება შემოიღეს, გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ ასეთი ხელშეკრულება დადებულად ჩათვალა მხოლოდ მოსაფიქრებელი ვადის ამოწურვის შემდეგ. ამ მომენტამდე ხელშეკრულების ნამდვილობის საკითხი გადაუწყვეტელი რჩებოდა. იგი, ფაქტობრივად, ითვლებოდა გარიგებად მოწონების პირობით. მასზე ვრცელდებოდა ისეთივე მიდგომა, როგორიც არასრულწლოვნის მიერ ან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების გარეშე სხვისი სახელით დადებული გარიგებების მიმართ. მომხმარებელს, რომელიც რაიმეს შეიძლება ქუჩაში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, შესრულების მოთხოვნის უფლება მხოლოდ უარყოფისათვის განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ წარმოეშობოდა. იგივე წესი მოქმედებდა გამჟიდველის მიმართაც. მას მხოლოდ ხელშეკრულების დადებულად ცნობის შემდეგ ენიჭებოდა ღირებულების ანაზღაურების მოთხოვნის უფლება. თავის მხრივ, არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებების მიმართ ამგვარი დამოკიდებულება პრობლემას წარმოადგენდა, ვინაიდან ხელშეკრულების პირობების დაუყოვნებლივ შესრულების შემთხვევაში, მომხმარებელი იძულებული იყო, უარი ეთქვა უარყოფის უფლებაზე.<sup>483</sup>

იმ ხელშეკრულებების თავისებურება, სადაც უარყოფის უფლება სავალდებულო დათქმაა, მდგომარეობს იმაში, რომ მათი საბოლოო ბედი დამოკიდებულია მოსაფიქრებელი ვადის გასვლაზე. უფრო ზუსტად კი, ამ ვადის განმავლობაში, მომხმარებლის მიერ უარყოფის უფლების გამოყენება - არგამოყენებაზე.<sup>484</sup> მაგალითად, საფრანგეთის დოქტრინა მიუთითებდა, რომ მომხმარებლის თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე არის მხოლოდ

<sup>482</sup> Principles of the Existing EC Contract Law (Acquis Principles), Contract I, Pre-contractual Obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007, 162.

<sup>483</sup> Prof. Dr. Rott P., Harmonizing Different Rights of Withdrawal: Can German Law Serve as an Example for EC Consumer Law?, Developments, German Law Journal, [Vol., 07 No. 12, 2006, 1110].

<sup>484</sup> ჭანგურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 336-ე მუხლის კომენტარი, გამომც., „სამართალი“, თბ. 2001.

ერთ-ერთი სტადია მისი ნების ფორმირებისა. შესაბამისად, ხელშეკრულების დადგებაზე თანხმობა არ განიხილებოდა საბოლოო შედეგად, ვინაიდან, მოსაფიქრებელი ვადის გასვლამდე მომხმარებელს შეეძლო შეეცვალა აზრი და ხელშეკრულების დადგებაზე ნების გამოვლენა ექცია ამ ხელშეკრულების უარყოფაზე ნების გამოვლენად. შესაბამისად, მიიჩნევდნენ, რომ უარყოფის უფლება არ ახდენდა გავლენას ხელშეკრულების მბოჭავ ძალაზე, რადგან მსარეთა უფლება-მოვალეობები სავალდებულო ძალას იძენდა მხოლოდ მოსაფიქრებელი ვადის გასვლის შემდეგ.<sup>485</sup>

სამომხმარებლო ხელშეკრულებების მერყევი ნამდვილობის თეორია, უპირველეს ყოვლისა, შეუთავსებელი აღმოჩნდა დისტანციური ხელშეკრულებების შესახებ ეკროკავშირის 97/7 დირექტივასთან. მითითებული დირექტივის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაში იმპლემენტაციით, უარი ითქვა სამომხმარებლო ხელშეკრულების ნამდვილობასთან დაკავშირებით მანამდე არსებული დამოკიდებულებაზე უარყოფის უფლების ყველა ფორმისადმი. ხელშეკრულებები, რომლებიც მომხმარებელს უარყოფის უფლებას ანიჭებს, ნამდვილად ითვლება მათი დადგების მომენტიდანვე, მაგრამ ისინი შეიძლება არანამდვილად იყოს მიჩნეული, თუ მომხმარებელი უარყოფის უფლებით ისარგებლებს. შესაბამისად, დღეს ხელშეკრულების ორივე მხარე უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაუყოვნებლივ შესრულება, რაც გავლენას არ ახდენს უარყოფის უფლების განხორციელებაზე.<sup>486</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 336-ე მუხლი, რომელიც ქუჩაში დადგებული ხელშეკრულებების ჭრილში ითვალისწინებს მათი უარყოფის შესაძლებლობას, განსხვავებულ სტანდარტს ადგენს. კერძოდ, მითითებული ნორმის თანახმად, მომხმარებელსა და საკუთარი სარეწის ფარგლებში მოვაჭრე პირს შორის ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში დადგებული ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ მომხმარებელი ერთი კვირის ვადაში ხელშეკრულებას წერილობით არ უარყოფს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულების შესრულება ხდება მისი დადებისთანავე. სავარაუდოდ, ეს იმით არის გამოწვეული, რომ ნორმის რეცეფცია მისი გერმანული ანალოგიდან იმ დროს განხორციელდა, როცა გერმანიის სკ-ში ჯერ კიდევ შენარჩუნებული იყო ქუჩაში დადგებული ხელშეკრულებების მიმართ, მერყევად ბათილი გარიგებისადმი დამახასიათებელი მიდგომა. თუმცა, გერმანული ანალოგისაგან განსხვავებით, მისი მოდერნიზაცია სსკ-ში ჯერ არ მომხდარა.

დღევანდელი გადმოსახედიდან, სსკ-ის 336-ე მუხლი არაეფექტურია და დახვეწას საჭიროებს. ხელშეკრულების დადებულად მიჩნევისა და მისი

<sup>485</sup> Gheorghe A.N., Spasici C., Consumer's Right To Withdraw, Challenges of Knowledge Society, Private Law, 267.

<sup>486</sup> Prof. Dr. Rott P., Harmonizing Different Rights of Withdrawal: Can German Law Serve as an Example for EC Consumer Law?, Developments, German Law Journal, [Vol., 07 No. 12, 2006, 1110].

შემდგომი უარყოფის შესაძლებლობის ჭრილში კი, მითითებული ნორმის ხარვეზი თვალსაჩინოა იმ გაგებით, რომ საქართველოს მომხმარებელი ჯერჯერობით არ არის უფლებამოსილი, გამოიყენოს ხელშეკრულების უარყოფის უფლება იმ ხელშეკრულების მიმართ, რომლებიც დადგისთანავე სრულდება. საკითხის ამგვარი გადაწყვეტის ფარგლებში აზრს მოკლებულია საერთოდ ამ უფლების საკანონმდებლო რეგლამენტაცია, ვინაიდან იგი არ შეესაბამება ხელშეკრულების უარყოფის უფლების ზოგად კონცეფციას, რომლის მიზანია მომხმარებლის დაცვა გაუთვიცნობიერებელი ნების გამოვლენისაგან. „გადაფიქრების“ შესაძლებლობა, რომელიც ხელშეკრულების უარყოფის უფლების ძირითადი ქვაკუთხედია, გამომდინარეობს იქიდან, რომ ხელშეკრულების დადების შემდეგ, ანუ მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულების შემთხვევაშიც, დასაშვები და უზრუნველყოფილი უნდა იყოს ხელშეკრულების უკუქცევა ყოველგვარი დასაბუთებისა და დამატებითი პასუხისმგებლობის გარეშე. მომხმარებლის ამ უფლების განსხვავებული, მით უფრო, შემოთავაზებული რეგულირება კი მომხმარებელთა უფლებების დაცვის შედარებით დაბალი დონის მაჩვენებელია.

ხელშეკრულების დადებულად მიჩნევისა და ორმხრივად ვალდებულებების შესრულების მოთხოვნის კონტექსტში, საინტერესოა ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაც. თავის ერთ-ერთ საქმეში, „Gysbrechts and Santural Inter BVBA“<sup>487</sup> სასამართლოს მოუწია მსჯელობა იმაზე უკრძალავს თუ არა კავშირის სამართალი წევრ სახელმწიფოებს მოსაფიქრებელი ვადის ამოწურვამდე მოსთხოვონ მომხმარებლებს წინასწარი ანგარიშსწორების დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების დროს.

სასამართლომ განმარტა, რომ წინასწარი გადახდის აკრძალვას აქვს შესაბამისი ეფექტი ექსპორტის რაოდენობრივ შეზღუდვაზე. კერძოდ, წინასწარი ანგარიშსწორების მოთხოვნის შეზღუდვა ინტერესს უკარგავს

<sup>487</sup> საქმე ეხბოდა ბელგიურ კომპანიას, „Santural Inter BVBA“, რომელიც სპეციალიზდებოდა საკვები დანამატების საცალო და საბითუმო ვაჭრობაში. გაყიდვები უმეტესწილად დისტანციური კომერციის რეჟიმში, ონლაინ ხორციელდებოდა. ხელშეკრულების დადების ფარგლებში, კომპანია პროდუქციის შესაკვეთად მიმმარებლისაგან მოითხოვდა შესაბამისი დირებულების გადახდას საკრედიტო ბარათით. ბარათით ანგარიშსწორების აუცილებელ წინაპირობას ბარათის ნომრისა და მისი მოქედების ვადის მითითება წარმოადგენდა. ერთ-ერთი მომხმარებლის საჩივრის საფუძველზე კომპანია და მისი მენეჯერი დაჯარიმდნენ. ჯარიმის საფუძველი გახლდათ დისტანციურ ხელშეკრულებებში მომხმარებებელთა უფლებების დაცვის შესახებ დირექტივის საფუძველზე მიღებული, ბელგიის სახელმწიფოს შიდა საკანონმდებლო მოთხოვნები, რომელთა შორის ერთ-ერთი უკრძალავდა მიმწოდებელს, მოეთხოვა მომხმარებლისაგან ავანსით ან სხვა ფორმით ანგარიშსწორება, ვიდრე არ გავიდოდა ხელშეკრულების უფლების რეალიზებისათვის გათვალისწინებული 7 დღიანი ვადა. შესაბამისად, ეს ნორმა ასევე კრძალვადა მომხმარებლისაგან ბარათის ნომრისა და მისი მოქმედების ვადის თაობაზე ინფორმაციის მოთხოვნას მოსაფიქრებელი ვადის გასვლამდე. ეროვნულ რეგულაციებზე დაყრდნობით, ნაციონალურმა სასამართლომ აკრძალა დეპოზიტის ან გადასახადის გამოთხოვა მომხმარებლისაგან მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში. C-205/07 Gysbrechts and Santural Inter BVBA [http://ec.europa.eu/dgs/legal\\_service/arrets/07c205\\_en.pdf](http://ec.europa.eu/dgs/legal_service/arrets/07c205_en.pdf)

მეწარმეებს, ჩაებან დისტანციურ ვაჭრობაში. ასეთი მოთხოვნის აკრძალვის პირობებში ისინი დაუცველნი რჩებიან მომხმარებელთა მიერ გადახდის ვალდებულების დარღვევის რისკისაგან. შეზღუდვის უარყოფითი შედეგები განსაკუთრებით ოვალსახით ტრანს-სასაზღვრო ურთიერთობებში, როცა მომხმარებელი სხვა ქვეყნის მოქალაქეა. ეს იწვევს განსჯადობასთან დაკავშირებულ პრობლემებსაც. ვალდებულების დამრღვევი მომხმარებლის მიმართ დავა უნდა დაიწყოს სხვა სახელმწიფოში, რაც ბევრ უხერხულობასთან არის დაკავშირებული, განსაკუთრებით მაშინ, თუ საქმე ეხება მცირე დირებულების საქონელს ან მომსახურებას.

სასამართლომ ასევე იმსჯელა, თუ რამდენად შესაძლებელია ამ შეზღუდვის გამართლება მომხმარებელთა დაცვის თვალსაზრისით და ყურადღება გაამახვილა ინტერესთა პროპორციულობის საკითხზე. 1) მიმწოდებლისათვის მოსაფიქრებელი ვადის გასვლამდე წინასწარი გადახდის მოთხოვნის აკრძალვა, როგორც ჩანს, აუცილებელია მომხმარებელთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფის და, შესაბამისად, გამართლებულია კავშირის სამართლის მიზნებისათვის; 2) მიუხედავად ამისა, მომხმარებლისათვის მისი საანგარიშსწორებო ბარათის ნომრის მოთხოვნის აკრძალვა გადაჭარბებულია, ვინაიდან მოსაფიქრებელ ვადაში წინასწარი გადახდის აკრძალვა უნდა იყოს მიზნეული საკმარის ღონისძიებად მომხმარებელთა დასაცავად. სასამართლომ დაასკვნა, რომ ევროკავშირის სამართლი არ უკრძალავს მეწარმეს მოითხოვოს მომხმარებლისაგან მისი საგადახდო ბარათის ნომრის მითითება, იმის გარანტით, რომ მეწარმე არ მოხსნის თანხას ანგარიშიდან მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში.<sup>488</sup>

სასამართლო პრაქტიკის მიუხედავად, წინასწარ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული დავები მუდმივ თავსატებების წარმოადგენდა.<sup>489</sup> სავარაუდოდ, ამიტომაც „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ 2011 წელს მიღებული დირექტივით, ეს საკითხიც იქნა გადაწყვეტილი. დღეს მოქმედი რეგულირების ფარგლებში, წევრი სახელმწიფოები არ არიან უფლებამოსილნი დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში დააწესონ წინასწარ ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული აკრძალვები.<sup>490</sup> ეს კი იმას ნიშნავს, რომ მხარეები არ არიან შეზღუდულნი, მეტიც, ხშირ შემთხვევაში ვალდებული არიან შესრულონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში.

### 6.3.6. საქონლის შემთხვევით დაღუპვის რისკის გადასვლა

უარყოფის უფლების არსებობის პირობებში, მოსაფიქრებელი ვადის გასვლამდე, ხელშეკრულების საბოლოო ბედი გადაწყვეტილი არ არის. ეს

<sup>488</sup>C-205/07 Gysbrechts and Santural Inter BVBA [http://ec.europa.eu/dgs/legal\\_service/arrets/07c205\\_en.pdf](http://ec.europa.eu/dgs/legal_service/arrets/07c205_en.pdf)

<sup>489</sup> Prof. Dr. Rott P., Harmonizing Different Rights of Withdrawal: Can German Law Serve as an Example for EC Consumer Law?, Developments, German Law Journal, [Vol., 07 No. 12, 2006, 1110-1111].

<sup>490</sup> Directive 2011/83/EU.

კი, თავის მხრივ, უკავშირდება საქონლის შემთხვევით დაღუპვის რისკსაც. „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივა ამ საკითხსაც არ ტოვებს ყურადღების გარეშე. არაოფიციალურ ვითარებასა და დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში, საქონლის შემთხვევით დაღუპვის რისკი გადადის მომხმარებელზე მისთვის საქონლის ფიზიკურ მფლობელობაში გადაცემის მომენტიდან. გარდა ამისა, თუ საქონელი გადაცემა მომხმარებლის მიერ დასახელებულ მესამე პირს, რომელიც არ არის გადამზიდველი, საქონლის შემთხვევით დაღუპვის რისკი მომხმარებელზე გადასულად ჩაითვლება. მეტიც, თუ გადამზიდველი დაქირავებულია უშუალოდ მომხმარებლის მიერ და არ არის მეწარმის მხრიდან შეთავაზებული, ასეთი გადამზიდველისათვის საქონლის ჩაბარების მომენტიდან მისი დაღუპვის რისკი მომხმარებელზე გადასულად ჩაითვლება. თავის მხრივ, მომხმარებელი ინარჩუნებს მოთხოვნის უფლებას გადამზიდველის მიმართ.<sup>491</sup>

შეიძლება ითქვას, რომ მოსაფიქრებელი ვადა და ამ ვადის განმავლობაში ხელშეკრულების შესაძლო უარყოფა გავლენას არ ახდენს საქონლის შემთხვევით დაზიანების ან დაღუპვის რისკის გადასვლაზე. თუმცა, წარმოშობს ცალკეული საკითხების განმარტების აუცილებლობას. მაგალითად, რა ხდება მაშინ, თუ დისტანციურად შექმნილი საქონელი მომხმარებელს დაზიანებული მიუვა. ნიშანდობლივია, რომ „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივა არ შეიცავს მითითებას რისკის გადასვლასთან დაკავშირებულ მტკიცების ტვირთზე. ამავდროულად, ევროკავშირის დირექტივა „სამომხმარებლო ნასყიდობებისა და გარანტიების შესახებ“ ითვალისწინებს ე.წ. „ბრალისაგან თავისუფალი მიწოდების ცნებას, რომლის თანახმად, უნაკლო ნივთის მიწოდების მტკიცების ტვირთი აწევს გამყიდველს, თუ ნაკლის აღმოჩენა მიწოდებიდან ექვსი თვის განმავლობაში მოხდა.<sup>492</sup> შესაბამისად, ნაკლიანი საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებული დავა უნდა გადაწყდეს ორივე დასახელებული დირექტივისა და ეროვნული კანონმდებლობის სამართლებრივი დანაწესების ურთიერთშეჯერების საფუძველზე.

#### **6.4. ხელშეკრულების უარყოფის უფლების განხორციელების შესახებ შეტყობინება, როგორც უფლების რეალიზების წინაპირობა**

ხელშეკრულების უარყოფის უფლებაზე მსჯელობისას მნიშვნელოვანია, თუ რა ფორმით უნდა განხორციელდეს იგი.<sup>493</sup> სახელშეკრულებო

<sup>491</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011; *Twigg-Flesner Ch., Metcalfe D.*, The proposed Consumer Rights Directive – Less Haste, More Thought? European Review of Contract Law, 2009, SSRN, <<http://ssrn.com/abstract=1345783>>, [20.01.2015], 13.

<sup>492</sup> Directive 99/44/EC of the European Parliament and of the Council of 25 May 1999 on Certain Aspects of the Sale of Consumer Goods and Associated Guarantees; DG Justice Guidance Document, European Commission, DG Justice, June 2014.<[http://ec.europa.eu/justice/consumer-marketing/files/crd\\_guidance\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/consumer-marketing/files/crd_guidance_en.pdf)>, 53.

<sup>493</sup> *Loos M.*, The Case for Uniformed and Efficient Right of Withdrawal from Consumer Contracts in European Contract Law, Published in Zeitschrift Fur Europaisches Privatrecht, 2007, 11.

სამართალში განმტკიცებულია ცალმხრივი ნების გამოვლენის ნამდვილობის წინაპირობები. ერთ-ერთი მათგანი გამოვლენილი ნების ადრესატამდე მისვლაა. ეს იმას ნიშნავს, რომ უფლებამოსილი პირი ვალდებულია შეატყობინოს ხელშეკრულების მეორე მხარეს მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.<sup>494</sup> მეტიც, ცალმხრივად ხელშეკრულების შეწყვეტისას, შეტყობინება, აუცილებელი პირობაა.<sup>495</sup> ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ ერთი მხარის ნება ურთიერთობის დასრულების თაობაზე მეორე მხარეს მიუვიდეს. სამართლებრივი შედეგები მხოლოდ მაშინ ჩაითვლება წარმოშობილად, როცა უფლებამოსილი პირის ნება მეორე მხარეს მიუვა.<sup>496</sup>

იგივე წესი მოქმედებს ხელშეკრულების უარყოფის უფლების მიმართაც. უფლებით სარგებლობა გავლენას ახდენს დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა უფლება-მოვალეობებზე. მათ წარმოეშობათ მიღებული შესრულებისა და სარგებელის უკან დაბრუნების ვალდებულებები. ამიტომაც ხელშეკრულების მეორე მხარე დროულად უნდა იყოს ინფორმირებული მომხმარებლის გადაწყვეტილების შესახებ. სწორედ ამითაა განპირობებული, რომ კანონმდებელი უწესებს მომხმარებელს შეტყობინების ვალდებულებას, როგორც ხელშეკრულების უარყოფის უფლების რეალიზების აუცილებელ წინაპირობას.

ამასთან, უარყოფის უფლების რეალიზებისათვის განსაზღვრული 14 დღიანი ვადის შესანარჩუნებლად, ერთდროულად საკმარისიც და სავალებულოცაა მეორე მხარისათვის დროულად გაკეთებული შეტყობინება,<sup>497</sup> რაც იმას ნიშნავს, რომ უფლებამოსილი პირი ვალდებულია ხელშეკრულების უარყოფის უფლების რეალიზებამდე აწარმოოს გარკვეული კომუნიკაცია კონტრაქტის და აცხობოს მას მიღებული გადაწყვეტილების შესახებ.<sup>498</sup>

#### 6.4.1. შეტყობინების ფორმა

საგულისხმოა, რომ „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ 2011/83 დირექტივის მიღებამდე არ იყო განსაზღვრული შეტყობინების ერთგვაროვანი ფორმა ხელშეკრულების უარყოფის უფლების განხორციელებისათვის. ყოველი წევრი სახელმწიფო თვითონ

<sup>494</sup> ძლიერი შეიდინებული ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., ხვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებოსამართალი, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2014, 506.

<sup>495</sup> კაშაქიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, gtz, 162.

<sup>496</sup> ჭაბურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეხამე, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 355-ე მუხლი, გამომც., „სამართლი“, თბ. 2001, 255; კერძეკლიძე ლ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 243.

<sup>497</sup> კროფალერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დაგალებით, თბ., 2014, 251.

<sup>498</sup> Principles of the Existing EC Contract Law (Acquis Principles), Contract I, Pre-contractual Obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007, 164.

განსაზღვრავდა, თუ რა ფორმით უნდა მომხდარიყო უფლების რეალიზება. მაგალითად, ბელგია, მალტა და ლუქსემბურგი მოითხოვდა, რომ შეტყობინება ხელშეკრულების უარყოფის შესახებ უნდა ყოფილიყო წერილობითი და გაგზავნილიყო შეკვეთილი წერილის სახით. ევროპავშირის წევრ სახელმწიფოთა ნახევარზე მეტი საერთოდ არ ითვალისწინებდა ფორმალურ მოთხოვნებს არც შეტყობინების შინაარსის და არც ფორმის მიმართ (მაგ. დანია, საფრანგეთი, უნგრეთი, ესტონეთი, ფინეთი, ლატვია და ა.შ.). ამის საწინააღმდეგოდ, კვიპროსი, ლიტვა, პოლონეთი, სლოვაკია და გაერთიანებული სამეფო მოითხოვდნენ წერილობით ფორმას. გერმანია საკმარისად მიიჩნევდა ტექსტუალურ ფორმას, ხოლო იტალია რეგისტრირებულ წერილს.<sup>499</sup>

ხელშეკრულების უარყოფის ფორმისადმი განსხვავებული მიდგომა განმტკიცებული იყო ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკითაც. კერძოდ, საქმეში „Travel Vac SL v Manuel Jose Antelm Sanchis“ სასამართლოს წინაშე დაისვა შემდეგი შეკითხვა: გამორიცხავს თუ არა 85/577 დირექტივა წევრი სახელმწიფოების მიერ ხელშეკრულების უარყოფასთან დაკავშირების შეტყობინების ფორმის თაობაზე წესების მიღებას.<sup>500</sup>

ევროპის მართლმსაჯულების სასამართლომ აღნიშნა, რომ უარყოფის უფლების რეალიზება უნდა მოხდეს შესაბამისი წევრი სახელმწიფოს მიერ დადგენილი წესების დაცვითა და დირექტივით განსაზღვრულ ვადაში. ამასთან, მომემარებელმა უნდა აცნობოს მეწარმეს უფლების აქტივაციის შესახებ. სასამართლომ მიუთითა, რომ დირექტივა არ გამორიცხავს წევრი სახელმწიფოების უფლებამოსილებას შიდა კანონმდებლობით დაარეგულირონ შეტყობინების ფორმა და შინაარსი. შესაძლებელია გათვალისწინებული იყოს შეტყობინების თავისუფალი ფორმაც – ზეპირი ან წერილობითი. ერთადერთი მოთხოვნა ისაა, რომ შეტყობინება ხელშეკრულების უარყოფის თაობაზე უნდა იყოს ცალსახა, არაორაზროვანი ან ბუნდოვანი. ხელშეკრულების უარყოფის უფლების ეფექტისათვის, ის უნდა განხორციელდეს ამისათვის დადგენილ ვადაში (ძველი დირექტივის მოქმედების პირობებში 7 დღე, ახალის პირობებში - 14 დღე), რაც არ გულისხმობს, რომ შეტყობინება მაინცდამაინც წერილობითი ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი. შესაბამისად, პასუხი დასმულ შეკითხვაზე მდგომარეობდა იმაში, რომ დირექტივა არ აწესებს კონკრეტულ

<sup>499</sup>Principles of the Existing EC Contract Law (Acquis Principles), Contract I, Pre-contractual Obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007.164; European Contract Law, Materials for a Common Frame of Reference: Terminology, Guiding Principles, Model Rules, Sellier, ELP, Munich, 2008, 411-415.

<sup>500</sup>Case C-423/97, Travel Vac SL v Manuel Jose Antelm Sanchis[1999] ECR, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61997CJ0423&from=EN>

წესებს შეტყობინების ფორმასთან დაკავშირებით და ეს საკითხი შესაძლოა გადაწყდეს წევრი სახელმწიფოების შიდა კანონმდებლობით.<sup>501</sup>

ხელშეკრულების უარყოფის უფლებასთან დაკავშირებული ზემოაღნიშნული განსხვავებული რეგულაციები ტვირთად აწვებოდა ტრანსასაზღვრო ვაჭრობაში მონაწილე მეწარმეებს ისევე, როგორც უხერხულობას წარმოადგენდა მომხმარებლებისათვისაც, რომელსაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა სცოდნოდათ შესაბამისი სახელმწიფოს მოთხოვნები უფლების უფექტურად განხორცილებისათვის.

ნიშანდობლივია, რომ „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ 2011/83 დირექტივის მიზნებიდან გამომდინარე, ევროპელმა კანონმდებელმა აირჩია შეტყობინების თავისუფალი ფორმა,<sup>502</sup> რაც იმას ნიშნავს, რომ შეტყობინება ხელშეკრულების უარყოფის შესახებ შეიძლება განხორციელდეს როგორც წერილობით, მაგალითად, უფლებამოსილ პირის ელექტრონულ მისამართზე გაგზავნილი წერილით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით მეწარმის მიერ მითითებულ საკონტაქტო ტელეფონზე,<sup>503</sup> ასევე ზეპირადაც. ზეპირი ნების გამოვლენა შეიძლება გაცხადდეს სატელეფონო ზარით ან სხვა პირდაპირი კომუნიკაციის წესით.

გარდა ამისა, დაშვებული იქნა ე.წ. „ნაგულისხმევი“ შეტყობინების შესაძლებლობაც.<sup>504</sup> მაგალითად, როცა ხელშეკრულების უარყოფის უფლების მქონე პირი, ყოველგვარი ფორმალობის დაცვის გარეშე, შეძენილ საქონელს უკან უბრუნებს მეწარმეს. „დაბრუნებაში“ იგულისხმება მიღებული საქონლის უკან გაგზავნა მიმწოდებლისათვის. ნიშანდობლივია, რომ ასეთ შემთხვევაში, მომხმარებელი თვითონ ირჩევს დაბრუნების ხერხს. ეს შეიძლება განხორციელდეს საქონლის ფოსტით გადაგზავნით ანდა პირადად მიტანით, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს.<sup>505</sup>

შეტყობინების თავისუფალ ფორმას აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ერთი მხრივ, შეტყობინების ფორმის არსებობა ანდა სავალდებულობა გაადვილებდა უფლებამოსილი პირის პოზიციებს მტკიცების ტვირთის თვალსაზრისით. იგი მარტივად შეძლებდა დადგენილ ვადაში შეტყობინების გაგზავნის დადასტურებას. მეორე მხრივ, შეტყობინების მიმართ ფორმალური მოთხოვნები შედარებით გაართულებდა

<sup>501</sup> Case C-423/97, Travel Vac SL v Manuel Jose Antelm Sanchis[1999] ECR, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/PDF/?uri=CELEX:61997CJ0423&from=EN>

<sup>502</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011

<sup>503</sup> Loos M., The Right of Withdrawal, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 262.

<sup>504</sup> Principles of the Existing EC contract Law (Acquis principles), Contract I, Pre-contractual obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007, 165.

<sup>505</sup> Twigg-Flesner Ch. and Schulze R., Protection Rational Choice: Information and the Right of Withdrawal, Handbook of Research on International Consumer Law, Published by Edward Elgar Publishing Limited, Cheltenham, UK, 2011, 154; Terryn E., The Right of Withdrawal, The Acquis Principles and The DCFR, CFR and Existing EC Contract Law, Sellier, ELP, Munich, 2008, 155-158.

უფლებამოსილი პირის მოქმედების თავისუფლებას. გარდა ამისა, სავალდებულო ფორმის არსებობის პირობებში, უარყოფა ნამდვილად არ ჩაითვლებოდა საქონელის პირდაპირ დაბრუნების შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ დაბრუნება თავისთავად უნდა განიხილებოდეს ხელშეკრულების უარყოფის თაობაზე ნების გამოვლენად.<sup>506</sup>

შეიძლება ითქვას, რომ სწორედ მომხმარებელთა უფლებების მაღალი სტანდარტით დაცვით არის განპირობებული მათვის მაქსიმალური კომფორტის უზრუნველყოფაც. ამ კონკრეტულ შემთხვევაში ეს ვლინდება უფლებამოსილი პირის თავისუფლებაში თავად აირჩიოს ხელშეკრულების უარყოფის უფლების რეალიზების ფორმა. ამასთან, უფლებამოსილ პირს არ მოეთხოვა აზრის ფორმირება კონკრეტული სიტყვების გამოყენებით, მაგალითად, „ვიყენებ ხელშეკრულების უარყოფის უფლებას“ ან „უარს ვამბობ ხელშეკრულებაზე“. მთავარია ადრესატისათვის გასაგები იყოს გამოვლენილი ნების შინაარსი იმდაგვარად, რომ იგი გულისხმობდეს ხელშეკრულების უარყოფას.<sup>507</sup>

ნიშანდობლივია, რომ დირექტივა „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ იძლევა შეტყობინების მოდელურ ფორმასაც.<sup>508</sup> შესაბამისად, მეწარმეები, ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ ინფორმირებისას, უფლებამოსილნი იქნებიან მიუთითონ შეტყობინების ამ ფორმაზე, რომელიც შემდეგი სახისაა:

- ----- (მოვაჭრის დასახელება, გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მისამართი და ხელმისაწვდომობის შემთხვევაში მისი ფაქსის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამრთი (ეს ნაწილი იგსება მოვაჭრის მიერ));
- გაცნობებთ, რომ უარს ვამბობ () თაობაზე დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაზე / მიღებულ მომსახურებაზე ();
- შეკვეთილი () მიღებული საქონელი ();
- მომხმარებლის სახელი;
- მომხმარებლის მისამართი;
- მომხმარებლის ხელმოწერა (მოთხოვნის შემთხვევაში);
- თარიღი.<sup>509</sup>

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, შეტყობინების ფორმა თავისუფალია და მომხმარებელი უფლებამოსილია სხვაგვარად მოახდინოს ნების გამოვლენა, ვიდრე ეს მოცემულია მოდელური ფორმით, მაგრამ ამ

<sup>506</sup> Twigg-Flesner Ch. and Schulze R., Protection Rational Choice: Information and the Right of Withdrawal, Handbook of Research on International Consumer Law, Published by Edward Elgar Publishing Limited, Cheltenham, UK, 2011, 154; Principles of the Existing EC Contract Law (Acquis Principles), Contract I, Pre-contractual Obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007, 163.

<sup>507</sup> DG Justice Guidance Document, European Commission, DG Justice, June 2014.

[http://ec.europa.eu/justice/consumer-marketing/files/crd\\_guidance\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/consumer-marketing/files/crd_guidance_en.pdf), 37-46.

<sup>508</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011.

<sup>509</sup> Directive 2011/83, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32011L0083>

შემთხვევაში, შეტყობინების დროულად განხორცილების მტკიცების ტვირთი მასზე გადადის. ამიტომაც, მომხმარებლის ინტერესებშია იხელმძღვანელოს შეთავაზებული ალტერნატივით ხელშეკრულების უარყოფის უფლების რეალიზებისას.<sup>510</sup>

#### 6.4.2. წერილობითი შეტყობინების ადრესატამდე მიუსვლელობის რისკი

მართალია, ხელშეკრულების უარყოფის უფლების ზეპირი ფორმით რეალიზებისას მომხმარებელს აწევს მისი დროულად განხორციელების მტკიცების ტვირთი, მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ მომხმარებელს გარკვეული უხერხელობა წარმოქმნას წერილობითი ფორმით უფლების რეალიზების დროსაც. ცხადია, რომ უფლების განხორცილების შესახებ დროული შეტყობინება მისი ეფექტის ერთ-ერთი წინაპირობაა. მაგრამ, თუ დროულად გაგზავნილი წერილობითი შეტყობინება არ მიუვა ადრესატს, მაგალითად, იმის გამო, რომ იგი გზაში დაიკარგა, იბადება კითხვა, ჩაითვლება თუ არა ხელშეკრულების უარყოფის უფლება რეალიზებულად, ან რამდენად აწევს მომხმარებელს შეტყობინების დაგვიანებით მისვლის ან საერთოდ მიუსვლელობის მტკიცების ტვირთი.<sup>511</sup>

ამ შემთხვევისათვის ერთმანეთისაგან უნდა გავმიჯნოთ ორი მოცემულობა. პირველია, როდესაც უფლებამოსილი პირი შეტყობინებას ხელშეკრულების უარყოფის შესახებ გააგზავნის მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში, მაგრამ იგი ადრესატს მიუვა განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ. მაგალითად, მომხმარებელმა თავისი უფლებით ისარგებლა დადგენილი ვადის ბოლო, მე-14 დღეს, ადრესატს კი იგი მიუვიდა რამდენიმე დღის დაგვიანებით.

ამ კაზუსის გადასაწყვეტად მნიშვნელოვანია იმ გარემოების ხაზგასმა, რომ ხელშეკრულების უარყოფისათვის განსაზღვრული ვადა ვრცელდება მხოლოდ მომხმარებლებზე. ეს იმას ნიშნავს, რომ იგი არ ეკუთვნის მეწარმეებს. კერძოდ, მოსაფიქრებელი ვადის დანიშნულებაა მომხმარებლისათვის დამატებითი ვადის მიცემა და არა ამ ვადაში მეწარმისათვის შეტყობინების მისვლა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მომხმარებელი უფლებამოსილია მთელი ეს დრო გამოიყენოს დადებული ხელშეკრულების შედეგების გადასახედად. მთავარია, რომ ხელშეკრულების უარყოფაზე ნების გამოვლენა განხორციელდეს 14 დღიან ვადაში, თუნდაც ამ ვადის ბოლო დღეს. ამ თვალსაზრისით მნიშვნელობა არა აქვს შეტყობინება ადრესატს მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში მიუვა თუ ამ ვადის გასვლის შემდეგ. შეტყობინება სამართლებრივი ძალის მქონეა, თუ იგი განხორციელდა დადგენილი ვადის ფარგლებში. მეტიც, თუ შეტყობინება გაგზავნილია მეწარმის უკანასკნელ ცნობილ მისამართზე, ის

<sup>510</sup> Directive 2011/83, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32011L0083>

<sup>511</sup> Loos M., The Right Of Withdrawal, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 264.

ეფაქტურად ჩაითვლება ისევე, როგორც თუ შეტყობინება გაგზავნილია მის უპანასკნელ ცნობილ ელექტრონულ მისამართზე.<sup>512</sup>

მაგალითად, მომხმარებელი უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. უფლებამოსილი პირი უგზავნის წერილს მეორე მხარეს, სადაც გაცხადებულია ხელშეკრულების უარყოფის ნება. უფლებამოსილი პირი აგდებს თავის წერილს საფოსტო ყუთში მოსაფიქრებელი ვადის ბოლო დღეს. წერილი მეორე მხარეს მიუვა სამი დღის დაგვიანებით. იმის გათვალისწინებით, რომ უფლების რეალიზება მოხდა დადგენილ ვადაში და მიუვიდა კიდევაც მეორე მხარეს, უარყოფა განხორციელებულად ჩაითვლება.<sup>513</sup> საგულისხმოა, რომ შეტყობინების გაგზავნის ეს მოდელი მოქმედებს ევროპის წევრი სახელმწიფოების უმრავლესობაში, მაგალითად, გერმანიაში, ბელგიაში, ესტონეთში, ლატვიაში, პოლონეთში, პორტუგალიაში და ა.შ.<sup>514</sup>

ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით უფრო რთულადაა საქმე, როცა, მაგალითად, შეტყობინება ხელშეკრულების უარყოფის შესახებ დროულად გაიგზავნა, მაგრამ ვერ მიაღწია ადრესატამდე. ამ შემთხვევისთვის ევროპელი კანონმდებელი ყურადღებას ამახვილებს რამდენიმე გარემოებაზე: 1) ჩაითვლება თუ არა ხელშეკრულება უარყოფილად დაკარგული შეტყობინების დროს; 2) შესაძლებელია თუ არა განმეორებითი შეტყობინების გაგზავნა და 3) რა მომენტიდან ჩაითვლება განმეორებითი შეტყობინება განხორციელებულად.<sup>515</sup>

პირველ შემთხვევასთან მიმართებაში პოზიციები ერთგვაროვანია. თუ შეტყობინება ხელშეკრულების უარყოფის შესახებ საერთოდ არ მისვლია ადრესატს, მაშინ უფლების განხორციელება არაეფექტურია.<sup>516</sup> მაგალითად, ერთი მხარე უფლებამოსილია უარი თქვას ხელშეკრულებაზე. წერილი ხელშეკრულების უარყოფის შესახებ გაგზავნილია დავაში, მაგრამ იგი დაიკარგა ფოსტაში და ამიტომ არ მიუღწევია ადრესატისათვის. წერილის გაგზავნის მტკიცების ტვირთი აწევს მომხმარებელს. მტკიცებულების

<sup>512</sup>Stone R., *The Modern Law of Contract*, fifth edition, Cavendish Publishing limited, Portland, Oregon, USA, 2002, 64.

<sup>513</sup>Principles of the Existing EC Contract Law (Acquis Principles), Contract I, Pre-contractual Obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007, 174.

<sup>514</sup>Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR), ed., by Von Bar Ch., Clive E., Schulte-Nolke H., and others, Sellier, ELP, Munich, 2009, www. Law-net.eu., 386.

<sup>515</sup>Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR), ed., by Von Bar Ch., Clive E., Schulte-Nolke H., and others, Sellier, ELP, Munich, 2009, 293, www. Law-net.eu., 386.

<sup>516</sup>Loos M., *The Right Of Withdrawal, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law*, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 265; Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR), ed., by Von Bar Ch., Clive E., Schulte-Nolke H., and others, Sellier, ELP, Munich, 2009, 293, www. Law-net.eu., 386;

არარსებობის შემთხვევაში, უარყოფის უფლება ვერ ჩაითვლება განხორცილებულად.<sup>517</sup>

მაშინაც, როცა ხელშეკრულების უარყოფა ხდება ნაგულისხმევი შეტყობინების ფორმით, (საქონლის უკან დაბრუნებით), ხოლო გაგზავნილი საქონელი გზაში დაიკარგება და არ მიუვა ადრესატს, შეტყობინება ჩაითვლება დროულად, მაგრამ არაეფექტურად.<sup>518</sup> დასახელებულ შემთხვევებში მომხმარებელთა უფლებების დაცვა უნდა მოხდეს საერთო საფუძვლებით, მაგალითად, ზიანის ანაზღაურების ნორმებზე მითითებით. თუმცა, განსხვავებულად გადაწყდება საკითხი შეტყობინებისა და საქონლის დაკარგვისას. პირველ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი დაამტკიცებს, რომ შეტყობინება დროულად გააგზავნა, მაგრამ იგი დაიკარგა მესამე პირის ბრალით, მას, სავარაუდოდ, უნდა მიეცეს შანსი არასასურველი ხელშეკრულებიდან ხელმეორედ თავის დასაღწევად. იმის გათვალისწინებით, რომ ამ დროისათვის ხელშეკრულების საგანი ჯერ კიდევ მომხმარებლის ხელშია, მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა უფლებამოსილი პირისათვის ახალი შეტყობინების გაგზავნით, დააბრუნოს საქონელი და მიიღოს შესაბამისი ანაზღაურება.

ნაგულისხმევი შეტყობინების ფორმით ხელშეკრულების უარყოფისას არათანაზომიერი იქნება მეწარმისაგან ხელშეკრულების საგანში გადახდილი თანხის უკან დაბრუნების მოთხოვნა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში ისიც დაზარალებული გამოდის. მესამე პირის დაუდევრობის, უყურადღებობის თუ სხვა მიზეზის გამო საქონლის ადრესატამდე მიუსვლელობა ტვირთად არ უნდა დააწვეს მეწარმეებს. ასეთ შემთხვევებში გამართლებული იქნება, თუ მესამე პირს ზიანის ანაზღაურების ვალდებულება დაეკისრება ორივე მხარის მიმართ: მომხმარებელს უნდა დაუბრუნდეს საქონელში გადახდილი თანხა, ხოლო მეწარმეს - საქონლის დირებულება.

ევროპელი კანონმდებელი ასევე ითვალისწინებს განმეორებითი შეტყობინების გაგზავნის შესაძლებლობას. ეს ის შემთხვევაა, როცა, მაგალითად, პირველადი შეტყობინება დროულად გაიგზავნა, მაგრამ არ მიუვიდა ადრესატს. მომხმარებელი უფლებამოსილია გააგზავნოს ხელმეორე შეტყობინება და მიუთითოს, რომ პირველი დაიკარგა მისი ბრალის გარეშე. რა თქმა უნდა, მომხმარებელმა სათანადო მტკიცებულების წარდგენით უნდა დაადასტუროს, რომ პირველი შეტყობინება ნამდვილად გაგზავნილია შესაბამის ვადაში. თუ მეორე შეტყობინება ადრესატს მიუვა, ხელშეკრულების უარყოფის უფლება რეალიზებულად ჩაითვლება,

<sup>517</sup>Principles of the Existing EC Contract Law (Acquis Principles), Contract I, Pre-contractual Obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007, 174.

<sup>518</sup> Principles of the Existing EC Contract Law (Acquis Principles), Contract I, Pre-contractual Obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007,173.

გარდა ამისა, მომხმარებელთა უმრავლესობა ხელშეკრულების უარყოფაზე თავის ნებას გამოხატავს ონლაინ რეჟიმში, ინტერნეტის მეშვეობით. ამიტომაც დღეს ელექტრონულ კომერციაში ჩაბმულ პირებს დამატებით მოეთხოვებათ მომხმარებლების უზრუნველყოფა ხელშეკრულების უარყოფის უფლების რეალიზების ელექტრონული ფორმატით, ონლაინ რეჟიმში შესავსები ფორმით. თავის მხრივ, ეს წარმოშობს ელექტრონული წესით გაგზავნილი შეტყობინების ადრესატამდე მისვლის განმარტების საკითხესაც.

ელექტრონული შეტყობინების გაგზავნილად მიჩნევის საკითხი რამდენიმე აქტით რეგულირდება. ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს გაეროს კონვენცია საერთაშორისო ხელშეკრულებებში ელექტრონული კომუნიკაციის გამოყენების შესახებ<sup>520</sup> და უნციტრალის მოდელური კანონი ელექტრონული კომერციის შესახებ.<sup>521</sup> გაეროს დასახელებული კონვენცია, ელექტრონულ შეტყობინებას გაგზავნილად მიიჩნევს იმ მომენტიდან, როცა იგი დატოვებს გამგზავნის კონტროლის ქვეშ მყოფ საინფორმაციო სისტემას. უნციტრალის მოდელური კანონი კი მიუთითებს, რომ ელექტრონული შეტყობინების გაგზავნის მომენტად ითვლება დრო, როცა ელექტრონული შეტყობინება შეაღწევს გამგზავნის კონტროლის ფარგლებს გარეთ არსებულ საინფორმაციო სისტემაში. უნდა ადინიშნოს, რომ ევროკომისიის დირექტივა ელექტრონული კომერციის შესახებ ყურადღებას ამახვილებს არა გაგზავნის მომენტზე, არამედ შეტყობინების მიღებაზე ადრესატის მიერ. კერძოდ, მითითებული დირექტივის თანახმად, ელექტრონული წესით გაგზავნილი შეტყობინება მიღებულად ჩაითვლება, თუ შეტყობინების მიმღებ მხარეს აქვს მასზე წედომის შესაძლებლობა. ანუ იმ მომენტიდან, როცა გაგზავნილი შეტყობინება შეაღწევს ადრესატის სერვერზე.<sup>522</sup>

ამ შემთხვევაში მნიშვნელობა არ ენიჭება იმას, მეწარმე გაეცნო თუ არა მიღებული შეტყობინების შინაარსს. როგორც კი იგი აღწევს მის კონტროლს დაქვემდებარებულ სერვერს, მაგალითად, ელექტრონულ საფოსტო ყუთს, ხელშეკრულების უარყოფის უფლება რეალიზებულად ითვლება. ამასთან, არ არის გამორიცხული, რომ პროგრამული ცდომილების გამო ადრესატს შეტყობინება არ მიუვიდეს. თუმცა, ფოსტით გაგზავნისაგან განსხვავებით, ელექტრონული სისტემა ავტომატურად ატყობინებს

<sup>519</sup> Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR), ed., by Von Bar Ch., Clive E., Schulte-Nolke H., and others, Sellier, ELP, Munich, 2009, 293, www. Law-net.eu., 387.

<sup>520</sup> United Nations Convention on the Use of Electronic Communications in International Contracts, UNCITRAL secretariat, Vienna International Centre, P.O. Box 500, 1400 Vienna, Austria.

<sup>521</sup> UNCITRAL Model Law on Electronic Commerce with Guide to Enactment 1996 with additional article 5 bis as adopted in 1998, UNITED NATIONS, New York, 1999

<sup>522</sup> Wang F.F., Law of Electronic Commercial Transactions, Contemporary issues in EU, US and China, Rutledge Research in IT and E-Commerce Law, Taylor & Francis Group, New York 2010, 38-48.

გამგზავნს შეტყობინების ადრესატამდე მიუსვლელობის შესახებ. ელექტრონული კომუნიკაციის სისტრაფის გამო მხარეთა ურთიერთობის ხარვეზი თვალსაჩინოა. ამიტომაც, სასრველია, რომ შეტყობინების გამგზავნი დაელოდოს და დარწმუნდეს მისი ნების ადრესატამდე მისვლაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მოუწევს იმის მტკიცება, რომ შეტყობინება დროულად იქნა გაგზავნილი, მაგრამ შეფერხდა მისი ადრესატამდე მისვლა. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ გაგზავნილი შეტყობინების ნამდვილობის საკითხი ყველა შემთხვევაში წყდება ადრესატამდე მისი მისვლის საზომით. ხელშეკრულების უარყოფის ეფექტი თავის მიზანს აღწევს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარეს ეცნობება უფლებამოსილი პირის გადაწყვეტილების შესახებ.

## VII. ხელშეკრულების უარყოფის უფლება ფინანსური მომსახურების ხელშეკრულებებში

### 7.1. ევროპული მიღგომა

ევროპის სახელშეკრულებო სამართალში ხელშეკრულების უარყოფის უფლება, როგორც მომსმარებელთა უფლებების დამცავი ინსტრუმენტი, 2011/83 დირექტივის მიღებამდე, ასევე ვრცელდებოდა ისეთი ფინანსური მომსახურების ხელშეკრულებებზე, რომლებიც სხვადასხვა ხელშეკრულებათა კავშირს წარმოადგენდა და ერთობლიობაში ურთიერთდაკავშირებულ ხელშეკრულებად ითვლებოდა. ასეთი მიღგომა ძირითადად სამომსმარებლო კრედიტს უკავშირდებოდა,<sup>523</sup> როდესაც კრედიტის გაცემას განაპირობებდა სამომსმარებლო ხელშეკრულების დადების მიზანი. თავისი არსით, ამ დროს იდებოდა ორი დამოუკიდებელი ხელშეკრულება, რომელთაგან ერთი მომსმარებლის საყოფაცხოვრებო ინტერესების დაკმაყოფილებას უკავშირდება – სამომსმარებლო ხელშეკრულება, ხოლო მეორე, ამ ხელშეკრულების დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა - სამომსმარებლო კრედიტი. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, აქ უპირატესად იგულისხმებოდა სამომსმარებლო სესხი ან/და ისეთი ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომელთა დადება დამოკიდებული იყო სამომსმარებლო კრედიტთან და ემსახურება შესასყიდი ფასის დაფინანსებას.

უნდა აღინიშნოს, რომ სამომსმარებლო კრედიტებში ხელშეკრულების უარყოფის უფლება მოიაზრებოდა ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების კონტექსტში და ექცევოდა 85/577 დირექტივის მოქმედების ფარგლებში.<sup>524</sup> კერძოდ, ასეთი მიღგომა გამოიკვეთა ევროპის მართლმსაჯულების

<sup>523</sup> M. Loos, Rights of Withdrawal, at Modernising and Harmonising Consumer Contract Law, G. Howells, R., Schulze eds, European Law Publishers, Sellier, Munich, 2009, 249.

<sup>524</sup> Council Directive 85/577/EEC of 20 December 1985 to protect the consumer in respect of contracts negotiated away from business premises.

სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში საქმეზე Georg Heininger and Helga Heininger v Bayerische Hypo – und Vereinsbank AG.<sup>525</sup>

საქმე ეხებოდა უზრუნველყოფილი კრედიტის ხელშეკრულებას, რომლის დადება მოხდა მეწარმის მუდმივი ადგილსამყოფელისაგან მოშორებით, კერძოდ მომხმარებელთა შემოსასვლელი სახლის კართან. წლების შემდეგ მისტერ და მისის პეინინგებმა უარი განაცხადეს ხელშეკრულებაზე იმ საფუძვლით, რომ ხელშეკრულების დადებისას, ბანკის სახელით მოქმედმა აგენტმა არ უზრუნველყო მათი ინფორმირება ხელშეკრულების უარყოფის უფლებასთან დაკავშირებით. საგულისხმოა, რომ მოპასუხის შესაგებელი სხვა ფაქტებთან ერთად ემყარებოდა იმ გარემოებას, რომ სარჩელის აღმდეგის მომენტისათვის გასული იყო უარყოფის უფლების რეალიზების ვადა.

თავის 2001 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილებაში სასამართლომ მიუთითა, რომ „მეწარმეთა ადგილსამყოფელისაგან მოშორებით დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ 85/577 დირექტივა“ ასევე ვრცელდება არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ საკრედიტო ხელშეკრულებებზეც. უფრო მეტიც, სასამართლომ განმარტა, რომ დაუშვებელია მოსაფიქრებელი ვადის დაწესება იმ შემთხვევებში, როცა ხელშეკრულების დადებისას მომხმარებელი არ იყო სათანადოდ ინფორმირებული უარყოფის უფლებასთან დაკავშირებით, ვინაიდან, ამ სახის ინფორმაციის მიწოდება დირექტივის მე-4 მუხლის თანახმად, მეწარმის ვალდებულებას წარმოადგენდა<sup>526</sup>.

მოგვიანებით, ეჭვეჭვაშ დადგა ხელშეკრულების უფლების პრაქტიკული გამოყენების მნიშვნელობა ისეთ ურთიერთდაკავშირებულ ხელშეკრულებებში, როგორიცაა სამომხმარებლო კრედიტი. რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული, რომ ასეთი ხელშეკრულებებიც დაიდოს ქუჩაში, სიჩქარეში ან სამოგზაურო განწყობით, რა დროსაც მომხმარებელს არ შეუძლია ჩაწვდეს დადებული ხელშეკრულებისა და ნაკისრი ვალდებულების მნიშვნელობას. მსგავს ვითარებაში მართლაც შესაძლებელია მომხმარებელს სჭირდებოდეს გარკვეული დრო ხელშეკრულების პირობების გასააზრებლად და ადეკვატური გადაწყვეტილების მისაღებად, განსაკუთრებით კი როცა საქმე ეხება გრძელვადიან ფინანსურ ვალდებულებებს. თუმცა, მკვლევართა აზრით, სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებაში უარყოფის უფლების რეგლამენტაციით, კანონმდებლმა შეცვალა მანამდე არსებული უფრო მკაცრი მოთხოვნები, რომლებიც მიუხედავად იმპერატიული ხასიათისა უფრო გასაგები იყო ადექვატურად მოაზროვნე მომხმარებლისათვის.<sup>527</sup>

<sup>525</sup> Case C-481/99, Georg Heininger and Helga Heininger v Bayerische Hypo – und Vereinsbank AG [2001].

<sup>526</sup> Case C-481/99, Georg Heininger and Helga Heininger v Bayerische Hypo – und Vereinsbank AG [2001].

<sup>527</sup> Prof. Dr. Peter Rott, Harmonizing Different Rights of Withdrawal: Can German Law Serve as an Example for EC Consumer Law?, Developments, German Law Journal, [vol. 07 No. 12, 2006, 1110].

საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული გადაწყვეტილების გავლენით, გერმანელმა კანონმდებელმა მოახდინა რა ხელშეკრულების უარყოფის უფლების რეგლამენტაცია საცხოვრებელი სახლის კართან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ აქტში, გააუქმა მანმადე მოქმედი აკრძალვა საცხოვრებელი სახლის კართან სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულების დადების შეუძლებლობის შესახებ. თუმცა, მოვლენებმა, რომლებიც განვითარდა პეინიგერების, შულტეს და კრაილსემერ ვოლკბანკის<sup>528</sup> სააქმეებში გაამყარა ეჭვი, რომ ეს მცდარი გადაწყვეტილება იყო.<sup>529</sup>

სწორედ აღნიშნული სულისკვეთება აისახა დღეისათვის უახლეს 2011/83 დირექტივაში „მომხმარებელთა უფლებების შესახებ”, სადაც პირდაპირ არის აღნიშნული, რომ ეს დირექტივა არ ვრცელდება ფინანსურ სერვისებზე. ამავდროულად, დირექტივა იძლევა ფინანსური სერვისის განმარტებასაც, რომლის მიხედვით ასეთად ითვლება ნებისმიერი საბანკო მომსახურება, სადაზღვევო, საპენსიო, საინვესტიციო ოპერაციები ან სხვა საგადახდო ბუნების ოპერაციები. ამასთან, დირექტივის 32-ე განმარტებაში აღნიშნულია, რომ წევრ-სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ შესაბამისი დაცვითი დონისძიებების გადატება ყველა იმ ხელშეკრულებებში, რომელებიც უკავშირდება მომხმარებელთა უფლებებს ფინანსური მომსახურების სფეროში.<sup>530</sup> ამდენად, ახალი დირექტივის მიღებით, უარი ითქვა ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოქმედებაზე ფინანსური

<sup>528</sup> Heininger, Schulte an crailsheimer Volksbank cases. გერმანიის ორმა სასამართლომ მიმართა ეკროპის მართლმსაჯულების სასამართლოს, შემოსახვლელ კართან დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების შესახებ დირექტივის განმარტებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ამ სასამართლოების წარმოებაში იყო დავები უძრავი ქონების ინვესტორებსა და ბანკებს შორის საინვესტიციო გადახდის გრაფიკებთან დაკავშირებით. სადაც სადავო ხელშეკრულებებთან მიმართებებში წინასახლშეკრულებო მოლაპარაკებები, ანუ მხარეთა შეთანხმება ხელშეკრულების არსებით პირობებზე შედგა მომხმარებელთა საცხოვრებელ სახლის კართან. თავდაპირველად სასამართლომ განმარტა, რომ დირექტივის მოქმედება არ ვრცელდება უძრავ ნივთებთან დაკავშირებით დადებულ ხელშეკრულებებზე და, არც ის გამორიცხა, რომ სამომხმარებლო კრედიტზე უარის თქმის შემთხვევაში, მომხმარებელს შეიძლება დაეკისროს აღებული კრედიტის დაფარვის ვალდებულება. მიუხედავად ამისა, სასამართლო დაადგინა, რომ იმ შემთხვევაში, როცა მომხმარებელი სათანადო წესით არ არის ინფორმირებული ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ, ინვესტიციებთან დაკავშირებული რისკის მატარებელია ბანკი. კერძოდ, ბანკს დადგენილი წესით, რომ გაეფრთხილებინა მომხმარებელი ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ, მომხმარებელს ექნებოდა შესაძლებლობა უარი ეთქვა ხელშეკრულების დადებაზე და ამით თავიდან აეცილებდა მისთვის არასასურველი შედეგის დაგომას. შეძლებდა არსებული რისკებზე დაფიქრებას, როგორიცაა ნასყიდობის მომენტისათვის ქონების გადაჭარბებული დირექტულება, შემოსავლის მიღების მოლოდინი და უძრავი ქონების ბაზარზე არსებულ ფასებზე მცდარი წარმოდგენა. Cases C-350/03 Elisabeth Schulte and Others v Deutsche Bausparkasse Badenia and C-229/04 Crailsheimer Volksbank v Klaus Conrads and Others, judgments of 25.10.2005 , [http://ec.europa.eu/dgs/legal\\_service/arrets/03c350\\_en.pdf](http://ec.europa.eu/dgs/legal_service/arrets/03c350_en.pdf) [24.03.2013].

<sup>529</sup> PProf. Dr. Peter Rott, Harmonizing Different Rights of Withdrawal: Can German Law Serve as an Example for EC Consumer Law?, Developments, German Law Journal, [vol. 07 No. 12, 2006, 1113].

<sup>530</sup> Directive 2011/83/EU of The European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Official Journal of the European Union, L 304/64, 22.11.2011.

მომსახურების სფეროში და, მათ შორის, სამომხმარებლო კრედიტსა და მასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებში.

## 72. ქართული რეალობა

სამომხმარებლო კრედიტი და მისი უარყოფის შესაძლებლობა რეგლამენტირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 370-ე მუხლში. დასახელებული მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, სამომხმარებლო კრედიტის დროს კრედიტის მიმღებს შეუძლია უარი თქვას კრედიტის დაბრუნებაზე, თუ ამ კრედიტთან დაკავშირებული სასყიდლიანი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებელი გამყიდველის მიმართ მას მიანიჭებდა თავისი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებას.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულება საკრედიტო ხელშეკრულებასთან ერთად ქმნის ურთიერთდაკავშირებულ გარიგებას, თუ კრედიტი ემსახურება შესასყიდი ფასის დაფინანსებას და ორივე ხელშეკრულება განიხილება როგორც ეკონომიკური ერთიანობა. ეკონომიკურ ერთიანობად ჩაითვლება, როცა კრედიტის მიმცემი საკრედიტო ხელშეკრულების მომზადების ან დადების დროს გამყიდველის მონაწილეობას იყენებდა.<sup>531</sup>

საგულისხმოა, რომ ნორმის დისპოზიცია განმარტებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარებშიც, სადაც მისი არსი, სწორედ ნასყიდობის ხელშეკრულების დაფინანსების ჭრილშია მოცემული. კერძოდ, ასეთ შემთხვევაში: „საკრედიტო ხელშეკრულების დადებას აზრი არა აქვს, თუ კი არაა სხვა ხელშეკრულება, რომლის რეალიზებასაც ემსახურება საკრედიტო ხელშეკრულება. ასეთია ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც ამავდროულად დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა. ამასთან, ორივე ეს ხელშეკრულება ერთმანეთისაგან სამართლებრივად დამოუკიდებელია, მაგრამ ერთიანია ეკონომიკურად. სწორედ ეკონომიკური ერთიანობა განაპირობებს ამ ხელშეკრულების ურთიერთდაკავშირებულ გარიგებად მიწნევას, სადაც კრედიტი ემსახურება შესასყიდი ფასის დაფინანსებას. ამასთან, თუკი, მაგალითად, მომხმარებლის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებით შეძნილი ნივთი უხარისხო აღმოჩნდა და იგი ამ შესაგებლის გამო უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მას შეუძლია უარი თქვას სესხის დაბრუნებაზეც.”<sup>532</sup>

უნდა აღინიშნოს, რომ ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებებიდან წარმოშობილ დავებში იშვიათად გამოიყენება ზემოაღნიშნული მუხლის დანაწესი. ასევე, იშვიათია შემთხვევები, როცა მომხმარებელი თავისი უფლებების დასაცავად სამომხმარებლო კრედიტის

<sup>531</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებაზე, 31, 24/07/1997.

<sup>532</sup> ბ. ზოიძე, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომც., „სამართალი“, თბ., 2001, მუხლი 370-ე, 301.

ხელშეკრულებებში იყენებს ხელშეკრულების უარყოფის უფლებას.<sup>533</sup> სავარაუდოდ ეს იმით არის განპირობებული, რომ თავად საკრედიტო დაწესებულებების მიერ შეთავაზებული საკრედიტო ხელშეკრულებები არ იძლევა ამის შესაძლებლობას სწორედ იმის გათვალისწინებით, რომ სამომხმარებლო კრედიტი, მისი სხვა ხელშეკრულებასთან მჭიდრო კავშირის პირობებშიც, განიხილება დამოუკიდებელ ხელშეკრულებად და ცალკე რეგულირებას ექვემდებარება. შეიძლება ითქვას, რომ ურთიერთდაკავშირებული ხელშეკრულებების უარყოფის უფლების საკანონმდებლო რეგლამენტაციის მიუხედავად, ეს მექანიზმი არ აღმოჩნდა ქმედითი მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით საქართველოშიც.

ნიშანდობლივია, რომ საქართველოსა და ევროპავშირს შორის დადებული ასოცირების შეთანხმების ფარგლებში, ახლებურად უნდა მოწესრიგდეს არა მხოლოდ მომხმარებლის უფლება უარყოს ქუჩაში ანდა დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებები, არამედ ცალკეა გამოყოფილი სამომხმარებლო კრედიტის მარეგულირებელი ნორმების გადახედვის ვალდებულებაც. კერძოდ, ასოცირების შეთანხმება შეიცავს დათქმას იმის თაობაზე, რომ საქართველოს სახელმწიფო ვალდებულია მოახდინოს სამომხმარებლო კრედიტის შესახებ ევროპული დირექტივის 2008/48<sup>534</sup> იმპლემენტაცია შიდა კანონმდებლობაში ასოცირების შეთანხმებით ძალაში შესვლიდან ხუთი წლის განმავლობაში. „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ 2011/83 დირექტივის დანაწესებთან ერთობლიობაში (დირექტივის მოქმედება არ ვრცელდება ფინანსური მომსახურების სფეროზე, შესაბამისად, ხელშეკრულების უარყოფის უფლებაც არ მოქმედებს სამომხმარებლო კრედიტთან მიმართებაში), ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 370-ე მუხლის არსებული რეგულაცია გადახედვას საჭიროებს მისი ევროპულ სტანდარტებთან დაახლოების თვალსაზრისით.

### VIII. ხელშეკრულების უარყოფის უფლების შედარება მბოჭავი ძალისაგან გათავისუფლების სხვა ინსტიტუტებთან

#### 8.1. ხელშეკრულების უარყოფის უფლება მერყევად ბათილი გარიგებების შეცილების საფუძვლებთან მიმართებაში

ევროპის სახელშეკრულებო სამართალში დამკვიდრებული უარყოფის უფლება მომხმარებებს „არასწორად“ გამოვლენილი ნებისაგან იცავს.

<sup>533</sup> საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 370-ე მუხლთან მიმართებაში მიღმიღებული გადაწყვეტილებები არ იძებნება საჯაროდ ხელმისაწვდომ საძიები სისტემებში. იხ. <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>; ან/და <http://www.library.court.ge/index.php?cat=44> ამასთან, მისაღები იქნება ნებისმიერი შენიშვნა ამ მიმართულებით სასამართლო პრაქტიკის მოძიების თვალსაზრისით.

<sup>534</sup> Directive 2008/48/EC of the European Parliament and of the Council of 23 April 2008 on credit agreements for consumers.

თუმცა, იგი არ განიხილება შეცდომით, მოტყუებით ანდა იძულებით გამოვლენილი ნების ანალოგად. ამავდროულად, შეიძლება ითქვას, რომ მომხმარებლისათვის მინიჭებული ხელშეკრულების უარყოფის უფლების უკან სწორედ გარიგების ბათილად ცნობის მითითებული საფუძვლების საერთო კონცეფცია დგას.

მომხმარებლისათვის „გადაფიქრების“ უფლების მინიჭებას ორი ძირითადი ფაქტორი განაპირობებს: მეწარმის ფსიქოლოგიური ზეწოლისაგან დაცვა და არასათანადო ინფორმაციის მიწოდების შედეგად დადებული ხელშეკრულების შედეგებისაგან გათავისუფლება.<sup>535</sup> ორივე მათგანი უკავშირდება მომხმარებლის ნების ფორმირებაზე მეწარმეთა უარყოფით გავლენას და იწვევს შინაგან ნებასთან შეუსაბამო გადაწყვეტილების მიღებას. ამ თვალსაზრისით, უარყოფის უფლება მიმართულია მომხმარებლის მიერ გამოვლენილი ნების ნაკლის გასასწორებლად და ხელშეკრულების მბოჭავი ძალისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას იძლევა.

ნების თეორია, რომლის ფუძემდებელიც ფრედერიკ სავინია, ხელშეკრულების მბოჭავ ძალას უკავშირებს პერსონალურ ავტონომიას. სახელშეკრულებო პირობათა სავალდებულობა მხარეთა ნებაყოფლობითი გადაწყვეტილების, თავისუფალი ნების შედეგს უნდა წარმოადგენდეს. ნების გამოვლენის ნაკლი კი აკნინებს პირობის ნამდვილობას და ხელშეკრულების უარყოფის საფუძველად ითვლება.<sup>536</sup> ნების გამოვლენის ნამდვილობაზე საუბრისას სავინი სამ ელემენტს გამოყოფს: ნებას, მის გამოვლენას და მათ ურთიერთშესაბამისობას. ამ სამი ელემენტიდან ერთ-ერთის სარვეზი ნების გამოვლენის არარსებობას ან არანამდვილობას იწვევს.<sup>537</sup>

სწორედ ნების თავისუფლება, მისი შესაბამისობა ინდივიდის შინაგან მოთხოვნილებებთან და რეალიზების შესაძლებლობები განსაზღვრავს მხარეთა თანასწორობას ურთიერთობაში. ნებისმიერი ზემოქმედება ნების ფორმირებაზე სახელშეკრულებო მოლაპარაკების ნაკლად აღიქმება.<sup>538</sup> ერთ შემთხვევაში ეს შეიძლება იყოს ხელშეკრულების დადების ფორმალური, ხოლო სხვა შემთხვევაში - პროცედურული წესების დარღვევა. სამართლებრივი შედეგის წარმოშობა შესაძლოა დაუშვებელი იყოს გარიგების შინაარსის, მისი დადების გარემოებების, ნების გამოვლენის ფორმის, ნების ნაკლისა და მისი გამოვლენის სარვეზების გამო, რაც

<sup>535</sup> Smith J.M., Rethinking the Usefulness of Mandatory Rights of Withdrawal in Consumer Contracts Law: The Right to Change Your Mind?, Maastricht European Private Law Institute, Working Paper No. 2001/01, 7,<[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1719104](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1719104)>,[21.11.2013].

<sup>536</sup> Markesinis B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 263.

<sup>537</sup> კერძებულებები და კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 261.

<sup>538</sup> *ib.* ცვაიგერტი კ. კოტევი პ. შედარებითი სამართლამცოდნეობის შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი I, გამომც., „ჯისია“, თბ. 2000 წ. 16.

შეიძლება უკავშირდებოდეს პიროვნების გაცნობიერებულ ან უნებლივ მოქმედებას.<sup>539</sup>

ამასთან, რამდენიმე პროცედურული სტანდარტი შეიძლება მივიჩნიოთ ხელშეკრულების ბათილად ცნობის კლასიკურ საფუძვლად, მაგალითად, შეცდომით, მოტყუებითა და იძულებით დადებული გარიგებები. ოუმცა, მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან თავს იმკვიდრებს ხელშეკრულების მბოჭავი ძალისაგან გათავისუფლების ახალი სტანდარტი - მომხმარებლისათვის მინიჭებული ხელშეკრულების უარყოფის ცალმხრივი უფლება, რომელიც, ერთი მხრივ, იცავს ურთიერთობის კონკრეტული სუბიექტის - მომხმარებლის სახელშეკრულებო თავისუფლებას, ხოლო, მეორე მხრივ, უზრუნველყოფს მისთვის ხელშეკრულებისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას.

ტრადიციულად, შემთხვევები, სადაც გარეგნულად გამოვლენილი ნება არ ემთხვევა მისი გამომვლენის შინაგან ნებას და მხოლოდ სხვადასხვა გარეშე ფაქტორების ზემოქმედებით ხორციელდება, კერძო სამართალში ნების ნაკლის სახელითაა ცნობილი.<sup>540</sup> ამასთან, მერყვად ბათილი გარიგებების კლასიკურ სახეებად მიიჩნევა შეცდომის, მოტყუების ან იძულების შედეგად დადებული გარიგებები, რომელთა შეცილების უფლება უზრუნველყოფს ინდივიდის შესაძლებლობას მისი შინაგანი ნების საწინააღმდეგოდ წარმოშობილი სამართლებრივი შედეგები, ხელახალი ნების გამოვლენით, დადების მომენტიდან ბათილად აქციოს.<sup>541</sup> ოუმცა, გარიგების მერყევი ბათილობის ეფექტისათვის უნდა არსებობდეს საეციალური შემადგენლობა. შეცდომით დადებული გარიგების შემთხვევაში სახეზე უნდა იყოს არა ნებისმიერი, არამედ არსებითი შეცდომა. ასეთად კი მიიჩნევა შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში, გარიგების შინაარსში, მის საფუძველში, კონტრაპენტის პიროვნებაში, საგნის ძირითად თვისებაში, შეცდომა მოტივში.<sup>542</sup>

მოტყუებით დადებული გარიგების შემადგენლობისათვის განმსაზღვრელია არა ხელშეკრულების დადებაზე ნების გამომვლენი პირის მიერ გარემოებათა არასწორი შეფასება, არამედ მისი კონტრაპენტის განზრახი, მიზანმიმართული მოქმედება პირის შეცდომაში შესაყვანად,<sup>543</sup> რაც ერთ შემთხვევაში შეიძლება გამოიხატოს ტყუილის თქმაში, ხოლო მეორე შემთხვევაში - სიმართლის დამალვაში.<sup>544</sup> ნების ფორმირებაზე

<sup>539</sup> კერძებული დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009წ. გვ. 262.

<sup>540</sup> ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 365.

<sup>541</sup> კერძებული დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 317.

<sup>542</sup> ჭანტურია ლ. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ. 1997, 364-375.

<sup>543</sup> იქვე, 376-379.

<sup>544</sup> კერძებული დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, , თბ., 2009, 343.

ყველაზე დაუშვებელ და მძიმე ფორმად იძულება მიიჩნევა, რომელიც ნების საწინააღმდეგო მოქმედებად განიხილება. ამასთან, მისი განსხვავება შეცდომითა და მოტყუებით დადებული გარიგებისაგან პირის ცნობიერებაში მდგომარეობს. ეს ის შემთხვევაა, როცა პირმა იცის, რომ დებს მისთვის არასასურველ გარიგებას, მაგრამ იძულების წესით ეთანხმება მას.<sup>545</sup>

მერყევად ბათილი გარიგებების შეცილების უფლება ემყარება იმ საწყისს, რომ მხარეთა შორის შეთანხმების ფორმალურად არსებობის მიუხედავად, სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით, იგი შესაძლოა არანამდვილად იქცეს, თუ ერთ-ერთის ნების გამოვლენა განპირობებულია არასათანადო ინფორმირებულობით, შეცდომაში შეყვანით, ნდობის ბოროტად გამოყენებით ან მისი ნების საწინააღმდეგო გარიგების დადებით. შესაბამისად, გონივრული ნდობისა და ნების გამოვლენის ნამდვილობის პრინციპის საწინააღმდეგო შეთანხმებები, როგორიცაა: შეცდომის, მოტყუების, იძულების ან დაუშვებელი ექსპლუატაციის შედეგად დადებული გარიგებები, მხარეს შეცილების უფლებას ანიჭებს და ხელშეკრულების მბოჭავი ძალისაგან გათავისუფლების შესაძლებლობას იძლევა ბათილად ცნობის გზით. ამასთან, სამართლებრივი შედეგების უკუგების მითითებული საფუძვლები გამომდინარეობს სამართლიანობისა და თანასწორობის პრინციპებიდან და მხარეთა შორის ადექვატული ბალანსის შენარჩუნების უზრუნველყოფას ემსახურება.<sup>546</sup>

ამდენად, ტრადიციული მიდგომის თანახმად, შეცილების წინაპირობაა თავისუფალი თანხმობის არ არსებობა. ამის პარალელურად, მომხმარებლისათვის ხელშეკრულების უარყოფის უფლების მინიჭებით კანონმდებლი წინ უსწრებს მოვლენებს და უშვებს იმის ვარაუდს, რომ მომხმარებლის თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე შესაძლოა არ იყოს მისი თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგი და წინასწარ ანიჭებს მას მომავალში დასადები ხელშეკრულების უფლებას.<sup>547</sup>

### **8.1.1. შეცდომით ნების გამოვლენის თავისებურება დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში**

საგულისხმოა, რომ გარიგების შეცილების დასახელებული ფორმები იმ დროდან იღებს სათავეს, როცა შეთავაზებული საქონლის ანდა მომსახურების მახასიათებლები გაცილებით მარტივი შინაარსის იყო, ხოლო ხელშეკრულების დადების ფორმად მხოლოდ წერილობითი ან ზეპირი შეთანხმება ითვლებოდა. თანამედროვე ტექნოლოგიების სამყაროში

<sup>545</sup> ქართული ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 379; ჯორჯგაძე ხ., შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, „სამართლის უკრნალი“, №2, 2011, 210-211.

<sup>546</sup> Jansen N. and Zimmermann R., Contract Formation and Mistake in European Contract Law: A Genetic Comparison of Transnational Model Rules, Oxford Journal of Legal Studies Advance Access published September 20, 2011, 26. [http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1788882](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1788882) 10.04.2014.

<sup>547</sup> Micklitz H-W., Stuyck J., Terryn E., Cases, Materials and Text on Consumer Law, Oxford and Portland, Oregon, 2010, 243.

გარიგებათა ნამდვილობის მომწესრიგებელი ნორმები, ანგარიშს უწევს ხელშეკრულებების დადების ინოვაციუარ ხერხებს. დისტანციურად ვაჭრობის შესაძლებლობამ და ელექტრონული კომერციის განვითარებამ სამართლებრივი ურთიერთობები ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. ამან წარმოშვა მთელი რიგი რისკები, რომლებიც დაკავშირებულია ნების გამოვლენის ნამდვილობასთანაც.

დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების შეცილება შესაძლოა ეფუძნებოდეს კლასიკური შეცდომის სახეებს, როგორიცაა: შეცდომა გარიგების ტიპის არჩევაში, მის შინაარსში, საფუძველში და ა.შ. მაგრამ არ არის გამორიცხული, რომ თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე მექანიკური ან პროგრამული შეცდომით იყოს გამოწვეული. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ე.წ. გადამამისამართებელი ხელშეკრულებების მაგალითზე, სადაც ხელშეკრულების პირობები მოცემულია ვებგვერდზე მითითებული დამაკავშირებელი ბმულების მეშვეობით. ამ დროს შესაძლებელია მომხმარებელმა მისთვის სასურველი საქონლის შეძენაზე ნების გამოვლენის ნაცვლად, მექანიკურად სხვა დილაქს დააჭიროს ან სხვა ბმულზე გადავიდეს და შედეგად სულ სხვა საქონლის შეძენას დათანხმდეს.<sup>548</sup>

ასეთი შეცდომა ყოველთვის მომხმარებლის დაუდევრობის შედეგი არ არის. იგი შეიძლება გამოწვეული იყოს უშუალოდ პროგრამული ცდომილებით ან მისი არცოდნით, რა დროსაც პირის ნება საერთოდ არ არსებობს. უფრო მეტიც, ხშირად საქონლის თუ მომსახურების შეთავაზება ავტომატურ რეჟიმში, კომპანიის ვებგვერდზე შესვლისთანავე ხდება. პირობების მიღება შესაძლოა არაინფორმირებულობის ანდა ტექნოლოგიური პროცესების არცოდნის შედეგი იყოს. მსგავსი შეცდომა შეიძლება დაშვებულ იქნეს სატელეფონო კავშირგაბმულობის საშუალებებით დადგებულ ხელშეკრულებებშიც, როცა ზარის მოულოდნელი ხასიათი აფერხებს ადექვატური და გაანალიზებული პასუხის გაცემას.<sup>549</sup>

ელექტრონული ხელშეკრულებების სამყაროში მომხმარებლის შეცდომაში შეუვანა შეიძლება გამოწვეული იყოს, როგორც ელექტრონულ პროგრამაში ინფორმაციის შეგანის დროს დაშვებული ცდომილებით, ასევე წინასწარი შეცნობით არასწორი ინფორმაციის მითითებით, რაც გავლენას ახდენს მომხმარებლის გადაწყვეტილებაზე ხელშეკრულების დადებისას. შეიძლება ითქვას, რომ დისტანციურად დადებული ხელშეკრულებები იმითაც განსხვავდება პირისპირ დადებულისაგან, რომ მომხმარებელს პროგრამულად ატვირთულ მონაცემებთან და გადამამისამართებელ ბმულებთან უწევს გამკლავება. თუ მომხმარებელი სათანადოდ არ ერკვევა ახალ ტექნოლოგიებში, ერთი შეხედვით ხელშეკრულების დადების მარტივი

<sup>548</sup> Riefa Ch., The Reform of Electronic Consumer Contracts in Europe: Towards an Effective Legal Framework?, <http://www.lex-electronica.org/docs/articles.pdf>, [08.05.2014], 244-248.

<sup>549</sup> Riefa Ch., The Reform of Electronic Consumer Contracts in Europe: Towards an Effective Legal Framework?, <http://www.lex-electronica.org/docs/articles.pdf>, [08.05.2014], 244.

და კომფორტული ხერხი, შესაძლოა მრავალი უკმაყოფილებისა და იმედგაცრუების მიზეზად იქცეს.<sup>550</sup>

დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში ხელისშემშლელ ფაქტორად ენობრივი ბარიერიც მიიჩნევა. არც თუ ისე იშვიათად ხელშეკრულების პირობები მოცემულია მწარმოებლის ენაზე, რომელსაც არ ფლობს მომხმარებელი. ენის არ ცოდნის ან არასათანხმო ცოდნის გამო მას არ შეუძლია ზუსტად აღიქვას ხელშეკრულებების შინაარსი და მისგან გამომდინარე ვალდებულებების<sup>551</sup> თავის მხრივ, უცოდინრობა, როგორც წესი, ვერ არყევს გარიგების ნამდვილობის ეფექტს და იშვიათად თუ განიხილება გარიგების ბათილად ცნობის საფუძვლად.<sup>552</sup>

ხელშეკრულების უარყოფის უფლების ეფექტი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ იგი იცავს მომხმარებელს არა შეცდომით ნების გამოვლენისაგან, არამედ შეცდომით დადებული ხელშეკრულებისაგან.<sup>553</sup> ამასთან, შეცდომით ნების გამოვლენისას შეცილების უფლების მქონე პირმა უნდა ამტკიცოს ნების ნაკლის არსებითობა, მაშინ როცა, უარყოფის უფლება არ მოითხოვს მომხმარებლისაგან არავითარ დასაბუთებას. ხელშეკრულების მბოჭავი ძალისაგან გასათავისუფლებლად საკმარისია დადებული ხელშეკრულების მიმართ მომხმარებლის სუბიექტურად უარყოფითი დამოკიდებულება. ერთადერთი შეზღუდვა მხოლოდ ვადაშია. უარყოფის უფლების დაცვითი ფუნქცია დადგენილი ვადის გასვლისთანავე ძალას კარგავს.

#### 8.1.2. მოტყუების შედეგად გამოვლენილი ნების თავისებურება მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში

ხელშეკრულების დადებაზე გამოვლენილი ნების ნაკლი შეცდომაში შეყვანითაც შეიძლება იყოს გამოწვეული და მოტყუებით ნების გამოვლენად ჩაითვალოს. ამასთან, შეცდომით დადებული გარიგებისაგან განსხვავებით, მოტყუების შემადგენლობაზე გავლენას არ ახდენს ის, თუ რა სახის შეცდომა იქნა დაშვებული ნების ფორმირებისას. ამ შემთხვევაში შეცდომის არსებითობა არ განიხილება შეცილების უფლების წინაპირობად. თავის მხრივ, შეცდომაში შეყვანა შეიძლება გამოიხატოს იმ ინფორმაციის

<sup>550</sup> Wang F.F., Law of Electronic Commercial Transactions, Contemporary Issues in EU, US and China, Rutledge Research in IT and E-Commerce Law, Taylor & Francis Group, New York 2010, 51.

<sup>551</sup> Loos M., Rights of Withdrawal, 248.

<sup>552</sup> ჯორჯნაძე ს., შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, „სამართლის ურნალი“, №2, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011, 195.

<sup>553</sup> Jansen N., Zimmermann R., Contract Formation and Mistake in European Contract Law: A Genetic Comparison of Transnational Model Rules, Oxford Journal of Legal Studies Advance Access published September, 20, 2011, 33, [http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1788882](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1788882) 10.04.2014.

გაუმჯდავნებლობაში, რომლის მიღებასაც მხარე კეთილსინდისიერად ელოდა.<sup>554</sup>

ცხადია, ხელშეკრულების საგნის ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ნების ფორმირებისას, ამიტომაც შეთავაზებულ მომსახურებაზე თუ საქონელზე ამომწურავი ინფორმაციის მიწოდება მეწარმეთა ერთ-ერთ არსებით ვალდებულებად ითვლება. თუმცა, ინფორმაციის მიღების კეთილსინდისიერად მოლოდინის ქვეშ მისაწოდებელი ინფორმაციის უფრო ობიექტური კრიტერიუმი იგულისხმება, ვიდრე სუბიექტური. მოტყუება უნდა ეფუძნებოდეს ისეთი ინფორმაციის დამალვას, რომლის გამჯდავნების პირობებშიც საცილო გარიგება არ დაიდებოდა. მეტიც, მცდარი ან არასათანდო ინფორმაციის მიწოდება მიმართული უნდა იყოს პირის დაყოლიებაზე ხელშეკრულების დასადებად. შესაბამისად, ტყუილი, გარიგების დადებაზე დაყოლიების მიზნის გარეშე, არ წარმოშობს მხარის შეცილების უფლებას.<sup>555</sup>

კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულება და მისი ობიექტურობა კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ისეთ ურთიერთობებში, სადაც განსაკუთრებით გამოკვეთილია ნდობისა და კეთილსინდისიერად ქცევის მოლოდინი,<sup>556</sup> ამიტომაც კეთილსინდისიერების პრინციპი, რომელიც კერძო სამართლის უზოგადესი ცნებაა, მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებაში დეტალიზებულადაა წარმოდგენილი. კერძოდ, მეწარმეთა არაკეთილსინდისიერი მოქმედებების მაქსიმალურად აღკვეთის მიზნით, მომხმარებლისათვის ხელშეკრულების დადებამდე მისაწოდებელი ინფორმაციის შინაარსი დადგენილია იმპერატიული ნორმებით. მეტიც, მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი დირექტივა მომხმარებლის გონივრული მოლოდინის მიმართ ამკვიდრებს მეწარმეთა „პროფესიული გულმოდგინების“ მოთხოვნას და მასში მეწარმეთა განსაკუთრებულ კომპეტენციასა და ზრუნვის ვალდებულებას გულისხმობს, რომელიც თანაზომიერი უნდა იყოს საბაზო პოლიტიკისა და კეთილსინდისიერების ზოგად პრინციპებთან.<sup>557</sup> თავის მხრივ, ეს წარმოშობს მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიღების უფლებას, რომელიც არ უნდა

<sup>554</sup> ჭაბურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქოსამართლისზოგადნაწილში, გამომც., „სამართალი“, თბ. 1997, 376-379; კერუსელიძე ლ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 340-343.

<sup>555</sup> ჭაბურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქოსამართლისზოგადნაწილში, გამომც., „სამართალი“, თბ. 1997, 376-379; კერუსელიძე ლ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 340-343.

<sup>556</sup> ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2007-1, 52.

<sup>557</sup> *Twigg-Flesner Ch., Metcalfe D., The proposed Consumer Rights Directive – Less Haste, More Thought?* European Review of Contract Law, 2009, SSRN, <<http://ssrn.com/abstract=1345783>>, [20.01.2015], 9; *Dani M., Assembling the Fractured European Consumer, A New Concept of European Federalism, LEQS Paper, No., 29/2011, <[http://www.lse.ac.uk/europeanInstitute/LEQS/LEQS\\_Paper29.pdf](http://www.lse.ac.uk/europeanInstitute/LEQS/LEQS_Paper29.pdf)>*, [22.07 2013], 13-15.

იუს დამოკიდებული მაინცდამაინც მის მოთხოვნაზე. ივარაუდება, რომ საქონლის ანდა მომსახურების მიმწოდებელი გაცილებით მეტად არის ინფორმირებული, შეუძლია ზუსტად განსაზღვროს ყველა ის რისკი, რაც ინფორმაციის გაუმჯდავნებლობამ შეიძლება წარმოშვას.<sup>558</sup>

ინფორმაციის ნამდვილობა და სათანადოობა განსაკუთრებით აქტუალურია კონკრეტული ტიპის ხელშეკრულებებისათვის, სადაც მომხმარებელი ნების გამოვლენის ნამდვილობის თვალსაზრისით მომეტებული საფრთხის ქვეშ იმყოფება. ძირითადად ასეთებად მიიჩნევენ მეწარმეთა ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს გარეთ და დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებს. პირველ შემთხვევაში იმდენად მაღალია მოულოდნელობის ეფექტი, რომ მეწარმეს მარტივად შეუძლია მომხმარებლის ნების ფორმირებაზე მანიპულირება და მისი შეცდომაში შეყვანა. დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელი მოკლებულია საქონლის ვიზუალური დათვალიერების შესაძლებლობას. მნიშვნელოვანი დაბრკოლება მომხმარებელთა ფსიქოლოგიურ განწყობაშიც ვლინდება. მას უჭირს სასურველი საქონლის ზედმიწვნით წარმოდგენა. უფრო მეტიც, ზუსტი შეფასება შესაძლებელია მხოლოდ საქონლის მიღების შემდეგ.<sup>559</sup>

ამასთან, მეწარმეთა ვებგვერდებზე მოცემული ინფორმაცია გასაყიდ საქონელზე ანდა გასაწევ მომსახურებაზე უმრავლეს შემთხვევებში გადაჭარბებულია ან, პირიქით, იმდენად მწირია, რომ მისი გადამოწმება ფაქტობრივად შეუძლებელია, რაც მომხმარებელის არჩევანზეც ახდენს გავლენას. შეიძლება ითქვას, რომ დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში ყველაზე მეტ უხერხულობას სწორედ ინფორმაციის ასიმეტრიულობა ქმნის. მეწარმეები კი, უმრავლეს შემთხვევაში მომხმარებლის არაინფორმირებულობის ხარჯზე იღებენ სარგებელს.<sup>560</sup>

ამ თვალსაზრისით ყურადსაღებია „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ 2011/83 დირექტივაში განმტკიცებული მომხმარებელთა ინფორმირების ვალდებულება. იგი ავალდებულებს მეწარმეებს უზრუნველყონ მომხმარებელთა სრული ინფორმირება გასაწევი მომსახურებისა და მისაწოდებელი საქონლის შესახებ, როგორც ხელშეკრულების დადებამდე, ისე მისი დადების შემდეგაც.<sup>561</sup> მართალია, ხელშეკრულების საგნის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ყოველთვის ითვლებოდა სახელშეკრულებო სამართლის არსებით ელემენტად, მაგრამ

<sup>558</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, ობ., 2010, 70-72.

<sup>559</sup> Haupt S., An Economic Analysis of Consumer Protection In Contract Law, German Law Journal, Vol., 04 No.11, 1138, <http://www.germanLawjournal.com/pdfs/Vol.,04No11/PDF\_Vol.\_04\_No\_11\_1137-1164\_Private\_Haupt.pdf>, [12.04.2014].

<sup>560</sup> Macsim A.-R., The New Consumer Rights Directive, A Comparative Law and economics Analysis of the maximum Harmonization effects on consumers and businesses, The case of the cooling-off period from online contracts, http://pure.au.dk/portal/files/44659752/Thesis.pdf 02.05.2014.

<sup>561</sup> Howells G., Schulze R., Overview of the Proposed Consumer Rights Directive, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 13-14.

მომხმარებელთა უფლებების დაცვის ჭრილში ახალი სტანდარტი დამკვიდრდა. პირის სათანადოდ ინფორმირებულად მიჩნევისათვის მას გაცილებით დეტალური და ყოვლისმომცველი ინფორმაცია უნდა მიეწოდოს. ამიტომაც, თანამედროვე სამართალი ანგარიშის უწევს ინფორმაციის სათანადობას, როგორც ხელშეკრულების პირობას. ამასთან, მეწარმეების მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევას შესაბამისი სამართლებრივი შედეგი მოჰყვება. ეს გარემოება შეიძლება საფუძვლად დაედოს ხელშეკრულების ბათილად ცნობას ანდა ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას.

ამავდროულად, მომხმარებელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის უგულებელყოფა ანდა არასათანადოდ გაცნობა არ არის დაკავშირებული დამატებით პასუხისმგებლობასთან, რამაც შესაბამისი გავლენა იქონია გარიგების ბათილად ცნობის ზოგად ინსტიტუტებზე. წვეულებრივ ვითარებაში, როცა გამყიდველი ან მომსახურების შემთავაზებული უზრუნველყოფს ინფორმაციის მიწოდებას გასაყიდი საქონლის ან გასაწევი მომსახურების შესახებ, მაგრამ მეორე მხარე არ ეცნობა მას, იგი მოკლებული იქნება შესაძლებლობას მოითხოვოს გარიგების ბათილად ცნობა შეცდომაში შეყვანაზე ან მოტყუებაზე მითითებით, თუ მას მიწოდებული დოკუმენტაციის გაცნობით შეეძლო თავიდან აეცილებინა ნების ეს ნაკლი. ასეთ შემთხვევაში შეცილების უფლების მქონე პირს სულ მცირე იმის მტკიცება მოუწევდა, თუ რამ შეუშალა ხელი ინფორმაციის გაცნობაში და რა გავლენა იქონია ამან ნების გამოვლენის ნამდვილობაზე. ის ფაქტი, რომ შემძენისათვის არაპრაქტიკული იყო ხელშეკრულების ყველა პირობის დაუყოვნებლივ გაცნობა და ისიც, რომ გარკვეული ინფორმაცია შეიძლება იმალებოდეს ძირითადი ინფორმაციის უკან, შეიძლება უგულებელყოფილი იყოს სასამართლოს მიერ იმაზე მითითებით, რომ მიწოდებული ინფორმაციის არასათანადო შესწვლა შემძენის რისკის სფეროა.<sup>562</sup>

ეს მიდგომა არსებითად სახეშეცვლილი ფორმითაა წარმოდგენილი იმ ხელშეკრულებებში, სადაც მომხმარებელი უფლებამოსილია გამოიყენოს ხელშეკრულების უარყოფის უფლება. მომხმარებლის ვიწრო ინტერესზე ორიენტირებული დაცვითი ნორმები ნების ნაკლის შედარებით ფართო ინტერპრეტაციის შესაძლებლობას იძლევა და შეცილების განსხვავებულ სტანდარტს ამკვიდრებს. უარყოფის უფლება იცავს წინდაუხედავ მომხმარებელსაც, რომელიც არ ან ვერ გაეცნო ხელშეკრულების პირობებს, ან უბრალოდ უგულებელყო მათი შინაარსი. მეტიც, მომხმარებელი უფლებამოსილია უარყოს ხელშეკრულება მაშინაც, როცა მისი ნების გამოვლენა ინფორმირებული არჩევანის შედეგია.

<sup>562</sup>Loos B.M., Full Harmonization as a Regulatory Concept and its Consequences for the National Legal Orders. The Example of the Consumer Rights directive, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2010/03, University van Amsterdam, The Netherlands, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1639436](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1639436)>, [20.01.2015], 3.

### 8.1.3. მოტყუება მესამე პირის მხრიდან – პარალელი ხელშეკრულების უარყოფის უფლებასთან

მოტყუების შედეგად დადებული გარიგების შეცილება დასაშვებია მაშინაც, როცა მოტყუება მომდინარეობს მესამე პირიდან, ხოლო სარგებლის მიმღებმა პირმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა ამის შესახებ. ამ თვალსაზრისით შეიძლება პარალელი გავავლოთ მესამე პირის მხრიდან მოტყუების შედეგად დადებული გარიგებისა და იგივე საფუძვლით მომხმარებლის მონაწილეობით დადებული ხელშეკრულების შეცილებას შორის. მესამე პირის მხრიდან კონტრაქტის შეცდომაში შეუვანისას, გადამწყვეტია ხელშეკრულების დადების შემთავაზებელი პირის სუბიექტური დამოკიდებულება, მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა, რომ გარიგება დაიდო მოტყუების საფუძველზე რის გამოც, ვალდებულია ითმინოს დამდგარი სამართლებრივი შედეგების შეცილების შესაძლებლობა.<sup>563</sup>

ნიშანდობლივია, რომ მოტყუების საფუძველზე გარიგების შეცილებისას, მესამე პირის ცნება იზღუდება სარგებლის მიმღები პირის იდენტიფიცირებით. რაც იმას ნიშნავს, რომ მესამე პირად არ ჩაითვლება არა მარტო წარმომადგენელი, არამედ ნებისმიერი სხვა პირიც, რომელიც ხელშეკრულების დადებისას მოქმედებდა, სარგებლის მიმღები პირის ინტერესებში. შესაბამისად, მესამე პირის მიერ შეცდომაში შეუვანა ხელშეკრულების დადებაზე დაყოლიების მიზნით, შეცილების დამოუკიდებელ საფუძვლებს წარმოშობს იმის მიხედვით თუ ვინ მიიღებს სარგებელს ხელშეკრულების დადებით.<sup>564</sup>

ვაქტობრივად იგივე წესი მოქმედებს იმ სამომხმარებლო ხელშეკრულებების მიმართ, სადაც უარყოფის უფლება იმპერატიული ნორმებითაა უზრუნველყოფილი. კერძოდ, მეწარმის სახელით ან მის ნაცვლად მოქმედი პირი გაიგივებულია უშუალოდ მეწარმესთან. ამასთან, შუამავალს, გამჭვირვალობის პრინციპიდან გამომდინარე, აკისრია თავისი სტატუსის გამედავნების ვალდებულება. შუამავალი ვალდებულია აცნობოს მომხმარებელს, რომ იგი მოქმედებს მეწარმე სუბიექტისათვის.<sup>565</sup>

ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება ხელშეკრულებებში, რომლებიც იდება მომხმარებლის საცხოვრებელ სახლთან ან სხვა ადგილებში, მეწარმის ჩვეულებრივი ან მუდმივი სავაჭრო პუნქტების გარეთ.

<sup>563</sup> ჭანტურია ლ., შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომც., „სამართლი“, თბ. 1997, 376-379; კერძესელიძე ლ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 340-349.

<sup>564</sup> კროფტოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სახურავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბ., 2014, 48; კერძესელიძე ლ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ევროპული და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009, 340-349.

<sup>565</sup> Twigg-Flesner Ch., Metcalfe D., The Proposed Consumer Rights Directive – Less Haste, More Thought? European Review of Contract Law, 2009, SSRN, <<http://ssrn.com/abstract=1345783>>, [20.01.2015], 10.

საგულისხმოა, რომ სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის, მნიშვნელობა არა აქვს იცოდა თუ არა მეწარმემ ან უნდა სცოდნოდა თუ არა, რომ მისი წარმომადგენელი მოლაპარაკებებს ხელშეკრულების დადების თაობაზე მეწარმის სავაჭრო პუნქტებს გარეთ მართავდა. ასეთ დროს მოქმედებს კერძო სამართლის ზოგადი მიღებოდა წარმომადგენლობით უფლებამოსილებასთან დაკავშირებით. კერძოდ, თუ მესამე პირი მოქმედებს როგორც აგენტი, ან როგორც მსგავსი უფლებამოსილების მქონე სუბიექტი მეწარმის სასარგებლოდ, შედეგი დგება პრინციპალის მიმართ.<sup>566</sup>

გამჟღავნების გალდებულების დარღვევა განსხვავებულ შედეგებს წარმოშობს ორივე მხარისათვის. თუ აღმოჩნდება, რომ მესამე პირი მოქმედებდა მეწარმის ინტერესებისათვის, მაშინ ხელშეკრულების უარყოფის უფლება მიმართული იქნება სარგებლის მიმღები პირის მიმართ, იმისგან დამოკიდებლად, იცოდა თუ არა მან, რომ ხელშეკრულების დადება მესამე პირის შეცდომაში შემყვანი ინფორმაციის მიწოდების შედეგად მოხდა.<sup>567</sup> შესაბამისად, ასეთ დროს უარყოფის უფლების რეალიზება არ იქნება დამოკიდებული იმაზე, ხელშეკრულება დაიდო მეწარმესთან თუ მისი სახელით მოქმედ პირთან. თუ, ხელშეკრულება იდება მეწარმის ჩვეულებრივი საქმიანობის ადგილისაგან მოშორებით, მომხმარებლის საცხოვრებელ სახლთან, ან თუნდაც ქუჩაში, მომხმარებლის მიერ ხელშეკრულების უარყოფის უფლების რეალიზებისას, მეწარმე ვერ მიუთითებს იმაზე, რომ მან არ იცოდა გარიგების დადების ფორმატის შესახებ (ხელშეკრულების დადება მოხდა ქუჩაში წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად) თუ მან ამ გარიგებით სარგებელი მიიღო. იმავეს განამტკიცებს ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაც, რომლის მიხედვით, როცა მესამე პირი მეწარმის სახელით აწარმოებს მოლაპარაკებებს ან დებს ხელშეკრულებას არაოფიციალურ ვითარებაში, უარყოფის უფლება არ არის დამოკიდებული იმაზე, მეწარმემ იცოდა ან უნდა სცოდნოდა თუ არა, რომ ხელშეკრულება ამგვარი მოლაპარაკების შედეგად დაიდო.<sup>568</sup>

ამავდროულად, თუ დადასტურდება, რომ მესამე პირი მოქმედებდა თავისი ან სხვა ფიზიკური პირის ინტერესებისათვის, რომელიც არ არის მეწარმე სუბიექტი, ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოქმედების ვიწრო ფარგლების გათვალისწინებით (ეს უფლება საგალდებულო წესით მოქმედებს მხოლოდ მეწარმე სუბიექტების მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში), შეცდომაში შეყვანილი მომხმარებელი უფლებამოსილი იქნება გამოიყენოს შეცილების უფლება საერთო საფუძვლებით, მოტყუებით დადებული გარიგების მომწერიგებელ ნორმებზე მითითებით. მეტიც, თუ

<sup>566</sup> Markesinis B., Unberath H., Johnston A., *The German Law of Contract*, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 274.

<sup>567</sup> Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR), ed., by Von Bar Ch., Clive E., Schulte-Nolke H., and others, Sellier, ELP, Munich, 2009, www.Law-net.eu., 415.

<sup>568</sup> Case C-299/04

მესამე პირი უგულებელყოფს თავისი სტატუსის გამჯდავნების ვალდებულებას, ჩაითვლება, რომ იგი თავისი სახელით მოქმედებდა.<sup>569</sup>

#### 8.14. იძულების ელემენტი ხელშეკრულების უარყოფის უფლებასთან მიმართებაში

ნების გამოვლენაზე ზემოქმედების ყველაზე უხეშ ფორმად იძულება ითვლება.<sup>570</sup> მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ ხელშეკრულებებში იძულების ელემენტი შედარებით ნაკლები სიმძაფრის მატარებელია. იგი ვლინდება უფრო ფსიქოლოგიური ზეწოლით, ვიდრე კლასიკური მუქარით, შანგაუით ან სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებით. ამასთან, მომხმარებლის ნების ფორმირებაზე ფსიქოლოგიური ზეწოლა განსაკუთრებით თვალსაჩინოა არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ ხელშეკრულებებში. ამიტომაც მათ მომეტებული რისკის შემცველ ხელშეკრულებებად მიიჩნევენ. არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ ხელშეკრულებებში ფსიქოლოგიური ზეწოლა მომხმარებელთა მიმართ აგრესიული ვაჭრობის მეთოდების გამოყენებაში მუდავნდება. დარწმუნების სხვადასხვა ტექნიკის წყალობით, მეწარმეები ფაქტობრივად „აიძულებენ“ მომხმარებლებს ხელშეკრულების დადებას, რასაც ხშირად მათი ნების შეუსაბამო გარიგების დადება მოყვება შედეგად.

ნების ფორმირებაზე ფსიქოლოგიური ზეწოლა დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებშიც იჩენს თავს. ელექტრონულ კომერციაში მომხმარებლის ნებაზე თანაბრად ახდენს გავლენას როგორც ხელშეკრულების პირობები, ასევე საქონლის პრეზენტაცია და დიზაინი. ხელშეკრულების საგნის ციფრული გამოსახულება განაპირობებს მომხმარებლის მოქმედებასა და მოლოდინს. შეიძლება ითქვას, რომ ელექტრონულ ფორმატში გაკეთებული ოფერტი გავლენას ახდენს მომხმარებლის ნების ფორმირებაზე არა შინაარსით (რომელსაც უმრავლეს შემთხვევაში მომხმარებელი არც კი ეცნობა), არამედ მისი ფორმითა და დიზაინით. ამ გაგებით, გაციფროებულ გამოსახულებას გაცილებით მეტი ზემოქმედება შეუძლია მომხმარებლის ნებაზე, ვიდრე ხელშეკრულების შინაარსს.<sup>571</sup>

დასახელებული ფაქტორების გათვალისწინებით, არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებლის ნების ნამდვილობა დამოკიდებულია ხელშეკრულების საგნის მიმართ მომხმარებლის სუბიექტურ განწყობაზე. ამ შემთხვევაში

<sup>569</sup> *Twigg-Flesner Ch., Metcalfe D., The Proposed Consumer Rights Directive – Less Haste, More Thought?* European Review of Contract Law, 2009, SSRN, <<http://ssrn.com/abstract=1345783>>, [20.01.2015], 10.

<sup>570</sup> ჭანგურია და, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 379; ჯორჯენაძე ს., შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, „სამართლის ურნალი“, №2, 2011, 210-211 და სხვა.

<sup>571</sup> *Kim S.N., The Duty to Draft Reasonably and Online Contracts, Commercial Contract Law, Transatlantic Perspectives, Cambridge University Press, 2013, 182.*

დაცვის ობიექტია ნების არა შეცდომით ან შეცდომაში შექვანით გამოვლენა, არამედ შეცდომით დადებული ხელშეკრულება, რომლის ნამდვილობაც მომხმარებლის კმაყოფილების საზომით განისაზღვრება. საქონლის ფიზიკური თვისობრიობა გადამწყვეტ როლს თამაშობს. შეძენილი საქონლით უკმაყოფილო ანდა იმედგაცრუებულ მომხმარებელს, არასასურველი ხელშეკრულების შეცილების განსაკუთრებული უფლება ენიჭება, რომელიც მის უარყოფაში ვლინდება. უფლების მოქმედების პრინციპი იმაში მდგომარეობს, რომ იგი ასრულებს სახელშეკრულებო ურთიერთობას ყოველგვარი სპეციალური შემადგენლობის გარეშე, რაც აუცილებელი იქნებოდა მერყევად ბათილი გარიგებების შემთხვევაში.

თუმცა, განსხვავებით მერყევი გარიგებების ფუნდამენტური დოქტრინისაგან, რომელიც ფაქტობრივად უცვლელია და ყველას მიმართ მოქმედებს, ხელშეკრულების უარყოფის უფლება მორგებულია მომხმარებლის დაცვაზე კონკრეტული ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობებში, რის გამოც მისი მოქმედების არეალი გაცილებით შეზღუდულია. ამავდროულად, გარიგების შეცილების ზოგადი უფლება შეიძლება გამოყენებულ იქნას მაშინაც, როცა მომხმარებელი არ ან ვერ ისარგებლებს მისთვის მინიჭებული უარყოფის უფლებით. თავის მხრივ, სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის ეს საგამონაკლისო რეგულაცია ვერ ჩაანაცვლებს ნების ნაკლის საერთო საფუძვლებს.

ხელშეკრულების უარყოფის უფლების ძირითადი მიზანია, მომხმარებლისათვის დაფიქრებისა და სათანადო ინფორმაციის მოპოვებისათვის დამატებითი დროის მიცემა, რაც, ჩვეულებრივ, ხელშეკრულების დადების წინა ეტაპისთვისაა დამახასიათებელი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ამ შემთხვევაში შინაგანი ნების შესაბამისობის დადგენა გარეგან, გამოვლენილ ნებასთან ხდება არა ხელშეკრულების დადებისას, არამედ ხელშეკრულების დადების შემდეგ, მოსაფიქრებლად განსაზღვრული დამატებითი ვადის განმავლობაში. სწორედ ამიტომ განისილავნ ნების უკან გამოთხოვის ინსტიტუტს უპარეზებითი ეფექტის მქონე უფლებად.

შესაძლებელია მოვლენების იმდაგვარი განვითარებაც, როცა უარყოფის უფლების ყველა ფორმალური მოთხოვნა სახეზეა, მაგრამ ხელშეკრულება ნამდვილია ანდა სადაცვო სხვა საფუძვლებით, როგორიცაა: ქმედუნარიანობა, უფლებამოსილების ნაკლი და ა.შ. ან როცა სახეზეა სახელშეკრულებო ურთიერთობის შეწყვეტის სხვა საფუძვლები, მაგალითად, მეორე მხარის მიერ ვალდებულების დარღვევა. ასეთ შემთხვევაშიც უფლებამოსილი პირი არ არის შეზღუდული. იგი უფლებამოსილია დასრულოს სახელშეკრულებო ურთიერთობა უარყოფის უფლების აქტივაციით და მიიღოს დაქმაყოფილება მისი თანმდევი

შედეგებით (რესტიტუცია). ერთადერთი პირობა, რომელიც უნდა იყოს დაცული არის უფლების განხორცილების ვადა.<sup>572</sup>

## 82. სელშეკრულების სტანდარტული პირობები და სელშეკრულების უარყოფის უფლება

სელშეკრულების ბათილად ცნობის საფუძვლები, გარდა ნების ნაკლისა, მოიცავს ისეთ შემთხვევებსაც, როგორიცაა უთანასწორო მოლაპარაკების შედეგები. მაგალითად, როცა ბაზარზე დომინირებული მდგრამარეობის მქონე პირი ბოროტად სარგებლობს მეორე მხარის გამოუცდელობით, ან უკიდურესი საჭიროებით და უსამართლოდ მაღალ ფასში სთავაზობს საქონელსა და მომსახურებას. ამასთან, თანამედროვე პირობები, განსაკუთრებით კი სტანდარტული პირობების სიჭარბე იწვევს უთანასწორობის ახალ ფორმებს, რომელიც უყურადებოდ არ უნდა დარჩეს. დღეს მეწარმეებს შეუძლიათ შეადგინონ სელშეკრულებები ფაქტობრივად საწერკალმის სელში აღებისა და კონტრაქტისათვის სელის ჩამორთმევის გარეშე. სელის ჩამორთმევა, როგორც შეთანხმებული ვალდებულებების შესრულების დასტური და მხარეთა ურთიერთნდობის გამომხატველი მოქმედება, შეიცვალა სელშეკრულებების გამარტივებული ფორმებით, როგორიცაა სელშეკრულების სტანდარტული პირობები ანდა სელშეკრულებათა სტანდარტული ფორმები, რომლებიც მნიშვნელოვან დაბრკოლებას ქმნიან გამყიდველსა და მყიდველს შორის ნდობის ჩამოყალიბებისათვის.<sup>573</sup> სელშეკრულების პირობათა სიმარტივე და აღქმადობა თანდათან შეიცვალა, განსაკუთრებით მომხმარებელთა მონაწილეობით დადებულ სელშეკრულებებში, რომელთა შინაარსიც შედარებით კომპლექსურია და გაჯერებულია უწვეულო პირობებით.

სტანდარტული პირობებით დადებულმა სელშეკრულებებმა შეცვალა კლასიკური სელშეკრულებების კონცეფცია. მათ გავლენა მოახდინეს მომხმარებლის მონაწილეობით დადებულ სელშეკრულებებზეც. ზოგადი წესის მიხედვით, სელშეკრულება იდება მხარეთა მიერ არსებითი პირობების შეთანხმების შემდეგ. ასეთ პირობებად, როგორც წესი, ითვლება შეთანხმება ფასზე, არსებით მახასიათებლებზე, ხარისხზე, გადახდის წესზე და ა.შ. ცხადია, რომ პირობებზე შეთანხმების გარეშე სელშეკრულება არ არსებობს. შეთანხმება თავის თავში გულისხმობს მხარეთა კომუნიკაციას, მოლაპარაკებას, ორივე მხარის მიერ ურთიერთობანმხვედრი ნების გამოვლენას. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სამომხმარებლო სელშეკრულებებში მომხმარებელი მხოლოდ ეთანხმება სელშეკრულების პირობებს, კანონმდებელი მაინც მიიჩნევს, რომ ასეთი გარიგებები უფრო მეტად შეთანხმების შედეგია, ვიდრე მომხმარებლის ნების ფორმირებაზე ზეწოლა. სელშეკრულების პირობებზე მიერთებისათვის მხარეთა

<sup>572</sup> Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR); Edited by Ch. Von Bar, E.Clive, H. Schulte-Nölke and others, sellier, Munich, 2009, 201-204.

<sup>573</sup> Markesinis B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 167-170..

შეთანხმების ძალის მიცემა რამდენიმე კომპონენტმა განაპირობა. უპირველეს ყოვლისა, ეს არის საქმეწარმეო საქმიანობის გაადვილების მიზანი. ყოველდღიური სამოქალაქო ბრუნვის მასშტაბების გათვალისწინებით, წარმოუდგენელია, რომ საქონლისა და მომსახურების შემთავაზებლები თითოეულ მომხმარებელთან ინდივიდუალურად ათანხმებდნენ პირობებს. გარდა ამისა, ასეთი შეთანხმებები კომერციული ხასიათისაა. მათ მბოჭავი ძალა აქვთ და მხარეებისათვის სავალდებულოდ შესასრულებელ უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავენ.<sup>574</sup> ამ მახასიათებლებმა გადალახეს მოლაპარაკების ელემენტი, როგორც ხელშეკრულების დადების წინაპირობა. შედეგად ერთი მხარის მიერთება ხელშეკრულებების პირობებზე საკმარისი საფუძველია სამართლებრივი შედეგის დადგომისათვის.

სტანდარტული პირობებით დადებული ხელშეკრულებებისათვის დამახასიათებელია მეწარმეთა გაუმართლებელი უპირატესობის რისკი, რომელიც გამოიხატება მხარეთა უფლება-მოვალეობების არაკეთილსინდისიერ გადანაწილებაში. ცხადია, რომ ასეთ დროს უმეტესწილად იხდება მომხმარებლის ინტერესები, რომელიც მოკლებულია ხელშეკრულების პირობების შედგენაში მონაწილეობის მიღებას. მეწარმეთა უპირატესობა სწორედ პირობების დამოუკიდებლად ჩამოყალიბებაში ვლინდება, რომლებიც არც თუ ისე იშვიათად უსამართლო დათქმებს შეიცავენ.<sup>575</sup> საყურადღებო უზვეულო და ბუნდოვანი პირობებიც, რომელთა გაგება ყოველთვის მარტივი არ არის. ამიტომაც ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსი საშუალო მომხმარებლის მოლოდინით იზომება.<sup>576</sup> შესაბამისად, კანონმდებელი აწესებს მთელ რიგ შეზღუდვებს სტანდარტული პირობებით დადებული ხელშეკრულებებისათვის და ითვალისწინებს მათი ბათილად ცნობის სათანადო საფუძვლებს.

უნდა ითქვას რომ, მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი პირდაპირ აქცენტს მომხმარებელზე არ აკეთებს, მაგრამ საქმაოდ ბევრ და თანმიმდევრულ ნორმას ითვალისწინებს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების უარყოფითი შედეგების პრევენციისათვის. სტანდარტული პირობებისაგან მომხმარებელთა დაცვის აუცილებლობა ასევე გამომდინარეობს სასამართლო პრაქტიკით გაკეთებული განმარტებებიდანაც. თავის ერთ-ერთი გადაწყვეტილებაში საქართველოს უზენაესმა სასამართლომ მიუთითა, რომ „სამოქალაქო კოდექსი აგებულია რა

<sup>574</sup> ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 342-ე მუხლი, თბ. 2001, 180-213; ძლიერი შეილი ხ., ცერცვაძე გ., რობაზიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებოსამართლი, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2014, 203-214; Markesinis B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 167-170.

<sup>575</sup> ქართული შეილი ლ., ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II, გამომც., 2013, 68-83; გასევიანი თ., ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გადაქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, (გერმანული სამართლის მაგალითზე), მართლმსაჯულება და კანონი, 1(16)08, 39-40.

<sup>576</sup> კროფტოლური ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სახსავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დაგალებით, თბ., 2014, 187.

თანასწორობის პრინციპზე, ზოგ შემთხვევაში გათვალისწინებულია გარკვეული კატეგორიის სუბიექტთა – მეწარმეთა მომეტებული სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა, რაც განსაკუთრებულად ვლინდება სტანდარტული პირობებით დადგებულ სახელშეკრულებო ურთიერთობებში. ამ მხრივ სამოქალაქო კოდექსი ადგენს ამკრძალავ ნორმებს, რომლებიც ზღუდავს მეწარმეთა მცდელობას, სამოქალაქო ბრუნვის რისკი გადაიტანონ იმ სუბიექტებზე, რომლებიც არ მისდევენ სამეწარმეო საქმიანობას<sup>577</sup> აქ პირველ რიგში, რა თქმა უნდა, მომხმარებელი უნდა ვიგულისხმოთ, რომელსაც არა აქვს და არც მოეთხოვება, პქონდეს სპეციალური ცოდნა ანდა სათანადო გამოცდილება სახელშეკრულებო ურთიერთობის დამყარებისას. შესაბამისად, მხარეთა სამართლიანი ბალანსის შენარჩუნებისათვის მეწარმეთა ქცევის გარკვეული შეზღუდვა დასაშვებიც არის და სავალდებულოც.

მომხმარებელთა დაცვა სტანდარტული პირობებისაგან კიდევ უფრო აქტუალურია დისტანციურად დადგებულ ხელშეკრულებებში. კომუნიკაციის არარსებობის პირობებში ხელშეკრულებაზე მარტივი მიერთება შედარებით მაღალი რისკის მატარებელია. დისტანციურად დამყარებულ ურთიერთობებში ხელშეკრულება ყოველთვის ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, ვინაიდან ინფორმირებულობის სარისხი, რომლის მიხედვითაც მიიღება ხელშეკრულების დადების გადაწყვეტილება, შედარებით დაბალია. აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება არა ინფორმაციის გახსნისა და გამჭვირვალობის სტანდარტი, არამედ მომხმარებელთა მიერ მათი აღქმის უნარი. პირისპირი კომუნიკაციის პირობებში იმის ალბათობა მაინც არსებობს, რომ ხელშეკრულების შემთავაზებული შეცვლის ან დააზუსტებებს ამა თუ იმ დათქმას, ან თუნდაც განუმარტავს მომხმარებელს მისთვის რთულად გასაგებ და ბუნდოვან პირობას, ხელშეკრულების შინაარსს, მისი მოქმედების ფარგლებს, ან სხვაგვარად გახდება ცხადი, რომ მხარემ ნამდვილად გააცნობიერა დასაღები გარიგების და, მით უფრო, სტანდარტული პირობების მნიშვნელობა.<sup>578</sup>

ამ თვალსაზრისით, ელექტრონული კომერციის ფორმატში დადგებული ხელშეკრულებები, იმითაც განსხვავდება ტრადიციული ნების გამოვლენისაგან და, მათ შორის, სტანდარტული პირობებით დადგებული ხელშეკრულებებისგანაც, რომ ხელშეკრულების ფორმირების ეტაპი მოიცავს ადამიანისა და კომპიუტერის მონაწილეობას და არა ორი ინდივიდის მიერ ნების გამოვლენას. ასეთ ხელშეკრულებებში მომხმარებელს აქვს მხოლოდ გადაწყვეტილების ორი შესაძლო ვარიანტი: შეიძინოს ან არ შეიძინოს შემოთავაზებული საქონელი. მაშინ, როცა, მაგალითად, პირისპირ დადგებული ხელშეკრულების შემთხვევაში შესაძლებელია მას პქონოდა ფასის შემცირების, საქონლის შერჩევის,

<sup>577</sup> საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება ას-611-837-08, 25.11.2008.

<sup>578</sup> კროფტოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დაგალებით, თბ., 2014, 186.

სხვასთან შედარების, განსაცმელის შემთხვევაში მისი მოზომების, საყოფაცხოვრებო ტექნიკის შემთხვევაში მათი შემოწმების შესაძლებლობა. ამ დროს გადაწყვეტილების მიღების თავისუფლება შეზღუდულია არა მხოლოდ საქონელის დათვალიერების შეუძლებლობით, არამედ ხელშეკრულების პირობების ფორმირებაში მონაწილეობის მიღების შეუძლებლობითაც.<sup>579</sup>

თავის მხრივ, მეწარმეთა მხრიდან შეთავაზებული საქონლის ანდა მომსახურების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და მისი გამჭვირვალობა ყოველთვის არ უზრუნველყოფს სამომხმარებლო ხელშეკრულებების სიცხადეს და მომხმარებელთა დაცულობას, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა საქმე ეხება დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებს. მიზეზი კი, როგორც უკვე ითქვა, იმაშია, რომ მომხმარებლები უმრავლეს შემთხვევაში არც კი ეცნობიან ხელშეკრულების პირობებს. ამიტომაც დისტანციურად დამყარებულ ურთიერთობებში ხელშეკრულება უფრო აუცილებელი ატრიბუტის როლს თამაშობს, ვიდრე მხარეთა შეთანხმების, მისი კლასიკური გაგებით. შესაბამისად, ე.წ. „ბრძა თანხმობის“ პირობებში დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა დაცვის აუცილებლობა კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება.<sup>580</sup>

ევროპის სახელშეკრულებო სამართალში სტანდარტული პირობებით დადგებული ხელშეკრულებებისათვის დამახასიათებელი საფრთხეების გამო მომხმარებელთა უფლებებს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ამასთან, სუსტი მხარის ინტერესების დაცვა მნიშვნელოვანია ორი ძირითადი მიმართულებით: პირველი გახლავთ გაუმართლებელი უპირატესობის შედეგად მეწარმეთა შეუსაბამოდ მაღალი შემოსავლის მიღების პრევენცია, ხოლო მეორე - ნდობისა და კეთილსინდისიერების საწინააღმდეგოდ დადგებული ხელშეკრულებებისაგან დაცვა, რაშიც ცხადია ხელშეკრულების უსამართლო პირობები იგულისხმება. ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებს კეთილსინდისიერების პრინციპის უგულებელმყოფელ დათქმებს ვერ ჩაითვლება სამართლიან შეთანხმებად.<sup>581</sup>

ნიშანდობლივია, რომ „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ 2011/83 დირექტივამ მოიცვა ევროპის საბჭოს 93/13 დირექტივაც „ხელშეკრულებებში უსამართლო პირობების შესახებ“. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სტანდარტული პირობების ბათილად ცნობის საერთო საფუძვლებთან ერთად, არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციურად დადგებულ გარიგებებში,

<sup>579</sup> Kim S.N. The Duty to Draft Reasonably and Online Contracts, Commercial Contract Law, Transatlantic Perspectives, Cambridge University Press, 2013, 186.

<sup>580</sup> Kim S.N. The Duty to Draft Reasonably and Online Contracts, Commercial Contract Law, Transatlantic Perspectives, Cambridge University Press, 2013, 185.

<sup>581</sup> European Contract Law, Materials for a Common Frame of Reference: Terminology, Guiding Principles, Model Rules, reduced by Association Henri Capitant des Amis de la Culture Juridique Française and Société de Législation Comparée, Edited by Bénédicte Fauvarque-Cosson and Denis Mazeaud Prepared by Jean-Baptiste Racine, Laura Sautonie-Laguionie, Aline Tenenbaum and Guillaume Wicker, Sellier, European Law Publishers, Munich, 2008, 527-531.

მომხმარებლებს სტანდარტული პირობებით დადებული ხელშეკრულებების უარყოფის სპეციალური უფლებაც ენიჭებათ.

ამ თვალსაზრისით, მომხმარებლის უფლება, უარი თქვას ხელშეკრულებაზე, დამოუკიდებელია სახელშეკრულებო სამართლიანობის ზოგადი მიღებისაგან. ამ უფლების გამოყენება, შესაძლოა, საერთოდაც არ იყოს დაკავშირებული, რომელიმე განხილულ საფუძველთან ან სახელშეკრულებო მოლაპარაკებების პროცესში ძალთა უთანასწორობასთან. ნების უკან გამოთხვევის უფლება უფლებამოსილ პირს ენიჭება იმ ვარაუდით, რომ ხელშეკრულების დადებისას, მისი შინაარსის აღქმა მომხმარებლისათვის შეუძლებელი იქნებოდა.<sup>582</sup>

ამასთან, უარყოფის უფლება მიიჩნევა ერთ-ერთ საუკეთესო ალტერნატივად მომხმარებლისათვის. მას შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულების უარყოფა მაშინაც, როცა სახეზეა მოტყუებით ან შეცდომით დადებული გარიგება და უფრო სწრაფად დაადგიოს თავი ხელშეკრულების მბოჭავ ძალას.<sup>583</sup> ფაქტობრივად, ხელშეკრულების უარყოფის უფლება კონკურენციას უწევს გარიგების ბათილად ცნობის ზემოგანხილულ საფუძვლებს. თუმცა, მისი რეალიზება დასაშვებია უფლების დაცვის ზოგად ინსტიტუტებთან პარალელურად. თუ, მაგალითად, შეუძლებელია შეცილება შეცდომის ან მოტყუების საფუძვლით, შესაძლებელის ხელშეკრულების უარყოფის გზით სახელშეკრულებოს ბოჭვისაგან გათავისუფლება და პირიქით, თუ არ არსებობს ან გაქარწყლებულია ხელშეკრულების უარყოფის უფლების გამოყენების შესაძლებლობა, დასაშვებია უფლების დაცვა გარიგების ბათილად ცნობის ზოგადი საფუძვლების გამოყენებით.<sup>584</sup> გარდა ამისა, უარყოფის უფლების რეალიზება დასაშვებია მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დარღვევის გარეშეც, რაც აუცილებელი იქნებოდა ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებით სარგებლობისათვის.<sup>585</sup>

### 8.3. ხელშეკრულების უარყოფის უფლება და ხელშეკრულებიდან გასვლა

მართალია, ხელშეკრულების უარყოფის უფლებას ხშირად ადარებენ ნების ნაკლის ისეთ ფორმებს, როგორიცაა შეცდომა და მოტყუება, მაგრამ თანაბარმნიშვნელოვანია, რომ მას გარკვეული მსგავსება ვალდებულებითი სამართლის ისეთ ინსტიტუტთან აკავშირებს, როგორიცაა ხელშეკრულებიდან გასვლა. საგულისხმოა, რომ მომხმარებლის ეს უფლება

<sup>582</sup> Sir Markesinis B., Unberath H., Johnston A., *The German Law of Contract*, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 267.

<sup>583</sup> Gheorghe A.N., Spasici C., Consumer's Right To Withdraw, The International Conference CKS 2013, Challenges of the Knowledge Society; Bucharest, 17th -18th May 2013, 7th Edition; PRO UNIVERTITARIA BUCURSIT 2013 [http://cks.univnt.ro/download/100\\_e\\_book\\_final\\_.pdf](http://cks.univnt.ro/download/100_e_book_final_.pdf) 25.04.2014., 268.

<sup>584</sup> Micklitz H.-W., Stuyck J., Terryn E., Cases, Materials and Text on Consumer Law, Oxford and Portland, Oregon, 2010, 243.

<sup>585</sup> იქვე.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსში იმპლემენტირებულია სწორედ ხელშეკრულებიდან გასვლის მომწესრიგებელი ნორმების გვერდით, როგორც საგამონაკლისო რეგულაცია სამომხმარებლო ხელშეკრულებებისათვის.<sup>586</sup> მეტიც, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის სასწავლო კომენტარში იგი განმარტებულია, როგორც „მომხმარებლისათვის კანონით მინიჭებული, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განსაკუთრებული გამოხატულება“.<sup>587</sup>

ხელშეკრულების უარყოფის უფლების ამგვარი რეგლამენტირება და, მით უფრო, მისი განხილვა ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტის გვერდით, სავარაუდოდ, განპირობებულია მისი რეალიზების წინაპირობებითა და სამართლებრივი შედეგების მსგავსებით ხელშეკრულებიდან გასვლის მომწესრიგებელ ნორმებთან.

უპირველეს ყოვლისა, საგულისხმოა ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმების შესაძლებლობა, როგორც ერთი პირის დამოუკიდებელი გადაწყვეტილება, ცალმხრივი ნების გამოვლენა სამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტაზე. ისევე, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლისას, მისი უარყოფის შემთხვევაშიც, მომხმარებელს მოეთხოვება უფლების რეალიზების შესახებ მიღებული გადაწყვეტილების იმგვარად დეკლარირება, რომ ეს გასაგები იყოს მეორე მხარისათვის. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელშეკრულების უარყოფის უფლების ეფექტურობისათვის გამოვლენილი ნება მეორე მხარეს უნდა მიუვიდეს.<sup>588</sup>

გარდა ამისა, ეს ორი ინსტიტუტი იდენტურია სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისითაც. კერძოდ, ისევე, როგორც ხელშეკრულებიდან გასვლის დროს, ხელშეკრულების უარყოფის შემთხვევაშიც, მისი განხორციელების მომენტიდან, ნამდვილი ხელშეკრულების ადგილს იკავებს უპუქცევის შედეგად წარმოშობილი შესრულების უკან დაბრუნების სამართლებრივი ურთიერთობა.<sup>589</sup> მიუხედავად ამ მსგავსებისა, ეს ორი უფლება მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისაგან რეალიზების წინაპირობებით.

ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტი რეგლამენტირებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნის, პირველი კარის მეხუთე თავით. კერძოდ, 352-ე მუხლის პირველი ნაწილი ადგენს

<sup>586</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის V ტიტული – ხელშეკრულებიდან გასვლა; ხელშეკრულებაზე უარის თქმის ან ნივთის უკან დაბრუნების უფლებები სამომხმარებლო სამართალში, გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ქართული თარმანი, (2010 წლის 1 მარტის მდგრადირებით), გამომტ. შპს „ნიესტა“, თბ. 2010, 68-72.

<sup>587</sup> კროფტოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დაგალებით, თბ., 2014, 251.

<sup>588</sup> Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR); Edited by Ch. Von Bar, E. Clive and Hans Schulte-Nölke and others,

სელმისაწვდომია [http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-Law\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/contract/files/european-private-Law_en.pdf) 14.04.2014. 375.

<sup>589</sup> კროფტოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დაგალებით, თბ., 2014, 251.

ხელშეკრულებაზე უარის თქმის შედეგებს, რომლის მიხედვით, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნატურით დაბრუნება). თავის მხრივ, 405-მუხლი განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან გასვლის წინაპირობებს და მიუთითებს, რომ „თუ ხელშეკრულების ერთი მხარე არღვევს ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებას, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება. თუკი ვალდებულება მხოლოდ ნაწილობრივ დაირღვა, მაშინ კრედიტორს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვალდებულების დარჩენილი ნაწილის შესრულებამ მისთვის დაკარგა ინტერესი.

ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებაზე უარი დაუშვებელია, თუ: ა) ვალდებულების დარღვევა უმნიშვნელოა; ბ) დარღვეულია მხარის უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებული გულისხმიერების ვალდებულება და, ამის მიუხედავად, კრედიტორს შეიძლება მოეთხოვოს ხელშეკრულების ძალაში დატოვება; გ) ვალდებულების დარღვევისათვის კრედიტორი მთლიანად ან უმთავრესად თვითონ არის პასუხისმგებელი; დ) მოთხოვნას უპირისპირდება შესაბებელი, რომელიც მოვალემ უკვე წარადგინა ან დაუყოვნებლივ წარადგენს ხელშეკრულებაზე უარის თქმის შემდეგ.<sup>590</sup>

ამდენად, კანონმდებელი ადგენს მთელ რიგ წინაპირობებს ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების რეალიზებისათვის. უპირველეს ყოვლისა, კი ხელშეკრულებიდან გასვლა, როგორც წესი, უკავშირდება ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ერთ-ერთი მხრის მიერ ვალდებულების დარღვევას. ამასთან, ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევა ვერ გახდება ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძველი. ხელშეკრულების უარყოფის უფლებასა და ხელშეკრულებიდან გასვლას შორის არსებითი სხვაობა სწორედ, მათი რეალიზების წინაპირობებშია. კერძოდ, მართალია, ხელშეკრულების უარყოფის უფლების მსგავსად, ხელშეკრულებიდან გასვლის სამართლებრივი ფუნქცია ხელშეკრულების შეწყვეტისა და მიღებული შესრულების უკან დაბრუნებაში გამოიხატება, მაგრამ, ხელშეკრულების უარყოფისაგან განსხვავებით, ამისათვის აუცილებელი პირობაა ვალდებულების დარღვევა. მხოლოდ ვალდებულების შეუსრულებლობა ან მისი არაჯეროვანი შესრულება წარმოშობს მხარის

<sup>590</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებაზი, 31, 24/07/1997.

უფლებას, ნამდვილი ხელშეკრულება გასვლის გზით რესტიტუციის რეჟიმში მოაქციოს.<sup>591</sup>

სასამართლო პრაქტიკაც ხელშეკრულებიდან გასვლას, სწორედ ვალდებულების დარღვევას უკავშირებს. კერძოდ, ხელშეკრულების გასვლის ინსტიტუტზე მსჯელობისას სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 352-ე, 361-ე, 405-ე მუხლებზე და აღნიშნა შემდეგი: მიუხედავად იმისა, რომ სახელშეკრულებო სამართლი ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპსა და მხარეთა ურთიერთნდობაზეა აგებული, ყოველთვის არსებობს გარკვეული რისკი ვალდებულების შესაძლო დარღვევასთან დაკავშირებით. ასეთი დარღვევის შემთხვევაში, სამოქალაქო კოდექსი მხარეს ანიჭებს ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობას. ვალდებულების დარღვევა სხვადასხვა ფორმით შეიძლება გამოიხატოს, კერძოდ, ვალდებულების შეუსრულებლობა, შესრულების ვადის გადაცილება ან არაჯეროვანი შესრულება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის გამოყენებისათვის მნიშვნელობა არა აქვს, თუ რომელი ფორმით განხორციელდა დარღვევა. საგულისხმოა, რომ აღნიშნული უფლების რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც დარღვევა არსებით ხასიათს ატარებს.<sup>592</sup>

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, ხელშეკრულების უარყოფის უფლება არ მოითხოვს სპეციალურ შემადგენლობას და, მით უფრო, კონტრაქტების მიერ ვალდებულების ნებისმიერი ფორმით, თუნდაც უმნიშვნელო დარღვევას. ეს არის მომხმარებლის ექსკლუზიური უფლება, ყოველგვარი საფუძვლისა და დასაბუთების გარეშე, ნამდვილი ხელშეკრულება არახამდებილად აქციოს, თანმდევი ორმხრივი უკუგების შედეგებით.<sup>593</sup> სწორედ ამაში მდგომარეობს მომხმარებლის ამ უფლების უნიკალურობა და მისი დაცვის ეფექტიც. ხელშეკრულების უარყოფის უფლება გვერდს უვლის ვალდებულების შეუსრულებლობასთან დაკავშირებულ მტკიცების ტვირთს, ზოგაც ხარჯებს და, რაც მთავარია, დროს, რომელსაც ხშირ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

ამ თვალსაზრისით, ყურადღებას იმსახურებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 405-ე მუხლის მეოთხე ნაწილის დათქმა, რომლის მიხედვით, კრედიტორი უფლებამოსილია შესრულების ვადის დადგომამდე უარი თქვას ხელშეკრულებაზე, თუ აშკარაა, რომ დადგება ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძვლები.<sup>594</sup>

ერთი შეხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მითითებული დანაწესი შესაძლებელს ხდის ხელშეკრულებიდან გასვლას ვალდებულების

<sup>591</sup> ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართლი, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2014, 504;

<sup>592</sup> ი. სუს გადაწყვეტილება № ას-374-355-2015, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>.

<sup>593</sup> Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR); Edited by Ch. Von Bar, E.Clive,H. Schulte-Nölke and others, sellier, Munich, 2009, 201-204.

<sup>594</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებაზი, 31, 24/07/1997.

დარღვევის გარეშე და ხელშეკრულების უარყოფის უფლების მსგავსია. თუმცა, იგი უნდა განვიხილოთ თავად 405-ე მუხლით მოცემული შინაარსის ერთიან კონტექსტში, რასაც იმ დასკვნამდე მივყავართ, რომ მოცემული დანაწესი ხელშეკრულებიდან გამსვლელ პირს აკისრებს გარკვეულ მტკიცების ტვირთს, სულ მცირე იმისა, რომ გამოკვეთილია მომავალში ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველი, ანუ ვალდებულება მაინც დაირღვევა და დადგება ხელშეკრულებიდან გასვლის კანონით განსაზღვრული სავალდებულო წინაპირობა. ამის საპირისპიროდ, ხელშეკრულების უარყოფის უფლების უპირატესობა, სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მომსახურებელი თავისუფალია ყოველგვარი მტკიცების ტვირთისაგან, მათ შორის, ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების და ვალდებულების მომავალში დარღვევის მტკიცებისგანაც.

ნიშანდობლივია, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება, ხელშეკრულების უარყოფის უფლების მსგავსად, იცავს მხარეს ნაკლიანი საქონლის ანდა მომსახურების მიღებისაგან. თუმცა, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების წარმოშობისათვის, ნივთობრივ ნაკლად ჩაითვლება მხოლოდ მხარეთა მიერ საგანგებოდ შეთანხმებულ პირობებთან საქონლის ანდა მომსახურების შეუსაბამობა, ხოლო ასეთი შეთანხმების არარსებობის პირობებში - საქონლის ვარგისიანობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. შეიძლება ითქვას, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის მომწესრიგებელი ნორმები იცავენ მხარეს ობიექტურად ნაკლის მქონე შესრულების მიღებისაგან, რის გამოც ვალდებულების უმნიშვნელო დარღვევა არ წარმოშობს ხელშეკრულებიდან გასვლის შესაძლებლობას.<sup>595</sup> გარდა ამისა, თუ გამყიდველი გაამჟღავნებს ინფორმაციას ნივთის ხარისხის შესახებ და მყიდველი დათანხმდება ამ სახით მის შეძენაზე, შემდგომ მას ადარ ექნება უფლება განაცხადოს პრეტენზია საქონლის ხარისხთან დაკავშირებით.

ამის საპირისპიროდ, ხელშეკრულებაში, სადაც მომსარებელს მინიჭებული აქვს მისი უარყოფის უფლება, საქონლის ანდა მომსახურების უნაკლობა მომსახურებლის სუბიექტური კმაყოფილების მიხედვით განისაზღვრება. აქ, ნივთობრივად უნაკლო ნიშნავს იმას, რომ საქონელი მისაღები და მოსაწონია მომსარებლისათვის. საქონლის ვარგისიანობა ჩვეულებრივი სარგებლობისათვის განიმარტება მომსარებლის ვიწრო ინტერესების მიხედვით და განისაზღვრება საშუალო მყიდველის მოლოდინით. მაგალითად, თუ მომსარებელი დისტანციურად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შეიძენს ყვითელი ფერის მაისურს, ხოლო მისი მიღების შემდეგ დასკვნის, რომ შერჩეული ფერი მას არ უხდება, ეს ჩაითვლება საკმარის საფუძვლად ხელშეკრულების უარყოფის უფლების გამოყენებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ სხვა შემთხვევაში ფერის მიმართ სუბიექტური განწყობა შეიძლება უმნიშვნელო ნაკლად ყოფილიყო

<sup>595</sup> ვაშაკიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბ., 2010, 159.

მიჩნეული, განსაკუთრებით მაშინ, თუ ფერი საგანგებოდ არ იყო შეთანხმებული.

ხელშეკრულებიდან გასვლის ერთ-ერთი სავალდებულო წინაპირობაა ასევე მეორე მხარისათვის დამატებითი ვადის მიცემა ვალდებულების შესასრულებლად. მხარეს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მხოლოდ ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ. ხოლო, თუ ვალდებულების დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე, არ გამოიყენება დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.

ხელშეკრულებიდან გასვლის რეალიზების მიზნებისათვის დამატებითი ვადის მნიშვნელობაზე მეტყველებს სასამართლო პრაქტიკაც კერძოდ, სასამართლო განმარტავს, რომ მიუხედავად იმისა, სახეზეა ხელშეკრულების შეუსრულებლობა, თუ არაჯეროვანი შესრულება კანონმდებლობა მხარეს გარდა პირველადი მოთხოვნისა (ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება), ანიჭებს ასევე ხელშეკრულებიდან გასვლის (გრძელვადიან სახელშეკრულებო ურთიერთობებში - ხელშეკრულების შეწყვეტის) და პირვანდელი მდგრმარეობის აღდგენის მოთხოვნის უფლებას, თუმცა, ვინაიდან pacta sunt servanta-ს პრინციპი პრიორიტეტულია სახელშეკრულებო ურთიერთობებში, ამიტომ კანონი ხელშეკრულებიდან გასვლის მართლზომიერად მიჩნევის მიზნებისათვის გარევეულ წინაპირობებს აწესებს, კერძოდ, ხელშეკრულება უნდა იყოს ნამდვილი, მეორე მხარე უნდა არღვევდეს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებას და მოთხოვნის კრედიტორი კონტრაგენტს დამატებითი ვადის ან გაფრთხილების მიცემის გზით ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას უნდა აძლევდეს. მითითებული წინაპირობები ნორმატიულად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 352-ე-405-ე მუხლებშია განმტკიცებული.<sup>596</sup>

ხელშეკრულების უარყოფის უფლების რეალიზება არ მოითხოვს მომხმარებლისაგან, მეწარმესათვის დამატებითი ვადის დაწესებას ან/და გაფრთხილებას. ერთადერთი შეზღუდვა რეალიზების ვადაა. ამ ვადის გასვლის შემდეგ ხელშეკრულების უარყოფის უფლება ქარწყლდება. საგულისხმოა, რომ ამგვარი შეზღუდვა არ ვრცელდება ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტზე. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესოა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიდგომა. კერძოდ, საკასაციო პალატამ სამოქალაქო კოდექსის 405-ე და 352-ე მუხლების გაანალიზების საფუძველზე განმარტა, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება კანონმდებლის მიერ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარისათვის მინიჭებული უფლებაა და მისი თავისებურება იმაშია, რომ ამისთვის არ არის აუცილებელი მეორე მხარის თანხმობა. ეს თავისებურება განაპირობებს

<sup>596</sup> თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე [28/7207-14 \(2015-06-30\)](http://www.library.court.ge/index.php?cat=31&str_id=2763&c_id=2), [http://www.library.court.ge/index.php?cat=31&str\\_id=2763&c\\_id=2](http://www.library.court.ge/index.php?cat=31&str_id=2763&c_id=2)

იმასაც, რომ ხელშეკრულებიდან გასვლის უფლება არის აღმჭურველი უფლება და მოთხოვნის უფლებებისაგან განსხვავებით მასზე არ ვრცელდება ხანდაზმულობა. იგი შეიძლება ხელშეკრულების ერთ-ერთი მსარის მიერ ნებისმიერ დროს იქნეს გამოყენებული, თუკი, არსებობს კანონით ამომწურავად განსაზღვრული ხელშეკრულებიდან გასვლის საფუძვლები და წესები (სამოქალაქო კოდექსის 405-ე, 352-359-ე მუხლები).<sup>597</sup>

თავის მხრივ, ხელშეკრულების უარყოფის უფლება არ გამორიცხავს უფლების დაცვის სხვა საშუალებების გამოყენებასაც. მომხმარებელთა უფლებების დაცვის მექანიზმებისა და ზოგადი სახელშეკრულებო სამართლის ურთიერთმიმართება და თანაარსებობა იმაშიც ვლინდება, რომ თუ მეწარმე არღვევს სხვა ვალდებულებებს, ვიდრე ეს სპეციალური ნორმებით არის სანქცირებული მომხმარებელს, შეუძლია გამოიყენოს ზიანის ანაზღაურების ზოგადი წესი. აგრეთვე, იქ, სადაც შეცდომაზე, მოტყუებაზე ანდა ხელშეკრულებიდან გასვლაზე მითითების სამართლებრივი საფუძვლი მართლაც არსებობს, მომხმარებელი უფლებამოსილია დაიცვას თავისი უფლებები შესაბამის გარემოებებზე დაყრდნობით.<sup>598</sup>

მეორე მხრივ, ეფექტური დაცვის თვალსაზრისით პრობლემაზურია კერძო სამართლებრივი ზიანის ანაზღაურების წესების მორგება მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალზე. მომხმარებელთა დაცვა მოითხოვს დარღვეული უფლების აღდგენისათვის ქმედითი ღონისძიებების გატარებას, სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას. კერძო სამართალში დამკვდრებული ზიანის ანაზღაურების მექანიზმი, როგორც წესი, მოითხოვს უფლების დაცვის სანგრძლივ პროცედურებს (სასამართლო პროცესი), ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა, როცა საქმე ეხება მცირე დანახერჯებს (მცირე ოდენობის ზარალს). ამიტომაც სადაცო ის, თუ რამდენად არის მზად კერძო სამართალი უზრუნველყოს მომხმარებელთა უფლებების ეფექტური დაცვა სპეციალური ნორმების შემუშავების გარეშე.<sup>599</sup>

ხელშეკრულებიდან გასვლა და ხელშეკრულების უარყოფის უფლება წარმოშობის საფუძვლებითაც განსხვავდება ერთმანეთისაგან. უპირველეს ყოვლისა, გასვლის ფორმით ხელშეკრულების მოქმედების ცალმხრივად დასრულება ერთ-ერთი მსარის ინიციატივით ანდა მხარეთა შეთანხმებითაც არის დასაშვები. ამ ფარგლებში მხარეებს შეუძლიათ შეათანხმონ ხელშეკრულებიდან გასვლის კონკრეტული პირობები და იმოქმედონ მათ

<sup>597</sup> ი. შუს გადაწყვეტილება №ას-1189-1119-2015, <http://prg.supremecourt.ge/DetailViewCivil.aspx>

<sup>598</sup> Loos B.M., Full Harmonization as a Regulatory Concept and its Consequences for the National Legal Orders. The Example of the Consumer Rights Directive, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2010/03, University van Amsterdam, The Netherlands, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1639436](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1639436)>, [20.01.2015], 2.

<sup>599</sup> Howells G., Ramsay I., and Wilhelmsson Th., Consumer Law in its International Dimension, Handbook of Research on International Consumer Law, Published by Edward Elgar Publishing Limited, Cheltenham, UK, 2011, 3.

შესაბამისად. მხოლოდ მხარეთა შეთანხმების არარსებობის პირობებში იმოქმედებს კანონით გათვალისწინებული დანაწესები. გარდა ამისა, ხელშეკრულებიდან გასვლის უფლებაზე შეთანხმება დასაშვებია ხელშეკრულების დადების შემდეგაც. მეტიც, ასეთი შეთანხმება არ არის დაკავშირებული კონკრეტულ ფორმასთან. ის შეიძლება განისაზღვროს წერილობით, მაგალითად, როგორც ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობა. თუმცა, მის შესახებ მხარეები შეიძლება ზეპირადაც შეთანხმდნენ.<sup>600</sup> ამასთან ერთად, ხელშეკრულებიდან გასვლისათვის კანონმდებელი არ ადგენს სპეციალურ ვადებს. იგი შეიძლება განხორციელდეს ნებისმიერ დროს, თუ სახეზეა შესაბამისი საფუძველი. მეტიც, კონტრაპენტებს შეუძლიათ თავად შეთანხმდნენ ხელშეკრულებიდან გასვლის ვადაზე.<sup>601</sup>

იმავეს ვერ ვიტყვით ხელშეკრულების უარყოფის უფლებაზე. იგი შესაბამისი ხელშეკრულებისათვის იმპერატიული პირობაა, რომლის შინაარსის შეცვლაც მხარეთა ნებით დაუშვებელია. გარდა ამისა, სამომხმარებლო სამართალში რეგლამენტირებული ნების უკან გამოთხოვის უფლება ითვალისწინებს სავალდებულო წერილობით ფორმას და აკისრებს მეწარმეებს განსაკუთრებულ ვალდებულებას თვალსაჩინოდ, ცხადი და მარტივად აღქმადი სახით მიაწოდონ მომხმარებლებს ინფორმაცია მათი ამ უფლების არსებობისა და მისი გამოყენების წესის შესახებ. ხელშეკრულებიდან გასვლისაგან განსხვავებით, უარყოფის უფლება დროშიც შეზღუდულია. მომხმარებელი მხოლოდ ზუსტად დადგენილ ვადაშია უფლებამოსილი, უარი თქვას დადებულ ხელშეკრულებაზე.<sup>602</sup>

## IX. ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოქმედების შეზღუდვა

ევროპის სამომხმარებლო სამართალში დამკვიდრებული ხელშეკრულების უარყოფის უფლება არ არის უპირობო ხასიათის. კერძო სამართალში შემოჭრილი ეს საგამონაკლისო რეგულაცია, თავადაც შეიცავს გამონაკლისებს. საგულისხმოა, რომ არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულების ცნების დეფინიციისას ისევე, როგორც დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების განმარტებისას, „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივა უთითებს „ნებისმიერ ხელშეკრულებაზე“, რომელიც დადებულია დასახლებულ პირობებში. თუმცა, ასეთი ზოგადი მითითების გვერდით, გათვალისწინებულია გამონაკლისებსაც, რომელთა არსებობაც ასუსტებს უარყოფის უფლების

<sup>600</sup> ჭაბურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 352-ე მუხლი, გამომც., „სამართალი“, თბ., 2001, 241-244., ვაჟა-პეტრე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბ., 2010, 159; ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, გამომ., „სამართალი“, თბ., 1999, 61-63.

<sup>601</sup> ჭაბურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი, 355-ე მუხლი, გამომც., „სამართალი“, თბ., 2001, 256.

<sup>602</sup> Loos M., Rights of Withdrawal, 258.

ეფაქტს.<sup>603</sup> ეს კი იმას ნიშნავს, რომ უარყოფის უფლების იმპერატიული ხასიათის მიუხედავად, რიგ შემთხვევებში იგი არ მიიჩნევა არაოფიციალურ ვითარებაში ანდა დისტანციური კომუნიკაციის წესით დადებული ხელშეკრულების სავალდებულო პირობად. ამასთან, ხელშეკრულებები, რომელთა ცალმხრივად უარყოფის შესაძლებლობა მომხმარებელს არ გააჩნია, მათი მახსიათებლებიდან გამომდინარე, პირობითად სამ ჯგუფად შეიძლება დავყოთ.

### 9.1. ხელშეკრულების დიფერენციაცია ნების ფორმირებისა და მასში მონაწილე პირების მიხედვით

პირველ კატეგორიას განეკუთვნება ყველა ის გარიგება, რომელიც არ შეესაბამება არაოფიციალურ ვითარებაში ანდა დისტანციურად დადებული ხელშეკრულების ლეგალურ დეფინიციას.<sup>604</sup> აქ, უპირველეს ყოვლისა, იგულისხმება ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც იდება მეწარმეთა წვეულებრივი ადგილსამყოფელის ანდა საქმიანობის ადგილებში, სავაჭრო დაწესებულებებში ან თუნდაც სპეციალურად მოწყობილ სავაჭრო პუნქტებში, სადაც პრაქტიკულად არ არსებობს ის მოულოდნელობის ეფექტი, რომლისგანაც კანონმდებელი იცავს მომხმარებელს ხელშეკრულების უარყოფის უფლების მინიჭებით.

ასევე, უარყოფის უფლება, იმპერატიულად მოქმედი ნორმის სახით, არ ვრცელდება პირდაპირი კომუნიკაციის გზით დადებულ ხელშეკრულებებზე, რითაც ხაზი ესმევა დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების განსაკუთრებულობას მომხმარებელთა უფლებების დაცვის თვალსაზრისით. გარდა ამისა, ევროპავშირის დირექტივებით რეგლამენტირებული ხელშეკრულების უარყოფის უფლება მხოლოდ ისეთ ურთიერთობებს მოიაზრებს, სადაც მომხმარებელი საქონლის ანდა მომსახურების შემძენად გამოდის. შესაბამისად, თუ ხელშეკრულების ორივე მხარე მომხმარებელი ანდა მეწარმეა, ნების უკან გამოთხოვის უფლება კარგავს იმპერატიულ ძალას, მიუხედავად იმისა, თუ რა ვითარებაში დაიდო ხელშეკრულება – არაოფიციალურში თუ დისტანციურად. ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ, მაგალითად, ხელშეკრულების ორივე მხარე მომხმარებელია, მათ, რა თქმა უნდა, შეუძლიათ გაითვალისწინონ ხელშეკრულების ცალმხრივად გაუქმდების შესაძლებლობა, როგორც ერთ-ერთი პირობა, მაგრამ ამ პირობას მხარეთა შეთანხმების ძალა ექნება და არა იმპერატიულად მოქმედი დათვებისა.

<sup>603</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011.

<sup>604</sup> *Fina S.*, The Consumer's Right of Withdrawal and Distance Selling in Europe: A Consumer Stronghold in European Distance Selling and E-Commerce, in *Festschrift Franz Zehetner, Markus Haslinger, Arthur Kanonier and Sylvia Zehetner eds.* 2009, 31; Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR), ed., by Von Bar Ch., Clive E., Schulte-Nolke H., and others, Sellier, ELP, Munich, 2009, [www.Law-net.eu](http://www.Law-net.eu), 417.

## 92. სანივთო უფლებებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები

მეორე ჯგუფში ერთიანდება უძრავ ნივთებთან დაკავშირებული ხელშეკრულებები. კერძოდ, „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივაში მოცემული განმარტების თანახმად, დირექტივის მოქმედება და, მათ შორის, ხელშეკრულების უარყოფის საგამონაკლისო რეგულაცია არ ვრცელდება უძრავ ქონებაზე საკუთრების ან სხვა სანივთო უფლების შესახებ დადებულ გარიგებებზე, აგრეთვე, ახალი შენობების აშენებასთან ან უკვე აშენებული შენობების არსებით რეკონსტრუქციასთან დაკავშირებულ ხელშეკრულებებზე. ასევე, საცხოვრებელი მიზნით დადებულ ქირავნობის ხელშეკრულებებზე, მიუხედავად იმისა, თუ რა ვითარებაში და რა ფორმით მოხდა ნების გამოვლენა. გარდა ამისა, დირექტივა იძლევა არსებითი რეკონსტრუქციის განმარტებას. კერძოდ, ასეთად ჩაითვლება შენობის იმდაგვარი გარდაქმნა, რომელიც თავისი შინაარსით უტოლდება ახალი შენობის აშენებას. მაგალითად, როცა სარემონტო სამუშაოების ჩატარების შედეგად მხოლოდ შენობის ფასადი რჩება შეუცვლელი.<sup>605</sup>

სანივთო უფლებებზე ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოქმედების შეზღუდვა, სანივთო უფლებებისათვის დამახასიათებელი განსაკუთრებულობით არის გამოწვეული. უპირველეს ყოვლისა, აქ იგულისხმება სანივთო უფლებათა აბსოლუტურობა,<sup>606</sup> რაც იმაში ვლინდება, რომ მისი მფლობელის წინაშე ვალდებულია სამოქალაქო ბრუნვის ყოველი მონაწილე.<sup>607</sup> შესაბამისად, სანივთო სამართალში დაცვის ობიექტია ნივთზე უფლება, ხოლო ამ ნივთთან დაკავშირებით პირთა ურთიერთობა მეორეხარისხოვან საკითხად მიიჩნევა. გარდა ამისა, აბსოლუტური უფლების მფლობელს ენიჭება დაუყოვნებლივი ძალაუფლება ნივთზე, ხოლო მისგან გამომდინარე მოთხოვნის უფლება შეუზღუდავია და ამ უფლების გამოყენება არ არის დამოკიდებული სხვა რომელიმე გარემოებაზე, თუნდაც მომხმარებელთა უფლებების დაცვისადმი მომეტებულ ყურადღებაზე.<sup>608</sup> გარდა ამისა, სანივთო უფლება, დაცულია სავინდიკაციო და ნეგატორული სარჩევებით.<sup>609</sup> იგი თავისუფალია უფლებამოსილ და მესამე პირს შორის პირადი, სახელშეკრულებო საფუძვლის

<sup>605</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011, 26-ე განმარტება.

<sup>606</sup> ზარანძია თ., ჯულიელი თ., საკუთრების უფლების ექსკლუზიური ხასიათი და საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება ქართულ და ფრანგულ სამართალში. პროფესორ რომან შენგელიას დაბადებიდან 70-ე წლისთვის მიღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2012, 397.

<sup>607</sup> ხოდებ. ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომც., „მეცნიერება“, თბ., 2003, 4.

<sup>608</sup> Reimann M., Zimmermann R., The Oxford Handbook of Comparative Law, Oxford university press, 2006, 1044; Akkermans B., Numerus Clausus in European Property Law, intersentia, 2008, 6.

<sup>609</sup> ხოდებ. ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომც., „მეცნიერება“, თბ., 2003, 4.

არსებობისაგან,<sup>610</sup> ამიტომაც სანივთო უფლებები პრიორიტეტულია ვალდებულებით უფლებებთან შედარებით. სანივთო უფლების მიმართ მოქმედებს ეწ. „droite de preference“-ის პრინციპი, რაც იმას ნიშნავს, რომ ნივთზე სანივთო და ვალდებულებითი უფლების კოალიზის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება სანივთო უფლებას.<sup>611</sup>

სანივთო უფლებისათვის ასევე დამახასიათებელია მიღევნების, გადაცემადობის თვისება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ სანივთო უფლება მიჰყება ნივთს, როცა იგი სხვა პირის ხელში გადადის<sup>612</sup> ან, როგორც ფრანგები ამბობენ, „droit de suite“ - სანივთო უფლება მუდმივად თან სდევს ნივთს.<sup>613</sup> სწორედ მიღევნების თვისებაში ვლინდება სანივთო უფლების ძალა, მისი უპირატესობა ვალდებულებით უფლებასთან მიმართებაში, რომელიც იმის მიუხედავად, რომ ისიც ქონებას ეხება, არ არის ამ ქონების თანამდევი და შემოიფარგლება მხარეთა მხოლოდ ამ კონკრეტული ურთიერთობიდან გამომდინარე უფლება-მოვალეობებით. გარდა ამისა, სანივთო უფლების აბსოლუტური ხასიათის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია, რომ მესამე პირებისათვის ცნობილი იყოს ამა თუ იმ ნივთზე უფლების არსებობის შესახებაც. აბსოლუტურ უფლებათა გამჭვირვალობის პრინციპი უზრუნველყოფს მათ საჯაროობას და განსაზღვრულობას.<sup>614</sup>

შესაბამისად, სამომხმარებლო სამართალში დამკვიდრებული ხელშეკრულების უარყოფის უფლება ვერ გაუწევს კონკურენციას სანივთო უფლებათა ძალას და მათ პრიორიტეტულობას. თუ დავუშვებთ, რომ საცხოვრებელი ბინის ან მიწის ნაკვეთის ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ მომხმარებელს ექნება 14 დღის განმავლობაში მისი უარყოფის უპირობო უფლება, ეს ფაქტობრივად თავდაყირა დააყენებდა უძრავი ქონების მომწესრიგებელი სამართლის მთელ სისტემას. ამიტომაც მართებულად უნდა მივიჩნიოთ სანივთო უფლებების მიმართ ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოქმედების შეზღუდვა.

ნიშანდობლივია ასევე, დირექტივის მოქმედების შეზღუდვა საცხოვრებელი მიზნებისათვის სადგომის ქირავნობის ხელშეკრულებებზე. ამ შემთხვევაში სახეზე გვაქვს არაერთგვაროვანი დამოკიდებულება მომხმარებლის პირადი ინტერესების მიმართ. ერთი მხრივ, არაოფიციალურ ვითარებაში ანდა დისტანციური მეთოდების გამოყენებით საქონლის ანდა მომსახურების პირადი მიზნებისათვის შეძენისას მომხმარებელი დაცულია შესაძლო იმედგაცრუებისაგან და მეწარმეთა არაკეთილსინდისიერი მოქმედებისაგან. საცხოვრებელი მიზნებისთვის კი იმავე ვითარებაში

<sup>610</sup> Сколовский К.И., Собственность в гражданском праве, 91.

<sup>611</sup> Akkermans B., Numerus Clausus in European Property Law, intersentia, 2008, 6.

<sup>612</sup> ზოდე ქ., ქართული სანივთო სამართალი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომც., „მეცნიერება“, თბ., 2003, 7.

<sup>613</sup> თოდეუ ქ., კილემხი ქ., ვალდებულებითი სამართალი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2006, 75.

<sup>614</sup> ჭაბურია ლ., უძრავი ნივთების საკუთრება, გამომც., „სამართალი“, თბ., 2001, 167.

ხელშეკრულების დადების შემთხვევაში, მასზე არ ვრცელდება მომხმარებელთა უფლებების სამართლის სპეციალური წესები, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში მომხმარებელს მოუწევს უფლების დაცვა საერთო საფუძვლებით.<sup>615</sup>

საყურადღებოა სხვა დათქმებიც. მართალია, „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივა არ ვრცელდება სანივთო უფლებების წარმომშობის ხელშეკრულებებზე, მაგრამ დასაშვებია მისი დაცვითი მექანიზმების გამოყენება უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ მომსახურების ხელშეკრულებებზე. ასეთებად კი ითვლება მომსახურების ხელშეკრულებები, რომლებიც დაკავშირებულია უკვე აშენებული ნაგებობის დამატებითი ნაწილების მიშენებასთან. მაგალითად, ავტოსადგომი, ვერანდა ა.შ. ასევე, მომსახურების ხელშეკრულებები, რომელთა შედეგად უნდა მოხდეს ნაგებობის ისეთი შეკეთება ან განახლება, რომელიც არ არის დაკავშირებული არსებით რეკონსტრუქციასთან. ამასთან, უძრავი ქონების სააგენტოებთან დადგებული მომსახურების ხელშეკრულებები ასევე ექცევა დირექტივის მოქმედების არეალში.<sup>616</sup>

უძრავ ქონებასთან დაკავშირებული მომსახურების ხელშეკრულების მიმართ ამგვარი დამოკიდებულება აერთიანებს „მისტერ სანჩესის“ საქმეზე ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს განმარტების საერთო კონცეფციასაც. კერძოდ, სასამართლომ დასაშვებად მიიჩნია ხელშეკრულების უარყოფის უფლების გავრცელება ისეთ ხელშეკრულებებზე, სადაც მომსახურების დირებულება უფრო მაღალია, ვიდრე უძრავი ქონებით სარგებლობის უფლება.<sup>617</sup> თუმცა, მხედველობაშია მისაღები მომსახურების ხასიათიც. თუ მომსახურების გაწევა ხელშეკრულების დადებისთანავე დაიწყო, მაშინ მომხმარებელი გედარ ისარგებლებს ხელშეკრულების უარყოფის უფლებით.

### 9.3. ხელშეკრულებები, რომელთა მიმართაც მომხმარებელს არ წარმოეშობა უარყოფის უფლება

ხელშეკრულებათა მესამე ჯგუფს მიეკუთვნება ისეთი ხელშეკრულებები, რომლებიც, მართალია, ექცევა დირექტივის მოქმედების ფარგლებში, მაგრამ, ხელშეკრულების საგნის თვისებიდან ან შინაარსიდან გამოდინარე, მათ მიმართ არ დაიშვება აქცეპტის გამოხმობა. კერძოდ, „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივა ზღუდავს წევრ სახელმწიფოებს გაავრცელონ ამავე აქტით მომხმარებელთა უფლებების დასაცავად რეგლამენტირებული უარყოფის უფლება ისეთი სახის არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებზე, როგორიცაა:

<sup>615</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011.

<sup>616</sup> იქვე.

<sup>617</sup> Case C-423/97, Travel Vac SL v Manuel Jose Antelm Sanchis[1999] ECR.

- მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებები, მას შემდეგ, რაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება სრულად შესრულდა, რასაც წინ უნდა უსწრებდეს მომხმარებლის ინფორმირებული თანხმობა მომსახურების გაწევის დაწყებაზე და მეწარმის მხრიდან საგალდებულო გაფრთხილება იმის შესახებ, რომ მომსახურების გაწევის დაწყებისთანავე მომხმარებელი კარგავს ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას;
- ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ისეთი საქონლის მიწოდებას ან მომსახურების გაწევას, რომელთა დირებულება დამოკიდებულია ფინანსური ბაზრის მერყეობაზე, არ ექვემდებარება მეწარმის კონტროლს;
- ხელშეკრულებები ისეთი საქონლის მიწოდებაზე, რომლის მახასიათებლები სპეციალურად შეთანხმდა მომხმარებელთან, ან რომელიც ინდივიდუალურადაა განსაზღვრული.
- ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება მაღლუჭებად ან სწრაფმოხმარებად ნივთებს;
- ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება შეფუთული (დალუქული) საქონლის მიწოდებას და რომელთა დაბრუნებაც შეუძლებელია ჯანმრთელობისა და ჰიგიენური წესების დაცვიდან გამომდინარე, თუ მიწოდების შემდეგ დაზიანებულია შეფუთვის მთლიანობა;
- ხელშეკრულებები, ისეთი საქონლის მიწოდების თაობაზე, რომელიც, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მიწოდების შემდეგ სხვა ნივთის შემადგენელი ნაწილი ხდება;
- ალკოჰოლური სასმელების მიწოდების შესახებ ხელშეკრულება, რომლის ფასი შეთანხმდა ხელშეკრულების დადგების მომენტისათვის, ხოლო მიწოდება განხორციელდა მოგვიანებით. თუ თავდაპირველად შეთანხმებული დირებულების ცვალებადობა დამოკიდებულია ბაზარზე ფასების მერყეობაზე და არ ექვემდებარება მეწარმის კონტროლს;
- შეფუთული (დალუქული) აუდიო ან ვიდეო ჩანაწერების ან კომპიუტერული პროგრამების შესახებ ხელშეკრულებები, თუ მიწოდების შემდეგ დაირღვა შეფუთვის მთლიანობა;
- გაზეთების, პერიოდული გამოცემების ან ჟურნალების მიწოდებაზე, გარდა უშუალოდ ამ მომსახურების შესახებ დადებული ხელშეკრულებებისა;
- ხელშეკრულებები, რომლებიც იდება საჯარო აუქციონების გზით;
- ხელშეკრულებები, დაკავშირებული, მუდმივი დანიშნულების გარეშე საცხოვრებელი სადგომის ქირავნობასთან, საქონლის ტრანსპორტირებასთან, მანქანების ქირავნობასთან, საზოგადოებრივ კვებასთან, თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს შესრულების განსაზღვრულ თარიღს ან პერიოდს;
- ციფრული შიგთავსის შინაარსის შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიწოდება არ ხდება ელექტრონული მატარებლით, თუ მიწოდება განხორციელდა მომხმარებლის ინფორმირებული თანხმობით და იმის

შესახებ გაფრთხილებით, რომ მიწოდებით იგი კარგავს  
ხელშეკრულებაზე უარის თქმის უფლებას.<sup>618</sup>

გარდა ამისა, ხელშეკრულების უარყოფის უფლება არ ვრცელდება აზარტული თამაშების, ლატარების, ონლაინ კაზინოთი სარგებლობის შესახებ ხელშეკრულებებზე; სავაჭრო ავტომატების ან ავტომატიზირებული სავაჭრო ფართის გამოყენებით ანდა სატელეკომუნიკაციო საშუალებების ოპერატორებთან საზოგადოებრივი ტელეფონებით სარგებლობის ხელშეკრულებებზე; საკვები პროდუქტების, წვენების ანდა ყოველდღიური მოხმარების სხვა საყოფაცხოვრებო საგნების მიწოდების შესახებ ხელშეკრულებების მიმართ, რომელთა მიწოდებაც რეგულარულად ხდება მეწარმის მიერ მომხმარებლის საცხოვრებელ ანდა სამუშაო ადგილზე.<sup>619</sup>

ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოქმედების გამომრიცხავი გარემოებები რამდენიმე ჯგუფად იყოფა და ცალკე ყურადღებას იმსახურებს.

### 9.3.1. მერყევი დირექტულების საქონელი ანდა მომსახურება

უპირველეს ყოვლისა, ეს არის ხელშეკრულებები, რომლებიც ეხება ისეთი საქონლის მიწოდებასა და მომსახურების გაწევას, რომელთა დირექტულება დამოკიდებულია ფინანსური ბაზრის მერყეობაზე. აქ ძირითადად იგულისხმება დისტანციური ვაჭრობის მეთოდებით დადებული ხელშეკრულებები, სადაც საქონლის ანდა მომსახურების ფასი შეიძლება მეწარმისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით რამდენჯერმე შეიცვალოს მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში. ხელშეკრულების უარყოფის უფლების დაცვითი ფუნქცია მიმართულია ძირითადად იმედგაცრუებული მომხმარებლის მხარდასაჭერად, რომელმაც ზუსტად იცის ან უნდა იცოდეს მაინც რითია უკმაყოფილო. ამასთან, ხელშეკრულების ერთ-ერთი უმთავრესი პირობა სწორედ შეთავაზებული საქონლის ანდა მომსახურების დირექტულებაა. იმ შემთხვევაში კი, როცა დირექტულების ზუსტი მითითება ან თუნდაც მისი პროგნოზირება არა თუ ხელშეკრულების დადების ეტაპზე, არამედ ხელშეკრულების გადახედვისათვის დადგენილი მოელი ვადის გამავლობაში ფაქტობრივად შეუძლებელია, დაცვით მექანიზმების ეფექტურობაც, იკლებს.

ასეთ შემთხვევაში არ არის გამოკვეთილი ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოქმედების მიზანი. თუ დავუშვებთ იმას, რომ მომხმარებელს ექნება ხელშეკრულების უარყოფის უფლება მერყევი დირექტულების მქონე მომსახურების ანდა საქონლის მიმართ, ამან, შესაძლოა, გამოიწვიოს მინიჭებული უფლების მრავალჯერადი გამოყენება ერთი და იმავე შინაარსის მქონე ხელშეკრულების მიმართ. მაგალითად,

<sup>618</sup>Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011.

<sup>619</sup>Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011.

მომხმარებელი მოიხიბლება ოფერტის მომენტისათვის მითითებული საქონლის ღირებულებით. მიწოდებამდე რამდენიმე დღეში, იგი შეიცვლება, რის გამოც მომხმარებელი ისარგებლებს უარყოფის უფლებით. მცირე დროის შემდეგ ფასი ისევ დავარდება, ხელახლა დაიდება ხელშეკრულება, მაგრამ კვლავ წამოიქმნება მისი უარყოფის სუბიექტური საჭიროება ღირებულების შეცვლის გამო. მომხმარებელთა ოპორტუნისტული განწყობიდან გამომდინარე ეს პროცესი შეიძლება დაუსრულებლად გაგრძელდეს. ამგვარი სრულიად არაპროგნოზირებადი ქმედებები, მნიშვნელოვნად შეაფერხებს ბრუნვის სტაბილურობას და უარყოფითად იმოქმედებს დისტანციური ვაჭრობის განვითარებაზე, ამიტომაც მერყევი ღირებულების მქონე საქონლისა და მომსახურების შესახებ ხელშეკრულებებზე არ ვრცელდება მომხმარებლისათვის მინიჭებული ნების უკან გამოხოვის უფლება.

ამასთან, ხელშეკრულებებს, რომელთათვისაც დამახასიათებელია საქონლის ანდა მომსახურების ღირებულების ცვალებადობა, ძირითადად მიაკუთვნებენ უცხოური ვალუტის გადაცვლის, ფინანსური ბაზრის ინსტრუმენტების მაგალითად, მოკლევადიანი ონლაინ სესხების გაცემა, აქციებით ვაჭრობა; გადაცემადი ფასიანი ქადალდების შესახებ დადგებულ შეთანხმებებს. შესაბამისად, თუ მომხმარებელი შეიძენს აქციებს დისტანციურად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, მას არ ექნება ამ ხელშეკრულების უარყოფის საგამონაკლისო უფლება.<sup>620</sup>

### 9.3.2. პერსონიფიცირებული საქონელი

ეურადღებას იმსახურებს ასევე ღირებულივის დათქმა, მომხმარებლის მითითებით აშკარად პერსონიფიცირებული, ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრული საქონლის მიწოდების შემთხვევაში, ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოქმედების შეზღუდვის შესახებ. ღირებულივის განმარტებაში ასეთი შემთხვევის საილუსტრაციოდ მოყვანილია ფარდის შეკერვის მაგალითი მომხმარებლის მიერ სპეციალურად მითითებული ზომების მიხედვით.<sup>621</sup> რადგან ასეთი შემთხვევა, მომხმარებლისათვის არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციურად დადგებული ხელშეკრულების უარყოფის უფლებისაგან გამონაკლისს წარმოადგენს, იგი შედარებით ვიწოდ უნდა განიმარტოს. კერძოდ, აქ იგულისხმება შემთხვევები, როცა მომხმარებელი უთითებს მწარმოებლის მიერ ბაზარზე მიწოდებული საქონელისაგან განმასხვავებელი ნიშნით განსაზღვრულ საქონელზე. ზემოაღნიშნული ფარდის მაგალითზე, ეს იმას ნიშნავს, რომ

<sup>620</sup> Principles of the Existing EC Contract Law (Acquis principles), Contract I, Pre-contractual Obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007. 205; Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR); Edited by Ch.Von Bar, E.Clive and Hans Schulte-Nölke and others, 418.

<sup>621</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011, 49-გ განმარტება.

თუ ოფერტში მითითებული ფარდის ზომაა 2X2, ხოლო მომხმარებელი უკვეთაგს 2X1.5 ფარის დამზადებას, ასეთი საქონელი ჩაითვლება ინდივიდუალური ნიშნით განსაზღვრულად და მასზე აღარ გავრცელდება ხელშეკრულების უარყოფის უფლება.<sup>622</sup>

ამავე კატეგორიას უნდა მიეკუთვნოს შემთხვევები, როცა მომხმარებელი ითხოვს სპეციალური მახასიათებლების მქონე საქონელს, მაგალითად, კონკრეტული დიზაინის მანქანა ან კომპიუტერი. ჩვეულებრივისაგან განსხვავებული ოპერაციული სისტემით, მახსოვრობის დისკით და ა.შ. ასეთი ტიპის პერსონიფიცირებული საქონლის მოწოდებისას მომხმარებელი ასევე ვერ ისარგებლებს ხელშეკრულების უარყოფის უფლებით. მთავარია, რომ საქონლის დამზადება ინდივიდუალურად მოხდეს, კონკრეტული შეკვეთის შესაბამისად და მსგავსი ნივთი არ იყოს ხელმისაწვდომი ფართო მასებისთვის ან საჯაროდ შეთავაზებული. ამასთან, ხელშეკრულების უარყოფის უფლების შეზღუდვა არ იმოქმედებს, თუ სტანდარტისაგან განსხვავებული ნივთი დამზადდა სხვადასხვა ნაწილების შეერთებით და შესაძლებელია მისი მარტივად, დანახარჯების გარეშე დაშლა დამოუკიდებელ ნაწილებად.<sup>623</sup>

ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთი, უპირველეს ყოვლისა უნდა ამართლებდეს განსაკუთრებულობის მოლოდინს. იგი უნდა იყოს უნიკალური, ერთადერთი, შეესაბამებოდეს მომხმარებლის ინდივიდუალურ სურვილს და შეთანხმებული იყოს მეწარმესთან. კონკრეტული მოთხოვნის ან მისი მეწარმესთან შეუთანხმებლობის არარსებობის შემთხვევაში, არც ხელშეკრულების უარყოფის უფლების მოქმედების შემზღვეველი გარემოება იარსებებს. ამავე ჯგუფს მიეკუთვნება შემთხვევა, თუ, მაგალითად, მომხმარებლის მოთხოვნით, საქონელზე (კაბაზე, მანქანაზე და ა.შ.) გამოსახული იქნება სპეციალურად შერჩეული ნახატი ანდა მომხმარებლის ფოტო. და პირიქით, თუ მომხმარებელი არჩევანს აკეთებს მეწარმის მიერ შემოთავაზებული მრავალფეროვანი საქონლიდან ერთ-ერთზე, მაგალითად, რამდენიმე ფერის მაისურიდან ირჩევს ერთ-ერთს, ან ვთქათ, მანქანის შეძენისას ირჩევს დამატებით აქსესუარებს, რომლებიც თავიდანვე იყო შემოთავაზებული ან ირჩევს ავეჯის დამატებით ნაჭრებს მოცემული კატალოგიდან, ეს არ მიუთითებს შეძენილი საქონლის სპეციფიკურობასა ან მის პერსონიფიცირებაზე და, შესაბამისად, არც ხელშეკრულების უარყოფის უფლების შეზღუდვა იქნება შესაძლებელი.<sup>624</sup>

<sup>622</sup> DG Justice Guidance Document, European Commission, DG Justice, June 2014, 54.

<sup>623</sup> DG Justice Guidance Document, European Commission, DG Justice, June 2014, 54; Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR); Edited by Ch.Von Bar, E.Clive and Hans Schulte-Nölke and others, 420.

<sup>624</sup> Principles of the Existing EC Contract Law (Acquis principles), Contract I, Pre-Contractual Obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007, 200-205; DG Justice Guidance Document, European Commission, DG Justice, June 2014, 54.

### 9.3.3. სპეციალური თვისობრიობის მქონე საქონელი

ხელშეკრულების უარყოფის უფლება იცავს მომხმარებელს ნაკლიანი საქონლის შეძენის რისკისაგან, ხოლო ნაკლის, განსაზღვრას მისი სუბიექტური განწყობის მიხედვით უშვებს, რაც საქონლის თვისობრიობის დადგენაში გამოიხატება. დისტანციური კომუნიკაციის წესით დადგებულ ხელშეკრულებებში, სწორედ მომხმარებლის მოლოდინთან საქონლის თვისობრივი შეუსაბამობა იწვევს მისთვის ხელშეკრულების შედეგების გადახედვის შესაძლებლობას. პირდაპირი კომუნიკაციის პირობებში, მაგალითად, სავაჭრო ცენტრში, გამყიდველი განსაკუთრებული მეთოდით აწვდის მომხმარებელს ინფორმაციას ნივთის თვისობრიობის შესახებ. საილუსტრაციოდ ნასყიდობის საგნის ნიმუშს აჩვენებს, შეამოწმებინებს მას, გაასინჯებს პროდუქტს, ან ნასყიდობის ხელშეკრულების საგნის გამოყენების საცდელ ჩვენებას ჩატარებს, რის საფუძველზეც მომხმარებელი იდებს ყიდვის გადაწყვეტილებას.<sup>625</sup> დისტანციურად დადგებული ხელშეკრულების პირობებში მომხმარებელი უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ ცალმხრივად იქმნის წარმოდგენას შესაძენი საქონლის თვისობრიობის შესახებ, რის გამოც მას ეძლევა დამატებითი ბერკეტი მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში დასარწმუნებლად.

მიუხედავად ამისა, ხელშეკრულების უარყოფის უფლება არ გამოიყენება იმ ხელშეკრულებებში, სადაც ნასყიდობის ხელშეკრულების საგანი გარკვეული თავისებურებებით ხასიათდება. ასეთებად მიიჩნევა მალფუჭებადი და სწრაფად ამოწურვადი საქონელი, მაგალითად, როგორიცაა: სასმელი და საკვები პროდუქტები შედარებით მოკლე ვარგისიანობის ვადით ან თუ მათი შენახვისთვის სათანადო პირობების დაცვაა აუცილებელი (მაგალითად მაცივარში შენახვა). ასევე საქონელი, რომლის შეფუთვის მთლიანობის დარღვევის შემდეგ ოგი კარგავს დირებულებით დანიშნულებას ანდა მისი შემდგომი გამოყენება საზიანოა ჰიგიენური წესების დაცვის თვალსაზრისით ან ადამიანის ჯანმრთელობისათვის.<sup>626</sup>

აქ უპირველეს ყოვლისა იგულისხმება დამამზადებლის მიერ შეფუთული ჰიგიენური საშუალებები, როგორიცაა: ტუბსაცხები, სხვადასხვა დანიშნულების კრემები, ლოსიონები, სუნამოები და ა.შ. ასეთი ტიპის საქონლის შეფუთვის მთლიანობის დარღვევისას ან თუნდაც მათი უმნიშვნელო მოხმარების შემთხვევაში, მათი შემდგომი რეალიზაცია ფაქტობრივად შეუძლებელი ხდება. მართალია, მეორადი მოხმარების ნივთები შეიძლება იყოს სამომხმარებლო ხელშეკრულების ობიექტი,<sup>627</sup>

<sup>625</sup> ეროვნულებრი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბ., 2014, 315.

<sup>626</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011.

<sup>627</sup> ეროვნულებრი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბ., 2014, 313.

მაგრამ არა იმ შემთხვევაში, როცა მათი არაერთგზის გამოყენება ეწინააღმდეგება სხვა პირთა პიგიენისა და ჯანმრთელობის დაცვის წესებს. ამიტომაც დასახელებული თვისებების მქონე საქონლის ნახევიდობის სელშეკრულებების მიმართ არ გამოიყენება ხელშეკრულების უარყოფის უფლება.

ამასთან, მომხმარებელთა წახალისებისა და მათვის დამატებითი კომფორტის შესაქმნელად, დისტანციურად პიგიენური საშუალებების შეძენისას, მეწარმეები სთავაზობენ პოტენციურ მყიდველებს დამატებით სერვისებს. მაგალითად, ხელშეკრულების საგანთან ერთად აწვდიან უფასო ნიმუშებს საქონლის შესამოწმებლად (სუნამოს, კრემის ტესტერი). ამ შემთხვევაში მომხმარებელი იგივე ვითარებაშია, როგორც მაღაზიაში. ნივთის მიმართ სუბიექტური განწყობიდან გამომდინარე, მას შეუძლია დარწმუნდეს შეკვეთილი საქონლის ვარგისიანობაში (წაისვას კრემი, დაისხას სუნამო ა.შ.) და მიიღოს ადექვატური გადაწყვეტილება. თუ ნივთის შემოწმება არ არის დაკავშირებული მისი შეფუთვის მთლიანობის დარღვევასთან ან არ გამორიცხავს მის შემდგომ მოხმარებას მესამე პირების მიერ, მომხმარებელი არ იქნება შეზღუდული ისარგებლოს სელშეკრულების უარყოფის უფლებით დასახელებული პროდუქციის დისტანციურად ანდა არაოფიციალურ ვითარებაში შეძენისას.

#### 9.3.4. განსაზღვრული ვადით ან კონკრეტულ თარიღზე მითითებით დადებული ხელშეკრულებები

მართალია, ხელშეკრულების უარყოფის უფლება იცავს მომხმარებლებს გარკვეული საფრთხეებისაგან, რაც დაკავშირებულია არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებთან, მაგრამ, მეორე მხრივ, მომსახურების გაწევის კონკრეტულ სფეროებში, მეწარმეთა ინტერესებიც არ რჩება სათანადო ყურადღების გარეშე. კერძოდ, მომსახურებაზე, რომელიც დაკავშირებულია კონკრეტულ ვადასთან ან, თუ ხელშეკრულება იდება წინასწარ განსაზღვრულ თარიღზე მითითებით უარყოფის უფლება არ გამოიყენება, როგორც იმპერატიულად მოქმედი ნორმა. ეს ძირითადად ეხება ხელშეკრულებებს, რომლებიც დაკავშირებულია მუდმივი დანიშნულების გარეშე წინასწარ განსაზღვრული ვადით საცხოვრებელი სადგომის, სასტუმროში ოთახის, გარკვეული ვადით სატრანსპორტო საშუალებების ქირავნობას, საქონლის ტრანსპორტირებას, ტურისტული საგზურის, ბილეთების და სხვა მსგავსი სახის მომსახურების შეძენას.

ასეთ შემთხვევებში ხელშეკრულების უარყოფის უფლება არ არის პირდაპირ სანქცირებული „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივით, თუმცა, შეიძლება იყოს გათვალისწინებული, როგორც ხელშეკრულების პირობა. ეს იმას ნიშნავს, რომ, მაგალითად, სასტუმროს დაჯავშნის შემთხვევაში, მომსახურების გამწევი კომპანია თვითონ განსაზღვრავს ასეთი ხელშეკრულების გაუქმების წესსა და პირობებს.

კერძოდ, ჯავშნის მოხსნის ვადას, გადაჯავშნის შესაძლებლობას, ან მისი გაუქმებისათვის დამატებითი ღირებულების მოთხოვნას. იგივე შეიძლება ითქვას სატრანსპორტო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებებზეც.

ამგვარი მიღებომა იმით არის გამოწვეული, რომ ხელშეკრულების უარყოფის უფლება კონკრეტულ მოთხოვნებს უკავშირდება. მისი მოქმედების ვადა ჩვეულებრივ მხოლოდ 14 დღით შემოიფარგლება. უარყოფის უფლების რეალიზებისას, დაუშვებელია ასევე მომხმარებლისათვის დამატებითი გადასახადების დაკისრება. გარდა ამისა, იგი ერთგვაროვანი სახით უნდა იქნას რეგლამენტირებული ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობაშიც. მეტიც, მომხმარებელი წინასწარ, წერილობით უნდა იყოს ინფორმირებული უარყოფის უფლების გამოყენების წესისა და პირობების შესახებ. მომსახურების გაწევის დასახელებული სფეროების სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მათზე უარყოფის უფლების ერთგვაროვანი გავრცელება ფაქტობრივად შეუძლებელია. სასტუმროს დაჯავშნის ანდა მისი გაუქმების პირობები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს კონკრეტული სასტუმროს საქმიანობიდან ან მისი მართვის თავისებურებებიდან გამომდინარე. იგივე შეიძლება ითქვას სატრანსპორტო მომსახურებაზე. მაგალითად, თვითმფრინავის ბილეთი შესაძლოა ნაყიდი იყოს მომსახურების გაწევამდე რამდენიმე თვით ადრე, მომხმარებელს კი მისი უკან დაბრუნების აუცილებლობა წარმოეშვას უშუალოდ გაფრენის წინ. თუ დაგუშვებოთ ასეთი ხელშეკრულების მიმართ უარყოფის სპეციალური უფლების მოქმედებას, გამოვა რომ მომხმარებელი ვერც გამოიყენებს მას, ვინაიდან ხელშეკრულების დადებიდან გასული იქნება 14 დღე. შესაბამისად, მხარეთა ინტერესებიდან გამომდინარე, გარკვეული ტიპის მომსახურების გაწევის ხელშეკრულებებზე უარყოფის უფლების მოქმედების შეზღუდვა, გამართლებულად უნდა ჩაითვალოს.

## X. ხელშეკრულების უარყოფის უფლების სამართლებრივი შედეგები

### 10.1. რესტიტუციის თავისებურებანი ხელშეკრულების უარყოფისას

კერძო სამართლის დოქტრინაში დამკვიდრებული პრინციპის თანახმად, ხელშეკრულება უნდა შესრულდეს,<sup>628</sup> რაც იმას ნიშნავს, რომ დაიდო რა ხელშეკრულება, მხარეები შებოჭილი არიან გამოვლენილი ნებით და ამ ნების უკან გამოთხოვა დაუშვებელია მხოლოდ იმ საფუძვლით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთმა მხარემ გადაიფიქრა.<sup>629</sup> ამ ფუნდამენტური პრინციპის პარალელურად, სამართალი ითვალისწინებს გამონაკლის შემთხვევებსაც, როცა მხარეთა შორის სამართლიანი ბალანსის შენარჩუნებისათვის ხელშეკრულების მოქმედების ცალმხრივი შეწყვეტა

<sup>628</sup> ძლიერი შვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშავა ლ., სახელშეკრულებოსამართალი, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2014, 58-59.

<sup>629</sup> Markesinis B., Unberath H., Johnston A., The German Law of Contract, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006, 263.

დასაშვებადაა მიჩნეული. ერთ-ერთი ასეთი გამონაკლისი, მომხმარებლისათვის მინიჭებული ხელშეკრულების ცალმხრივად უარყოფის უფლებაა,<sup>630</sup> რომლის რეალიზებას რესტიტუციის სამართლებრივი შედეგი მოჰკვდება.

უპირველეს ყოვლისა, უნდა აღინიშნოს, რომ მომხმარებლის მიერ უარყოფის უფლების გამოყენება გავლენას ახდენს ნამდვილი ხელშეკრულებიდან წარმოშობილ მხარეთა უფლება-მოვალეობებზე. კერძოდ, ხელშეკრულებაში, სადაც მისი უარყოფის უფლება იმპერატიულად მოქმედი ნორმებითაა უზრუნველყოფილი, მხარეები არ იზღუდებიან ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან. პირიქით, მისი მიზანია მომხმარებლისათვის დამატებითი ვადის მიცემა ორმხრივად შესრულებული ვალდებულებების შედეგების გადასახედად. შესაბამისად, უარყოფის უფლების განხორციელების მომენტისათვის, როგორც წესი, ნასყიდობის საგანი მომხმარებლის მფლობელობაში იმყოფება, ხოლო მეწარმეს მიღებული აქვს მისი დირებულება. ხელშეკრულების უარყოფის უფლების დაცვითი ფუნქციაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ არაოფიციალურ კითარებაში და დისტანციურად დადებული ხელშეკრულებიდან გამოდინარე, შესრულების მიღების შემდეგ მომხმარებელს დამატებითი ვადა ეძლევა გამოვლენილი ნების უკან გამოთხვის გზით ნამდვილი ხელშეკრულება არარსებულად აქციოს.

სამართლებრივი შედეგების თვალსაზრისით ეს იმას ნიშნავს, რომ უარყოფის უფლების რეალიზება ხელშეკრულების ტრანსფორმირებას იწვევს უკუქცევის სამართლებრივ ურთიერთობად. იგი წარმოშობს მიღებული შესრულებისა და სარგებელის უკან დაბრუნების ვალდებულებას. მომხმარებლის მიერ უარყოფის უფლების რეალიზებისას, მხარეები უბრუნდებიან ურთიერთობის საწყის ეტაპს, ხელშეკრულების დადებამდე არსებულ მდგომარეობას.<sup>631</sup>

ამასთან, სამართლებრივ დოქტრინაში დღემდე სადაცოა უარყოფის უფლებასთან დაკავშირებული რესტიტუციის ბუნება. აზრთა სხვადასხვაობას იწვევს უარყოფის უფლების მიმართება ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგთან. მკვლევართა ნაწილი მიიჩნევს, რომ უარყოფის უფლებას რეტროსპექტული მოქმედება გააჩნია, ნაწილი კი თვლის, რომ უარყოფა გავლენას ახდენს მხოლოდ ხელშეკრულების მომავალში არსებობაზე.<sup>632</sup> გაურკვევლობას იწვევს უარყოფის უფლების სამართლებრივი ეფექტის ფორმულირება „მომხმარებელთა უფლებების

<sup>630</sup> European Contract Law, Materials for a Common Frame of Reference: Terminology, Guiding Principles, Model Rules, Sellier, European Law Publishers, Munich, 2008, 411.

<sup>631</sup> Principles of the Existing EC Contract Law (Acquis principles), Contract I, Pre-Contractual Obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, Prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007, 182; European Contract Law, Materials for a Common Frame of Reference: Terminology, Guiding Principles, Model Rules, Sellier, European Law Publishers, Munich, 2008, 416.

<sup>632</sup> Principles of the Existing EC Contract Law (Acquis principles), Contract I, Pre-Contractual Obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, Prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007, 182.

შესახებ“ დირექტივაშიც, რომლის მიხედვით უარყოფის უფლების გამოყენება წყვეტს არაოფიციალურ კითარებაში ანდა დისტანციურად დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა ვალდებულებებს. შედეგად მხარეებს ეკისრებათ მიღებული შესრულებისა და სარგებელის უკან დაბრუნების ვალდებულება.<sup>633</sup>

ახალი დირექტივა არაფერს ამბობს ხელშეკრულების შეწყვეტის სამართლებრივ ბუნებაზეც. თავის მხრივ, კერძო სამართალში რესტიტუციის ორი ძირითადი საფუძველი არსებობს: გარიგების ბათილად ცნობის შედეგად წარმოშობილი რესტიტუციის ვალდებულება, რომელიც შეიძლება უსაფუძვლო გამდიდრებასაც უკავშირდებოდეს და, მეორე, ხელშეკრულებიდან გასვლის შედეგად მიღებული შესრულებისა და სარგებლის ორმხრივად უკან დაბრუნების ვალდებულება. უარყოფის უფლების სამართლებრივი შედეგებიდან გამომდინარე, ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის განსხვავებული წესის გამო, ამ უფლებისათვის შესაბამისი ადგილის მიჩნა წევრი სახელმწიფოების ეროვნულ კანონმდებლობაშიც არაერთგვაროვანია. მაგალითად, პოლანდიის სამართალში უარყოფის უფლება ხელშეკრულების შეწყვეტის ერთ-ერთ სახედ ითვლება. თუმცა, მკვლევართა აზრით, კინაიდან უარყოფის უფლება რესტიტუციის საფუძველია, უმჯობესია იგი ხელშეკრულებიდან გასვლის მომწერიგებელი ნორმების გვერდზე განთავსდეს.<sup>634</sup>

საგულისხმოა, რომ ფრანგულ დოქტრინაშიც არაერთგვაროვანი დამოკიდებულებაა უარყოფის უფლების შედეგად წარმოშობილი რესტიტუციის ბუნების მიმართ. ავტორთა ნაწილი თვლის, რომ უარყოფის უფლება გავლენას ახდენს ხელშეკრულების ძალაში დატოვებაზე და, ამდენად, მომავალში მის არსებობაზე. მეორე ჯგუფი მიიჩნევს, რომ უარყოფის უფლების გავრცელება შესაძლებელია მხოლოდ შესრულებული ხელშეკრულების მიმართ. მესამე ჯგუფში გაერთიანებული მეცნიერების აზრით კი, უარყოფის უფლება მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში „ემბრიონის“ სახით არსებულ ხელშეკრულებაზე ახდენს გავლენას. ამ თვალსაზრისით, უარყოფის უფლება შეიძლება ჩაითვალოს ერთი მხრივ, შესრულებული ხელშეკრულების გაუქმების საშუალებად, ხოლო მეორე მხრივ, ხელშეკრულების საბოლოოდ დადებულად მიჩნევის წინაპირობად.<sup>635</sup> მიუხედავად, უარყოფის უფლებიდან გამომდინარე რესტიტუციის მიმართ არაერთგვარი დამოკიდებულებისა, ფრანგ მკვლევართა უმრავლესობა

<sup>633</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011.

<sup>634</sup> European Contract Law, Materials for a Common Frame of Reference: Terminology, Guiding Principles, Model Rules, Sellier, European Law Publishers, Munich, 2008, 416; Principles of the Existing EC Contract Law (Acquis principles), Contract I, Pre-Contractual Obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, Prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007, 182.

<sup>635</sup> European Contract Law, Materials for a Common Frame of Reference: Terminology, Guiding Principles, Model Rules, Sellier, European Law Publishers, Munich, 2008, 417.

თანხმდება იმაზე, რომ უარყოფის უფლება, ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტის მოდიფიცირებული მექანიზმია.<sup>636</sup>

გერმანული დოქტრინა თავიდანვე ჩამოყალიბდა იმ მიმართულებით, რომ უარყოფის უფლება ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტის მსგავსია.<sup>637</sup> შესაბამისად, უფლების განსხვავებული რეგულირების მიუხედავად, იგი შედარებით მსგავს უფლებასთან მოათავსეს. სამომხმარებლო ხელშეკრულების უარყოფის უფლება გერმანიის სამოქალაქო კოდექსში მოცემულია ვალდებულებითი სამართლის ნაწილში, ხელშეკრულებიდან გასვლის თავში.<sup>638</sup> ამასთან, როგორც უპევ აღინიშნა, გერმანული დოქტრინა მომხმარებელთა ამ უფლებას „ხელშეკრულებიდან გასვლის უფლების განსაკუთრებულ გამოხატულებად მიიჩნევს“ და მასზე რესტიტუციის საერთო საფუძველს ავრცელებს.<sup>639</sup> თუმცა, უარყოფის უფლების შედეგად წარმოშობილი ორმხრივი რესტიტუციის ვალდებულება გარკვეულ თავისებურებებით ხასიათდება და ცალკე უნდა იქნას განხილული.

## 10.2. უარყოფის უფლების პოზიტიური ეფექტი

### 10.2.1. მიღებული შესრულების უკან დაბრუნება

ხელშეკრულებიდან გასვლის მსგავსად, მომხმარებლის მიერ უარყოფის უფლებით სარგებლობა დაკავშირებულია მიღებული შესრულების ნატურით დაბრუნების ვალდებულებასთან. რაც იმას ნიშნავს, რომ შესრულების მიმღებმა უკან უნდა დააბრუნოს მისთვის ფიზიკურად გადაცემული საქონელი. ამასთან, ხელშეკრულებიდან გასვლისას, თუ ნატურით დაბრუნება შეუძლებელია, შესრულების მიმღებს ეკისრება ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული სიკეთის ფულადი ანაზღაურების ვალდებულება. ეს ძირითადად ისეთი შემთხვევებითაა გამოწვეული, როცა რესტიტუციის დროისათვის ხელშეკრულების საგანი ფიზიკურად არ არსებობს ან არსებითად შეცვლილი სახისაა. ამას გარკვეულწილად ისიც განაპირობებს, რომ ხელშეკრულებიდან გასვლა არ არის დროში შეზღუდული, ხოლო ვალდებულების დარღვევა, როგორც გასვლის წინაპირობა, ნებისმიერ დროს შეიძლება წარმოიშვას.<sup>640</sup>

<sup>636</sup> Principles of the Existing EC Contract Law (Acquis principles), Contract I, Pre-Contractual Obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007, 182.

<sup>637</sup> Rott P., Harmonizing Different Rights of Withdrawal: Can German Law Serve as an Example for EC Consumer Law?, Developments, German Law Journal, [Vol., 07 No. 12, 2006, 1111].

<sup>638</sup> გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ქართული თარმანი, (2010 წლის 1 მარტის მდგრმარეობით), გამომც. შპს „სიესტა“, თბ. 2010.

<sup>639</sup> კროფპლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დავალებით, თბ., 2014, 251.

<sup>640</sup> ჭაბურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომც, „სამართალი“, თბ. 2001, 242-247; ძლიერი შეიღება ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ..

აღნიშნულის საწინააღმდეგოდ, სამომხმარებლო სამართალში რეგლამენტირებული უარყოფის უფლების შედეგად წარმოშობილი რესტიტუცია მიმართულია მხოლოდ მიღებული საქონლის ნატურით დაბრუნების ვალდებულებაზე. ამის მიზეზი უფლების რეალიზების შეზღუდული ვადა. <sup>641</sup> მომხმარებელი მხოლოდ დროის განსაზღვრულ პერიოდშია უფლებამოსილი მიღებული შესრულება უკან დააბრუნოს. ამ ვადის გასვლის შემდეგ უარყოფის უფლება წყვეტს არსებობას. გარდა ამისა, მომხმარებლისათვის საქონლის მფლობელობაში გადაცემით მასზე საქონლის შემთხვევით დაღუპვის რისკიც გადადის. შესაბამისად, თუ მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში, გადაცემული სიკეთე ფიზიკურად ნადგურდება, ეს მომხმარებლის რისკის სფეროს განეკუთვნება და ავტომატურად სპონს უარყოფის უფლების გამოყენების შესაძლებლობას, მეტიც, თუ მიღებული საქონელი სხვა ნივთის არსებით შემადგენელ წაწილად იქცევა, ეს საერთოდ გამორიცხავს უარყოფის უფლების არსებობას. <sup>642</sup>

ამდენად, არაოფიციალურ ვითარებაში ანდა დისტანციური კომუნიკაციის წესით დადებულ ხელშეკრულებებში შესრულების უკან დაბრუნება მხოლოდ ნატურით არის შესაძლებელი. ამასთან, მიღებული საქონელი უკან უნდა დაბრუნდეს ხელშეკრულების დადებიდან 14 დღის განმავლობაში, ხოლო ნაგულისხმევი შეტყობინების შემთხვევაში (საქონლის უკან გაგზავნა წინასწარი შეტყობინების გარეშე), ეს ვადა აითვლება მომხმარებლისათვის ნივთის გადაცემის მომენტიდან. <sup>643</sup> დადგენილ ვადაში საქონლის უკან დაბრუნების მტკიცების ტვირთი მომხმარებელს აწევს. ნიშანდობლივია, რომ უარყოფის უფლების მომწერიგებელი ნორმები არ მიუთითებენ მეწარმესთან საქონლის მისვლაზე, როგორც უფლების ეფექტურად განხორციელების წინაპირობაზე. უნდა ვივარაჟდოთ, რომ ამ შემთხვევებზე გავრცელდება შეტყობინების გაგზავნის წესები. ანუ თუ არსებობს იმის მტკიცებულება, რომ საქონელის უკან დაბრუნება შესაბამის ვადაში განხორციელდა, უარყოფის უფლება წარმატებულად რეალიზებულად ჩაითვლება. <sup>644</sup>

## 10.2.2. მიღებული სარგებლის უკან დაბრუნება

მომხმარებლის მიერ შესრულების უკან დაბრუნება ავტომატურად წარმოშობს მეორე მხარის შემხვედრ ვალდებულებას – სრულად დააბრუნოს მიღებული სარგებელი. სარგებელში იგულისხმება საქონელში

<sup>641</sup> European Contract Law, Materials for a Common Frame of Reference: Terminology, Guiding Principles, Model Rules, Sellier, ELP, Munich, 2008, 415.

<sup>642</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011.

<sup>643</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011, DG Justice Guidance Document, European Commission, DG Justice, June 2014, 43.

<sup>644</sup> Loos M., Right of Withdrawal, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 267.

გადახდილი დირექტულება. ამასთან, თანხის უკან დაბრუნება უნდა მოხდეს მომხმარებლის მიერ გამოყენებული ანგარიშსწორების იმავე ხერხით, უარყოფის უფლების გამოყენების შესახებ მეწარმის შეტყობინებიდან 14 დღის განმავლობაში. მხარეთა ვალდებულებებს შორის სამართლიანი ბალანსის შენარჩუნების მიზანი იმაშიც ვლინდება, რომ მეწარმის მიერ თანხის დაბრუნებას წინ უნდა უსწრებდეს მომხმარებლის მიერ საქონლის უკან გაგზავნა ანდა გაგზავნის დამადასტურებელი მტკიცებულების არსებობა.<sup>645</sup>

არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულება, თუ იგი მომხმარებლის საცხოვრებელ სახლთან დაიდო, შეიძლება ითვალისწინებდეს მეწარმის ვალდებულებას მომხმარებლის მიერ უარყოფის უფლების გამოყენებისას, გადაცემული საქონლის პირადად წაღების თაობაზე. ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი თავისუფალია უკან გაგზავნის ვალდებულებისაგან მეწარმე კი, ვალდებულია უარყოფის შესახებ შეტყობინების მიღებიდან თავად უზრუნველყოს საქონლის წამოდება და ვადის დაცვით თანხის უკან დაბრუნება. თუმცა, თუ საქონლის მიწოდება განხორციელდა განსხვავებული მიწოდების მეთოდით, რომელიც მომხმარებლის მოთხოვნით შეთანხმებული იქნა მეწარმესთან, მაშინ დამატებითი მომსახურებისათვის გაწეული ხარჯები მომხმარებელს ადარ აუნაზღაურდება.<sup>646</sup>

### 10.2.3. საქონლის უკან დაბრუნების ხარჯები

ევროპის შიდა ბაზარზე ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა, რომ დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში არც თუ ისე ბევრი მომხმარებელი იყენებს ხელშეკრულების უარყოფის უფლებას. ეს პირველ რიგში გამოწვეულია დამატებითი ხარჯებისადმი უარყოფითი განწყობით. ხშირად უარყოფის უფლებით სარგებლობა ასოცირდება ფინანსურ დანაკლისთან და იწვევს მომხმარებლებში დაძაბულობას.<sup>647</sup>

იმის გათვალისწინებით, რომ ევროპელი კანონმდებელი ცდილობს აღმოფხვრას მომხმარებელთა უარყოფითი დამოკიდებულება დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების მიმართ, ხელშეკრულების უარყოფის უფლება თავისუფალია გადასახადებისაგან. თუმცა, საქონლის უკან დაბრუნების ხარჯების მიმართ არაერთგვარი პოზიციები გამოიკვეთა სამომხმარებლო სამართლის საერთო ჰარმონიზებული პრინციპების შემუშავების პროცესში. კამათს იწვევდა საკითხი, თუ ვის უნდა გაეწია

<sup>645</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011, DG Justice Guidance Document, European Commission, DG Justice, June 2014, 43.

<sup>646</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011, DG Justice Guidance Document, European Commission, DG Justice, June 2014, 43.

<sup>647</sup> Consumer Behavior in a Digital Environment, Directorate –General for Internal Policies, European Parliament, EN, 2011, 77-90; Solomon M., Bamossy G., Askegaard S., Hogg M. K., Consumer Behavior, A European Perspective, third edition, Pearson Education Limits, Harlow, England, 2006, 257-294;

საქონლის დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯები. უარყოფის უფლების ეფექტურობაზე მითითებით, მომხმარებელთა უფლებების დამცავი ორგანიზაციები მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ, რომ მომხმარებლებს უფლების რეალიზაციისას არანაირი ფინანსური ვალდებულებები არ უნდა წარმოქმნოდათ. ამის საპირისპიროდ, ბიზნესისა და ეკონომიკურის წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლების აზრით, უფლების ბოროტად გამოყენების პრევენციის მიზნით, მომხმარებლებს ასეთი ხარჯების გაწევა უნდა დაკისრებოდათ.<sup>648</sup>

საბოლოოდ, „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივით, საქონლის უკან დაბრუნებასთან დაკავშირებული ხარჯების გაწევა მომხმარებლებს დაეკისრათ. ამდენად, ერთადერთი ხარჯი, რომელიც უარყოფის უფლების რეალიზებას უკავშირდება, საქონლის უკან დაბრუნებისათვის გაღებული თანხაა.<sup>649</sup> თუმცა, ეს ზოგადი წესით გარკვეულ გამონაკლისებს ითვალისწინებს. კერძოდ, მომხმარებელი თავისუფლდება უკან დაბრუნების ხარჯისაგან, თუ მეწარმემ უგულებელყო ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ მისი სათანადო ინფორმირების ვალდებულება, ან, როცა საქონლის თვისებიდან გამომდინარე, მისი ფოსტით უკან დაბრუნება შეუძლებელია (ძირითადად არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებების დროს). გარდა ამისა, მომხმარებელი არ არის ვალდებული აანაზღაუროს მეწარმის მიერ გაწეული მომსახურების ხარჯები, თუ მათ წინ არ უსწრებდა მომხმარებლის სათანადო გაფრთხილება ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ, ან თუ მომხმარებლისაგან არ იყო მიღებული გაცნობიერებული თანხმობა იმის თაობაზე, რომ მომსახურების გაწევის დაწყების მომენტიდან იგი კარგავს უარყოფის უფლებას. იგივე წესი გამოიყენება ციფრული შიგთავსის მქონე საქონლის მიწოდების მიმართაც.<sup>650</sup>

#### **10.2.4. პასუხისმგებლობის დაუშვებელობა ხელშეკრულების უარყოფის უფლებით სარგებლობისათვის**

მომხმარებელთა უფლებების დამცავი ეკონომიკული აქტები დაუშვებლად მიიჩნევს მომხმარებლებისათვის რაიმე სახის პასუხისმგებლობის დაკისრებას ხელშეკრულების უარყოფის უფლებით სარგებლობისათვის.<sup>651</sup> არაოფიციალურ ვითარებაში ანდა დისტანციურად დადებული ხელშეკრულებებიდან აქცევტის გამოთხვისათვის მომხმარებელს არ

<sup>648</sup> Loos M., Right of Withdrawal, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 267; Terryn E., The Right of Withdrawal, The Acquis Principles and The DCFR, CFR and Existing EC Contract Law, Sellier, ELP, Munich, 2008, 169-170.

<sup>649</sup> Rott P., Harmonizing Different Rights of Withdrawal: Can German Law Serve as an Example for EC Consumer Law?, Developments, German Law Journal, [Vol., 07 No. 12, 2006, 1124].

<sup>650</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011, DG Justice Guidance Document, European Commission, DG Justice, June 2014, 43-45.

<sup>651</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011, DG Justice Guidance Document, European Commission, DG Justice, June 2014, 43-45.

შეიძლება დაეკისროს დამატებითი სანქცია.<sup>652</sup> ასეთი სახის აკრძალვა შესაბამისობაშია ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ დამკვიდრებულ პრაქტიკასთანაც. მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ეს დათქმა მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართლში სწორედ სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტებების შედეგად დამკვიდრა.

სასამართლოს პრაქტიკიდან აღსანიშნავია „Travel Vac SL v Manuel Jose Antelm Sanchis“-ის საქმე<sup>653</sup> კერძოდ, მისტერ სანჩესთან, არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულების ერთ-ერთი პირობის თანახმად, თუ იგი გამოიყენებდა უარყოფის უფლებას, მას დაეკისრებოდა ზიანის ანაზღაურება, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 25%-ის ოდენობით. მითითებულ საქმეში განმარტების საფუძველი გახდა ეროვნული სასამართლოს მიერ დასმული შეკითხვა, თუ რამდენად შესაბამისობაში იყო დირექტივის<sup>654</sup> მიზნებთან მომხმარებლისათვის ჯარიმის დაკისრება ხელშეკრულების უარყოფის უფლების რეალიზებისას.

საქმის განხილვებმა კომისიამ მიუთითა, რომ ზემოაღწერილი ხელშეკრულების პირობა წინააღმდეგობაში მოდიოდა დირექტივის სავალდებულო დებულებებთან. კერძოდ, თუ შეტყობინება უარყოფის უფლების გამოყენების შესახებ წარმოშობს მომხმარებლისათვის ხელშეკრულების მბოჭავი ძალისაგან გათავისუფლების ეფექტს, მეწარმე ვერ მოითხოვს ხელშეკრულების ვერცერთი პირობების შესრულებას. მით უფრო, ჯარიმის გადახდას უფლებით სარგებლობისათვის, იმისგან დამოუკიდებლად იყო თუ არა ეს ხელშეკრულებით შეთანხმებული. ხელშეკრულების უარყოფის შემდეგ ყველა ვალდებულება კარგავს ძალას, რაც იმას ნიშნავს, რომ მხოლოდ ზიანის ანაზღაურების დაკისრების პირობა ვერ იქნება შენარჩუნებული. გარდა ამისა, უფლებით სარგებლობისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრება მომხმარებლისათვის ჯარიმის დაწესების ტოლფასი იქნებოდა ხელშეკრულების უარყოფის უფლების გამოყენებისათვის, რაც ასევე ეწინააღმდეგებოდა დირექტივის დაცვით ფუნქციას, რომელიც მდგომარეობდა მომხმარებლისათვის ისეთი ფინანსური ვალდებულებების აცილებაში, რისთვისაც იგი ხელშეკრულების დადგების მოქმედისათვის მზად არ იყო. შესაბამისად, სასამართლო მიუთითა, რომ დირექტივა არ ითვალისწინებს რაიმე სახის ზიანის ანაზღაურების ან კონკრეტული თანხის დაკისრების შესაძლებლობას მომხმარებლისათვის, რომელიც მისთვის მინიჭებულ ხელშეკრულების უარყოფის უფლებას იყენებს.<sup>655</sup>

<sup>652</sup> *Fina S., The Consumer's Right of Withdrawal and Distance Selling in Europe: A Consumer Stronghold in European Distance Selling and E-Commerce*, in *Festschrift Franz Zehetner, Markus Haslinger, Arthur Kanonier and Sylvia Zehetner eds.* 2009, 44.

<sup>653</sup> Case C-423/97, *Travel Vac SL v Manuel Jose Antelm Sanchis*[1999] ECR.

<sup>654</sup> საქმის განხილვის დროისათვის მოქმედებდა ევროპის პარლამენტისა და ევროპის კავშირის დირექტივა 97/7 „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ დისტანციურად დადგებული ხელშეკრულებების დროს“.

<sup>655</sup> Case C-423/97, *Travel Vac SL v Manuel Jose Antelm Sanchis*[1999] ECR.

პარალელურად, იმისათვის, რომ მეწარმე დაცული იყოს მომხმარებლის მიერ საქონლის შეუფერებელი მოხმარებისაგან, გარკვეული სახის ზიანის ანაზღაურება დასაშვებად ჩაითვალა.<sup>656</sup> ასეთი პრევენციული დონისძიებები, რა თქმა უნდა, არ ზღუდავს მომხმარებელს უფლების განხორციელებისაგან. ხელშეკრულების უარყოფის შესაძლებლობა, როგორც აღმჭურველი უფლება, არ უნდა იყოს დაკავშირებული უფლებამოსილი პირისათვის დამატებით პასუხისმგებლობასთან, უშუალოდ ამ უფლებით სარგებლობასთან მიმართებაში. მაგრამ ეს იმასაც არ ნიშნავს, რომ უფლების განხორციელება მძიმე ტვირთად უნდა აწვებოდეს მეწარმეებს. მომხმარებელთა მიერ უარყოფის უფლების ბოროტად გამოყენების თავიდან აცილების მიზნით, დადგენილია გარკვეული შეზღუდვები, რომლებიც გავლენას ახდენენ არა უფლების განხორციელების ობიექტზე შესაძლებლობაზე, არამედ მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში, გადაცემული საქონლის დაუშვებელ მოხმარებაზე. შესაბამისად, მომხმარებელთა უფლებების დაცვა არა მხოლოდ აღმჭურველი უფლებების მინიჭებაში გამოიხატება, არამედ კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულებასაც აკისრებს მათ, რომლის უგულებელყოფა შესაბამის სამართლებრივ შედეგებს იწვევს.

### 10.3. უარყოფის უფლების ნეგატიური ეფექტი

#### 10.3.1. პასუხისმგებლობა საქონლის დაუშვებელი მოხმარებისათვის

ხელშეკრულების უარყოფის უფლების დაცვითი ფუნქციის ერთ-ერთი მიზანია მომხმარებელთა დამაჯერებლობის მხარდაჭერა. გადაწყვეტილების მიღებისას მერყეობა, მომხმარებელთა ჩვეულებრივი მდგომარეობაა, რომელიც კონკრეტულ გარემოში ორმაგდება, ამიტომაც არაოფიციალურ ვითარებაში ანდა დისტანციურად დადგებული ხელშეკრულებების თავისებურებების გათვალისწინებით, მომხმარებელი უზრუნველყოფილია დამატებითი შესაძლებლობით – საქონლის მფლობელობაში მიღების შემდეგ, დარწმუნდეს მიღებული გადაწყვეტილების სისწორეში.

შესაბამისად, საქონლის მიწოდებიდან უფლების რეალიზების ვადის გასვლამდე, მომხმარებელს წარმოექმნება შეძენილი საქონელის, როგორც საკუთარის ფლობისა და გარკვეულწილად მისით სარგებლობის უფლება. თუმცა, იმ ხელშეკრულებებში, სადაც დასაშვებია უარყოფის უფლების გამოყენება, სარგებლობა შედარებით შეზღუდული ფორმითაა წარმოდგენილი. თავის მხრივ, ეს შეზღუდვა მოქმედებს მხოლოდ მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში, ვიდრე საბოლოოდ არ გადაწყვდება ხელშეკრულების ძალაში დატოვების საკითხი. ამ შემთხვევაში საქონლის მოხმარების უფლება არ გულისხმობს მისი გამოყენების შესაძლებლობას

<sup>656</sup> Rott P., Harmonizing Different Rights of Withdrawal: Can German Law Serve as an Example for EC Consumer Law?, Developments, German Law Journal, [Vol., 07 No. 12, 2006, 1125-1130.

ხელშეკრულებით განსაზღვრული ან ჩვეულებრივი სარგებლობისათვის. უფლების ორი გადის გასვლამდე მომხმარებელი უფლებამოსილია მხოლოდ იმდაგვარად მოხმაროს მიღებული საქონელი, რაც აუცილებელია მისი თვისობრიობის დასადგენად. სხვაგვარად იგი გადაიქცევა მეორადი მოხმარების საქონლად, რომლის უკან დაბრუნება შეუთავსებელი იქნება მეწარმეთა ინტერესებთან.<sup>657</sup>

საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ, რა ზომამდე შეუძლია მომხმარებელს შეძენელი საქონლით სარგებლობა მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში, როგორად გადასაწყვეტია.<sup>658</sup> ამ შეკითხვაზე პასუხი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დოზითაა აუცილებელი ნივთის გამოყენება მის თვისობრიობაში დასარწმუნებლად. ფეხსაცმელების მაგალითს რომ დავუბრუნდეთ, ნაჩეარევია იმის მტკიცება, რომ მომხმარებელი შეძლებს საქონლის ადექვატურ შეფასებას. მომხმარებელი მაღაზიაში მოიზომებს ფეხსაცმელს თუ, დისტანციურად დადგული ხელშეკრულების შედეგად, ამას სახლში გააკეთებს, არ ნიშნავს იმას, რომ იგი მართლაც შეძლებს ნაყიდი ნივთის ხარისხის ან თვისობრიობის შემოწმებას. ნაყიდი ფეხსაცმელი მისი გარკვეული დროის განმავლობაში მომხმარების შემდეგაც შეიძლება აღმოჩნდეს არაკომფორტული. წინასწარ მოზომება ყოველთვის ვერ დაიცავს მომხმარებელს სინაულის განცდისაგან. მართალია, უარყოფის უფლების ეფექტურობის დასაბუთების თვალსაზრისით, ცხადი ხდება, რომ იგი აქარწყლებს საქონლის ყიდვასთან დაკავშირებულ მომხმარებლის უხერხულობას, თუმცა, მისი არსებობა არააღექვატური იქნებოდა, მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში მომხმარებელს საქონლის თვისუფალი მოხმარების უფლება რომ ჰქონდა.<sup>659</sup>

ნიშანდობლივია, რომ მომხმარებელთა უფლებების მარეგულირებელი ევროპული აქტები არ შეიცავდნენ დებულებებს, რომელთა საფუძველზეც მეწარმეს შეეძლო მოეთხოვა კომპენსაცია მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში მომხმარებლის მიერ ნივთით სარგებლობისათვის. ეს იწვევდა აზრთა სხვადასხვაობას მომხმარებელთა უფლებების დამცავ ნორმებში წევრ სახელმწიფოებს შორის. ამ საკითხის ჰარმონიზაციის მიზნით, კომპენსაციასთან დაკავშირებული სპეციალური დებულებები გათვალისწინებულ იქნა ახალ დირექტივაში „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“. შესაბამისად, განისაზღვრა მომხმარებელთა პასუხისმგებლობა

<sup>657</sup> Rott P., Harmonizing Different Rights of Withdrawal: Can German Law Serve as an Example for EC Consumer Law?, *Developments, German Law Journal*, [Vol., 07 No. 12, 2006, 1123-1130]; Loos M., Right of Withdrawal, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 268-271; Terryn E., The Right of withdrawal, The Acquis Principles and The DCFR, CFR and Existing EC Contract Law, Sellier, ELP, Munich, 2008, 171.

<sup>658</sup> Loos M., Right of Withdrawal, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 268.

<sup>659</sup> Luzak J.A., To Withdraw or not To Withdraw? Evaluations of the Mandatory Right of Withdrawal in Consumer Distance Selling Contracts Taking into account its Behavioral Effects on Consumer, Amsterdam Law School Legal Research Paper No. 2013-21, Centre for the Study of European Contract Law working Paper No. 2013-04, 8, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2243645](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2243645)>, [20.01.2015].

ნებისმიერი სახით საქონლის დირექტულების შემცირებისათვის.<sup>660</sup> თუმცა, ეს დებულება იმდენად ზოგადია, რომ შეუძლებელია ცალსახად იმის დადგენა, თუ რა ჩაითვლება საქონლის დასაშვებ მოხმარებად.

თავს იჩენს ორი ურთიერთსაწინააღმდეგო პოზიცია. ერთი მხრივ, მეწარმეთა უფლება, მოითხოვონ მომხმარებლისაგან საქონლით სარგებლობის კომპენსაცია და, მეორე მხრივ, ხელშეკრულების უარყოფის უფლების დაცვითი ფუნქციის დანიშნულება. მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში შემოწმების მიზნით საქონლის გამოყენება უარყოფის უფლების ძირითადი დირსებაა, რაც თავისთავად იწვევს იმის ვარაუდს, რომ საქონლის მთლიანობა დაირღვევა ან შემცირდება მისი დირექტულება. მაგალითად, დისტანციურად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე კომპიუტერის ყიდვისას ლოგიკურია მისი ჩართვა შემოწმების მიზნით. ასევე შეიძლება აუცილებელი ანდა დასაშვები იყოს გარკვეული პროგრამების ჩატვირთვაც. შესაბამისად, ასეთი სახის სარგებლობა არ უნდა ჩაითვალოს მომხმარებლისათვის კომპენსაციის დაკისრების წინაპირობად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულების უარყოფის უფლება აზრს მოკლებული იქნება, ვინაიდან მის ფუნქცია სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მომხმარებელს მიეცეს საშუალება დარწმუნდეს შეძენილი საქონელის ვარგისიანობაში ისევე, როგორც ამას მაღაზიაში ყიდვისას გააკეთებდა. გარდა ამისა, ზოგიერთი საქონლის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი მნიშვნელობა/დირექტულება შეფუთვის გახსნისთანავე ეცემა ან უფასურდება.<sup>661</sup>

საგულისხმოა, რომ საქონლის გამოყენების არასათანადოობის მტკიცების ტვირთი აწევს მეწარმეს,<sup>662</sup> ამასთან, კომპენსაციის უფლება წინააღმდეგობაში არ უნდა მოდიოდეს კეთილსინდისიერებისა და უსაფუძვლო გამდიდრების პრინციპებთან.<sup>663</sup> ამ გაგებით კომპენსაციის კონკრეტული სახის განსაზღვრა - საქონლის დირექტულების შემცირებისათვის ზიანის ანაზღაურება - დაუშვებელი მოხმარების იდენტიფიცირებას ახდენს, იმ თვალსაზრისით, რომ ზუსტად მიუთითებს მომხმარებელთა პასუხისმგებლობის საფუძველზე, მაგრამ პრობლემას სრულად არ ხსნის. დია რჩება საკითხი იმის შესახებ, თუ რა ჩაითვლება შემოწმების მიზნით მოხმარების მიღმა მოქმედებად, რაც, სავარაუდოდ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ცალკე უნდა დადგინდეს. ამასთან,

<sup>660</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011.

<sup>661</sup> Loos M., Right of Withdrawal, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 268-271.

<sup>662</sup> Principles of the Existing EC Contract Law (Acquis principles), Contract I, Pre-Contractual Obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007, 178.

<sup>663</sup> Rott P., Harmonizing Different Rights of Withdrawal: Can German Law Serve as an Example for EC Consumer Law?, Developments, German Law Journal, [Vol., 07 No. 12, 2006, 1123-1130];

შემოწმების მიზნით საქონელი არ უნდა იყოს გამოყენებული იმაზე მეტად, რაც შესაძლებელი იქნებოდა მაღაზიაში მისი ყიდვისას.<sup>664</sup>

ძირითად მიზეზად რატომაც იკავებენ მეწარმეები თავს მომხმარებლებისათვის ხელშეკრულების უარყოფის უფლების მინიჭებისაგან, არის სწორედ საქონლის დირექტულების შესაძლო შემცირების რისკი.<sup>665</sup> ამიტომაც, უფლების იმპერატიული დათქმის სახით არარსებობის შემთხვევაში უნდა ვიგარაუდოთ, რომ იგი არც იქნება მოცემული ხელშეკრულების პირობად. ამასთან, სტანდარტული ფორმის ხელშეკრულებები ხშირად ითვალისწინებენ პირობას იმის შესახებ, რომ „საქონლის უკან დაბრუნების შემთხვევაში იგი უნდა იყოს დაუზიანებელი და შენარჩუნებული უნდა ჰქონდეს შეფუთვის მთლიანობა“. უარყოფის უფლების მოქმედების ამგვარი შეზღუდვა, ფაქტობრივად, გამორიცხავს მის დაცვით ფუნქციას. ამიტომაც არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში, კანონმდებელმა თავის თავზე აიღო „დაუშვებელი სარგებლობის“ განმარტების საკითხი, რაშიც ნებისმიერი სახით საქონლის დირექტულების შემცირება იგულისხმება.<sup>666</sup> თუმცა, ცხადია, რომ იგი ზოგადი ხასიათისაა და წარმოშობს სასამართლოს პრაქტიკის გზით მისი შემავსებელი განმარტებების აუცილებლობას.

### 10.3.2. მეწარმეთა დაუდევრობის შედეგები

მომხმარებელთა უფლებების დაცვის სამართალში ცალკე მსჯელობის საგანია საქონლით სარგებლობისათვის კომპენსაციის დაკისრების საკითხი იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებელი წინასწარ არ იყო ინფორმირებული ხელშეკრულების უარყოფის უფლების თაობაზე. კერძოდ, „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივა პირდაპირ მიუთითებს, რომ მომხმარებელს არ უნდა დაეკისროს პასუხისმგებლობა საქონლის დირექტულების შემცირებისათვის, თუ იგი არ ყოფილა სათანადო წესით ინფორმირებული უარყოფის უფლების შესახებ.<sup>667</sup>

ხელშეკრულების მბოჭავი ძალის გადახედვის ამგვარი ინტერპრეტაცია, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ მეწარმეთა მიერ

<sup>664</sup> Loos M., Right of Withdrawal – Interoperability of Directives, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2013-61, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2013-11, University van Amsterdam, The Netherlands, <<http://dare.uva.nl/document/2/135836>> [20.01.2015], 12

<sup>665</sup> Macsim A.-R., The New Consumer Rights Directive, A Comparative Law and economics Analysis of the Maximum Harmonization Effects on Consumers and Businesses, The Case of the Cooling-off Period from Online Contracts, <<http://pure.au.dk/portal/files/44659752/Thesis.pdf>>, [02.05.2014], 23-24; Terryn E., The Right of Withdrawal, The Acquis Principles and The DCFR, CFR and Existing EC Contract Law, Sellier, ELP, Munich, 2008, 171.

<sup>666</sup> Loos M., Right of Withdrawal, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 268-271.

<sup>667</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011.

ინფორმირების ვალდებულების უგულებელყოფას, შედეგად მოჰკვება მომხმარებელთა დროში შეუზღუდავი შესაძლებლობა – მოიხმარონ შეძენილი საქონელი და შემდეგ უკან დააბრუნონ იგი.<sup>668</sup> ამასთან, არ არის გამორიცხული, რომ მომხმარებელმა ზოგადად იცოდეს კიდევაც თავისი უფლებების შესახებ, მაგრამ ოპორტუნისტური განწყობიდან გამომდინარე, ბოროტად ისარგებლოს თავისი უპირატესობით. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიიღოს სარგებელი მეწარმის დაუდევრობით<sup>669</sup>- გამოიყენოს შეძენილი საქონელი იქამდე, სანამ არ მობეზრდება, შემდეგ კი ხელშეკრულების უარყოფის უფლებაზე მითითებით, უკან დააბრუნოს იგი. გარდა ამისა, თუ უარყოფის უფლების შესახებ მომხმარებელს ეცნობა არა ხელშეკრულების დადების წინ, არამედ შედარებით გვიან, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ ნაყიდი ნივთი გამოყენებული იყოს მეტჯერ, ვიდრე ეს საჭიროა საქონლის შესამოწმებლად.<sup>670</sup> ასეთ შემთხვევაში ეროვნულმა სასამართლოებმა უნდა მიმართონ უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობის წესებს იმისათვის, რომ წინ აღუდგნენ მომხმარებელთა მიერ უფლების გამოყენების უარყოფით შედეგებს და დაიცვან მეწარმეთა დასაბუთებული ინტერესი.

უნდა აღინიშნოს, რომ ევროპელი კანონმდებელი უშვებს იმის ალბათობას, რომ მომხმარებელებისთვის ხელშეკრულების უარყოფის უფლების მინიჭებას შესაძლოა მოჰკვებ მისი ბოროტად გამოყენებაც. იგივე აზრია განვითარებული ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკაშიც. ამ თვალსაზრისით, პრეცედენტულ გადაწყვეტილებად ითვლება „პია მესნერის“ საქმე,<sup>671</sup> რომელმაც მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ხელშეკრულების უარყოფის უფლების საკანონმდებლო რეგლამენტაციაზე. საქონლის დაუშვებელ მოხმარებასთან დაკავშირებით, ევროპულ დოქტრინაში ჩამოყალიბებული მიღების სრულყოფილად აღქმისათვის, საინტერესო მითითებული გადაწყვეტილებაში განვითარებული მსჯელობის განხილვაც.

### საქმის ფაქტობრივი გარემოებები

2005 წლის 02 დეკემბერს ქალბატონმა მესნერმა, გერმანული ფირმა „შტეფან კრუგერ“-ისგან დისტანციურად დადებული ხელშეკრულების საფუძველზე, შეიძინა ნახმარი ლეპტოპი 278 ევროდ. ფირმა „შტეფან

<sup>668</sup> Rott P., Harmonizing Different Rights of Withdrawal: Can German Law Serve as an Example for EC Consumer Law?, *Developments, German Law Journal*, [Vol., 07 No. 12, 2006, 1123-1130]

<sup>669</sup> Loos M., The Case for Uniformed and Efficient Right of Withdrawal from Consumer Contracts in European Contract Law, Published in *Zeitschrift Fur Europaisches Privatrecht*, 2007, 11.

<sup>670</sup> Luzak J.A., To Withdraw or not To Withdraw? Evaluations of the Mandatory Right of Withdrawal in Consumer Distance Selling Contracts Taking into account its Behavioral Effects on Consumer, Amsterdam Law School Legal Research Paper No. 2013-21, Centre for the study of European Contract Law working Paper No. 2013-04; Rott P., Harmonizing Different Rights of Withdrawal: Can German Law Serve as an Example for EC Consumer Law?, *Developments, German Law Journal*, [Vol., 07 No. 12, 2006, 1123-1130]; Loos M., Right of Withdrawal, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009, 268-271.

<sup>671</sup> Case C-489/07, Pia Messner v Firma Stefan Krüger.

კრუგერ“-ის მიერ ინტერნეტში განთავსებული იყო ხელშეკრულების ზოგადი პირობები, მათ შორის დათქმა იმის შესახებ, რომ მომხმარებელს დაეკისრება ინსტრუქციის შესაბამისი გამოყენების შედეგად საქონლის გაუარესების დირებულების ანაზღაურება. 2006 წლის აგვისტოში ლეპტოპს ადმოაჩნდა ნაკლი. ქალბატონმა მესნერმა მიმართა „შტეფან კრუგერ“-ს და მოითხოვა ნაკლის აღმოფენა. 2006 წლის 7 ნოემბერს ქალბატონმა მესნერმა შეატყობინა „შტეფან კრუგერ“-ს ხელშეკრულების უარყოფის უფლებით სარგებლობის შესახებ და მოითხოვა ლეპტოპის უკან დაბრუნების სანაცვლოდ მის მიერ გადახდილი თანხის ანაზღაურება. იმის გათვალისწინებით, რომ ქალბატონ მესნერს კანონით განსაზღვრული წესით არ ეცნობა უარყოფის უფლების თაობაზე, შეცილება ვადაში განხორციელებულად ჩაითვალა, თუმცა კომპანიამ უარი განაცხადა თანხის დაბრუნებაზე.

ქალბატონმა მესნერმა მიმართა ადგილობრივ სასამართლოს და მოითხოვა „შტეფან კრუგერ“-ზე 278 ევროს გადახდის დაკისრება. თავის მხრივ, კომპანიამ აღძრა შეგებებული სარჩელი, რომლითაც მოითხოვა ქალბატონი მესნერისათვის ლეპტოპით სარგებლობის კომპენსაციის დაკისრება, რადგან იგი, დაახლოებით, რვა თვის განმავლობაში იყენებდა მას. კომპანიის განმარტებით, მსგავსი კომპიუტერით სარგებლობისათვის სამი თვის საშუალო საბაზრო ქირა შეადგენდა 118.80 ევროს. იმის გათვალისწინებით, თუ რამდენ ხანს სარგებლობადა ქალბატონი მესნერი ლეპტოპით, ფირმამ მოითხოვა მომხმარებლისათვის კომპენსაციის სახით 316.80 ევროს გადახდის დაკისრება.

### სასამართლოს გადაწყვეტილება

სასამართლომ მიუთითა, რომ ერთადერთი გადასახადი, რომელიც შესაძლებელია დაეკისროს მომხმარებელს უარყოფის უფლებით სარგებლობისათვის, არის ნაკიდი საქონლის უკან დაბრუნების ხარჯი. სასამართლომ განმარტა, რომ თუ მომხმარებელს უფლების გამოყენებისას მოეთხოვება ნივთის დაბრუნების გარდა სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯების ანაზღაურება, მაშინ უარყოფის უფლებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი ექნება, ვინაიდან დამატებითი დანახარჯების გაწევის პირობებში, მომხმარებელი გადაიფიქრებს და ადარ ისარგებლებს უარყოფის უფლებით.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ უარყოფის უფლების მიზანია დაიცვას მომხმარებელი დისტანციურად დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების უარყოფითი შედეგებისაგან, რადგან ასეთ შემთხვევებში მას არა აქვს რეალური შესაძლებლობა ხელშეკრულების დადებამდე ნახოს და შეამოწმოს შესაძენი ნივთის თვისებები. სწორედ ამ მიზანს ემსახურება მომხმარებლისათვის დისტანციურად დადებული ხელშეკრულების უარყოფისათვის გონივრული ვადის დაწესება, როდესაც მას ეძლევა შესაძლებლობა დაფიქრდეს და დარწმუნდეს შეძენილი ნივთის სასარგებლო თვისებებში. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ დისტანციური ხელშეკრულებების შემთხვევაში

მომხმარებლისათვის შეძენილი ნივთით სარგებლობის კომპენსაციის დაკისრება ეწინააღმდეგება უარყოფის უფლების დაცვით ფუნქციას.

მიუხედავად ამისა, სასამართლომ მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების ურთიერთშეჯერების შედეგად, მიზანშეწონილად ჩათვალა ქალბატონი მესნერისათვის ნივთით სარგებლობისათვის კომპენსაციის დაკისრების საკითხი გადაეწყვიტა სამოქალაქო სამართლის ზოგადი პრინციპების შესაბამისად. კერძოდ, თავის გადაწყვეტილებაში სასამართლო მიუთითებს, რომ მართალია, 97/7 დირექტივის მიზანია დაიცვას დისტანციური ხელშეკრულებების პირობებში მომხმარებლის უფლებები, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მას (მომხმარებელს) უნდა მიენიჭოს იმაზე მეტი უფლება, რაც აუცილებელი იქნებოდა ხელშეკრულების უარყოფის უფლების ეფექტურად განხორციელებისათვის.

სასამართლომ განმარტა, რომ მომხმარებლისათვის დამატებითი ხარჯების დაკისრების აკრძალვა არ გამორიცხავს სამართლიანი კომპენსაციის დაკისრების შესაძლებლობას, იმ შემთხვევისათვის როცა მომხმარებელი დისტანციური ხელშეკრულების საფუძველზე შეძენილი ნივთით სარგებლობს სამოქალაქო სამართლის პრინციპებთან შეუსაბამო ფორმით. კერძოდ, სასამართლომ მიუთითა, რომ ნივთით სარგებლობის უფლება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს კეთილსინდისიერებისა და უსაფუძვლო გამდიდრების პრინციპებს. ამასთან, ეროვნული კანონმდებლობით დაგენილი რეგულაციები უარყოფით გავლენას არ უნდა ახდენდეს ხელშეკრულების უარყოფის უფლების ეფექტურობაზე. სასამართლომ აქვე მიუთითა, რომ ასეთ შემთხვევას ადგილი ექნებოდა, მაგალითად, როცა კომპენსაციის ოდენობა შეუსაბამო იქნებოდა ნასყიდობის ფასთან ან, თუ ეროვნული კანონმდებლობით, მომხმარებელს დაეკისრებოდა იმის მტკიცების ტვირთი, რომ მას ხელშეკრულების უარყოფისათვის განსაზღვრულ ვადაში არ უსარგებლია ნივთით იმაზე მეტად, რაც აუცილებელია უარყოფის უფლების განხორციელებისათვის.<sup>672</sup>

შეიძლება ითქვას, რომ ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას ერთგვარი შემაჯამებელი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების უარყოფის უფლების შინაარსისა და გამოყენების მიზნებისათვის. მართალია, სუსტი მხარის ინტერესების დაცვა მომხმარებელთა უფლებების სამართლის ქვაკუთხედს წარმოადგენს, მაგრამ მეორე მხრივ, დაცვის ღონისძიებები შესაბამისობაში უნდა იყოს კერძო სამართლის ისეთ ფუნდამენტურ პრინციპთან, როგორიცა კეთილსინდისიერად მოქმედების ვალდებულება. თუმცა, როგორც ჩანს, ევროპელმა კანონმდებელმა ჩაკეტა კარი, როცა „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ დირექტივაში განმარტა, რომ საქონლის ღირებულების შემცირების კომპენსაცია ვერ იქნება მოთხოვნილი, თუ მომხმარებელი არ

<sup>672</sup> Case C-489/07, Pia Messner v Firma Stefan Krüger.

იყო სათანადოდ გაფრთხილებული ხელშეკრულების უარყოფის უფლების შესახებ.<sup>673</sup>

თავის მხრივ, ნორმის ამგვარ რეგლამენტირებასაც აქვს შესაბამისი დასაბუთება. უპირველეს ყოვლისა, იგი გამომდინარეობს ხელშეკრულების უარყოფის უფლების იმპერატიული ხასიათიდან. მომხმარებლის ეს უფლება სავალდებულო წესით უნდა იქნეს გათვალისწინებული არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციური კომუნიკაციის წესით დადგებულ ხელშეკრულებებში. გარდა ამისა, მომხმარებელთა უფლებების პარმონიზაცია ავალდებულებს ევროკავშირის შიდა ბაზარზე დაშვებულ მეწარმეებს, დასახელებულ ფორმატში დადგებული ხელშეკრულებებში, ერთგვაროვნად მოახდინონ უარყოფის უფლებით სარგებლობისათვის პირობების შექმნა. ამ ვალდებულების უგულებელყოფის შემთხვევაში გათვალისწინებულია რიგი სანქციები, რომელთა შორის ერთ-ერთი, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის დაკარგვაა. ამ დროს, ფაქტობრივად, დაცვის ობიექტია არა მომხმარებლის ინტერესი, არამედ მისი ინტერესებისადმი პატივისცემა. მეწარმე, რომელიც ნებით ან უნებლიერ არღვევს სათანადო ინფორმირების დამკვიდრებულ სტანდარტს, კარგავს თავისი უფლებების დაცვის უპირატესობას.

## XI. დასკვნითი დებულებები

სადისერტაციო ნაშრომში – ხელშეკრულების უარყოფის უფლება - ქართული და ევროპული სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი – განხილული საკითხების შედეგად შესაძლებელია შემდეგი დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება:

➤ ქართულ კერძო სამართალში ხელშეკრულების უარყოფის უფლება გვხვდება სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნში, სახელშეკრულებო სამართლის ზოგად ნაწილში. იგი მოცემულია ხელშეკრულების დადების თავში და რეგლამენტირებულია, როგორც ქუჩაში დადგებული ხელშეკრულების უარყოფის უფლება. მითითებული მუხლის თანახმად, მომხმარებელსა და საკუთარი სარეწის ფარგლებში მოვაჭრე პირს შორის ქუჩაში, სახლის წინ და მსგავს ადგილებში დადგებული ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ მომხმარებელი ერთი კვირის ვადაში

<sup>673</sup> Loos M., Right of Withdrawal – Interoperability of Directives, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2013-61, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2013-11, University van Amsterdam, The Netherlands, <<http://dare.uva.nl/document/2/135836>> [20.01.2015].

ხელშეკრულებას წერილობით არ უარყოფს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულების შესრულება ხდება მისი დადებისათანავე.<sup>674</sup>

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ ქუჩაში დადებული ხელშეკრულება, ნასყიდობისა და მომსახურების გაწევის ხელშეკრულების განსაკუთრებული გამოვლინებაა. თუმცა, ნორმის ქართული ვერსია არ შეიცავს მითითებას სახელშეკრულებო ურთიერთობის შინაარსზე. იგი აქცენტს აკეთებს მხოლოდ ხელშეკრულების ქუჩაში დადების ფაქტზე, რაც რეგულირების ხარჯებად უნდა მივიჩნიოთ.

ხელშეკრულების უარყოფის უფლების მომწერიგებელი უახლესი ევროპული აქტი – 2011/83 დირექტივა „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ - პირდაპირ მიუთითებს, რომ არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების შემთხვევაში, იმპერატიული ძალის მქონე უარყოფის უფლება მოქმედებს მხოლოდ მოძრავი ქონების ნასყიდობისა და მომსახურების გაწევის შესახებ ხელშეკრულებებზე. შესაბამისად, მიზანშეწონილია, იმავე სახის დათქმა აისახოს სსკ-ის 336-ე მუხლშიც.

ამ შემთხვევისთვის სასურველია გერმანული მოდელის გაზიარება. კერძოდ, მაგალითად, სსკ-ში ცალკე იქნას რეგლამენტირებული ნასყიდობისა და მომსახურების განსაკუთრებული შემთხვევები – საქონლის გასაღების სპეციალური ფორმები. ეს ხელს შეუწყობს არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების ადაპტირებას უქვე არსებულ სახელშეკრულებო სამართლის რეუიმებთან და მნიშვნელოვნად გააფართოებს კოდექსის მოქმედების არეალს.

➤ მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული დოქტრინა ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების სხვადასხვა შემთხვევას მოიცავს და არ შემოიფარგლება მხოლოდ საცხოვრებელ სახლთან დადებული ხელშეკრულებებით. იგი აერთიანებს უწვეულო სახელშეკრულებო ურთიერთობათა ფართო სპექტრს, რომელთაც საერთო აქვთ მხოლოდ ის, რომ მომხმარებელთან მოლაპარაკებები მიმდინარეობდა მეწარმის ჩვეულებრივი საქმიანობის ადგილსამყოფელის ფარგლებს გარეთ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, მოცემული ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების დეფარებით ვიწროა. შეიძლება ითქვას, ბუნდოვანიც ყერადდებას იმსახურებს ფორმულირება „მომხმარებელსა და საკუთარი სარეწის ფარგლებში მოვაჭრე პირს შორის...“. „რეწვა“, რომლისგანაც გამომდინარეობს მნიშვნელობა ნაწარმოებია, განიმარტება, როგორც „ნადირობა რამეზე, მოპოვება რისამე“, წერილი ხელოსნური წარმოება, როგორც საარსებო საშუალებათა დამატებითი მოპოვების წყარო.<sup>675</sup> ამ თვალსაზრისით, საკუთარი სარეწის ფარგლებში მოქმედება

<sup>674</sup> საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.

<sup>675</sup> განმარტებითი ლექსიკონი, ენის მოდელირების ასოციაცია, <http://www.ena.ge/explanatory-online>.

შეძლება მივიჩნიოთ სამეწარმეო საქმიანობად, თუმცა იგი სრულად ვერ ასახავს მეწარმეობის არსე. შესაბამისად, სსკ-ის 336-ე მუხლი, ამ თვალსაზრისით, დაზუსტებას საჭიროებს. მიზანშეწონილია, ნორმის დისპოზიციაში პირდაპირ აისახოს ფორმულირება - „მომხმარებელსა და იმ პირს შორის, რომელიც მოქმედებს საგაჭრო, ანდა სამეწარმეო საქმიანობიდან გამომდინარე, თავისი ხელობის ან პროფესიის ფარგლებში“.

➤ მნიშვნელოვანი სარვეზი, რომელიც სსკ-ის 336-ე მუხლის ფორმულირებაში შეიმჩნევა, ნორმის მოქმედების ფარგლებია. კერძოდ, „...ქუჩაში, სახლის წინ ან მსგავს ადგილებში დადებული ხელშეკრულება...“. ხელშეკრულების უარყოფის უფლების შედარებითმა სამართლებრივმა კვლევამ ცხადყო, რომ უარყოფის უფლების დაცვითი ფუნქცია ეფექტურია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომხმარებლის დაყოლიება ხელშეკრულების დადებაზე ხდება მეწარმეთა ჩვეულებრივი საქმიანობის ადგილებისაგან მოშორებით. თავის მხრივ, მხოლოდ ქუჩაში ხელშეკრულების დადების ფაქტი არ არის იმის მაუწყებელი, რომ ხელშეკრულება დადებულია არასტანდარტულ გითარებაში.

➤ სსკ-ის 36-ე მუხლის ფორმულირება „...საცხოვრებელ სახლთან ან მსგავს ადგილებში...“ ასევე ბუნდოვანია. საცხოვრებელი ადგილის მსგავსი ადგილი შეიძლება იყოს მხოლოდ სხვა სადგომი, რომელსაც ადამიანები ასევე საცხოვრებლად ან დროებით გასაჩერებლად იყენებენ. ნორმის ამ ნაწილის სიტყვასიტყვითი განმარტებიდან არ გამომდინარეობს, რომ მომხმარებელი დაცულია ხელშეკრულების უარყოფის უფლებით იმ შემთხვევებში, თუ ოფერტი მიღებული იქნება, მაგალითად, მომხმარებლის სამუშაო ადგილზე, სატრანსპორტო საშუალებით მგზავრობის, პარკში სეირნობის დროს ან ნებისმიერ სხვა ადგილზე, რომელიც არ განეკუთვნება მეწარმის ჩვეულებრივი საქმიანობის გარემოს.

➤ ხელშეკრულების უარყოფის უფლება იცავს მომხმარებლებს იმ შემთხვევაშიც, როცა მათი ხელშეკრულების დადებაზე დაყოლიება ხდება მეწარმის ან მის ინტერესებში მოქმედი პირის მიერ ორგანიზებული ექსკურსიის დროს. ამასთან, ექსკურსიაში უნდა ვიგულისხმოთ ნებისმიერი ღონისძიება, რომელიც მომხმარებლისათვის თავისუფალი დროის გატარებას გულისხმობს. ნიშანდობლივია, რომ სსკ-ის 336-ე მუხლი ასეთ შემთხვევებს საერთოდ არ ითვალისწინებს.

➤ სსკ-ის 336-ე მუხლის დახვეწისა და ევროპულ სტანდარტთან დაახლოების მიზნით, რეკომენდირებულია, რომ მასში სრულყოფილად აისახოს არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებების შემთხვევები. ამ თვალსაზრისით, გასაზიარებელია „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ 2011/83 დირექტივაში მოცემული ფორმულირება. კერძოდ, დირექტივის მიხედვით, არაოფიციალურ ვითარებაში დადებულ ხელშეკრულებად ითვლება 1) ნებისმერი ხელშეკრულება, რომელიც დადებულია მომხმარებლისა და მეწარმის თანდასწრებით იმ ადგილებში, რომლებიც არ განეკუთვნება მეწარმის ჩვეულებრივი საქმიანობის ადგილს

ან იურიდიულ ადგილსამყოფელს, თუმცა, შინაარსობრივად, მეწარმე ან მისი წარმომადგენელი სწორედ თავისი პროფესიული მიზნებისთვის მოქმედებს; 2) მომხმარებლისათვის გაკეთებული ოფერტი პირველ პუნქტი აღწერილ გარემოში; 3) გარდა ამისა, იმ შემთხვევაშიც, როცა ხელშეკრულება დადებულია მეწარმის ჩვეულებრივი საქმიანობის ადგილზე ან დისტანციური კომუნიკაციის ნებისმიერი საშუალებით, მაგრამ მას წინ უძლვოდა მომხმარებლისადმი პერსონალური და ინდივიდუალური მიმართვა და მისი დაყოლიება ხელშეკრულების დადებაზე, ადგილებში, რომელიც არ მიეკუთვნება მეწარმის ჩვეულებრივი საქმიანობის ადგილს და 4) ხელშეკრულება, დადებული მეწარმის მიერ ორგანიზებული ექსკურსის დროს, რომლის მიზანი ან შედეგია მომხმარებლის დაყოლიება ხელშეკრულების დადებაზე.<sup>676</sup>

ამასთან, შესაძლებელია არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებების განმარტების დაზუსტებაც იმდაგვარად, რომ ჩამონათვალში პირდაპირ აისახოს შემთხვევები, როცა მომხმარებლის დაყოლიება ხელშეკრულების დადებაზე ხდება მისი საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის ზონაში, სატრანსპორტო საშუალებაში ან სხვა საჯარო სივრცეში, რომელიც არ მიეკუთვნება მეწარმის ჩვეულებრივი საქმიანობის ადგილს (გერმანული მოდელი).<sup>677</sup>

➤ უარყოფის უფლების დაცვითი ეფექტი მიზანს მხოლოდ იმ შემთხვევაში აღწევს, როცა მომხმარებელი საგანგებოდაა ინფორმირებული უფლებისა და მისი რეალიზების წესის შესახებ. ამ თვალსაზრისით, სსკ-ის 336-ე მუხლის შინაარსი არასრულია. ნორმის დახვეწის მიზნით, მას უნდა დაემატოს დებულებები მეწარმეთა მხრიდან მომხმარებელთა სათანადო ინფორმირების ვალდებულების შესახებ. დეტალურად უნდა გაიწეროს მისაწოდებელი ინფორმაციის შინაარსი და ფორმა. დღეისათვის არსებული რედაქციით, ბუნდოვანია მომხმარებლის ვალდებულება უფლების რეალიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, ვის უნდა მიმართოს მომხმარებელმა ან რა გზით უნდა დაუკავშირდეს ადრესატს. გარდა ამისა, სსკ-ის 336-ე მუხლი უთითებს მომხმარებლის ვალდებულებაზე, წერილობით განახორციელოს ხელშეკრულების უარყოფის შესახებ ნების დეკლარირება. მართალია, მომხმარებელთა უფლებების დამცავი ევროპული აქტები არ ზღუდავენ მეწარმეებს უარყოფის ფორმატის განსაზღვრაში, მეტიც - ითვალისწინებენ შეტყობინების მოდელურ ფორმას, თუმცა, ამავდროულად, დასაშვებად მიიჩნევენ ნაგულისხმევი შეტყობინების შესაძლებლობასაც. სასურველია, რომ მსგავსი დათქმა მუხლის ახალ რედაქციაშიც აისახოს. აქეთ უნდა აღინიშნოს უარყოფის უფლების განხორცილების ვადა. სსკ-ის 336-ე მუხლი ასეთად ერთ კვირას მიიჩნევს. ამასთან, ევროპის შიდა ბაზარზე სრულფასოვანი ინტეგრაციის მიზნებისათვის, მიზანშეწონილია,

<sup>676</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011.

<sup>677</sup> შეად., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ქართული თარმანი, (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით), გამომც. შპს „სიესტა“, 2010, 312-ე მუხლი.

რომ მითითებული ვადა გაიზარდოს 14 დღემდე და გაუთანაბრდეს ევროპულ სტანდარტს.

➤ ნიშანდობლივია სსკ-ის 336-ე მუხლის შემდეგი ფორმულირება: „...დადებული ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ მომხმარებელი ერთი კვირის ვადაში ხელშეკრულებას წერილობით არ უარყოფს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულების შესრულება ხდება მისი დადებისთანავე“. ნორმის ამ ნაწილის განმარტებას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ხელშეკრულების დადებულად მიჩნევა დამოკიდებულია მომხმარებლის მიერ უარყოფის უფლების გამოყენება - არგამოყენებაზე. ეს ფაქტობრივად ასეც არის. თუმცა, მეორე მხრივ, ბუნდოვანია თუ რას გულისხმობს კანონმდებელი სიტყვებში „ხელშეკრულება ძალაშია“. უარყოფის უფლების მთელი არსი იმაში მდგომარეობს, რომ იგი უკუაგებს ნამდვილ და უმეტესწილად ორმხრივად შესრულებულ ხელშეკრულებას. უარყოფის უფლების არსებობის მიუხედავად, მხარეთა შორის არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციურად დადებული ხელშეკრულებები დადების მომენტიდანვე ნამდვილ, იურიდიული ძალის მქონე შეთანხმებებად მიიჩნევა, მომხმარებელს კი ეძლევა აღმჭურველი უფლება - ცალმხრივი ნების გამოვლენით უარი თქვას ხელშეკრულების შედეგზე - უკან დააბრუნოს შეძენილი საქონელი და მოითხოვოს მასში გადახდილი თანხა.

ამ თვალსაზრისით ნორმა დაზუსტებას მოითხოვს. კერძოდ, ნაცვლად „...დადებული ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ მომხმარებელი ერთი კვირის ვადაში ხელშეკრულებას წერილობით არ უარყოფს...“, მიზანშეწონილია მიეთითოს, რომ „მომხმარებელი უფლებამოსილია უარყოს არაოფიციალურ ვითარებაში დადებული ხელშეკრულება თუ იგი დადებულია...“. როგორც უკვე აღინიშნა პარალელურად უნდა დაზუსტდეს და ჩამოყალიბდეს ამ ვითარებაში დადებული ხელშეკრულებების ჩამონათვალი.

➤ საკითხი, რომელიც ასევე იმსახურებს უურადღებას და სსკ-ის 336-ე მუხლის არაეფექტურობაზე მიუთითებს - უარყოფის უფლების მოქმედების შეზღუდული ფარგლებია. კერძოდ, სსკ-ის 336-ე მუხლის თანახმად, „...დადებული ხელშეკრულება ძალაშია მხოლოდ მაშინ, თუ მომხმარებელი ერთი კვირის ვადაში ხელშეკრულებას წერილობით არ უარყოფს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ხელშეკრულების შესრულება ხდება მისი დადებისთანავე“. მითითებული ფორმულირებიდან გამოდინარეობს, რომ ხელშეკრულების დადებისთანავე შესრულების შემთხვევაში, მომხმარებელი კარგავს მისი უარყოფის უფლებას. უფლების ამგვარი რეგლამენტაცია, უპირველეს ყოვლისა, წინააღმდეგობაშია მის დაცვით ფუნქციასთან. კერძოდ, უარყოფის უფლების ეფექტურობა იმაში გამოიხატება, რომ მომხმარებელს ხელშეკრულების დადებისა და საქონლის ფაქტობრივ მფლობელობაში გადაცემის შემდეგ ეძლევა დამატებითი დრო მისი თვისობრიობის შესამოწმებლად. ამასთან, ნასყიდობის ხელშეკრულებები უმეტესწილად დადებისთანავე ორმხრივად სრულდება.

თუ დაგუშვებთ იმას, რომ შესრულება აქარწყლებს უარყოფის უფლებას, მაშინ ამ უფლების საერთო კონცეფცია აზრს დაკარგავს.

➤ უარყოფის უფლების ევროპული მოდელი დასაშვებად მიიჩნევს მისი მოქმედების შეზღუდვას, თუ ხელშეკრულების შესრულება დადგებისთანავე ხდება. თუმცა, ქართული ალტერნატივისაგან განსხვავებით, აზუსტებს ასეთ შემთხვევებს და მათ მხოლოდ მომსახურების გაწევის ხელშეკრულებებს უკავშირებს. აღნიშნულის გათვალისწინებით, სსკ-ის 336-ე მუხლი უნდა დაზუსტდეს. უპირველეს ყოვლისა, პირდაპირ უნდა განიმარტოს შემთხვევები, როცა ხელშეკრულების შესრულება იწვევს უარყოფის უფლების გაქარწყლებას. ამასთან, გასაზიარებელია ევროპული ტენდენციებიც. კერძოდ, სასურველია, რომ უფლების მოქმედების შეზღუდვა მხოლოდ მომსახურების ხელშეკრულებებს უკავშირდებოდეს. ასევე, დაცული უნდა იქნას შეზღუდვის წინაპირობა – მომხმარებლის სათანადო ინფორმირება აღნიშნულის თაობაზე.

➤ ხელშეკრულების უარყოფის უფლების დაცვითი ფუნქციის იმპერატიული ძალის მიუხედავად, მისი მოქმედება შეზღუდულია არა მხოლოდ მომსახურების გაწევის ხელშეკრულებებში. საგულისხმოა, რომ სსკ-ის 336-ე მუხლი ამგვარ შეზღუდვებსაც არ შეიცავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციურად დადებული ხელშეკრულებებისათვის უარყოფის უფლების მოქმედების შეზღუდვისათვის საერთო საფუძვლებია გათვალისწინებული. შესაბამისად, მომხმარებელთა უფლებების დაცვის ქართული სამართლის რეფორმის ფარგლებში აღნიშნული საკითხიც უნდა მოწესრიგდეს.

➤ ხელშეკრულების უარყოფის უფლება ნამდვილი და ორმხრივად შესრულებული ხელშეკრულების უკუგების შესაძლებლობას იძლევა. მომხმარებლის მიერ უარყოფის უფლებით სარგებლობა რესტიტუციის ეფექტს იწვევს. შესაბამისად, მხარეებს წარმოექმნებათ მიღებული შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნების ვალდებულება.

უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 336-ე მუხლი არ მიუთითებს ხელშეკრულების უარყოფის უფლების რეალიზების სამართლებრივ შედეგებზე. ეს საკითხი ფაქტორივად ლიადაა დატოვებული. ამ თვალსაზრისით გასაზიარებელია ხელშეკრულების უარყოფის უფლების სამართლებრივი შედეგების მოწესრიგების გერმანული მოდელი. კერძოდ, გერმანიის სამოქალაქო კოდექსში სამომხმარებლო ხელშეკრულებებზე უარის თქმის შედეგები მოცემულია ხელშეკრულებიდან გასვლის მოწესრიგებელი ნორმების გვერდით.<sup>678</sup> სასურველია, რომ ანალოგიური შინაარსის ნორმებმა დაიმკვიდრონ ადგილი საქართველოს სამოქალაქო კოდექსშიც, ხელშეკრულებიდან გასვლის თავში.

<sup>678</sup> შეად., გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ქართული თარგმანი, (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით), გამომც. შპს „სიესტა“, თბ. 2010, 355-ე მუხლი და შემდგომნი.

სახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელშიც მომხმარებელი ასევე დაცულია ხელშეკრულების უარყოფის უფლებით, დისტანციურად დადებული ხელშეკრულებებია,<sup>679</sup> რომელთა აქტუალობა დღითიდან იზრდება. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ელექტრონული კომერციის მზარდი განვითარების ფონზე. ნიშანდობლივია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ შეიცავს დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების სამართლებრივ რეგულირებას. იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის უნიფიცირებულ სახელშეკრულებო სამართლში ხელშეკრულებების უარყოფის უფლება დისტანციურად დადებულ ხელშეკრულებებში მომხმარებელთა დაცვის მიზანსაც ემსახურება, ეს უფლება სათანადოდ უნდა აისახოს საქართველოს კანონმდებლობაშიც.

ამასთან, როგორც უკვე აღინიშნა, მიზანშეწონილია რომ ცელილებები განხორციელდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსში. ქუჩაში დადებული ხელშეკრულებების უარყოფის უფლების გერდზე კანონმდებელმა უნდა გაითვალისწინოს დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების უარყოფის შესაძლებლობაც. სპეციალურ დებულებებში უნდა აისახოს ამ უფლების საერთო კონცეფცია და მისი უფლებურად განხორციელების მექანიზმი.

➤ უპირველეს ყოვლისა, სასურველია საქართველოს სამოქალაქო კოდექსში დამკვიდრდეს დისტანციურად დადებული ხელშეკრულების დეფინიცია, რომელიც შესაბამისობაში იქნება მის ევროპულ ანალოგთან. ამ თვალსაზრისით, საყურადღებოა 2011/83 დირექტივით დამკვიდრებული განმარტება, რომლის მიხედვით დისტანციურად დადებული ხელშეკრულებაა „ნებისმიერი გარიგება, რომელიც დადებულია მომხმარებელსა და მეწარმეს შორის დისტანციური ვაჭრობისათვის ანდა მომსახურების გაწევისათვის სპეციალურად ორგანიზებული სისტემის მეშვეობით, მომხმარებლისა და მეწარმის ერთდღოული მონაწილეობის გარეშე, დისტანციური კომუნიკაციის ერთი ან რამდენიმე განსაკუთრებული წესის გამოყენებით.“<sup>680</sup>

➤ ასევე უნდა მოწესრიგდეს დისტანციურად დადებული ხელშეკრულების უარყოფის უფლება; დამკვიდრდეს უფლების რეალიზების წესი, რომელიც, როგორც წესი, ქუჩაში დადებული ხელშეკრულების უარყოფის რეალიზების წესის იდენტურია. თუმცა, დისტანციური ხელშეკრულებების სპეციფიკის გათვალისწინებით კანონმდებელმა ცალკე

<sup>679</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32011L0083> 26.04.2014; *Twigg-Flesner Ch. and Schulze R., Protection Rational Choice: Information and The Right of Withdrawal, Handbook of Research on International Consumer Law, Published by Edward Elgar Publishing Limited, Cheltenham, UK, 2011, 130; Daunel-Lieb B., A Special Private Law for B2C? Silver Bullet or Blind Alley? New Features in Contract Law, R. Schulze sd. pub. Mucchen, Sellier, European Law Publishers, 2007, 107-117 და სხვანი.*

<sup>680</sup> Directive 2011/83/EU Of The European Parliament and of The Council of 25 October 2011, <http://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?uri=CELEX:32011L0083> 26.04.2014

უნდა გამოყოს ასეთ ვითარებაში მომხმარებლის ინფორმირების სტანდარტი, მისაწოდებელი ინფორმაციის ფორმატი და მხარეთა კომუნიკაციის წესი.

➤ მნიშვნელოვანია მოსაფიქრებელი ვადის ათვლის წესის განსაზღვრაც, რა დროსაც გასათვალისწინებელია მომხმარებლისათვის საქონლის მიწოდების პირობები.

➤ ცალკე მოწესრიგებას საჭიროებს მომსახურების გაწევის თაობაზე და ციფრული შინაარსის შიგთავსის მქონე საგანზე დისტანციურად დადებული ხელშეკრულებები. ასევე, უნდა განისაზღვროს ისეთი ხელშეკრულებები, რომლებზეც მათი დისტანციურად დადების მიუხედავად, ხელშეკრულების უარყოფის უფლება არ ვრცელდება. ბოლოს, კანონმდებელმა უნდა მოახდინოს იმ სამართლებრივი შედეგების რეგლამენტაცია, რომლებიც მოყვება დისტანციურ ხელშეკრულებებში უარყოფის უფლების რეალიზებას.

ნიშანდობლივია, რომ დღეისათვის, არც საქართველოს სამოქალაქო კოდექსი და, არც სხვა საკანონმდებლო აქტი არ შეიცავს დებულებებს დისტანციურად დადებული ხელშეკრულებების უარყოფის შესახებ. ამიტომაც, შედარებით-სამართლებრივი კავლევის ჩატარება ამ მიმართულებით შეუძლებელია. მეორე მხრივ, ეს იმას ნიშნავს, რომ კანონმდებელმა შემჭიდროებულ ვადებში უნდა დაარეგულიროს სახელშეკრულებო ურთიერთობების დასახელებული სფერო სათანადო ცვლილების განხორციელების გზით.

ამასთან, საგულისხმოა, რომ ხელშეკრულების უარყოფის უფლება არ უნდა იწვევდეს მისი ბოროტად გამოყენების შესაძლებლობას. აღნიშნულის პრევენციის მიზნით, ევროპულ დოქტრინაში სათანადო ყურადღებას აქცევენ მომხმარებლის მიერ მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში საქონლის გამოყენების დასაშვებ ფარგლებს. ხელშეკრულების უარყოფის უფლების საერთო კონცეფციის მიხედვით, მომხმარებელს ეკისრება ზიანის ანაზღაურება, თუ მოსაფიქრებელი ვადის განმავლობაში საქონლის გამოყენებას მისი ღირებულების შემცირება მოჰყვება. ეს საკითხი ასევე უნდა იქნეს გათვალისწინებული უარყოფის უფლების მომწესრიგებელი ქართული ნორმების რეფორმირების დროს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ხელშეკრულების უარყოფის უფლების სრულყოფისათვის, ასევე მხედველობაშია მისაღები სამოქალაქო კოდექსის 370-ე მუხლის შინაარსი, რომლის მიხედვით, სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულების უარყოფის უფლება შესაძლებელია, თუ ამ კრედიტთან დაკავშირებული სასყიდლიანი ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაგებელი გამყიდველის მიმართ მას მხარეს მიანიჭებდა თავისი ვალდებულების შესრულებაზე უარის თქმის უფლებას.

საგულისხმოა, რომ „მომხმარებელთა უფლებების შესახებ“ 2011/83 დირექტივით დამკვიდრებული სტანდარტის მიხედვით, ხელშეკრულების

უარყოფის უფლება არ ვრცელდება ფინანსური მომსახურების და, მათ შორის, სამომხმარებლო კრედიტის ხელშეკრულებებზე. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 370-ე მუხლის შინაარსი საჭიროებს დაზუსტებას.

ამდენად, წინამდებარე ნაშრომში განხილული საკითხების ანალიზისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციურად დადგებულ ხელშეკრულებებში მომხმარებლებისათვის უარყოფის უფლების მინიჭება მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული დოქტრინის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. ამასთან, ამ უფლების დაცვითი ფუნქცია დამაჯერებელ არგუმენტად უნდა ჩაითვალოს უარყოფის უფლების, როგორც სამართლებრივი ინსტიტუტის შემოღებისა და შემდგომი განვითარების აუცილებლობის დასაბუთებისათვის.

მეტიც, არაოფიციალურ ვითარებაში და დისტანციური კომუნიკაციის სამყაროში მომხმარებელთა ნების ფორმირების თავისებურებათა და ასეთი ტიპის სახელშეკრულებო ურთიერთობების მიმართ მომხმარებელთა განწყობის გათვალისწინებით, გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ ხელშეკრულების მბოჭავი ძალის გადალახვის შედარებით მარტივი და დამატებითი პასუხისმგებლობისაგან თავისუფალი შესაძლებლობის არსებობა იმ შემთხვევებისათვის, როცა ხელშეკრულების ერთი მხარე მეწარმე, ხოლო მეორე – მომხმარებელია; პირი, რომელიც სხვადასხვა სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორის გამო ვერ ახდენს მისთვის გარანტირებული სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლებში თავისი ინტერესების თუ სამართლით დაცული უფლებების სრულფასოვან რეალიზებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია, რომ ხელშეკრულების უარყოფის უფლების ევროპულმა სტანდარტმა, როგორც მომხმარებელთა უფლებების დამცავმა ქმედითმა ინსტიტუტმა, სრულფოფილი სახით დაიმკვიდროს სათანადო ადგილი ქართულ სახელშეკრულებო სამართალშიც.

## გამოყენებული ლიტერატურა

ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი, გამომ., „სამართალი“, თბ., 1999.

ბალიშვილი ქ., ნების გამოვლენის (ოფერტის) გამოთხოვა უნიფიცირებულ კერძო სამართალში, ქართული სამართლის მიმოხილვა – სპეციალური გამოშვება, თბ., 2007.

ბზეკალავა ქ., მომხმარებელთა უფლებები საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, პროფესორ ლადო ჭანტურიას დაბადებიდან 50-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოცემა, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2013.

გახვიანი თ., ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გადაქცევა ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილად, (გერმანული სამართლის მაგალითზე). მართლმსაჯულება და კანონი, 1(16)08, 39-40.

დიოდიძე თ., ხელშეკრულებაზე უარის თქმა ქუჩაში დადებული გარიგების დროს გერმანული და ქართული სამართლის მიხევით, სტუდენტური სამართლებრივი ჟურნალი, თბ., 2014.

ერქვანია თ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ევროპული სტანდარტები ელექტრონული ვაჭრობის სფეროში და ქართული კანონმდებლობა, ჟურ., „მართლმსაჯულება და კანონი“, №3(30), თბ., 2011.

გაშაგიძე გ., სამოქალაქო კოდექსის გართულებულ ვალდებულებათა სისტემა, თბ., 2010.

გაშაგიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით – აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ქართული სამართლის მიმოხილვა, 10/2007-1.

ზაალიშვილი ქ., სამომხმარებლო კერძოსამართლებრივი ურთიერთობების რეგულირების სისტემური თავისებურებანი ქართულ კანონმდებლობაში, „სამართლის ჟურნალი“, № 1-2, თბ., 2010.

ზარანდია თ., სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების დრო და ადგილი, გამომც., „ჯისიაი“ თბ., 2005.

ზარანდია თ. ჯუღელი თ., საკუთრების უფლების ექსკლუზიური ხასიათი და საკუთრების უფლების ბოროტად გამოყენება ქართულ და ფრანგულ სამართალში. პროფესორ რომან შენგალიას დაბადებიდან 70-ე წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული, თბ., 2012.

ზოდებ., ქართული სანივთო სამართლი, მეორე გადამუშავებული და სრულყოფილი გამოცემა, გამომც., „მეცნიერება“, თბ., 2003.

ზოდებ., ეკონომიკური პერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბ., 2005.

თოდუა ბ., ვილერთი პ., ვალდებულებითი სამართლი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, თბ., 2006.

იზორია ლ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, 30-ე მუხლი, გამომც., „მერიდიანი“, თბ. 2005.

კაჯოიშვილი ღ., ხელშეკრულების სტანდარტული პირობები, ქართული ბიზნეს სამართლის მიმოხილვა, II თბ., 2013.

კერძებელიძე ღ., პერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, ეკონომიკური და შედარებითი სამართლის ინსტიტუტის გამომცემლობა, თბ., 2009.

კროფჭოლერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, საიას იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი GIZ-ის დაგალებით, თბ., 2014.

ფაჩუაშვილი ნ., დისტანციური ხელშეკრულებები და მათზე უარის თქმის უფლება გერმანიის სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, სტუდენტური სამართლებრივი უურნალი, თბ., 2014.

ქარდაგა ქ., მომხმარებელთა უფლებების დაცვის ეკონომიკური სტანდარტების შედარებით-სამართლებრივი მიმოხილვა ქუჩაში დადგებული ხელშეკრულებების მაგალითზე, ქართული სამართლის მიმოხილვა – სპეციალური გამოშვება, თბ., 2007.

ჩაჩანიძე თ., სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, უურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №3, თბ., 2011.

შენგელია ი., სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა, უურ., „მართლმსაჯულება და სამართალი“ №4 (29), თბ., 2009.

ცვაიგერტი კ., კოტცი პ., შედარებითი სამართალმცოდნების შესავალი კერძო სამართლის სფეროში, ტომი I, გამომც. „ჯისიაი“, თბ., 2000.

ქლიერი შვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ. ცერცვაძე ლ., ჯანა შია ლ., სახელ შეკრულებო სამართალი, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2014.

ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, გამომც., „სამართალი“, თბ., 2001.

ჭანტურია ლ. შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, გამომც., „სამართალი“, თბ., 1997.

ჭანტურია ლ. სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომც., „სამართალი“, თბ., 2011.

ჭეჭელა შვილი ზ., სახელ შეკრულებო სამართალი, თბ., 2008.

ჯორბენაძე ს., შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, სამართლის უწ., უნივერსიტეტის გამომც., №2, თბ., 2011.

ხუბუა გ., საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, მე-16 მუხლი, გამომც., „მერიდიანი“, თბ., 2005.

Anagnostopoulou D., E-Commerce in International and European Union Law: The Policy of the European Union on Digital Agenda and Strategy 2020, <<http://afrodit.uom.gr/jmc/wp-content/uploads/2013/06/Research-Essay-No-11.pdf>>, [08.05.2014].

Antoniolli L., Consumer Law as an Instance of the Law of Diversity, Vermont Law Review, Vol. 30:855, 2006, <<http://Lawreview.vermontLaw.edu/files/2012/02/antoniolli.pdf>>, [3.12.2013].

Bar-Gill O., Ben-Shahar O., Regulatory Techniques in Consumer Protection: A Critique of European Consumer Contract Law, New York University Law and Economics Working Papers, 2012.

Bartl M., The Draft Frame of Reference: What Future for European Contract Law? European University Institute, <[http://www.Law.muni.cz/sborniky/cofola2008/files/pdf/evropa/Bartl\\_Marija.pdf](http://www.Law.muni.cz/sborniky/cofola2008/files/pdf/evropa/Bartl_Marija.pdf)>, [26.12.2014].

Ben-Shahar O., Posner E. A., The Right to Withdraw in Contract Law, Journal of Legal Studies, Vol. 40 January 2011, <<http://www.jstor.org/stable/10.1086/658403>>, [23.05.2013].

Beale H., Nartkamp A., Kotz H., Taloon D., Cases, Materials and Text on Contract Law, Hart Pub., Oxford and Portland, Oregon, 2002.

Bussani M., Werro F., European Private Law: A Handbook, C. Sieburgh, Western Law of Contract, Stampfli Publishers Ltd. Berne, 2009.

*Campagna M.F.*, Transparent Consumer Information In Directive 2011/83/EU, The Columbia Journal of European Law, Vol., 19, 2012, <<http://www.cjel.net/online/transparent-consumer-information-in-directive-201183eu/>>[22.09.2014].

*Cherednychenko O.O.*, The constitutionalization of Contract Law: Something New Under The Sun?, Electronic Journal of Comparative Law, Vol., 8.1 (March 2004), <<http://www.ejcl.org/81/art81-3.PDF>>, [14.04.2013].

*Chirita A. d.*, The Impact of Directive 2011/83/EU on Consumer Rights; <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1998993](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1998993)>, [12.13.2013].

*Colins H.*, The European Civil Code, The Way Forward, Cambridge University Press, 2008.

Consultation on the Implementation of Consumer Rights Directive 2011/83/EU, <[https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/32690/12-999-consultation-implementation-of-consumer-rights-directive.pdf](https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/32690/12-999-consultation-implementation-of-consumer-rights-directive.pdf)>, [2.12.2013].

Consumer Attitudes Towards Cross-border Trade and Consumer Protection, European Commission, Flash Eurobarometter 299 – The Gallup Organization, 2011.

Consumer Behavior in a Digital Environment, , Directorate –General for Internal Policies, European Parliament, EN, 2011.

*Dani M.*, Assembling the Fractured European Consumer, A New Concept of European Federalism, LEQS Paper, No., 29/2011, <<http://www.lse.ac.uk/europeanInstitute/LEQS/LEQSPaper29.pdf>>, [22.07 2013].

*Dauner-Lieb B.*, A Special Private Law for B2C? Silver Bullet or Blind Alley?, New Features in Contract Law, Schulze R., Sellier, ELP, Munchen, 2007.

DG Justice Guidance Document, European Commission, DG Justice, June 2014. <[http://ec.europa.eu/justice/consumer-marketing/files/crd\\_guidance\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/consumer-marketing/files/crd_guidance_en.pdf)>.

European Contract Law, Materials for a Common Frame of Reference: Terminology, Guiding Principles, Model Rules, produced by Association Henri Capitant des Amis de la Culture Juridique Française and Société de Législation Comparée, Edited by Bénédicte Fauvarque-Cosson and Denis Mazeaud Prepared by Jean-Baptiste Racine, Laura Sautonie-Laguionie, Aline Tenenbaum and Guillaume Wicker, Sellier, European Law Publishers, Munich, 2008.

*Fina S.*, The Consumer's Right of Withdrawal and Distance Selling in Europe: A Consumer Stronghold in European Distance Selling and E-Commerce, in Festschrift Franz Zehetner 31, Markus Haslinger, Arthur Kanonier and Sylvia Zehetner eds. 2009,

<[http://unternehmensrecht.univie.ac.at/fileadmin/user\\_upload/privat\\_fina/Fina\\_Beitrag\\_FS\\_Zehetner.pdf](http://unternehmensrecht.univie.ac.at/fileadmin/user_upload/privat_fina/Fina_Beitrag_FS_Zehetner.pdf)>, [09.05.2014].

*Gheorghe A.N., Spasici C.*, Consumer's Right To Withdraw, Law Journal, Challenges of Knowledge Society, Private Law, 2011.

*Gillies L. E.*, Electronic Commerce and International Private Law, A Study of Electronic Consumer Contracts, Ashgate e\_Book, Aldershot, England; Burlington, VT: Ashgate, 2008.

*Grundmann S.*, The Future of Contract Law, ERCL 4/2011, <[http://grundmann.rewi.hu-berlin.de/Publikationen/3.125a%20The%20Future%20of%20Contract%20Law,%20Europe%20Review%20of%20Contract%20Law%207%20\(2011\),%20Heft%204.pdf](http://grundmann.rewi.hu-berlin.de/Publikationen/3.125a%20The%20Future%20of%20Contract%20Law,%20Europe%20Review%20of%20Contract%20Law%207%20(2011),%20Heft%204.pdf)>, [12.02.2014].

*Haupt S.*, An Economic Analysis of Consumer Protection In Contract Law, German Law Journal, Vol., 04No.11, <[http://www.germanLawjournal.com/pdfs/Vol04No11/PDF\\_Vol\\_04\\_No\\_11\\_1137 - 1164\\_Private\\_Haupt.pdf](http://www.germanLawjournal.com/pdfs/Vol04No11/PDF_Vol_04_No_11_1137 - 1164_Private_Haupt.pdf)> [12.04.2014].

*Henderson K., Poulter A.*, The Distance Selling Directive, <[http://www.cis.strath.ac.uk/cis/research/publications/papers/strath\\_cis\\_publication\\_238.pdf](http://www.cis.strath.ac.uk/cis/research/publications/papers/strath_cis_publication_238.pdf)> [09.05.2014].

*Hesselink M. W.*, European Contract Law: a Matter of Consumer Protection< Citizenship, or Justice?, Centre for the Study of European Contract Law Univesiteit van Amsterdam, working Paper Series No., 2006/04.

*Hondius E.*, The Notion of Consumer: European Union versus Member States, Sidney Law Review, (Vol., 28:29, 2006), <[http://sydney.edu.au/Law/sl28\\_1/Hondius.pdf](http://sydney.edu.au/Law/sl28_1/Hondius.pdf)>, [04.12.2013].

*Howells G., Ramsay I., and Wilhelmsson Th.*, Consumer Law in its International Dimension, Handbook of Research on International Consumer Law, Published by Edward Elgar Publishing Limited, Cheltenham,UK, 2011.

*Howells G.*, The Rise of European Consumer Law – Whither National Consumer Law? Sydney Legal Review, 37, 2006, 28, <[http://sydney.edu.au/Law/sl28\\_1/Howells.pdf](http://sydney.edu.au/Law/sl28_1/Howells.pdf)>, [27.04.2014].

*Howells G., Schulze R.*, Overview of the Proposed Consumer Rights Directive, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009.

Implementing the Consumer Rights Directive, Department for Business Innovations and Skills, Enhancing Consumer Confidence by Modernizing Consumer Law, Consultation on the Implementation of the Consumer Rights Directive 2011/83/EU, 2012<

[https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment\\_data/file/347\\_60/12-999-consultation-implementation-of-consumer-rights-directive.pdf](https://www.gov.uk/government/uploads/system/uploads/attachment_data/file/347_60/12-999-consultation-implementation-of-consumer-rights-directive.pdf), [18.10.2013].

*Jansen N. and Zimmermann R.*, Contract Formation and Mistake in European Contract Law: A Genetic Comparison of Transnational Model Rules, Oxford Journal of Legal Studies Advance Access published September 20, 2011, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1788882](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1788882)>, [10.04.2014].

*Kallweit D.*, Towards a European Contract Law: For a Prosperous Future of International Trade, <[http://www.upf.pf/IMG/pdf/03\\_Kallweit.pdf](http://www.upf.pf/IMG/pdf/03_Kallweit.pdf)>, [27.03.2014].

*Katz A.W.*, Is Electronic Contracting Different? Contract Law in the Information Age, <<http://www.columbia.edu/~ak472/papers/Electronic%20Contracting.pdf>>, [12.03.2014].

*Kaufmann Winn J., Haubold J.*, Electronic Promises: Contract Law Reform and E-Contracts in Comparative Perspective, European Law Review, 27, 2002, <[http://www.Law.washington.edu/Directory/ocs/Winn/Electronic\\_Promises\\_Revised.pdf](http://www.Law.washington.edu/Directory/ocs/Winn/Electronic_Promises_Revised.pdf)>, [11.05.2014].

*Kessler F.*, Contract of Adhesion – Some Thoughts About Freedom Of Contract, Faculty Scholarship Series. Paper 2731, <[http://digitalcommons.Law.yale.edu/fss\\_papers/2731\\_630](http://digitalcommons.Law.yale.edu/fss_papers/2731_630)>, [28.02.2013].

*Kessel F., Fibre E.*, Culpa in Contrahendo, Bargaining in Good Faith and Freedom of Contract: A Comparative Study, HeinOnline, Harvard Law Review, Vol., 77, N., 3, 1964.

*Kim S.N.* The Duty to Draft Reasonably and Online Contracts, Commercial Contract Law, Transatlantic Perspectives, Cambridge University Press, 2013.

*Loos M.*, Right of Withdrawal, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law Publishers, Munich, 2009.

*Loos M.*, Right of Withdrawal – Interoperability of Directives, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2013-61, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2013-11, University van Amsterdam, The Netherlands, <<http://dare.uva.nl/document/2/135836>> [20.01.2015].

*Loos B.M.*, Full Harmonization as a Regulatory Concept and its Consequences for the National Legal Orders. The Example of the Consumer Rights Directive, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2010/03, University van Amsterdam, The Netherlands, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1639436](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1639436)> [20.01.2015].

*Loos B.M.*, Consumers Sales in The Netherlands After Implementation of the Consumer Rights Directive and With a View to the Future Common European Sales Law, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2014-53, Centre for the Study of European

Contract Law, Working Paper Series No.2014-12, University van Amsterdam, The Netherlands, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2506048](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2506048)> [20.01.2015].

*Loos M., Helberger N., Guibaut L., Pessers L.*, Digital Content Contracts for Consumers, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2012-66, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No., 2012-05, University van Amsterdam, The Netherlands, [http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2081918](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2081918), [27.09.2014].

*Loos M.*, The Regulation of Digital Content B2C Contracts in CESL, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2013-60, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2013-10, University van Amsterdam, The Netherlands,<[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2343176](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2343176)>, [17.10.2014].

*Loos M.*, The Case for Uniformed and Efficient Right of Withdrawal from Consumer Contracts in European Contract Law, Published in Zeitschrift Fur Europaisches Privatrecht, 2007.

*Luth H.*, Behavioural Economics in Consumer Policy, intersentia, Antwerp, Oxford, Portland, 2010.

*Luzak J.A.*, To Withdraw or not To Withdraw? Evaluations of the Mandatory Right of Withdrawal in Consumer Distance Selling Contracts Taking into Account its Behavioral Effects on Consumer, Amsterdam Law School Legal Research Paper No. 2013-21, Centre for the Study of European Contract Law working Paper No. 2013-04, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2243645](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2243645)> [20.01.2015].

*Luzak J.*, Online Consumer Contracts, University of Amsterdam - Centre for the Study of European Contract Law (CSECL); University of Amsterdam - Faculty of Law, Amsterdam Law School Legal Studies Research Paper No. 2014-47, Centre for the Study of European Contract Law, Working Paper Series No.2014-08, ERA Forum, Vol. 15, No. 3, 2014, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=2487222##](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=2487222##)> [21.01.2015].

*Macsim A.-R.*, The New Consumer Rights Directive, A Comparative Law and economics Analysis of the maximum harmonization effects on consumers and businesses, The case of the cooling-off period from online contracts, ,<http://pure.au.dk/portal/files/44659752/Thesis.pdf>>, [02.05.2014].

*Markesinis B., Unberath H., Johnston A.*, The German Law of Contract, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2006.

*McKendriek E.*, Harmonization of European Contract Law: The State We Are, The Harmonization of European Contract Law, Implications for European Private Law, Business and Legal Practice, ed., by Vongenauer S., Weatherill S., Hurt Pub., Oxford, Portland, Oregon, 2006.

*Micklitz H-W.*, The Target Full Harmonization Approach" Looking Behind Curtain, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, ELP, Munich, 2009.

*Micklitz H-W., Stuyck J., Terryn E.*, Cases, Materials and Text on Consumer Law, Hart Publishing, Oxford and Portland , Oregon, 2010.

*Nebbia P., Askham T.*, EU Consumer Law, Richmond, 2004.

*Nimmer R. T.*, The Legal Landscape of E-commerce: Redefining Contract Law in an Information Era, Journal of Contract Law Conference, “Contract and the Commercialization of Intellectual Property”, Singapore Academy of Law and Singapore Management University, 2006.

*Nordhausen Scholes A.*, Information Requirements, Modernizing and Harmonizing Consumer Contract Law, Sellier, European Law publishers, Munich, 2009.

*Posner E.A.*, Contract Law In The Welfare State: A Defense of The Unconscionability Doctrine, Usury Laws, And Related Limitations On The Freedom To Contract, <http://www.ericposner.com/Contract%20Law%20in%20the%20Welfare%20State.pdf>, [07.04.2013].

Principles, Definitions and Model Rules of European Private Law Draft Common Frame of Reference (DCFR), ed., by von Bar Ch., Clive E., Schulte-Nolke H., and others, Sellier, ELP, Munich, 2009, [www.Law-net.eu..](http://www.Law-net.eu..)

Principles of the Existing EC contract Law (Acquis principles), Contract I, Pre-contractual obligations, Conclusion of Contracts, Unfair Terms, prepared by Research Group on the Existing EC Private Law, European Law Publishers, 2007.

*Rafal M.*, The notion of “consumer” in EU Law, Library Briefing, Library of the European Parliament, <[http://www.europarl.europa.eu/RegData/biblioteca/briefing/2013/130477/LDM\\_BRI\(2013\)130477\\_REV1\\_EN.pdf](http://www.europarl.europa.eu/RegData/biblioteca/briefing/2013/130477/LDM_BRI(2013)130477_REV1_EN.pdf)>, [24.11.2013].

*Renard I., Barberis M. A., France, Spindler G., Borner F.*, E-Commerce Law in Europe and the USA, Springer, Verlag Berlin Heidelberg, 2002.

*Riefa Ch.*, The reform of electronic consumer contracts in Europe: towards an effective legal framework?, <[http://www.lex-electronica.org/docs/articles\\_244.pdf](http://www.lex-electronica.org/docs/articles_244.pdf)>, [08.05.2014].

*Riefa Ch.*, A Dangerous Erosion of Consumer Rights: The Absence of a Right to Withdraw from Online Auctions, Modernizing and Harmonizing non consumer Contract Law, Geraint Howells and Reiner Schultze, eds., Sellier European Law Publishers, pp. 177-188, 2009, Available at SSRN: <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1374063](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1374063)> [15.01.2015].

*Reimann M. Zimmermann R.* The Oxford Handbook of Comparative Law, Oxford university press, 2006.

*Rezek M.*, Contracts concluded away from business premises and contracts concluded through distance communication in the light of the Proposal for a Directive on Consumer rights, Perspectives for European Consumer Law, Towards a Directive on Consumer Rights and Beyond, Sellier, European Law Publishers, 2010, 109-117.

*Roinn A., Post, Nualaichta F.*, Consultations on the Implementation of Directive 2001/83/EU On Consumer Rights,<<http://www.djei.ie/publications/commerce/2013/CRD.pdf>>, [10.02.2014].

*Rott P.*, Harmonizing Different Rights of Withdrawal: Can German Law Serve as an Example for EC Consumer Law?, Developments, German Law Journal, [Vol. 07 No. 12, 2006, <[http://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/germlajo2006&div=110&id=&page](http://heinonline.org/HOL/LandingPage?handle=hein.journals/germlajo2006&div=110&id=&page=)=>, [9.10.2012].

*Schmidt W-A., Priess M., Germany, Spindler G., Borner F.*, E-Commerce Law in Europe and the USA, Springer, Verlag Berlin Heidelberg, 2002.

*Schulze R., Schulte-Nolke H., Jones J.*, A Casebook on European Consumer Law, Hart Publishing, Oxford and Portland, Oregon, 2002.

*Schulze R.*, The Right of Withdrawal, Perspectives for European Consumer Law, Towards a Directive on Consumer Rights and Beyond, Sellier, european law publishers, 2010, 13-22.

*Schulze R.*, The Academic Draft of the CFR and The EC Contract Law, CFR and Existing EC Contract Law, ed., by Schulze R., Sellier, ELP., Munich, 2008.

*Schulte-Nolke H., Twigg-Flesner CH., Ebers M*, EC Consumer Law Compendium, The Consumer Aquis and its transposition in the Member States, Sellier, ELP, Munich, 2008.

*Schulte-Nolke H.*, Contract Law or Law of Obligations? – The Draft Common Frame of Reference (DCFR) as a Multifunction tool, Common Frame of Reference and Existing EC Contract Law, ed., Schulze R., Sellier, ELP, Munich, 2008.

*Schurr, F.* The Relevance of European Consumer Protection Law for the Development of European Contract Law, Victoria University of Wellington Law Review 38/1, 2007, <<http://www.upf.pf/IMG/pdf/09-Schurr.pdf>> [12.10.2014].

*Reich N.*, Protection of Consumers' Economic Interests by EC Contract – Some Follow-up Remarks, Sydney Law Review, Vol., 28: 37, 2006,<[http://sydney.edu.au/Law/slrlslr28\\_1/Reich.pdf](http://sydney.edu.au/Law/slrlslr28_1/Reich.pdf)>,

*Smits J.*, The Future of European Contract Law: on Diversity and the Temptation of Elegance, Towards a European Ius Commune in Legal Education and Research, Michael Faure, Jan Smits and Hildegard Schneider, eds., Antwerpen (Intersentia), pp. 239-256, 2002, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=803144](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=803144)>, [11.02.2014].

*Solomon M., Bamossy G., Askegaard S., Hogg M. K., Consumer Behavior, A European Perspective*, third edition, Pearson Education Limits, Harlow, England, 2006.

*Stone R., The Modern Law of Contract*, fifth edition, Cavendish Publishing limited, Portland, Oregon, USA, 2002.

*Terryn E., The Right of withdrawal, The Acquis Principles and The DCFR, CFR and Existing EC Contract Law*, Sellier, ELP, Munich, 2008.

*Tomas G. Harmonization of European Contract Law: Slowly but Surely?*  
<[http://lexetscientia.univnt.ro/download/478\\_2013\\_LESIJ\\_XX\\_1\\_art.006.pdf](http://lexetscientia.univnt.ro/download/478_2013_LESIJ_XX_1_art.006.pdf)>, [23.11.2013].

*Tscherner E. M., Can Behavioral Research Advance mandatory Law, Information Duties, Standard Terms and Withdrawal Rights?*, Austrian Law Journal, 1/2014.

*Twigg-Flesner Ch., Metcalfe D., The proposed Consumer Rights Directive – less haste, more thought? European Review of Contract Law, 2009, SSRN<:<http://ssrn.com/abstract=1345783>>* [20.01.2015]

*Twigg-Flesner C., A Cross-Border-Only Regulations for Consumer Transactions in the EU, A Fresh Approach to EU Consumer Law*, Springer Briefs in Business, 2012, <<http://www.springer.com/cn/book/9781461420460>>, [10.11.2013].

*Twigg-Flesner C., "Good-Bye Harmonization by Directives, Hello Cross-Border only Regulations?" – A Way Forward for EU Consumer Contract Law*, European Law Review of Contract Law, 2011, 7(2).

*Twigg-Flesner Ch. and Schulze R., Protection Rational Choice: Information and The Right of Withdrawal*, Handbook of Research on International Consumer Law, Published by Edward Elgar Publishing Limited, Cheltenham, UK, 2011.

*Twigg-Flesner CH., Pre-contractual duties – from the Acquis to the Common Frame of Reference*, Draft of Chapter Published in Schulze R., ed., CFR and Existing EC Contract Law, Sellier ELP, Munich, 2008, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1349692](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1349692)>, [29.04.2013].

*Twigg-Flesner CH., Information Disclosure about the Quality of Goods – Duty or Encouragement?* in Howells G., Schulze R., (eds.) *Information Rights and Obligations: a Challenge for Party Autonomy and Transactional Fairness*, Aldershot: Ashgate, 2004, <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1345009](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1345009)>, [13.06.2014].

*Twigg-Flesner CH., "Time To Do the Job Properly" – The Case for a New Approach to EU Consumer Legislation*, Journal of Consumer Policy, 2010, 33 (4), <[http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract\\_id=1562728](http://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1562728)>, [22.09.2014].

*Wang F.F.*, Law of Electronic Commercial Transactions, Contemporary issues in EU, US and China, Rutledge Research in IT and E-Commerce Law, Taylor & Francis Group, New York, 2010.

*Wayne R. Barnes*, Toward a Fairer Model of Consumer Assent to Standard Form Contracts: In Defense of Restatement Subsection 211(3), "Washington Law Review" 82:227, (2007):<[http://digital.Law.washington.edu/dspace-Law/bitstream/handle/1773.1/194/82\\_washlrev\\_227.pdf?sequen.](http://digital.Law.washington.edu/dspace-Law/bitstream/handle/1773.1/194/82_washlrev_227.pdf?sequen.)>, [14.03.2014].

*Wrbka S.*, The Proposal for an Optional Common European Sales Law: A Step in the Right Direction for Consumer Protection?, EUIJ-Kyushu Review Issue 1-2011, <<http://euijreview.kyudai.info/downloads/EUIJKR-1-3-2011.pdf>> [10.12.2015].

*Whittaker S.*, The Optional Instrument of European Contract Law and Freedom of Contract, <[http://ec.europa.eu/justice/news/consulting\\_public/0052/contributions/333\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/news/consulting_public/0052/contributions/333_en.pdf)>, [03.05.2014].

Working Document of the Commission, Responses to the consultation on the Council Directive 85/577/EEC of 20 December 1985 to protect the consumer in respect of contracts negotiated away from business premises Summary of Responses <[http://ec.europa.eu/consumers/rights/docs/doorstepselling\\_responses.pdf](http://ec.europa.eu/consumers/rights/docs/doorstepselling_responses.pdf)>, [27.04.2014].

*Wilinska-Zelek A.*, Consumer rights – new tendencies, Considerations about directive 2011/83/UE,<<http://polishreviewofsocialscience.mage.pl/wp-content/uploads/2012/05/wilinska-zelek-consumer-rights-new-tendencies-considerations-about-directive-2011-83-UE.pdf>> [15.12.2011].

*Von Bar Ch., Clive E., Schulte-Nolke H. and others*, Principles, Definitions and European Private Law, Draft Common Law of Reference (DCFR), prepared by the Study Group on a European Civil Code and the Research Group on EC Private Law (Acquis Group), Sellier, European Law Publishers, GmbH, Munich, 2009, <[http://ec.europa.eu/justice/policies/civil/docs/dcfr\\_outline\\_edition\\_en.pdf](http://ec.europa.eu/justice/policies/civil/docs/dcfr_outline_edition_en.pdf)> [10.05.2013].

*Von Bar CH.*, A Common Frame of Reference for European Private Law - Academic Efforts and Political Realities, Electronic Journal of Comparative Law, vol. 12.1 (May 2008), <<http://www.ejcl.org>>, [22.02.2013].

*Zimmermann R.*, The Law of Obligations, Roman Foundations of the Civilian Tradition, Juta & Co, Ltd PO, Kenwyn, 2002.

*Zimmermann R.*, The New German Law of Obligations, Historical and Comparative Perspectives, Oxford University Press, 2005.

*Zumbansen P.*, The Law of Contracts, *Reimann M.*, *Zekoll J.*, Introduction to German Law, Kluwer Law International, 2005.

*Брагинский М.И., Витрянский В.В., Договорное Право, Общие положения. М., 1997.*

*Кротов. М. В., Закон о защите прав потребителей, Правоведение. -1991. - № 6. - С., http://uristy.ucoz.ru/publ/14-1-0-720.*

*Покровский Н.А., Основные проблемы гражданского права, из. Статус, Москва, 1998.*

### **ნაშრომში გამოყენებული ნორმატიული ბაზა**

საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 31-33, 24/08/1995.

2014 წლის 27 ივნისის ასოცირების შეთანხმება ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიეს გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფორბს შორის, [www.macne.gov.ge](http://macne.gov.ge).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, 31, 24/07/1997.

საქართველოს კანონით ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული დოკუმენტის შესახებ, სსმ, 7, 26/03/2008.

საქართველოს კანონით ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ, სსმ, 26, 06/06/2005.

საქართველოს კანონი „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის უწყებანი, №007, 30.04.96. გაუქმდებულია საქართველოს კანონით „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის შესახებ“, სსიპ საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 25/05/2012.

გერმანიის სამოქალაქო კოდექსის ქართული თარმანი, (2010 წლის 1 მარტის მდგომარეობით), გამომც. შპს „სიესტა“, ობ. 2010.

### **ნაშრომში გამოყენებული ევროკავშირის დირექტივები**

Directive 2011/83/EU of The European Parliament and of the Council of 25 October 2011 on consumer rights, amending Council Directive 93/13/EEC and Directive 1999/44/EC of the European Parliament and of the Council and repealing Council Directive 85/577/EEC and Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council, Official Journal of the European Union, L 304/64, 22.11.2011.

Directive 97/7/EC of the European Parliament and of the Council of 20 May 1997 on the protection of consumers in respect of distance contracts - Statement by the Council and the Parliament re Article 6 (1) - Statement by the Commission re Article 3 (1), first indent, Official Journal L 144 , 04/06/1997 P. 0019 – 0027.

Directive 99/44/EC of the European Parliament and of the Council of 25 May 1999 on certain aspects of the sale of consumer goods and associated guarantees, [http://europa.eu/legislation\\_summaries/consumers/protection\\_of\\_consumers/l32022\\_en.htm](http://europa.eu/legislation_summaries/consumers/protection_of_consumers/l32022_en.htm) 04.05.2014.

Council Directive 85/577/EEC of 20 December 1985 to protect the consumer in respect of contracts negotiated away from business premises, Official Journal L 372 , 31/12/1985 P. 0031 – 0033.

ნაშრომში გამოყენებული ევროპის მართლმსაჯულების სასამართლოს  
გადაწყვეტილებები

Case C-361/89, Patrice Di Pinto, [1991] ECR.

Case C-45/96, Bayerische Hypotheken - und Wechselbank AG, [1998] ECR.

Case C-423/97, Travel Vac SL v Manuel Jose Antelm Sanchis, [1999] ECR.

Case C-481/99, Georg Heininger and Helga Heininger v Bayerisvhe Hypo – und Vereinsbank AG [2001].

Case C-464/01, Johann Gruber v Bay Wa AG,[2005] ECR.

Cases C-350/03 Elisabeth Schulte and Others v Deutsche Bausparkasse Badenia and C-229/04 Crailsheimer Volksbank v Klaus Conrads and Others, judgments of 25.10.2005

C-205/07 - Gysbrechts and Santurel Inter, [2008] ECR.

Case C-489/07, Pia Messner v Firma Stefan Krüger, [2009] ECR.

Joined Cases C-585/08 and C-144/09, Peter Pammer v Reederei Karl Schlüter GmbH & Co. KG and Hotel Alpenhof GesmbH v Oliver Heller [2010] ECR.

Case C-49/11, Content Sevices Ltd v. Bundesarbeitskammer [2012] ECR.

ნაშრომი შესრულებულია ჩემს მიერ, არ გამომიყენებია ლიტერატურა  
სათანადო მითითებების გარეშე. გაცნობიერებ სიყალბის გამოვლენის  
შემთხვევაში ჩემი შედეგის ბათილად ცნობისა და შესაბამისი პროგრამიდან  
აღდგენის უფლების გარეშე გარიცხვის რეალობას.